ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

15(2)

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2014

უაკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/...“
ა-984

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი გაბისონია
ზურაბ გამეზარდაშვილი
გია გელაშვილი
ოთარ გოგოლიშვილი
ჰაჯი-მურად დონოგო
(მახაჩყალის უნივერსიტეტი)
შოთა ვადაჭკორია
ნუგზარ ზოსიძე
ვასილ კაჭარავა
იგორ კვესელავა
ვაჟა კიკნაძე
უჩა ოქროპირიძე
რიმვიდას პეტრაუსკასი
(ვილნიუსის უნივერსიტეტი)
ანჯეი პუქშტო
(ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტი)
გელა საითიძე
(რედაქტორის მოადგილე)
ლელა სარალიძე
ავთანდილ სონღულაშვილი
(რედაქტორი)
ხათუნა ქოქრაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ანდრის შნე
(ლატვიის უნივერსიტეტი)
დოდო ჭუმბურიძე
(რედაქტორის მოადგილე)
ნიკო ჯავახიშვილი

EDITORIAL BOARD:
Irakli Gabisonia
Zurab Gamezardashvili
Gia Gelashvili
Otar Gogolishvili
Hadji-Murad Donogo
(University of Makhachkala)
Shota Vadachkoria
Nugzar Zosidze
Vasil Kacharava
Igor Kveselava
Vazha Kiknadze
Ucha Okropiridze
Rimvydas Petrauskas
(Vilnius University)
Andžej Pukšto
(Vytautas Magnus University)
Gela Saitidze
(Deputy editor)
Lela Saralidze
Avtandil Songulashvili
(Editor)
Khatuna Kokrashvili
(Executive secretary)
Andris Šnē
(University of Latvia)
Dodo Chumburidze
(Deputy editor)
Niko Javakhishvili

საგამომცემლო საბჭო:
ირინა არაბიძე, ლელა მიქიაშვილი, შორენა მურუსიძე, მზია ტყავაშვილი.

PUBLISHING COUNCIL:
Irina Arabidze, Lela Mikiashvili, Shorena Murusidze, Mzia Tkavashvili.

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი
Contents

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა
The History of the Georgian

დავით ჯავახიშვილი 11
უფლისწულ ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონის წინაპრები და მისი პირდაპირი შთამომავლები
Davit Javakhishvili
The Ancestors and straight descendants of prince Alexander Bagrationi

დოდო ჭუმბურიძე 19
რუსეთის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნის I ნახევარი)
Dodo Chumburidze
History of Russian colonial economic policy in Georgia
(I half of XIX century)

ოთარ გოგოლიშვილი 32
ნიკოლოზ ლენდერი
Otar Gogolishvili
Nikolai Lender

მზია ტყავაშვილი 39
სოფელ ყორნისის ისტორიიდან (XIX საუკუნის 40-იანი წლები)
Mzia Tkavashvili
From the History of Village Kornisi (The 40es of the 19th century)

გელა საითიძე 48
ქართულ-ებრაული ურთიერთობის საკითხი იროდიონ ევდოშვილის შემოქმედების კონტექსტში
Gela Saitidze
The Issue of the Georgian-Jewish Relations within the Context
of the Works of I. Evdoshvili

ავთანდილ სონღულაშვილი 66
აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1921-1931 წწ.)
Avtandil Songulashvili
The Head of the Department of the New and Modern History
Political Status of Abkhazia Within the State of Georgia (1921-1931)

ლელა სარალიძე 80
ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლის ისტორიიდან (1922-1924 წწ.)
Lela Saralidze
From the history of the Soviet power struggle against Georgian national movement (1922-1924)

ალექსანდრე მოსიაშვილი 100
1989 წელს ქვემო ქართლში განვითარებული მოვლენების შეფასებისათვის
Aleksandre Mosiashvili
For Assessing Situation in Lower Kartli in 1989

ეკლესიის ისტორია
The History of the Charch

ხათუნა ქოქრაშვილი 105
სასულიერო განათლების სისტემის ისტორიიდან XIX ს-ის II ნახევრის საქართველოში
Khatuna Kokrashvili
From the History of Theological Education of the 19th Century Second Half Georgia

ირინა არაბიძე 122
რუსეთის ეკლესიის ანტიეკუმენური მოღვაწეობის ისტორიიდან (მოსკოვის 1948 წლის თათბირი)
Irina Arabidze
From The History of the Anti-Ecumenical Activity of the Church of Russia (Moscow meeting of 1948)

საქართველო და მსოფლიო
Georgia and the World

ალექსანდრე ოთარაშვილი 143
უცხოური კომპანიები და მათი საქმიანობა საქართველოში („ძმები ნობელები", როტშილდების კომპანია)
Alexandre Otarashvili
Foreign companies and their business in Georgia ("Nobel Brothers", Rothschilds' company)

Николай Джавахишвили 153
ОТРАЖЕНИЕ ПОЛЬШЫ И ПОЛЯКОВ В ГРУЗИНСКОМ ОБЩЕСТВЕННОМ МЫШЛЕНИИ (с начала XVIII века – до 60-ых годов XX века)
Nikolai Javakhishvili
Reflections of Poland and Poles in Georgian Public Thought (since the beginning of the 18th c. – the 60s of the 20th c.)

მსოფლიო ისტორია
The History of the World

მიხეილ ბარნოვი 189
უიკიაპში მოსმენილი ისტორიები (ნაწილი პირველი)
Mikheil Barnovi
Stories Heard in Wickiup (Part One)

არჩილ ჩაჩხიანი 196
„აღმოსავლეთის ხალხთა“ საკითხი „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონტექსტში
Archil Chachkhiani
The Question of the „Peoples of East“ in the Context of the World's Proletarian Revolution

სამხედრო ისტორიიდან
Millitary History

არჩილ ჩაჩხიანი 220
1918 წლის „ბოლშევიკური რევოლუციები“ აფხაზეთში და ამიერკავკასიის წითელი გვარდიის საბრძოლო მოქმედებებ სოხუმის ზონაში
Archil Chachkhiani
1918 year „Bolshevist Revolutions“ in Abkhazia and
Combat Activities of the Transcaucasian Red Guard in Sokhumi Zone

შოთა ვადაჭკორია 264
საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჯარის შეიარაღების საკითხისათვის (1918-1921 წწ.)
Shota Vadachkoria
For Clarifying the Issue of Providing the Army of the First Republic of Georgia With Weapons (1918-1921)

წყაროთმცოდნეობა
Source-Studies

ლელა მიქიაშვილი 298
რამდენიმე დოკუმენტი ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრთა მიერ სასამართლო დავების გადაწყვეტის თაობაზე
Lela Mikiashvili
Some Documents on Resolving egal Disputes by artli-Kakheti Royal amily Members

გია გელაშვილი 319
ინგლისელი მოგზაური რობერტ ლაიელი თბილისის შესახებ მოკლე შესავალი
Gia Gelashvili
English Traveller Robert Lyall about Tbilisi.

ვაჟა კიკნაძე 333
საქართველო-რუსეთის XV-XVII სს. ურთიერთობები
XIX ს. რუსულ ისტორიოგრაფიაში
Vazha Kiknadze
Georgian-Russian Relations of the XV-XVII Senturies in the Russian Historiography (XIX Century)

არჩილ ჩაჩხიანი 358
ისევ ქართველი იუნკრების შესახებ – „მოვიდეს აქ ლენინი, ფილიპე მახარაძე და დაიჩოქონ ამ დროშის წინაშე!!!..."
Archil Chachkhiani
Once More about the Georgian Junkers – „...Lenin and Filippe Makharadze should be here and kneel before this banner!!!..."

პოლიტიკა
The Policy

თამარ დარჩია 366
ახალი პოლიტიკური აზროვნება აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში XX ს-ის 80-იანი წლების მეორე ნახევარში
Tamar Darchia
New Political Thinking in the Relations between the USA and the Soviet Union in the 80-ies of the XX Century

იაშა კუტუბიძე 376
გლობალიზაცია მტერი თუ მოყვარე?
Iasha Kutubidze
Globalization - enemy or a friend?

იგორ კვესელავა 387
„ქართული ოცნების" ხელისუფლების საკონსტიტუციო ვარიაციები
Igor Kveselava
Constitutional Variations of Ruling Party „Georgian Dream"

ფილოლოგიურ-ლინგვისტური ძიებანი
Philological-linguistic Stadies

ბადრი ცხადაძე 413
პარლამენტის გააზრებისათვის ქართულ სოციოლინგვისტურ სივრცეში
Badri Tskhadadze
For understanding of the term - parliament in Georgian (sociological analysis)

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
Criticism and Bibliography

დოდო ჭუმბურიძე 421
საისტორიოგრაფიო სიახლენი
Dodo Chumburidze
Historiograhphical News

თვალსაზრისი
View Point

Николай Джавахишвили 430
ЛАБДИЕН, ЛАТВИЯ!

მილოცვა
Congratulation

პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი – ლატვიის
მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი 437

პროფესორი ნოდარ კახიძე 438

გახსენება
In the Memory of Our Collegue

თენგიზ გრიგოლიას ხსოვნას 445

კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი,
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

თბილისი, პეტრე მელიქიშვილის ქ. № 10, III სართული
ტელეფონი: 93 41 37

დავით ჯავახიშვილი
ისტორიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უფლისწულ ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონის წინაპრები და მისი პირდაპირი შთამომავლები

უფლისწული ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონი (1726-1791) განეკუთვნება იმ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდნენ.

ქვემოთ მოთხრობილია ხსენებული უფლისწულის უახლოესი წინაპრებისა და მშობლების, მისი ოჯახისა და პირდაპირი (ანუ მამრობითი ხაზით) შთამომავლობის შესახებ, რაც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დემოგრაფიული განვითარების ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს. ეს პრობლემა ჯერაც არ გამხდარა საგანგებო კვლევის ობიექტი.

აქვე დავსძენთ, რომ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორია მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი [1].

* * *

უფლისწულ ალექსანდრეს მამა, ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ქართლის შტოს წარმომადგენელი – ბაქარ ვახტანგის ძე (1700-1750), იგივე მეფე ბაქარი, ქართლის სამეფოს თითქმის სამ წელიწადს, კერძოდ, 1717-1719 წლებში განაგებდა. ის იყო შვილთაშვილი ქართლის მეფისა ვახტანგ V-ისა (შაჰ ნავაზისა) და შვილი და მემკვიდრე მეფე ვახტანგ VI-ისა და რუსუდან დედოფლისა, ყაბარდოს მთავრის ასულისა [2].

ალექსანდრე ბაქარის ძის პაპა – ვახტანგ ლევანის ძე, ანუ იგივე ვახტანგ VI – ცხრა წლის განმავლობაში ჯანიშინის ანუ მეფისნაცვლის რანგში მართავდა ქართლს, კერძოდ, 1703-1709 წლებში – ნაცვლად სპარსეთში მყოფი თავისი ბიძისა (მამის ძმისა), მეფე გიორგი XI-ისა (დაიღუპა 1709 წელს), 1709-1711 წლებში – ნაცვლად სპარსეთში მყოფი თავისი ძმისა, მეფე ქაიხოსროსი (დაიღუპა 1711 წელს), ხოლო 1711-1712 წლებში – სპარსეთის შაჰინშაჰის მი-

ერ მეფედ დამტკიცების მოლოდინში. 1712 წელს შაჰინშაჰმა ჰუსეინ I-მა სეფიანმა ვახტანგი სპარსეთში დაიბარა და მეფობის ბოძების სანაცვლოდ მას გამაჰმადიანება მოსთხოვა. 1712-1714 წლებში ქართლს გამგებლის რანგში მართავდა ვახტანგ VI-ის უმცროსი ძმა – სვიმონი [3, 491]. 1714-1716 წლებში ქართლში მეფობდა ვახტანგ VI-ის ასევე უმცროსი ძმა – იესე I. სპარსეთში იძულებით ყოფნის ოთხი წლის შემდეგ, 1716 წელს ვახტანგმა ფორმალურად იწამა ისლამი და მეფობაც მიიღო, თუმცა სამშობლოში დაბრუნება მან მხოლოდ 1719 წელს შეძლო.

1717-1719 წლებში ქართლს მეფის რანგში განაგებდა ბაქარ I, რომელსაც გამაჰმადიანების შემდეგ – შაჰ ნავაზ ხანი უწოდეს.

უფლისწული ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონი (1696-1756) თავისი უფროსი ძმის მეფობის შესახებ მოგვითხრობს: „ვინაითგან ჰგონებდა მეფე ვახტანგ წარსვლასა ხორასანს, ამისთვის ჰკადრა ყეენსა, რათა მისცეს მეფობა ქართლისა ძესა თვისსა ბაქარს. უსმინა და მოსცა და მიაქციეს რჯულსა მათსა მხოლოდ სიტყვითა და არა საქმითაცა“ [3, 496].

1724 წლისათვის ქართლში შექმნილი უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო, გვირგვინოსანი მამა-შვილი – ვახტანგ VI და ბაქარ I იძულებულნი გახდნენ, რომ სამშობლო დაეტოვებინათ და ცოლშვილისა და მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით რუსეთში გადახვეწილიყვნენ. ხსენებულ მეფეთა და მათი ძმების შთამომავლები – რუსეთში ატარებდნენ თავად გრუზინსკის გვარს [4, 46].

რუსეთში ჩასვლის შემდეგ, ბაქარი ამ იმპერიის სამსახურში ჩადგა. თავდადებული სამსახურის სანაცვლოდ, ის არტილერიის გენერალ-პორუჩიკი და უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს – წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი გახდა.

ბაქარს ცოლად ჰყავდა ანა ერისთავი (1706-1780), ასული გიორგი არაგვის ერისთავისა [4, 263]. მათ შეეძინათ ხუთი შვილი, კერძოდ, ორი ვაჟი: ალექსანდრე (1726-1791), ლევანი (1728-1763) და სამი ასული: ელისაბედი (?-1768), მარიამი (?-1807) და კიდევ ერთი ასული, რომლის სახელიც უცნობია [5, ნუსხა № 4].

1750 წლის 1 თებერვალს ქართლის მეფედყოფილი ბაქარი რუსეთში გარდაიცვალა. სიკვდილის წინ, მან საზეიმო ფიცი დაადებინა თავის უფროს ვაჟს და მემკვიდრეს – ალექსანდრეს, რომ მამაპაპისეულ სამეფო ტახტს დაიბრუნებდა. ამ ფიცის მიმართ ერ-

თგულებამ უფლისწულის ცხოვრებაში საბედისწერო როლი შეასრულა [6, 161-164].

ალექსანდრე ბაქარის ძე იყო ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი მომაკაცი, რომელმაც ცოლად რუსი წარჩინებული ასული მოიყვანა. აქვე დავსძენთ, რომ ბაგრატოვანთა (როგორც მამაკაცთა, ასევე მანდილოსანთა) ქორწინება რუს წაჩინებულებზე გახშირდა XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც ამ სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა უდიდესი უმრავლესობა რუსეთში გადაასახლეს.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის (1466 წ.) შემდეგ, ბაგრატიონთა სამივე სამეფო სახლის – კახეთის, ქართლისა და იმერეთის წარმომადგენლები, ქორწინდებოდნენ ძირითადად ქართველ წარჩინებულებზე [7, 450], თუმცა ზოგჯერ უცხოტომელებზეც.

ბაგრატიონთა ქორწინებებს ქართველ და უცხოტომელ წარჩინებულებზე მივუძღვენით რამდენიმე სტატია, რომლებიც გამოქვეყნდა როგორც საქართველოში [7-9], ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ, აზერბაიჯანსა [10] და დაღესტანში [11].

უფლისწული ალექსანდრე ბაქარის ძე დიდი პატივისცემით სარგებლობდა რუსეთის იმპერიის არისტოკრატიის უმაღლეს ფენებში. მას ცოლად ჰყავდა დარია მენშიკოვა (1748-1817), ასული თავადისა, გენერალ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე მენშიკოვისა (1714-1764), შვილიშვილი იმპერატორ პეტრე I-ის უახლოესი მეგობრისა, გენერალისიმუსისა და სენატორისა ალექსანდრე დანილის ძე მენშიკოვისა (1673-1729) [4, 48].

თედო ჟორდანია აღნიშნავდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი „იყო დიდების და პატივის მოყვარე, უმეგობრდებოდა რუსეთში გავლენის მქონე პირებს და პეტრე III-ის მეფობაში თვითონაც მოიპოვა გავლენა თვით სასახლეში. დაუახლოვდა და დაუმეგობრდა კიდეც თვითონ პეტრე III-ს; მასთან დადიოდა, დროს ატარებდა და სიკვდილის დრომდე არ სტოვებდა მას... ხასიათით იყო მეტად ჩქარი და მოუსვენარი. სამსახურში ითვლებოდა იზმაილის პოლკის გვარდიაში და 1762 წელს ჰქონდა კაპიტნის ჩინი და კარგი ჯამაგირი, გარდა მამისაგან დარჩენილის დიდ-ძალის უძრავის ქონებისა. რეშტის (1732 წ.) და განჯის (1735 წ.) ტრაქტატებით, რომელიც რუსის მთავრობამ შეჰკრა სპარსეთთან, ვახტანგი და მისი შთამომავლობა ითვლებოდა ნამდვილ მემკვიდრედ ქართლის ტახტისა“ [12, 71].

ასე, რომ რუსეთის მმართველი ელიტის მიერ დაფასებული უფლისწული ალექსანდრე თავს ქართლის სამეფო ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ მიიჩნევდა, რისი ლეგიტიმური საფუძველიც მას გააჩნდა. იგი მამის გარდაცვალების დღიდანვე ფარულად ემზადებოდა საქართველოში წამოსასვლელად, მაგრამ თავდაპირველად მან ეს ვერ მოახერხა. როგორც ჩანს, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება ტახტისმაძიებელ ბატონიშვილს სამშობლოში დაბრუნების ნებას გარკვეულ დრომდე არ აძლევდა, რითაც ფაქტობრივად გვევლინებოდა თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მხარდამჭერის როლში. რუსეთის მესვეურთა ასეთი პოლიტიკა განპირობებული იყო შიშით, რომ ქართლის ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრეების – ჯერ ბაქარისა და შემდეგ მისი ძის, ალექსანდრეს სამშობლოში გაშვების შემთხვევაში, საქართველოში დაიწყებოდა შინააშლილობა, რითაც შესაძლოა ესარგებლათ სპარსეთისა და ოსმალეთის მესვეურებს და ეს პატარა ქვეყანა ხელში ჩაეგდოთ.

1765 წელს უფლისწული ალექსანდრე ჩავიდა მოზდოკში, მაგრამ საქართველოში მან ვერ შემოაღწია. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ უფლისწულის ბიძის – პაატა ვახტანგის ძე ბაგრატიონის შეთქმულების ჩახშობისა და მის მონაწილეთა დასჯის გამო, ახალი შეთქმულების მოსაწყობად ქართლ-კახეთში არახელსაყრელი ვითარება სუფევდა [13, 169].

რუსეთის ხელისუფლების მიერ ალექსანდრეს საქართველოში გამოშვება საეჭვოდ დაემთხვა ერეკლე II-ის დაახლოებას ოსმალეთის სულთანთან. ამ ალიანსმა რუსეთის საიმპერატორო კარი შეაშფოთა.

ალექსანდრე ბაქარის ძის სამშობლოში გამოშვება და მისი აქტიურობა წარმოადგენდა რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებულ ერთ-ერთ კონტრზომას მეფე ერეკლე II-ის მცდელობაზე – შესულიყო ოსმალეთის სულთნის მფარველობაში [14, 683-684].

უფლისწული ალექსანდრე თავს აფარებდა სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ერეკლე II-ის წინააღმდეგ გალაშქრების გეგმებს აწყობდა. ის იმყოფებოდა ჯერ სპარსეთის მბრძანებელ ქერიმ-ხან ზენდთან, რომლის გარდაცვალების შემდეგაც, ჩრდილოკავკასიელ ხალხთა მმართველებთან ჩავიდა. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ალექსანდრეს ბებია (მამის დედა) – რუსუდან დედოფალი – ყაბარდოს მთავრის ასული იყო. ამის გამო, ქართლის ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლაში, ალექსანდრე, ჩრდილოკავკასიელთა გამოყენებასაც გეგმავდა.

ალექსანდრე ბაქარის ძეს ერთხანს აქტიურად მფარველობდა იმერეთის მეფე სოლომონ I, რომელსაც აშფოთებდა ქართლ-კახეთის მეფის დაახლოება ოსმალეთის სულთანთან. იმერთა მეფე ეჭვობდა (და არცთუ უმიზეზოდ), რომ „ბრწყინვალე პორტასთან“ კავშირით ერეკლე II თავისი სამეფოსათვის იმერეთის შეერთებას გეგმავდა. ამიტომაც, მეფე სოლომონთან თავი მოიყარეს ერეკლე II-ის მმართველობით უკმაყოფილო ფეოდალებმა, რომლებიც ალექსანდრე ბაქარის ძის გარშემო დაირაზმნენ.

1779 წელს, როდესაც ერეკლე II-მ ერევანზე გაილაშქრა, ტახტისმაძიებელმა ალექსანდრემ ქართლის თავადაზნაურობას აჯანყებისაკენ მოუწოდა. ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ერეკლემ გადამჭრელ ზომებს მიმართა. მის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის მცდელობა იმჯერადაც წარუმატებლად დასრულდა [6, 164].

საქართველოდან დევნილმა ალექსანდრე ბაქარის ძემ თავი შეაფარა დერბენტის მფლობელს – ფათ-ალი-ხან იბნ ჰუსაინს. მათ ერეკლე II-ის წინააღმდეგ გასალაშქრებლად საკმაოდ დიდი ჯარი მოაგროვეს.

იმხანად შექმნილ ვითარებაში ერეკლე II-ის წინაშე ქართლის დაკარგვის საშიშროება დადგა. ამიტომაც, ქართლ-კახეთის მეფემ გადაწყვიტა შესულიყო რუსეთის იმპერატორის მფარველობაში, ოღონდ ამის ერთ-ერთ წინაპირობად მოითხოვა, რომ საიმპერატორო კარს ხელი აეღო მისი მთავარი მეტოქის – ალექსანდრე ბაქარის ძის მხარდაჭერაზე. მფარველობითი ტრაქტატის დადებამდე, ერეკლე II-ის თხოვნის შესაბამისად, საიმპერიო მთავრობამ დერბენტის ხანს მოსთხოვა ქართლ-კახეთში გასალაშქრებლად შეგროვილი ჯარის დათხოვნა და მასთან მყოფი ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტის გადაცემა. მდიდრული ძღვენით მოსყიდულმა ფათ-ალი-ხანმა ალექსანდრე აიძულა დაბრუნებულიყო რუსეთში, სადაც ის გზაშივე დააპატიმრეს [15, 227-230].

ალექსანდრე გადაასახლეს სმოლენსკში, სადაც შინაპატიმრობაში მყოფს მიმოწერაც კი აუკრძალეს. მასთან მუდმივად იმყოფებოდა მთავრობისაგან ყარაულად მიჩენილი ოფიცერი, რომელიც უფლისწულს თვალ-ყურს ადევნებდა. იმედგაცრუებული ალექსანდრე, რომლის მრავალწლიანი მცდელობაც ქართლის სამეფო ტახტის დასაუფლებლად უშედეგოდ დასრულდა, 65 წლის ასაკში, სმოლენსკშივე გარდაიცვალა [4, 48].

უფლისწულ ალექსანდრე ბაქარის ძეს და დარია მენშიკოვას შეეძინათ 5 შვილი, კერძოდ, 3 ვაჟი: გიორგი (1762-1852), ალექსანდრე (1763-1823), იოანე (გარდაიცვალა ბავშვობაში) და 2 ასული – ანა (1760-1842) და დარია (?-1796).

ალექსანდრეს უმცროსი ძე – ალექსანდრე (1763-1823) – უმემკვიდრეოდ გადაეგო.

ალექსანდრეს უფროს ძეს – გიორგის (1762-1852) ცოლად ჰყავდა ვარვარა პეტრეს ასული ბახმეტიევა. მათ შეეძინათ ვაჟი – იოანე, რომელიც ბავშვობაში გარდაიცვალა და ასული – ანა (1798-1889). მათ გარდა, გიორგის კიდევ ჰყავდა ორი ვაჟი, შეძენილი მხევალთაგან, რომლებიც უმემკვიდრეოდ გადაეგნენ. მათი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები უცნობია [5, ნუსხა № 4].

ამრიგად, ქართლის სამეფო ტახტის მაძიებელ უფლისწულს ალექსანდრე ბაქარის ძეს (1726-1791) და მის მეუღლეს – დარია ალექსანდრეს ასული მენშიკოვას შეეძინათ 5 შვილი, კერძოდ, 3 ვაჟი: გიორგი (1762-1852), ალექსანდრე (1763-1823), იოანე (გარდაიცვალა ბავშვობაში) და 2 ასული – ანა (1760-1842) და დარია (?-1796). ისინი თავად გრუზინსკის გვარს ატარებდნენ.

ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონის შთამომავლობა პირდაპირი ანუ მამაკაცთა ხაზით შეწყდა 1852 წელს, როდესაც გარდაიცვალა მისი უფროსი ვაჟი – გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი (1762-1852).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ჯავახიშვილი დავითი, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიიდან, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, 2011.
2. პაიჭაძე გიორგი, ვახტანგ VI, თბილისი, 1981.
3. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973.
4. Дворянские роды Российской империи, т. III, Князья, под редакцией С. Думина, Москва, 1996.

5. ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბილისი, 2003.
6. ჯავახიშვილი ნიკო, 1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა იდენტიფიკაციისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბილისი, 2013.
7. ჯავახიშვილი დავითი, ქართველ მეფეთა მეუღლეები (ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტო), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2008, № 4.
8. ჯავახიშვილი დავითი, ექვსი ეტიუდი ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელთა ქორწინებების ისტორიიდან (XVII-XVIII საუკუნეები), კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", ტ. X, თბილისი, 2011.
9. ჯავახიშვილი დავითი, ერეკლე II-ის მეუღლეები, კრებული „ქართული წყაროთმცოდნეობა", ტ. XIII–XIV, თბილისი, 2011/2012.
10. Джавахишвили Д., Из истории династических браков кахетинских Багратионов с представителями мусульманской знати (XVI-XVIII вв.), Сборник трудов Гянджинского государственного университета „Ученые записки", № 2, Гянджа (2010).
11. Джавахишвили Д., Династические браки между кахетинскими Багратионами и представителями кавказской и персидской знати, Общественно-политический и культурно-исторический научный журнал „Ахульго", № 12, Махачкала, 2010.
12. ჟორდანია თედო, თხზულებანი, შემდგენელ-რედაქტორი ქეთევან ნადირაძე, თბილისი, 2011.
13. ბერძენიშვილი ნიკო, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბილისი, 1967.
14. დუმბაძე მამია, ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII საუკუნის 60-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973.
15. ბერძენიშვილი ნიკო, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1965.
16. Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю.Чиковани, Москва, 1998.

Davit Javakhishvili
Doctor of History, Jakob Gogebashvili Telavi State University

The Ancestors and straight descendants of prince Alexander Bagrationi

Summary

The work consecutively narrates about ancestors and straight descendents of prince of Kingdom of Kartli/Kartaliania (Central part of Georgia) – **Alexander Bagrationi/Gruzinsky** (1726-1791). His father, King of Kartli – Bakar the I (1700-1750), reigning in 1717-1719.

Prince Alexanders wife was Darya Menshykova (1747-1717), daughter of russian general, prince Alexander Alexandrovich Menshykov (1714-1764).

Alexander and Darya had a 5 children:

1) princess **Anna** (1760-1842);

2) prince **George** (1762-1852);

3) prince **Alexander** (1763-1823);

4) prince **Yoann** (died in early childhood);

5) princess **Darya** (?-1796).

Prince Alexander Gruzinsky posterity with the direct line was stopped in 1852, when died his chief son – prince **George Gruzinsky** (1762-1852).

დოდო ჭუმბურიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

რუსეთის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნის I ნახევარი)

XVIII ს-ის II ნახევრიდანვე დაიწყო რუსეთის იმპერიული ხელისუფლების დაზვერვითი სამუშაოები საქართველოში, როგორც ქართლ-კახეთის, ასევე დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში. ემზადებოდა რა ქვეყნის დასაპყრობად, რუსეთი ცდილობდა სრული ინფორმაცია ჰქონოდა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ პოტენციალზე.

ამ პერიოდის საისტორიო წყაროები მოგვითხრობენ ამ დაზვერვის, ე. ი. ადგილობრივი მწარმოებლური ძალებისა დ ბაზრების, მოთხოვნილებისა და მიწოდების შესწავლისაკენ მიმართულ ღონისძიებებზე და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ, თითქმის უშედეგოდ, ცდილობდა რუსეთის სავაჭრო კაპიტალი დამოუკიდებლად შემოსულიყო და სარფიანი სამოქმედო ასპარეზი დაეპყრო ამ მხარეში, რომლის ულეველ და უზომო ბუნებრივ სიმდიდრეთა შესახებ გამუდმებით არწმუნებდნენ მას, როგორც საკუთარი, ისე დასავლეთ ევროპის სავაჭრო კაპიტალის აგენტები, მათ მიერ შედგენილ მოხსენებებში გაკეთებული დასკვნები.

საქართველოში რუსეთის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიის შესახებ მრავალი წყარო არსებობს, ეს წყაროები ძირითადად რუსულია და კარად ასახავს იმ დეტალებს, რაც ავლენს ამ პოლიტიკის ანტიქართულ და ძალადობრივ ხასიათს.

გარდა ამ წყაროების შექმნისა, XIX საუკუნის პირველი ნახევრიდანვე ცარიზმის ბიუროკრატია ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში ახდენდა აღწერებს, აგროვებდა ცნობებს, სტატისტიკურ მასალას ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების, წარმოებისა და მოხმარების, ბუნებრივი სიმდიდრისა და ყოველივე იმის შესა-

ხებ, რაც შეიძლება აინტერესებდეს სავაჭრო კაპიტალს. ასე, მაგალითად,: გენერალი კნორინგი, ცარიზმის პირველი მთავარსარდალი საქართველოში, 1802 წელს დავალებას აძლევდა **პოლკოვნიკ დრენიაკინს:** ახლა (ანექსიის შემდეგ) დაწვრილებით უნდა იქნეს გაგებული საქართველოს შინაგანი მდგომარეობა, რომლის შესახებ მეტად ბუნდოვანი ცნობები გვაქვსო.

კერძოდ, პოლკ. დრენიაკინს დაევალა შეედგინა თბილისის, თელავის, გორისა და დუშეთის სწორი გეგმა, სადაც აღნიშნული იქნებოდა ეკლესიების, სახლების, დუქნების, ფაბრიკებისა და სხვა სარეწავთა რიცხვი; გაეგო, თუ „როდის წარმოებს და რაგვარია ამ ქალაქებში ბაზრობა, საიდან მოაქვთ პროდუქტები, ხმელეთის თუ წყლის გზით, და რა რაოდენობით; შესწავლილ იქნას მდინარეები, როგორც მიმოსვლის, ასევე მეთევზეობისა და ხე-ტყის დაცურებისათვის ვარგისიანობის თვალსაზრისით; გადაღებული იქნას ყველა დასახლებული ადგილის რუკა, აღნიშვნით, თუ ვის (ხაზინას, ეკლესიას, ბატონიშვილებს, მემამულეებს) ეკუთვნიან იქ მცხოვრები გლეხები, თუ ვინ ცხოვრობს იქ თავადაზნაურთაგან, რაში გამოიხატება მცხოვრებთა მთავარი სარეწავი, მემინდვრეობასა, მეჯოგეობასა, მეაბრეშუმეობასა, მებაღეობასა, მებამბეობაში და ხელსაყრელია თუ არა ესა თუ ის საქმიანობა, რა რაოდენობით ღებულობენ ისინი ყოველწლიურად მესარეწეობისაგან პროდუქტებს და აქედან რამდენს ხარჯავენ საკუთარი მოთხოვნილებებისათვის და სად მიაქვთ გადანაჭარბი. თუ რა ხარისხისა და შემადგენლობისაა თითოეული სოფლის კუთვნილი მიწების ნიადაგი; არის თუ არა მათში სადმე ყურადღების ღირსი მინერალები ან მინერალური წყლები, რაგვარია ტყეები, მათი სოფლებთან სიახლოვის მანძილი და შედგენილობა, რა ცხოველები ცხოვრობენ ამ ტყეებში; სად როგორია ჰავა ზაფხულობით, ზამთრობით, როგორია ამინდი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში და წლის სხვადასხვა დროში; სად და როგორი სასმელი წყლებია; სად და როგორია მცხოვრებთა ჯანმრთელობა და სად და როგორი ადგილობრივი ხასიათის ავადმყოფობანი იცის და როგორ მკურნალობენ თავს მათგან; აქვს თუ არა ყოველ სოფელს საკმარისი მიწა და ტყე მის მცხოვრებთა რიცხვთან შეფარდებით; აღინუსხოს მოსახლეობის რაოდენობა: სოფლების, კომლების, სქესის და ეროვნების მიხედვით; თუ სად და რომელი ეროვნების ხალხი რა ზნე-ჩვეულებას მისდევს, აგრეთვე ამ ხალხის შრომისუნარიანობა, მისწრაფებანი და ინტერესები; რომელ სამოსახლო ერთეულში რამდენი გლეხი ეკუთვნის ეკლესიას, მემამუ-

ლეს, ხაზინას, უფლისწულებს; საიდან მოაქვს თითოეულ სოფელს ის პროდუქტები, რომელიც ადგილობრივ არ იშოვნება და რა რაოდენობით მოაქვს, განსაკუთრებით მარილი, რკინა და სხვა; თუ მისდევენ, სად და რა ხელსაქმეს და რა რაოდების პროდუქტებს ამზადებენ წლიურად, სად გააქვთ გასაყიდად, რა ხარისხისაა და რა ფასებში იყიდება და საიდან ღებულობენ ხელსაქმისათვის საჭირო ნედლ მასალას. სოფლიდან სოფლამდე უნდა აღნუსხული იქნას ყოველივე ზემოხსენებული და მათთან ერთად სამიმოსვლო გზები, პუნქტები, რომელთაც ისინი აკავშირებენ ერთმანეთთან, სამაზრო და სარაიონო ქალაქებთან და ყველა ამათ ტფილისთან; აღწერილ იქმნას ციხე-სიმაგრეები, ტაძრები, განსაკუთრებითი გულმოდგინებით ციხე-სიმაგრენი; აღნიშნულ იქნას, თუ არის მომთაბარე ხალხები, მათი მარშრუტი და დასაბანაკებელი ადგილები".

აძლევდა რა ასეთ დავალებას, კნორინგი თან დასძენდა, რომ საქართველოში აღწერა უჩვეულო ამბავია და ამიტომ ყოველივე გაკეთებული უნდა იქმნას დიდი სიფრთხილით და საიდუმლოდო.

პოლკ. დრენიაკინს გადაეცა აგრეთვე საქართველოს ყოფილი მეფის მოხელეთაგან მიღებულ ცნობათა საფუძველზე შედგენილი უწყებები და ცხრილები, რომელთა სისწორე თუ უსწორობა ადგილებზე უნდა ყოფილიყო დადგენილი და, მაშასადამე, შემოწმებული და საჭიროებისამებრ შესწორებული [1, 94-95].

ამგვარად, ცარიზმის ბიუროკრატიამ აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიისთანავე შეადგინა ვრცელი გეგმა ამ ქვეყნის შესწავლის, ე. ი. ეკონომიკური დაპყრობისა, – კოლონიური ძარცვისა და ექსპლოატაციისათვის.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბაზრებზე პირველ ხანებში ბატონობდა სამხედრო ბიუროკრატია. იგი, როგორც ალ. ჭავჭავაძე „უქვეშევრდომილეს მოხსენებაში" წერდა, ხშირად თვითონ, როგორც მყიდველი, აწესებდა თბილისის ბაზრებზე ფასებს. რაიონებში დაბანაკებული პოლკები არსებითად განაგებდნენ მკვიდრი მოსახლეობის სვებედს. უკანასკნელნი „არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ **მათ გააჩნიათ რაიმე საკუთრება".** სამოქალაქო ადმინისტრაციის მხრივ სახალხო დოვლათის მითვისებისა და მფლანგველობის მაგალითს იძლეოდა ჯერ კიდევ გიორგი XII-ის კარზე „სრულუფლებიანი მინისტრის" სახით მოვლენილი **პ. კოვალენსკი,** რომელსაც ახლა „საქართველოს მართებლის" პოსტი ეკავა. მან, რათა უფრო მოხერხებულად ეწარმოებინა სახაზინო თუ მოსახლეობის ქონების მითვისება, გარს შემოიკრიბა ნათესავები და მეგობრები,

რომელთაც დაურიგა „მაღალი და შემოსავლიანი“ თანამდებობები. ეს ჯგუფი არ ჯერდებოდა დიდძალი სახელმწიფო და „უპატრონო“ ქონების აშკარა მითვისებას და ხელს ჰკიდებდა აგრეთვე ისეთ „კომერციულ ოპერაციებსაც“, რითაც „ალქიმიკოსებზე უკეთესად შეეძლოთ ოქროს შექმნა არარაობისაგან“ [2, 695].

ცარიზმის ცენტრალური ხელისუფლება ამ მოვლენას ვერ, ან არ ებრძოდა [3, 6].

პეტერბურგიდან ფარულად გამოგზავნილი მოხელე – **სოკოლოვი** თავის საიდუმლო მოხსენებაში წერდა: „მთელ საქართველოში კოვალენსკის მიერ შესყიდულია იაფ ფასებში მატყლი მაუდის ფაბრიკის საჭიროებისათვის. მაგრამ, როგორც აქ ამბობენ, ამ მატყლით კეთდება რაღაცნაირი განსაკუთრებული სპეკულაცია. მთავარმართებელი, რომელსაც შეუძენია 15 ათასი ფუთი მატყლი, აპირებს მის გაგზავნას რუსეთში გასაყიდათ.“ ეს მატყლი შეძენილი იყო ნაკარნახევ ფასებში, ე. ი. ბაზრის ფასის დაახლოებით ერთ მეოთხედად. ამას გარდა, პ. კოვალენსკი დაუკავშირდა თბილისში გაბატონებულ დიდვაჭრებს, რომელთა უფროსი – უსტაბაში – იყო **ი. ბეგთაბეგოვი**, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე კარნახობდა თბილისში საქონლის ფასებსა და ფულის კურსს. **კოვალენსკისთან** კონტაქტში შესულმა აქაურმა ვაჭრებმა და ზარაფებმა, „ბანკირებმა“ , რომლებიც მაშინდელი თბილისის პლუტოკრატებს წარმოადგენდნენ, გამოიწვიეს ბაზარზე საქონლის ხელოვნური გაძვირება, რის შედეგადაც დაეცა ამ დროს აქ გავრცელებული და პოპულარული ჰოლანდიური ჩერვონეცის კურსი, ხოლო ქართული ვერცხლის ფული სავსებით გაჰქრა მიმოქცევიდან, ზარაფებმა მიატოვეს ჩერვონცების ვერცხლზე დახურდავება“ [4].

კოვალენსკი, რომელიც მატყლს იძენდა ვითომ თბილისის მომავალი ფაბრიკისათვის, იტყუებოდა, სპეკულაციას აწარმოებდა, რადგან თბილისში სინამდვილეში არავითარი ფაბრიკა არ შენდებოდა და ამ იაფად შეძენილ მატყლს რუსეთის ბაზარზე რამდენჯერმე მეტ ფასში გასაყიდად გზავნიდა.

ვაჭრობის განვითარების საქმეში იმთავითვე დიდი ყურადღება ექცეოდა სომეხ კომერსანტებს, – მთელ მცირე და წინა აზიაში განთქმულ მოვაჭრეთ. ცარიზმი ცდილობდა სომხების ვაჭრობა გამოეყენებინა იმ მიზნით, რათა მათი მეშვეობით რუსეთს მიეღო აზიური ნედლეული და ეგზოტიკური საქონელი, და მეორეს მხრივ, რუსული ნაკეთობანი გაეტანა ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით ირან-ოსმალეთის ვრცელ ბაზრებზე.

საქართველოს მთავარსარდალ პ. ციციანოვისადმი 1802 წლის 26 სექტემბრის თარიღით გაცემულ იმპერატორის რესკრიპტში ნათქვამია: „სომხები, როგორც მესარეწეობის მიმდევარი ხალხი, რომელთა ხელში იმყოფება აზიის ამ ნაწილის მთელი ვაჭრობა, იმსახურებენ თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მფარველობას, ვინაიდან, ის ჩაგვრა, რასაც ისინი ირანში განიცდიან, უეჭველია, რომ ამ ხალხის დიდ რაოდენობას გადმოისვრის საცხოვრებლად საქართველოში, როგორც კი დაინახავენ აქ ისინი წესიერ მთავრობასა და მფარველობას“ [5, 20].

ეს „წესიერი მთავრობა“ იყო რუსული ხელისუფლება კავკასიაში და მისი გამორჩეული მფარველობაც სომხებისადმი საქართველოში XIX–XX საუკუნეებში მათ რაოდენობას განუხრელად ზრდიდა და არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ამბიციებსაც უჩენდა საქართველოში მცხოვრებ სომხებს.

განსაკუთრებულ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობისთანავე ის მოსახლეობა, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზის პერიმეტრზე ცხოვრობდა. XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრებთა მდგომარეობას ასე აღწერდა ნადვორნი სოვეტნიკი – ჩილაევი (ჭილაშვილი): „აქ სიღარიბე საყოველთაოა. სიღატაკე ფრიად თვალსაჩინოდ სჩანს. მცხოვრებთა არსებობისა და მათ მიერ სახელმწიფო ბეგარების გადახდის ერთადერთი წყაროა მთებზე, საქართველოს სამხედრო გზით ამუნიციისა და სავაჭრო ტრანსპორტთა გადატანა. ეს ტვირთი მათ საპალნეებით გადააქვთ. აქ ისე მთიანი ადგილებია, რომ ზაფხულობითაც ტიტველ მიწაზე მარხილები დადიან... ბეგარები ესოდენ მძიმე ლოდათ აწვება ხალხს, რომ დროც არ რჩებათ მინდვრიდან პურის აღებისა. თითქმის ყოველი მამაკაცი და ყველა პირუტყვი (გამწევი ძალა) მხოლოდ და მხოლოდ ამ ბეგარებს უნდება. სოფლის მეურნეობას მხოლოდ ქალები მისდევენ, მაგრამ მათ არ ძალუძთ აქ მამაკაცები შესცვალონ. მე თვითონ მინახავს, რომ მათ პური ღეროებათ და ძნებად ულპებოდათ მინდვრებზე წვიმისაგან, რადგან მცხოვრებნი მოწყვეტილნი იყვნენ თავიანთ ოჯახებს“ [6, 347].

საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრებთა ბეგარის შესახებ დაწვრილებით საუბრობს პაატა გუგუშვილი შვიდტომიანი ნაშრომის – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX საუკუნეებში“, I ტომში: „ბეგარები იყო: საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მთებში განლაგებული

სხვადასხვა სამხედრო საყარაულოებისათვის 200-500კუბ. საჟენამდე შეშისა და სამშენებლო ტყის მუქთად მიტანა; გზაზე მიმავალი ცხენოსანი ჯარებისათვის საჭირო თივის მიწოდება (1 ფუთში ხანდისხან ორ შაურს უხდიდნენ); მიმავალი ჯარის აღალებისათვის და სახელმწიფო მოსამსახურეთათვის საჭირო გამწევი ძალისა და საჯდომი ცხენების მიცემა; ავადმყოფ და დაჭრილ ჯარისკაცთა გადაყვანა; ზვავებისა და მდინარეთაგან გზის გაფუჭებისას ფოსტის გადატანა; ზაფხულობით საქართველოს სამხედრო გზის შეკეთება, ხოლო ზამთრობით ამავე გზის გაწმენდა თოვლისაგან; ამ ბეგარათა უმრავლესობისათვის, უფრო ხშირად კიდევ საერთოდაც, მოსახლეობას არავითარი სანაცვალგებო გასამრჯელო არ ეძლეოდა, სახელმწიფო მოხელეებს კი თვითნებურად შეეძლოთ ბეგარათა კიდევ უფრო გადიდება“ [7, 85].

ცენტრალური მთავრობა კატეგორიულ ფორმებში მოითხოვდა ადგილობრივად გამოენახათ სახაზინო შემოსავალთა ახალ-ახალი წყაროები და ამ წყაროებით დაეფარათ ჯარისა და ადგილობრივ მოხელეთა შენახვის ხარჯები. ეს ხარჯები კი შეუჩერებლად იზრდებოდა. კანონით ახალი თანამდებობების შექმნა და მოხელეების შენახვის ხარჯების განსაზღვრა მარტოოდენ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში შედიოდა. მაგრამ საქართველოს სახაზინო ექსპედიცია თავის შეხედულებისამებრ აწესებდა თანამდებობებს და უნიშნავდა მათ ხელფასებს [8, 125].

სენატორები კუტაისოვი და მეჩნიკოვი [რომლებმაც რევიზია გაუკეთეს კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას] წერდნენ (1831 წ.), რომ საქართველოს სახაზინო ექსპედიციას 25 წლის განმავლობაში არავინ აკონტროლებდა და საქართველოში ყველა სახაზინო შემოსავალი იხარჯებოდა ყოველგვარი ანგარიშგების გარეშე. ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურები თვითონ არ იყვნენ დაინტერესებულნი ფინანსური დისციპლინის დაცვის საქმით. ასე მაგ.: სახაზინო ექსპედიციას დაუხარჯავს 221 მილიონი მანეთი. სენატორებისგან მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ „თბილისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ სიპიაგინს უკანონოდ, უმთავრესად თავისი საჭიროებისათვის დაუხარჯავს 277 ათასი მანეთი ხაზინის ფული“ [9, 36].

იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან და აფხაზეთიდან გადიოდა დიდძალი ხე-ტყე, კერძოდ, მუხის, ბზის, ძელქვის, კაკლისა და სხვა ძვირფასი ჯიშები. რუსეთ-ამიერკავკასიის მთელი ვაჭრობის ნახევარი მაინც კონტრაბანდისტების ხელში იყო.

დისკუსია მიმდინარეობდა იმაზე, თუ „რა შეუძლია გაიღოს ამიერკავკასიამ იმ მსხვერპლისათვის, (ანუ ანექსიისათვის), რაც მან (რუსეთმა) მისთვის გასწია“. ამის ერთადერთ საშუალებად ხელისუფლება თვლიდა იმას, რომ ამიერკავკასია უნდა ქცეულიყო რუსეთის გამსაღებელ ბაზრად [10, 184]. მოგვიანებით, 1883 წელს ე. ტიხოცკი წერდა, რომ „კავკასიური პალმის მშვენიერი ტყეები, შავი ზღვის მთელ სანაპიროებზე რომ იყო, მტაცებლური ექსპლოატაციის შედეგად ამჟამად სავსებით განადგურებულია, ანდა შემორჩენილია სადმე მიუდგომელ ადგილებში“ [11, 96].

მძიმე იყო რუსული ადმინისტრაციის მიერ შემოღებული ახალი ბეგარა-გადასახადები, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ ბინაში ჩაყენების ბეგარა. განსაკუთრებულად მძიმე იყო ის სამხედრო გზის ნაპირას მცხოვრები მთის მოსახლეობისათვის, სადაც ჩასახლებული ჯარი ადგილობრივი ტრადიციების საწინააღმდეგო, ხშირად არაადამიანურ და უსასტიკეს ფორმებს მიმართავდა ადგილობრივებთან ურთიერთობაში. ეს ბეგარა მანამდეც არსებობდა, ქართველი მეფეების დროს, მაგრამ ძირითადად მეფისა და მისი ხალხის სტუმრობას ითვალისწინებდა, რაც ქართველი გლეხისთვის ეკონომიკურად შესაძლოა მძიმეც ყოფილიყო, მაგრამ ამას ანელებდა ის თავმოწონება და პატივის გრძნობა, რასაც ეს სტუმრობა იწვევდა მასპინძლებში. ხშირად ნათელ-მირონობაც იბმებოდა სტუმრებსა და მასპინძელ ოჯახს შორის. ამიტომ, ეს ბეგარა არცთუ ისე მძიმედ აღიქმებოდა. სულ სხვა იყო ბინაში ჩაყენების ის სისტემა და მეთოდები, რასაც აქ თვითმპყრობელობის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია ანხორციელებდა. გენერალი ციციანოვი ქალაქ თბილისის კომენდანტს სააკაძეს წერდა 1803 წელს, თუ როგორ უნდა ემოქმედა, რათა მოსახლეობას დაენახა, რომ რუსეთი აქ შემოსული იყო სამართლიანობისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად და საერთოდ, კერძო საკუთრების დაცვის მიზნით: „თქვენი უპირველესი მოვალეობა იქნება დაიცვათ ობივატელები (ქალაქის მცხოვრებნი) სამხედრო მოსამსახურეებისაგან და საერთოდ ქალაქში ჩასახლებულთაგან. აბანოებში ჯარისკაცები უწესრიგოდ და მთვრალი დადიან, შიგ ქვებზე ცულებს ლესავენ, აბანოს პატრონებს ფულები ეკარგებათ, მეაბანოეებმა კვირაში ერთი დღე გამოყონ სპეციალურად ჯარისკაცებისათვის, რომლებიც უნტეროფიცერთა თანხლებით მოვლენ და წესიერად ისარგებლებენ აბანოებით. გამოეცხადოს ვაჭრებს, რომ ჯარის ნაწილები უნდა იყვნენ ქალაქში, ხოლო მათ ბინა სჭირდებათ. ამიტომ, რო-

გორც მდიდარი მოქალაქე (ვაჭარი) და თავადიც, რომელთაც ქალაქში სახლები აქვთ, ვალდებულია მისცენ ბინა ჯარისკაცებს ჩასახლებისათვის, ხოლო თუ ამისგან განთავისუფლება სურთ, საჭიროა ორი ბატალიონისათვის ყაზარმის აგება, რაც 15 ათასი მანეთი დაუჯდებათ. ვინც თავის წილ ფულს შეიტანს, რამდენადაც ხარჯები მთელ ქალაქზე გაიწერება, მას არ ჩაუყენებენ მდგმურებათ ჯარისკაცებს“ [12, 25-26].

ეს იმდენად მძიმე და არსებითად აუტანელი ბეგარა იყო, რომ არათუ სახლის აშენების სტიმულს არ იძლეოდა, არამედ სახლის პატრონი ხშირად ნატრობდა არ ჰქონოდა დიდი სახლი და ხელს იღებდა კიდევაც საკუთრებაზე, რომელიც მისი და მისი ოჯახის აბუჩად აგდებისა და დამცირების საშუალებად იქცეოდა, განსაკუთრებით მოკლე დროით ჩასახლებული მდგმურებისაგან, რომელთა ჩაყენება არსებითად არა მხოლოდ ბეგარის, არამედ დაპყრობილი მოსახლეობის სასჯელის აშკარა ფორმას მოასწავებდა. ამას თვით ოფიციალური დამკვირვებლებიც დაუფარავად აღნიშნავდნენ [5, 18].

ეს ფრიად მძიმე ბეგარა იყო და ოფიციალური მიმომხილველის აზრით, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავისთავად „უაღრესად მძიმე ტვირთია“, არამედ იმის გამო, რომ „აქაური მცხოვრებნი მიჩვეულნი არიან განკერძოებულ ოჯახურ ცხოვრებას, სადაც არ სურთ ჰყავდეთ გარეშე მოწმეები“. ცარიზის ბიუროკრატია აქ ფეხქვეშ თელავდა საუკუნოებრივად განმტკიცებული ოჯახის შეუვალობის პრინციპს, ოჯახური ცხოვრების ინტიმურობას, ეთიკურ, მორალურ ნორმებს, ადამიანთა თავმოყვარეობისა და ღირსების მაღალ გრძნობებს, და, ბოლოს, ოჯახური მეურნეობის ყოველგვარ წესებსა და ფორმებს.

როდესაც 1840 წელს განაწამებ მცხოვრებთა „ერთსულოვანი სურვილის შესაბამისად“ ქალაქის თავმა ამიერკავკასიის მთავარმართებლისა და სახელმწიფო საბჭოს წევრის ბარონ პ. ვ. განის წინაშე აღძრა საკითხი ამ ნატურალური ბეგარის შესაბამის ფულადი მოსაკრებელით შეცვლის შესახებ, მაშინ ბიუროკრატიამ არანაკლებად მუხანათური ზრახვები გამოავლინა. შეაფასეს თბილისის მთელი უძრავი ქონება და არა მხოლოდ სახლები, არამედ ბაღები, ბოსტნები, დუქნები, სავაჭრო ფარდულები, თვით ტიალი, საერთოდ აუთვისებელი მიწებიც (1841 წ. – 5,6 მლნ. მან. ვერცხლი) და ჩასახლების ნატურალური ბეგარის ზომის შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ მთელი ამ ქონების ერთი მესამედი ფაქტიურად, დაპყრობის ძალით, ხელისუფლებას ეკუთვნის და, მაშასადამე, ხსენე-

ბული ბეგარის ფულზე გადაყვანაც ქალაქის მთელი უძრავი ქონების ერთი მესამედის ღირებულების კაპიტალიზაციის გზით შეიძლება განხორციელდესო“ [6, 237].

მოსახლეობის დიდი თხოვნის შემდეგ ეს განკარგულება გავრცელდა მხოლოდ საცხოვრებელ სახლებზე. საცხოვრებელ სახლებში ჯარის ნაწილების ჩაყენების ნატურალური ბეგარა XIX ს-ის 50-ანი წლების შუა ხანებამდე დარჩა.

1842 წელს იმპერატორის მიერ ამიერკავკასიაში სარევზიოდ მოვლინებული იქნა სტატს-სეკრეტარი პოზენი. მას დაევალა ყურადღება მიექცია ფულის ბრუნვის მდგომარეობისთვისაც.

პოზენის მოხსენებიდან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ის საჭიროდ არ თვლის რუსული ფულის ნიშნების გაბატონებისათვის, ადგილობრივი ფულების განდევნის მიზნით, რადიკალურ ღონისძიებას. მისი აზრით, არაა მოსალოდნელი, რომ ამიერკავკასიაში ადგილობრივი ფულის ერთეულები „გადაიქცეს ეროვნულ სიამაყედ ყოველი ცალკე პროვინციისა და მიზეზად რუსეთის ამიერკავკასიიდან ჩამოშორებისა“. პირიქით, **„ადგილობრივი მონეტების უვარგისობა და დაბალი ღირსება თვით მკვიდრთა ყურადღებას მიაპყრობს უფრო დეფექტებზე წინანდელი მმართველობისა, ვინემ ეროვნულ სიამაყეზე და, ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივი მონეტა ხალხისათვის, რომლისთვისაც უცხოა ისტორიული დიდება, მკვდარი ანბანია“** [9, 109]. ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს რუს ბიუროკრატთა შეხედულებაც და დამოკიდებულებაც საქართველოს მოსახლეობის, მისი ისტორიული წარსულის, თანამედროვეობისა და მომავლის მიმართ.

რუსეთის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ საინტერესოა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის 1826 წლის წერილი, სადაც ვკითხულობთ:

„ამიერკავკასია შეიძლება რუსეთის უმდიდრეს კოლონიად იქცეს. კოლონიას ვამბობთ იმიტომ, რომ რომ იგი რუსეთის სხვა პროვინციების თანაბარუფლებიან და ვალდებულებიან პროვინციად ჯერ კიდევ დიდხანს ვერ გახდება. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ ქვეყნის მართვა საჭიროა გონიერი კოლონიალური სისტემის შესაბამისად წარმოებდეს. ამიერკავკასიას შეუძლია მოგვცეს ჩვენ დიდი რაოდენობით საუკეთესო ხარისხის აბრეშუმი, ბამბა, ბრინჯი, ინდიგო, გემთსაშენებელი ხე-ტყე და სხვა. იგი უნდა იქნეს ჩვენი ფაბრიკული ნაწარმის მომხმარებელი და რუსეთის სპარსეთთან ვაჭრობის შუამავალი“.

XIX საუკუნის 20-იან წლებში წამოიჭრა საკითხი – ამიერკავკასიაში ქარხნებისა და ფაბრიკების დაარსების წასახალისებლად პრივილეგიები მინიჭებოდათ მეწარმეებს. კავკასიაში რუსული ხელისუფლების მეთაურმა, რომელიც თავისი მკაცრი ცარისტულ-იმპერიული პოლიტიკით გამოირჩეოდა რუს სამხედრო ბიუროკრატთა შორის – მთავარმმართებელმა ალექსანდრ პეტრეს ძე ერმოლოვმა (1816-1827) წერილი მისწერა ფინანსთა მინისტრ კანკრინს, სადაც პირდაპირ შეეწინააღმდეგა ასეთ პოლიტიკას:

„საეჭვოა, რომ საჭირო იყოს ქარხნებისა და ფაბრიკების დამაარსებელთათვის პრივილეგიების მინიჭება, რადგან მე გადაწყვეტილად მიმაჩნია საკითხი საქართველოში ფაბრიკებისა და ქარხნების...ნახალისების სარგებლიანობის შესახებ. განა არ უნდა ვუყურებდეთ საქართველოს, როგორც კოლონიას, რომელიც ჩვენს ფაბრიკებს მიაწვდიდა ნედლ მასალას (აბრეშუმს, ბამბას და სხვ.), ხოლო რუსეთიდან მიიღებდა მანუფაქტურულ ნაკეთობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში ასეთი მანუფაქტურების დაარსებით ბუნებრივად ხომ არ შესუსტდება მისი კავშირი რუსეთთან?“ [10, 129].

ფაბრიკა-ქარხნების დაარსებასა და ამიერკავკასიის ეკონომიკურ აღორძინებას ეწინააღმდეგებოდა საქართველოში სარევიზიოდ ჩამოსული სენატორი განიცკ. აი, რას წერდა იგი რუსეთის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს კოლონიური სტატუსის შესახებ:

„საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში უნდა განვითარდეს მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობა. ფაბრიკების და მანუფაქტურების დაარსება აქ ძალას წაართმევს და შეასუსტებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ზიანს მიაყენებს რუსეთის მრეწველობას და ვაჭრობას. რაც შეეხება ამიერკავკასიაში მოყვანილ ნედლეულს, მისი გამოყენება და გადამუშავება მხოლოდ რუსეთის მრეწველობას შეუძლია“ [11, 30-36].

შედარებით ლიბერალურად განწყობილი რუსი მოხელეების – გრიბოედოვისა და ზავილეისკის ეკონომიკური პროექტიც კოლონიურ მიზნებს ემსახურებოდა, თუმცა მასში მეტად იყო ჩადებული მხარის აღორძინებისა და მისი მრავალფეროვანი ნედლეულის ამ მიზნისათვის გამოყენების სურვილი.

„რუსებმა, რომლებმაც გადალახეს კავკასიონი, – ვკითხულობთ პროექტში, – უპირატესად იზრუნეს იმაზე, რომ მაგრად მოეკიდათ ფეხი საქართველოში, რომელმაც თვით ითხოვა ჩვენი მონარქების მფარველობა და სახანოებში, რომელნიც მოპოვებულნი არიან იმპერიის იარაღით... შეიძლება თუ არა, რომ ბუნებრივმა სიმდიდრემ დაა-

ყენოს ეს მხარე განათლებისა და კეთილდღეობის საპატიო საფეხურზე და ამით სარგებლობა მოუტანოს მთელ სახელმწიფოს? ამაზე შეიძლება დაბეჯითებით დადებითი პასუხი იყოს. ამიერკავკასიის ბუნებრივი ნაწარმი იმდენად მრავალფეროვანი და მდიდარია, რომ ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ამოვირჩიოთ ისინი, რომელთა დამუშავება ყველაზე სასარგებლო იქნება. მათგან უმრავლესს შეადგენენ: ღვინო, აბრეშუმი, ბამბა, ენდრო და სხვა საღებავები, აგრეთვე სამკურნალო მცენარეები და თამბაქო. შაქრის ლერწამის და ძველთაგანვე აქ ცნობილი ზეთისხილის გაშენებამ და, ბოლოს, ქიშმირის მატყლმა შეიძლება დაბადონ მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები. მხარემ შეიძლება შეითვისოს ცხელი ჰავის ყველა ნაწარმი“ [12, 36].

უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო მიხეილ ვორონცოვის საქმიანობა საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის მრეწველობა-ვაჭრობის გაძლიერების, ახალი საბაჟო პოლიტიკისა და სხვა ღონისძიებების გატარების სფეროში. იმპერატორი, რომელმაც მას სრული ნდობა გამოუცხადა და თავისუფალი მოქმედების უფლება მისცა, ბევრ ისეთ საკითხში ეთანხმებოდა, რაც მანამდე იმპერიული ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თავად ვორონცოვი თავს უფლებას მისცემდა რაიმე ისეთი გაეკეთებინა, რაც ხელისუფლების საერთო გეგმას შეეწინააღმდეგებოდა. მისი ლიბერალური რეფორმები კულტურისა და ვაჭრობა-ეკონომიკის დარგში სწორედ იმპერიის მიზნების განმტკიცებას ემსახურებოდა, რასაც მოწმობს მისი პატაკი იმპერატორისადმი პოსტიდან წასვლის დროს: „მე გულმოდგინედ შევასრულე ყველა თქვენი დავალება იმისათვის, რომ მომხდარიყო მრავალეროვნული კავკასიის შერწყმა და შესისხლხორცება რუსეთთან“ [19, 249]. 1845 წელს ამიერკავკასიაში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მის მიერ შედგენილი პროექტის გამო მისი ძველი მეგობარი ალ. ერმოლოვი მისდამი გამოგზავნილ პირად წერილში წერდა: „შენმა სურვილმა, დააარსო ამიერკავკასიაში თვისუფალი ვაჭრობა, აქ დიდი შეშფოთება გამოიწვია; შენი კანცელარიის დირექტორის პეტერბურგში ჩამოსვლითაც კი შეშინდნენ. რადგანაც ყველა დარწმუნებულია, რომ არამც თუ შენ წარდგინებას, არამედ შენ აზრებსაც კი არასოდეს უმცირესი წინააღმდეგობა არ ხვდება“ [13]. წინააღმდეგობის გარეშე გაიტანა მან მიწისმფლობელობის ახალი პროექტი, რითაც საქართველოს მაჰმადიან მიწისმფლობელებს დაუბრუნდათ ჩამორთმეული მიწები და ყმები. ამას ასაბუთებდა ეს ნაწყვეტი მიხეილ ვორონცოვის წერლიდან რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ისადმი (1846), „აუცილებელია დავუბრუ-

ნოთ აღალარებსა და ბეგებს მიწები, რომლებიც შეცდომითა და ჩვენთვის დიდად საზიანოდ ჩამოერთვათ მათ. ყოვლადმოწყალეო ხელმწიფევ, თქვენს ნებასურვილზეა დამოკიდებული, ბოლო მოეღოს იმ საგანგაშო მდგომარეობას, რომელშიც წლების განმავლობაში იმყოფებიან საუკეთესო და უმდიდრესი მაჰმადიანური პროვინციები".

ეკონომიკურ პროცესებზე დაკვირვებით, ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ XIX საუკუნის I ნახევარი, რუსეთის მიერ გატარებული მძარცველური კოლონიური პოლიტიკის გამო, გაცილებით მძიმე იყო საქართველოს მოსახლეობისათვის, ვიდრე მომდევნო პერიოდი. ამის საფუძველი იყო: 1. ქართული ნედლეულის – ხე-ტყის, ყურძნის, მარცვლეული კულტურების, ბამბის, თამბაქოს და სხვა ნედლეულის რუსეთის მიერ უსისტემო ექსპლოატაცია; 2. ფასების ხელოვნური დარეგულირება ქართულ ბაზარზე და მოსახლეობის დაზარალება, ფაქტიურად მათი გაძარცვა; 3. ქართული და საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში მოძრავი ფულადი ერთეულების ხელოვნური შეზღუდვა და ინფლაცია; 4. სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების შეზღუდვა და ახალი, საქართველოსთვის უცხო დარგების შემოღება, მევენახეობის დარგში შეტანილი ცვლილებები: ახალი ჯიშების შემოტანა, რომელსაც შემოჰყვა დაავადებები, რამაც ტრადიციული ჯიშები განადგურების პირას მიიყვანა და ა. შ. XIX ს.-ის II ნახევარში რკინიგზის გაყვანამ და სამთამადნო მრეწველობის განვითარებამ, მიუხედად რუსეთის იმპერიული კოლონიური პოლიტიკისა, მაინც შეუწყო ხელი საქართველოს ეკონომიკის განვითარებას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. პაატა გუგუშვილი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში", გამომც. „სახელგმი", თბილისი, 1949 წელი, ტ. I; Акты, собранные Кавказскою Археологическою коммисиею, т. VIII, Тифлисъ, 1881.
2. მარქსი, კაპიტალი, I, თფილისი, 1930.
3. პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. II, გამომც. სახელგმი, თბილისი, 1956 წელი.
4. Лофицкий, Замечания о Грузии, Акты, III, 1869.
5. Акты, собранные Кавказскою Археологическою коммисиею, VIII, განყ. V, №298, Тифлисъ, 1881.
6. გუგუშვილი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში", ტ. VI.

7. Акты, собранные Кавказскою Археологическою коммисиею, X, Тифлисъ, 1884.
8. Е. Тихоцкий, Закавказский транзит и наша с ним конкуренция по торговле с Персией в 1862-1881 гг. Киев, 1883.
9. Акты, собранные Кавказскою Археологическою коммисиею, II, №28, Тифлисъ, 1868.
10. მთავარმართებელ ერმოლოვის წერილი ფინანსთა მინისტრ კანკრინისადმი, 1830 წ., კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, ტ. VII, 1875.
11. წიგნიდან რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა აზერბაიჯანში XIX საუკუნის 20-60-იან წლებში, ბაქო, 1936 (რუსულ ენაზე).
12. აბელ კიკვიძე, საქართველოს ისტორია, გრიბოედოვისა და ზავილეისკის პროექტი რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ საქართველოში, წიგნში:
13. მ. ს. ვორონცოვის წერილები ა. პ. ერმოლოვს, რუსული არქივი, 1890, წიგნი I.

Dodo Chumburidze
Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

History of Russian colonial economic policy in Georgia (I half of XIX century)

Summary

I half of XIX century was much more severe for Georgia, than the next period, because of Russia's conquest (plunder) policy. The reasons for this were: 1.exploitation Georgian raw materials by Russia; 2. artificial price regulation; 3 artificial inflation of georgian currency; 4. limitation of the traditional fields of agriculture and the introduction of new areas, bringing new varieties, which were strange for Georgia and so on.

ოთარ გოგოლიშვილი
სრული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ნიკოლოზ ლენდერი

ნიკოლოზ ლენდერი ბათუმს ორჯერ ეწვია. პირველად 1892 და მეორედ 1894 წელს. იგი ბათუმში ორივეჯერ ჩამოვიდა გემ „ზაპოროჟეცით". ლენდერი დაწვრილებით გაეცნო არსებულ მდგომარეობას. ასე თუ ისე გაარკვია ზოგიერთი მტკივნეული საკითხის წარმოშობის მიზეზები და საინტერესო ცნობები შემოგვინახა.

ლენდერმა იცოდა, რომ ოსმალები არ ინდობდნენ აჭარლებს. ადგილობრივი მოსახლეობა მათ უღელქვეშ გმინავდა. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად აჭარა საქართველოს დაუბრუნდა. ბათუმი ევროპის სახელმწიფოებმა პორტო-ფრანკოდ ანუ თავისუფალ ნავსადგურად გამოაცხადეს. სწორედ პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ შეავიწროვა და უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა აჭარის მოსახლეობა. ლენდერი მიუთითებს, რომ ამ რეჟიმმა მოუსპო გლეხს კუსტარული წარმოების საშუალება და სამაგიეროდ არც სხვა სამუშაო მისცა. ასე, რომ არც უცხოური საქონლის რუსეთში ბათუმიდან შემოტანითა და არც აქედან ნავთობის გატანით, აჭარელ გლეხს სარგებლობა არ უნახავს. აჭარელი გლეხისათვის ბევრი არაფერი არც პირველ გუბერნატორებს – კომაროვსა და სმეკალოვს გაუკეთებიათ, როგორც ეს ლენდერს მიაჩნდა (განსხვავებით სხვა რუსი თუ ევროპელი ისტორიკოსებისა და მოგზაურებისაგან, რომლებიც ბათუმის ოლქის პირველი გუბერნატორების საქმიანობას ნათელ ფერებში ხატავდნენ). აჭარის ზღვისპირის ერთგვარი, ცალმხრივი ათვისება არც რუსეთის იმპერატორის და არც მისი ხელისუფლების სურვილმა, არამედ ბათუმის ნავსადგურმა, მისმა მოხერხებულმა მდებარეობამ განაპირობა. ბათუმში რკინიგზის შემოყვანამ (1883 წ.), შემდეგ მრეწველობის განვითარებამ (აშენდა ნავთობის ჩამომსხმელი და სახუფავი ქარხნები), აქ მუშახელის დიდ რაოდენობას მოუყარა თავი. კერძოდ, 1904 წლისათვის ქალაქის მოსახლეობამ 30 ათასს გადააჭარბა. ლენდერი მიუთითებს, რომ ნავთობის ჩამოსასხმელი და სახუფავი ქარხნები

პირველად ბუნგემ და პალაშკოვსკიმ ააგეს, 1883 წელს კი რიხნერმა და კოჩეტკოვმა. ამ უკანასკნელმა აავსო ბათუმის ბაზარი დაბალი ხარისხის მაუდით, რომელიც ოსმალებსაც გაჰქონდათ არმიის საჭიროებისათვის [1, 7].

ლენდერი ამბობს, რომ ნავთობის საქმე რუსებმა წამოიწყეს, მოგება კი უცხოელებს ერგოთ. ეს ქარხნები სხვადასხვა ევროპელმა კაპიტალისტებმა შეიძინეს და სააქციო საზოგადოებები დააარსეს. ყველას აჯობა როტშილდმა, რომელმაც ნავთობის უზარმაზარი საექსპორტო საზოგადოება შექმნა. ლენდერი ამბობს, რომ როტშილდის მოხერხებულობას ჰიმნიც კი შეიძლება უძღვნა. ყველაფერ ამას უცხოელები ახერხებდნენ პეტერბურგელი, თბილისელი და ბათუმელი რუსი ჩინოვნიკების ენით აუწერელი მექრთამეობის, სიხარბისა და გაუმაძღრობის გამო. ამ ჩინოვნიკების მოსყიდვას და გადმობირებას უცხოელები იოლად ახერხებდნენ. ლენდერი პირდაპირ ამბობს, რომ ისეთი მექრთამე და უსინდისო ჩინოვნიკები, როგორიც მან ბათუმში ნახა, სხვაგან ნაკლებად თუ იარსებებსო. ეს იმიტომ, რომ – როგორც ლენდერი მიუთითებს – ბათუმში, ამ დაპყრობილ მხარეში, რუსეთის იმპერატორი სამუშაოდ აგზავნიდა საჯარო სამსახურიდან გამოყრილ ჩინოვნიკებს, რომლებიც პირწავარდნილი მექრთამეები იყვნენ და არც საქმის ცოდნით გამოირჩეოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა მათ უნდობლად უყურებდა და არ იჭერდა მათთან საქმეს. ესენი არცხვენდნენ რუსეთის სახელს – ამბობს ლენდერი. აქვე იგი აღნიშნავს, რომ რუსეთიდან შემოსული საეკლესიო მოღვაწეები მხარს უბამდნენ ჩინოვნიკებს და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ეს კეთდებოდა სპეციალურად, აჭარლების აქედან გასასახლებლად და აქ სხვა ერების ჩამოსასახლებლად. ლენდერი შეხვედრია მღვდელ ალექსი პოტაპოვს, რომელიც ადრე სარატოვში მსახურობდა და აგერ უკვე სამი წელია რაც ბათუმში ყუბანის პლასტუნთა ბატალიონის ეკლესიაში მსახურობს. ლენდერი გაოგნებულია ალექსი პოტაპოვის აზრებით, რომელიც მადლობას უხდის იმპერატორს აჭარლების აქედან გასახლებაში და ბათუმში რუსული იმპერიული სულის აღზევებისათვის. ასეთმა საუბარმა ლენდერზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. იგი ამბობს, რომ მისთვის გასაგები იქნებოდა ასეთი მოსაზრების მოსმენა რუსი ჩინოვნიკებისაგან, მაგრამ საეკლესიო მოღვაწისაგან კი ნამდვილად განსაცვიფრებელი იყო ესო.

ლენდერი ამბობს, რომ ევროპელები, თავიანთი ხალხის მეშვეობით, რომლებიც ბევრი იყო ბათუმის ოლქის ხელისუფლებაში,

მთლიანად აკონტროლებდნენ ოლქის როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებას. ასევე საინტერესოა მისი ერთი ასეთი მოსაზრებაც, კერძოდ, ბათუმი, რომ ევროპელების ხელში ყოფილიყო და არა რუსების, მაშინ ამ კუთხის ცხოვრება სულ სხვა მიმართულებით წავიდოდა და შეიძლება დადებითიც ყოფილიყო ამ მხარისათვის. შემდეგ ლენდერი მიუთითებს, რომ ნავთობი მაშინ გაჰქონდათ ჩვეულებრივი გემებით, რადგან ტანკერები არ იყო. ამიტომაც ნავთს ბიდონებში ასხამდნენ, ხუფავდნენ და ყუთებით გემებზე გადაჰქონდათ. გემები ეკუთვნოდა რუსეთისა და უცხოეთის სანაოსნო საზოგადოებებსა და კავშირებს [1, 14].

ნავსადგურის პროექტი ადმირალ გრევეს შეუდგენია. მან ბათუმელ ხელისუფლებას შესთავაზა ნავსადგურის აგება მდინარე ყოროლისწყალის შესართავამდე. ამით დავამშვენებთ ქალაქს, დავიცავთ მას ღელვისაგან, ამასთან ყურეში საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ხომალდებიც შეაფარენ თავსო – ამბობდა გრევე. სახსრების ნაკლებობის გამო, გრევეს პროექტი ამ სახით არ მიიღეს და 1884 წელს შეუდგნენ იმ ნავსადგურის აგებას რომელიც დღემდე არსებობს. მშენებლობაზე გამოიყენეს ბათუმის გალავნის ქვები და 1889 წელს ნავსადგური მთლიანად საექსპლუატაციოდ გადასცეს. 1888 წელს კი გემებში ნავთობის ჩასასხმელი უბანი მოაწყვეს. მშენებლობას ბუნგე და პალაშკოვსკი ხელმძღვანელობდნენ [1, 28]. ლენდერის ამ ცნობასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო, რომ გრევე 1878 წლიდან ნავსადგურის უცვლელი უფროსი იყო. მას ქებით იხსენებენ ცნობილი დრამატურგი ა. ოსტროვსკი და ადმირალი ს. მაკაროვი, რომლებიც 1883 წლის ოქტომბერში ესტუმრნენ ბათუმს. გრევემ ბევრი გააკეთა ბათუმის კეთილმოწყობისათვის. ბათუმის პირველი მებაღე-დეკოლატორი ფრანგი დალფონსი შენიშნავს, რომ გრევე მას ქალაქის გალამაზების საქმეში ყოველმხრივ ეხმარებოდა. ასევე მას დიდი წვლილი მიუძღვის ნავსადგურის სწრაფად და ხარისხიანად აგებაში. უნდა აღინიშნოს, რომ იგივე დალფონსი ამბობს, რომ გრევესთან ერთად, ქალაქის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნაში, დიდი წვლილი მიუძღვის ბათუმელ ქართველებს: გიორგი დუმბაძესა და დავით ლორთქიფანიძეს.

მიუხედავად იმისა, რომ ლენდერი უკმაყოფილოა ზოგიერთი საკითხით, იგი ქალაქს მაინც დადებითად ახასიათებს. მისი შეფასებით ბათუმის ნავსადგური პირველხარისხოვანია შავ ზღვაზე. თვით ქალაქი კი ერთი საუკეთესოა შავი ზღვის სანაპიროზეო. ლენდერი იმაზეც მიუთითებს, რომ ბათუმის ფართო, სწორი ქუჩე-

ბის დიდი ნაწილი აჭარის რუსეთთან შემოერთებამდე გაკეთდა. ქალაქს სილამაზეს მატებდა აგრეთვე მდიდარი მწვანე საფარველი, კარგი სასტუმროები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი საქონლით სავსე მაღაზიები და ელექტროგანათება. ამით იგი ზოგიერთ ცენტრალურ ქალაქსაც უსწრებსო [2, 67].

ლენდერი ამბობს, რომ ბათუმს ამშვენებს სამხედრო-კათედრალური ტაძრის („სობორო") შენობა, რომლის აგება ნახევარი მილიონი მანეთი დაჯდა. აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ეს თანხა საკმარისი იქნებოდა, რომ აჭარის ბევრ სოფელში გაეყვანათ გზა, აეგოთ საავადმყოფოები. ლენდერი შემდეგ დაასკვნის: „ბათუმი სწრაფად იზრდება და ვითარდება. იგი გახდება ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე". აჭარას ლენდერი საფრანგეთის კუთხეს რივიერას ადარებს, მაგრამ იმაზედაც მიუთითებს, რომ ეს მხარე ჯერ კიდევ ხელშეუხებელი და მიტოვებულიაო. მხოლოდ მახინჯაური, მწვანე კონცხი და ჩაქვი არის ათვისებული და ისიც ნაწილობრივ. ქობულეთიც კარგია, მაგრამ კოლონისტებმა ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხეს მიწის შეძენა, რათა მოაწყონ აგარაკები – წერს ლენდერი.

წიგნში „შავი ზღვა და კავკასია" საინტერესოა ქვეთავი „ოსმალეთის უღელი რუსეთის განაპირა მხარეში". აქ საუბარია იმაზედ, რომ აჭარის განთავისუფლების შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებლებს ოსმალეთში გადასახლების ნება დართეს, რასაც ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილება ითვალისწინებდა, მაგრამ მაინც დანაშაული იყო, რადგან იგი საბაბად გახადეს და არა თუ აჭარლების დამაგრების ღონისძიებანი არ განახორციელეს, არამედ ყოველნაირად შეუწყვეს ხელი ამ უსიამოვნო პროცესს. ყველაფერ ამას კოლონისტებმა მიაღწიეს პორტო-ფრანკოს გამოცხადებით, ძველი გადასახადების უცვლელად დატოვებით. მათ ხალხი ყოველმხრივ მოატყუეს, ძველ გადასახადებს ახალი დაუმატეს და ამით შეწუხებული მოსახლეობა იძულებული გახდა ოსმალეთში მუჰაჯირად წასულიყო. ლენდერი აღნიშნავს, რომ ბევრმა მიატოვა სახლ-კარი და წავიდა. ჩამოსულებს კი მუქთად ჩაუვარდათ მათი მიწები ხელშიო. აგერ 25 წელია კოლონისტები არავითარ გადასახადს არ უხდიან რუსეთის ხელისუფლებას, რადგან მათ მიერ მიტაცებული მიწები სახელმწიფოს საკუთრებას არ შეადგენდა, გლეხებს ეკუთვნოდათ, ისინი კი ოსმალეთში გადაიკარგნენო. მიწების მიტაცებას ისიც უწყობდა ხელს, რომ შეზღუდული იყო მათი გაყიდვა. ქობულეთში ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა საკუთარი ნაკვეთის გაყიდვა შეძლო მხოლოდ იმ

პირობით, თუ მიწის ათვისებით გამოწვეულ ზარალს გადაუხდიდა მყიდველს ან ნაკვეთს შეუცვლიდა მას. რატომ უნდა შეეძინა კოლონისტს მიწის ნაკვეთი? კითხულობს ლენდერი, მაშინ როცა ბევრმა ყალბი საბუთით, ან მის გარეშეც ნოახერხა მიწის მითვისება-მიტაცებაო. ოსმალურ „თაფებში“ ეწერა, ამა თუ იმ ნაკვეთის საზღვარი ამ ხიდან იმ ქვამდეა, წადი და არკვიე რომელ ხეზე და ქვაზეა ლაპარაკი, ამიტომაც იტაცებდნენ კი ვისაც რამდენი შეეძლო. ამის გამოა რომ მიწები მეტწილად კოლონისტების ხელთაა, აჭარელი კი უმიწობის გამო სულს ღაფავს – ნათქვამია წიგნში. ლენდერი შემდეგ ამბობს, რომ რუსეთის ხელისუფლება უსამართლოდ ექცევა ადგილობრივ მცხოვრებლებს. მას ასეთი რამ გაუგონია ბათუმში: „როდესაც მუჰაჯირების ერთმა ნაწილმა მოახერხა უკან დაბრუნება, მათი სახლ-კარი სხვისგან მიტაცებული დახვდათ. მათ მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ხელისუფლებამ არა თუ არ მოუსმინა მათ, არამედ დაემუქრა, რომ სუყველას დააპატიმრებდა თუ არ შეწყვეტდნენ მიწებზე საუბარს. მათ უთხრეს პირდაპირ, რომ თქვენ ოსმალები ხართ, თანაც მოღალატეები და თქვენი ადგილი არის არა აქ, არამედ ოსმალეთშიო... გაოგნებულ და აღშფოთებულ ხალხს გამოექომაგნენ ადგილობრივი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. მათ ხელისუფლებას აუხსნეს თუ ვინც იყო ეს ხალხი. ისინი ამ კუთხის ძირითადი მოსახლეები არიან, სხვა კი აქ მოსულია ომის შემდეგო და თქვენ უფლება არა გაქვთ ხალხს მოღალატეები უწოდოთ, თანაც არ დააკმაყოფილოთ მათი კანონიერი მოთხოვნა. არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ თუ არა ეს და კიდევ სხვა ადგილობრივი მოსახლეობა, ამ ომში რუსეთს ძალიან გაუჭირდებოდა. ამ ხალხმა ჯარისკაცებზე არანაკლები გმირობა და თავდადება გამოიჩინეს. მათ ამოძრავებდათ ერთი მიზანი, აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნება, ამ მიზანს კი ამ ხალხის თავდადებითა და შეუპოვრობით მიაღწია რუსის ჯარმა. და თუ ეს ხალხი მოტყუბით გადახვეწეს ოსმალეთში, ეს ამ ხალხის ბრალი არა არის, ამიტომ ისინი უნდა დაუბრუნდნენ მათ კანონიერ სახლ-კარსო“ [1, 61]. რუსმა კაცთმოძულე ჩინოვნიკობამ არ გაითვალისწინა ეს სავსებით სამართლიანი მოთხოვნები და ოსმალეთიდან ჩამოსულები იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. აქვე ლენდერი იმასაც ამბობს, რომ კავკასიის მთავარმართებლის მოთხოვნით ადგილობრივმა რუსულმა ხელისუფლებამ შექმნა კომისია, რათა დაედგინათ მიწების საზღვრები და მეპატრონეების ვინაობა გაეგო, მაგრამ ამ კომისიას ერთი წუთითაც არ უმუშავია. ალბათ იმიტომ – ამბობს ლენდერი –

რომ ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული სიმართლის გაგებაში. აქვე მინდა აღვნიშნო ერთი რამ. დიმიტრი ბაქრაძე აღშფოთებული იყო იმ ყალბი საბუთებით, რომლებსაც ადგილობრივი ბათუმელი ჩინოვნიკები ადგენდნენ, რომლის ძალითაც კოლონისტები ახერხებდნენ მიწების უსინდისოდ ხელში ჩაგდებას. დ. ბაქრაძეს მოუთხოვია კიდეც ასეთი ნაძირალა ჩინოვნიკების დასჯა, მაგრამ ამაოდ, ისინი არავის არ დაუსჯია, ანდა ვინ დასჯიდა, როდესაც თვით იმპერატორი დაინტერესებული იყო იმით, რომ ბათუმის ოლქიდან რაც შეიძლება მეტი აჭარელი წასულიყო ოსმალეთში, რათა შემდგომ გაადვილებულიყო მათი მიწების ხელში ჩაგდება.

1881 წლისათვის გადაწყდა ბათუმის პირველი ქართული სკოლის გახსნა. ადგილობრივი პატრიოტები ცდილობდნენ საკუთარი წვლილი შეეტანათ ამ საქმეში. იბრაიმ აბაშიძემ სკოლისათვის მამულის გადაცემა ისურვა, მაგრამ იგი ვიღაცეებს უკვე მიეთვისებინათ. მაშინ მან დახმარება ბათუმში ჩამოსულ სერგეი მესხს სთხოვა, ხოლო მოგვიანებით კი დახმარება სთხოვა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას: „ისე მომწყინდა სასამართლოში სიარული, რომ აღარ მინდა მივმართო კანონს... სკოლისათვის ჩემი მიწის ნაკვეთის გადაცემა თქვენ უფრო შეგიძლიათ, თქვენ უფრო შეძლებთ ადგილობრივ თავხედ ჩინოვნიკობასთან საქმის მოგვარებას... ისინი ხელოვნურად ისე აჭიანურებენ საქმეს, ყველასთვის ნათელია, რომ მათ არ სურთ ქართველებს ბათუმში ჰქონდეთ სკოლა და აქაურები მშობლიურ ენაზე განათლებას ეზიარონ. მათთან ურთიერთობა არ მსურს და არც შეიძლება. მათი საქციელი არ ჯდება ადამიანურ ჩარჩოში. ამიტომ თქვენ უნდა მიხედოთ ამ სასიკეთო საქმეს“. სერგეი მესხმა და წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, მთელი ბათუმელი ქართველებისა და არაქართველების დახმარებით შეძლეს ამ საშვილიშვილო საქმის მოგვარება. ლენდერი ამბობს, რომ ასეთი უსულგულო ბიუროკრატების ხელში ადვილი წარმოსადგენია, თუ რატომ სახლდებიან აქედან მასიურად ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა.

ლენდერი აღნიშნავს, რომ ბათუმის მხარე კარგა ხანია მიტაცებულია, რის გამოც აქ კომლზე ერთი დესეტინა მიწა მოდის. განა ასეთ პირობებში შეიძლება წარიმართოს ნორმალურად მეურნეობა? ამიტომაა, რომ აქ დარჩენილი მცხოვრებლები ღარიბები არიან, ფაცხებში ცხოვრობენ, რომელსაც არც ერთი მინის ფანჯარა არა აქვს.

ლენდერის ცნობებს ავსებს ცნობილი მწერლის გ. უსპენსკის ჩანაწერები, რომელიც 1883 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ოტეჩესტვენიე ზაპისკში“. ეს ჩანაწერები უცვლელად, მაგრამ ახალი სათაურით, რომელსაც ეწოდება „კავკასიაში“, შეტანილია მწერლის ნაწარმოებთა ახალ გამოცემებში. ასევე საყურადღებოა კავკასიის მთავარი ცენზორის ლ. ისარლოვისა და ქართული გაზეთების ცნობებიც მუჰაჯირობისა და კოლონისტების მიერ მიწების ხელში ჩაგდების შესახებ. კავკასიის მთავარმართებლის მიერ გამოცემული 1890 წლის კანონით, ყოველგვარი მიწის მფლობელობის ოსმალური სისტემა გაუქმებულია და მოქმედებს მხოლოდ რუსული კანონებიო. ამ ცნობას გვაწვდის გაზეთი „დროება“.

ნიკოლოზ ლენდერის ნაშრომები საინტერესო ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის 70-90-იანი წლების ბათუმის ოლქის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების შესახებ და გვეხმარება მუჰაჯირობის მიზეზების სწორად ახსნაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. რუსეთის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (ნ. ლენდერის ცნობები ბათუმის ოლქის შესახებ), ფ. 1516, აღწ. 12, საქ. 269.
2. ნ. ლენდერი, შავი ზღვა და კავკასია, სანკტ-პეტერბურგი, 1897.

Otar Gogolishvili
Full professor of Batumi
Shota Rustaveli University

Nikolai Lender

Summary

One of the famous Russian writers and journalists Nikolai Lender visited the district of Batumi in 1892 and 1894 years. He described the current political and economic situation of the district of Batumi, analyzed the reasons of „the Muhajirism“ (religion refugees) and criticized the Russian government for supporting „the Muhajirism“ (religion refugees). Nikolai Lender said that the town of Batumi had all the necessary conditions to become one of the beautiful ports on the Black Sea seaside.

მზია ტყავაშვილი
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

სოფელ ყორნისის ისტორიიდან (XIX საუკუნის 40-იანი წლები)

ოსების საქართველოში ჩამოსახლება და მათი ადგილმონაცვლეობა მეტად აქტუალური საკითხია ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიაში. ყოველ ახალ დოკუმენტს, რომელიც აღნიშნულ პრობლემას ეხება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მკვლევართა დაინტერესებაც მის მიმართ საკმაოდ დიდია.

ჩვენი ნაშრომი ეფუძნება XIX საუკუნის 40-იანი წლების დოკუმენტს, რომელიც საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივშია დაცული და ეხება ყორნისის ხეობის ოსებით დასახლებული სოფლების მცხოვრებლების თხოვნას მათი „ოსეთის ოლქში“ შეყვანის შესახებ. დოკუმენტი მრავალმხრივ საინტერესოა. იგი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ყორნისის ხეობის ოსების და მათი მეზობელი ქართველების ყოფა-ცხოვრების, ადგილობრივ თუ უმაღლეს ხელისუფლებასთან მათი დამოკიდებულების, ოსთა მიგრაციისა და მათი ფსიქოლოგიური ტიპის შესახებ.

ყორნისს 1933 წლამდე ოქონა ერქვა. 1933 წელს კი ოსი რევოლუციონერის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ზნაურ აიდაროვის პატივსაცემად, ზნაური ეწოდა (1933-1991 წწ).

ყორნისი მდებარეობს მდინარე აღმოსავლეთ ფრონეს ნაპირზე და ამჟამად ქარელის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება. იგი თემის ცენტრია, რომელშიც შედის სოფლები: ბეყმარი, განითყაუ, გვინჯინა, დიდი ციხიათა, ზემო ამბრეთი, ზემო ყორნისი, ზემო წორბისი, თორმანეული, მალდა, პატარა ციხიათა, საჯვარე, ქვემო ამბრეთი, ჩაჩინაგი, ძაგოითყაუ, წორბისი, ხოდაბულა.

ყორნისის-ხევი დვანის წყლის შენაკადია და დიდი ლიახვის ხეობას დასავლეთიდან ესაზღვრება. ვახუშტი ბაგრატიონის გად-

მოცემით, „დვანის-წყალს ყორნისის-ხევი აღმოსავლეთიდან მოერთვის, გამოსდის ძარის მთას“ [1, 375].

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ყორნისის ხეობა შედიოდა მეორე სასპასპეტოში, რომელსაც მემარჯვენე ერქვა და შიდა ქართლს ეკუთვნოდა. („მეორე სასპასპეტო, მემარჯუენე, შიდა ქართლის ნაკუეთი, რომელი არს აწი ზემო-ქართლი“) [1, 364]. მემარჯვენე სასპასპეტოს ვახუშტი ქართლის სასპასპეტოს უწოდებს, რომელიც მეფეს ეკუთვნოდა („მეფისთანა მყოფი“) [1, 382]. ყორნისის ხეობის მოსახლეობა რუის-ურბნისის საეპისკოპოსოს მიეკუთვნებოდა.

ხეობა საკულტო და საფორტეფიკაციო დანიშნულების ნაგებობათა სიუხვით გამოირჩევა (მაგალითად, აქ მდებარეობს ბრეთისა და დირბის მონასტრები, წუნარისა და ერკნეთის ეკლესიები, ნულისა და საქართლიის ციხეები და ა. შ.). ვახუშტი წერდა: „ყორნისს არს ქუაბნი კლდისანი და კოშკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა. . . ყორნისს ზეით . . . მთასა შინა, არს ციხე საქართლისა, მაგარი“ [1, 375]. ფრონეს ხეობაში მრავალი სიწმინდეა დავანებული.

რაც შეეხება ამ მხარის ეკონომიკურ მდგომარეობას, აღსანიშნავია, რომ დვანის-წყლის ხეობა ერთ-ერთი ნაყოფიერი მხარეა შიდა ქართლში, რის გამოც ყოველთვის მჭიდროდ იყო დასახლებული. ვახუსტის მიხედვით, „ხეობა დვანისა არს ვენახოვანი, ხილიანი, მარცვლითა ყოვლითა ნაყოფიერი“ [1, 375]. აღნიშნული ხეობა უძველესი დროიდან პოლიტიკურ და რელიგიურ მოვლენათა ეპიცენტრშიც იყო მოქცეული.

ვახუშტი არ მიუთითებს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული ხეობის მოსახლეობის უმეტესობა XVIII საუკუნის დასაწყისში ქართული წარმომავლობის იყო.

ამასვე ადასტურებს იოანე ბაგრატიონის აღწერაც (1794-1799წწ), რომლის მიხედვითაც, დვანის-წყალზე და მისი შენაკადების ხეობებში შემდეგი დასახლებული პუნქტები მდებარეობდა: საღოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლიბერი (ან ტოლიბური), ავნევი, არკნეთი (ან არკნები), წუნარი (ან ერკრნეთი, ან ესკენეთი), თორმანეული, ბეყმარი, ღვედრეთი, ნული, მავდა, წორბისი, ურია (ან აჰურია), ყორნისი, რუსთავი, რომლებიც სამეფო, საეკლესიო, სათავადო და სააზნაურო სოფლებს წარმოადგენდა [2, 42]. მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე არც იოანე ბაგრატიონი მიუთითებს, რაც ნიშნავს, რომ XVIII საუკუნის ბოლოს

დვანის-წყლის ხეობის (მათ შორის ყორნისის) მოსახლეობა ძირითადად ეთნიკური ქართველი იყო.

არც ვახუშტი და არც იოანე ბაგრატიონი არ აკონკრეტებს, თუ რომელი სოფლები შედიოდა ყორნისის ხეობაში.

ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის 1847 წლის ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტი, კერძოდ კი, თბილისის სამხედრო გუბერნატორთან არსებული სამოქალაქო საქმეთა მმართველ გენერალ-მაიორ ერმოლოვისადმი 22 მაისს მიწერილი წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ XIX საუკუნის 40-იან წლებში ყორნისის ხეობას ეკუთვნოდა სოფლები: დოკეთი, ზარი, რუსთავი, წორბისი, ბეკმარი, თორმანაული, მოლდა და ოჟორი და მისი მოსახლეობა ეთნიკური ოსებისგან შედგებოდა. დოკუმენტში აღნიშნული სოფლები ოსურ სოფლებადაა მოხსენიებული [3, 1, 13].

გენერალ-მაიორ ერმოლოვისადმი მიწერილი წერილიდან ვიგებთ, რომ ყორნისის ხეობის ოსი მოსახლეობა ოსეთის დისტანციაში შესვლას ითხოვდა და ამას იმით ასაბუთებდა, რომ ისინი უდიდეს გაჭირვებასა და უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდნენ. ოსეთის დისტანციაში მათი შესვლა კი მათ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებდა, რადგანაც მათ ისეთივე შეღავათიანი ბეგარა-გადასახადები დაუწესდებოდათ, როგორიც ამ დისტანციაში შემავალ მათ მეზობელ ოს-მთიელებს ჰქონდათ [3, 1, 2].

რაც შეეხება ოსეთის დისტანციას, მისი შექმნის ისტორია ასეთია. 1840 წელს კავკასიაში შემოღებული იქნა ახალი ადმინისტრაციული დაყოფა. კავკასია გაიყო ორ ერთეულად: საქართველო-იმერეთის და კასპიის გუბერნიებად; 1842 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მართვა-გამგებლობაში ჩამოყალიბდა ორი ოლქი: თუშ-ფსავ-ხევსურეთის და ოსეთის [6, 266].

1843 წელს ოსეთის ოლქი გაიყო ორ ნაწილად: ოსეთის და მთიელთა ოლქებად. პირველში შევიდა ოსებით დასახლებული ის სოფლები, რომლებიც შედიოდნენ გორის მაზრაში, ნარის, ჯავის და მაღრან-დვალეთის თემების სახით, ცენტრით ჯავაში, ხოლო მეორეს დაექვემდებარა საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე მთიულეთის, გუდამაყრის და ხევის სოფლები, ცენტრით ქვეშეთში [6, 266].

ოსეთის ოლქის ტერიტორია მოიცავდა დღევანდელი ცხინვალის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილს, პატარა ლიახვის ზემო წელს (ისტორიულ მაღრან-დვალეთს, ჯავის რაიონებსა და კავკასიის ქე-

დის გადაღმა მდებარე ნარ-მამისონის ქვაბულს – ისტორიულ დვალეთს) [6, 266].

ოლქის ფარგლებში არ შედიოდა არც ცხინვალის და არც ახალგორის ტერიტორია; კუდარო-მამისონის თემი კი შედიოდა რაჭის მაზრაში. მაშასადამე, ოსეთის ოლქი მოიცავდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის მხოლოდ ერთ მესამედს [6, 266].

1859 წლის 19 ივნისს მთლიანად კავკასიაში და კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მოხდა რადიკალური ცვლილებები.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქს ეწოდა თიანეთის ოლქი, ხოლო ოსეთის ოლქი საერთოდ გაუქმდა და შეერწყა გორის მაზრას ცხინვალის საპოლიციო საბოქაულოს სახელწოდებით. უცვლელი დარჩა მხოლოდ მთიელთა ოლქი, რომელმაც იარსება 1867 წლამდე [6, 266-267].

პარალელურად ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ჩამოყალიბდა „თერგის ოლქი“, რომელშიც გარდა „ვლადიკავკაზის ოლქისა“ გაერთიანდა გორის მაზრის ყოფილი „ოსეთის ოლქის“ ჩრდილოეთი ნაწილი, ნარ-მამისონის ქვაბული ანუ ისტორიული დვალეთი [6, 267].

თავისი არსებობის 16 წლის მანძილზე „ოსეთის ოლქს განაგებდა სამი მმართველი: ლევან ჩოლოყაშვილი (1843-1848), დავით ქობულაშვილი (1848-1853) და ზაქარია ავალიშვილი (1854-1859)“ [6, 267].

ერმოლოვისადმი მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ ყორნისის ხეობის მცხოვრებლებმა ოსეთის დისტანციაში გაერთიანების თხოვნით კავკასიის ადმინისტრაციას ჯერ კიდევ 1844 წელს მიმართეს. შემდგომში კი მათ ეს თხოვნა რამდენჯერმე გაიმეორეს [1, 3].

ყორნისის ხეობაში არსებული ვითარების გაცნობა ერმოლოვმა დაავალა თავის თანაშემწე პანასენკოს, რომელმაც ვითარების ადგილზე გაცნობის შემდეგ, კავკასიის ადმინისტრაციას განუცხადა, „რომ ეს ხალხი იმდენად უმადურია, რომ აზრადაც არა აქვს მადლიერი იყოს ხელისუფლების თუ არა, ღმერთის მაინც. მათი თხოვნა არის სრული სიცრუე, რომელიც შეერთებულია მწერლის ოსტატობასთან“ [3, 3].

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე მოვიყვანთ პანასენკოს წერილის ძირითად ნაწილს. პანასენკო წერდა:

„ყორნისის ხეობა არის საუკეთესო ადგილი არა მარტო მთელ მაზრაში, არამედ, თამამად შეიძლება ითქვას, მთელ კავკასიაში. ყველაფერი: საუცხოო ნაყოფიერი მიწა, ტყე, ბაღები, წყლები და

სხვა ხელშემწყობი პირობები აქ მცხოვრებ ოსებს აქვთ თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან ორ ნაბიჯზე. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა მათ არ აწუხებთ დაბლობი ადგილებისთვის დამახასიათებელი გვალვა.

მათ მეზობლად მცხოვრები ქართველები იძულებულნი არიან მთელი წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად იშრომონ, გამუდმებით მზადყოფნაში ჰქონდეთ სარწყავი არხი, მოუარონ მას რამდენიმე ვერსის მანძილზე, რათა მორწყონ ნათესები და გადაარჩინონ მოსავალი.

ყორნისის ხეობაში კი განსხვავებული ვითარებაა. მიწაში ჩავარდნილი ყოველი თესლი ზედმეტი ძალდატანების გარეშე ამოდის. ამაში მას ბუნებაც ეხმარება. ტყე ინახავს სინოტივეს და იცავს მცენარეებს გვალვისგან. აქამდე ვერ აღწევს ვერც კალია და ვერც სხვა მავნებლები. ისინი დაზღვეულნი არიან ყველა იმ უბედურებისგან, რომელიც თან სდევს დაბლობის მცხოვრებლებს: ციება, ქოლერა და ა. შ.

როგორც წელს, ასევე წინა წლებში აქ მარცვლეულის დიდი მოსავალი მოვიდა.

თავიანთ თხოვნაში ყორნისის ხეობის ოსები ხაზს უსვამენ იმას, რომ საკმაოდ მძიმე შრომა უწევდათ, რადგანაც მიწის სავარგულების ფართობის გასაზრდელად, ისინი ჩეხდნენ ტყეს. თუმცა ამას ისინი აკეთებენ თავიანთი სიმდიდრის გასაზრდელად. აქ გადმოსახლების პერიოდში ყორნისის ხეობაში საკმარისი რაოდენობის სახნავ-სათესი მიწა იყო.

მათი მეზობელი ქართველები თვითოეული ძირი ვაზის თუ ხის გახარებას მძიმე შრომით ძლივს ახერხებენ, თანაც დიდი დრო სჭირდებათ.

ოსებთან კი ბაღების გაშენებასა და საუკუნოვან ხეებზე თვითონ ბუნებამ იზრუნა, ყველაფერი ეს მათ გადმოსახლებისას მზამზარეული დაუხვდათ და მისგან დიდ სარგებელს იღებენ. მრავალ ოსი ყოველწლიურად 5-დან 15 ურმამდე მსხლის, ვაშლის და კაკლის მოსავალს იღებს. დანარჩენებსაც ყოველთვის აქვთ ოჯახის სამყოფი მოსავალი.

ვაზი მათთან ტყეებში, მოვლის გარეშე, ხარობს და აქ მოკრეფილი ყურძნისგან აკეთებენ ღვინოს.

აქ განვითარებულია მეფუტკრეობაც. ძალიან იშვიათია ოსი, რომელსაც არა ჰყავს ფუტკარი. ისინი იღებენ დიდი რაოდენობით თაფლს.

ყოველ ოსს მუშა პირუტყვი საკმარისზე მეტი ჰყავს. უფრო მეტი, ვიდრე მდიდარ ქართველს. ზოგიერთს კი გაცილებით მეტი, ვიდრე ქართველ შეძლებულ თავადს, მრავლად ჰყავთ ძროხებიც. ისინი მთელ გორის მაზრას ამარაგებენ რძის პროდუქტებით.

მრავლად ჰყავთ ღორებიც. მაშინ როდესაც ქართველმა ღორების გამოსაზრდელად ტყე უნდა დაიქირავოს, ოსებს ამისთვის ხარჯის გაღება არ სჭირდებათ.

ოსებს არ სჭირდებათ დარაჯის დაქირავება ქურდებისა და ყაჩაღებისგან სოფლების დასაცავად. მათთან ისინი კავშირში არიან, აძლევენ თავშესაფარს, რის გამოც ქურდები მათ არაფერს უშავებენ.

ქართველები მხოლოდ დღესასწაულის დღეებში ახერხებდნენ სიმინდის შეცვლას პურით. ოსები ასეთ დღეებში სვამენ ლუდს თაფლით, და ყოველდღიურად ჭამენ საუცხოო ყველიან ღვეზელებს.

ოსები ხშირად თავს არიდებენ ადგილობრივი ხელისუფლების სამართლიან მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში თუ მათთან მივიდოდა პოლიცია ადგილობრივ ჩინოვნიკებთან ერთად გადასახადების ამოღების მიზნით, ოსები ტოვებდნენ სოფლებს. მიდიოდნენ ტყეში და ხელისუფლების მოთხოვნას მაინც არ ასრულებდნენ.

რაც შეეხება ყორნისის ხეობის ოსეთის დისტანციისთვის მიკუთვნებას, არ შეიძლება მათი და მთაში მცხოვრები მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი, კლდეებზე მცხოვრები ოსებისთვის გატოლება და იგივე პრივილეგიების მინიჭება, რადგანაც სრულიად სხვადასხვა ქონებრივ მდგომარეობაში და გარემო-პირობებში იმყოფებიან. მათი სიმდიდრის წყარო კი არის არა შრომა, არამედ მათი საცხოვრებელი ადგილი“ [3, 3-6].

თავიანთ წერილში ისინი წერდნენ, რომ თუ ხელისუფლება მათ თხოვნას არ შეასრულებდა, ნება მაინც დაერთო მათთვის, რომ ძველ საცხოვრებელს დაბრუნებოდნენ [3, 5].

თბილისის გუბერნიის სამოქალაქო საქმეთა მმართველისადმი მიწერილი წერილის ავტორი აღნიშნავდა, რომ ყორნისის ოსების ასეთი დაუმორჩილებლობა შესაძლოა უკავშირდებოდეს ცრუმწერლებს, რომლებსაც ოსები აწერინებენ თავიანთ წერილებს. ეს უკანასკნელნი სარგებლობენ ოსების ჭკვამოკლეობით და ფულის სანაცვლოდ მათ აიმედებენ, რომ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს შეასრულებს. ოსებს სჯერათ მათი, ადგილობრივ მოხელეებს აღარ ენდობიან და მათ ეურჩებიან [3, 5].

„აშკარაა, რომ ოსები არავითარ შემთხვევაში არ მიატოვებენ ამ ღვთითკურთხეულ ადგილებს და ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია.

თუნდაც ეს ასე მოხდეს, ხელისუფლება არავითარ დათმობებზე არ უნდა წავიდეს მათ მიმართ, უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები და ისინი მორჩილებაში მოიყვანოს“ [3, 6] – წერდა პანასენკო.

სხვა წერილში გორის მაზრის უფროსი ერმოლოვს მოახსენებდა, რომ ყორნისის ხეობის ოსები გადასახადებს ნებაყოფლობით არ გადაიხდიდნენ და აუცილებელი იყო სამხედრო რაზმის გაგზავნა, რომელიც არც ძალას გამოიყენებდა, და მით უმეტეს არც იარაღს, ის შეასრულებდა მხოლოდ დაშინების ფუნქციას [3, 8].

1848 წლის აპრილში გორის მაზრის უფროსს უკვე ჰქონდა ყორნისის ხეობის მოსახლეობის ორი წერილი, სადაც ისინი ადასტურებენ, რომ შეძლებულად ცხოვრობდნენ და უარს ამბობდნენ ამ ხეობიდან გადასახლებაზე [3, 9-12, 14].

აღნიშნული წერილებიდან ერთი ქართულ ენაზეა დაწერილი და მისი შინაარსი შემდეგია:

„ჩვენ ქუემორე ხელისმომწერნი გორის უეზდის სურამის ნაწილის მცხოვრებელნი: ყორნისის ხეობის სახელდობრივ სოფელს წუნარს – სოსო ხასიშვილი, ხეთაგური; ყორნისს – მოსე ხასიშვილი, სოსო კოღოშვილი და ქეჩო ხასიშვილი; თურმანს – ბადილა ხასიშვილი და სიმონა ჩოღაშვილი; ბეყმარს – ქეჩო გერგაშვილი და ჩიკო ქესოშვილი; წორბისს – ჩობა ცხოვრებაშვილი და გოჩაშვილი; მავდას – ნიკოლაი არბოჩიშვილი, ბეგა არბორიშვილი და რუსთავში – ელიზბარა სანაკოშვილი, ქეჩო ხოჩიშვილი და ემენა ხარებაშვილი გაძლევთ ამა ხელწერილსა თქვენს უმაღლესობას გორის უეზდის ნაჩალნიკს მასზედ, რომ 1848 წლის მარტს ხელისმომწერები, ყორნისის მცხოვრებლები ვაძლევთ წერილს სურამის უეზდის ზასედაწელს მას შინა რომელ, რეცა გამოგვიცხადა ჩვენ უფალს ტფილისის ვოენნის ღუბერნატორს მას ზედან, რომელ უკეთუ ჩვენ გვაქვს სურვილი შეგვიძლიან დავსახლდეთ უწინდებულს ადგილზედ საცხოვრებლად, ჩვენს მხარეს ანუ აღმორჩეულად სხვა საკუთარის სახელმწიფო მამულსა, რომელისათვისაცა . . . ჩვენ არ შეგვიძლიან გარდასახლება არათუ სადმე, რაიდგანცა ჯერეთ გვაქვს ცხოვრება. მისთვის რომელ რადგანაც გვაქვს მრავალი დანახარჯი მოწყობილობისათვის, რომელსაც თვითონ ხელს ვაწერთ.

წერს ივანე ხეთაგური“ [3, 9-12].

რუსეთის კავკასიურმა ადმინისტრაციამ ყორნისის ხეობის ოსების თხოვნა არ დააკმაყოფილა და ისინი ოსეთის ოლქში არ შეიყვანა.

ამავე საქმეშია ამიერკავკასიის სახაზინო პალატისადმი 1850 წლის 11 დეკემბერს მიწერილი წერილი, რომელიც ეხება ისევ ყორნისის ხეობის მცხოვრებლებს, რომლებიც ამჯერად ითხოვენ გუჯარეთის ხეობაში, მათ მიერ შერჩეულ სახელმწიფო მიწებზე, გადასახლებას. ამასთანავე მათ სურდათ, რომ ისინი ისევე დაებეგრათ, როგორც ოსი მთიელები [3, 17-18].

გორის მაზრის უფროსის 1851 წლის 27 ივნისის ბრძანებით, ყორნისის ხეობის ოსების თხოვნა გუჯარეთის ხეობაში გადასახლებაზე, არ დაკმაყოფილდა [3, 26].

მომდევნო პერიოდში ყორნისის ხეობის ოსები კვლავ აგრძელებდნენ ურჩობას. 1883-1884 წლებში შიდა ქართლის სოფლებში რუსეთის ხელისუფლება სისტემატიურად აწყობდა ეგზეკუციებს. დოკუმენტში, რომელიც ამ სადამსჯელო ღონისძიებებს ეხება, ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ყორნისის ხეობის სოფლებიცაა მოხსენიებული. ისინი უკვე სხვადასხვა სასოფლო თემების შემადგენლობაში არიან [4, 538].

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1887 წლიდან რუსეთის ხელისუფლება იძულებული გამხდარა ყველაზე უფრო დაუმორჩილებელი სასოფლო საზოგადოებების: ყორნისისა და თორმანაულისთვის სახელისუფლო მამასახლისების დანიშვნის გადაწყვეტილება მიეღო [5, 10].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
2. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, 1986.
3. საქართველოს ცენტრალური, სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 16, აღწერა 1, საქმე №9534.
4. საქართველოს ცენტრალური, სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 48, აღწერა 1, საქმე №1941.

5. საქართველოს ცენტრალური, სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 48, აღწერა 1, საქმე №2010.
6. ა. თოთაძე, ოსები ქართულ მიწაზე, კრებულში: ოსური კრებული, თბილისი, 1996.

Mzia Tkavashvili
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Research Worker of the Department of Modern and Contemporary History of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

From the History of Village Kornisi (The 40es of the 19th century)

Summary

Settling of Ossetians in Georgia and their migration within the country is a burning question in the history of the Georgian – Ossetian relations. Each new document, which is connected with the mentioned problem, has a special significance and the interest of scientists towards it is great.

Our work is based on the archive document dated to the 40es of the 19th century which is preserved in The Central Archive of Georgia and is a petition of the Ossetian population who lived in the Kornisi gorge and who asked for their integration in „the district of Ossetia". The document is of great interest from many viewpoints. It gives us significant information about every - day life of Kornisi gorge Ossetians and their neighbor Georgians, about their relations with the local or supreme government, Ossetians' migration and their psychological portrait.

The Russian administration of the Caucasus decided that the petition of Kornisi Ossetians was groundless and did not join the mentioned gorge with „the district of Ossetians". The population of the Kornisi gorge continued to disobey the Russian government. Because of this they repeatedly were the victims of the punitive expeditions.

გელა საითიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ქართულ-ებრაული ურთიერთობის საკითხი იროდიონ ევდოშვილის შემოქმედების კონტექსტში

„ეს ჩვენი მახლობელი იროდიონი...“
რაბინი დავით ბააზოვი

ქართულ-ებრაული ურთიერთობების 26 საუკუნოვანი ისტორიის წარმოჩენას, არაერთი ქართველი მწერლის, ისტორიკოსის, პუბლიცისტის შემოქმედებაში, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. მათში ნაჩვენებია, თუ რა ძალისხმევას იჩენდნენ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები, ყველასაგან დევნილ და შევიწროებულ ერის-შვილთა ღირსების დაცვისა და მხარში დგომისათვის. ეს თემატიკა რელიეფურ ასახვას პოულობს გამოჩენილი ქართველი მწერლის, ქართველ ბაირონად წოდებულ, ირ. ევდოშვილის შემოქმედებაში. პირველ ყოვლისა, ეს განსხვავებულობა სიონისტური იდეოლოგიის გაზიარებასა და სიონისტთა მხარეზე აშკარა და გამოკვეთილად დგომაში გამოიხატება. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტის შესახებ ირ. ევდოშვილის მრავალფეროვანი და მდიდარი მწერლური მემკვიდრეობის არც ერთ მკვლევარს, დღემდე არაფერი აქვს ნათქვამი.

ირ. ევდოშვილის ლექსების, მოთხრობების თუ პუბლიცისტური ნაწარმოებების გულდასმით წამკითხველ ყოველ ადამიანს კი თვალნათლივ შეუძლია დაინახოს, თუ რა ხშირად მიმართავს მწერალი ბიბლიურ სიუჟეტებს: ებრაელი ერის გამოჩენილი შვილების – მოსეს, დავითის, სოლომონის, იუდას, სიბოს, კაიაფას, იროდეს, იესოს და სხვათა სახელებს და მათი წვლილის წარმოჩენას არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების საქმეში... ამასთან ერთად, ქართველი მწერალი, განსაკუთრებით ესათუთება ძველ ებრაულ ტერიტორიებს, ქალაქებს, მდინარეებს, მთა-გორებს, თუ უდაბნოებს... ყოველივე ამის შემ-

დეგ მკითხველი აშკარად გრძნობს დევნილ და უსამშობლოდ დარჩენილ ამაყ ერისშვილთა მიმართ პოეტის ტკივილიან და გულშემატკივრულ დამოკიდებულებას.

ცნობილი მეცნიერი-ლიტერატორი სოლ. ხუციშვილი შენიშნავდა: „ირ. ევდოშვილის შემოქმედებაში ბიბლიური თემები და ქრისტიანული რელიგიის ზოგი დეტალი არის მოხმობილი, მაგრამ ყველა მათგანი აზრის შეფარვის, ალეგორიისა და სიმბოლოსათვის, დემოკრატიისა და რევოლუციური იდეების ჩვენებისათვის არის გამოყენებული“ [1, 9].

ირ. ევდოშვილის ერთ ადრეულ ნოველაში – „იესო რაბი“, რომელიც ილიას „ივერიაში“ დაიბეჭდა, შთამბეჭდავად არის გაცოცხლებული ის ეპიზოდი, რომელშიც საუბარია, თუ სად, როდის და რა ვითარებაში მოხდა იესო ქრისტესათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა... ებრაულ სალოცავში მისულმა მრევლმა არ დაინდო მათგან განსხვავებულად მოაზროვნე ახალგაზრდა კაცი და მძიმე ჯვარაკიდებული გოლგოთის გზას გაუყენა... იროდიონის თქმით: „მწიგნობარნი და ფარისეველნი ტაძარში ყველაზე წინ წამდგარიყვნენ... ზოგიერთი მათგანი მედიდურად აღაპყრობდა ხოლმე ხელებს ტაძრის ოქროთი მოჭედილს თაღისაკენ და რაღაცას ბუტბუტებდა... ამ რამდენიმე ას მლოცველს შორის მხოლოდ ერთი განირჩეოდა თავისის ჩაფიქრებულისა და დაღონებულის სახით. იგი გულზეხელდაკრებილი იდგა შემოსასვლელ კარებთან. ზოგიერთი მლოცველთაგანი, რა წამს შევიდოდა ტაძარში, მობრუნდებოდა მისკენ და თავ-მდაბლად აძლევდა სალამს. ზოგნი-კი დაცინვის ღიმილით უცქეროდნენ გულხელდაკრებილს და რაღაცას ჩურჩულებდნენ...“ [2, 1].

ამ დროს გამოჩნდება დაბალი ტანის კაცი... მთელს სირიასა და პალესტინაში განთქმული ებრაელი სიბო. იგი დინჯად შედის ტაძარში და ის იყო შუაგულისაკენ უნდა წასულიყო, რომ კარებთან გულს ხელდაკრებილ კაცს დაინახავს, განგებ მიბრუნდება იმისაკენ და ისეთის ზიზღით აავლ-ჩაავლებს თვალს, თითქოს რაღაც შემზარავი საშინელება დაინახაო... გულხელდაკრებილის ლმობიერი სახე ოდნავაც არ იცვლება სიბოს ამ გვარის საქციელით. იგი მხოლოდ ამოიოხრავს და წყნარის ნაბიჯით გადის გარედ. მას უკან გაჰყვა თორმეტი სხვა კაციც...“

ეს იყო იესო რაბი, „მკურნალი სნეულთა და მხსნელი დავრდომილთა“, როგორც თვით ებრაელნი ეძახდნენ. ტაძრის მოედანზე მყოფი ადამიანების უმრავლესობა მოუთმენლად ელოდა მისგან

გულის საოხი და ტანჯული სულის აღმაფრთოვანებელ სიტყვებს. იესო სასიამოვნო ხმით მიმართავს მსმენელთ... გაახსენებს მათ „ცრემლებს დავრდომილთა, ტანჯვას დაჩაგრულთა, ოხვრას გლახაკთა, გოდებას უბედურთა, სიმწარეს დამაშვრალთა...“

იესო რაბის სიტყვით მოხიბლული მსმენელნი ცრემლიანი, მაგრამ სასოებით აღვსილი თვალებით შესცქერიან მას...

იერუსალიმის ტაძარში ლოცვის შემდეგ ხალხი და სინაგოგის წევრნი, გარეთ გამოიშლებიან... ისინი დაინახავენ ხალხის შუაგულში მდგომ იესოს... სიბო გაშმაგებული სახით თვალს შეავლებს ამ სურათს, მაგრამ ხმამაღლა ვერაფერს ეუბნება მას...

...იმ დღეებში გადაწყდა ახლადმოვლენილი მქადაგებლის სიკვდილით დასჯა... იესო მთელი დღე განუშორებლად თავის მოწაფეებთანაა და ასწავლის მათ, საღამოს კი ჩვეულებრივ მიდის გეთსიმანიის ბაღებისაკენ...

სწორედ იქ, ერთ-ერთი თავის მოწაფისაგან – იუდა ისკარიოტელისაგან, 30 ვერცხლად გაცემულს, ხელში იგდებენ შეიარაღებული კაცები...

ირ. ევდოშვილს შთამბეჭდავად და საინტერესოდ აქვს გააზრებული ნოველის ფინალი: „გათენდა წითელი პარასკევი... კვლავ გაიღვიძა ქალაქმა, კვლავ ამოძრავდა იერუსალიმის ქუჩები. დიდი დღესასწაული იყო ებრაელებისა და ლოცვითა და მარხულობით იწმინდებოდნენ, რომ პირნათლად შეგებებოდნენ პასექს... გოლგოთას მთის ძირას აუარებელი ხალხი მოსჩანდა... ყველანი მთისაკენ მიეშურებოდნენ, რათა დაენახათ ერთი წელში მოხრილი ჭაბუკი, რომელსაც დიდი ხის ჯვარი ეკიდა ზურგზე და, რადგანაც ვერა ჰზიდავდა, ხშირად ეცემოდა ხოლმე პირქვე. ტვირთს ქვეშ ყოველი მისი მწარე გმინვა ხალხში სიცილ-ხარხარს იწვევდა. ეს იყო იესო, რომელსაც წამების ჯვარი მიჰქონდა გოლგოთას მთაზედ...“ ასე ამთავრებს თავის ნოველას ირ. ევდოშვილი [2].

XIX საუკუნის 60-იან წლებში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი მოხდა მრავლისმნახველი ებრაელი ხალხის ცხოვრებაში: რაბინმა კალიშერმა თამამი მოწოდებით მიმართა მსოფლიოში გაფანტულ თანამემამულეებს, არ მოეცადათ მესიის მეორედ მოსვლისათვის და დაუყოვნებლივ დაეწყოთ სამიწათმოქმედო ახალშენების დაარსება თავიანთ ისტორიულ სამშობლოში – პალესტინაში, ანუ „აღთქმულ ქვეყანაში“. ეს ხელს შეუწყობდა მათ თავმოყრას და საბოლოო ჯამში შესაძლებელს გახდიდა ისრაელის სახელმწიფოს აღდგენას... თავიანთი უპირველესი სალოცავის ირგვლივ თავმოყრის

იდეამ, ანუ სიონიზმის იდეამ, თანდათანობით გავრცელება და მხარდაჭერა ჰპოვა. დაიწყო იდეის პრაქტიკული ხორცშესხმისათვის ზრუნვა...

ეს იდეა დასაბუთებული იყო ავსტრიელი ჟურნალისტის თეოდორ ჰერცლის წიგნში – „ებრაული სახელმწიფო“, რომელიც 1896 წელს გამოვიდა.

„ისტორიის არენაზე თეოდორ ჰერცლის გამოჩენამ სათავე დაუდო ებრაული ეროვნული მოძრაობის ახალ ეტაპს, რომლითაც ძირფესვიანად შეიცვალა მიდგომა „ებრაული საკითხისადმი“ და შემდგომში გადაიზარდა ებრაელთა ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან და მზარდ მოძრაობაში – სიონიზმში“ [3, 19].

არადა, სიონისტური იდეოლოგიის საფუძველი იუდაისტური რელიგიაა, რომელიც აღიარებს ებრაელი ხალხის ღვთის რჩეულობას, განსაკუთრებულობის ისტორიულ ბედს და, აქედან გამომდინარე, მოწოდებას – აღთქმულ ქვეყანაში თავმოყრის აუცილებლობის შესახებ.

სიონისტები თვლიდნენ, რომ მიუხედავად ცხოვრების სხვადასხვა პირობებისა, ებრაელები წარმოადგენდნენ ესქსტერიტორიალურ, ანუ ტერიტორიის არმქონე „ერთიან მსოფლიო ებრაულ ერს“ და არ იყვნენ იმ ქვეყნის მოქალაქენი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ამიტომ მათ უნდა დაეტოვებინათ ეს ქვეყნები და თავიანთ ისტორიულ სამშობლოში – პალესტინაში დაბრუნებულიყვნენ.

1897 წელს მოწვეულ იქნა სიონისტთა პირველი კონგრესი, შვეიცარიის ქალაქ ბაზელში. მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული 200 დელეგატი ესწრებოდა. კონგრესმა განიხილა ებრაელთა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სამართლებრივი დამოუკიდებლობის და სხვა საკითხები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სიონისტთა პირველსავე საერთაშორისო შეკრებას ესწრებოდა ქართველ ებრაელთა წარმომადგენელი დავით ბააზოვი (ბააზაშვილი), წარმოშობით ცხინვალელი ებრაელი, რომლის სახელთან არის დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი მომენტი საქართველოში სიონისტური მოძრაობის განვითარების საქმეში.

მოგვიანებით (1913 წ.) დ. ბააზოვს ასევე შესაძლებლობა მისცემია ქ. ფრანკფურტში ებრაელი ახალგაზრდების კონფერენციაში მონაწილეობის მიღებისა, რომელსაც არაერთი გამოჩენილი სწავლული თუ ბიზნესმენი ებრაელი დასწრებია. მათ შორის ყოფილან – პროფესორები: ბერლინერი, ფინი, ლანდაუ, ლოზინგაუმი,

როტშილდი და სხვები. კონფერენციის მუშაობას უშუალოდ წარმართავდა საფრანგეთის გენერალ-ლეიტენანტი, ებრაელი ლიფმონი, რომელიც დ. ბააზოვის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ცეცხლივით ენთებოდა, როდესაც ებრაელის რჯულზე ლაპარაკობდა და ახალგაზრდობას ამხნევებდა მისი კარგად შენახვისათვის“-ო [4].

სწორედ მას, გენერალ ლიფმონს, წარუდგენია კონფერენციის მონაწილეებისათვის ქართველ ებრაელთა წარმომადგენელი დ. ბააზოვი და ბიბლიურ ენაზე (ივრითზე) განუცხადებია: „ძმებო! თქვენ წინ სდგას თქვენი ძმა შორეული ქვეყნიდან მოსული! ეს ქვეყანა ძალიან შორს არის ჩვენგან, მაგრამ ახლოს უნდა იყოს ყველა ებრაელის გულში... ევროპა, რასაც დღეს ცდილობს ადამიანის სიყვარულის განხორციელებას, იგი ქართველ ერს 2.600 წლის წინათ ჰქონდა შეთვისებული... ამის მოწმეა მცხეთის ქალაქი და მისი პრეზიდენტი (მამასახლისი), რომელიც იერუსალიმიდან გამორეკილ ებრაელებს პურმარილით დაუხვდა და ძმურად ისტუმრა ისინი. დღევანდლამდე ბევრი პოლიტიკური ცვლილება მოხდა კეკლუც ერში, მაგრამ თავისი იდეალი ადამიანის სიყვარულის და ძმური განწყობილებისა არ შეუცვლია... ქართველ ერს შეუძლია, ამაყად წარმოსთქვას: ჩვენც გვყავდა მეფეები, სამღვდელოება, მწერლობა, მაგრამ სხვა ერების დევნა ფიქრადაც არ მოგვსვლია; ევროპის წინანდელი ბნელი ძალების მიერ დაქცეულ სისხლში ჩვენი ხელი არ გასვრილაო... აი, ეს არის ქართველი ერი, საიდანაც ჩვენი სტუმარია!“ [4].

ცარისტული რეჟიმი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა სიონისტური მოძრაობის ყოველგვარ გამოვლინებას და თავისი სახელმწიფო აპარატის მეშვეობით ცდილობდა საქმის კურსში ყოფილიყო ადგილობრივი სიონისტური ორგანიზაციების სულ მცირე გამოვლინებათა შესახებაც კი. მაგალითად, 1903 წლის 24 ივნისს გამოცემულ მთავრობის ცირკულარში მითითებული იყო: სიონისტური მოძრაობის მიმდევრები თავიანთ საქმიანობას წარმართავდნენ ებრაელთა შორის თვითშეგნების ამაღლების მიზნით, რაც არ შეესაბამებოდა თვითმპყრობელური რეჟიმის პოლიტიკას და ხელს უშლიდა ებრაელთა ასიმილაციას. ამიტომ მისი მოთმენა არ შეიძლებოდა. განსაკუთრებით არ უნდა დაეშვათ ძველებრაული ენის (ივრითის) და ლიტერატურის სწავლება; შესაძლებლობა არ უნდა მიეცათ სიონისტთა თავყრილობების ჩატარებისათვის, ანუ უნდა აკრძალულიყო „სიონიზმის იდეების პროპაგანდა ხალხმრავალ ადგილებში“ და ა. შ. [5, 114-115].

უფრო შორს მიდიოდნენ საბჭოთა პერიოდის მკვლევრები და სიონიზმს „შოვინისტურ, რასისტულ და ანტიკომუნისტურ იდეოლოგიად“ თვლიდნენ [6, 380].

XX საუკუნის დამდეგის ქართველი მკითხველისათვის სიონიზმის რაობის გაცნობის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, 1904 წლის ნოემბერში ილიასეულ გაზეთ „ივერიაში“ დასტამბულ ვრცელ სტატიას – „ცოტა რამ ებრაელების შესახებ“, რომლის ავტორი „სვ-სკ“ (გიგა ჯუღელი) ხაზგასმით მიუთითებდა: „დაჩაგრულ ერთა ისტორიის ცოდნა ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს და, მით უმეტეს, ებრაელთა ტომისა...“ მისი თქმით, იმჟამად „რუსეთში, ორს, ფრიად სერიოზულ მოვლენას ჰქონია ადგილი – ანტისემიტიზმს, ანუ ებრაელთა სიძულვილს და სიონიზმს. ანტისემინიზმი და სიონიზმი ერთი-ერთმანეთის მოწინააღმდეგე მიმართულებაა. სიონიზმი, ანუ ებრაელთა დამცველი მიმართულება, – აუცილებელი, პირდაპირი შედეგია ანტისემიტიზმისა... ანტისემიტიზმმა გამოიწვია სიონიზმი“ [7].

ავტორის თქმით, ებრაელის სხვათაგან განსხვავებული ხასიათის ჩამოყალიბებას, ყველაზე მეტად დაღი დაასვა, თავისი სამშობლო ქვეყნიდან განდევნამ... მეზობლებთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ამოჟლეტის პირას მისულმა ებრაელობამ დაიწყო პალესტინიდან გადასახლება, მაგრამ მშობლიური მიწა-წყლიდან განდევნილმა და ტერიტორიის გარეშე დარჩენილებმა თავიანთი ზნე-ჩვეულებანი არ დაივიწყეს. ებრაელებს მოესპოთ სოფლად ცხოვრების უფლება, რამაც მათი ფიზიკური განვითარება შეაფერხა. სამაგიეროდ გონებრივად წინ მიიწევდნენ... ვაჭრობა, მრეწველობა და ინტელიგენტური პროფესიები ებრაელებს გადაექცათ საუკეთესო საშუალებად არსებობისათვის ბრძოლაში. ამან კი შური და მტრობა დაბადა აბორიგენული მოსახლეობის მხრიდან და ა. შ. [7, 2-3].

სტატიის ავტორის მიერ დახატული სურათი რეალური და მისაღები შეიძლება იყოს საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის; რაც შეეხება დასკვნას – იგი მთლად სწორი არ უნდა იყოს: „სიონისტების იდეალი კერძო ხასიათისაა, – წერდა „სვ-სკ“. ეს სიონიზმი არამც თუ ებრაელთა მშრომელ ელემენტისათვის არის სასარგებლო, პირიქით, ზარალი მოაქვს მათთვის. შოვინისტურ სიონიზმით აღვიძებენ სხვა ერთა შორის ნაციონალურ გრძნობებს. ამით ცხოვრებაში შეაქვთ განთვისების, განცალკევების აზრი და

ერებს ერთი-ერთმანეთისაგან აშორებენ, რაც აუცილებლად ჰბადებს ერთა შორის მძულვარებას და მტრობას“ [7].

ილიასეული „ივერიის“ ფურცლებზე დასტამბული ამ წერილის სულისკვეთება თავის განვითარებას პოულობს ირ. ევდოშვილის შემდგომდროინდელ შემოქმედებაში. იროდიონმა, თავად დამოუკიდებლობა და თავისუფლებადაკარგული ერის შვილმა, მთელი არსებით გაისიგრძეგანა უსამშობლოდ დარჩენილ ერის შვილთა – ებრაელთა, უმძიმესი ხვედრი და უყოყმანოდ დადგა მათ მხარეზე. მას ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ უტერიტორიოდ დარჩენილი ხალხის მდგომარეობა ათასჯერ უფრო მძიმე იყო, ვიდრე ქართველების, რომლებსაც ჯერ კიდევ თავის მიწაზე ედგათ ფეხი და თავის სამლოცველოებში ისმენდნენ წირვა-ლოცვას.

ისიც აღსანიშნავია, რომ ბიბლიური ტექსტების უფრო ღრმად გააზრებაში, იროდიონისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ხანებში გაზეთ „ისარში“ დასტამბულ ილ. ნაკაშიძის მიერ ინგლისურიდან თარგმნილ ჰენრი ჯორჯის ნაწარმოების „მოსეს“ გაცნობას. უნდა ითქვას, რომ ესაა მართლაც პირველხარისხოვანი ნაშრომი, რომელშიც მოკლედაა გადმოცემული ებრაელი ერის სულიერი მამის – მოსეს უდიდესი დამსახურება არა მარტო თავისი ხალხის, არამედ მთელი ცივილიზებული კაცობრიობის წინაშე.

ავტორის აზრით, თუ ებრაელი ერი გამორჩეულ ადგილს იჭერს მსოფლიო ისტორიაში, ეს განპირობებული იყო იმით, რომ ამ ერის შუაგულში იდგა ბუმბერაზი ადამიანი – მოსე, „ზესთა ბუნებითი შუამავალი, რომლის ენით თვით ღმერთმა გამოსთქვა თავისი ნება...“ [8].

სწორედ მოსემ, ხანგრძლივი დესპოტიზმისაგან წელში გატეხილი ერი თავისუფლების გზაზე გამოიყვანა, გაწვრთნა და მძლავრ ჯარად დარაზმა. „მოსე იყო პიროვნება, ისეთი ადამიანი, რომელშიაც უმაღლეს ხარისხამდე იყო განვითარებული და შეზავებული პოლიტიკოსის, პატრიოტის, ფილოსოფოსის და სახელმწიფო მოღვაწის თვისებები“ [8].

მოსეს სწადდა რესპუბლიკა, რომელსაც „ადამიანის პიროვნების დაცვა დაედებოდა საფუძვლად. რესპუბლიკა, რომლის იდეალი იქნებოდა ადამიანის თავისუფლება... რესპუბლიკა, სადაც არავის არ აკუთვნებდნენ ხვედრად განუწვეტელ მუშაობას; სადაც უმცირესი მონისთვისაც კი იმედი ღვიოდა; რესპუბლიკა, სადაც ოჯახში არსებული სიყვარული თავის ქსოვილში გაახვევდა ოჯახის თითოეულ წევრს და სხვადასხვა ნაწილებს ფოლადზე უმტკი-

ცეს კავშირით შეკრავდა და ერთ ცოცხალ და მთლიან არსებათ აქცევდა მათ“ [9, 2].

„მოსეს კანონის თავისუფალი სულისაგან წარმოსდგა ის ოჯახური ცხოვრების სიმტკიცე, რომელმაც ყოველნაირად დევნილ და გაფანტულ ებრაელთა ერის განსაკუთრებული პიროვნება დაიცვა; ის სიყვარული დამოუკიდებლობისა, რომელიც ბედსა და უბედობაში ებრაელთა განსაკუთრებული თვისება იყო; ის მგზნებარე პატრიოტიზმი, რომელიც მაკაბელთა გულში ენთო და ის დაჟინებული გულადობა, რომელმაც დევნილი და წვალებული ებრაელი თავის სარწმუნოებას დაუკავშირა, იმან აანთო ის ცეცხლი, რომელმაც ებრაელთა პოეტებსა და წინასწარმეტყველს აზრის უმაღლესი აღფრთოვანება გამოათქმევინა; ის გონებრივი ძალა, რომელმაც გამხმარ კვერთხს მრავალჯერ კოკრები გამოასხმევინა და ააყვავილა...“ [10, 2].

რევოლუციის დამარცხებამ, გამძვინვარებული რეაქციის უკიდეგანობამ და, რაც მთავარია, წიწამურთან დატრიალებულმა ტრაგედიამ, უდიდესი გარდატეხა მოახდინა ირ. ევდოშვილის ცნობიერებაში, მან უყოყმანოდ დატოვა სოც-დემოკრატთა ბანაკი და ეროვნულობის მაღიარებელთა მხარეზე დადგა, რასაც ყოფილ თანამოაზრეთა მხრიდან თავშეუკავებელი ცილისმწამებრივი გამოხდომები სდევდა თან... რევოლუციის ყოველ ნაბიჯს მიყურადებულ თვითმპყრობელურ ხელისუფლებას გართულებების გარეშე შესაძლებლობა მიეცა პოეტის დაპატიმრებისა და სამი წლით ციმბირში გადასახლებისა. ორმოცი დღე გრძელდებოდა მისი ეტაპით მგზავრობა, ვიდრე დანიშნულების ადგილის, ქ. სოლვიჩეგოდსკს მიაღწევდა.

დაპატიმრებამ და თავისი სამშობლოსაგან მოცილებულმა პოეტმა კიდევ უფრო მძაფრად გააცნობიერა მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან მდგარ ერისშვილთა ბედი, გაათავისებინა მათი ბრძენი მამამთავრის – მოსეს შეგონება – „კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ!“ და თავის ხმაც მიუერთა მათ: „სიონისაკენ! სიონისათვის!“ და გულწრფელი მზადყოფნა გამოთქვა გვერდში დადგომოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ებრაელ ხალხს.

1911 წლის 10 მარიამობისთვეს (აგვისტოს) ჯერ კიდევ გადასახლებაში მყოფი ირ. ევდოშვილი, ქ. ჩორნი-იარში წერს მთელს მის შემოქმედებაში გულით განცდილ ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს – „ისმინე ერო ისრაილისა!“. მასში მოჭირნახულის პოზიციიდან

გადმოცემულია სულით ძლიერი ერის პოეტური ისტორია, შეგნება უღირსი აწმყოსი და მოწოდება წმინდა მიწაზე, ანუ ისტორიულ სამშობლოში უცილობლად დაბრუნებისაკენ... ნაწარმოების პათოსი და იდეოლოგიური დატვირთვა სავსებით შეესაბამება XIX საუკუნის დასასრულს წარმოშობილს და შემდგომში თანდათან გაძლიერებულ სიონისტურ მსოფლმხედველობას. ასეთი ნაწარმოებების დაწერა და გამოქვეყნება ცარიზმის პირობებში და, შემდგომშიც, კომუნისტური რეჟიმის დროსაც, – ძალზე სახიფათო იყო, რადგან სიონიზმს მიიჩნევდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ იდეოლოგიად, რომელიც მიმართული იყო ებრაელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

თავისი მოცულობით საკმაოდ ვრცელი ეს ლექსი შეიძლება ორ ძირითად ნაწილად გავყოთ. პირველ ნაწილში პოეტი საუბრობს იმ განსაცდელზე, რომელიც თავისი ისტორიის გრძელ გზაზე თავს გადახდომია ებრაელობას. ამიტომ წყევლიან ისინი ჟამთა სრბოლის იმ მუხთალ წუთს, „როს ძირს დაეშვა ისრაელთ ხელი და უღირსთაგან შემწიკვლულ იქნა. დიდი სიონის წმინდა სანთელი“. ეს იყო ყველაზე მეტად შეურაცხმყოფელი მომენტი მათ ცხოვრებაში, ვინაიდან იერუსალიმისა და წინაპართა დანატოვარის მიტოვებას, უმჯობესი იქნებოდა, მტერს შეკვდომოდნენ მამულის დაცვისათვის ბრძოლაში.

„ზიზღით ვიგონებ სირცხვილს, სიმხდალეს,
როს გავიფანტეთ ვით ცხვრისა ფარა,
დავითის ქნარი, არონის კვერთხი
დავსტოვეთ უღირს მტრის ანაბარა!“

უსამშობლოდ დარჩენილი თითოეული ებრაელისათვის სიცოცხლის ყოველი დღე და წუთი აუტანელი გამხდარა და დაუნდობლად კიცხავს თავის მეობას:

„მაშ იყავ კრული, ათასჯერ კრული
ყოველო წვეთი ჩემი სისხლისა,
ვიდრე სიონზე ჩამონგრეულზე,
სდგას მტრისა ფეხი და დროშა მტრისა!“

ბედის უკუღმართობით ღირსებაშელახულ მოძმეთა შორის ჩამდგარა მათი ჭირ-ვარამის გულთან მიმტანი ქართველი პოეტი და ჭირისუფლური მხარდაჭერით ცდილობს მათ გამხნევებას.

„ჰეი, ამაყო, ურიასტანო,
სად არის შენი წმინდა კანდელი,
კიდით-კიდემდე, მთლად დედამიწას

აცისკროვნებდა მისი ნათელი!“

ამიტომ დგებოდა წუთი, როცა საჭირო იყო კარგი სამშობლო კერის ობლობიდან გამოხსნისათვის ბრძოლა და ამის შეხსენება ყველასათვის...

„ჩემო ეფრატო, ჩემო ტიგროსო,
მთლად არ გამქრალა ისრაელთ კვალი,
მას ისევ თქვენკენ მოუწევს გული,
მას ისევ თქვენზე უჭირავს თვალი“...

სამშობლოს დაბრუნება კი მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუ თავიანთი ბუმბერაზი წინაპრის დანაბარების რეალურად განხორციელებას შეეცდებოდნენ:

„კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ“
მით აპეურნი გავწყვიტოთ მტრისა,
კვლავ მოსეს მცნება იხსნის ისრაელს,
ისმინე, ერო ისრაელისა!“

ბრძოლით დაკარგული, ისევ ბრძოლით შეიძლება დაიბრუნოთო, – შეახსენებს ქართველი პოეტი და სიონის, იგივე სამშობლოს, განთავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს მათ:

„კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ“
მოვსწიოთ ვადა დავითის ხმლისა...
სიონისაკენ! სიონისათვის!
ისმინე ერო ისრაელისა!“ [11]

ჯერ კიდევ პოეტის გარდაცვალების დღეებში დ. კასრაძე გაზ. „საქართველოში“ გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში – „ირო-დიონ ევდოშვილის პოეზია“, სადაც იგი ბაირონს ადარებდა ქართველ პოეტს, აღნიშნავდა:

„გარკვეული იდეა მამულისადმი სიყვარულისა, ირ. ევდოშვილმა ბაირონიზმის მელოდიებით ააყვავილა. მისებრ არანაკლებ ცეცხლით დაამღერა მან ისრაელთა გოდება ლექსში – „ისმინე ერო ისრაელისა!..“ მისი დევიზია – მოსეს მიერ ნაანდერძევი – „კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ!..“ მგოსანი, ისრაელთ გაახსენებს რა ამ დევიზს, თანაც მიზნად უსახავს, რომ ყველაფერი ეს საჭირო იყო:

„სიონისათვის... სიონისათვის!“
დიახ, ყველაფერი სიონისათვის!...
მხოლოდ და მხოლოდ სიონისათვის“.
ევდოშვილი ახლა ამ აზრის გაღრმავებას უნდება“ [12].

იმავე ხანებში ირ. ევდოშვილი წერს ასევე ვრცელ ლექსს „ტირილი ებრაელებისა“, რომელშიც წარმოჩენილია სამშობლოდაკარგულ ებრაელთა მძიმე ხვედრი და ღირსების შემლახველთა თავგასულობა, შეუბრალებელი, ზიზღიანი დამოკიდებულება მათ მიმართ...

„ზიზღი და ფურთხი, კრულვა და წყევლა:
„ერი ეული და მაწანწალა“,
ამას გვეძახის დღეს ჩვენ სუყველა,
ვისაც ხელთა აქვს თვის ძალთა-ძალა“.

რაღა დარჩენიათ?! ფიქრი და ოცნება ძველი სიონის დიდებაზე, მისი დროდა-დრო მონახულება, რომ დაიტირონ მისი დიდება, მისი სახელი... რათა ძველ ნანგრევთა შორის, წინაპართა აკლდამების ხილვისას, სირცხვილის ალმა დაუწვათ სახე და ცხარე ცრემლი ღვარონ თვალთაგან... ეს ცრემლი, პირველ ყოვლისა, სირცხვილის ცრემლია მიუტევებელი შეცდომის გამო:

„აქ გამოფიტულ დედის ძუძუებს
დავკარით წიხლი და გავიფანტეთ,
შენ მიგატოვეთ, იერუსალიმ,
და შენ მაგიერ რა შევიმატეთ?“

არაფერი! მათი სამშობლო მხარე, სხვისი სამფლობელო გამხდარა, ხოლო ებრაელი „მისი მფლობელის მხოლოდ ბუშია, მხოლოდ ჩრჩილია!“ და „როგორც ოთხფეხი წელში მოხრილი დაიკაკვება“. მაგრამ მათ შორის არ ქრება ხსოვნა თავისი დიდი წარსულისა, როცა იქ, იერუსალიმში, თავმოსაწონად „გაისმოდა წინწილებანი“ და „დიდი ელოვას ქებათა-ქება“; მის ქედებზე „დავითის ქნარი უკრავდა ფსალმუნს, გულსაალერსოს...“. ახლა კი ყველა მხრიდან უნუგეშობაა:

„შვილის აკვანთან ნანა ვერ გვითქვამს,
ტკბილი ღიღინი ყელში გვაწვება,
რით ვანუგეშოთ შენი დამკარგი,
როცა ვაჟკაცად წამოიზრდება?“

ვერაფრით! მხოლოდ ერთი-ღა დარჩენიათ მომავალ თაობათა გადასაცემად:

„... ეჰ, შვილო, ერთხელ შენც გქონდა
კაი სამშობლო, ვარდის ქვეყანა,
მაგრამ სხვის კარზე გედგა აკვანი
და არ გეღირსა ეფრატის ნახვა?!.
ვუთხრათ რომ ეხლა იმის დიდებას

მოწმობენ მხოლოდ ნანგრევნი, ქვანი.
და დიდსა ტაძარს,. იმის ჭაღარას,
თავზე დასჩხავის ყვავი ყორანი?“

უაღრესად უნუგეშო პერსპექტივას ხატავს პოეტი და სწორედ ეს უნუგეშობა უნდა იქცეს ყოველ ებრაელისთვის შთამაგონებლად, გამაღიზიანებელ ფაქტორად და მიწაში ისე არ ჩავიდნენ, რომ სიონი, თავისუფალი არ იხილონ:

„მაგრამ ნუგეშად ესღა გვშთენია:
სხვის ქვეყანაში, უცხონი მარად,
შენს ნანგრევებთან მოდივართ, სიონ,
რომ გადავიქცეთ ცრემლების ღვარად“ [11, 316-318].

* * *

ეკონომიკური სიდუხჭირით, დაუმსახურებელი ცილისწამებითა და მძიმე ავადმყოფობით გატანჯული ირ. ევდოშვილი 43 წლის ასაკში გარდაიცვალა, 1916 წლის 2 მაისს. გაუბედურდა მისი დედა, მეუღლე და უმწეოდ დარჩა ოთხი შვილი, რომელთაგან უფროსი მხოლოდ 15 წლისა იყო... მიუხედავად უამრავი სიძნელისა მოხერხდა პოეტის ღირსეულად დაკრძალვა ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, რაშიც უპირველესი როლი შეასრულეს ქ.შ.წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ და სოც-ფედერალისტური გაზეთის „სახალხო ფურცლის“ რედაქციამ... პოეტის ცხედარი დასვენებული იყო ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც საზოგადოების წარმომადგენელთა თანდასწრებით გადახდილი იქნა პანაშვიდები. განსვენებულის კუბოსთან არაერთი სიტყვა იქნა წარმოთქმული; ათეულობით სამგლოვიარო განცხადება და გამოსათხოვარი წერილი დაიბეჭდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში... უნდა აღინიშნოს, რომ პანაშვიდები იმართებოდა პროვინციებშიც, ხდებოდა ფულად შემოწირულობათა შეგროვება ოჯახის დასახმარებლად, რაშიც მონაწილეობას ღებულობდნენ იქ მცხოვრები ქართველი ებრაელებიც. მაგალითად, დაბა ბანძაში, პანაშვიდი გადაუხდია დეკანოზ ანტონ კეკელიას, რომლის შემდეგ მრევლს 25 მანეთი შეუგროვებია „პოეტის დაობლებული ოჯახის სასარგებლოდ“. თანხა შეუწირავთ იქაურ ებრაელებს – დავით, იოსებ, არონ და მიხეილ აჯიაშვილებს“ [13]; ქუთაისში, მთავარანგელოზის ეკლესიაში პოეტის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის აღუსრულებია... წირვასა და პანაშვიდზე

დამსწრე ებრაელებს ზებუ ფიჩხაძეს, ზაქრო ვარდანაშვილს, ისრაელ ელიგულაშვილს და სხვებს გარკვეული თანხა გაუღიათ [14].

პოეტისადმი დიდი პატივისცემა იყო გამოთქმული იქვე, მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში, ქართველი ებრაელი სტუდენტის გ. ფიჩხაძის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში: „ქართველნო!.. ამ ერთი წლის განმავლობაში უსამართლოდ გამოგეცალათ ხელიდან: ჯერ დიდი აკაკი, მერე ვაჟა, ეხლა იროდიონი... დაგაშორათ თქვენ მათგან, ისინი კი თქვენგან; მიითვისა თქვენი საკუთრება, მიითვისა უკანონოდ, უდროოდ... ძვირფასი იროდიონი გაგვშორდა ისე, რომ მისმა ყურებმა ველარ გაიგონა დაუმსახურებელი საყვედურის სიტყვები, რომლის გამგონიც და მომსწრენიც შევიქენით ჩვენ... (გულისხმობდა სოც.-დემოკრატების მიერ მუშათა კლასისადმი ღალატის დაბრალებას... – გ. ს.) და გამოთქვამდა მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მგოსანი არც ერთი ჯგუფის საკუთრებას არ წარმოადგენდა; რომ მგოსნის მოვალეობა იყო ეწერა ისე, როგორც თავისი სინდისი უკარნახებდა; რასაც შინაგანი ხმა ამოსძახებდა, საითაც მას მუზა წაიყვანდა და არა კერძო ინტერესები“ [15].

ქაშვეთის ეკლესიიდან გამოსვენებისას ირ. ევდოშვილის კუბოსთან „მეტად ლამაზი, შინაარსიანი და მგრძნობიარე სიტყვა წარმოუთქვამს“ ონის ქართველ ებრაელთა რაბინს დავით ბააზოვს. მას ძალზე შთამბეჭდავად დაუხატავს პოეტის მიერ ტანჯვა-წვალებით განვლილი ცხოვრების გზა და ხაზგასმით აღუნიშნავს: რომ ქართველებსა და ებრაელებს შორის ოდითგანვე კარგი დამოკიდებულება სუფევდა... იროდიონი არა მარტო თავისი ხალხის ჭირ-ვარამის გამზიარებელი, არამედ სხვა ერების მწუხარებისა და უბედურების გულწრფელი თანამგრძნობიც იყო. ორატორს მადლიერებით გაუხსენებია ებრაელებისადმი მიძღვნილი იროდიონის ლექსები. მერე კი დამწუხრებული საზოგადოებისათვის მიუმართავს: „თვალით თუ გინდათ იტირეთ მგოსანი, მაგრამ გულით ნუ იტირებთ უკვდავებით განსხივოსნებულ იროდიონს... სატირალნი არიან მხოლოდ ისინი, ვინც თავის სამშობლოსა და ხალხისაგან გამდგარანო“ [16].

გაზეთი იქვე, თავის შენიშვნაში მიუთითებდა, რომ მთლიანად რაბინ დ. ბააზოვის სიტყვას ჩვენს მომდევნო ნომერში დავბეჭდავთო. გაზეთმა „სახალხო ფურცელმა“ თავის დანაპირები ვერ შეასრულა... სამაგიეროდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა ორგანომ, გაზეთმა „საქართველომ“, ცოტა მოგვიანე-

ბით, ქართველ მკითხველს მიაწოდა დ. ბააზოვის ძალზე საინტერესო წერილი, სათაურით: „ებრაელები და ქართველები“, რომელშიც სათქმელი ორიგინალურად და შთამბეჭდავად არის გადმოცემული.

დ. ბააზოვის თქმით, როცა ჩვენ, ქართველები, აქ, თბილისში, ირ. ევდოშვილის ნეშტს დავსტიროდით, იმავე დღეს, შორს, ამერიკაში, ქ. ნიუ-იორკში, გარდაიცვალა დიდი შემოქმედი, ებრაელი ერის საამაყო შვილი, შალომ ყალეხემ რაბინოვიჩი (შალომ ალეიხემი).

„ეს ორი ადამიანი, – წერს დ. ბააზოვი, – დაშორებული მანძილით, ენით, სარწმუნოებით და ეროვნებით, – დიდად დაახლოებულნი არიან თავისი სულიერი განცდით. ევდოშვილი არის ტანჯული ხალხის მოყვარე, მათზე დარდობს, მათზე სტირის და მათთვის ნუგეშის ძებნაშია. დაჩაგრული ერის მდგომარეობა მას ჩანგს ააღებინებს და ცრემლებს ცრემლით უნამავს.როცა კითხულობ მის ლექსებს – „ისმინე ერო ისრაელისა“ ან, „ტირილი ისრაელისა“, ისე ჰგრძნობ თითქოს იროდიონის ცრემლებით არის დანამული. ჰკვირვობ, იოცებ და ამბობ: რამ წაიყვანა ეს ქიზიყელი იროდიონი შორეულ იერუსალიმში? და უნებურად მებადება პასუხიც: იროდიონი ქართველი ერის ძლიერი მოყვარული ნაღვლობს, სტირის მის ბედს, იგი ეძებს სხვა ერებშიც მის მსგავს მრავალტანჯულს ერს...“ და ასეთ „მსგავსს, ტოლსა და ამხანაგს“ პოულობს იგი და მისი სუფთა გულიდან ისმის საშინელი ძახილი: „ისმინე, ერო ისრაელისავ...“ იგი ამ ძახილით ჰხატავს თავის კაც-მოყვარეობას და ამითი უახლოვდება ებრაელის იდეალს. **ეს ჩვენი მახლობელი იროდიონი** აღსავსე სევდით, მოძღვრის ტანჯვით სტოვებს თავის საყვარელ ხალხს ტანჯულს და სამუდამოდ მიდის მათგან...“

დ. ბააზოვის თქმით: „ასეთი იყო შალომ რაბინოვიჩიც, დიდი მოსიყვარულე და ერთგული მშრომელი ხალხისა. მას უყვარს ტანჯული ხალხი არა მარტო ებრაელებისა, არამედ ყველა ერისა. დიდი სიყვარული ჰქონია ქართველი ერისა... ჯერ კიდევ ქ. კოვნოში სწავლის დროს, **18** წლის დავით ბააზოვისათვის ქართველთა შესახებ ასეთი სიტყვები უთქვამს: „იცით, თქვენი პირპდაპირი მოვალეობაა, ქართველი ერის ცხოვრებაში დიდი მონაწილეობა მიიღოთ, აღზარდოთ იმისთანა შვილები, რომ გაამდიდრონ მათი ლიტერატურა: ძმობა და ამხანაგობა გაუწიონ ყველაფერში. ჩვენი ერის შვილებს არაფერი დევნა და გაჭირვება არ განუცდია ამ კეკლუცი

ერისაგან, ამიტომ მეტი ვალი გვაქვს, რომ მათ წინსვლას ყოველი ძალი და ღონე შევსწიროთო.

შალომმა ვერ მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა, ხოლო შემდეგ ნიუ-იორკში გადასახლდა სამუდამოდ... სწორედ იქ, იმ დღეს გარდაიცვალა, როცა ქართველი იროდიონი აქ, თბილისში გამოესალმა სიცოცხლეს... დიდია იროდიონის სიკვდილი, დიდია შალომის სიკვდილიც, მიტომ რომ ჩვენ გვინდოდა შალომი მართლაც სტუმრებოდა საქართველოს, ახლო გაეცნო ქართველობა, მისი დიდი სული და მისი ძვირფასი ფსიხოლოგია; გაეცნო იგი და გაეცნობიერებინა ევროპა-ამერიკისთვის, რომ არსებობს ერი პატარა საქართველოს მთებს შუა, რომელსაც მტკიცედ უკავია ხელში დროშა კაცობრიობის იდეალისაო, არამც თუ ახლა, როცა ევროპაც ამ გზას ადგია, არამედ მას იგი ეკავა ორი ათასი წლის წინადაც... ასე ვუყურებ ქართველი დეპუტატების საქმიანობას რუსეთის სათათბიროში, როცა ისინი პატარა ერების საკითხს იცავენ. ეს აიხსნება მხოლოდ ქართული პსიხოლოგიით და არა რომელიმე პარტიის პროგრამით... მართალია, დიდი მადლობა ეკუთვნით პატივცემულ ჩხენკელსაც და ჩხეიძესაც, რომლებიც მედგრად იცავენ ჩაგრული ერების საკითხს, მაგრამ მე მაინც მათ ასეთს დიდ ამაგს მათ ქართველობას ვაწერ და არა პროგრამასო“ [17].

რაბინი დ. ბააზოვი, იქვე იხსენიებს იმ ხანებში მომხდარ ერთ ფაქტსაც, როცა კავკასიის ხალხთა საერობო თათბირზე (1916 წლის 9 მაისს), რომელსაც მეფისნაცვალი ნიკ. რომანოვი თავმჯდომარეობდა, თავადმა დავით ნიჟარაძემ, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, გაბედულად დააყენა ებრაელების საკითხი. და თავის მხრით მხურვალე გულით წარმოსთქვა სიტყვა, რომლის გავლენითაც პატივცემულმა კრებამ საკითხი ჩვენ სასარგებლოდ მიიღო. „იგი თავადი და დიდი პირია და მაინც ასე მოიქცა. რითი აიხსნება ეს გარემოება, თუ არა ქართველი ერის პსიხოლოგიით? ჩვენ დიდი მადლობელი ვართ ბ-ნ ნიჟარაძის. მის სახელს ჩვენი ისტორია უკეთ დააფასებს, – წერს დ. ბააზოვი და განაგრძობს: „მე ის მინდა დავამტკიცო, რომ იყო დრო, როცა ებრაელთა ერიც დიდად ამაყობდა თავის მეფით, თავის სამშობლო პალესტინით და არასდროს სხვა ერი არამც თუ არ შეუვიწროებია, არამედ უპირატესობას აძლევდა შეხიზნულ ერს. მტკიცედ იცავდა წმინდა დაბადების ბრძანებას: „შეიყვარე ხიზანი, შემოხიზნული, დაეხმარე წაქცეულსაო“. და, როცა ვხედავ, რომ ქართველი ერი

ამის განმახორციელებელია ძველთაგან, ადვილად ასახსნელია ჩვენი ერის მეთაურების სიყვარული მათ მიმართ.

და სწორედ ჩვენ, ქართველი ებრაელობაც ვყოფილვართ, ვართ და ვიქნებით ძმა და ამხანაგი ერთგული ქართველი ერისა...

ქართველი ერის აღორძინება ჩვენი ერის იდეალების აღორძინებას ნიშნავს... ამიტომ მათთან ხელჩაკიდებული წავალთ საქართველოს საკეთილდღეოდ. ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი ძმებისაგან, ე. ი. რუსეთ-ევროპის ებრაელებისაგან - „რითაც შეუძლიათ ხალი შეუწყონ ქართველი ერის აყვავებას“.

ჩვენი ძვირფასი შალომ ყალეხემ რაბინოვიჩის სიყვარულს ქართველი ერისადმი ებრაელობა საქმითაც დაამტკიცებსო – დაასკვნიდა ონის ებრაელების რაბინი დავით ბააზოვი [17; 18, 4].

გამოჩენილი ებრაელი მოღვაწის, რაბინ დ. ბააზოვის ერთი საუკუნის წინათ გამოქვეყნებული ეს წერილი, კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს დღეს, როცა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ისრაელისა და საქართველოს ხალხები ძმური ურთიერთობის ოცდაექვსსაუკუნოვან იუბილეს აღნიშნავენ; ამასთანავე ამ დოკუმენტს ერთგვარი გზამკვლევის ფუნქციის შესრულებაც შეუძლია მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ნატო, ევროკავშირი და სხვ.) ჩვენდა სასარგებლოდ დაკვალიანებისა და მსოფლიოს გამოჩენილ ებრაელ მოღვაწეთა საქართველოს ინტერესებისადმი ყურადღების კონცენტრირების საქმეში. მადლიერი ისრაელელები, როგორც წესი, ყველას დამსახურებულად მიუზღავენ ხოლმე... და ქართველი პოეტის, ირ. ევდოშვილის თანადგომის სურვილით გაჟღენთილ შეძახილს – „ისმინე ერო ისრაილისა!“, ყურადღების მიღმა არ დატოვებენ, ისევ ძმობისა და მეგობრობის გზით გააგრძელებენ წინსვლას...

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქართული პოეზია, ტ. II, თბილისი, 1980 წელი.
2. გაზეთი ივერია, №77, 1900 წლის 9 აპრილი.
3. შ. წიწუაშვილი, ქართულ-ებრაული ურთიერთობანი ქართული პრესის მიხედვით... სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2001 წ. (ხელნაწერის უფლებით).
4. გაზეთი სამშობლო, №126, 1915 წლის 11 ივლისი.

5. მ. ლორია, საქართველოს შავიზღვისპირეთის ებრაელები (ისტორია, ეთნოგრაფია, კულტურა), ბათუმი, 2009; ირ. ევდოშვილი, კრებული, ტფილისი, 1916.
6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბილისი, 1985.
7. გაზეთი ივერია, №260, 1904 წლის 13 ნოემბერი.
8. გაზეთი ისარი, №12, 1907 წლის 19 იანვარი.
9. გაზეთი ისარი, №14, 1907 წლის 21 იანვარი.
10. გაზეთი ისარი, №15, 1907 წლის 23 იანვარი.
11. შ. ჩხეტია, ისტორიული საბუთები ირ. ევდოშვილის შესახებ, თბილისი, 1940.
12. იროდიონ ევდოშვილი, კრებული, ტფილისი, 1916.
13. გაზეთი საქართველო, №105, 1916 წლის 12 მაისი.
14. გაზეთი საქართველო, №114, 1916 წლის 24 ივნისი.
15. გაზეთი სამშობლო, №352, 1916 წლის 11 მაისი.
16. გაზეთი სახალხო ფურცელი, №571, 1916 წლის 11 მაისი.
17. გაზეთი საქართველო, №118, 1916 წლის 28 მაისი.
18. გაზეთი საქართველო, №119, 1916 წლის 29 მაისი.
19. გაზეთი სახალხო ფურცელი, №276, 1916 წლის 17 მაისი.
20. შ. ბარამიძე, იროდიონ ევდოშვილი (ცხოვრება და შემოქმედება), თბილისი, 1985.
21. გ. გოზალიშვილი, დიდი განთიადის მომღერალი იროდიონ ევდოშვილი, თბილისი, 1974.

Gela Saitidze,
Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, the Javakhishvili Institute of History and Ethnology, Research scientist of the Department of Modern and Contemporary History

The Issue of the Georgian-Jewish Relations within the Context of the Works of I. Evdoshvili

Summary

Many Georgian writers, historians or publicists paid considerable attention to the reflection of the 26 centuries old Georgian – Jewish relations. These works show the hard roads of life passed by the sons of these great nations. They also show how great is a contribution of the descendants of great Moses, David, Solomon, Jesus, etc. in creating the human civilization. Jewish themes are widely represented in the various

works of the famous Georgian writer and public figure Irodion Evdoshvili (1873-1916). Any reader can obviously see in his writings author's cordial, compassionate attitude towards the sons of the nation who had lost their homeland and were refugees. But he has a quite different position in comprehension of the Zionistic ideology and in standing by Zionists. Because of all these I. Evdoshvili earned the love and honor of the Jews who were his contemporaries.

ავთანდილ სონღულაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1921-1931 წწ.)

აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა დაკავშირებულია საქართველოს იძულებით გასაბჭოებასთან. ბუნებრივია, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში წითელი არმიის საქართველოში ინტერვენცია ინტერპრეტირებულია, როგორც წითელი არმიის მიერ „მშრომელი ხალხისადმი დახმარება“. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა ლიდერები 1921 წელს საქართველოში წითელი არმიის შემოჭრას თავად ახასიათებდნენ ოკუპაციად და ინტერვენციად. მაგალითად, სტალინი მას ოკუპაციას უწოდებდა, ლევ ტროცკი – ინტერვენციას. ფილიპე მახარაძე დაუფარავად ამბობდა, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში წითელი არმიის წინააღმდეგ თითქმის მთელი საქართველო აჯანყდა [1, 32]. საქართველოს „გასაბჭოების“ პროცესში, კერძოდ 1921 წლის თებერვალში ცალკეული რეგიონების მხარდაჭერა რომ მოეპოვებინათ რუსეთის ზედა ეშელონებში მიიღეს გადაწყვეტილება, აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოეცხადებინათ, ხოლო პარტიული ორგანიზაციისათვის აფხაზეთის კპ ეწოდებინათ. 1921 წლის 13 თებერვალს კავკასიის ბიუროს რკპ (ბ) ცკ-ის წევრმა ა. საჯაიამ წერილით მიმართა აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრს მ. ცაგურიას, რომელშიც მოუწოდა ცრუ სოციალისტების – მენშევიკების – წინააღმდეგ აღემართათ რევოლუციის წითელი დროშა. ა. საჯაია პირდაპირ მიუთითებდა, რომ აჯანყებაში მონაწილეობის შემთხვევაში აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდებოდა [1, 33]. ოქტომბრის გადატრიალებით მოპოვებული ხელისუფლების შენარჩუნება ბოლშევიკებმა ადრე გაცემული დაპირებების წყალობით მოახერხეს. მათი დაუყოვნებელი რეალიზაცია ახალი ხელისუფლების პრესტიჟისათვის იყო აუ-

ცილებელი და იმ მოსალოდნელ წინააღმდეგობათა თავიდან აცილებისათვისაც, რაც დაპირებათა შეუსრულებლობას უეჭველად მოჰყვებოდა. ამასთან ერთად, ადგილობრივ მართვა-გამგეობას ისეთი ფორმა უნდა ჰქონოდა, რომ ხელისუფლებისათვის ხალხის სრული მორჩილებით „სოციალიზმის მშენებლობისათვის" საჭირო ვითარებაც ყოფილიყო გარანტირებული. გამოყენებულ იქნა იმპერიის ისტორიაში კარგად ცნობილი „სამოურავო სისტემა"; გარკვეული პირი, ამ შემთხვევაში მსხვილი პარტიული ფუნქციონერი, იბარებს ეროვნებასა თუ ერს ტერიტორიითურთ, კისრულობს პოლიტიკურ თუ სამეურნეო ვალდებულებებს, რომელთა შესასრულებლად აჰყავს ხელქვეითთა შტატი და თავისივე ხალხის მორჩილებისათვის ეყრდნობა მპყრობელი ერის სამხედრო ძალას. ამ ერთეულებს დაერქვათ ავტონომიური „რესპუბლიკები", „ოლქები", „ნაციონალური ოკრუგები" და სხვ. ქართველი ერის დამოუკიდებლობა რუს ბოლშევიკებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად ჰქონდათ მონათლული, ასე იყო საჭირო მათი სახელმწიფოსათვის. ორჯონიკიძეს აქტიურად უჭერდა მხარს ქართველი ბოლშევიკების უმრავლესობა და, რა თქმა უნდა, თვით სტალინიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ქართველთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის აღმოსაფხვრელად, პანაცეად იქცა ჩვენი ეროვნული ენერგიისა და ტერიტორიის დაქუცმაცება, ერთა შორის წინააღმდეგობათა გამწვავებისათვის ხელის შეწყობა. კრემლის დიქტატით წარმოებული ეროვნული იდეოლოგია, ხელს უწყობდა „მოკავშირე" რესპუბლიკებში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა კონსოლიდაციას. განსაკუთრებით ვისაც ავტონომიური სტატუსი მიანიჭეს. მათი ყურადღების ხარჯზე ხდებოდა ძირითადი, აბორიგენი ერის უფლებების შეზღუდვა, ერთგვარი დაპირისპირების ხელოვნური შექმნა. უკანონოდ, სხვის მიწაზე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს გარკვეული ნაღმის როლი უნდა შეესრულებინათ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ასეთი სახის რესპუბლიკა შეეცდებოდა საბჭოთა კავშირიდან გასვლას და დამოუკიდებლობის გამოცხადებას. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია საქართველო, რომელიც კომუნისტური რეჟიმის ერთგვარ სასინჯ ქვასა და „ლაბორატორიას" წარმოადგენდა. 1921 წლის აპრილში რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში გენერალ-მაიორი პ. სიტინი მთავრობისადმი მოსკოვში გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ საქართველოს ტერიტორიული და მატერიალური დასუსტებისათვის აუცილებელი იყო აფხაზეთის ტერიტორიის საქართველოსაგან

ჩამოცილება. მისი აზრით „აფხაზეთის ჩამოშორება გამართლებულია ყველა მოსაზრებით და ამის განხორციელების დაგვიანება ჩვენთვის არასასურველი შედეგებით დამთავრდება“ [2, 10]. რუსეთის ხელისუფლებამ „ბრწყინვალედ“ განახორციელა აღნიშნული რეკომენდაცია. ავტონომიური ერთეულების შექმნისას გარკვეული როლი შეასრულა ლოზუნგმა – კომუნიზმის დროს სულ ერთია მაინც წაიშლება საზღვრები ურთიერთშორისო. ანტიპატრიოტულად განწყობილი ქართველი ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ ამ უაღრესად მტკივნეულ აქტს სრული გულგრილობით შეხვდა „კომუნიზმისა“ და „ინტერნაციონალიზმის“ დემაგოგიური ლოზუნგებით მოტყუებული ერის ერთი ნაწილი [3 25]. ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოსკოვში ეშბამ და ორჯონიკიძემ მოილაპარაკეს, რომ აფხაზეთი შევიდოდა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით, ხოლო მოგვიანებით, როცა საქართველო კომუნისტების ხელში აღმოჩნდა, ეშბამ და აფხაზმა კომუნისტებმა შეიცვალეს პოზიცია. მათი აზრით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ დააფიქსირა აფხაზეთის ავტონომია, მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას „საგანგებოს“ – რევკომის სახით მეტი უნდა მიეცა მათთვის, ე.ი. გამოეცხადებინა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ამით ეჩვენებინა ეროვნული საკითხისადმი თავისი შედარებით „პროგრესული“ დამოკიდებულება. მაშინ არავის მოსვლია აზრად, რომ არღვევდა (ფეხქვეშ თელავდა) საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას [4, 53, 54]. ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აფხაზეთში 1921 წლის 4 მარტს. 6 მარტს შეიქმნა აფხაზეთის რევკომი ე. ეშბას (თავმჯდომარე), ნ. ლაკობასა და ი. აკირტავას შემადგენლობით. ფუნქციონირება დაიწყო აგრეთვე რკპ (ბ) აფხაზეთის საორგანიზაციო ბიურომ. ჯერ კიდევ 2 მარტს ეფრემ ეშბა აფხაზეთის არ შექმნილი რევკომის სახელით მოითხოვდა აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას ან აფხაზეთის შესვლას რსფსრ შემადგენლობაში. 1921 წლის 26 მარტს აფხაზეთის რევკომის წევრებმა ლენინსა და სტალინს მიმართეს წერილით, რომელშიც აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებასა და მის რუსეთის ფედერაციასთან გაერთიანების საკითხს აყენებდნენ. ეს წერილი იყო საბჭოთა ეპოქის პირველი დოკუმენტი, რომელშიც აშკარად გამოიკვეთა აფხაზური სეპარატიზმი და მისი ჭეშმარიტი საწყისები. აფხაზეთის რუსეთის

ფედერაციასთან ინტეგრირება მიზნად ისახავდა ქართული ენისა და კულტურის ამოძირკვას ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე. აფხაზური რევკომის წინადადებას მხარი დაუჭირა ს. ორჯონიკიძემ, თუმცა ცენტრში საკითხის გარკვევამდე, აფხაზ ბოლშევიკებს ურჩევდა, თავი შეეკავებინათ რუსეთის ფედერაციასთან აფხაზეთის გაერთიანების განცხადებებისაგან. 27 მარტს ს. ორჯონიკიძემ ე. ეშბასთან პირდაპირი ხაზით საუბრისას მხარი არ დაუჭირა აფხაზეთის რუსეთის საბჭოთა ფედერაციაში გაერთიანების იდეას, ასევე ეშბას აცნობა „მოსკოველი და ქართველი ამხანაგების მოსაზრება აფხაზეთისათვის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსის მინიჭების თაობაზე“. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად „სტალინს არ შეეძლო მხარი არ დაეჭირა აფხაზი სეპარატისტების მოთხოვნებისთვის, რადგან ისინი საბჭოთა რუსეთის წისქვილზე ასხამდნენ წყალს“. მაგრამ აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადეს არა მარტო ლენინის თანხმობით, არამედ სტალინის აქტიური თანამონაწილეობითაც. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობისათვის აფხაზეთის ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ ჯილდოდ აფხაზეთის რესპუბლიკისათვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსის მინიჭება მოითხოვა. აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტას და ცალკე რესპუბლიკად გამოცხადებას, სადაც აღნიშნული პერიოდისათვის 70%-ზე მეტი ქართველი ცხოვრობდა, უარყოფითად შეხვდა ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი. გამოითქვა მრავალი დასაბუთებული მოსაზრება, მაგრამ... [5]. 1921 წლის 28-31 მარტს ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით გაიმართა რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს, საქართველოს კპ ცკ-ისა და აფხაზეთის რევკომის წევრთა თათბირი ბათუმში, სადაც აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ საკითხი „რსფსრ-თან საქართველოს სსრ-თან ფედერაციის შესახებ აფხაზეთის საბჭოების ყრილობის მოწვევამდე ღიად რჩებოდა“. აფხაზ და რუს ბოლშევიკებს შორის დადებული გარიგების შედეგად საქართველოში შეიქმნა ორი, სახელწოდების მიხედვით თანაბარუფლებიანი, საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. 31 მარტს აფხაზეთის რევკომმა რუსეთის ფედერაციის, ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთ კავკასიის რევკომის ხელმძღვანელებს ახალი აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა აცნობა. სა-

ქართველოს პარტიულმა და დირექტიულმა ორგანოებმა ცნეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, თუმცა ხაზს უსვამდნენ, რომ აფხაზეთის პოლიტიკური მდგომარეობის საკითხს საბოლოოდ რეგიონის საბჭოების I ყრილობა გადაწყვეტდა [1, 34-35]. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ანუ 1921 წლის 31 მარტიდან არსებითად არცერთ სფეროში დამოუკიდებელი არ იყო. ის მოსკოვსა და თბილისს ექვემდებარებოდა. აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა მოსკოვის სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში საერთოდ არ ფიგურირებდა (არც რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, არც საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ ორგანოში და არც სახალხო კომისართა საბჭოში) [6, 118]. აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ რესპუბლიკას არ ცნობდა ბოლშევიკ-კომუნისტების ბელადი ლენინი, რომლის 1921 წლის 14 აპრილის ცნობილ წერილში კავკასიის, კერძოდ: აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკების კომუნისტებისადმი, აფხაზეთი საერთოდ არ მოიხსენია [7, 198]. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იმით კი არ აიხსნება, რომ აფხაზებს თითებზე ჩამოსათვლელი არც თუ ცნობილი პიროვნებები ჰყავდათ, არამედ იმით, რომ ის არ ცნობდა ასპარეზზე შემთხვევით გამოჩენილ უცნობ, პატარა, ამბიციურ მხარეს, რომელიც მუდამ საქართველოს სახელს იყო ამოფარებული [8, 329]. ფაქტია, რომ ცოტა ხანში აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა არ ცნო სტალინმა. იგი, როგორც ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი, რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ა. ენუქიძესთან მიმოწერაში აფხაზეთს ავტონომიად მოიხსენიებს, რის გამო მას თავისი წარმომადგენელი არ ჰყავდა ცალკე რსფსრ-ში, ამიტომ აფხაზეთს დამოუკიდებლად კრედიტის მიღებაც არ შეეძლო რსფსრ-გან. ი. სტალინი 1921 წლის 13 სექტემბერს აფხაზეთთან დაკავშირებით ა. ენუქიძეს ატყობინებდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გარეშე აფხაზეთს არ შეეძლო რსფსრ-დან თანხის მიღება [8, 330]. აფხაზეთის ასეთ „დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკას“ მომავალში რა შედეგებიც მოჰყვებოდა კარგად იგრძნო ზოგიერთმა ქართველმა და აფხაზმა ბოლშევიკმაც. მათი მეცადინეობის შედეგს წარმოადგენდა 1921 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რკპ (ბ) ცკ პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები, რომელმაც აიღო ორიენტაცია აფხაზეთის „ავტონომიზაციაზე“ საქართველოს სსრ შემადგენლობაში. თუმცა იყო განსხვავებული აზრიც. კერძოდ, 1921 წლის 15 ოქტომ-

ბერს აფხაზეთის რკპ (ბ) ორგბიუროს პლენუმმა მხარი დაუჭირა საქართველოსა და აფხაზეთს შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას, ორ მოკავშირე, თანასწორუფლებიან რესპუბლიკებს შორის „ოფიციალური ხელშეკრულების" გაფორმების საფუძველზე. პლენუმის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 21 ოქტომბერს, ე. ეშბამ აფხაზეთის სტატუსის საკითხის გადაწყვეტის დაჩქარება მოითხოვა. როგორც მასალებიდან ირკვევა, ე. ეშბას გარშემო გაერთიანდნენ ის ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზეთის საქართველოსთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებას. 14 ნოემბერს ე. ეშბამ აფხაზეთის უშუალოდ ამიერკავკასიის ფედერაციაში შესვლის საკითხი დააყენა. საპასუხოდ 16 ნოემბერს კავბიუროს რკპ (ბ) ცკ-ის პრეზიდიუმმა პოლიტიკურად მიზანშეუწონლად მიიჩნია აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა და ე. ეშბას დაევალა, წარმოედგინა საბოლოო გადაწყვეტილება ან აფხაზეთის საქართველოს სსრ-თან ხელშეკრულების საფუძველზე ან რსფსრ-ში ავტონომიური ოლქის სტატუსით გაერთიანების შესახებ. ის ფაქტი, რომ რსფსრ-თან ინტეგრაციის შემთხვევაში აფხაზეთი ავტონომიური ოლქის სტატუსს მიიღებდა, ხოლო საქართველოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობების ფორმატში საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად ცხადდებოდა, აშკარად ავლენს ბოლშევიკი ლიდერების დისკრიმინაციულ ეროვნულ პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში [1, 35-36]. ამდენად, 1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოსა და აფხაზეთს შორის გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება. გაერთიანდა რვა კომისარიატი, ხოლო საგარეო საქმეთა კომისარიატი საქართველოს გამგებლობაში დარჩა. რომელიმე სხვა სამხარეო გაერთიანებაში გაწევრიანება აფხაზეთს მხოლოდ საქართველოს მეშვეობით შეეძლო. საქართველოს წარმომადგენლობით ორგანოებში აფხაზეთს ადგილების 1/3 გადაეცა. „განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების" საფუძველზე ფაქტიურად გაერთიანდა საქართველოსა და აფხაზეთის ტერიტორია. 1922 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა აფხაზეთისა და საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ამავე დროს მიღებული საქართველოს სსრ კონსტიტუციაშიც აღინიშნა, რომ აფხაზეთი „უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას – ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე" [9, 73]. 1922 წლის მარტში შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციაში აფხაზეთი შევიდა,

როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი. ვ. ლენინმა აფხაზეთი არ ცნო აგრეთვე 1922 წელს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის დროს, როდესაც არც კი მოიკითხა და მოიხსენია მისი ე.წ. „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა. აფხაზი ისტორიკოსების მტკიცება, თითქოს „სტალინის ხრიკებით“ აფხაზეთს სოციალისტური რესპუბლიკიდან სტატუსი ავტონომიურ რესპუბლიკამდე ჩამოუქვეითდა, სინამდვილეს არ შეესაბამება. უდავოა, რომ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისუტური რესპუბლიკა თავისი შინაარსით ავტონომიური წარმონაქმნი იყო. ჯერ კიდევ 1923 წლის 21 დეკემბერს აფხაზეთის საბჭოების II ყრილობის გახსნაზე ს. ორჯონიკიძემ პირდაპირ განაცხადა: „აფხაზებმა უნდა იცოდნენ, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკაა და თანასწორუფლებიანი ჩვენი კავშირის ფარგლებში“ [10, 153]. საბჭოთა რუსეთს თავისი წარმომადგენლები ჰყავდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკიდან – საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამავე რესპუბლიკებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ რუსეთში. რუსეთსა და აფხაზებს შორის წარმომადგენლების გაცვლა არ მომხდარა. რუსეთს არც ხელშეკრულება გაუფორმებია აფხაზეთთან. მან მხოლოდ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სუვერენიტეტი ცნო. აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, არასოდეს არ ყოფილა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. და ეს იმიტომ, რომ აფხაზეთი არ წარმოადგენდა რეალურად არსებულ დამოუკიდებელ (თუნდა საბჭოური გაგებით) რესპუბლიკას [11, 79]. აფხაზეთის სახელშეკრულებო რესპუბლიკას, როგორც ვხედავთ საკავშირო, ცენტრალური ხელისუფლება ფაქტობრივად ავტონომიური რესპუბლიკების რიგში განიხილავდა, რაც აისახა კიდეც სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში. კერძოდ, ძირითადი კანონის IV თავის შენიშვნაში ნათქვამია, რომ „Автономные республики Аджария и Абхазия и автономные области Юго-осетия, нагорный Карабах и Нахичеванская посылают в совет национальностей по 1 представителю“ [12, 227-229]. მიუხედავად ამისა 1925 წელს აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ მიიღო კონსტიტუცია, რომელშიც აფხაზეთი სეპარატისტებმა სუვერენულ სახელმწიფოდ წარმოადგინეს (მუხლი მე-5), რაც კოლიზიაში მოვიდა ამავე კონსტიტუციის მე-4 მუხლთან. მასში ნათქვამია, რომ აფხაზეთი საქართველოსთან გაერთიანდა განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს მეშვეობით

ის შედის ამიერკავკასიის სფსრ-ში და ამ უკანასკნელის მეშვეობით – სსრკ-ში. 1925 წლის კონსტიტუცია არ გამოქვეყნებულა და ამდენად ძალაში არ შესულა. აფხაზეთის ზემოაღნიშნული ე. წ. „კონსტიტუცია“ იმდენად შეუსაბამო და წინააღმდეგობრივი იყო, რომ ის 1925 წლის 26 ნოემბერს (კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კონფერენციაზე) დაგმო ნესტორ ლაკობამაც. ამ უკანასკნელმა ასეთივე განცხადება გააკეთა საქართველოს კომპარტიის IV ყრილობაზეც 1925 წლის 2 დეკემბერს. მისი თქმით: ის აზრი ტრიალებდა აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკებში (მათ შორის მასშიც), რომ აფხაზეთი უშუალოდ უნდა შესულიყო ამიერკავკასიის ფედერაციაში, მაგრამ დასძენს ნ. ლაკობა, ეს აზრი ჩვენ უკვე უარვყავით ერთხელ და სამუდამოდ – არა იმიტომ, რომ ამხანაგი მ. კახიანი (საქართველოს ცეკას მდივანი) დაგვემუქრა, არამედ იმიტომ, რომ ეს შეცდომაა, რადგან აფხაზეთი საქართველოდან სადმე წასვლას არ აპირებს, რადგან ასეთი აფხაზეთი როგორც ცელქი ბიჭის ხელით აშენებული მუყაოს სახლივით დაიშლება. ეს დაადასტურა შემდგომმა სინამდვილემ და საქმის ვითარებამ. ნ. ლაკობას თქმითვე საქართველოსთან ურთიერთობაში მისი თანამოაზრეების პირველი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მათ მიერ დაწერილ კონსტიტუციაში საქართველო და ამიერკავკასიის ფედერაცია წარმოდგენილი იყვნენ, როგორც გასასვლელი დერეფანი საბჭოთა კავშირისაკენ [13, 177-178]. შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიის ხელმძღვანელობამ აფხაზეთის კონსტიტუციის გადასინჯვა და საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობების კონსტიტუციურად გაფორმება დაიწყო. 1926 წლის 5 ივლისს საქართველოს ცკ-ის მესამე მოწვევის სესიამ საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი მიიღო, რომელშიც დაფიქსირდა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი. კონსტიტუციის 83-ე მუხლში ნათქვამი იყო, რომ „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ხოლო მისი მეშვეობით – ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში“ [9, 117]. კონსტიტუცია დამტკიცდა 1927 წლის 23 აპრილს სრულიად საქრთველოს საბჭოების IV ყრილობაზე. რამდენად „დამოუკიდებელი რესპიბლიკა“ იყო აფხაზეთი ჩანს აღნიშნული კონსტიტუციის შინაარსიდან. კერძოდ, 88-მუხლში აღნიშნულია: „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მთელს

ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს სავალდებულო ძალა აქვთ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე". ხოლო 90-ე მუხლის მიხედვით „სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვთ გააუქმონ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობის, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს ყველა ის დადგენილება, რაც კი ეწინააღმდეგება ამ კონსტიტუციას". 91-ე მუხლში აღნიშნულია: „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტი მის შემდეგ, როდესაც მას დაამტკიცებს ამ რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, შემადგენელ ნაწილად შედის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც მტკიცდება ამა კონსტიტუციის 104-ე მუხლის წესისამებრ" [9, 119]. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე სათანადო შესწორებები და დამატებები შეიტანეს 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუციაში, რომელიც საბოლოოდ 1927 წლის 7 მარტს, აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობაზე დამტკიცდა. საინტერესოა, რომ 1926 წლის აღწერის შედეგად აფხაზეთში 201.016 სული აღირიცხა. აქედან, 71954 სული ქართველი, 51458 აფხაზი, 25677 სომეხი, 12533 რუსი და 14045 ბერძენი. დანარჩენი სხვა ეროვნებები [14, 89]. აქვე ავღნიშნავთ, რომ თვით აფხაზ მოღვაწეთა აღიარებით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა „დროებით", „ერთი წუთით", „აბრისათვის" და ა.შ., მაგრამ აფხაზეთი რეალურად არც „ერთი წუთით", არც „დროებით" არ ყოფილა დამოუკიდებელი. აფხაზეთი იმ 10 წლის მანძილზეც (1921-1931წწ.) სავსებით დამოკიდებელი იყო საქართველოზე, რომელიც თავისთავად ოკუპირებული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ და, ცხადია, დამოკიდებული იყო მასზე, შემდეგ – სსრ კავშირზე. როგორც დავინახეთ აფხაზეთის ბიუჯეტი საქართველოს ბიუჯეტის ნაწილს წარმოადგენდა. აფხაზეთის მთავრობა, პარტიული ორგანოები ანგარიშვალდებული იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე. აფხაზეთი არა ცალკე, არამედ მხოლოდ საქართველოს მეშვეობით შედიოდა ამიერკავკასიის ფედერაციასა და სსრ კავშირის შემადგენლობაში. როგორც საქართველოს, ისე საკავშირო ორგანოები აფხაზეთს მუდამ განიხილავდნენ როგორც ავტონომიურ

რესპუბლიკას [11, 81]. აფხაზეთის ზემოაღნიშნული სტატუსი რომ არ შეეფერებოდა არც ისტორიულ და არც რეალურ ვითარებას კარგად გრძნობდნენ საბჭოთა სახელწმიფოს მესვეურებიც. ადრე დაშვებული შეცდომის ნაწილობრივ გამოსწორებას ისახავდა მიზნად ცაკ-ის 1930 წლის III სესია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გარდაექმნათ „ხელშეკრულებითი" აფხაზეთის სსრ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე 1931 წლის 11 თებერვალს საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ საბჭოების VI ყრილობების გადაწყვეტილებით აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით. პროფ. ლ. თოიძის აზრით: „თუ ამ გარდაქმნებს ფორმალურ-სამართლებრივი კუთხით შევხედავთ, აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკის შეცვლა აფხაზეთის ავტონომიურ სოციალისტურ რესპუბლიკად, უეჭველად მისი სტატუსის შეზღუდვად მოგვეჩვენება. საკითხს თუ რეალურად მივუდგებით, ეს ტრანსფორმაცია, თავისი არსით, არაფერს ცვლიდა აფხაზეთის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში". პრაქტიკულად, არ აქვეითებდა მის რეალურ პოლიტიკურ სტატუსს. ეს ღონისძიება, მკვლევრის აზრით, ფაქტობრივად არსებული რეალობის ადეკვატური გამოხატულება იყო, აუქმებდა ფორმასა და შინაარს, დე-ფაქტო და დე-იურე მდგომარეობას შორის არსებულ შეუსაბამობას. მკვლევარს მიაჩნდა, რომ ეს აქტი წარმოადგენდა „დაგვიანებულ შესწორებას იმ მყვირალა შეუსაბამობისა, რომელიც თავის დროზე დაუშვეს ლენინმა, სტალინმა და სხვა ბოლშევიკმა ლიდერებმა აფხაზეთის ეროვნული სახელმწიფოებრიობის დროს" [1, 37-38]. ამრიგად, საქართველოს სასაზღვრო-ტერიტორიული ცვლილებების საკითხი მოსკოვმა თავიდანვე საკუთარ პრეროგატივად აქცია. საქართველოში შექმნეს სამი ავტონომიური წარმონაქმნი. ერთ ფიორა ტერიტორიაზე სამი ავტონომიის არსებობა ინტერნაციონალიზმის ორჯონიკიძისეული გეგმის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. ან უნდა მივიღოთ, რომ იგი ოქტომბრის გადატრიალების ჭეშმარიტ მიზნებში ჩინებულად ერკვეოდა – „დაყავი და იბატონე!" ავტონომიასა და მის დაწესებულებებს ორასი, სამასი ისეთი თანამდებობა ახლავს, რომლებიც ამდენივე პირის კეთილდღეობას უზრუნველყოფს და ისე, რომ რაიმე გამორჩეული ნიჭი, ჭკუა და შრომისმოყვარეობა საჭირო არ არი... მოურავი ამ თანამდებობებს ახლობლებსა და სანდო პირებში ანაწილებდა. იქმნებოდა სიბარიტების

კასტა, რომელიც მომდევნო, მხვეჭელთა ფენას აყალიბებდა და მის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას მფარველობდა ყოველთვიური ფულადი თუ სხვა რამ ღირებულებრივი მოსართმევის საკომპენსაციოდ. მხვეჭველები, ხაზინისა და ხალხის ძარცვით, სარფიანი ადგილების გაყიდვით, სპეკულაციით, ხელქვეითთა დაბეგვრით, ქრთამითა და სხვა საშუალებებით მდიდრდებოდნენ, ამდიდრებდნენ მფარველებს და, რა თქმა უნდა, მორჩილებაში ჰყავდათ თავისი კლანები. ასე ხორციელდებოდა რეგიონში სიმშვიდე, სტაბილურობა და ადგილობრივი „პირველი კაცის“ ვალდებულებების შესრულება [15, 19-20]. სრულიად შეუძლებელია ნორმალური ლოგიკით ახსნა, თუ რატომ მიენიჭათ ერთგან ეროვნულ უმცირესობებს ავტონომიის სტატუსი და სხვაგან საერთოდ არაფერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთი წარმონაქმნების ისტორიულ უნიადაგობაზე. ვერც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში და ვერც საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ვერ იპოვით განმარტებას – როდის, როგორ, რა პირობით, რა უფლებებით შეიძლება მიიღოს ამა თუ იმ ხალხმა ავტონომიურობა. ყველა საბჭოური ავტონომია შექმნილია სსრკ-ის იმდროინდელ მმართველთა გუნება-განწყობილების შესაბამისად. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილებაში და სამართლებრივ კონცეფციებში პოლიტიკური ავტონომია სრულებით არ გვევლინება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების გადაჭრის გზად. არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი არ შეიცავს ასეთი ავტონომიის შექმნის სახელწმიფო ვალდებულებებს [16]. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ რუსეთში არსებულ ავტონომიებსა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში შექმნილ ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის პრინციპული განსხვავებაა და არ შეიძლება მათი საერთო, საბჭოთა სახელმწიფოს თვალთახედვით განხილვა. გარკვევით უნდა ითქვას, რომ რუსეთში არსებული თითქმის ყველა (თუ აბსოლუტურად ყველა არა) ავტონომიური წარმონაქმნი არის რუსეთის მიერ სხვადასხვა დროს დაპყრობილი თუ „ნებით შეერთებული“ (რატომ გასაგებია), მანამდე დამოუკიდებლად არსებული ქვეყნები. მაგალითად, ჩრდილო კავკასიის ტერიტორია, სადაც შემდეგ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულები შეიქმნა, ჩრდილო ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის, დაღესტნის... სხვადასხვა დროს რუსეთის მიერ დაპყრობილი, თუ სხვადასხვა პირობით შეერთებული მიწა-წყალია. სულ სხვა ვითარებაა საქართველოში. ყველამ კარგად ვიცით, რომ აჭა-

რა საქართველოა და აჭარლები ქართველები არიან. რა აბსურდული პრინციპით შეიქმნა აჭარის ავტონომია ესეც ყველას მოეხსენება. ის ტერიტორია კი, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ერთეულები, უძველესი დროიდან ქართული მიწა-წყლია, ქართულ სახელმწიფოთა ფარგლებში მყოფი რეგიონებია [17]. 1992 წლის 3 მარტს ვაშინგტონში, რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ სააქტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ბჭობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობაზე. განხილულ საკითხთაგან ერთ-ერთი ცენტრალური იყო სიტუაცია კავკასიაში, მათ შორის საქართველოში. ამ თემაზე ისაუბრა ცნობილმა ამერიკელმა სოვეტოლოგმა, პროფესორმა ვიქსმანმა. პროფესორმა აღნიშნა, რომ „ჩემს მრავალ პუბლიკაციაში ვსვამ კითხვას: რატომ არსებობს აფხაზეთის ავტონომია? განა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა თავიდან მხოლოდ 34 ათასი აფხაზისათვის შეიქმნა? – ვიქსმანის მართებული დასკვნით – თავიანთი ტერიტორიის საკითხებს ქართველები საქართველოში კი არ წყვეტდნენ, არამედ მოსკოვში ხდებოდა“ [18]. და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეროვნულ უმცირესობას არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება, რადგან, ეს, პირველ ყოვლისა, არსებული სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას აყენებს საფრთხის ქვეშ და ეთნო-კონფლიქტების გამოწვევის ერთ-ერთი მიზეზი ხდება. როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართალი თვითგამორკვევის უფლებას აძლევს მხოლოდ კოლონიურ და დამოკიდებულ, ე. ი. ძალით მიერთებულ და მორჩილებაში მყოფ ხალხებს. ეროვნულ უმცირესობას კი, რომელიც სხვადასხვა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად უცხო ქვეყნების ბინადარი გახდა, მიუხდავად ცხოვრების დროის ხანგრძლივობისა, თვითგამორკვევის უფლება არა აქვს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ო. ჟორდანია, პროფესორი ლევან თოიძე – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მკვლევარი, კრებულში: ლევან თოიძე 80, თბილისი, 2009.
2. გ. დანელია, ტოტლებენიდან გენერალ ლებედამდე, ჟურნალში: პოლიტიკა, №9-10, 1996.
3. ვ. მჭედლიშვილი, იმპერიის მარწუხებში, თბილისი, 1990.

4. А. Ментешашвили, Из истории взаимоотношении грузинского, абхазского и осетинского народа, Тбилиси, 1990.
5. გაზეთი ტრიბუნა, 1922, 25 იანვარი.
6. Дж. Гамахария, Б. Гогия, Абхазия историческая область Грузии, Тбилиси, 1997.
7. В. И. Ленин, Полн. Собр. соч., Т. 43.
8. გ. გასვიანი, აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში, თბილისი, 2004.
9. საქართველოს კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბილისი, 1983.
10. Сьезды советов Абхазии, сб. Док. и Материалов (1922-1923 гг.), Сост. А. А. Тулумджян, Сухуми, 1959.
11. ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), თბილისი, 1999.
12. История Советской конституции, сборник документов 1917-1957, АН СССР, Москва, 1957.
13. Н. А. Лакоба, Статьи и речи, Сухуми, 1987.
14. ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა, ისტორია და თანამედროვეობა, თბილისი, 1995.
15. აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები, თბილისი, 1993.
16. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 31 იანვარი 1992.
17. გ. ლორთქიფანიძე, ომი მშვიდობამ უნდა შეცვალოს, გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 12 იანვარი 1992.
18. გაზეთი დრონი, 25 აპრილი 1992.

Avtandil Songulashvili
Doctor of Historical Sciences, Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology

The Head of the Department of the New and Modern History
Political Status of Abkhazia Within the State of Georgia
(1921-1931)

Summary

The definition of political status of Abkhazia is connected to the forced Sovietization. 31 March, 1921 Abkhazia was declared as a Soviet

Socialist Republic. 16 December, in the above mentioned year between Georgia and Abkhazia was signed treaty on cooperation. But Lenin did not recognize Abkhazia as an independent state when uniting the republics into the USSR. We have to mention the fact that in the constitution of 1924, Abkhazia is mentioned as an autonomous republic. In fact during the period of 10 years (1921-1931) Abkhazia had not been an independent republic and was recognized as a part of Georgia. From this point, 11 February, 1931, by the decision of the 4th councils assembly of Georgian and Abkhazian SSR, Abkhazia became an autonomous Republic of Georgian SSR. It was an adequate reality of current situation.

ლელა სარალიძე

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლის ისტორიიდან (1922-1924 წწ.)

საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმმა ვერ გატეხა ქართველი ერის ნებისყოფა. ბოლშევიკურ რეპრესიებს ქართველი ხალხი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით დაუპირისპირდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებმა ემიგრაციიდან განაგრძეს ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. უცხოეთში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები, ყოველმხრივ ცდილობდნენ გაებათილებინათ მოსკოვის მთავრობის მიერ გავრცელებული ჭორი, თითქოს საქართველოში თვით ქართველები (მენშევიკები და ბოლშევიკები) აუჯანყდნენ ერთმანეთს, რუსეთის წითელი არმია კი საქართველოს რევკომის წევრთა უშუალო თხოვნის შემდეგ შემოვიდა საქართველოში და თითქოს რუსეთის მხრიდან არავითარ ოკუპაციას ადგილი არ ჰქონია. ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა საოკუპაციო რეჟიმს. ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი, თითქმის ყველა ქალაქში მასობრივი დემონსტრაციებით აღნიშნეს. გასაბჭოვებიდან ერთი წლისთავზე ერი და ბერი გაერთიანდა. თავისი დაუმორჩილებლობით მოსახლეობამ კიდევ ერთხელ აჩვენა მტერსა და მოყვარეს, რომ მათ დამონებას ვერავითარი ძალა ვერ შეძლებდა. ხელისუფლებამ ჯერ კიდევ მაისის პირველი რიცხვებიდან დაიწყო სასტიკი რეპრესიები. მოსალოდნელი გამოსვლების თავიდან აცილების მიზნით, აპატიმრებდნენ ყველას. „ჩეკას“ სარდაფები აივსო პატიმრებით. 1922 წლის 25 მაისს, დილით გამოიცა კომუნისტური პარტიის სააგიტაციო განყოფილების მოწოდება რუსულ ენაზე, რომლითაც ხალხს მოუწოდებდნენ „კონტრრევოლუციურ“ გამოსვლებში მონაწილეობა არ მიეღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დახვრეტით ემუქრებოდნენ. მუქარის მიუხედავად,

ხალხი ქუჩებში ეროვნული დროშებით გამოვიდა, შეძახილებით: „გაუმარჯოს საქართველოს“. „ჩეკისტებმა“ დემონსტრანტებს სროლა აუტეხეს, დაპატიმრებებმა მასიური ხასიათი მიიღო. საარქივო დოკუმენტის თანახმად, ბანძის რაიონში, დატუსაღებული ბავშვები გამოტეხის მიზნით, განსაკუთრებული სისასტიკით აწამეს. „ერთი მათგანი თავდაღმა ჭაში ჩაკიდეს, ხოლო მეორე ორ სკამზე დააკრეს ფეხებით და გასაგლეჯად გასწიეს, მაგრამ მაინც ვერ გასტეხეს. გონება წართმეული ბავშვები სარდაფში ჩაყარეს. ასობით ხალხი ტყეში გავიდა თავის დასაფარავად“ [1, 25].

1922 წლიდან საქართველოში ეროვნული სულის ჩასაკლავად, ასევე, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების წრეებში შესაღწევად, საბჭოთა მთავრობის სპეცსამსახურები აქტიურად მუშაობდნენ. ისინი ცდილობდნენ, აგენტურული ქსელის მეშვეობით, ქართველებში განხეთქილება შეეტანათ და აქტიური პოლიტიკური ლიდერების ლიკვიდაცია მოეხდინათ, რასაც ხშირად წარმატებით ართმევდნენ თავს. ყოველი მათი აქტიური ქმედების შედეგად, ქართველი ხალხი სულ უფრო და უფრო შორდებოდა ნანატრ თავისუფლებას. საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა ეროვნულ მოძრაობას, ჩაახშვეს სვანეთის აჯანყება, რომელიც რაჭა-ლეჩხუმსაც მოედო, ასევე, კახეთ-ხევსურეთის ამბოხება, ბოლოს 1924 წლის აჯანყება, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში „აგვისტოს ავანტიურად“ მოიხსენიებოდა.

ეროვნული სულის ჩასაკლავად, საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად იყენებდა პრესას, სადაც დაბეჭდილი სტატიები ეროვნული მოძრაობის, ასევე, სასულიერო პირების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად და მათ შემდეგი ტერმინებით მოიხსენიებდა: „ბნელეთის მოციქულები“, „საბჭოთა ხელისუფლების შეუნიღბავი მტრები“, „ბურჟუაზიის ლაქიები“.

1922-1924 წლებში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საშინელი ტერორი და ხოცვა-ჟლეტა დაუპირისპირა. გაუსამართლებლად ხოცავდნენ ყველა ეჭვმიტანილს, გაანადგურეს ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, არც საეკლესიო მოღვაწეებს ზოგავდნენ. გენუის კონფერენციიდან დაბრუნებული ბუდუ მდივანი უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რადგან კათოლიკოსის მიერ კონფერენციაზე გაგზავნილმა მიმართვამ ზიანი მიაყენა საბჭოთა ხელისუფლებას, რომელსაც სახელი ისედაც გატეხილი ჰქონდა უცხოეთში.

ე. წ. „სამეულის“ გადაწყვეტილებით ქუთაისში დახვრიტეს მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), მღვდელი გერმანე ჯაფარიძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე. 1924 წლის 10 მარტს, სასულიერო პირების, მათ შორის კათოლიკოს პატრიარქის ამბროსის, ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღოლის კალისტრატე ცინცაძის და სხვათა წინააღმდეგ საქმის განხილვა მოეწყო. განსასჯელებს ბრალად ედებოდათ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებში მონაწილეობა, კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის მიერ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მიმართვა, ასევე, საქართველოს ეკლესია-მონასტრების საგანძურის გადამალვა. ბრალდებების მთავარ ნაწილს ამბროსი ხელაიას მიერ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი წერილი წარმოადგენდა, რითაც უწმინდესი შეეცადა საერთაშორისო მხარდაჭერა მოეპოვებინა. მის მიმართვაში ნათქვამი იყო: „დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და გათავისუფლდეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშისა და მძლავრობა-მიტაცებისგან. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება, როგორც მის ფსიქიკას, ხელისუფლებას, ზნე-ჩვეულებასა და ეროვნულ კულტურას შეესაბამება“ [2, 48-53]. 1924 წლის მარტში საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ „განიხილა რა საქმე ბრალდებისა ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაიასი, სამღვდელოებაში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასი, მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა – შვიდი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდასამი დღე, სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით, იმის გამო, რომ საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან ერთად მან შეადგინა და გენუის კონფერენციას გაუგზავნა მემორანდუმი, მოათავსა შიგ კონტრევოლუციური მიზნით ცრუ ხმები, ვითომ საქართველოს ერს ართმევენ ქონებას და გააქვთ საზღვარგარეთ, მიწა-წყალს ურიგებენ სხვა შემოხიზნულ ხალხს“ [3, 486-489, 48-53]. მას ბრალდება სხვადასხვა მუხლებით წაუყენეს. სასამართლოს დარბაზიდან უწმინდესი ხელბორკილებით გაიყვანეს.

ტყავის ქურთუკსა და რუსულ ჩექმაში გამოწყობილი „სამეულები“, დაუნდობლად, ასაკის მიუხედავად, ხვრეტდნენ ყველას, ვისთვის მთავარი ეროვნული ღირსება იყო. მათ უმთავრეს სამიზნეს – სასულიერო პირები, ინტელიგენცია და თავადაზნაურობა წარმოადგენდა. განსაკუთრებით კი უკანასკნელთ ემტერებოდნენ.

რეპრესიებს სერგო ორჯონიკიძემ „თავადაზნაურობის გამოშიგნვა“ უწოდა. ხელისუფლება მოქმედებდა საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი ლიდერის – ლევან ღოღობერიძის შემდეგი მოწოდების შესაბამისად: „თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ საქართველოში 6 პროცენტი თავადაზნაურობისაა. ეს არაჩვეულებრივი პროცენტია, რომელიც არც ერთ ქვეყანაში არ არის. თუ გინდ პოლონეთის პანების სამეფოშიც, სადაც თავადაზნაურობის პროცენტი ოთხ პროცენტს აღწევს. ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავად-აზნაურობის პროცენტი“ [4].

ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და კოტე აფხაზის მეთაურობით, 1922 წელს ხევსურეთში დაიწყო აჯანყება, რომელიც წინასწარ შემუშავებული გეგმით მიმდინარეობდა. 1922 წლის 12 მარტს, ჩოლოყაშვილი თავის თანამოაზრეებთან ერთად ქიზიყიდან ტყეში გაიჭრა და პარტიზანულ ბრძოლას შეუდგა. ხევსურეთში რაზმის წევრებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ იბრძოლებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ქ. ჩოლოყაშვილთან კავშირში იყო მთელი ქართველი მხედრობა, მათ შორის ბოლშევიკების ჯარში მყოფი ქართველი მეომრებიც. აჯანყებულებთან, ასევე, დაკავშირებული იყო ამიერკავკასიის წითელი ქართული დივიზიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი. იგი თანამოაზრეებს მოუწოდებდა: „...უნდა დაარწმუნო ქართული პოლიტიკური მეთაური ხალხი, რომ შეიარაღებული ბრძოლის ხვედრს ვერ გაექცევიან. აჯანყება მაინც მოხდება და თუ აქედანვე ყველანი ერთად სამზადისს შევუდგებით, გავიმარჯვებთ. პირობებიც ხელსაყრელი გვაქვს. საბჭოთა ჯარი კავკასიაში დღეს მცირეა და სუსტი. ამიერკავკასიაში 19.000. ამდენივე ჩრდილო კავკასიაში, თავის წითელ ჯარს კავკასიაში მოსკოვი დღეს ვერ დაეხმარება ვერც ერთი ზედმეტი წითელარმიელით. ან უნდა „გაიმარჯვოს ან გაწყდეს“, როგორც სწერენ აქაური ჯარის უფროსს მოსკოვიდან. უკანასკნელ შემთხვევაში, წარმოიდგინეთ, მოსკოვი მზადაა საქართველოზე სრულებით აიღოს ხელი“ [5]. მისი გეგმის თანახმად, რუსული ჯარი მთებში უნდა მოემწყვდიათ და შემდეგ გაენადგურებინათ. გადაწყდა, პირველ რიგში თბილისი დაეკავებინათ და იქედან რუსის ჯარი განედევნათ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კახეთიდან დაიხმარდნენ საჭირო ძალებს. მიუხედავად კარგად შემუშავებული სამხედრო გეგმისა, გადამწყვეტ ბრძოლაში ქაქუცას რაზმმა ვერ შეძლო რუსულ ჯართან გამკლავება. პარტიზანები ალყაში მოექცნენ. ხევსურეთის აჯანყება დამარცხდა. საბჭოთა ხელისუფლება, ქაქუ-

ცას პარტიზანული რაზმების წევრებისა და აჯანყებულ ხევსურთა მიმართ, დაუნდობელი და სასტიკი სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას შეუდგა. სერგო ორჯონიკიძის ინიციატივით, ხევსურეთის სიღრმეში მსხვილი სამხედრო შენაერთები შეიგზავნა, რომელთაც აჯანყების უმოკლეს ხანში ჩახშობა და ხევსურთა დასჯა დაევალა. ს. ორჯონიკიძე ბოლშევიკების იდეური მოწინააღმდეგეებისა და საშიში კლასობრივი მტრების ლიკვიდაციას ისახავდა მიზნად. ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა ხელისუფალთა მარცხით დამთავრდა. ალყაში მოქცეული ჩოლოყაშვილი გაუჩინარდა. აღმასკომის თავმჯდომარემ ს. სურგულაძემ, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ოპერაციას, ვერ შეასრულა სახკომსაბჭოს საგანგებო დავალება, რომლის მიხედვითაც მას ხევსურეთისაკენ მიმავალი ქ. ჩოლოყაშვილის რაზმისთვის გზა უნდა გადაეკეტა, რის გამოც იგი დროებით თანამდებობიდანაც კი გადააყენეს. ს. სურგულაძემ ქაქუცას რაზმისთვის გზის გახსნის მიზეზად, ფშავის მილიციის უფროსის, ლევან რაზიკაშვილის (ვაჟა ფშაველას ვაჟი) მიერ ბრძანების შეუსრულებლობა და ღალატი დაასახელა. საქართველოს შინსახკომის მოადგილისა და მილიციის სამმართველოს უფროსის, იოვიძის მიერ საქართველოს „ჩეკა"-სადმი, 1922 წლის 8 ნოემბერს, გაგზავნილ საიდუმლო წერილში ნათქვამი იყო, რომ თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის სიტყვიერი განცხადების თანახმად, მაღაროსკარის მილიციის უფროსს ლ. რაზიკაშვილს კავშირი ჰქონდა ბანდიტ ქ. ჩოლოყაშვილთან, რის გამოც სრული უმოქმედობა და თანაგრძნობაც კი გამოიჩინა მის მიმართ. ეს გახდა იმის საბაბი, რომ ლევან რაზიკაშვილი დაეპატიმრებინათ. ყველა საბრალდებო მასალა საქჩეკაში გადაიგზავნა. 1922 წლის 30 სექტემბერს, ლევან რაზიკაშვილი თიანეთის მილიციაში დაიბარეს, სადაც იგი თავისი ფეხით გამოცხადდა, მაგრამ როგორც ბრალდებული აღარ გაუშვეს. იგი დააპატიმრეს. მას ბრალად ბანდიტიზმში მონაწილეობა და სამსახურის თვითნებური მიტოვება წაუყენეს, რისთვისაც სასჯელლის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს. განაჩენის სისრულეში მოყვანა ცოტა გაჭიანურდა, იმ მიზეზის გამო, რომ ლ. რაზიკაშვილისგან, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია სურდათ მიეღოთ ქ. ჩოლოყაშვილზე. ცნობილია, რომ ლევან რაზიკაშვილი და ქაქუცა ერთად სწავლობდნენ თბილისის კეთილშობილთა გიმნაზიაში. 1915 წელს ქაქუცა ვაჟა ფშაველას დაკრძალვასაც დაესწრო. მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: კ. მაყაშვილმა, პ. იაშვილმა, ა. აბაშელმა, შ. დადიანმა და პ. ინ-

გოროყვამ, სერგო ორჯონიკიძეს ვაჟა ფშაველას შვილის შეწყალება სთხოვეს. ორჯონიკიძის პასუხი ასეთი იყო: ვაჟას შვილი კი არა, თვით ვაჟა რომ იყოს ცოცხალი, იმასაც დავხვრეტდიო. განაჩენი 1923 წლის 16 თებერვალს აღასრულეს. ლ. რაზიკაშვილი მაშინ 35 წლის იყო [6, 43].

1923 წლის 21 მაისს, დილის 4 საათსა და 30 წუთზე, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის იმავე წლის 19 მაისის დადგენილების საფუძველზე, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე 15 ქართველი დახვრიტეს. ესენი იყვნენ: კონსტანტინე აფხაზი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, გიორგი ხიმშიაშვილი, როსტომ მუსხელიშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, იასონ კერესელიძე, ივანე ქუთათელაძე, დიმიტრი ჩრდილელი, ნიკოლოზ ზანდუკელი, ლევან (ლელო) კლიმიაშვილი, სიმონ ჭიაბრიშვილი, ფარნაოზ ყარალაშვილი, ელიზბარ გულიაშვილი. მათი სიკვდილით დასჯის ნადვილი მიზეზი სამშობლოს სიყვარული და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისთვის თავგანწირული ბრძოლა იყო. 27 წლის ქართველმა ვაჟკაცმა, ბაგრატიონ-მუხრანელმა, დახვრეტის წინ შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა: „...თქვენ ხომ იცით რატომაც ვკვდები, მე მხოლოდ ის მადარდებს სამშობლოსთვის ვერაფერი რომ ვერ გავაკეთეთ, მაგრამ ჩვენს უკან რჩება ხალხი, რომელიც ჩვენს გასაკეთებელს გააკეთებს და ჩვენც იმქვეყნად გავიგებთ, როცა საქართველო იქნება თავისუფალი. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ [7, 34]. საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად უსწორდებოდა დახვრეტილი ქართველი გმირების ოჯახის წევრებს და ახლობლებს, ხდებოდა მათი გაუთავებელი დაბარება და დაკითხვა „ჩეკაში“.

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, ყოველგვარი გასამართლების გარეშე, სამხედრო შტაბის წევრებს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტის განაჩენი გამოუტანა. განაჩენის შინაარსი ასეთი იყო: „საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის მოწყობისა და მასში მონაწილეობის მიღების, ასევე, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატის გამო, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო კომისია ადგენს: შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებაში მონაწილე პირებს, მიესაჯოს დახვრეტა და განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას 24 საათის განმავლობაში“[7, 40]. სპეციალური კომისიის შემადგენლობაში, რომელმაც

აღნიშნული განაჩენი გამოიტანა, შედიოდნენ: პანკრატოვი (ეროვნებით რუსი), აშუკინი (ეროვნებით რუსი), პეტროსიანი (ეროვნებით სომეხი), ზონოვი (ეროვნებით რუსი), მახნოვსკი (ეროვნებით რუსი), მოგილევსკი (ეროვნებით ებრაელი), ასევე ქართველები: ეპიფანე კვანტალიანი, მიხეილ ორაგველიძე, შალვა ელიავა, ლავრენტი ბერია და გივი ლომინაძე.

მსხერპლთაგან რამდენიმე ისემძიმედ იყო ავად, რომ ჩეკა-ს ადმინისტრაციას ისინი საავადმყოფოში ჰყავდა გადაყვანილი. როდესაც ავადმყოფი ე. გულისაშვილი, განაჩენის სისრულეში მოსაყვანად, საავადმყოფოდან ჩეკა-ში მიჰყავდათ, ერთ-ერთმა ჩეკისტმა ცინიკურად ჰკითხა: ხომ იცი სად და რისთვის მიგამგზავრებენო. სიკვდილმისჯილმა ამაყად უპასუხა: „ვიცი, მივდივარ იმისთვის, რომ საქართველოსთვის მოვკვდე“ [8, 333].

ყველა სიკვდილმისჯილი სასტიკად აწამეს. ერთ-ერთმა მათგანმა ი. ქუთათელაძემ წამებას ვერ გაუძლო და ჭკუაზე შეირყა. ამას ჯალათებისთვის ხელი არ შეუშლია. ჭკუაზე შეშლილი კაცი დასაკლავი ხარივით გაათრიეს საავადმყოფოდან განაჩენის სისრულეში მოსაყვანად. ნიკო ზანდუკელი მძიმედ იყო ავად, მას 41 გრადუსი სიცხე ჰქონდა და უგრძნობლად იყო, როცა საკაცით „წაიღეს“ ჩეკა-ში. სიკვდილმისჯილნი ორ-ორი გაჰყავდათ საკნიდან და განსაკუთრებულ ოთახში უყრიდნენ თავს. სასიკვდილო განაჩენის წაკითხვისას პოლკოვნიკმა გიორგი ხიმშიაშვილმა ჯალათებს უთხრა: „ჩვენ ვიცით რისთვისაც გვკლავთ, თქვენც კარგად იცით, რომ ბანდიტები არა ვართ. მალე დადგება დრო და თეთრი გიორგი მრისხანედ მოგთხოვთ პასუხს, გაუმარჯოს საქართველოს!“. ამის შემდეგ ჯალათებს გაჭაღარავებულმა, რაინდული გარეგნობისა და სულის გენერალმა ვარდენ წულუკიძემ მიმართა: „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ. ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია. იგი გაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს, ერთი ათად გაამრავლებს მებრძოლთ“. გენერლის ასეთ გმირულ თავდაჭერას მთელ რუსეთში ცნობილ ჯალათზე თვით პანკრატოვზეც მოუხდენია შთაბეჭდილება და მისთვის უკითხავს: „თქვენ მართლა გმირულად კვდებით, გინდათ გადავცე რამე თქვენიანებს?“ ქართველ გენერალს სიამაყით უპასუხია: „გადაეცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ, ვით ქართველ პატრიოტებს შეჰფერის“. გენერალ კოტე აფხაზს, რომელიც გმირულად შეხვდა სიკვდილს, დახვეტის წინ უთქვამს: „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას

მოუტანს საქართველოს". პოლკოვნიკ ა. მაჭავარიანს ჯალათებისთვის განუცხადებია: „ჩვენ არ გიპირებდით შებრალებას და არც თქვენგან მივიღებთ ლმობიერებას. ეს ჩვენი შეურაცყოფა იქნებოდა". მშვიდ და მუდამ აუღელვებელ გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილს მტრისთვის შემდეგი სიტყვები უთქვამს: „იქნებ ქართველები ყველა ასეთები გგონიათ? (მიუთითა ჩეკა-ს წევრ ეპიფანე კვანტალიანზე), მრავალი ათასი ჩვენზე უკეთესები, ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიკვდილს". დიმიტრი ჩრდილელს ჯალათებისთვის უთქვამს: „რუსეთში დაივიწყეს იდეისათვის თავგანწირულად სიკვდილი. წადით და უთხარით მათ თუ როგორ იბრძვიან ქართველები სამშობლოსათვის!". როდესაც ჯალათები უკანასკნელი ოპერაციის სისრულეში მოყვანას შეუდგნენ და მსხვერპლთ ხელ-ფეხის შეკვრა დაუწყეს, გენერალი ვ. წულუკიძე მათ გაუძალიანდა და უთხრა: „ჯალათებო, ნუ მიკრავთ ხელებს, კარგად იცით, რომ მონები არა ვართ..." [9, 40-53]. ყველა მათგანი, ხელ-ფეხ შეკრული ორ საბარგო მანქანაზე დაჰყარეს და სასაკლაოსკენ გააქანეს. ავტომობილებს ორივე მხრიდან შეიარაღებული კავალერია მიჰყვებოდა, რომელთაც წინ მსუბუქი ავტომობილით პანკრატოვი მიუძღოდა. გზაში კ. აფხაზმა და დ. ჩრდილელმა მოახერხეს ხელები გაეხსნათ გ. ხიმშიაშვილისთვის. იგი კისერში სწვდა ერთ-ერთ კომენდანტს და რევოლვერი გამოგლიჯა, შემდეგ ავტომობილიდან გადახტომა მოახერხა, თუმცა მას ბედმა უმტყუნა, გადახტომის დროს რევოლვერი დაუვარდა, მას ცხენოსნები დაედევნენ და ფეხებში დაჭრეს. ამის შემდეგ ორმა ჯალათმა – ამიროვმა და აბაზოვმა, ქართველი გმირი ტყვიებით დაცხრილეს, წაიყვანეს და პირველი ჩააგდეს წინასწარ გამზადებულ ორმოში. დახვრეტაში პირადი მონაწილეობა მიიღო პანკრატოვმა. ასე დახვრიტეს 1923 წლის 21 მაისს, თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე, თხუთმეტი ქართველი გმირი. ქართველი პატრიოტების დახვრეტის შემაძრწუნებელმა ამბავმა, ერი გლოვის ძაძებში გაახვია. ამ შემზარავმა ამბავმა კიდევ უფრო გააძლიერა ქართველი ერის შეურიგებელი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის.

1922-1924 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მარცხის შემდეგ, ბოლშევიკების ტერორის შიშით, საქართველოდან ემიგრაციაში წასულთა ნაკადმა მოიმატა. ქართველი ემიგრანტები, ძირითადად, თურქეთში, საფრანგეთში, პოლონეთში, გერმანიასა და ინგლისში დასახლდნენ. ქართული ემიგრაცია საბჭოთა სპეცსამსახურების სამიზნე გახდა. ქართულ ემიგრაციაში

ჩასანერგად ქართველი მზვერავები და აგენტები აქტიურად იღწვოდნენ. მათი მთავარი ამოცანა ქართული ემიგრაციის დაქსაქსვა და აქტიური პოლიტიკური ლიდერების ლიკვიდაცია იყო. ისინი ემიგრაციის პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ კომპრომატების შეგროვებით იყვნენ დაკავებული და მათი სახელის შებღალვას ცდილობდნენ. იგეგმებოდა ემიგრაციაში მოღვაწე პირთა მოტაცება და ადგილზე ლიკვიდაცია. საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული ემიგრაციის ყველა გეგმა და გადაწყვეტილება იცოდა. 1923 წლიდან ინტელიგენციის მიმართ რეპრესიები გაძლიერდა. გაჩნდა დასჯის სასტიკი, ახალი მეთოდები – საყოველთაო დახვრეტა ყოველგვარი საქმის გარჩევის გარეშე – ადმინისტრაციული წესით. დაიწყო პატიმართა გადასახლება შრომა-გასწორების რუსეთის შორეული ჩრდილოეთის ბანაკებში, საიდანაც დაბრუნება სათუო იყო.

1924 წლის აჯანყების დღეებში, როცა საქართველო სისხლისგან იცლებოდა, ჟენევაში ერთა ლიგის V-ე ყრილობა მუშაობდა. 5 სექტემბერს ყრილობას, ქართველი ხალხის სახელით მიმართეს, ემიგრაციაში მყოფმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა აკაკი ჩხენკელმა, ასევე, საქართველოს ემიგრაციული მთავრობის დელეგატმა ერთა ლიგის წინაშე ხარიტონ შავიშვილმა. 6 სექტემბერს, იმავე ყრილობას გადაეცა საქართველოს ეროვნული მთავრობის მეთაურის ნოე ჟორდანიას შემდეგი დეპეშა: „საოკუპაციო ხელისუფლებისაგან 3 წლის უმაგალითო ჩაგვრით სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი ქართველი ხალხი აჯანყდა. ათი დღეა წარმოებს გააფრთებული ბრძოლა მოსახლეობასა და რუსის ჯარს შორის. სწვავენ სოფლებს, გაუსამართლებლად ხვრეტენ დიდი ხნიდან დატუსაღებულ პოლიტიკურ ტყვეებს. ხალხი იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობის აღსადგენად, რომელიც მოსტაცა მას მოსკოვის მთავრობამ, გათელა რა ფეხქვეშ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება. ვთხოვ ერთა ლიგას, რომლის დანიშნულებაა საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება და სისხლიანი ბრძოლების შეჩერება, ჩაერიოს ამ საქმეში და წინადადება მისცეს მოსკოვის მთავრობას, რომ მან შეაჩეროს სამხედრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო კონფლიქტის მოგვარება გადასცეს საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს“ [10]. ჟორდანიას იმავე შინაარსის დეპეშა გადაეცა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ე. ერიოს და ინგლისის პრემიერ-მინისტრს რ. მაკდონალდს. ნ. ჟორდანიამ დეპეშით მიმართა, ასევე, რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომა-

რეს რიკოვს და მოუწოდებდა მას შეეჩერებინა სისხლისღვრა და კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის და საკითხი, მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსთვის გადაეცა. ერთა ლიგის 11 სექტემბრის სხდომაზე საქართველოს საკითხთან დაკავშირებით ცნობილი ფრანგი სოციალისტა პოლ ბონკური გამოვიდა. მან თქვა: „...ყველანი ვგრძნობთ, თუ რამდენად ამაღელვებელი და ერთგვარად პარადოქსულია ის გარემოება, რომ ჩვენ აქ შევყრილვართ ზავის ინტერესებზე და მის განსამტკიცებლად საუკეთესო საშუალებებზე დამშვიდებით მოსალაპარაკებლად და სწორედ, ამ დროს დედამიწის ერთ კუთხეში საომარი მდგომარეობაა. იღვრება სისხლი, ხდება ხოცვა-ჟლეტა და ტანჯვა-ვაების ხმა კვლავ წვდება ზეცას. ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ ამ ამბების წინაშე ერთა ლიგა მდუმარე დარჩეს და თავისი მოვალეობა არ შეასრულოს. მართალია, მდგომარეობა მეტის-მეტად დელიკატურია და გართულებულია იმ ფაქტით, რომ საომარი მოქმედება წარმოებს ორ სახელმწიფოს შორის, რომლებიც ერთა ლიგაში არ ირიცხებიან, მაგრამ ისინი, ვინც დაარსა და მოაწყო ერთა ლიგა და დააწესეს ჩვენი გამაერთიანებელი ხელშეკრულება, საკმაოდ წინდახედულნი და ჰუმანურნი იყვნენ: მათ გაითვალისწინეს ისიც, რომ ერთა ლიგამ უნდა გამოიჩინოს უნივერსალური მზრუნველობა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო თავისი რიგებისათვის ყურადღების მიქცევით, არამედ გაავრცელოს თავისი ზრუნვა მორიგებისათვის იმათზედაც, ვინც ჯერ ლიგის წევრი არაა“ [10].

საბჭოთა ხელისუფლების ლიდერებმა 1924 წლის აჯანყება, იმთავითვე შეაფასეს, როგორც „ავანტურა“, „კონტრრევოლუცია“, „ბანდიტური გამოსვლები“. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოების ფურცლებზე გაისმოდა საბჭოთა ლიდერების მუქარა: „აღვგავოთ პირისაგან მიწისა“, „სიკვდილი მენშევიკებს“, „მენშევიკები უნდა დავასამაროთ“ [11]. საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზების შესასწავლად სპეციალური კომისია შექმნა, რომელშიც შევიდნენ: ს. ორჯონიკიძე, ვ. მოლოტოვი, ი. ზელენსკი, ე. კვირინგი, დ. მანუილსკი. 1925 წელს გამოიცა ე. კვირინგის ბროშურა, სადაც მან შემდეგი დასკვნა გააკეთა: „ქართული აჯანყებიდან ჩვენ გაკვეთილები უნდა მივიღოთ, რათა ქართული მოვლენა სხვაგანაც არ განმეორდეს“ [12, 35-36].

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ თავისებური შეფასება მისცა 1924 წლის აჯანყებას. ბროშურაში „რა მოხდა“, მან ხაზი გაუსვა აჯანყების დადებით და უარყოფით მხარეებს. დადებით მხარედ მას მიაჩნდა ის, რომ აჯანყებამ გააერთიანა მთელი ერი. იგი წერს: „...მან ამით საჯაროდ დასვა საქართველოს საკითხი და მისკენ მიაპყრო ქვეყნის ყურადღება. ერთი გამოსვლით ერი ვერ განთავისუფლდება, მაგრამ განთავისუფლების საქმეს კი წინ წასწევს. მტერი და მოყვარე დარწმუნებული უნდა იყოს ჩვენს განთავისუფლების სურვილში. ეს სურვილი კი ცხადდება მხოლოდ ბრძოლით, მასის ამოქმედებით. აი ეს სურვილი ჩვენმა ქვეყანამ აჯანყებით გამოხატა და მსხვერპლის გაღებით ამცნო კაცობრიობას თავისი დროშა და მისწრაფება...“ [13, 7]. აჯანყების უარყოფით მხარედ მას მიაჩნდა ის, რომ სიმძიმის ცენტრი შეიარაღებული გამოსვლებიდან უიარაღოთა გამოსვლებში, რევოლუციურ მოძრაობაში გადავიდა; აჯანყება დაფარა რევოლუციამ და ამით ის დაასუსტა. რაც შეეხება აჯანყების შედეგებს იგი წერს: „...აგვისტოს აჯანყებას ქონდა დიდი დადებითი შედეგები. შიგნით მან გააერთიანა მთელი ერი, ამოთხარა ორმო ჩვენს და მტრის შორის, გარეთ მან დასვა ჩვენი საკითხი პრაქტიკული პოლიტიკის დღის წესრიგში... ცხადია, აჯანყების საზომი არის არა გამარჯვება-დამარცხება, არამედ სულ სხვა რამ, რასაც პირდაპირი კავშირი არ აქვს ამ დაუყონებლივ შედეგებთან. აჯანყების ერთ-ერთი საზომია მისი პოლიტიკური მიზანი, მისი იდეოლოგა. მომხრე ამ იდეოლოგიისა მომხრეა მისთვის გაღებული მსხვერპლისაც, მოწინააღმდეგე ამ იდეოლოგიისა – მოწინააღმდეგეა აჯანყებისაც...“ [13, 8-9].

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ყველა პოლიტიკური ძალა, გარდა ბოლშევიკებისა, იზიარებდა აზრს, რომ 1924 წლის აჯანყება ეროვნულ ხასიათს ატარებდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი წამომადგენელი შალვა ამირეჯიბი (1887-1943 წწ.), რომელიც აჯანყების დამარცხების შემდეგ, 1925 წელს იძულებული გახდა უცხოეთში გახიზნულიყო, ასე აფასებს 1924 წლის აჯანყებას: „...აგვისტოს აჯანყებით საქართველოში ახალი ისტორია დაიწყო. მისი პათოსი გამოიხატა არა გამარჯვებაში, რომელიც აჯანყებას არ მოჰყოლია, არამედ იმ მოწამებრივ სიკვდილში, რომლითაც ქართველები წმინდა ქართულის იდეალებისთვის იხოცებოდნენ“ [14].

საბჭოთა რეპრესიების შედეგად დახრეტილთა და გადასახლებულთა ზუსტი რიცხვი უცნობია. ერთ-ერთი წყაროს ცნობით: „სხვადასხვა კუთხეებში დახვრიტეს: ქ. ბათუმში – 100-მდე კაცი; ქ. სამტრედიის რაიონში (ახლომდებარე სოფლებით) – 90-მდე; ქ. ფოთში – 20 კაცი; ქ. ოზურგეთში – 8 კაცი; სამეგრელოში (ზუგდიდის და სენაკის მაზრებში) – 800 კაცი. დიდი უმრავლესობა (90 პროცენტი) ამათი იყო სოფლის მშრომელი გლეხკაცობა; ქუთაისში – 300 კაცი, მათ შორის, ბევრი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები და მოწინავე მუშები, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს არქიეპისკოპოსი მიტროპოლიტი ნაზარი; ქუთაისის მაზრა (ხონი, ბაღდათი და მათი რაიონები) – დამსჯელმა ექსპედიციებმა მოახდინეს საშინელი განადგურება. გადასწვეს სახლები, წაართვეს გლეხობას სარჩო-საბადებელი და დახვრიტეს 150 კაცი; ჭიათურასა და ზესტაფონში – 200; რაჭა-ლეჩხუმში – 300; ზემო სვანეთში ბრძოლა 25 სექტემბრამდე გრძელდებოდა და დიდი მსხვერპლი იყო. 14 კაცი კი სვანეთიდან წაყვანილ და დახვრეტილ იქნენ სამეგრელოში; ქ. ხაშურში – 29 კაცი; ქ. გორში – 400-მდე; გორის მაზრაში (ქალაქის გარდა) – 500-მდე, რომელთა შორის 26 მღვდელი, 2 ქალი, დანარჩენი მშრომელი გლეხკაცობა და ინტელიგენცია; დუშეთსა და დუშეთის მაზრაში – 150; კახეთში (თელავისა და სიღნაღის მაზრა) ამოწყვეტილია დიდი ნაწილი თავად-აზნაურობისა – 300 კაცამდე; ბორჩალოს მაზრაში მაჰმადიანთა და ქართველთა შორის – 70; მანგლისსა და სართიჭალაში – 200-მდე. აფხაზეთიდან და ახალციხე-ახალქალაქის რაიონებიდან დაპატიმრებულები აქ, მეტეხში, არ ჩამოუყვანიათ, ამიტომ, ჩვენ შეძლება არ გვქონდა გამოგვერკვია იქ დახვრეტილთა რიცხვი. ამრიგად, მთელ საქართველოში დახვრეტილთა და დახოცილთა რიცხვი, რამდენათაც ჩვენ შევძელით აქ მოყვანილ პატიმართა ცნობებით გამოგვერკვია, აღწევს 3918 კაცს, თუმცა დახვრეტილთა რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტია“ [15-16, 21, 241-243].

განსხვავებული მონაცემები აქვთ ბოლშევიკებს. ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე, ორჯონიკიძემ განაცხადა: „1921 წელს ჩვენ შევედით საქართველოში ისე, რომ ჩვენს წინააღმდეგ განწყობილი იყო მენშევიკების მიერ დაშინებული და პროვოცირებული თითქმის მთელი მოსახლეობა... როგორი იყო ეროვნული საკითხის როლი ამ აჯანყებაში? აჯანყება დაიწყო „დამოუკიდებელი საქართველოს“ დროშით, რუსების გაძევებისა

და საქართველოს რუსების ჩაგვრისაგან განთავისუფლების ლოზუნგით... ორი სიტყვა რეპრესიებზე. ამაზე ბევრს ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ ყოველგვარ სისულელეს. ამბობენ, რომ დახვრიტეს 3-5 ათასი კაცი და ა. შ. სამწუხაროდ, ამაზე აქ, მოსკოვში, ლაყბობენ ქართველი კომუნისტები, თუმცა მშვენივრად იციან, რომ ეს სისულელეა. აჯანყების ჩახშობის დროს სულ დახვრეტილი და მოკლულია 980 კაცი. მათგან, ყოველ შემთხვევაში, 95 პროცენტი თავად-აზნაურები არიან. ტროცკის შეკითხვას – ჩვენი დანაკარგები რამდენია? ორჯონიკიძემ უპასუხა – 150 კაცი. პოლიტბიურომ შეგვახურა იმისათვის, თითქოს არ გაგვეთვალისწინებინოს საქართველოში აჯანყების საერთაშორისო მნიშვნელობა და მიგვემართოს მასობრივი დახვრეტებისათვის. როგორც ჩანს, ეს საყვედური მართებულია. მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს. იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება [17-18, 3].

1921-1924 წლებში ციხეებში ჩეკისტების მიერ პატიმრებისადმი სადისტური მოპყრობის შესახებ ფრანგი პოლკოვნიკი რემონ დიუგე წერს: „პატიმარს, ვინც უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე ან აცხადებს, რომ არაფერი იცის, თავზე რკინის რკალს აცმევენ და ნელ-ნელა უჭერენ. ასობით და ათასობით ქართველს აწამებენ ამგვარად. ამის შედეგად ბევრი დაიღუპა, ბევრიც გაგიჟდა. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი და არაადამიანურია წამება, რომელსაც განიცდიან ტუსაღები დახვრეტის მოლოდინში. საკნებში ჩაკეტილმა პატიმრებმა უკანასკნელ წუთამდე არ იციან, რა ბედი მოელით: გაათავისუფლებენ, ციხეში დატოვებენ თუ დახვრეტენ ერთდროულად ყველას. ჩეკა არაკომპეტენტურად მიიჩნევს სასამართლოებს პოლიტიკურ პატიმართა მიმართ. ამიტომ მათ საქმეებს თვითონ ჩეკა განიხილავს. ჩეკას მიერ გამოყოფილ მოსამართლეს ეძლევა განკარგულება: გამოიტანოს განაჩენი უფროსის მითითების შესაბამისად, ან სიკვდილი და სხვა. ბრალდებულს სასამართლოზე არასოდეს ეძახიან. მას არ ჰყავს ვექილი. განაჩენი თავმჯდომარეს გამოაქვს. მას გვერდით რამდენიმე ჩეკისტი უზის. განაჩენი საბოლოოა და აპელაციას არ ექვემდებარება. ტუსაღები ჩამწყვდეულნი არიან ციხის ერთ საკანში, ხშირად წყლიან სარდაფში. შუაღამისას, ორსა თუ სამ საათზე მათ ჩეკისტები აღვიძებენ. ჩეკისტების უფროსი, ხშირად მთვრალი, პატიმართა შორის დადის და შეურაცხყოფას აყენებს მათ. უფროსს ხელში 12-დან 15-მდე ტუსაღის სია უჭირავს, რომელთაც სიკვდილი აქვთ მისჯილი. ყოველი პატიმარი ამ სიის წაკითხვას სასოწარკვეთით ელის. სიის წა-

კითხვას რომ მორჩებიან, პატიმრები თითო-თითო გადიან საკნიდან. კარებთან მათ ჯალათები ელიან. გამოვლენ თუ არა, თავში მათრახს ურტყამენ, ტომარაში აგდებენ და მანქანებით დახვრეტის ადგილას მიჰყავთ. ტომრებში ჩაყრილ გულწასულ ტუსაღებს ჩეკისტები და წითელი ჯარისკაცები ასხედან ზედ. დახვრეტილების ჩასაყრელად თხრილები უკვე გამზადებულია. გზაში ზოგიერთი გულწასული გონზე მოდის. ისინი ტომრებიდან ამოჰყავთ და თხრილის წინ ამწკრივებენ. თითოეულს კეფაში დიდი კალიბრის რევოლვერს უმიზნებენ. ესვრიან ზურგიდან. ასე დახვრეტილის სახის ცნობა შეუძლებელია.ზოგჯერ პატიმრები უარს ამბობენ გამოვიდნენ საკნიდან. მაშინ იწყება ბრძოლა შეიარაღებულ ჩეკისტებსა და პატიმრებს შორის. მალე საკანი სასაკლაოდ იქცევა. მოკლულთა შორის ჩეკისტებიც არიან [19, 97-98].

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, 1924 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე – ვალიკო ჩუბინიძე ციხეებში ჩეკისტების მიერ პატიმრებისადმი სადისტური მოპყრობის შესახებ, წერს: „ჩეკისტებმა ჯერ შემიკრეს ხელები, მერმე ფეხები. ჩემი ხელები გადააცვენ ფეხებს და შუაში თოფის ზუმპა გამიყარეს. გავკოტრიალდი ძირს, მომდგნენ და დამიწყეს ცემა, ხან ხელით, ხან – თოფის ზუმპით. ამ უკანასკნელს დაუზოგავად მირტყამენ ფეხის გულზე. ვყვირი, რაც შემიძლია და მალე ვკარგავ გრძნობას [20, 223-224].

„საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტების“ არალეგალური პუბლიკაციაში: „ოკუპაციის ბარბაროსობა საქართველოს ბასტილიებში და ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაცია“ (1924 წლის აპრილი), გადმოცემულია იმ „სიმხეცის შესახებ, რომელსაც ჩეკას საგანგებო საკნებში ჯალათები სჩადიან“ „მოქალაქეთა ქურდული მოტაცება“ – ბნელი ქუჩიდან პიროვნებას მოულოდნელად იტაცებენ, მიჰყავთ ჩეკაში, უყენებენ ყალბ ბრალდებას, დახვრეტის მუქარით აშინებენ, ეუბნებიან შენ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ჩაგთვლიან, მისგან მოითხოვენ ითანამშრომლოს ჩეკასთან და გასცეს თანამებრძოლები; ბ) „რუსული როზგი“ – მეფის დროიდან კარგად ცნობილი რუსული როზგებით, მუშტებით, რკინის ზუმბებით და მსგავსი საშუალებებით პატიმრის ფიზიკური შეურაცხყოფა; გ) „ტუსაღების დამშევა“ – მთელი კვირის და თვეების განმავლობაში სადილის აკრძალვით პიროვნების ფიზიკური და სულიერი დაუძლურება; დ) საკნები – „ბოჭკა“ და „ჩექმა“ – პატიმრის სპეციალურ სათავსოში მოთავსება, რომელთაგან იგი პირველში ვერ იმართება,

მეორეში კი იძულებული ხდება იქვე დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ადამიანური მოთხოვნილება, განიცადოს აუტანელი სიმყრალე და გულზე შემოყრა; ე) „დახვრეტის სიმულაცია“ – პატიმარს უკითხავენ ყალბ განაჩენს, ღამით ნამდვილად დასახვრეტთან ან ინდივიდუალურად გაჰყავთ, დახვრეტის პროცედურას განაცდევინებენ და ცდილობენ მის დამორჩილებას; ვ) ჭაობიანი „პადვლები“ – პატიმარს აუტანელი ყინვის დროს შიშველს ხანგრძლივად ათავსებენ ჭაობიან, ვირთხებით სავსე სარდაფში“ [21, 280].

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ერთა ლიგას, საქართველოში არსებული საბჭოთა ტერორის შესახებ, 1923 წლის 26 მაისი სპეციალური მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია: „ქართველი ერის სახელით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის გარშემო ადგილობრივ შემოკრებილია დღეს მრავალტანჯული ქართველი ერი, მიმართავს ერთა ლიგას. 1921 წლის თებერვალში რუსის ჯარი მოულოდნელად შემოესია ჩვენს საქართველოს... რუსეთმა ის კვლავ დაიპყრო. დღეს საქართველო კვლავ რუსეთის ოკუპაციის ქვეშ არის. ეს ოკუპაცია-დაპყრობა არ შეედრება არც ერთ ისტორიაში არსებულ ეროვნულ ძალდატანებას და დაპყრობას... საქართველოში გამეფდა უსაშინლესი კულტურული და ფიზიკური ტერორი. დღეს საქართველოს განაგებს რუსეთის ჩეკა და დამსჯელი რაზმები... საქართველო სასაკლაოდ არის გადაქცეული. ნადგურდება და ისპობა პატარა კულტურული ერი. რუსეთის ჩეკამ და დამსჯელმა რაზმებმა ამ ორი წლის განმავლობაში ააოხრეს, ცეცხლს და მახვილს მისცეს საქართველოს მთელი ოლქები: კახეთი, სვანეთი, გურია. ამ ორი თვის წინათ გურია, საქართველოს ეს საუკეთესო და კულტურული ნაწილი, სამხედრო ექსპედიციებმა მთლად გაანადგურეს. აქ ჩეკამ გაგზავნა დამსჯელი რაზმების მეთაურად ყოფილი ყაჩაღი, ახლა ბოლშევიკი ობოლაძე. ობოლაძემ გადასწვა მთელი სოფლები, დახვრიტა უდანაშაულო ხალხი, ცეცხლში დაწვა ახალგაზრდა უდანაშაულო 15 წლის ვაჟი. ეს ვერაგი მოკლეს და ამ მკვლელობას დამპყრობლებმა იმით უპასუხეს, რომ ერთ ღამეში 92 კაცი გამოიყვანეს თბილისის ციხიდან და დახვრიტეს, მათ შორის, 15 პოლიტიკური მოღვაწე, მასწავლებლები, სტუდენტები, კოოპერატორები, მუშები, გლეხები... ამა წლის 20 მაისს რუსეთის ჩეკამ გაუსამართლებლად დახვრიტა 15 ქართველი მხედარი, ქართველი მხედრობის ხელმძღვანელნი – გენერლები, შტაბის ოფიცრები, სახელგანთქმული მეომრები და პოლიტიკური მოღვაწენი...“ [22, 39-40]

„საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოკლე ისტორიაში“ მითითებულია, რომ „რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოში დახვრეტილ იქნა 4000-ზე მეტი ადამიანი“ [23, 37].

1924 წლის აჯანყების ერთ-ერთმა მეთაურმა, საბჭოთა ხელისუფლებისგან მსჯავრდებულმა „დამკომის“ თავმჯდომარემ – კოტე ანდრონიკაშვილმა მსხვერპლის შესახებ შემდეგი ცნობები მიაწოდა 1925 წელს, თბილისში მყოფ, საფრანგეთის მუშათა პროფკავშირულ დელეგაციას: „აჯანყებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაცემებით, გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯილია ოთხი ათასზე მეტი ადამიანი, რამოდენიმე ასეული გასახლებული რუსეთში... ბევრია კიდევ მსხვერპლი, რომლის რაოდენობა ჩვენ ჯერ არ ვიცით“ [24, 5]

ნოე ჟორდანია თავის სტატიაში „რა მოხდა?!“ ასახელებს 5000 დაღუპულს. რემონ დიუგე წერს: „ზუსტად არავინ იცის, მაგრამ ამბობენ, ამ ველური რეპრესიების შედეგად 7000 ადამიანი დაიღუპა“ [19, 121]. ქართველი სოციალ-დემოკრატის - იოსებ ირემაშვილის (1879-1944 წწ.) გადმოცემით: „1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყებაში 6000 კაცი დაიღუპა“ [25, 95).

მსხვერპლთა შესახებ სრულიად განსხვავებულ ციფრს ასახელებს სერგო ორჯონიკიძე: „აჯანყების ჩახშობის დროს სულ დახვრეტილი და მოკლულია 980 კაცი“ [26, 3].

საბჭოთა ხელისუფლებას, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ქართველი ხალხისადმი თანაგრძნობა განსაკუთრებით აღიზიანებდა. სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრმა – გიორგი ჩიჩერინიმა, საქართველოს შესახებ „ერთა ლიგის“ მიერ 1924 წლის სექტემბერში მიღებულ რეზოლუციასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოდან რუსეთის ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვდა, განაცხადა: „ე. წ. „ერთა ლიგის“ წმინდა აგიტაციური გამოსვლა და წმინდა ბუტაფორიული ე. წ. აჯანყება საქართველოში ერთი და იგივე გეგმის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. უიმედო, სრულიად დეკორატიული აფეთქება საქართველოში შეკვეთილია მათ მიერ, ვინც მას შემდგომში საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული სააგიტაციო კამპანიის და, კერძოდ, მასთან შეთანხმებების წინააღმდეგ იყენებდა. მთელი რიგი დოკუმენტები დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ უიმედო ქართული აფეთქება შეკვეთილი, მომზადებული და მხარდაჭერილი იყო ბურჟუაზიული მთავრობების მიერ. ერთა ლიგის სრულიად დაუშვე-

ბელმა რეზოლუციამ, რომელიც სსრ კავშირის საშინაო საქმეში უხეშ ჩარევას წარმოადგენს, საბოლოოდ გახსნა ჩვენი მოწინააღმდეგეების კარტები. ისინი განგებ ცდილობენ, შექმნან ცრუ აჯანყება იმისათვის, რათა გამოიყენონ ის თითქოსდა მრავალრიცხოვან სახელმწიფოთა აგიტაციური გამოსვლებისათვის და დარტყმა მიაყენონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, მოახდინონ მისი დისკრედიტაცია და იზოლირება“ [27, 533].

ქართველი ემიგრანტი ისტორიკოსი ალექსანდრე მანველიშვილი 1924 წლია აჯანყების შესახებ იგონებს: „...აჯანყებისა დღეებში ქ. ახალციხეში ვიყავი. აქ აჯანყებას ადგილი არ ჰქონია. ანდა ვინ უნდა აჯანყებულიყო, როდესაც აქ ქართველობა უმცირესობაში, დაჩაგრული ვიყავით და ჩვენს საკუთარ მიწაზე „უცხოელები“ ვიყავით და აქაც აუარებელ ქართველს იჭერდნენ და ქალაქში რომ ადგილი აღარ იყო, ქართულ სოფლებში რომ ხალხს იჭერდნენ სომხის სოფლებში ატუსაღებდნენ. ორი სრულიად უდანაშაულო ქართველის დახვრეტაც მოასწრეს. ერთი იყო პოლკოვნიკი ოთხმეზური, მეორის გვარი არ მახსოვს... და თუ აქ, სადაც, ვიმეორებ ერთი თოფიც არ გავარდნილა და ასე იქცეოდნენ, წარმოსადგენია რა უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოში, სადაც მთელი მოსახლეობა იარაღით ხელში გამოვიდა!.. სხვათა შორის რუსი კომუნისტი ბესედოვსკი აცხადებს, რომ როდესაც საქართველოს აჯანყების ამბავი მისულა მოსკოვში, კომუნისტებს ძალიან შეშინებიათ, ყველგან არ მოხდეს აჯანყებაო. ამიტომ მაშინათვე ბრძანება გასცეს და დაიწყეს ისეთი ხალხის დახვრეტაც, ვინც იქ ციხეებში ჰყავდათ და საქართველოს აჯანყებასთან კავშირი არ ჰქონიათ [8, 345].

მიუხედავად უზარმაზარი მსხვერპლისა, 1922-1924 წლებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში, ასევე, უცხოეთში მყოფი ქართველების მხრიდან, სახალხო ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. მაშინ როდესაც ბოლშევიკებმა 1924 წლის აჯანყება მღვდლებისა და თავადების ავანტიურად გამოაცხადეს და უამრავ მუშასთან და გლეხთან ერთად, თავადაზნაურების მთელი ოჯახები ამოჟლიტეს, ცნობილი კომუნისტი კ. კაკაბაძე აღიარებს, რომ „...აჯანყება იყო მასიური, ხალხური. მისი მთავარი მამოძრავებელი ძალები იყვნენ გლეხები და მუშები. რა თქმა უნდა ყოფილი თავადაზნაურობაც და მღვდლებიც იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ როგორც ქართველები და არა როგორც რომელიმე წოდების წარმომადგენლები“ [8, 341].

1922-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესწავლას, შეცდომების გამოაშკარავებას და სათანადო დასკვნების გაკეთებას დღესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს ტერიტორიის 20%, დღემდე უკანონოდ არის დაკავებული რუსეთის ჯარების მიერ. ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცებისთვის დღემდე გრძელდება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (II), ფონდი 6, საქმე 22254.
2. კათალიკოსი ამბროსის კონდაკი გენუის კონფერენციას, ტფილისი, 7 თებერვალი, 1922.
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (III), ფონდი 14, აღწ. 2. საქმე №22, ასევე, ნინო ყიფშიძე, 1924 წელს დაპატიმრებულ სასულიერო პირთა განაჩენი, ჟურნალში: საარქივო მოამბე, №9, 2010.
4. ნანა ღვინეფაძე, ბედი სასტიკი და ლამაზი!.. პორტრეტი პასტელში, გაზეთში: ახალგაზრდა ივერიელი, თბილისი, 26 მაისი, 1990.
5. დ. ვაჩნაძის მოგონება, ჟურნალში: მხედარი, №14-15, პარიზი, 1926.
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (II), ფონდი 6, საქმე 22905-61.
7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (II), ფ. 6, საქმე 23540-61.
8. ალექსანდრე მანველიშვილი, რუსეთი და საქართველოდ დამოუკიდებლობა, სან ფრანცისკო, 1984.
9. სამშობლოს თავდადებულ გმირთა ხსოვნას, სტამბოლი, 1923.
10. ჟურნალი ბრძოლა, №3, სექტემბერი, პარიზი, 1925.
11. გაზეთი კომუნისტი, №202, 1924.
12. Е. Квиринг, Уроки Грузинского восстания. Издателство „Пролетарий“, Харьков, 1925.
13. ნოე ჟორდანია, რა მოხდა, პარიზი, 1925.
14. ჟურნალი სამშობლო, №2, აგვისტო, პარიზი, 1929.
15. 1924 წლის აგვისტოს დღეების ქრონიკა (სად რამდენი დახვრიტეს), ჟურნალში: ბრძოლა, № 9, პარიზი, 1926.
16. ვალიკო ჩუბუნიძე, მოგონება, წიგნი მეორე, პარიზი, 1953.

17. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 19 თებერვალი, 1991.
18. ავთანდილ სონღულაშვილი, 1924 წლის აგვისტო საქართველოში, კრებულში: დიდგორი, თბილისი, 1991.
19. რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, ფრანგულიდან თარგმნეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა, გამომცემლობა „ჯისიაი", თბილისი, 1994.
20. ვალიკო ჩუბუნიძე, მოგონება, წიგნი მეორე, პარიზი, 1953.
21. გიორგი ციციშვილი, სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, წიგნი I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.
22. რევაზ გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1992.
23. საქართველოს ს.-დემ. მუშ. პარტიის მოკლე ისტორია, პარიზი, 1933.
24. ნესტან კირთაძე, ერთი რგოლი ისტორიის ჯაჭვში, გაზეთში: ლიტერატურული საქართველო, 8 სექტემბერი, 1989.
25. იოსებ ირემაშვილი, სტალინი და საქართველოს ტრაგედია, ბერლინი, 1932; თბილისი, 2006.
26. ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული... საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ოქმის ამონაწერის კომენტარი, გაზეთში: საქართველოს რესპუბლიკა, 19 თებერვალი, 1991.
27. ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ბონდო კუპატაძემ, გოჩა საითიძემ, ჯაბა სამუშიამ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004.
28. ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2011.

Lela Saralidze
Doctor of history, TSU, Ivane Javakhishvili Institute of history and ethnology, senior researcher scientist of the department of modern and contemporary history

From the history of the Soviet power struggle against Georgian national movement (1922-1924)

Summary

On the basis of the scientific analysis of the archive materials as well as scientific papers, is shown that Georgian people are not scared of the Soviet Russian occupation regime. This regime can not be broken the resistance of Georgian people. They challenged Bolsheviks Government repression by national -liberation movement. It is underscored that the Soviet historiography deliberately was concealing the mood of the population in the occupied Georgia. Based of secret reports of the Soviet Extraordinary Commission, which deliberately prohibited from the Soviet Government, is shown the real situation in the occupied Georgia. Based on the archival documents is also shown Soviet Government's brutal crackdown methods against the Georgian national movement. It is noted that the Soviet Government is particularly heavy blow to clerics and nobility. It is emphasized that the number of persons executed which Soviet authorities named, are radically different from the real number of casualties. After the failure of the Georgian national movement in the years 1922-1924, to the brutal terror of the Bolsheviks, the number of Georgian immigrants has increased.

The international situation in which Georgian Government had to work was intense and they had to work hard in order to annul the false accusations on the part of russian authority claiming that the Russian Red Army's presence in Georgia was just the result of the curfew in Georgia. Georgian emigrated politicians activitys in the international forums are aimed to informing the international community about the repression of Georgia.

It is emphasized that the study of the national -liberation movement over the 1922-1924 and giving proper conclusions from this have a great importance. It seems that the present-day Government of Russia has inherited the same approach from their predecessors and still pursues the breaching of sovereignty of the heighbouring independent countries . 20% of the territory of Georgia is still illegaly occupied by russian troops.

ალექსანდრე მოსიაშვილი
თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

1989 წელს ქვემო ქართლში განვითარებული მოვლენების შეფასებისათვის

1989 წელი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი წელია. 9 აპრილს მომხდარმა ტრაგედიამ ფაქტობრივად გააერთიანა ქართველი ერი და ერთსულოვნად დარაზმა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. 1989 წელი იქცა კულმინაციად ქართული ეროვნულ-განმათავისუფლე- ბელი მოძრაობისა და ამავე დროს ეს იყო ყველაზე ურთულესი მომენტი ჩვენი ქვეყნისათვის. სწორედ ამავე წელს დაიძაბა მდგომარეობა აფხაზეთში, ე. წ. სამხრეთ ოსეთში, ქვემო ქართლში..., რაც სამწუხაროდ სისხლისღვრით დასრულდა.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს თავი დავანებოთ და ყურედღება მივაპყროთ ქვემო ქართლის რეგიონს. საინტერესოა, რა მოხდა რეალურად? რა იყო ის ძირითადი მიზეზი, რამაც გამოიწვია აქ სისხლისღვრა? დავიწყოთ თავიდან: „1989 წლის 24 ივნისს მარნეულში შედგა აზერბაიჯანელთა მიტინგი (დაახ. 5 ათას კაცამდე) რომელმაც დააყენა შემდეგი მოთხოვნები:

1. ავტონომიის შექმნა მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის რაიონებისაგან (დედაქალაქი რუსთავი).

2. ქ. მარნეულისათვის სახელის შეცვლა და „ბორჩალოს“ დარქმევა.

3. ქ. მარნეულისა და მარნეულის რაიონის ისევ გაერთიანება.

4. საქართველოს ტელევიზიაში 4 საათი აზერბაიჯანული გადაცემებისათვის.

5. არაფორმალური საზოგადოება „ნიზამის“ შექმნა.

6. აზერბაიჯანული სკოლები კასპში, მცხეთაში, ქართლში, საგარეჯოში, თელავში, ლაგოდეხში, სადაც არის აზარბაიჯანული მოსახლეობა.

7. ქართული ენის სტატუსის გაუქმება.

8. პროდუქტების რესპუბლიკის გარეთ გატანის ამკრძალავი ბრძანების გაუქმება.

9. სვანი მოსახლეობის გაყვანა ქვემო ქართლის ტერიტორიიდან.

მეორე დღეს, 25 ივნისს თათრები სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. დაიწყო ქართველებზე შეირაღებული თავდასხმები რაიონებში. აწიოკება ქართული სოფლებისა, ბრბო წვავდა ქართველთა მანქანებს, საცხოვრებელ სახლებს, ხერგავდნენ გზებს და ა. შ." [1].

ოდნავ უფრო ადრე 13 მაისს რესპუბლიკური ტელევიზიით გადაიცა მებრძოლ ინტერნაციონალისტებთან აზერბაიჯანის კპ ცკ-ის პირველი მდივნის ა. ვეზიროვის შეხვედრის პირდაპირი ტრანსლაცია, რომლის მსვლელობის დროს მან განაცხადა შემდეგი: „როგორ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენ? ახლა აუცილებელია საბნის გაფართოება, რომ ჩვენს ერს წყნარად ეძინოს მის ქვეშ" [2]. შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი პირველი წამქეზებელი ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელებისა სწორედ ა. ვეზიროვი ყოფილა. მაგრამ ხომ არ იმალებოდა მის ზურგს უკან კიდევ სხვა ვინმე? ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა. მანამდე კი კონფლიქტის დაწყების ოფიციალურ ვერსიაზეც გავამახვილოთ ყურადღება, რომლის მიხედვით თითქოს მგზავრებმა ფული არ გადაიხადეს ტაქსში რასაც ჩხუბი მოჰყვა, ხოლო მეორე დღეს ზემოხსენებული მიტინგი მარნეულში და, შესაბამისად, 26-27 ივნისის ტრაგიკული მოვლენები [1]. ვფიქრობ, რომ ეს მიზეზი სასაცილოდ ჩანს იმ ფონზე, როდესაც მეორე დღეს ჩატარებულ მიტინგზე სხვა მოთხოვნებთან ერთად ავტონომიის გამოცხადების მოთხოვნაც გაჟღერდა. როგორც ნათლად ჩანს, სწორედ ამ მოთხოვნისათვის და მოწყობილი არეულობისათვის ნიადაგი ადრიდანვე მზადდებოდა. სხვა მხრივ, როგორი დასაჯერებელია რომ მთვრალმა მგზავრებმა ტაქსში თანხა არ გადაიხადეს, ამას მოყვა ჩხუბი და... ავტონომიის მოთხოვნა. ეს ყველაფერი იმდენად დაუჯერებელია რომ აღარც ღირს გაგრძელება.

იქნებ ამ კონფლიქტს უკან სომხეთი იდგა? მისმა წარმოგზავნილებმა იქაურ ქართველობას შესთავაზეს დახმარება, როგორც ცოცხალი ძალით, ასევე იარაღითაც. თუმცა შესაბამისი უარიც მიიღეს [4]. რა ინტერესი შეიძლება ჰქონოდა სომხურ მხარეს ამ კონფლიქტში ჩარევით? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყარაბაღის გამო უნდოდათ კიდევ უფრო მეტი ანგარიშსწორება აზერბაიჯანელებთან, სისხლი სწყუროდათ და ჩათვალეს, რომ ამის შესაძლებლობა

მათ საქართველოს ტერიტორიაზე მიეცემოდათ. მეორე ვერსიით, შესაძლებელია მათ სურდათ აზერბაიჯანის ყურადღების გადმოტანა საქართველოსკენ და ამით ყარაბაღზე ყურადღების მოდუნება სომხეთის სასარგებლოდ. მესამე – შეიძლება დავუშვათ, რომ მათ ამოძრავებდათ საქართველოში კონფლიქტის კერის გაღვივება, რათა დღის წესრიგში დაეყენებინათ ქართული მიწების მიტაცების საკითხი და მოეთხოვათ სამხრეთ საქართველოში სომხური ავტონომია. მით უმეტეს, რომ ისინი კარგად გრძნობდნენ რუსეთის მხარდაჭერას. ჩვენ შეიძლება მაინც ერთი დასკვნა გავაკეთოთ, რომ მათ უკანაც სავარაუდოდ ის ძალა იდგა, რა ძალაც აქეზებდა ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობის ნაწილს [3].

ხომ არ შეიძლება ვეძებოთ კონფლიქტის ესკალაცია პანისლამიზმის იდეის მატარებელ ფანატიკოსებში, რომლებიც სერიოზულად იყვნენ შეშფოთებულნი ქვემო ქართლში უკანონოდ ჩასახლებული აზერბაიჯანელების საქართველოდან გაძევების პერსპექტივით? ალბათ, არც ეს ვერსია ჩაითვლება სწორად იმდენად რამდენადაც, როცა უკანონოდ სახლდებოდნენ აზერბაიჯანელები ქართულ რაიონებში, მათ პირველ რიგში სიმშვიდე ესაჭიროებოდათ ადგილზე დამკვიდრებისათვის, თორემ დაპყრობითი ომები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ისტორიას მრავლად შემოუნახავს და ამჯერადაც უცხოტომელნი იარაღის ძალითვე შემოიჭრებოდნენ თავიდან. მით უმეტეს, რომ მოვლენათა ანალიზიც ცხადყოფს აზერბაიჯანული მოსახლეობის მაშინდელ სულიერ განწყობილებას. მათი უმრავლესობა უაღრესად შეშფოთებული იყო შექმნილი ვითარებით, ქართველ მილიციელებს სთხოვდნენ არ დაეტოვებინათ მათი სოფლები და იფიცებოდნენ: „ქართველებს ყველაფერში დაგემორჩილებით, ჩვენს შვილებს მძევლებად მოგცემთ ოღონდ ჩვენს შორის მშვიდობა ჩამოვარდესო!“ [5].

აქვე შევეხოთ ერთ საკითხსაც: კერძოდ, აზერბაიჯანელ ექსტრემისტებს აღმოაჩნდათ იარაღის და ასაფეთქებელი მასალების ისეთი მრავალსახეობა, რომელიც ნებისმიერი არსენალის მუზეუმს დაამშვენებდა. ამ იარაღის წარმომავლობაზე შეიძლებოდა რამდენიმე ვერსიის დასახელება, მაგრამ აქ უფრო ის არის საკითხავი ვინ იყო ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი? სწორედ ის ძალა ხომ არა ვინც იყო რეალური წამქეზებელი, დამფინანსებელი და ხელშემწყობი? სანამ პასუხს ვიპოვით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ აზერბაიჯანის კპ ცკ-ის პირველი მდივანი ა. ვეზიროვი. დიახ, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რო-

მელიც საკმაოდ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა „საბნის სიგრძესთან“ დაკავშირებით და აქვე დავურთავთ მარნეულის აზერბაიჯანელ ექს- ტრემისტთა ლიდერების არასრულ სიას:

„ბაირამოვ შაკირ ქამალ ოღლი – უსაქმური. დიმიტროვის ქ.ჩიხი 3;

დამირჩილოვ ვაქილ მამედ ოღლი – სოფ. სადახლო შულავერის სოფლის სავაჭრო კოოპერაციის თავმჯდომარე;

ოსმანოვ ოსმან ადილ სან ოღლი – სოფ. მეორე ქესალო. პოეტი;

ნურ მამედოვ ტამერლან ახმედ ოღლი – სოფ. სადახლო, რაიაღმასკომის ინსტრუქტორი;

გაჯიევ ტოფიკ მამედ ოღლი – კიროვის ქუჩა რაიკომის აგიტაცია- პროპაგანდის განყოფილების გამგე;

გაჯიევ რაფიკ რუსტამ ოღლი – ცხაკაიას ქუჩა 25“ [1].

წარმოდგენილ სიაშიც ძალიან კარგად ჩანს კომუნისტური რეჟიმის კვალი. ნათელია თუ როგორ ცდილობდნენ კომპარტიის ფუნქციონერები და დამქაშები ა. ვეზირვის თავკაცობით ქართულ მიწაზე ახალი კონფლიქტის კერის გაღვივებას. თუმცა მათ მხოლოდ ითრევდნენ და იყენებდნენ ამ პროვოკაციაში.

ამდენად, გასაგები ხდება უკვე კრემლის ხელწერა. სხვა ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული ასეთი ბინძური საქმით თუ არა ე. წ. საბჭოთა მთავრობა, რომელიც კრემლში მოკალათებული იძლეოდა განკარგულებებს. 1989 წლის აპრილის აქციებზე ხომ პირველად დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა, რასაც 9 აპრილს მოჰყვა სადამსჯელო ექსპედიციის შემოსვლა თბილისში. 9 აპრილის ტრაგედიამ მოახდინა ქართველი ერის კონსოლიდაცია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების იდეის ირგვლივ. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მშვიდობიანი გზით მიიწევდა სანუკვარი მიზნისკენ. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ მოეწყო სწორედ სისხლიანი დაპირისპირებები ცხინვალში, სოხუმში და ქვემო ქართლში. მთლად სტაბილურსაც ვერ დავარქმევთ მდგომარეობას სხვადასხვა, ქალაქებსა თუ რეგიონებში. ეს ერთნაირი ხელწერა ნათელს ჰფენს მაშინ არსებულ ვითარებას და ჩვენ საშუალებას გვაძლევს, პირდაპირ ვამხილოთ მაშინდელი კომუნისტური რეჟიმი, რომელიც არათუ ხელს უშლიდა უკანონო იარაღის მართლსაწინააღმდეგო მოძრაობას და გამოყენებას, არამედ თვითონ იყო ინიციატორიც, პირველი ხელშემწყობიც ყოველგვარი დესტაბილიზაციის [5]. როგორც ირკვევა ამ რე-

ჟიმს სურდა ხელოვნურად წარმოქმნილი ე. წ. ეთნოკონფლიქტებით (როგორც თვითონვე ნათლავდა) მოეპოვებინა იმის უფლება, რომ გამოეცხადებინა საგან- გებო მდგომარეობა, დაენიშნა კომენდანტის საათი და ამით გაენეიტრალებინა ქარ- თული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ზოგ შემთხვევაში გარკვეულ მიზანს კიდეც მიაღწია, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას – ქართველი ერის ნებას – ის წინ ვერ აღუდგა [6].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზეთი ქართვლის დედა, 2, 1989.
2. ზ. აბაშიძე, მ. ბახტაძე, ო. ჯანელიძე, საქართველო და ქართველები, თბილისი, 2013.
3. ე. გვენეტაძე, ზ. კალანდია, საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. 1, თბილისი, 2011.
4. გაზეთი ივერია, № 10, 1989.
5. ი. ანთელავა, მ. გაფრინდაშვილი, მ. ვაჩნაძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1996.
6. დ. შველიძე, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.), თბილისი, 2008.

Aleksandre Mosiashvili
Associate Professor at the faculty of Humanities of I. Gogebashvili Telavi State University

For Assessing Situation in Lower Kartli in 1989

Summary

In 1989 the situation in Georgia was developing in an interesting way. The April 9 Tbilisi tragedy led to the rise of National-Liberation movement and ensured the consolidation of Georgian nation around the idea of country's independence. For this reason the Communist regime enacted punitive machine and caused tension in Georgia. Soviet authorities tried to defuse the situation by artificial so-called ethnic conflicts. Among them activating several parts of Azerbaijani population in Lower Kartli, which ended with bloodshed, is worth mentioning. Despite those conflicts they were not able to achieve their goals neither in Lower Kartli, nor in Shida Kartli or in Abkhazia and could not prevent the process of restoring Georgia's independence.

ხათუნა ქოქრაშვილი
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

სასულიერო განათლების სისტემის ისტორიიდან XIX ს-ის II ნახევრის საქართველოში

XIX ს-ის II ნახევრისთვის რუსეთის იმპერიაში სამღვდელოების, როგორც განსაკუთრებული ფენის, უფლებრივი და წოდებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად იყო გაფართოებული, რის გამოც ის, ფაქტობრივად, თითქმის შეუვალ კასტად ითვლებოდა. XIX საუკუნის 60-იანი წლებში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სასულიერო წოდების, როგორც განსაკუთრებული და თავისთავში ჩაკეტილი კასტის არსებობა მოძველებული აღმოჩნდა [1, 652]. ამიტომ, ბუნებრივია, ალექსანდრე II-ის ეპოქის სარეფორმო სამუშაოები რუსეთის იმპერიის საეკლესიო მმართველობასაც შეეხო. XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმებს, რომელმაც რუსეთის სახელმწიფოს ბურჟუაზიული ევოლუციის პროცესს დაუდო სათავე, უნდა დაერღვია რუსულ ეკლესიაში არსებული წოდებრივი კარჩაკეტილობა, შემოეტანა მასში საზოგადოებრივი ხასიათის შესამჩნევი ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ ეკლესია ამგვარი გარდაქმნებს დიდი ხალისით არ შეხვედრია. მას გაუჭირდა ახალ პირობებთან შეგუება, რის გამოც დროში გაიწელა, შეფერხდა საეკლესიო სტრუქტურების რეფორმირების პროცესი. რუსეთის ეკლესიაში ამ პერიოდში,ფაქტობრივად, გარდაქმნების იმიტაცია მიმდინარეობდა. დაწყებული რეფორმების დიდი ნაწილი XIX საუკუნის 80-იანი წლების პოლიტიკური რეაქციის პირობებში დასრულდა და რეალურად კონტრრეფორმების ელფერი მიიღო [2, 357]. ბუნებრივია, რეფორმირების პროცესი იმპერიის პერიფერიულ და კოლონიურ რეგიონებში, მათ შორის საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო ცხოვრებაში, კიდევ უფრო დუნედ წარიმართა, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში.

XIX ს-ის 60-იან წლების რეფორმები ითვალისწინებდა სასულიერო პირების, სამღვდელოების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას. საეკლესიო ცხოვრების გამოცოცხლება გულისხმობდა სოციალურ თუ საქველმოქმედო, სახალხო განათლებისა თუ ოჯახური ურთიერთმიმართების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას. ასეთ ვითარებაში, სასულიერო განათლების სისტემაში გატარებული სიახლეები დიდი მნიშვნელობას იძენდა.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთის შიდა გუბერნიებისაგან განსხვავებით, სადაც სასულიერო განათლების სისტემაში ოთხი საფეხური არსებობდა, საქართველოში ფუნქციონირებდა მხოლოდ სამი: სასულიერო სემინარიები, სამაზრო სასწავლებლები და სამრევლო სკოლები. სასულიერო განათლების უმაღლესი საფეხური – სასულიერო აკადემია, საქართველოში არ არსებობდა. ამიტომ კავკასიაში სემინარიადამთავრებული წარჩინებული მოსწავლეები უმაღლესი სასულიერო განათლების კურსს რუსეთის სასულიერო აკადემიებში გადიოდნენ. კიევის, პეტერბურგის, მოსკოვის, ყაზანის სასულიერო აკადემიები წარმოადგენდნენ რუსეთში საღვთისმეტყველო განათლების ძირითად ცენტრებს.

XIX ს-ის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიაში სასულიერო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები ითვალისწინებდა არა სასულიერო განათლების სისტემის ძირეულ გარდაქმნას, არამედ არსობრივად იყო სასულიერო სასწავლებლების წესდებების და საშტატო განრიგის მორიგი ცვლილება, თუმცა აღინიშნა პოზიტიური სიახლეებიც. 1867 წლის 22 მაისის კანონით გაუქმდა სასულიერო თანამდებობაზე კადრების შერჩევის მემკვიდრეობითობის პრინციპი. 1869 წელს სასულიერო წოდების შვილებს მიეცათ პროფესიის არჩევის თავისუფლება, ასევე უნივერსიტეტში ჩაბარებისა და სახელმწიფო სამსახურის უფლება. თუმცა ეს კანონი 1879 წელს კვლავ გაუქმდა. მცირე სამრევლოების გაერთიანების ხარჯზე შეიქმნა მსხვილი სამრევლოები, რის გამოც სამღვდელოების დიდი ნაწილი შტატის გარეშე დარჩა. უშტატო სამღვდელოებისათვის დაწესდა საპენსიო უზრუნველყოფა. სასულიერო პირთა რიცხობრივი შემცირება წმინდა ფისკალურ მიზნებს პასუხობდა. რეფორმის შედეგად გაფართოვდა ეპარქიების უფლებამოსილება: ეპარქიების მმართველებმა მიიღეს ტაძრების მშენებლობის, ასევე სასულიერო პირთა ბერად აღკვეცის პრეროგატივა. რეფორმების შედეგად ეპარქიებს უფლება მიეცათ მოეწვიათ ეპარქიის სამღვდელო-

თა ყრილობები. ყრილობებს შეეძლოთ ემსჯელათ ეპარქიების ეკონომიკურ, სასულიერო სასწავლებლების სასწავლო-აღმზრდელობით საკითხებზე. თუმცა, გადაწყვეტილებების სისრულეში მოსაყვანად, ამგვარი ყრილობები საკმარის საშუალებებს არ ფლობდნენ.

1867 წელს დამტკიცდა სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების, ხოლო 1869 წელს – სასულიერო აკადემიების ახალი შტატები და წესდებები. რეფორმირების ელემენტი მდგომარეობდა იმაში, რომ ამიერიდან სასწავლებლები ადმინისტრაციულად ეპარქიალურ მმართველობას დაუქვემდებარეს. შეიქმნა სპეციალური სასწავლო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა არა საერო ჩინოვნიკი, არამედ სასულიერო პირი, რომელიც განსაზღვრავდა სწავლების მეთოდსა და შინაარსს. ახალი წესდებით სემინარიის რექტორის თანამდებობა არჩევითი იყო. სემინარიებსა და სასულიერო სასწავლებლებში იქმნებოდა მმართველობა, რომლის კომპეტენციაში შედიოდა პედაგოგთა არჩევა. დემოკრატიზაციის ამ მცირეოდენ ელემენტს უნდა დაეფარა სასულიერო სასწავლებლებში სწავლების პროცესისა და შინაარსის მნიშვნელოვანი და წმინდა რეგრესიული ხასიათის ცვლილებები, კერძოდ: სემინარის კურსიდან ამოიღეს ბიბლიური ისტორია, ჰერმენევტიკა, საეკლესიო არქეოლოგია, პოლემიკური ღვთისმეტყველება – ანუ ის დისციპლინები, რომლებიც სემინარიელისაგან კრიტიკულ აზროვნებას ითხოვდა. სასულიერო სასწავლებლების კურსიდან გაუქმდა სამოქალაქო ისტორიის სწავლება. ამის ნაცვლად გაიზარდა კლასიკური ენების, წმინდა წერილის შესწავლის საათები. სემინარიის ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს ის ლიტერატურა, რომელსაც საგანმანათლებლო კურსთან არაფერი ჰქონდა საერთო [2, 358-360]. საქართველოში სარეფორმო ცვლილებების გატარება უმრავლეს შემთხვევაში იგვიანებდა, მაგალითად: რუსეთის იმპერიაში მიღებული 1867 წლის სასულიერო სასწავლებლების ახალი სარეფორმო დებულება, საქართველოში მხოლოდ 1872 წლიდან გატარდა.

XIX ს-ის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიაში გამოიკვეთა სახალხო განათლების სფეროში რუსული ეკლესიის როლის მკვეთრი ზრდა. 1866 წელს უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის დ. ა. ტოლსტოის დანიშვნა სახალხო განათლების მინისტრის პოსტზე, ერთი ადამიანის ხელში ორი თანამდებობის თავმოყრა, მიუთითებდა სახალხო განათლებაზე რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენის გაძლიერებას. ეკლესიას განსაკუთრებული მისია დაეკისრა დაწყებითი განათლების სფეროში. სამრევლოების სამ-

ღვდელოებას დაევალა სამრევლო სკოლებში გლეხობის შვილებისათვის წერა-კითხვის სწავლებისა და პირველადი განათლებისათვის ზრუნვა. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მიერ სამრევლოები მიჩნეულ იქნა იმ საზოგადოებრივ ერთეულად, სადაც პრაქტიკულად უნდა შესრულებულიყო ეკლესიის საზოგადოებრივი მისია, წამოჩენილიყო მისი მიმართება თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებთან. 1864 წელს რუსეთის იმპერიაში შეიქმნა საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველოები, რომლის მიზანი იყო სამრევლოების კეთილმოწყობა, გამშვენიერება, დანგრეული ეკლესიების განახლება, მორწმუნეთა როგორც რელიგიურ-ზნეობრივი, ასევე მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ობოლთა და გაჭირვებულთა დახმარება. საქართველოს საეგზარქოსოში საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველოები მხოლოდ 1887 წელს თბილისში შეიქმნა ვერის იოანე ღვთისმეტყველის, ჩუღურეთის ნიკოლოზის, პეტრე-პავლეს სასაფლაოს, სოლოლაკის ამაღლების, დიდუბის და სხვა ეკლესიებთან. მოგვიანებით ეს დაწესებულება საქართველოს სხვა რეგიონებშიც გაიხსნა. მართალია, საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველოებმა არ გაამართლეს ის იმედები, რაც მათი დაარსებისას არსებობდა, მაგრამ არ შეიძლება უარყოფა იმ სასარგებლო საქმისა, რომელიც მათ სამრევლოებში ეკლესიებისა და სკოლების შექმნაში, ცალკეული საქველმოქმედო ინიციატივების წარმართვაში გაიღეს.

აღსანიშნავია, რომ XIX ს-ის II ნახევარში საქართველოში სასულიერო განათლების ქსელი ფართოვდება. სასულიერო სასწავლებლები არსებობს თბილისში, ქუთაისში, თელავში გორში, აგრეთვე, სამეგრელოში, გურიაში და სხვაგან. ნიშანდობლივია, რომ სასულიერო განათლების ქსელი ძირითადად, დაწყებითი სასულიერო სასწავლებლების ხარჯზე იზრდებოდა. ხელისუფლება საქართველოში საშუალო სასულიერო სასწავლებლების, განსაკუთრებით სემინარიების, გახსნის ინიციატივას ნაკლებად იჩენდა. XIX ს-ის 90-იან წლებამდე მთელ საქართველოში ერთადერთი – თბილისის სასულიერო სემინარია არსებობდა. 1894 წელს მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს სამღვდელოთა დიდი ძალისხმევით გამონახული ადგილობრივი ხარჯებით, გაიხსნა ქუთაისის სასულიერო სემინარია, რომელმაც მხოლოდ 1904 წლამდე იარსება.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ობიექტურმა თუ სუბიექტურმა პირობებმა განაპირობა საქართველოში ქალთა

სასულიერო სასწავლებლების ფორმირება: 1866-1879 წლებში სამთავროს მონასტერში დაარსდა ქალთა სასწავლებელი, რომელიც შემდგომ მცხეთიდან თბილისში გადაიტანეს და გადაკეთდა იოანიკეს ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლად. 1892 წელს ქალაქ ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსმა დააფუძნა ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი და სხვა [4, 108; 5, 98].

უნდა აღინიშნოს, რომ თუ რუსეთის შიდა გუბერნიებში სასულიერო სემინარია და სასწავლებლები სახელმწიფო ხაზინის ხარჯით არსებობდა, საქართველოში სასულიერო სემინარიები და სასულიერო სასწავლებლები საქართველოს საეგზარქოსოს ანუ ადგილობრივი ეკლესიის შემოსავლით ფუნქციონირებდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიაში „ინოროდცების" რუსიფიკაციისა და ასიმილაციის საქმეში განათლების სისტემას უზარმაზარი პოლიტიკური მისია ენიჭებოდა, ხელისუფლება მაინც არ იყო დაინტერესებული ნაციონალურ რეგიონებში ამ სისტემის ფინანსური მხარდაჭერით. საშუალო სასულიერო სასწავლებლების ფორმირება, რომლებიც მთავრობისაგან მეტ ხარჯებს მოითხოვდა, უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე დაწყებითი სასულიერო სკოლების, რომლებიც ძირითადად მოსახლეობის ხარჯებით იხსნებოდა. ბიუჯეტის სიმწირის გამო პედაგოგთა ანაზღაურება არასაკმარისი იყო, ხშირ შემთხვევაში სკოლები კეთილმოუწყობელ შენობებში იხსნებოდა.

XIX ს-ის 60-იან წლებში ქართული ენის სწავლება სახალხო სკოლებში საგრძნობლად შეიზღუდა. 1861 წელს გამოიცა დებულება „დაწყებითი სახალხო სასწავლებელთა შესახებ", რომლის მიხედვით საქართველოში ყველა ტიპის სასწავლებელში სწავლება რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. თუმცა, იმავე წელს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მიერ სამრევლო სკოლების შესახებ შედგენილი წესებით, ამ საზოგადოების სკოლების დაწყებით კლასებში ადგილობრივი ენების შესწავლა შენარჩუნდა [6, 97].

XIX ს-ის 70-იან წლებში თბილისის სასულიერო სემინარიასა და საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის შევიწროება სისტემურ მოვლენად გადაიქცა. ხშირ შემთხვევაში ეს საკმაოდ უხეში ფორმებით ხდებოდა. 1873 წელს უწმინდესი სინოდის ბრძანების თანახმად, ქართული ენა საშუალო სასულიერო სასწავლებლებში გაუქმდა, როგორც სავალდებულო საგანი. მშობლიურ ენას თითოეულ კლასში 2-2 საათი დაეთმო და რუსული ენის

შესწავლის პროცესში დამხმარე საგნის ფუნქცია დაეკისრა. ქართული ენის საათები ძირითადად რუსული ენის შესასწავლად იქნა გამოყენებული. რუსულის ასათვისებლად, ამ ეტაპზე, უპირატესობა მიენიჭა ე. წ. შედარებით მეთოდს, ანუ უცხო ენის შესწავლას მშობლიური ენის საშუალებით [8, 203].

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის, ქართული საგალობლების არასათანადო შესწავლის ან მათი სრული უგულებელყოფის შედეგად თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული მღვდელთმსახურებისათვის სრულიად გამოუსადეგარი კადრები მზადდებოდა, რომელთაც არ შეეძლოთ ქართველ მრევლთან სათანადო კონტაქტის დამყარება, წირვა-ლოცვის ქართულად ჩატარება.

საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში პრიორიტეტული მნიშვნელობა შეიძინა რუსული ენის შესწავლამ. 1875 წლის დადგენილებით რუსული ენის სწავლის პროცესში გაძლიერდა თვალსაჩინო სწავლების მეთოდი, მოსწავლეებს დაევალათ ურთიერთშორის საუბრისას რუსული ენის გამოყენება, სუსტ მოსწავლეებს დაენიშნათ დამატებითი საათები რუსულ ენაში მოსამზადებლად და ა. შ. 1879 წლის უწმინდესი სინოდის ბრძანების თანახმად, „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლების რუსული ენის მასწავლებლად მომავალში დანიშნული უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ აკადემიური განათლების მქონე რუსული წარმოშობის პირები“ [7, 111].

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული აზრით, XIX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში შედარებით შეღავათიანი სასწავლო რეჟიმი და პირობები შეიქმნა. არჩევითობის გამო სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველები და მასწავლებელთა საკმაო ნაწილი ქართველები იყვნენ. ბევრი მათგანი გამოირჩეოდა თავისი პროგრესული პედაგოგიური და საზოგადოებრივი იდეებით (თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი იყო იასე სულხანიშვილი, თბილისის სასულიერო სასწავლებლის – იაკობ გოგებაშვილი, თელავის – დავით დათოშვილი, ქუთაისის – გერასიმე კალანდარიშვილი; სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს კი – მიხეილ გურგენიძე ხელმძღვანელობდა). სასულიერო სასწავლებლების პედაგოგთა (თბილისის სასულიერო სემინარიაში – ნიკო ცხვედაძე, თომა ტურიევი, გიორგი იოსელიანი; გორის და თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები – პავლე ბერქანიძე, ილია და ქრისტეფორე ზარაფიშვილები და სხვა) ზეგავლე-

ნით სასწავლებლების მოსწავლეებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ მოწინავე მოაზროვნეთა თხზულებებს, შეეთვისებინათ თანამედროვეობის პროგრესული იდეები. ამასთანავე, XIX ს-ის 60-70-იან წლებში მნიშვნელოვანი შეზღუდვის მიუხედავად ქართული ენა სასულიერო სასწავლებლების კურსიდან სრულ განდევნას გადაურჩა.

ალექსანდრე II მკვლელობის შემდეგ, XIX ს-ის 80-იან წლებში რუსული ეკლესია იწყებს კონტრშეტევას იმ მცირეოდენი პროგრესული ცვლილებების წინააღმდეგ, რომელიც წინა ოცწლეულის რეფორმების პერიოდში განხორციელდა. ამ დროიდან, როდესაც მთელ იმპერიაში უმკაცრესი პოლიტიკური რეჟიმი დამყარდა, რუსეთის ეკლესიის განვითარებაშიც ახალი ეტაპი დაიწყო. სწორედ კონტრრეფორმებმა გამოიწვიეს ენერგიის მოზღვავება რუსეთის გავლენიან საეკლესიო მოღვაწეთა და ჩინოვნიკთა წრეებში. რეფორმების წლებში გამოვლენილი მათი დაბნეულობა და უსიცოცხლობა, შეიცვალა დაუცხრომელი მოღვაწეობით, რომელიც მიმართული იყო ეკლესიის დაკარგული ავტორიტეტისა და შერყეული პოზიციების განსამტკიცებლად.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ცარიზმმა დაასრულა ეკლესიის შეყვანა სახელმწიფო მმართველობის ბიუროკრატიულ აპარატში და თანდათან აამაღლა ეკლესიის სტატუსი სახელმწიფოში; ამავე საუკუნის ბოლოსათვის კი რუსეთის ეკლესია ითავსებს არსებული წეს-წყობილების დაცვის უმთავრეს იდეოლოგიურ ფუნქციას, თავისი ენერგიული მმართველის, უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის პობედონოსცევის (1880-1905 წწ.) ხელმძღვანელობით, იკავებს მტკიცე პოზიციას საშინაო პოლიტიკის პრინციპულად უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში. XIX საუკუნის 80-90-იანი წლები რუსეთის იმპერიაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ეპოქად შეიძლება ჩაითვალოს [2, 357; 9, 215]. ამ ურთიერთმიმართებას კარგად გამოხატავს რუს საეკლესიო პირთა შემდეგი სიტყვები: „რუსეთის სახელმწიფო, მართლმადიდებლობა და თვითმპყრობელობა – ყოველივე ეს ორგანულად ერწყმის ერთმანეთს. ყველა საკითხი, რომელიც უკავშირდება სარწმუნოებას, ეკლესიას, ჩვენთან მართლმადიდებლურ რუსეთში, ამავე დროს სახელმწიფო საკითხის მნიშვნელობას იძენს“ [10, 284]. სახელმწიფო პოლიტიკაში ეკლესიის როლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის დანიშვნა მინისტრთა კო-

მიტეტის, აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის უმაღლესი კომისიის წევრად, ობერ-პროკურორის ინიციატივით იმპერატორთან მღვდელმთავრების მუდმივი აუდიენციებისა და შეხვედრების ორგანიზება და ა. შ. გადაიდგა ნაბიჯები უმაღლესი საერო ბიუროკრატიისაგან ეკლესიის დამოუკიდებლობის გასაფართოებლად. 1881 წელს უწმინდესმა სინოდმა მიიღო უფლება იმპერატორის ჩარევის გარეშე გადაეწყვიტა ცალკეული საკითხები, მაგალითად: სასულიერო პირთათვის ჯილდოების მინიჭება, მონასტრების გახსნა, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებებში კერძო ხასიათის ცვლილებების შეტანა და სხვა [11, 157-158].

XIX საუკუნის ბოლო ოცწლეულში პოლიტიკური რეაქცია მეტად მწვავედ განხორციელდა რუსეთის განაპირა კოლონიურ ქვეყნებში. აქტუალური გახდა „მთლიანი და განუყოფელი რუსეთის" იდეა. რუსიფიკაცია, როგორც რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის მეთოდურად ჩამოყალიბებული, თეორიულად დასაბუთებული, ყველა კოლონიური ორგანიზმისათვის უნივერსალური პოლიტიკური სისტემა, მიმართული იყო სხვადასხვა ერების ეროვნული იდენტობისა და თავისებურებების, მათი მორალური და ინტელექტუალური ცხოვრების საპირისპიროდ. რუსეთის თვითმპყრობელობამ იერიში რამდენიმე მიმართულებით მიიტანა და იარაღად გამოიყენა: ა) სახელმწიფო პოლიტიკა, ბ) განათლების სისტემა, გ) რუსული ეკლესია; ამდენად, საქართველოს საეგზარქოსოს ცხოვრებაში კონტრრეფორმების პროცესი მეტისმეტი სიმძაფრით წარიმართა და საეკლესიო ცხოვრების ყველა სფეროზე აისახა.

სასულიერო სასწავლებლების ახალი წესდებით უარყვეს რეფორმების პერიოდში სასულიერო სასწავლებლებში დანერგილი დემოკრატიზმის მცირეოდენი საწყისები: გაუქმდა მასწავლებელთა არჩევითობა, გაძლიერდა ადმინისტრაცია და მღვდელმთავრების ძალაუფლება და ა. შ. XIX საუკუნის 80-იან წლებში რეაქციის პერიოდში თბილისის სასულიერო სემინარიიდან სხვადასხვა მიზეზით დაითხოვეს და განდევნეს როგორც ქართველი, ასევე რუსი ეროვნების პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგები. მათ ნაცვლად კი უკიდურესად რეაქციონერი მასწავლებლები მიიღეს. საქართველოში სასულიერო სასწავლებლებში დამყარდა პოლიტიკური რეჟიმი, მეთვალყურეობა და მკაცრი კონტროლი თითოეულ მოსწავლეზე, მათ აეკრძალათ ლიბერალური მიმართულების ლიტერატურის კითხვა, გახშირდა სტუდენტთა და მოსწავლეთა, განსაკუთრე-

ბით ქართველთა, გარიცხვა სრულიად უბრალო მიზეზის გამონ [12, 102]. დაპირისპირებამ სასულიერო სასწავლებლების ადმინისტრაციასა და მოსწავლეებს შორის პიკს მიაღწია. 1894 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტის მიერ ამ სასწავლებლის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობის გამო სემინარია ერთი წლით დაიხურა. მისი გახსნის შემდეგ კი, XIX საუკუნის 90-იან წლებში, სემინარიაში კიდევ უფრო დამამცირებელი რეჟიმი დამყარდა: გაიზარდა ზედამხედველთა რიცხვი, გაამრავლეს ჯაშუშები და პროვოკატორები, ერთმანეთს გადაჰკიდეს სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები და ა. შ. [13, 153]

XIX ს-ის 80-90-იან წლებში განათლების სფერომ და სკოლამ მთელს იმპერიაში ადგილობრივი ერების გარუსების მისია იკისრა. სკოლა უნდა გამხდარიყო რუსული ცივილიზაციის დამნერგავი და ეროვნული კულტურის შემზღუდველი იმპერიის განაპირა ეროვნულ რეგიონებში.

1880 წლის 20 ოქტომბრის ცირკულარი, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსმა იანოვსკიმ დაუგზავნა ხელქვეითებს, იუწყებოდა: „კავკასიაში რუსული სკოლების დაარსება და ადგილობრივ მკვიდრთა მოზიდვა მასში სასწავლებლად, უდავოდ უნდა ჩაითვალოს ამ მხარეში რუსული ცივილიზაციის განმტკიცების უმთავრეს საშუალებად... ეს ცივილიზაცია, რომელიც მიისწრაფვის შეიჭრას ხალხში და ვითარდება რაციონალურად მოწყობილი სკოლის საშუალებით, წინათ აქ არსებულ ცივილიზაციებზე უფრო მტკიცე აღმოჩნდება, რომელთა შესაცვლელადაც ის აქ მოვიდა“ [14; 8, 153].

1881 წლის 13 იანვარს „დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმის“ გამოქვეყნება საფუძვლად დაედო საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში განათლების სამინისტროს სახალხო დაწყებითი სკოლის სრულ რუსიფიკაციას. ამ გეგმით რუსული ენის სწავლება დაწყებით სკოლაში პირველივე წლის მეორე ნახევრიდან უნდა დაეწყოთ, ხოლო მეორე წლიდან მოწაფეებს ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა შეესწავლათ.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართველი ინტელიგენციის თაოსნობით გაშლილი ბრძოლა ქართული ენის შენარჩუნებისათვის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა. საპროტესტო მოძრაობის შედეგად, ადგილობრივი მრევლის მომსახურების აუცილებლობის გათვალისწინებით სახელმწიფოს მხრივ პერიოდულად იცვლებო-

და დამოკიდებულება სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის შესწავლის მიმართ. 1882 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში დაარსდა ქართული ენის კათედრა, 1883 წელს სემინარიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით ქართული საეკლესიო გალობა სავალდებულო საგნად შემოიღეს. ბუნებრივია, ამგვარი დათმობა ფორმალური და დროებითი იყო. მთელს იმპერიაში მიმდინარე რუსიფიკაციის პოლიტიკური კურსის შესაბამისად ქართული ეროვნული იდენტობის უმთავრესი მახასიათებლის – ენის, საგანმანათლებლო სისტემიდან განდევნა კვლავ გაგრძელდა [8, 153]. 1895 წლის ახალი წესდებით დაწყებითი სკოლიდან ადგილობრივი ენა სავსებით განიდევნა. საგნების შესწავლა რუსულ ენაზე ბავშვის სკოლაში შესვლის პირველსავე დღიდან დაწესდა. 90-იან წლებში რუსიფიკაციის პროცესიის მეტი ეფექტურობისათვის მიზნობრივად დაინერგა ე. წ. „ნატურალური“ (მუნჯური) მეთოდი, რომელიც თავდაპირველად ქუთაისის სახალხო სკოლის დირექტორმა ლევიცკიმ გამოიყენა მის დაქვემდებარებაში მყოფ სკოლაში. ეს მეთოდი რუსულის შესასწავლად სრულიად კრძალავდა მშობლიური ენის გამოყენებას და ამით მიზნად ისახავდა მოსწავლის აზროვნების ენად რუსული გაეხადა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა დაწყებით სასულიერო განათლებაზე. რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II მკვლელობის შემდეგ შექმნილი მდგომარეობის გამო მინისტრთა კომიტეტმა ერთხმად გამოხატა თვალსაზრისი, რომ ხალხის სასულიერო-ზნეობრივი განვითარება, რომელიც სახელმწიფოებრივი წყობის მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს, მიღწევადია მხოლოდ სახალხო სკოლების მმართველობაში სამღვდელოების მონაწილეობის გზით. ამ დირექტივის რეალიზაცია ითავა უწმინდესი სინოდის მეტად ენერგიულმა ობერ-პროკურორმა კ. პ. პობედონოსცევმა. 1884 წელს შემუშავებულ იქნა „წესები საეკლესიო-სამრევლო სკოლების შესახებ“, რომელმაც ამგვარ სკოლებს მიზნად დაუსახა ხალხის ფართო მასებში მართლმადიდებლობისა და პირველდაწყებითი განათლების შეტანა [15, 20].

1884 წელს სასულიერო სასწავლებელთა ახალი წესდების თანახმად, მზრუნველობა ეპარქიის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებზე დაეკისრა სამღვდელოებას. მათ მიეცათ დამოუკიდებელი ყრილობების მოწვევის უფლება, რომლებსაც უნდა აერჩიათ სასულიერო სასწავლებლებისა თუ სემინარიების სასწავლო-სამეურვეო საბჭოები. ყრილობის დელეგატები აირჩეოდნენ სამრევ-

ლოს საბლაღოჩინო ოლქებიდან, 10 სამრევლოდან 1 დეპუტატი. ხმის უფლებით სარგებლობდნენ დიაკვნები და მეფსალმუნეებიც. სამღვდელოებას უფლება მიეცა ეზრუნა ქალთა განათლებაზე, აგრეთვე, ეპარქიის თანხებით გაეხსნა სასულიერო სკოლები და სასწავლებლები, სადაც არ შეიზღუდებოდა მშობლიურ ენაზე სწავლება [2, 366].

ამგვარი ყრილობების წყალობით საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლების რიცხვი გაიზარდა, იმატა მოსწავლეთა რაოდენობამ, კეთილმოეწყო ძველი სასწავლებლები, სასულიერო პირების მეურვეობა დაწესდა არა მარტო ობოლ ბავშვებზე, არამედ ღარიბი სასულიერო პირების შვილებზე, სკოლებისათვის აშენდა შენობები, გამოინახა მეტი სახსრები თითოეული მოსწავლის უზრუნველსაყოფად, სამღვდელოებამ იზრუნა მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სასულიერო სასწავლებლების პედაგოგების ხელფასზე ეპარქიის სახსრებიდან დანამატი დაურთო. საეკლესიო-სამრევლო სკოლები, განათლების სამინისტროს სახალხო სკოლებისაგან განსხვავებით, უმაღლეს სასულიერო ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ.

1885 წლიდან უწმინდესმა სინოდმა საქართველოს საეგზარქოსოსთვის ადგილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით საეკლესიო-სამრევლო სკოლების განსაკუთრებული „სასწავლო გეგმა“ შეიმუშავა. საეკლესიო-სამრევლო სკოლა შეიძლებოდა ყოფილიყო 1 ან 2 კლასიანი. ქართულ სამრევლოებში ერთკლასიან სკოლებში 3 წლიანი სწავლება დადგინდა, საეგზარქოსოს რუსულ სამრევლო სკოლებში კი 2 წლიანი. ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლები ოთხწლიან სწავლებას მოიცავდნენ. პროგრამა შემდეგი საგნებისგან შედგებოდა: სჯულის კანონი, მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა ადგილობრივი მოსწავლეებისათვის, ხოლო საეკლესიო-სლავური ენა რუსებისათვის, დაწყებითი არითმეტიკა. ორკლასიან სკოლებში ყოველივე ამას ერთვოდა სამოქალაქო და საეკლესიო ისტორია. ზოგიერთ ამგვარ სკოლაში არსებობდა ხელსაქმის კლასებიც.

1885 წელს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“, იმპერატორის ბრძანების თანახმად, უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში გადავიდა. ამის გამო საზოგადოების სკოლებიც უწყებრივად საეკლესიო-სამრევლო სკოლებთან გააერთიანეს [8, 65; 16, 74]. გაიხსნა, აგრეთვე, საკვირაო და წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლები. სწავლება ხდებოდა სამ-

რევლოების ხარჯით, ადგილობრივი მღვდლის დახმარებით ან ეპარქიის მღვდელმთავრის მიერ დანიშნული მასწავლებლის მეშვეობით, რომელიც სამრევლოს სასულიერო პირის ზედამხედველობით მუშაობდა. საქართველოს საეგზარქოსოში სამრევლო და საკვირაო სკოლებს შესაბამისი ეპარქიების სასწავლო საბჭოები განაგებდნენ, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ საქართველოს საეგზარქოსოს წინაშე.

რადგან ქართული ენის სწავლება საეკლესიო-სამრევლო სკოლებში არ იკრძალებოდა, საქართველოში მოთხოვნა ამ სკოლებზე განსაკუთრებით გაიზარდა. XIX საუკუნის მიწურულს საქართველოს ეპარქიაში საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვმა სულ 103 შეადგინა, სოხუმის ეპარქიაში – 45, იმერეთის – 106, ხოლო გურია-სამეგრელოს ეპარქიაში – 127 [17, 16-17].

შეიძლება ითქვას, XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთის იმპერიაში „ინოროდცების“ რუსიფიკაციის ორი მოდელი არსებობდა. რუსიფიკაციის ორივე მოდელმა თავისი განსაკუთრებული ფუნქცია, ბუნებრივია, განათლების სფეროში შეასრულა. ძირითადი აქცენტი დაწყებით სკოლაზე გაკეთდა.

პირველი მოდელი პირდაპირ დაუკავშირდა განათლების სამინისტროს სახალხო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს: უხეში მეთოდებით სკოლისა და მოსახლეობის ტოტალურ რუსიფიკაციას, მათი გონებისა და აზროვნების შეცვლას. რუსული სკოლის მეშვეობით მშობლიური ენის აღმოფხვრისა და რუსული ენის გაძლიერების გზით, განათლების ეს მოდელი მიზანმიმართულად იბრძოდა ქართული ენის გაუქმებისა და რუსულ ენაზე სწავლების დამკვიდრებისთვის, სკოლის მეშვეობით ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების შესაცვლელად.

მეორე მოდელი, რომელიც რუსიფიკაციის პროცესის რელიგიიდან დაწყებას გულისხმობდა, სასულიერო წოდების, განსაკუთრებით კი მისიონერთა გამოცდილების შედეგად შემუშავდა და ძირითადად დაინერგა სასულიერო სასწავლებლებსა და სკოლებში. ის ითვალისწინებდა, რუსეთის განაპირა კოლონიური რეგიონების არარუსი მოსახლეობის შერწყმას და ასიმილაციას რუს ხალხთან რელიგიური ფაქტორის, ამ შემთხვევაში იმპერიის პრიორიტეტული სახელმწიფო აღმსარებლობის – მართლმადიდებლობის დახმარებით. ეს მეთოდი დაწყებით სკოლაში რუსული ენის შესწავლას არ ანიჭებდა დიდ უპირატესობას, არამედ არარუს მოსახლეობაში რუსული მსოფლმხედველობის, ცხოვრების წესების, ზნე-ჩვეულე-

ბების, წყობის, რელიგიის დასანერგად საგანმანათლებლო ზემოქმედებას მშობლიურ ენაზე ახდენდა. ამ მოდელის თავისებურება იყო „ინოროდცების“ გარუსება არა უხეში, შეტევითი მეთოდით, არამედ შეპარვით. თავდაპირველად ხდებოდა არარუს მოსახლეობში მშობლიური ენისა და რუსული სახელმწიფო რელიგიის გამოყენებით რუსული მენტალობის აღზრდა-ჩამოყალიბება, შემდგომ ეტაპზე კი რუსული ენის მეშვეობით რუსეთის იმპერიაში მათი სრული ასიმილაცია.

XIX საუკუნის განმავლობაში აღნიშნულმა მოდელმა სისტემურად ჩამოყალიბებული და დასაბუთებული სახე შეიძინა და რუსეთის პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური იმპერიის საზღვრების გაფართოებისა თუ შემოერთებული ტერიტორიების შემომტკიცების საქმეში მეტად ქმედითი როლი შეასრულა. XIX საუკუნის II ნახევარში, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, როდესაც რუსიფიკაციის პოლიტიკა სახელმწიფოს უმთავრესი მიმართულება გახდა, ეს მოდელი კავკასიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, რუსეთის ძალაუფლების განსამტკიცებლად გამოიყენებოდა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ამ მოდელის მიხედვით საქართველოში ძირითადად მუშაობდნენ „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ სკოლები, რომლებიც ეპარქიებსა და ცალკეულ სამრევლოებში ფუნქციონირებდნენ; XIX ს-ის 80-იანი წლებიდან აღნიშნულ მეთოდს იყენებენ საეკლესიო-სამრევლო და საკვირაო სკოლები.

რუსეთის ხელისუფლებისთვის ნათელი გახდა, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლები, გარკვეულწილად, აფერხებდა „ინოროდცების“ გარუსების დაგეგმილ ტემპებს. ამიტომ, XIX ს-ის 90-იან წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი შეეცადა თავის უწყებაში, კერძოდ განათლების სამინისტროს სახალხო სკოლების სისტემაში, გაეერთიანებინა დაწყებითი განათლების ყველა ტიპის სასწავლებლები: საეკლესიო-სამრევლო და საკვირაო სკოლები, აგრეთვე, თბილისის თვითმმართველობის სკოლები, რომლებშიც ქართული ენა, საეკლესიო-სამრევლო სკოლების მსგავსად, კვლავინდებურად ისწავლებოდა. საქალაქო სკოლებთან მიმართებაში იანოვსკიმ გამარჯვებას მიაღწია. რაც შეეხება საეკლესიო-სამრევლო სკოლების დაქვემდებარებას, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ამ ეტაპზე ეს ვერ შეძლო.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და იდეოლოგიური წნეხის არსებობის, გამძაფრებული რუსიფი-

კაციისა და ასიმილაციის პირობებში, საქართველოსათვის სასულიერო განათლების დადებითი შედეგებიც. რუსულ საღვთისმეტყველო სკოლებში, – სასულიერო სასწავლებლებში, სემინარიებსა და აკადემიებში, – აღიზარდა ქართველი სასულიერო ინტელიგენციისა, პროგრესული სამღვდელოების, ეროვნული და საზოგადო მოღვაწეების არაერთი წარმომადგენელი: პლატონ იოსელიანი, გაბრიელ ქიქოძე, დიმიტრი ბაქრაძე, მიხეილ (გობრონ) საბინინი, მოსე ჯანაშვილი, გიორგი (კირიონ) საძაგლიშვილი, კალისტრატე ცინცაძე, პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები, თედო ჟორდანია, ამბროსი ხელაია, ექვთიმე თაყაიშვილი, სერგი გორგაძე, ალექსანდრე ცაგარელი, კორნელი კეკელიძე და მრავალი სხვა. სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა მკვლევართა არაერთი თაობა, რომელთაც სპეციალური განათლება საისტორიო ღვთისმეტყველების, საეკლესიო არქეოლოგიის დარგში რუსეთის სხვადასხვა სასულიერო აკადემიებში შეიძინეს. მათი საზოგადოებრივი და ინტელექტუალური ცხოვრება მიეძღვნა საქართველოს კულტურული საგანძურის გამომზევებასა და ქრისტიანულ სამყაროში საქართველოს ეკლესიის ადგილის წარმოჩენას, ქართველთა კონსოლიდაციის, ნაციონალური თვითგამორკვევისა და ეროვნული ცნობიერების ფორმირების პროცესში საქართველოს ეკლესიის, როგორც ერთ-ერთი განმსაზღვრელი და მნიშვნელოვანი ფენომენის ჩვენებას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. История Христианской церкви в XIX века, изд. А. П. Лопухина, т. 2, ч. II, Петроград, 1901.
2. Русское православие: вехи истории, Москва, 1989.
3. Е. К., Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901.
4. რ. საყვარელიძე, ქალთა პედაგოგიური განათლება საქართველოში, თბილისი, 1958.
5. ნ. ქეცბაია, ქალთა განათლების მდგომარეობა საქართველოში მე-19 ს-ის II ნახევარში, კრებულში: კულტურის ისტორიის საკითხები, III, 1997.
6. თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსი-

ფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება, კრებულში: ქართველური მემკვიდრეობა, 2001, V.
7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საიატორიო არქივი, ფ. 440, საქ. №194.
8. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX ს.), თბილისი, 1951.
9. Религия и церковь в истории России, Москва,1975.
10. Церковь в истории России (IX в.-1917 г.), Москва,1967.
11. История религии в России, под общей ред. Трофимчука, Москва, 2002.
12. მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX სს., თბილისი, 1987.
13. ტ. კვიციანი, რუსეთის სასკოლო პოლიტიკა საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლებში, საისტორიო ძიებანი, IV, 2001.
14. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 17, ანაწ. 3, საქ. 300.
15. მ. ალექსიძე, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა თბილისის სასულიერო სემინარიაში (ბრძოლა ქართული ენისათვის), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ავტორეფერატი), თბილისი, 1998.
16. თ. ფხალაძე, ქართველი სამღვდელოების ბრძოლა მშობლიური ენის დაცვისათვის (XIX ს-ის ბოლო-XX ს-ის დასაწყისი), კრებულში: კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, IX, 2000.
17. Т. Татиев, Исторический очерк развития церковно-школьного дела грузинской епархии за 25 лет (1884-1909 гг.), Тифлис, 1913.

Khatuna Kokrashvili
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

From the History of Theological Education of the 19th Century Second Half Georgia

Summary

Religious education in Russia consisted of four stages: theological academies, theological seminaries, uyesd schools and parochial schools. In Georgia there were only theological seminaries, uyesd schools and parochial schools. After finishing theological seminaries, for the high theological education, students have to go to Russiato continuing study in the theological academy.

In the second half of the 19th century a network of theological education in some way widened but it was at the expense of the elementary theological education. Government in Georgia did not show much initiative to open theological schools (such as: uyesd theological schools and seminaries). Till the 90es of the 19th century there was an only theological seminary in the whole Georgia which was preparing priests for all eparchies. In 1894 with the efforts and donations of the local clergymen Kutaisi theological seminary was opened. It existed only till 1904.

In the inland uyesds of Russia theological schools were donated by the governmenttreasury. Theological schools in Georgia existeddue to the profit of local, Georgian Exarchate. Elementary schools of theology opened mainly on people's donations. Due to lack of budget, teachers' wages were not quite enough, were low and the schools were not well arranged.

In the second half of the 19th century teaching of the Georgian language in the theological schools decreasedsignificantly. In 1873 by the order of the Holy Synod the Georgian language was not any more obligatory, required subjectin the theological schools. Only two hours in each class were allocatedfor mother tongue. It had a function of an auxiliary subject in the process of teaching Russian. According to the order of 1875 pupils were instructed to use Russian when they communicated with each other. Because the Georgian language was taught inappropriately well it was difficult for graduates to communicate with their congregation, serve liturgy in Georgian.

The fight for preserving Georgian language that took place in the second half of the 19th century was one of the main issues of the national – liberattion movement. As a result of this fight govrnment periodically changed the attitude towards teaching Georgian language in the theological schools.

In difference with public schools, where Georgian language has been completely removed from the schools of public education system, in the 1880es-1890es in the theological schools, though Georgian language was restricted, it was not completly forbidden. That is why the demand for the parochial schools (it means for primary theological schools) among the population incresed.

ირინა არაბიძე

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

რუსეთის ეკლესიის ანტიეკუმენური მოღვაწეობის ისტორიიდან (მოსკოვის 1948 წლის თათბირი)

მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებისა და წარმომადგენლების ანუ სრულიადმართლმადიდებელთა თათბირი მოსკოვში, სოკოლნიკის მაცხოვრის აღდგომის ტაძარში 1948 წლის 8-დან 18 ივნისამდე მიმდინარეობდა. ოფიციალურად ის რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიის 500 წლისთავს ეძღვნებოდა. თათბირზე განსახილველად შემდეგი საკითხები იყო მომზადებული: 1. ვატიკანი და მართლმადიდებელი ეკლესია; 2. ეკუმენური (მსოფლიო) მოძრაობა და მართლმადიდებელი ეკლესია; 3. ანგლიკანური იერარქია; 4. საეკლესიო კალენდარი.

რუსეთის ეკლესიამ თავისი დღესასწაულის აღნიშვნა ამსტერდამში დაგეგმილ ეკუმენური მოძრაობის მმართველი ორგანოს – ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დამფუძნებელ ასამბლეამდე ერთი თვით ადრე მოაწყო. სტუმრებისათვის წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ყურადღება გამახვილებული იქნებოდა ეკუმენური მოძრაობისადმი მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულებაზე (ეკუმენიზმის მესვეურთაგან ასამბლეაში მონაწილეობისა და მოძრაობის წევრობის შეთავაზება ყველა ადგილობრივმა ეკლესიამ მიიღო). ჩვენს მიზანსაც ამჯერად მხოლოდ ამ საკითხის განხილვა წარმოადგენს.

თათბირის მოწვევა დაკავშირებული იყო იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებასთან, რომელიც მაშინ საერთაშორისო ასპარეზზე სუფევდა. II მსოფლიო ომი (1939-1945) ახალი დამთავრებული იყო და 2 მტრულ ბანაკად დაჯგუფებულ სახელმწიფოებს შორის გავლენის სფეროების გასანაწილებლად „ცივი ომი“ მიმდინარეობდა.

თათბირის მოწვევის წინაპირობების, მისი არსისა და დანიშნულების განსაზღვრისას ყურადღება რამდენიმე საკითხზე გვინდა გავამახვილოთ: ნამდვილად ჰქონდა თუ არა რუსეთის ეკლესიას

მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის ამბიცია; გამოვლინდა თუ არა თათბირის რეზოლუციაში მართლმადიდებელთა თავისუფალი აზრი; ვისი ინიციატივით – საბჭოთა ხელისუფალებისა თუ რუსეთის ეკლესიის – ჩატარდა ეს უმნიშვნელოვანესი თავყრილობა.

ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით ისტორიკოსები ურთიერთგამომრიცხავ აზრებს გამოთქვამენ. ერთი ჯგუფი თვლის, რომ თათბირის მოწვევა ეკლესიის ინტერესებით იყო განპირობებული (სელიშევი); მეორე ჯგუფს მიაჩნია, რომ იმ ეტაპზე ეკლესიისა და საბჭოთა ხელისუფლების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და თათბირის მოწვევა ორივე მხარის ინტერესებს პასუხობდა (მიხეილ კრიგერი, ოლგა ვასილიევა); მესამე ჯგუფის აზრით, ეკლესია საბჭოთა ხელისუფლების ძლიერი პრესის ქვეშ იმყოფებოდა და პატრიარქი ალექსი I (1944-1970) ეკუმენურ მოძრაობაში გაერთიანების უარმყოფელი თათბირის ორგანიზებისას თავის მოსაზრებებსაც კი ეწინააღმდეგებოდა (შკაროვსკი, პოსპელოვსკი).

მრავალრიცხოვანი ლიტერატურისა და ინტერნეტში გამოქვეყნებული წყაროების განხილვის შედეგად, ჩვენ II ჯგუფის აზრს ვიზიარებთ. რუსეთის ეკლესიამ XX ს. 40-იან წლებში საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით და მისივე დახმარებით კიდევ ერთხელ განიზრახა თავისი ამბიციის განხორციელება – „მსოფლიო ეკლესიის“ ტიტულის მისაკუთრება.

ისტორიკოს ოლგა ვასილიევას აზრით, აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში მოსკოვის გავლენის გავრცელება-გაძლიერებისა და ვატიკანის გაზრდილ ამბიციებთან დასაპირისპირებლად, საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე მართლმადიდებელთა ერთობის შექმნის საკითხი დასვა. საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური სტალინი ამ შემთხვევაში მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის არსებული ტრადიციული წინააღმდეგობის გამოყენებას ცდილობდა [1].

ჩერჩილის მიერ ფულტონში წარმოთქმული სიტყვის (1946 წ. 5 მარტი) შემდეგ დაწყებული „ცივი ომის“ პირობებში სტალინს ძალების გასათანაბრებლად დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. მით უფრო, რომ საბჭოთა კავშირი ახალ ეტაპს ატომური იარაღის გარეშე იწყებდა და ძლიერი, გავლენიანი კათოლიკური ეკლესია დასავლეთის ქვეყნების მხარეს იდგა. საბჭოთა ხელისუფლებას ამ უკანასკნელთან დასაპირისპირებლად მოსკოვში თავისი მორჩილი და თანაც მსოფლიოში ავტორიტეტული საეკლესიო ცენტრი –

„მართლმადიდებელი ვატიკანი“ სჭირდებოდა [2]. ამისთვის კი მსოფლიო საეკლესიო კრების სანქცია იყო საჭირო.

მოსკოვის მეთაურობით მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთობის ჩამოყალიბებისათვის სამზადისი საბჭოთა სახელმწიფომ რუსეთის ეკლესიის ორგანიზაციული განმტკიცებით დაიწყო.

ოლგა ვასილიევას აზრით, რუსეთის ეკლესიის მესვეურთათვის სტალინის გეგმების მხოლოდ ძირითადი მიმართულებანი იქნებოდა ცნობილი. მათ ესმოდათ, რომ სტალინის ზრუნვა ეკლესიაზე განსაკუთრებულ მიზნებს ემსახურებოდა და რელიგიისადმი მისი დამოკიდებულების ცვლილებით არ იყო გამოწვეული. საბჭოთა სახელმწიფოს სურდა, ეკლესია გამოეყენებინა შორსმიმავალი საგარეო-პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად, რაც თვალუწვდენელი კომუნისტური იმპერიის შექმნას გულისხმობდა. ეკლესიას ამ საქმეში დასაყრდენის როლი უნდა შეესრულებინა. ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოს დიპლომატიური კონტაქტების დიდი ნაწილი სწორედ საეკლესიო არხებით ხორციელდებოდა [1].

საბჭოთა ხელისუფლება საეკლესიო საქმეებში სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს მეშვეობით ერეოდა. ამ საბჭოს თავმჯდომარე დაარსებიდან (1943 წ.) 1960 წლამდე სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის პოლკოვნიკი გიორგი კარპოვი (1898-1967) იყო.

XX საუკუნის 40-იანი წლების II ნახევარში მოსკოვში მართლაც რომ მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა იგეგმებოდა, ამაზე მეტყველებს სსრკ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 29 მაისის დადგენილება (1132-46/CC), რომლითაც ნებადართულია მსოფლიო საეკლესიო კრების წინასწარი თათბირის მოწვევა ყველა ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურთა მონაწილეობით, ვატიკანის წინააღმდეგ ბრძოლის, ეკუმენურ მოძრაობასთან დამოკიდებულების, მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის და სხვა საკითხების განსახილველად. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მოსკოვში მოწვეული მსოფლიო კრების მიზანი ასევე უნდა ყოფილიყო მოსკოვის ოფიციალური აღიარება III რომად (ზოგ დოკუმენტში – II რომი წერია) [2].

მსოფლიო საპატრიარქო კათედრის კონსტანტინოპოლიდან მოსკოვში გადმოტანის იდეის არსებობას ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, საერთაშორისო მასშტაბის შემდეგი გარემოებები განაპი-

რობებდა: იმ პერიოდისათვის აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელი ქვეყნების საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში ყოფნა; საბერძნეთში მიმდინარე სამოქალაქო ომში კომუნისტების შესაძლო გამარჯვების იმედი; მსოფლიო პატრიარქის ტახტზე 1946 წლის თებერვალში რუსოფილი პატრიარქის – მაქსიმის აღსაყდრება; რუსეთის ისტორიაში აღმოსავლეთის პატრიარქთა: ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის – ძვირფასი საჩუქრებით დაყოლიების პრეცედენტების არსებობა [2; 3].

რუსეთის ეკლესიის საქმეთა საბჭოს 1946 წლის მუშაობის შედეგებში (1947 წლის 14 თებერვლის თარიღით) კარპოვი აღნიშნავს: „საზღვარგარეთ ჩატარებული მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოები საშუალებას გვაძლევს 1947-1948 წლებში მოსკოვის საპატრიარქო გამოვიყენოთ ახალ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებსაც პრინციპული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ“. მათ რიცხვში დასახელებულია: მოსკოვში მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა საეკლესიო კრების წინასწარი თათბირისა და მსოფლიო კრების მოწვევა.

კარპოვი აცხადებს, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში თავისი მნიშვნელობითა და ბოლო დროს გაზრდილი ავტორიტეტით, პირველი ადგილი უნდა ეკავოს და არა მეხუთე. თუმცა, თვითონვე მიუთითებს: დიპტიქში რიგითობა ავტოკეფალურ უფლებათა მიღების ხანდაზმულობას შეესაბამება და მსოფლიო მასშტაბით ამ გადანაცვლებისათვის შესაძლოა, ბრძოლაც გახდეს საჭიროო [3].

მიუხედავად იმისა, რომ რუს ისტორიკოსებს აქვთ განხილული დოკუმენტები, რომლებიც „მსოფლიო ეკლესიის“ პატივზე რუსეთის ეკლესიის პრეტენზიებს ცხადყოფენ, ზოგიერთი ისტორიკოსი საპირისპიროს ამტკიცებს. მათ რიცხვს ნ. სელიშევიც მიეკუთვნება. იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთის ეკლესიას მსოფლიო საპატრიარქოს პატივზე არ ჰქონია პრეტენზია, სელიშევს მოაქვს პატრიარქ ალექსისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის გიორგი კარპოვის 1959 წლის 2 აპრილის საუბარის ამონაწერი.

კარპოვის კითხვას – შეუძლია თუ არა რუსეთის ეკლესიას, გახდეს ინიციატორი მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევისა, პატრიარქი ალექსი პასუხობს: „მას ამის გაკეთება არ შეუძლია. არსებული საეკლესიო კანონებით მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელთა ასეთი კრებების... მოწვევის უფლება

აქვს მხოლოდ პირველ პატრიარქს. **ამჟამად ეს უფლება ეკუთვნის კონსტანტინოპოლის პატრიარქს** (ხაზგასმა ჩვენია – ი. ა.). ჩვენ მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების მოწვევა სხვადასხვა ქვეყნიდან შეგვიძლია მხოლოდ სტუმრების რანგში რაიმე საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებით" [4].

სელიშევის მიერ მოტანილი ამონარიდიდან, ვფიქრობთ, გამოდის, რომ ოდესმე პირველი შეიძლებოდა სხვა ეკლესია ყოფილიყო, ე. ი. შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთის ეკლესიაც.

სინამდვილეში „თანასწორთა შორის პირველი" – ყოველთვის კონსტანტინოპოლის პატრიარქია და სიტყვა „ამჟამად" – აქ არაფერ შუაშია.

ხელისუფლებისაგან ნებადართული საეკლესიო კრების წინასწარი თათბირის შენიღბულ მიზანს მოსკოვის საპატრიარქოსთვის „მსოფლიო ეკლესიის" ტიტულის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენდა.

მაგრამ ავტოკეფალურ ეკლესიათა ნაწილმა (ალექსანდრიის, იერუსალიმის, კვიპროსის) არა თუ საეკლესიო კრებაში, არამედ კრების წინასწარ თათბირში მონაწილეობაზეც კი უარი განაცხადა [3].

მსოფლიო საპატრიარქოს მოსკოვში გადატანის გეგმის ცვლილება გარდა აღმოსავლეთის პატრიარქთა მხრიდან გამოხატული წინააღმდეგობისა, კონსტანტინოპოლის ტახტზე შექმნილმა სირთულეებმაც განაპირობა. რუსეთისადმი კეთილგანწყობილი პატრიარქი მაქსიმი შეშლილად გამოაცხადეს, იძულებით სამკურნალოდ გაგზავნეს.

მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის იდეის კრახის შემდეგ მოსკოვმა ახალი გეგმა დაისახა – რუსეთის ეკლესიას ეკუმენური მოძრაობისათვის უნდა ეხელმძღვანელა.

XX ს. 40-ანი წლების შუა ხანებში მოსკოვის საპატრიარქო ეკუმენურ მოძრაობაში რუსეთის ეკლესიის მონაწილეობის წინააღმდეგი არ იყო. ჯერ კიდევ 1946 წლის დასაწყისში პატრიარქი ალექსი კარპოვისადმი წერილში მართლმადიდებელ სამყაროში ავტორიტეტდაკარგული მსოფლიო პატრიარქის პატივის რუსეთის ეკლესიაში გადმონაცვლებას ეკუმენურ მოძრაობაში რუსეთის ეკლესიის გაწევრიანებასაც უკავშირებდა. მისი აზრით, სხვა მართლმადიდებელი პატრიარქები ამისთვის მზად არ იყვნენ [2].

დეკანოზი გრიგოლი (რაზუმოვსკი) 1946 წელს პატრიარქ ალექსისადმი წერილში აღნიშნავდა, რომ ეკუმენურ მოძრაობაში მართლმადიდებელ ეკლესიათა გაწევრიანება დასავლეთის ქრის-

ტიანებს სულიერი შიმშილისაგან გადაარჩენდა და ამაზე რუსეთის ეკლესიას უარი არ უნდა ეთქვა. პარიზში მცხოვრები მეცნიერი, ღვთისმეტყველი ნიკოლოზ პოლტორაცკი რუსეთის ეკლესიას აფრთხილებდა, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან ურთიერთობაზე რუსეთის ეკლესიის უარს უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა [2].

რუსეთის ეკლესიის საქმეთა საბჭო ზემოხსენებულ ანგარიშში (1946 წლის) მიიჩნევდა, რომ ხელისუფლებას რუსეთის ეკლესიისათვის ვატიკანის წინააღმდეგ მოქმედებათა შესათანხმებლად 1947 წელს კენტერბერის მთავარეპისკოპოსის მოსკოვში მოწვევის ნება უნდა დაერთო. რადგან ეკუმენურ მოძრაობას ინგლისის ეკლესია მეთაურობდა, შესაძლო იყო, კენტერბერის მთავარეპისკოპოსს ეკუმენურ მოძრაობაში რუსეთის ეკლესიის გაერთიანების საკითხი წამოეჭრა. ანგარიშში განმარტებულია, რომ ეკუმენური მოძრაობა ფორმალურად ეკლესიური საკითხების გადასაწყვეტად ეკლესიათა გაერთიანებას ისახავდა მიზნად, სინამდვილეში კი, უპირველეს ყოვლისა, დაკავებული იყო პოლიტიკით და საბჭოთა კავშირთან მიმართებაში თანდათან უფრო რეაქციული ხდებოდა. ამის თქმის საფუძველს იძლეოდა მოთხოვნები, რომლებიც ეკუმენისტებმა 1946 წელს ჟენევაში წამოაყენეს: გადახედილიყო პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებანი გერმანიასთან მიმართებაში, ასევე, მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით [3].

ამავე ანგარიშის მიხედვით, რუსეთის ეკლესიას ეკუმენური მოძრაობისათვის პოლიტიკური განცხადებების კეთებაზე უარის თქმა და მმართველ ორგანოში რუსეთის მეთაურობით მართლმადიდებელთა წარმომადგენლობის გაზრდა უნდა მოეთხოვა (ეკუმენური მოძრაობის მმართველ ორგანოებში მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებს 90-დან მხოლოდ 17 ადგილი ეთმობოდათ) [3].

მოსკოვის საპატრიარქოს ზოგიერთი ავტოკეფალური ეკლესიისაგან მხარდაჭერის პირობა ჰქონდა მიღებული. ამის გათვალისწინებით რუსეთის ეკლესიის საქმეთა საბჭო იმედოვნებდა, აღნიშნული პირობების დაკმაყოფილება რუსეთის ეკლესიას ეკუმენურ მოძრაობაზე საბჭოთა ხელისუფლებისათვის საჭირო გავლენას მოუპოვებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის ეკლესიას ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანებაზე უარი უნდა ეთქვა [3].

რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეკუმენურ მოძრაობასთან შეერთებისათვის წინაპირობები წამოაყენა: რუსეთის ეკლესია მხოლოდ მოსკოვის საპატრიაქოს უნდა წარმოედგინა და რუსი ემიგრანტები (მ. შ. გიორგი ფლოროვსკი, სერგეი ბულგაკოვი, პარიზის საღვთისმეტყველო ინსტიტუტი) კონფერენციებს აღარ უნდა დასწრებოდნენ. ეკუმენური მოძრაობის მესვეურებს რუსეთის ემიგრაციასთან საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ, ამიტომ ამ პირობაზე არ დათანხმდნენ. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსათვის მიუღებელი აღმოჩნდა ასამბლეის შემადგენლობაში მართლმადიდებელი დელეგატებისათვის საკონტროლო პაკეტის უზრუნველყოფის მოთხოვნაც [2].

1947 წლის ბოლოსათვის აშკარა გახდა, რომ რუსეთის ეკლესია თავის მიერ წაყენებული პირობებით, ეკუმენურ მოძრაობაში ვერ გაერთიანდებოდა და მან ეკუმენური მოძრაობის მიმართ დამოკიდებულება შეცვალა. უკვე 1948 წლის დასაწყისში რუსეთის ეკლესიის საქმეთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რუსეთის ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში არ გაწევრიანდებოდა [2].

არსებული ვითარების გათვალისწინებით, რუსეთის ეკლესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კრების ნაცვლად თათბირი მოეწვია. თუმცა, იერუსალიმის და ალექსანდრიის პატრიარქებმა არც მასში მონაწილეობა მოინდომეს. რუსეთის პატრიარქს მოუხდა განმარტება, რომ იწვევდა არა მსოფლიო საეკლესიო კრებას, არამედ თათბირს, რომლის კომპეტენციაც კრების კომპეტენციისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა.

რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიის 500 წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვში შეიკრიბნენ: კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, საბერძნეთის, პოლონეთის, ალბანეთის წარმომადგენლები. საპატიო სტუმრის სტატუსით თათბირს და საიუბილეო ღონისძიებებს ესწრებოდა სომხეთის პატრიარქ-კათოლიკოსი გევორქ VI [5].

კონსტანტინოპოლისა და ელადის ეკლესიათა დელეგაციებმა მხოლოდ საზეიმო ცერემონიებში მიიღეს მონაწილეობა, თათბირს არ დასწრებიან [3].

გიორგი კარპოვის აზრით, ამ უკანასკნელთა მოსკოვში ჩასვლის მიზანს წარმოადგენდა რუსეთის ეკლესიის გარშემო დარაზმული ძალების დაზვერვა. მათ აინტერესებდათ, ამ გაერთიანების სიმტკიცე და ხომ არ აპირებდა მოსკოვის თათბირი რუსეთის ეკლესიის საჭეთმპყრობლისათვის მსოფლიო პატრიარქის პრეროგა-

ტივების მინიჭებას. მისივე აზრით, თათბირის მონაწილე დელეგაციების უმრავლესობა პატრიარქ ალექსისაგან სუფსიდიებს და ჯილდოებს მოელოდა [8].

თათბირის გახსნის დღეს სტუმრებს საბჭოთა ხელისუფლების სახელით მიესალმა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კარპოვი.

კარპოვმა ყურადღება გაამახვილა საბჭოთა ხელისუფლების კეთილ ნებაზე, ხელი შეეწყო რუსეთის ეკლესიის სურვილისათვის – საეკლესიო დღესასწაულით აღენიშნა თავისი ავტოკეფალიის 500 წლისთავი, მოეწვია ამ ზეიმზე ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურნი და წარმომადგენელნი.

მან დამსწრეთ შეახსენა საბჭოთა კავშირში სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობის ფაქტი და ერთმანეთის ცხოვრებაში მათ ჩაურევლობაზე, მათ შორის ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე გაამახვილა ყურადღება.

რუსეთის ეკლესიის დღესასწაულის მონაწილენი დეპეშით მიესალმნენ სტალინს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) თათბირზე რამდენჯერმე გამოვიდა სიტყვით. იგი შეეხო რუსეთის ეკლესიის ისტორიას და მის დამსახურებას სამშობლოს წინაშე, აგრეთვე საქართველოს ეკლესიის მიერ განცდილ კათოლიკურ აგრესიას [6, 89].

ეკუმენურ მოძრაობასთან დაკავშირებული საკითხის განხილვის პირველ დღეს გაკეთებული სამი მოხსენებიდან ორი – რუმინეთისა და ბულგარეთის ეკლესიათა დელეგატების – ეკუმენურ მოძრაობაში მართლმადიდებელი ეკლესიების მონაწილეობას უჭერდა მხარს. რუსეთის ეკლესიის პოზიცია, დეკანოზ გრიგოლ რაზუმოვსკის მიერ წარმოდგენილი, ანტიეკუმენური შინაარსის იყო. ასეთივე დამოკიდებულება გამოხატა რუსეთის ემიგრაციის წარმომადგენელმა მიტროპოლიტმა სერაფიმემ (სობოლევი).

რუსეთის ეკლესიის მხრიდან გამომსვლელთა მიზანს შეადგენდა ამომწურავი პასუხების გაცემა სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა შეკითხვებზე, რითაც ერთი, წმიდა, კათოლიკე, სამოციქულო ეკლესიის არსებობა ყველასთვის ცხადი გახდებოდა. მათ დოგმატური საკითხების განხილვისათვის გვერდის ავლით ეკლესიათა ერთობის მიღწევა მართლმადიდებელთათვის შეუძლებლად მიიჩნიეს; ეკუმენური მოძრაობის საბოლოო და შენიღბულ მიზნად ახალი ეკლესიის დაარსება დაასახელეს და ამ პროცესში მონაწი-

ლეობაზე უარი განაცხადეს. პატრიარქმა ალექსიმ 1948 წლის თათბირზე თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა: „მართლმადიდებელ ეკლესიას არ აქვს ადგილობრივი ეკლესიების გამაერთიანებელი ადმინისტრაციული ორგანო. რატომ უნდა მიიღოს მან მონაწილეობა სხვაგვარად მოაზროვნე ქრისტიანთა ადმინისტრაციულ გაერთიანებაში? ასეთ ორგანიზაციაში მონაწილეობა არ იქნება იმის დასტური, რომ ჩვენ სარწმუნოების საგანძურს მსხვერპლად ვწირავთ მოჩვენებით, ცრუ ერთობას?“ მისი აზრით, ეკუმენურ მოძრაობას ღვთისმებრძოლი ხასიათი აქვს და კაცობრიობას სთავაზობს ახალი მსოფლიო წესრიგის ბაბილონის გოდოლის მშენებლობას. „ეკუმენისტთა მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით ორგანიზებული ეკლესია უფრო ახლოს იქნება მიწასთან, ვიდრე ცასთან...“ [9].

რუსეთის ეკლესიის ოფიციალურ პოზიციაში, რომელიც დეკანოზმა გრიგოლ რაზუმოვსკიმ წარმოადგინა, გადმოცემული იყო ეკუმენური მოძრაობის ისტორია. აღნიშნული იყო, რომ ეს მოძრაობა არც ორგანიზაციულად, არც ფინანსურად და არც იდეოლოგიურად არ იყო ახალი და დამოუკიდებელი. ის მასონთა პროექტის – ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის – ნაწილს წარმოადგენდა [9].

აღსანიშნავია, რომ 1948 წლის თათბირზე ეკუმენიზმის მასონებთან კავშირის შესახებ დაუფარავად საუბრობდნენ. მიხეილ კრიგერი აღნიშნავს, რომ, ჩვენს დროში, როცა კაცობრიობამ უკეთესად გაიგო მასონურ სტრუქტურებთან ეკუმენური მოძრაობის კავშირის შესახებ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მხოლოდ რელიგიურ ორგანიზაციად მიჩნევა საქმის რეალურ ვითარებაზე თვალის დახუჭვას წარმოადგენს. ის პოლიტიკურ ორგანიზაციათა მიზნების განხორციელების იარაღია [9].

ეკუმენიზმის რაობისა და ამ მოძრაობაში მართლმადიდებელთა მონაწილეობის მნიშვნელობის გაგებისათვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ XX საუკუნეში მასონური დევიზი იყო კაცობრიობის გაერთიანება ცხოვრების ყველა სფეროში: ერთიანი მსოფლიო ხელისუფლება, ერთიანი ეკონომიკური სივრცე, ერთიანი ეკუმენური ეკლესია, ერთიანი საინფორმაციო სივრცე. ეკუმენისტებიც აღიარებენ, რომ მათ მიზანს ახალი საზოგადოებრივი წყობის ორგანიზება, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება წარმოადგენს [9].

ეკუმენიზმის არსის ასეთმა გაგებამ რუსეთის ეკლესიას მისცა საბაბი, უარი ეთქვა ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე. დეკანოზი გრიგოლ რაზუმოვსკი აღნიშნავდა: ეკუმენური ეკლესია გარეგნული მოწყობით შეიძლება იყოს კორპორაციულად

ერთიანი, მაგრამ წმინდა და სამოციქულო ვერ იქნება. „ჩვენს ეკლესიას არ სურს, არ შეუძლია და არ უნდა იყოს არაეკლესიური ორგანიზაციების გავლენაში. ჩვენს სულიერ თავისუფლებას დავიცავთ, როგორც ფასდაუდებელ განძს“ [9].

ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ მსჯელობისას მოსკოვის 1948 წლის თათბირის საქმეებსა და რეზოლუციებს სამსახურის გაწევა დღესაც შეუძლიათ. მით უმეტეს, ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობის მრავალწლიანი მწარე გამოცდილება შესაძლებლობას გვაძლევს, გავაანალიზოთ 1948 წელს ხელმოწერილი რეზოლუციების დარღვევის შედეგებიც [9].

თათბირის დასკვნითი სხდომა შედგა 17 ივლისს სოკოლნიკის აღდგომის ტაძარში. რეზოლუციას ყველა დამსწრემ, მ. შ. საპატიო სტუმარმა – გეევორქ VI-მაც მოაწერა ხელი [2; 5].

ალექსანდრიის ეკლესიის დავალებით თათბირის გადაწყვეტილებებზე თანხმობა ანტიოქიის ეკლესიის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს [3].

რუსეთის ეკლესიის მიერ ყველა რეზოლუცია წინასწარ იყო მომზადებული. თათბირის პერიოდში ხდებოდა მონაწილეთა დარწმუნება, მიეღოთ ეს რეზოლუციები [2].

ბულგარეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელს – მიტროპოლიტ სტეფანეს ეკუმენურ მოძრაობასთან კავშირის არცთუ მცირე ხნის ისტორია ჰქონდა და მისი დამოკიდებულების ცვლილება ადვილი საქმე არ უნდა ყოფილიყო (იგი თავისი მოხსენიებით ეკუმენიზმს უჭერდა მხარს).

თათბირისათვის მზადების პირობებში, საერო ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიტროპოლიტ სტეფანეს აზრის დამუშავება ჯერ კიდევ ბულგარეთში დაიწყეს. მან რუსეთის ეკლესიის პოზიციის გაზიარება სამშობლოდან გამომგზავრებამდე საგარეო საქმეთა მინისტრსაც კი აღუთქვა. მაგრამ მოსკოვში ჩასული ისევ თავისი პოზიციის დაფიქსირებას აპირებდა. ამ ვითარებაში, საბჭოთა მთავრობის ჩარევით, ბულგარეთის ხელისუფლებამ მას დეპეშით აცნობა, რომ ბულგარეთის ეკლესიაში პატრიარქობის დაწესებაზე თანხმდებოდა [2; 4]. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი, რამაც თათბირის ანტიეკუმენურ რეზოლუციაზე მიტროპოლიტ სტეფანეს ხელმოწერა განაპირობა. თუ გავითვალისწინებთ ბულგარეთის პროსაბჭოურ მთავრობასა და ეკლესიას შორის 1947 წლიდან გართულებულ ურთიერთობებს, ბულგარეთის ეკლესიის მეთაურის

ეს მოქმედება გასაგები გახდება (ბულგარეთის საპატრიარქო 1953 წელს აღდგა).

თათბირის რეზოლუციაში არ არის დაგმობილი ეკუმენიზმი და ეკუმენური კონტაქტები. რეზოლუციაში ხშირად გამოყენებული გამოთქმა – „დღევანდელი თვალთახედვა“, ზოგიერთ ისტორიკოსს აფიქრებინებს, რომ უარი ნათქვამია არა დიალოგზე, არამედ საკითხის პოლიტიზირებულობაზე და პარადოქსად სწორედ ისაა მიჩნეული, რომ რუსეთის ეკლესია თვითონ ძლიერი პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ მყოფი, ეკუმენისტებს პოლიტიზირებულობაში ადანაშაულებდა [2].

რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ეკუმენურ მოძრაობაში მართლმადიდებელი ეკლესიის გაერთიანებას ძალაუნებურად მისი დანიშნულების შეცვლა და მორწმუნეთა სულებზე ზრუნვის ნაცვლად პოლიტიკური მიზნების განხორციელების იარაღად გამოყენება მოჰყვებოდა [5].

მიზეზები, რომლის გამოც მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო, რეზოლუციაში ასეთი სახით ჩამოყალიბდა:

„ა. ეკუმენური მოძრაობის მიზანსწრაფვა, რაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შექმნაში გამოიხატება და საბოლოო მიზნად აქვს „ეკუმენური ეკლესიის“ ჩამოყალიბება, ჩვენი დღევანდელი თვალთახედვით, არ შეესაბამება ქრისტეს ეკლესიის იდეალებისა და ამოცანების მართლმადიდებლურ გაგებას.

ბ. ეკლესიის მიერ საკუთარი ძალების მიმართვა ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკური საკითხებისაკენ და საერთაშორისო გავლენის მქონე „ეკუმენური ეკლესიის“ ჩამოყალიბებისაკენ, არის ცოდვა, რომელიც ქრისტემ უარყო და ეკლესიის მიერ ადამიანთა სულების ბნელეთისათვის განწირვა...

გ. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მუშაობის დღევანდელი გეგმის მიხედვით, ეკუმენური მოძრაობა ქრისტიანული ეკლესიის სასიკეთო მოვლენას არ წარმოადგენს. მან ძალიან ადრე უარყო ერთი, წმინდა, კათოლიკე, სამოციქულო ეკლესიის გაერთიანების შესაძლებლობა. ედინბურგის 1937 წლის კონფერენციის პროტესტანტულმა უმრავლესობამ მარცხის განცდითა თუ ამ მარცხის წინასწარმეტყველებით, ეკლესიათა გაერთიანების მცდელობა ნაადრევად დაასრულა. თვითგადარჩენის მიზნით, პროტესტანტიზმმა ნაკლები წინააღმდეგობის გზა აირჩია, გზა განყენებული უნიონიზმისა არა მხოლოდ სოციალ-ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური

საფუძვლითაც კი... ეს იქნება დაწესებულება ასე თუ ისე სახელმწიფოსთან დაკავშირებული და საერო გავლენის ქვეშ მოქცეული.

დ. ეკუმენური მოძრაობა გასული 10 წლის განმავლობაში (1937-1948) დოგმატურ და სჯულის საფუძველზე ეკლესიათა შეერთების საკითხს უკვე აღარ განიხილავს. ამას მხოლოდ მეორეხარისხოვანი, პედაგოგიური მნიშვნელობა ენიჭება მომავალი თაობისათვის.

ე. ქრისტიანთა გაერთიანების მოთხოვნათა დაყვანა მხოლოდ იესო ქრისტეს ღმრთად აღიარებამდე, ამცირებს ქრისტიანულ სწავლებას... მართლმადიდებელ, ავტოკეფალურ ეკლესიათა წინამძღოლებისა და წარმომადგენლების თათბირმა ეკუმენური მოძრაობის ახლანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, სულიწმიდის ჩაგონებით დაადგინა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთვის ეცნობებინა, რომ მოსკოვის თათბირის მონაწილე ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები იძულებული იყვნენ, ეკუმენურ მოძრაობაში გაერთიანებაზე უარი ეთქვათ“ [5].

ერთ-ერთი მოტივი, რომლის გამოც რუსეთის ეკლესიამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაერთიანებაზე უარი განაცხადა, წმინდა კანონები იყო. კერძოდ კი – ერეტიკოსებთან ერთობლივი ლოცვა მოციქულთა X და XV კანონებს ეწინააღმდეგებოდა.

თათბირზე უარყოფითად შეფასდა ეკუმენურ მოძრაობასთან რუსული ემიგრაციის ნაწილის ურთიერთობაც.

რუსეთის ეკლესიამ თათბირის მეშვეობით მიმართა მსოფლიოს ქრისტიანებს, „არ გადაეხვიათ ღვთის საუფლოს ჭეშმარიტი გზიდან. ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიის შემცვლელად მოჩვენებითი და მაცდური ეკუმენური ეკლესიის შექმნაში არ დაეკარგათ ძვირფასი დრო და ძალა. რადგან ამით წმიდა, კათოლიკე, სამოციქულო ეკლესიის ერთიანობის საკითხი ვერ გადაწყდებოდა“.

სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ჩამოყალიბებამდე ორმხრივი დიალოგის სახით ვითარდებოდა და თითოეული მათგანის თავისუფლებას არ ზღუდავდა. რუსეთის ეკლესია ქრისტიანულ კონფესიებთან დიალოგისას მიზნად ისახავდა ეკლესიური ერთობის აღდგენას, რაც რწმენაში სრული ერთობით მიიღწევა და მართლმადიდებლობასთან სხვა კონფესიების შეერთებით უნდა განხორციელებულიყო. ეკუმენისტები რწმენაში ერთობის მიღწვას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. XX საუკუნის 40-იან წლებში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ორგანიზაციული სტრუქტურების

ჩამოყალიბება, ეკუმენური მოძრაობის მოწინააღმდეგეთა აზრით, უსათუოდ გამოიწვევდა წევრებისათვის რაღაც ვალდებულებების დაკისრებას, რაც თითოეული მათგანის ტრადიციის საწინააღმდეგოც კი შეიძლებოდა ყოფილიყო. განსაკუთრებით მიუღებელი იყო სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელთა ერთობლივ ლოცვებში მართლმადიდებელთა მონაწილეობის დაშვება [7].

მოსკოვის 1948 წლის თათბირის გადაწყვეტილებებს გარკვეულ დრომდე საერო ხელისუფლების გავლენით, ცნობდნენ მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების ეკლესიები. ანტიოქიის ეკლესიამ თათბირის რეზოლუციაზე თავისი ხელმოწერა უარყო და აგვისტოში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ასამბლეაში მონაწილეობა მიიღო. აღმოსავლეთის სხვა ეკლესიები: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, ელადის და კვიპროსის ასევე მონაწილეობდნენ ამსტერდამის ასამბლეაში [2].

მიხეილ არტეევის აზრით, მოსკოვის 1948 წლის თათბირის რეზოლუცია არ შეიძლება მსოფლიო მართლმადიდებელთა ხმად ჩაითვალოს, რადგან მასში აღმოსავლეთის ეკლესიათა სრული შემადგენლობა არ მონაწილეობდა. მეორე მხრივ, თათბირის მონაწილეებზე გავლენა მოახდინა საბჭოთა ხელისუფლებამ, რაც კარგად გამოჩნდა რუმინეთისა და ბულგარეთის ეკლესიათა წარმომადგენლების აზრის ცვლილების მაგალითზე.

„სტალინის საეკლესიო პოლიტიკა, თუნდაც მოსკოვის თათბირის მოწვევის ხელშეწყობაში გამოხატული, უსაზღვროდ შორს იყო მართლმადიდებელ ეკლესიაზე ზრუნვისაგან. 1948 წლის თათბირი არ წარმოადგენდა არც სრულიადმართლმადიდებელთა საეკლესიო კრებას, არც მსოფლიო ეკლესიის თავისუფალ ხმას. თათბირი იყო მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლების აზრთა გაცვლა-გამოცვლის ღონისძიება, რომელიც ღვთისმებრძოლი რეჟიმის მკაცრი კონტროლის ქვეშ განხორციელდა“ [3].

რამდენად პოლიტიზირებული იყო საბჭოთა სახელმწიფოში საეკლესიო საკითხი, ამაზე კარგად მეტყველებს ეკლესიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის, გიორგი კარპოვის დასკვნები:

1. „აღმოსავლეთის ზოგიერთი ეკლესიის (საბერძნეთი, ალექსანდრია) მცდელობის მიუხედავად – ჩაეშალათ მოსკოვის თათბირი, ის მაინც გაიმართა და წარმატებით ჩაიარა.

2. მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების მეთაურთა თათბირის შედეგად რუსეთის ეკლესიის გარშემო დაირაზმნენ: საქართველოს, სერბეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, პოლონეთის,

ანტიოქიის ეკლესიები. თათბირის დღის წესრიგი მათ ერთსულოვნად მიიღეს. საერთაშორისო საეკლესიო ცხოვრებაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის როლი გაიზარდა.

3. ...თათბირის მონაწილე მართლმადიდებელმა ეკლესიებმა ამსტერდამის ასამბლეაში მონაწილეობაზე უარი თქვეს. ამით ჩაიშალა ინგლის-ამერიკის რეაქციული გეგმები ეკუმენურ მოძრაობაში მართლმადიდებელ ეკლესიათა ჩაბმას რომ ისახავდა მიზნად.

4. თათბირმა აჩვენა ამა თუ იმ ქვეყანაში ავტოკეფალური, მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურთა პერიოდული შეკრების აუცილებლობა მოსკოვის კრების გადაწყვეტილებების შესრულების საკითხის განსახილველად; მართლმადიდებელ ეკლესიათა კოორდინაციისათვის ვატიკანისა და ეკუმენური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე სხვა საერთოეკლესიური საკითხების გადასაწყვეტად.

5. ბერძნული ეკლესიების მოქმედების სფეროს შეზღუდვის, მათი მეთაურობით მახლობელი აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა ბლოკის შექმნის პარალიზების მიზნით, მიზანშეწონილია რუსეთის ეკლესიის მიერ ანტიოქიის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის ეკლესიებისათვის პერიოდული ფულადი დახმარების აღმოჩენა.

6. სასურველია მომავალში კონსულტაციების გამართვა ახალი დემოკრატიის ქვეყნებში საეკლესიო საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებთან.

7. მოსკოვის თათბირზე საზღვარგარეთიდან ჩამოსული მოსკოვის პატრიარქის ეგზარქოსებისა და სხვა წარმომადგენლების გაცნობამ გვაჩვენა მათი უმრავლესობის სრული უუნარობა, მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში გაატარონ.

ისინი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ემიგრანტები არიან, ნაწილობრივ უცხოეთის..., ნაწილობრივ კი საბჭოთა მოქალაქენი.

მომავალში საზღვარგარეთ რუსეთის ეკლესიის პოზიციების გასაძლიერებლად... მთელი სიმწვავით დგება საკითხი იქ ხელმძღვანელ თანამდებობებზე სამუშაოდ სასულიერო პირთა კადრების მომზადებისა...“ [8].

თათბირის შედეგების შემაჯამებელი მოხსენებიდან ჩანს, თუ როგორ კარგად ერკვეოდა ეკლესიის საქმეებში კარპოვი, როგორ სიღრმისეულად ერეოდა საბჭოთა ხელისუფლება მისგან „გამოყო-

ფილი“ რელიგიური ორგანიზაციის ცხოვრებაში. თუმცა, თათბირის შედეგები აქ გადაჭარბებულადაა შეფასებული.

მოსკოვის 1948 წლის თათბირზე არ მოხდა ის, რის მიღწევაც სტალინს სურდა – „მართლმადიდებელ ეკლესიათა საჭეთმპყრობლების მიერ კომუნისტური მოსკოვის დასახელება მსოფლიო მართლმადიდებლობის ცენტრად“. თუმცა სლავური ქვეყნების ეკლესიები თავიანთ მოხსენებებში გამოთქვამდნენ იმედს, რომ რუსეთის ეკლესია ვატიკანის აგრესიისა და ეკუმენური მოძრაობის გავლენისაგან სარწმუნოების სიწმინდის დაცვის საქმეში თავის სიტყვას იტყოდა [1; 9]. თათბირის შედეგების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

მოსკოვში აღმოსავლეთის ადგილობრივ ეკლესიათა არც ერთი მეთაური რომ არ ჩავიდა (ანტიოქიის ეკლესია 2 მღვდელმთავრით იყო წარმოდგენილი), სელიშევი ამ გარემოებას სტალინის რეჟიმისადმი მათი დამოკიდებულების გამოხატულებად მხოლოდ ნაწილობრივ მიიჩნევს. ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში იცოდნენ, რომ სტალინზე რუსეთის ეკლესია გავლენას ვერ მოახდენდა, ამიტომ მოსკოვის საპატრიარქოზე საბჭოთა ხელისუფლების ბრალისა და წყენის გადატანა, შეუძლებელი იყოო – აღნიშნავს იგი [4].

ბერძნულენოვანი ეკლესიების მიერ თათბირში მონაწილეობის მიუღებლობას კრიგერი მხოლოდ იმით ხსნის, რომ ამ ეკლესიებს უკვე ჰქონდათ განცხადებული თანხმობა ამსტერდამის ასამბლეაში მონაწილეობაზე. კონსტანტინოპოლის ეკლესია ეკუმენისტებთან იმ იმედით ურთიერთობდა, რომ მოძრაობას სათავეში მოქცეოდა. მოსკოვის თათბირზე კი შეიკრიბნენ ისინი, ვისაც არც პაპთან უნია სურდა, არც ერეტიკოსებთან ერთობა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაერთიანებას დამღუპველად მიიჩნევდა. სინამდვილეში თათბირს საბჭოთა კავშირის მიერ კონტროლირებადი ქვეყნების ეკლესიათა წარმომადგენლები თავიანთ საერო ხელისუფალთა ზეწოლით ესწრებოდნენ. გამონაკლისს მხოლოდ ანტიოქიის ეკლესია წარმოადგენდა, რომლის დელეგაციაც, მიხეილ კრიგერისა და სხვა მეცნიერთა აზრითაც, მოსკოვში მატერიალური დახმარების მოლოდინით ჩავიდა [9; 8].

ჩვენი აზრით, აღმოსავლეთის პატრიარქთა მხრიდან მოსკოვში დაგეგმილ თათბირზე ჩაუსვლელობის მთავარი მიზეზი რუსეთის საპატრიარქოსგან მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევასა და მსოფლიო პატრიარქის ტახტზე პრეტენზიის განცხადება იყო.

ამ განზრახვაზე მას ხელი აღმოსავლეთის მართლმადიდებელმა ეკლესიებმა ააღებინეს.

სელიშევი არ ეთანხმება დასავლელ ავტორთა აზრს, რომ ანტიეკუმენიზმი საეკლესიო სფეროში შემოტანილი იყო ეკლესიის საქმეთა საბჭოს მიერ და მოსკოვის 1948 წლის თათბირის ანტიეკუმენური ხასიათი მხოლოდ სტალინის სახელთან იყო დაკავშირებული. ის სვამს კითხვას, როგორ დაწერეს ეკუმენიზმის საწინააღმდეგო ბრწყინვალე საღვთისმეტყველო მოხსენებები ამ საბჭოს თანამშრომლებმა, რომლებიც საეკლესიო ტერმინებისა და იერარქთა ტიტულების გადმოცემაშიც კი უშვებდნენ შეცდომებს? [4].

საღვთისმეტყველო მოხსენებები რომ ეკლესიის საქმეთა საბჭოს თანამშრომელთა ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ შეიძლებოდა ყოფილიყო დაწერილი – ეს აზრი არსებობის საფუძველს საერთოდ მოკლებულია. მაგრამ, ვფიქრობთ, თათბირის ანტიეკუმენური ხასიათის მხოლოდ ათეისტური ხელისუფლების ზეწოლასთან დაკავშირება და პოლიტიკური მოსაზრებით ახსნა შეუძლებელია. ეკუმენიზმს XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს სახელმწიფოს გავლენისაგან თავისუფალი ზოგიერთი მართლმადიდებელი ეკლესიაც ეწინააღმდეგებოდა [4]. ამ პერიოდში ეკუმენიზმთან დამოკიდებულების საკითხში რუსეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. საბჭოთა ხელისუფლების თანხმობის გარეშე ეკლესია ასეთი მასშტაბის და ასეთ მკვეთრ განცხადებას ვერ გააკეთებდა.

სელიშევი ყურადღებას ამახვილებს სტალინის მხარდაჭერაზე „განახლების მოძრაობისადმი“, რომელსაც ის ეკუმენიზმის ნაირსახეობად თვლის. რუსეთის ეკლესიისათვის 1948 წლის თათბირის ანტიეკუმენურ ხასიათს მეცნიერი „განმაახლებლობაზე“ საბოლოო გამარჯვებად აღიქვამს. ნაწილობრივ ამასთანაც აკავშირებს ეკუმენიზმის მომხრე აღმოსავლეთის ეკლესიათა უარს თათბირის მუშაობაში მონაწილეობაზე [4].

სელიშევის აზრით, საბჭოთა ხელისუფლების მეთაური სტალინი 1940-ანი წლების ბოლოსთვის, ეკუმენიზმის არსში ჯერ არ იყო გარკვეული, მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა „ამ, დასახელების მიხედვით ახალი, ორგანიზაციის ხანგრძლივი წინარე ისტორია. ეკლესიათა მსოფლიო საბჭო 10 წლით ადრე რომ აღმოცენებულიყო და საბჭოთა დიპლომატიას მისი არსის გაგება ისევე კარგად მოესწრო, როგორც კოსმოპოლიტური ერთა ლიგის არსისა, მაშინ სტალინი, მიუხედავად 1946-1950 წწ. დასავლეთთან დაძაბული ურთი-

ერთობისა, რუსეთის ეკლესიას ამ ორგანიზაციაში გაერთიანებას აიძულებდა. ისევე, როგორც საბჭოთა დიპლომატებმა გაერთანებული ერების ორგანიზაციის შექმნას დაუჭირეს მხარი, მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგის წარუმატებლობა ნათელი იყო და ასევე ნათელი იყო, რომ სსრკ-ს, აშშ-ს, ინგლისისა და საფრანგეთის კავშირი დაიშლებოდა“ [4].

სელიშევის მტკიცება, რომ სტალინი კარგად არ იცნობდა ამ ახლადჩამოყალიბებულ მოძრაობას და ამიტომ ვერ განსაზღვრა საბჭოთა კავშირის ხელისუფალთათვის მისი სარგებლიანობა, არადამაჯერებლად მიგვაჩნია. საბჭოთა ხელისუფალთ და რუს სასულიერო პირებს ეკუმენური მოძრაობის შესახებ ძალიან დიდი ინფორმაცია ჰქონდათ, რაც გაჟღერდა კიდეც 1948 წლის თათბირზე.

მეცნიერთა უმრავლესობა აღიარებს, რომ მოსკოვის 1948 წლის თათბირმა ეკუმენიზმის საკითხი მთელი სისრულით გააანალიზა. მსგავს ანალიტიკურ განხილვას რუსეთის ეკლესიაში 2000 წლის სამღვდელმთავრო კრებამდე აღარ ჰქონია ადგილი [4; 7].

მოსკოვის 1948 წლის თათბირის შეფასებისას მიხილ არტეევი აღნიშნავს, რომ პატრიარქ ალექსი I-ის მიერ 1961 წელს რუსეთის ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში შესვლის ოფიციალურ განაცხადზე ხელის მოწერა არის ბეჭედი, რომელიც ადასტურებს მოსკოვის 1948 წლის თათბირის რეზოლუციის დროებითობას და პოლიტიკურ მოტივირებულობას [3].

ჩვენ ამასთან დაკავშირებით უფრო მართებულად მიხეილ კრიგერის მოსაზრება მიგვაჩნია. ის მიუთითებს: 1948 წლის თათბირის საქმეები მოწმობენ, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაერთიანების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება ყველა საღვთისმეტყველო და კანონიკური მოსაზრების გაანალიზების შედეგად იყო მიღებული. 1961 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში რუსეთის ეკლესიის გაწევრიანება 1948 წლის თათბირის რეზოლუციის უარყოფის, ეკლესიის ინტერესთა გათვალისწინების გარეშე მოხდა. დღეს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში რუსეთის ეკლესიის დარჩენის მომხრეთა ქმედებანიც საეკლესიო პოლიტიკითაა განპირობებული. როგორც 1948 წლის, ისე 1961 წლის გადაწყვეტილება სასულიერო და საერო ხელისუფალთა შეთანხმებით იყო მიღებული. მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი იყო ღვთის ნებით განპირობებული. არ შეიძლება 1948 წლის თათბირზე საბჭოთა ხელისუფლების გავლენის გადაჭარბებით შეფასება და 1961 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბ-

ჭოში გაწევრიანების გადაწყვეტილებაზე ამ გავლენის უგულებელყოფა [9].

დეკანოზ გრიგოლ რაზუმოვსკის სიტყვები 1948 წლის თათბირზე სახელმწიფოსა და ეკლესიის უფლება-მოვალეობათა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ არ შეიძლებოდა საბჭოთა ხელისუფლების დაკვეთით ყოფილიყო დაწერილი. დეკანოზმა გრიგოლმა აღნიშნა: „...ეკლესიის მოღვაწეობა სახელმწიფოს გავლენის სფეროს გარეთაა. ეკლესიის უფლებები ღვთისაგანაა. ...სახელმწიფო და ეკლესია ღვთის წინაშე ერთნაირი პასუხისმგებლობით... ემსახურებიან ხალხს". ეკლესიის უფლებები რომ ღვთისაგან მომდინარეობს, ასეთი გამონათქვამები პეტრე I-ის დროიდან აკრძალული იყო რუსეთში და სტალინის დროს მართლაც ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია – აღნიშნავს კრიგერი [9].

1948 წ. თათბირზე დაისვა და პასუხი გაეცა ისეთ საკითხებს, რომლთა ერთმნიშვნელოვანი შეფასება დღესაც შეუძლებელია. როგორც პატრიარქმა ალექსი I-მა თავის სიტყვაში აღნიშნა, თათბირმა შეძლო მართლმადიდებელი სარწმუნოების ამომწურავი დამოწმება და ბევრ ეჭვსა და კითხვას უპასუხა.

ეკუმენურ მოძრაობაში მართლმადიდებელი ეკლესიების მონაწილეობის მომხრენი აღნიშნავენ, რომ 1948-დან 1961 წლამდე – რუსეთის ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაერთიანებამდე, მოხდა ამ ორგანიზაციის ევოლუცია ეკლესიურობის მხრივ. მიიღეს ტორონტოს დეკლარაცია, რომელმაც მართლმადიდებელთათვის მნიშვნელოვანი ზოგიერთი საკითხი დააზუსტა. ეს 1948 წლის თათბირის მიერ ეკუმენური მოძრაობის მძაფრი კრიტიკის შედეგიცაა. საბჭოს მოღვაწეობის ფარგლებში ურთიერთობათა შედეგად ეკუმენური მოძრაობის ბევრმა მოღვაწემ შეიცვალა მართლმადიდებლობასთან დამოკიდებულება.

ჩვენი აზრით, ეს კონკრეტული შემთხვევები მასობრივი ხასიათის მოვლენად ვერ გადაიქცა და ქრიატიანთა ერთ, წმიდა, კათოლიკე, სამოციქულო ეკლესიაში გაერთიანებისათვის წინგადადგმულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება.

1948 წელს ეპისკოპოსი სერაფიმე (სობოლევი) თათბირზე დამსწრეთ მოუწოდებდა, რომ „სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებთან გაერთიანება განუხორციელებელი, უტოპიური, მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მავნე და დამღუპველი საქმე იყო". მართლმადიდებელი ქრისტიანები ერთმანეთთან უნდა გაერთიანებულიყვნენ და ისე აღესრულებინათ ქრისტეს რჯული. ამ

სიტყვების ჭეშმარიტება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მოღვაწეობის ხანგრძლივმა პერიოდმა მართლაც დაადასტურა. პროტესტანტულ გარემოცვაში მართლმადიდებელთა მოღვაწეობის წარმატება ძალიან უმნიშვნელოა და საჭიროა ალტერნატივების ძიება. 1948 წლის თათბირზე რუსეთის ეკლესიისათვის ასეთ გზად დასახული იყო ჭეშმარიტების მაძიებელი პროტესტანტებისათვის სპეციალური კომისიების დაარსება. ეს წინადადება დღესაც აქტუალურია [9].

მიხეილ კრიგერი რჩევას აძლევს მართლმადიდებელ ეკუმენისტებს, ღიად განაცხადონ, რომ არ ეთანხმებიან ეკლესიის სწავლებას, წავიდნენ ეკლესიიდან და დარჩნენ მხოლოდ ეკუმენისტებად. ვინც ეკლესიის წიაღში დარჩება, ისინი იქნებიან ჭეშმარიტი სარწმუნოების მაღიარებლები [9].

რუსი ფილოსოფოსი ნიკოლოზ ბერდიაევი XX საუკუნის შუა ხანებში აღნიშნავდა, რომ „ქრისტიანთა შეერთება ქრისტიანული სულების შეერთებით უნდა დაწყებულიყო და ეს ყველაზე ნაკლებად შეიძლებოდა მომხდარიყო ქრისტიანულ ხელისუფლებათა შეთანხმებებით".

ჭეშმარიტი სარწმუნოების შესახებ ქადაგებისა და იზოლაციისაგან ეკლესიის დაცვის მიზნით ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობა დაუშვებელია.

მთავარეპისკოპოს სერაფიმეს აზრით, ეკუმენიზმი ვერ იზეიმებდა, სანამ ყველა მართლმადიდებელი ეკლესია მის წიაღში არ გაერთიანდებოდა და რუსეთის ეკლესიას არ უნდა მიეცა მისთვის გამარჯვების შესაძლებლობა. დათმობა ამ შემთხვევაში მას ქრისტესთვის ღალატად მიაჩნდა, რაც რუსეთის ეკლესიას თავიდან უნდა აეცილებინა [9].

ამრიგად, მოსკოვის 1948 წლის თათბირის ანტიეკუმენური ხასიათი მსოფლიოში არსებული პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული, მაგრამ, ამავე დროს, რუსეთის ეკლესიის ინტერესებსაც ემთხვეოდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. О. Ю. Васильева Церковный сталинизм: легенды и факты http://www.pravmir.ru/cerkovnyj-stalinizm-legendy-i-fakty/.
2. Архиерейское совещание 1948 года и современные мифы о нем. Выступление на 2-х Бердянских чтениях (сентябрь 2008), http://www.k-istine.ru/pseudoconfession/pseudoconfession-088.htm.

3. Михаил Владимерович Артеев, Вынужденность решений московского Совещания глав и представителей Православных Церквей 1948 года, http://www.bogoslov.ru/greek/text/571168.html,16.02. 2010.
4. Н. Селищев, Православная Церковь. Взгляд русского историка, глава: Совещание 1948 года. Антиекуменизм, Москва, 2001.
5. Деяния Совещания глав и представителей Автокефальных Православных Церквей в связи с празднованием 500-летия Автокефалии Русской Православной Церкви, 1948 год.Том второй, http://krotov.info/history/20/1940/1948–09.htm, Библиотека Якова Кротова (მოსკოვის 1948 წლის თათბირის საქმიანობა 2 ტომადაა გამოცემული).
6. სერგო ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952), თბილისი, 2004.
7. http://www.taday.ru/text/949193.html, 2011 წ.
8. М. Данилушкин и др. История Русской Православной Церкви. Новий патриарший период, т. 1, 1917-1970, Санкт-Петербург, 1997. აქვეა გამოქვეყნებული კარპოვის მიერ მინისტრთა საბჭოში წარდგენილი დოკუმენტი РЦХИДНИ, Ф. 17. Оп. 132. Д. 8.
9. Михаил Кригер, К 65-летию Всеправославного Совещания 1948 года в Москве, http://www.blagogon.ru/digest/60/, 9.07.2013.

Irina Arabidze
Doctor of History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Research scientist of the Department of Modern and Contemporary History

From The History of the Anti-Ecumenical Activity of the Church of Russia (Moscow meeting of 1948)

Summary

The meeting of the heads and representatives of the Orthodox churches or the meeting of all Orthodox took place in Moscow in Jun, 8-18, 1948. Officially it was dedicated to the 500th anniversary of the autocephaly of the Church of Russia. The issue of the ecumenical movement was the main subject of the meeting discussion.

The meeting took place when the world has been already divided in two parts after the end of the World War II (1945) and at the beginning of the „Cold War". The participants of the meeting were the Church of Antioch and the Orthodox churches of those countries which were under the influence of the Soviet Union. Despite invitation the delegations of other eastern churches were not presented at the meeting.

According to the resolution received at the meeting the Orthodox churches refused to participate in the ecumenical movement, because: the ecumenical viewpoints are not in accordance with the teachings of the Orthodox Church in understanding of the higher purposes of the Orthodox Church; the vision of the ecumenical movement of ways and means how to unite Christian churches is without perspective; the ecumenical movement was closely related with political and secret organizations, that means the movement was fascinated by the goals that were not ecclesiastical.

The meeting was prepared and was taking place under the strict control of the Soviet rule. The government tried to widen its control and the spheres of influence with the help of church but could not reach the goal. At that time the resolution of the meeting was in coincidence with the goals of the Orthodox Church and the interests of the Soviet government as well.

ალექსანდრე ოთარაშვილი
ისტორიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

უცხოური კომპანიები და მათი საქმიანობა საქართველოში
(„ძმები ნობელები“, როტშილდების კომპანია)

1870-იანი წლების მიწურულიდან საქართველოში ადგილი აქვს სამთამადნო მრეწველობის დარგების განვითარებას. XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან საქართველოს სახალხო მეურნეობის ზოგიერთ (შედარებით დაწინაურებულ) დარგში უცხოური კაპიტალისა და უცხოური კომპანიების საქმიანობა აღინიშნება, განსაკუთრებით 1880-ანი წლებიდან, რკინიგზის გაყვანის შემდეგ.

ნობელებმა რუსეთში ბიზნესი ჯერ კიდევ შორეულ 1840-ან წლებში წამოიწყეს, თუმცა წარუმატებლად. ემანუილ ნობელი იძულებული იყო დაეტოვებინა პეტერბურგი, ხოლო მისმა შვილებმა, ლუდვიგმა და რობერტმა, დარჩენა ამჯობინეს (ალფრედი ევროპაში დაბრუნდა ნიტროგლიცერინზე სამუშაოდ). მამის გაკოტრების შემდეგ ძმებმა რუსეთის დედაქალაქში სამხედრო ქარხანა გახსნეს, რომელიც მასრებს, ქვემეხების ლულებს და თოფებს ამზადებდა. ნედლეული მთლიანად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ და ამ დამოკიდებულებისაგან თავის დასაღწევად და პროდუქციის გაიაფების მიზნით 1873 წელს რობერტ ნობელი კავკასიაში გაემგზავრა.

1873 წლის მარტში რობერტ ნობელი თბილისში ყოფნისას ეწვია კავკასიის მეფისნაცვლის უწყებას და ცდილობდა, დაერწმუნებინა ადგილობრივი ხელისუფლება ახლად გამოგონებული დინამიტის ეფექტურობაში, როგორც რკინიგზის გაყვანისა და მთიანი რეგიონების გაწმენდისას, ასევე მისი წყლის ქვეშ გამოყენებისას [1]. კავკასიის მთიანი ლანდშაფტის გამო და მსოფლიოში დინამიტის ფართოდ გამოყენების მოთხოვნით მიმართა მთავრობას, ნება მიეცათ, საქართველოში უბაჟოდ 500 ფუთი დინამიტი შემოეტანა.

XIX საუკუნის 80-იან წლებამდე ნობელები ბაქოდან საზღვარგარეთ ნავთობის გატანას ფოთისა და ბალტიის ზღვის ნავსადგურებიდან აწარმოებდნენ, რაც საკმაოდ ძვირი ჯდებოდა და ამიტომაც მრეწველებს ეს გზა არ აწყობდათ. საუკეთესო ვარიანტად ბათუმი განიხილებოდა, თუმცა, ვიდრე ქალაქი თურქების ხელში იყო, ამ მარშრუტს ვერ გამოიყენებდნენ. ვითარება შეიცვალა 1877-1878 წლებში ოსმალეთთან ომში რუსეთის გამარჯვების და ბათუმის შემოერთების შემდეგ. ამით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ნავთობის ექსპორტისთვის. 1883 წელს ბათუმ-სამტრედიის სარკინიგზო ხაზის გაყვანამ ბათუმი ბაქოსთან დააკავშირა, რამაც გაზარდა საპორტო-სამრეწველო ქალაქის ზრდისა და განვითარების პერსპექტივები. ამ პროცესებს ასევე ხელი შეუწყო 1878 წელს გამართულმა ბერლინის სამშვიდობო კონგრესმა და ბათუმის „პორტო ფრანკო"-დ „ღია ნავსაყუდელად" გამოცხადებამ [2, 24; 3]. ნობელების, როტშილდების, ინგლისური თუ გერმანული კაპიტალი უხვად მოაწყდა ბათუმს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმში დაწესებულ „პორტო-ფრანკოს" რეჟიმს, რომელზეც დიდად იყო დამოკიდებული ბაქოს ნავთობის ტრანსპორტირება [4, 88]. ეს რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ინტერესებს არ შეესაბამებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას. ბათუმის „პორტო-ფრანკოს" ქალაქად გამოცხადებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა თვით ამ ქალაქის და საერთოდ ამიერკავკასიის ეკონომიკურ განვითარებაზე. ფაქტობრივად იგი დაწესდა არა საქართველოსა და რუსეთის ინტერესებისათვის, არამედ რუსეთის ტერიტორიაზე ინგლისური საქონლის შეჭრის მიზნით, საიდანაც საქონელი კონტრაბანდის გზით მცირე აზიაში უნდა გაგზავნილიყო [5, 207]. ფაქტობრივად ბათუმი ამიერკავკასიასა და ირანში შესაზიდი უცხოეთის საქონლის მთავარ ცენტრად გადაიქცა. როგორც ითქვა „პორტო-ფრანკოს" რეჟიმი საზიანო იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის ეკონომიკური ინტერესებისათვისაც, ამიტომ რეჟიმის გაუქმებას მოითხოვდა არა მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა, არამედ ცარიზმის ოფიციალური წრეებიც. ამის შედეგად 1886 წელს რუსეთის მთავრობამ „პორტო-ფრანკო" გააუქმა [6, 21].

რუსმა ნავთობმეწარმეებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ 1870 წლებში ბაქო-ასტრახან-ვოლგის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა დაიწყეს [7, 433]. რადგან პროექტი დიდ თანხებთან იყო

დაკავშირებული, ხოლო სამუშაოები საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა, ისინი როტშილდების საგვარეულოს ფრანგულ შტოს დაუკავშირდნენ. ამ უკანასკნელების საკითხით დაინტერესება გასაკვირი არ იყო, რადგან ისინი ათწლეულების განმავლობაში იყვნენ ჩართული სარკინიგზო ბიზნესში და ევროპაში პირველი ხაზების აშენება სწორედ მათ სახელთან არის დაკავშირებული. კარგად ესმოდათ რა, თუ რა პერსპექტივებს იძლეოდა ნავთისა და ნავთობის ეს ახალი საბადოები, როტშილდების უშუალო ინტერესებში შედიოდა არა შემოვლითი გზის აშენება, არამედ ამ ნედლეულის ბათუმის გავლით პირდაპირ ევროპაში გატანა.

ბათუმის საექსპორტოდ გამოყენებას ასევე ემხრობოდნენ ძმები ნობელები. მაგ., ლუდვიგი ბაქოდან პეტერბურგში თავის ძმებს, ალფრედსა და რობერტს წერდა: „ბაქოდან ნავთობის ტრანსპორტირების ყველა შესაძლო მარშრუტს შორის რეკომენდაციას გაძლევთ, აირჩიოთ მარშრუტი, რომელიც საქართველოზე გადის, ვინაიდან ამ ორ ქვეყანას შორის, სიახლოვის გარდა, გაითვალისწინეთ მეგობრობისა და ერთმანეთისადმი ერთგულების სრულიად განუმეორებელი გრძნობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობს აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის. ჩვენთვის, უცხოელებისთვის, ამ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ყველა დანარჩენი მარშრუტი დაკავშირებულია გაცილებით უფრო დიდ რისკებთან, ვინაიდან არსად არის ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორც ბაქოსა და თბილისში, ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ სწორად ეს მარშრუტი უნდა ავირჩიოთ“ [1]. ნახშირწყალბადის ევროპაში ექსპორტირებისთვის მიიღეს ლუდვიგის არჩევანი – ნავთობის გადატანა განხორციელებულიყო ბაქო-თბილის-ბათუმის გზით, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რკინიგზის აშენებაში 10 მილიონი ამერიკული დოლარი როტშილდებმა ჩადეს. მათ ასევე გამოყვეს კრედიტები მცირე ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად.

ნობელები ევროპის ყველაზე დიდი ფინანსურ ძალას ვერ გაუმკლავდებოდნენ. როტშილდების ინტერესები არა მენეჯერული, არამედ, ძირითადად, საბანკო და საინვესტიციო საქმიანობით შემოიფარგლებოდა. ნობელებისთვის ასეთი სპეკულაციები უცხო იყო და ამიტომაც მათი დაპირისპირება გარდაუვალი აღმოჩნდა. ვითარება დაიძაბა 1882 წელს, იმპერატორ ალექსანდრ II-ის მკვლელობის შემდეგ, როდესაც საიმპერატორო დეკრეტით ებრაელებს რუსეთის ტერიტორიაზე მიწის ყიდვა ან დაქირავება აეკრძალათ.

თუმცა კანონს დიდი გავლენა არ მოუხდენია როტშილდების გეგმებზე.

როგორც ცნობილია, 1883 წელს ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანამ და „პორტო-ფრანკოს“ გაუქმებამ ბათუმი მსოფლიო მნიშვნელობის ნავსადგურად გადააქცია, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ბაქოს ნავთობის მრეწველობის პროდუქციის ექსპორტი. ამ ექსპორტმა განაპირობა ბათუმში იმ საწარმოთა მოწყობა, რომლებიც ნავთობის პროდუქტების გადაზიდვისათვის საჭირო სპეციალურ ტარას (თუნუქისა და ხის ყუთებს) ამზადებდნენ. ნავთობის პროდუქტების ექსპორტისათვის ხის ყუთებისა და თუნუქის ჭურჭლის დამამზადებელი ქარხნის მოწყობას ხელი მოჰკიდა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის წარმომადგენელმა პალაშკოვსკიმ [8, 46]. მან ქარხნის მშენებლობა 1882 წელს დაიწყო და 1 წელიწადში დაამთავრა. 1883 წელს ქარხანა ექსპლოატაციაში შევიდა, იგი აღჭურვილი იყო ამერიკიდან შემოტანილი დაზგებითა და მოწყობილობებით. ქარხნის თავდაპირველი საწარმოო სიმძლავრე წელიწადში 12 000 თუნუქის ჭურჭელს და 6 000 ხის ყუთს ითვალისწინებდა [9, 311]. აღსანიშნავია, რომ პალაშკოვსკის ამ წამოწყების მიზანი ის იყო, რომ მას ესარგებლა ბათუმის „პორტო-ფრანკოს“ პირობებით. 1883 წელს პალაშკოვსკიმ ბუნგესთან ერთად (1883 წლიდან ბუნგე პალაშკოვსკისთან ერთად ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის მთავარი აქციონერი გახდა) დააარსა სააქციო საზოგადოება ბათუმის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის ორგანიზაცია – „ბნიტო“ [10, 28]. დაარსებიდან პირველივე წლებში, „ბნიტოს“ გაბატონებული მდგომარეობით უკმაყოფილო ბათუმელი ექსპორტიორები და მრეწველები, მთავრობის უმაღლესი ორგანოების სახელზე გაგზავნილ არა ერთ მიმართვაში აღნიშნავდნენ, რომ პალაშკოვსკი ამიერკავკასიის რკინიგზით მთელი გასაგზავნი ნავთობის ვაჭრობის მონოპოლიისაკენ მიისწრაფოდა. როგორც შემდგომში გაირკვა პალაშკოვსკის და ბუნგეს არ აღმოაჩნდათ ქარხნის შემდგომი მუშაობის გაფართოებისათვის საკმარისი კაპიტალი, ნავთობპროდუქტების გადასაზიდი საშუალებები, ნავთობის მარაგის საცავების შესაბამისი რაოდენობა, და ბოლოს, ნავთობპროდუქტების ექსპორტის ორგანიზაციისათვის აუცილებელი კავშირები. ამას დაემატა ისიც, რომ ხელისუფლებამ და რუსმა საქმოსნებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ახლად დაარსებულ „ბნიტოს“ საქმიანობას. ამის შემდეგ ბუნგე და პალაშკოვსკი იძულებულები შეიქმნენ მათ მიერ დაარსებული საწარმო გაეყიდათ.

ბანკში შეტანილ იქნა საწარმოს აქციები. საბოლოოდ, აღნიშნული წარმოება 1885 წელს „კასპია-შავი ზღვების ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოების“ (როტშილდები) ხელში გადავიდა [11, 11]. ამგვარმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ნავთობის წარმოებისა და ექსპორტის ზრდას.

„ბნიტოს“ რუსეთის ბაზარზე მეორე ნომრად გადაქცევის შემდეგ, ბათუმმა ნამდვილი ბიზნესცენტრის სტატუსი მოიპოვა. ტანკერებად გადაკეთებული ბრიტანული გემებით ნედლეული მარსელსა და ფიუმეში გადაჰქონდათ. ბათუმში როტშილდებს ნავთისა და ნავთობის გადასაზიდი კონტეინერების ყველაზე დიდი ქარხანა ჰქონდათ. ნობელებს არ სურდათ, სასიკვდილო ომში ჩართულიყვნენ როტშილდებთან. ალფრედს კარგად ესმოდა, თუ რით შეიძლება დამთავრებულიყო ყოველივე ეს მისი ძმებისათვის. მისი ძალისხმევით პარიზში, 1884 წლის მაისში, მოწვეულ იქნა კონფერენცია, სადაც ორი ოჯახი თანამშრომლობაზე შეთანხმდა [1]. როტშილდებს სურდათ ნავთის გატანა ევროპაში, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ როკფელერების შტანდარდ ილ-ით მარაგდებოდა [12, 211]. იმავე აზრის იყვნენ ნობელებიც. ლუდვიგს სურდა საკუთარი კომპანიის მეოთხედის მიყიდვა როტშილდებისათვის, რათა მათი დაფინანსებით მოეხერხებინა ბათუმში ბუნგესა და პალაშკოვსკის „ბათუმის ნავთობისა“ და „სავაჭრო კომპანიის“ 1,5 მილიონ მანეთად ყიდვა. მას ასევე სურდა, აეგო ნავთის გადასაზიდი კონტეინერების ქარხანა და გაეყვანა ნავთობსადენი სურამის ქედზე გავლით. როტშილდებმა უარი თქვეს, თუმცა აქ გამოჩნდნენ როკფელერები, რომლებმაც მოლაპარაკებები გამართეს [11, 19].

1900-იანი წლების დასაწყისში მრეწველობასა და ექსპორტში ოცამდე სხვადასხვა კომპანია იყო ჩაბმული [13, 31; 14, 42]. მათ შორის მთავარ როლს სამი ძირითადი კომპანია ასრულებდა, ესენი იყვნენ: როტშილდის, ძმები ნობელების და მანთაშევის. ეს ფირმები ამავე დროს რუსეთის მონოპოლისტური კაპიტალიზმის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც ხელთ ეპყრათ ბაქოს ნავთობის მრეწველობის სადავეები. ამ სამ კომპანიას ერთად გაცილებით მეტი რაოდენობით ნავთობპროდუქტები გაჰქონდა, ვიდრე დანარჩენ კომპანიებს ერთად. აღსანიშნავია, რომ ნავთობი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ატლანტის ოკეანის სანაპირო ქვეყნებში და კავკასიაში მოიპოვებოდა. ამ სამი რეგიონიდან ნავთობპროდუქტების გასაღების ბაზრებამდე მიტა-

ნის შემთხვევაში, ბაქოს ნავთობის აუზის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობა მის ძირითად მეტოქესთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან – აშკარად იგრძნობოდა.

ორი უმძლავრესი ოჯახის შემოტევებისგან თავის დასაღწევად და საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ლუდვიგს ახალი კონტრაქტები უნდა დაედო. მან შავ ზღვაში საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად ბათუმში შემოიყვანა 286 ფუტის სიგრძის ტანკერი „Свет"-ი, რომელსაც 17000 ტონა ნავთი ინგლისში უნდა გადაეზიდა [1, 11, 22]. როკფელერების შტანდარდ ილ-ისთვის ეს დიდი მარცხი გახლდათ. კომპანია, რომელიც აკონტროლებდა ამერიკის ექსპორტის 90%, ინგლისის ბაზარს საკუთარ მონოპოლიად მიიჩნევდა. ნობელების ნავთმა კი ინგლისის სამომხმარებლო ბაზრის 30% დაიკავა – მაშინ როდესაც რამდენიმე წლის წინ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 4% იყო [15, 268].

არსებული მძლავრი კონკურენციის პირობებში ნობელები ნათლად ხედავდნენ, რომ ნავთისა და ნავთობის მიწოდების გასაზრდელად საჭირო იყო უფრო მეტი ავტოგადამზიდი და ბათუმში მეტი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება. თუმცა ეს მაინც ვერ უზრუნველყოფდა ნავთობის საჭირო რაოდენობით მოზიდვას. აუცილებელი იყო მილსადენის აშენება. მთავარ დაბრკოლებას სურამის ქედი წარმოადგენდა. ლუდვიგ ნობელი ჯერ კიდევ 1883 წელს ბაქო-თბილისის რკინიგზის გაყვანისას აცნობებდა ადგილობრივ მთავრობას სურამის ქედის გავლით სადენის გატარების აუცილებლობას, თუმცა კონცესიაზე უარი მიიღო. მიზეზი: ნავთის დიდი რაოდენობა და როკფელერებთან ეფექტიანი კონკურენცია შესაბამისად გამოიწვევდა ნობელების მიერ ბაქოს იაფ ნედლეულზე ფასების მომატებას. ლუდვიგმა ბაქოში პირველი სინდიკატი შექმნა და ითხოვდა ნედლეულის სურამის ქედის გავლით გატარებას. რუსი ქიმიკოსი მენდელეევიც კი გამოვიდა ამ იდეის მომხრედ. საბოლოოდ პროექტის დამტკიცება მოხერხდა, რის შემდეგაც 1903 წელს აშენებულ იქნა 835-კილომეტრიანი ნავთსადენი 19 სატუმბი სადგურით [16, 726]. სამუშაოები ხელით წარმოებდა, მილებს ერთმანეთთან ხრახნიანი ქუროებით აერთებდნენ და მათ ანტიკოროზიული იზოლაციით ფარავდნენ. ტრასის გასწვრივ სატელეფონო კავშირიც გაიყვანეს. მდინარე მტკვრის გადაკვეთის დროს მილსადენი ერთ რკინიგზის ხიდზე ჩამოკიდეს. სადენის მარშრუტის კიდევ ერთი სირთულე სურამის ოთხკილომეტრიან გვირაბში მისი გაყვანა იყო. მილსადენის გამტარუნარიანობა წელიწადში 900 ათას

ტონა ნახშირწყალბადს შეადგენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სამუშაოების განმავლობაში საჭირო იყო ალფრედ ნობელის 400 ტონა დინამიტი. პროექტის საერთო ღირებულება 12 მილიონი მანეთი გახლდათ [1; 17, 49].

1899 წლისათვის ბათუმში ირიცხებოდა 366 საწარმო. მათი მესაკუთრეები იყვნენ ბერძნები, თურქები, სპარსელები, პოლონელები, ინგლისელები, გერმანელები, ფრანგები და იტალიელებიც კი. 1908 წლის ტვირთბრუნვის მიხედვით ბათუმი პეტერბურგისა და ოდესის პორტების შემდეგ 42,9 მილიონი ფუთის ტვირთბრუნვით მესამე ადგილზე იყო რუსეთის იმპერიაში [1; 13; 6, 332].

როგორც ცნობილია, ბაქოს ნავთობის მოპოვება-ექსპორტის საქმეში რამდენიმე მონოპოლიური გაერთიანება (რიტშილდი და ძმები ნობელები) გაბატონდა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო ბაზარზე გატანილი ბაქოს ნავთობის 67% ნობელის, როტშილდის და მანთაშევის წილად მოდიოდა [9, 317; 7, 346]. ეს უმსხვილესი კომპანიები ბათუმის მრეწველობაშიც გაბატონებულები იყვნენ. იმ პერიოდში შედარებით წვრილი საწარმოები ვერ უძლებდა კონკურენციას და იხურებოდა. 1905 წელს ბათუმში ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი 5 ქარხანა დარჩა. თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების წარმოება კონცენტრირებულ იქნა როტშილდის, მანთაშევისა და ნობელების კომპანიათა ხელში. რაც შეეხება ხაჩატურიანცისა და სიდერიდისის ქარხნებს, ისინი მთლიანად ნობელის დაკვეთით მუშაობდნენ.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ნავთობის უმსხვილესმა ტრესტებმა („ნობელი", „შელი", „სტანდარტ ოილი") ხელთ იგდეს რუსეთის ნავთობის მრეწველობის სააქციო კაპიტალის 86% [11, 31; 2, 28] (გარკვეულწილად სწორედ ზემოთ დასახელებულ კომპანიებს შორის მომხდარმა ურთიერთდაპირისპირებამ ბათუმში არსებული ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი ქარხნების დახურვა გამოიწვია). განსაკუთრებული კონკურენცია ბაქოს ნავთობის საექსპორტო საქმეს, ამერიკული ნავთობის მრეწველობის ტრესტმა „სტანდარტ ოილი და კომპანიამ" გაუწია, ხოლო 1904 წელს დაწყებულმა რუსეთ-იაპონიის ომმა რუსეთს შორეული აღმოსავლეთის ბაზრები ჩამოაშორა. ამის გარდა, უცხოური კომპანიები, რომლებიც აწარმოებდნენ ნავთობის პროდუქციის შესყიდვას ბაქოში ან ბათუმის კომპანიებისაგან იძენდნენ ამ პროდუქტებს ისე, რომ ეს უკანასკნელნი დაქვემდებარებულნი იყვნენ უცხოელებისადმი და შუამავლების, ე. ი. ადგილზე ნავთობის პრო-

დუქტების რეალიზატორების როლს ასრულებდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ XX საუკუნის დასაწყისში ბათუმისა და ბაქოს კომპანიებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოეთისა და განსაკუთრებით ინგლისის კაპიტალის ხელთ იყო, არ ჰყავდათ თავიანთი აგენტები, არ გააჩნდათ არც საწყობები და არც უცხოეთში გადასაზიდი საკუთარი საშუალებანი [18, 230].

1910-ანი წლებიდან ბათუმიდან შესამჩნევად დაიკლო ნავთობის ექსპორტმა, რადგან ევროპის ბაზრებზე ბაქოს ნავთობს ამერიკულის გარდა, ახალი კონკურენტი რუმინული ნავთობის (მიუხედავად მისი დაბალი ხარისხისა) სახით გამოუჩნდა. საქმე იმაში იყო, რომ რუმინული ნავთობის საწარმოთა სააქციო საზოგადოება „სტეცა რომანას" (რუმინული ვარსკვლავი) საქმიანობაში ჩაბმული იყო რამდენიმე უცხოური კომპანია („კასპია-შავი ზღვის სააქციო საზოგადოება", „ოლეუმი" და „ნავთობის შემნახველი და გადამზიდველი სააქციო საზოგადოება"). ეს კომპანიები ერთნაირად დაინტერესებული იყვნენ როგორც რუსული, ასევე ამერიკული და რუმინული ნავთობის გასაღებით. ამიტომ მათ აუცილებლად მიაჩნდათ სხვადასხვა წარმოშობის ნავთობი ბაზარზე განელაგებინათ ისე, რომ ერთს მეორისათვის ხელი არ შეეშალა და უმაღლეს ფასებში გასაღებულიყო. ამ მიზნით, ბაქოსა და რუმინეთის ნავთობის წარმოებასთან დაკავშირებულმა მონოპოლიებმა და კომპანიებმა ბაქოს ნავთობის შიდა რუსეთში გასაღება განიზრახეს, რაც ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის შეწყვეტას და ქალაქის სამრეწველო ცხოვრების დაცემას ნიშნავდა [7, 437]. სავარაუდოა, რომ ამით ევროპის ბაზრებიდან ამერიკული ნავთობის გაძევებასაც ცდილობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი ხდებოდა რუმინული ნავთობის ევროპაში და აზიაში გასაღება, რადგან ის ბაქოს ნავთობს ხარისხობრივად ძლიერ ჩამორჩებოდა და ამ უკანასკნელს კონკურენციას ვერასგზით გაუწევდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე თურქეთის მიერ დახურული იქნა დარდანელის სრუტე და ბათუმის ნავსადგური, ეს ერთადერთი (ბაქოს ნავთობის ევროპაში) ექსპორტის ძირითადი პუნქტი ბლოკირებული აღმოჩნდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. http://forbes.ge
2. И. Забугин, Приложение к отчёту председателя суб-комисии, за 1895 г.
3. გაზეთი Кавказ, 1881, №34.
4. ა. ჩხეიძე, ინგლისის კაპიტალის საქმიანობის შესახებ საქართველოში, თბილისი, 1959.
5. Россия, Министерство финансов, Департамент торговли и мануфактур, фабрично-заводская промышленность России, Санкт-Петербург, 1896.
6. Л. Эвентов, Иностранный капитал в нефтяной промышленности России 1874-1917 гг. М-Л. 1925.
7. Батум и его окрестности, 1906 г.
8. ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864-1920 წწ.), თბილისი, 1958.
9. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 378, აღწ. 1, საქ. 12916.
10. თ. დიასამიძე, „ბნიტოს“ საქმიანობა ბათუმში XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები.
11. Монополистический капитал в нефтяной промышленности России 1883-1914 гг. Москва-Ленинград, 1961.
12. Отчёт Кавказского горного управления за 1906 г.
13. საქართველოს სახელმწიფო, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 378, აღწ. 1, საქ. 14398.
14. КОКДЗЖД – каратский обзор коммерческой деятельности Закавказской железной дороги за 1901 г.
15. М. Шаспович, Весь Кавказ, промышленость, торшовля и сельское хозяйство северного Кавказа и Закавказья, Баку, 1914.
16. Вестник финансов, промышленности и торговли, 1887 №25.
17. „Нефтяное дело“ 1903 г. № 2.
18. გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917 წლებში, თბილისი, 1976.

Alexandre Otarashvili
Academic Doctor of History, I. Gogebashvili Telavi State University

Foreign companies and their business in Georgia („Nobel Brothers", Rothschilds' company)

Summary

Russia has always been interested in Georgia's geopolitical conditions. This interest especially grew in the first half of the XIX century when Russia politically conquered Georgia and started its economic invasion. From the 1830s Czarism, with its colonial policy, hampered the development of Georgia. Later, in the 1870s new industrial fields appeared and developed in Georgia, such as mining and in national economy (in relatively prominent fields) foreign capitals emerged and foreign companies became active.

Николай Джавахишвили
Доктор исторических наук, профессор Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, главный научный сотрудник Отделения новой и новейшей истории Института истории и этнологии имени Иванэ Джавахишвили, почётный доктор Академии Наук Латвии

ОТРАЖЕНИЕ ПОЛЬШЫ И ПОЛЯКОВ В ГРУЗИНСКОМ ОБЩЕСТВЕННОМ МЫШЛЕНИИ (с начала XVIII века – до 60-ых годов XX века)

Грузия и Польша – это государства, географически отдаленные друг от друга. С антропологической и этнолингвистической точек зрения грузины и поляки значительно различаются, хотя в духовном отношении эти народы сближает многое, и в первую очередь – неутолимое стремление к свободе и преданность любимой родине.

История грузино-польских взаимоотношений насчитывает более пяти веков. Основы этих взаимоотношений были заложены еще в конце XV века, когда в 1495 году послы царя Картли (Центральная Грузия) Константина II Багратиони, направляющиеся в Испанию, прибыли в Польшу и Литву. Они предложили королю Польши Яну I Ольбрахту (царствовал в 1492-1501 гг.) и великому князю Литвы Александру (правил в 1492-1506 гг.) включиться в антиосманскую коалицию [48, 149-150].

Интенсивный характер грузино-польские отношения приняли с XIX века, когда Грузия и Польша, потеряв государственную независимость, оказались в пределах Российской империи. Как следствие этого, в большой Государственный герб Российской империи были внесены „Герб Царства Польского“ и „Герб Царства Грузинского“ [38, 38-39], а к титулованию российских императоров добавилось – „Царь Польский“ и „Царь Грузинский“ [45, 6-7].

Передовые политические деятели грузинского и польского народов, борющихся за восстановление национальной государственности, считали друг друга союзниками и тесно сотрудничали. Этому невольно способствовала и российская имперская власть, которая ссылала значительную часть борющихся за независимость поляков в Грузию, а грузин – в Польшу.

Польша, как одна из красивейших стран мира, государство с богатой историей, и поляки – свободолюбивый, талантливый и красивый

народ – всегда пользовались особой симпатией грузин. В свое время деятельность и творчество выдающихся сынов Польши было высоко оценено грузинскими интеллектуалами.

После крушения Российской империи в мае 1918 года была восстановлена государственная независимость Грузии, а в ноябре того же года – независимость Польши. Грузия и Польша завязали тесные дружеские отношения.

Однако дальнейшему углублению грузино-польских взаимоотношений помешала оккупация Грузии Красной армией РСФСР, которая имела место в феврале-марте 1921 г. В состав СССР Грузия вошла в статусе союзной республики.

В 1921-1939 гг. в Польской армии служило до ста грузинских офицеров. В период Второй мировой войны они самоотверженно боролись за освобождение Польши, что должным образом было оценено благодарным польским народом.

После распада СССР грузино-польское традиционное сотрудничество было восстановлено и успешно продолжается по сей день.

Несмотря на то, что отдельным вопросам грузино-польских взаимоотношений было посвящено немало исследований, еще многое предстоит выявить и изучить.

Более 15-ти лет мы занимаемся вопросами этих взаимоотношений; по теме нами опубликованы одна книга [6] и несколько статей, которые вышли как на грузинском [7; 9-10; 12-13], так и польском [46-47], английском [48] и русском [41] языках.

В представленном труде мы попытались в хронологической последовательности кратко обозреть как отразились Польша и поляки в творчестве некоторых выдающихся грузинских государственных, политических и общественных деятелей с начала XVIII – до 60-ых годов XX вв.

Очерк состоит из 14 частей.

1. Сведения о Польше и странах Балтии, сохраненные в грузинских источниках XVIII века

В грузинских источниках XVIII века хранится определенная информация о военно-политическом и экономическом положении Польши и стран Балтии, а также о регионах и городах этих государств и системе их управления [11, 21-24].

Для возрождения в Грузии астрономии и математики царь Картли **Вахтанг VI** (1675-1737, царствовал в 1703-1714 и 1719-1724

годах) с персидского на грузинский язык перевел сочинение известного ученого, внука великого завоевателя Тамерлана, самаркандского султана Улуг Бега (1394-1449) – „Зидж". Это произошло в 1714-1719 годах, когда царь Картли находился в Персии.

Вахтанг VI составил словник надлежащих терминов и таблицы. Существует несколько списков названного перевода [30, 253-254].

К переводу прилагался список городов мира с их георгафическими координатами. Помимо этого, наряду с правилами определения последних, Вахтанг VI впервые внёс в грузинскую литературу список георгафических координат городов и населенных пунктов мира, который использовали Улуг Бег и основанная им научная школа.

Позднее к тбилисскому списку „Зиджа" Вахтанг VI приложил новый список, который он перевел с европейских сочинений [31, 310-317]. В этом списке указаны города Польши и Прибалтики: Краков, Геданон (ныне – Гданьск), Вильна (ныне – Вильнюс), Люблин, Познань, Рига, Ревель (ныне – Таллин), Дерпт (ныне – Тарту), Нарва и др. [20, 263-285].

В 1724 году царь Картли, его семья и многочисленная свита переселились в Россию. Большая часть поселилась в Москве. Здесь грузины трудились над обогащением названного перевода, упрощением его использования. Для дополнения текста они пользовались также европейскими и русскими источниками. В связи с этим надо отметить списки городов, определения к которым приписаны по-русски, но с грузинской транскрипцией, хотя они не снабжены соответствующими географическими координатами. Среди них встречаются также города Польши и Прибалтики [30, 255-256].

Значительные сведения о Польше и Литве содержатся в учебнике географии, переведенном членом свиты царя Вахтанга VI, писателем и переводчиком князем **Габриелом Геловани** в 1737 году. Это был первый перевод учебника географии мира на грузинский язык, который во многом поспособствовал распространению георгафических знаний среди грузин. В Грузии того времени был большой спрос на подобные учебники, о чем свидетельствует тот факт, что перевод в 1793 году был переписан под редакцией ректора Телавской семинарии [18, 25].

В учебнике дана информация о Польше и Литве – указаны границы этих стран, приведены сведения об истории, вероисповедании населения, аристократии, а также о политико-экономическом и военном положении.

Как то явствует из труда, поляки и литовцы постоянно воевали с пруссаками, немцами, русскими, турками-османами, татарами и вен-

грами, что привело Речь Посполитую к экономическому упадку. Однако, наряду с внешней опасностью, установлению порядка мешало самоволие дворянства (шляхты). Годовой доход страны не превышал 300 млн. рублей, вследствие чего страна не была в состоянии содержать большую армию, хотя и могла мобилизовать до 50 тысяч солдат. Природные условия благоприятствовали обильному урожаю зерновых, что составляло значительный источник дохода. Зерно перевозили на реке Висле, процветало скотоводство и коневодство. Большинство населения составляли католики, но были также православные и лютеране. Довольно значительную часть составляли евреи, которые обогащались в основном коммерческой деятельностью [22, 67-69].

Сведения о регионах и городах Польши и на территориях стран Балтийского побережья хранятся в сочинении выдающегося грузинского ученого, географа, историка и картографа царевича **Вахушти Багратиони** (1696-1756) – сына царя Картли Вахтанга VI.

В 1752 г. царевич Вахушти перевел с русского на грузинский „Краткую политическую географию" вместе с мировым атласом, содержащим 27 карт, на которых изображены все известные в то время страны. Этот перевод царевич Вахушти снабдил своими комментариями. Сочинение весьма значимо как с географической, так и исторической точек зрения. Именно оно некогда служило учебником географии в Телавской семинарии [3, 339].

Рукопись сочинения с прилагаемыми к ней картами, выполненными самим Вахушти Багратиони, хранится ныне в Национальном центре рукописей Грузии [21].

В некоторых местах рукописи упоминаются „Балтийское море" („Маре Балтикуме") [21, 7], регионы „Курляндия" и „Лифляндия", города Вильна, Митава, Рига [21, 7-8] и т. д.

Из прилагаемых к атласу карт исключительно значительны полная карта Европы [21, 8], а также карта Польши [21, 96] и Балтийского побережья [21, 89].

На этих картах Курляндия отделена от Польши, территория которой охватывает Литву с городом Вильна. Польша (включая Литву) и Курляндия окрашены разной краской.

В сочинении выделена глава XI – „О царствах поляков и пруссаков, а также великом княжестве Литвы и герцогстве Курляндии" [21, 90].

По сведению Вахушти Багратиони население Польши в основном исповедует католицизм. Страна изобилует покосными лугами, здесь собирают богатый урожай зерновых, торгуют зерном, скотом, медом, воском, шерстью и солью.

Особый интерес представляют сведения царевича Вахушти о городах Польши.

Он сообщает, что Краков в прошлом был престольным городом с великолепной крепостью, а о Варшаве пишет, что город на берегу Вислы поражает своей красотой и богатством. По его же сведению Люблин – небольшой торговый город, где собирались немецкие, русские и турецкие торговцы, а Познань со своей неприступной крепостью на горе – лучше Люблина. Здесь во множества жили евреи... Такая же крепость имелась и в Ленчице, на скале.

Далее описаны Черск – город на берегу Вислы, где „часто собирается польское дворянство"; Брест – не больно большой город, но хорошо укрепленный; также Земск, Луцк, Каменец, Мчислава, Медниц и др. О Хельме сказано, что город средней величины, где располагается резиденция епископа.

О Вильне сообщается, что „знатный город" был основан в 1579 году королем Стефаном; Гродно – основательно построенный, украшенный крепостью большой город, где часто собирался Сейм и процветала торговля. О Минске Вахушти сообщает, что это был надежно укрепленный, большой город [21, 91-93].

В указанной главе выделена подглава „О Курляндском герцогстве", в которой содержатся значительные сведения о границах Курляндии того периода и населенных пунктах.

В сочинении указано, что с Курляндией граничат Балтийское море, Лифляндия, Литва и др. Там же названы города: Митава (подразумевается современная Элгава), Либава (ныне – Лиепая), Глидига (ныне – Кулдига) и т. д.

Царевич Вахушти замечает, что „Митава – главный город Курляндии, где находится трон герцога. Город – средней величины, однако хорошо построен и окаймлен крепостной стеной, которую нынче обновляют" [21, 94].

Вахушти отмечает, что несмотря на то, что в Курляндии и Лифляндии проживают родственные народы, они не имеют единого правителя [21, 93]. Примечательно, что ученый не скрывает своего огорчения по поводу политической раздробленности существующих в то время на территории современной Латвии регионов – Курляндии и Лифляндии. Думаем, что горечь историка вполне понятна, если учесть тот факт, что в то время и на территории Грузии существовало несколько независимых царств и княжеств.

Примечательны сведения царевича Вахушти о городах, которые в ту пору принадлежали Пруссии или Силезии, а нынче находятся на территории Польши либо Литвы.

По сведению Вахушти, город Мемель (ныне город в Литве – Клайпеда) на границе Курляндией был портом, весьма благоприятствующим быстрому передвижению морских судов; Элбинг (ныне город в Польше – Элблонг), густонаселенный город в Пруссии, а Мариенбург (ныне город в Польше – Малборк) – в прошлом престольный город Великого Магистра Германского Ордена.

Вахушти особо выделял портовый город Гданьск (по-латыни – Геданум, впоследствии – Данциг), где находилась знаменитая гимназия [21, 94-97].

По оценке Вахушти силезский город Бреслау (ныне город в Польше – Вроцлав) был прекрасным торговым городом на берегу Одера. Его жители в основном исповедовали лютеранство, хотя здесь была католическая академия, а также две лютеранские гимназии с богатой библиотекой и квалифицированными педагогами [21, 71]. В названных городах процветала торговля.

Внук Вахтанга VI, который приходился племянником Вахушти, царевич **Леон (Леван) Бакарович Багратиони** (1728-1763) с юности поставил себе целью создать учебник мировой истории на грузинском языке. Уже в 1754 году, еще при жизни своего знаменитого дяди, он начал переводить на грузинский язык исторические сочинения европейских авторов. Во „Всемирной истории", написанной царевичем Леоном, наряду с другими странами, упомянуты также Польша и Литва [30, 213-214].

Таким образом, несмотря на превратности судьбы, грузинская интеллектуальная элита радела о сознании учебников истории и политической географии на родном языке.

Итак, передовая часть грузинской нации в XVIII веке имела довольно четкое представление о военно-политическом и экономическом положении Польши и стран Балтийского побережья, а также о регионах и городах этих государств и системе их управления [12].

2. Поляки глазами последнего царя Восточной Грузии Григория I

28 декабря 1800 года в Тбилиси скончался один из представителей тысячелетней царской династии Багратионов (Багратидов, по-грузински – Багратиони), монарх Картлийско-Кахетинского (Восточно-Грузинского) царства Георгий XII (1746-1800), который царствовал с января 1798 года. С этого дня до июня 1801 года Картлийско-Кахетинским царством управлял наследник престола царевич Давид Георгиевич Багратиони (1767-1819). Он управлял царством как пра-

витель, но не как царь, так как по условиям Георгиевского трактата 1783 года необходимо было еще подтверждение императора России.

18 декабря 1800 года, еще при жизни царя Георгия XII, император Павел I подписал тайный манифест об упразднении Картлийско-Кахетинского царства и принудительном вхождении его в состав Российской империи. Аналогичного содержания манифест был издан новым императором России Александром I – 12 сентября 1801 года. Этим вероломным актом императоры России бесстыдно нарушили свое же условие, документально данное грузинским царям о сохранении автономных прав Грузинского государства.

В 1803 году российская императорская власть принудительным образом переселила в Санкт-Петербург большинство членов Картлийско-Кахетинской царской семьи, среди коих были наследник престола царевич Давид и его следующий (по возрасту) брат – царевич Иоанн (1768-1830).

Выселения избежали лишь несколько членов царской семьи, в том числе и единственный сын Иоанна – 14-летний Григорий (на грузинском языке – Григол) Иоаннович Багратиони (1789-1830), который в ту пору находился в Имерети (Западная Грузия) в княжеской семье родителей матери Кетеван Зурабовны Церетели (1772-1823), где его воспитывали на грузинских, христианских традициях. В тот период Имеретинское царство было еще независимым, покорить которое империя сумела лишь в 1810 году. Следует отметить, что Григорий был легитимным наследником своего дяди – сосланного в Россию, официально признанного императором России наследника престола Картлийско-Кахетинского царства – царевича Давида, у которого не было детей.

Однако свободолюбивый грузинский народ не мирился с навязанным положением, стремясь возродить царскую династию Багратионов. Против ненавистного оккупационного режима грузины поднимали вооруженные восстания, из коих своими масштабами выделялись восстание 1804 года в Мтиулети (горная часть северо-восточной Грузии) и восстание 1812 года – в Кахети.

Народное антирусское восстание, начавшееся 31 января 1812 года в Восточной Грузии, вскоре возглавил 23-летний Григорий Иоаннович Багратиони, которого восставшие объявили царем Картлийско-Кахетинского царства. В результате борьбы восставшие освободили от русских захватчиков почти всю Кахетию и северо-восточную часть Картли. Именно на эту территорию распространялась власть Григория I в феврале-марте 1812 года. Он был последним царем Восточной Грузии из тысячелетней царской династии Багратионов.

Григория I поддерживали правители соседних мусульманских стран, мечтавшие вытеснить с Кавказа Российскую империю.

Энергичная деятельность Григория I и реальная опасность превращения восстания в общекавказское вынудили имперские власти прибегнуть к решительным мерам. Призвав с Северного Кавказа дополнительные военные силы, русские потопили в крови восстание, а Григория Иоанновича Багратиони арестовали и сослали в Россию [8].

Генерал Филипп Осипович Паулуччи (1779-1849), назначенный императором России Главнокомандующим Грузии, в рапорте от 11 марта 1812 года сообщал председателю Государственного совета и Кабинета министров Российской империи Николаю Румянцеву: „Царевич Григорий, сын царевича Иоанна, в Москве пребывающего, провозглашенный кахетинскими мятежниками царем Грузии и издавший от имени своего возмутительные прокламации, также коего имя в церквах бунтовщиками поминаемо было как царя Грузии и который, собрав мятежную толпу, дрался против войск В. И. В., но был мною разбит, бежал было в Дагестан, к анцухским лезгинам... находится теперь в моих руках. Сей царевич, к коему столь охотно прилепились кахетинские бунтовщики... вреднее для Грузии, потому что немалая часть легковерных грузин признают его имеющим законное право на Грузию, основываясь на том, что прежде бывший настоящий наследник Грузии царевич Давид – бездетен, что потому сей Григорий, как сын первого по нём брата, царевича Иоанна, находящегося в отсутствии, должен быть наследником Грузии“ [36, 63].

Как и многие из членов грузинского царского дома, высланных в Петербург, Григорий Багратиони тоже отдавал дань литературной деятельности.

1813 году Г. Багратиони участвовал в заграничном походе русской армии, впечатление от которого он описал в своем сочинении („Путешествие из Петербурга в Вильно“).

Своих воспоминаниях о походе он тепло отзывается о поляках, сравнивая их с грузинами и подчеркивая их гостеприимство и доброту. Он вспоминал: „Когда мы вступили на польскую землю, на каждой станции нас встречали дворяне, тепло и гостеприимно принимавшие нас... Одежда поляков похожа на грузинскую“ [23, 2-5].

Г. Багратиони провел в Вильно четыре дня. О достопримечательностях города, его окрестностях, театре, горожанах и их нравах он написал в своем сочинении: „Вильно расположен на равнине. Он с трех сторон окружен лесистыми горами, но с одной – рекой Вилла... Горожане внешне настолько привлекательны, что краше них я нигде не видел“ [23, 5].

Примечательно, что супругой последнего грузинского царя была девушка из знатного рода польского происхождения – Барбара (Варвара) Фёдоровна Букринска/Букринская (1810-1875). Она родилась и выросла в Тбилиси в семье директора Благородного училища. У Григория и Барбары родилось четверо детей: Давид (1824-?), Иоанн (1826-1880), Кетеван (1828-1891) и Екатерина (1830-1917).

Несмотря на то, что Барбара овдовела совсем молодой – в 20 лет, – она не вышла вторично замуж, стоически встретила свалившееся на нее испытание и вырастила детей достойными грузинами [47, 134-139]. Среди них особенно знаменитым был Иоанн Григорьевич, который достойно носил как имя своего великого деда, так и предводительство рода светлейших князей Грузинских (Багратиони), т. е. фактически был главой Картлийско-Кахетинского Царского Дома.

Г. Багратиони скончался в 22 сентября 1830 года. Как и многие из членов царского дома Багратионов он похоронен в Санкт-Петербурге, в Лавре святого Александра Невского [39, 74-75].

Таким образом, последний царь Восточной Грузии Григорий I (1789-1830), лишенный престола и высланный в Россию, в 1813 году путешествовал по северо-восточной Польше. Описывая свое путешествие, он с уважением отзывался о поляках, подчеркнув их внешнюю красоту и гостеприимство. Позже он связал свою судьбу с девушкой из знатного польского рода.

3. Польша и поляки в сочинении царевича Иоанна Багратиони

„Калмасоба“ – сочинение энциклопедического характера, автором которого был царевич Иоанн Георгиевич Багратиони (1768-1830), государственный деятель, ученый и энциклопедист, отец последнего грузинского царя – писалось в течение довольно долгого времени, в частности, в 1813-1828 гг.

В названном сочинении содержатся примечательные сведения о городах и регионах Польши того времени, а также о польской нации. Рассказано о местоположении Польши, её границах, полезных ископаемых, климате, демографической, исторической, военно-политической обстановке, исповедуемой религии. По сообщению автора 12 больших провинций Польши состояли из 32 малых регионов, в которых проживало до 7 миллионов человек.

Касаясь истории Польши, Иоанн Багратиони указывал, что в прошлом, когда Польское царство было единным и сильным, поляки сумели покорить соседние страны и взяли даже саму Москву.

Ослабевшую же Польшу соседние государства – Россия, Пруссия и Австрия – разделили на три части.

По оценке грузинского царевича поляки – „сильные и смелые бойцы. Их аристократия отличается изысканными манерами, честностью, учтивостью и толерантностью; любят свободу, вольную жизнь и богатое застолье" [1, 84-85].

4. Польша глазами царевича Теймураза Багратиони

Младший брат царевича Иоанна Багратиони – царевич Теймураз Георгиевич Багратиони (1782-1846) был известным писателем и ученым, почетным членом Академии наук Российской империи, действительным членом Азиатского царского общества (Париж) и Царского общества антикваров (Копенгаген).

Проживающий в Санкт-Петербурге Т. Багратиони 26 мая 1836 года отправился в путешествие по странам Европы и проездом через Прибалтику прибыл в Польшу. В его сочинении „Мое путешествие по разным местам Европы" содержатся интересные сведения о крупных населенных пунктах и регионах Польши. Он описывает увиденные им по пути города: Тильзит, Элбинг, Данциг, Краков и др., которые еще недавно принадлежали Польше, но в то время, волею судеб, находились в составе другого государства.

В его сочинении читаем: „Тильзит – большой польский город, который в настоящем находится во владениях прусского короля" [2, 20-21].

Направляясь из Кенигсберга к западу, царевич Теймураз отмечал: „По дороге нам встретилось множество чужих городов. Элбинг, стоящий у реки, в старое время принадлежал Польше, ныне же он в собственности прусского короля. И Данциг был некогда польским городом, теперь же находится в пределах Пруссии. Этот город расположен в хорошем месте, он прекрасен и имеет крепость" [2, 24].

Примечательно, что Т. Багратиони не скрывал своей боли по поводу присвоения иностранными государствами коренных польских городов, что было вызвано потерей Польшей своей государственности. Он пишет: „Мы посетили разные города – и прусские, и польские; последние в настоящем принадлежат Пруссии. Прошли через Элбинг и Данциг. Это великолепные города. Затем перешли в Померанию, которая тоже является собственностью Пруссии" [2, 43].

Одновременно с этим царевич с удовольствием вспоминал золотую эпоху Царства Польского, когда его победоносные монархи владели и соседними странами [2, 51].

Полагаем, что сочувствие, выраженное польскому народу царевичем, вполне понятно, поскольку в тот период и его родина – Грузия – была лишена независимости и, вопреки воле грузин, входила в состав Российской империи.

Отметим, что царевич не проявляет подобного отношения к представителям других наций. Например, описывая город Росток, он указывал на расчетливость живущих в нем немцев [2, 26-27].

5. Польша и поляки глазами Григория Орбелиани

В 1834-1837 годах в дислоцированной на территории Польши и Прибалтики русской армии служил офицером впоследствии известный грузинский поэт и общественный деятель, генерал-от-инфантерии, князь Григорий (Григол) Дмитриевич (Зурабович) Орбелиани (1804-1883). В разное время он служил в городах Лифляндской, Курляндской и Виленской губернии [11, 51-54]. Отметим, что в то время абсолютное большинство населения г. Вильно (ныне – Вильнюс) представляли поляки, являясь также и значительной частью Виленской губернии, поскольку этот регион долгое время входил в состав Польского государства.

В период службы в Польше и Прибалтике поэт оставался верен своему основному призванию – стихотворству. Здесь им были созданы прекрасные стихотворения, в частности, в Вильно он посвятил одно из них супруге грузинского князя, выдающегося поэта-романтика, генерал-лейтенанта Александра Гарсевановича Чавчавадзе – Саломе Ивановне Орбелиани в ознаменование рождения их дочери Софии Александровны Чавчавадзе (1833-1862).

Письма, которые Г. Орбелиани слал в Грузию, содержат интересные сведения о жизни и быте того времени названных регионов.

20 июля 1834 года поэт писал из Вильно своему брату Захарию Орбелиани (1806-1847): „Вчера прибыли в Вильно, стоим лагерем; останемся здесь до сентября... В Вильно есть театр и очень хвалят орган в здешней церкви“ [24, 17-18].

Г. Орбелиани в своих письмах неоднократно отмечает красоту польских девушек.

В конце того же года в письме к княжне Манане Миримановзне Эристави-Орбелиани (1808-1870) поэт писал: „В прошлый раз я написал из Вильно и кратко описал этот город. Лагерь расформировали и я с моей ротой пришел в местечко Кветкис, где всего-то жителей один ксендз, т. е. польский священник, один кузнец и я.

Опишу и мое короткое путешествие. Был четверг, проливной дождь лил за ворот, а ноги увязали в грязи (знай, что я, великий князь, скитаюсь пешим ходом), когда мы вышли из Вильно. Подумай сама, сколь разъяренным пришел я к полудню в одно село, но сразу же успокоился войдя в первый дом и увидя там 17-летнюю красавицу – дочь хозяина" [24, 21].

23 марта 1835 года Г. Орбелиани из г. Биржи писал княжне Саломе Орбелиани-Чавчавадзе: „Нынче нахожусь в Виленской губернии, т. е. среди поляков, которые, как и мы, веселы и гостеприимны. Их женщины слишком смелы в своем поведении, любят флиртовать и кокетничать. Здесь я познакомился с несколькими помещиками, в доме которых часто бываю и приятно провожу время" [24, 24-25].

11 апреля того же года из г. Биржи он писал княжне Нино Андроникашвили-Эристави: „Я пребываю в Виленской губернии, т. е. в стране поляков. Познакомился с представителями здешней знати, они гостеприимны и состоятельны. Местные женщины хорошо воспитаны, образованны, смелы в поведении, любят флирт, но безо всякого злого умысла. Я часто общаюсь с ними и время проходит весело в игре на фортепиано, танцах, пении, гулянии и всевозможных плясках. Недавно был в Риге, где есть театр" [24, 26].

В письме, датированном тем же днем, Г. Орбелиани сообщал брату: „19 числа этого месяца наш полк отправится на строительство дороги, которая свяжет Ригу с Митавой, но ты все же припиши к адресу: чрез город Бауск в местечко Биржи Виленской губернии" [24, 28].

Примечателен „дневник 1836 года" Г. Орбелиани, в котором отражены сведения о его пребывании в Польше и Прибалтике [25, 265-283].

Из дневника явствует, что поэту нравились Польша и Прибалтика, а деревни, прилегающие к Поневежу (ныне Паневежис), уездному городу Ковенской (ныне – Каунас) губернии, напомнили ему родную Грузию.

В записи от 9 июля 1836 года Г. Орбелиани пишет: „Вышли из Поневежа. По мере прохождения верст окрестность все более красивела и, наконец, на 12-13 версте возникло восхитительное зрелище: многочисленные села, рассеянные по равнине, окруженные красивыми рощами, радовали глаз и, на первый взгляд, напоминали Грузию! " [25, 267].

Итак, в 1834-1837 годах в русской армии, дислоцированной на территории Польши и Прибалтики, служил офицером впоследствии известный грузинский поэт и общественный деятель Григол Орбе-

лиани (1804-1883). Здесь он создал немало прекрасных стихотворений, а также вел дневник, который, вместе с посланными им в Грузию письмами, содержит весьма интересные сведения о жизни и быте названных регионов Польши и Прибалтики того времени [11, 51-54].

6. Илья Чавчавадзе о Польше и его польские друзья

Выдающийся грузинский писатель и общественный деятель, лидер национально-освободительного движения в Грузии, князь Илья Чавчавадзе (1837-1907) традиционно проявлял большую симпатию по отношению к тем нациям, которые боролись за восстановление государственной независимости.

Он твердо верил, что как бы ни усилилась Российская империя, она „не справится с поляками и финнами. Они сильны как экономически, так и национальным сознанием. Им будет полезен конституционный режим, так как сумеют сильно соперничать с русскими" [17, 82].

Среди ближайщих друзей и единомышленников И. Чавчавадзе были проживающие в Грузии аристократы польского происхождения – его свояк, сенатор, генерал-лейтенант Дмитрий Семенович Старосельский (1832-1884), который в 1877-1884 годах служил заместителем Кавказского наместника, а также известный юрист Иван Игнатьевич Полторацкий (по матери – Зедгинидзе).

Здесь же следует отметить, что Д. Старосельский был женат на дочери князя Тадеоза Гурамишвили – Екатерине (1834-?), младшая сестра которой Ольга (1842-1929) была супругой И. Чавчавадзе [42, 142].

Что касается Ивана Полторацкого, он тоже был женат на представительнице знатного грузинского рода Надежде (Надо) Захаровне Габашвили. Их очаровательная дочь, выросшая на грузинских традициях, Нина Полторацкая (1869-1931), при непосредственном участии И. Чавчавадзе, в 1895 году вышла замуж за грузинского дворянина, известного ученого, академика Эквтиме Такаишвили (1863-1953) [19, 278].

Здесь же следует сказать, что И. Чавчавадзе посвятил своему другу Ивану Полторацкому поэму „Призрак".

7. Польша и поляки глазами Самсона Пирцхалава

Известного грузинского общественного и политического деятеля, публициста, одного из лидеров социал-федералистской партии Самсона Пирцхалава (1872-1952), который учился на юридическом

факультете Санкт-Петербургского Университета, связывали с польскими студентами дружеские узы.

В 1896 году правительство Российской империи торжественно отметило 100-летие со дня рождения Михаила Николаевича Муравьева (1796-1866), который жестоко расправился с участниками польского восстания 1830-1831 годов.

С. Пирцхалава вспоминал: „Мы пытали к Польше большое уважение и симпатии. Наши судьбы были переплетены друг с другом. Мы знаем, какое возмущение вызывали в польской нации торжества по поводу юбилея Н. Муравьева, и решили как-нибудь донести до поляков, что наши сердца бьются в унисон с их сердцами. Составили обращение к польским студентам, польские же товарищи перевели его на польский язык, затем на гектографе отпечатали много экземпляров и отправили их в Варшаву для распространения среди местных студентов" [26, 27-28].

Обращение гласило:

„Польским студентам от грузинских студентов Санкт-Петербургского Университета.

Товарищи, друзья,

Примите наше дружеское приветствие и короткое, но искреннее, идущее от самого сердца сочуствие. Свобода вообще и, в частности, – национальная свобода, есть обязательное условие общественного прогресса. Вы всегда энергично высказывали любовь к такой свободе. Вы сумели промолчать, когда ущемили ваши права, оскарбили ваши священные стремления и воздвигли памятник посягателю на свободу польской нации – палачу Муравьеву, когда он зверски истязал и душил ваших отцов и братьев. Ваше нынешнее положение намного горше. Неизмеримо горько иметь право на свободное существование, но в то же время быть рабом!

Но нет сомнения, что разрушающая все преграды истина искоренит самодурство, рассеет тьму и на стяге человечества огненными буквами отпечатается свобода гражданская, свобода национальная, и над вашей многострадальной родиной засверкает корона независимости!

Да будем мужественны и непримиримы и с верой и надеждой устремимся к желаемой цели!" [26, 28].

8. Польша и поляки в воспоминаниях Тедо Сахокия

Известный грузинский общественный деятель, писатель, переводчик, этнограф и лексикограф Тедо Сахокия (1868-1956), который в

разное время учился в Женевском и Сорбонском (Париж) университетах, а также в парижском Высшем антропологическом училище, в то же время занимался и политической деятельностью. В частности, он был членом основанной в 1892 году Лиги свободы Грузии, а позже – Социал-федералистской партии.

В 1905 году, за участие в приеме и размещении огнестрельного оружия, завезенного в Грузию из Западной Европы в помощь революции, он был арестован, осужден и в 1908 году сослан в Сибирь. Однако ему удалось совершить побег и уехать во Францию. В 1916 году он вернулся в Грузию и занялся активной литературной и педагогической деятельностью.

В своих мемуарах Тедо Сахокия описал время, проведенное им в сибирской ссылке, где он познакомился с представителями разной национальности, в том числе – поляками, сосланными в Сибирь по политическим мотивам.

Он писал: „Российское правительство десятками тысяч сослало и угробило в сибирской тайге и тундре участников польских востаний 1831 и 1863 гг. Та же участь постигла и участников кахетинского (1812 г.) и мегрельского (1854 г.) восстаний" [28, 79].

Т. Сахокия вспоминал о том, как он спасся вместе со своим грузинским другом от верной гибели. В этом ему помог сельский староста Михаил Шеметов, который лично знал и уважал известного грузинского деятеля польского происхождения Георгия Феликсовича Здановича (1854-1917).

Отметим, что публицист, экономист, врач, революционер-народник Г. Зданович родился в городе Кутаиси, в семье польского военного врача. Там же закончил гимназию. Был одним из основателей и руководителем Всероссийской социал-революционной организации. В 1875 году он был арестован и в 1877 году сослан в Сибирь. В 1889 году Г. Зданович вернулся в Грузию и занялся публицистической и политической деятельностью. Он был одним из инициаторов создания Социал-федералистской партии Грузии и лидером ее левого народнического направления. Ему принадлежит большой вклад в развитии производства марганца в Грузии (Чиатура). Издавался он под псевдонимом „Маиашвили" (дословно – „сын Майи", его матерью была княжна Майя (Мариам) Манучаровна Микеладзе). Похоронен Г. Зданович в Кутаиси.

Т. Сахокия вспоминает слова сельского старосты Михаила Шеметова: „Спросите, откуда я знаю Георгия Феликсовича Здановича? По окончании срока в придворной каторжной тюрьме его сослали в Иркутскую губернию и он жил здесь, в Верхолинске. Вместе с ним

были Антимоз Гамкрелидзе и Михаил Чикоидзе. Сам Георгий жил в нашем доме. Мне тогда, в 80-ых, было 15 лет. Он обучил меня грамоте, привил благородные, человеческие мысли, на многое открыл глаза, одним словом поставил на совсем новый путь и выпестовал человека. Опекал меня, ухаживал, любил как брата. И коли есть во мне что-либо человеческое, то это по милости моего дорогого, незабвенного Георгия Феликсовича, всем я ему обязан... В нашем доме на его портрет молятся как на икону... Когда закончился срок его ссылки и он покидал наши края, весь Верхолинск оплакивал его отъезд... Бог мой, чтобы я не пришел на помощь людям из страны Георгия Феликсовича?! Уж лучше сойти в могилу!" [28, 101-102].

Т. Сахокия вспоминает далее: „До прибытия в Верхолинск мы мечтали о чуде и надеялись на спасение, и вот оно – случилось!... Разве можно было представить себе такое, но сбылись наши мечты... Думал ли я, что доброе семя, посеянное Г. Здановичем в этом захолустье, спасём меня от гибели?" [28, 102].

Сельский староста разместил грузин в доме бывшего политического заключенного, поляка по происхождению, пана Жоси.

В воспоминаниях читаем: „Пришел высокий, благородного облика седобородый старик, чуть сутулый, который походил на Здешних крестьян разве что одеждой.

– Вот тебе гости, – сказал ему староста. – Знай – это дорогие гости и прими их по-своему".

Староста успокоил нас, уверяя, что оставляет в надежных руках, и распростился.

Пан Жося повел нас в дом. В одном углу деревянной избы висела икона, а под ней на столе – молитвенник и скульптура Распятия...

Хозяйка спешно поставила самовар, сели за стол.

– Извините, откуда вы будете? Вроде бы на русских не похожи, – спросил меня пан Жося.

– Грузины мы... Знаете, из маленькой страны к югу от России, оттуда мы.

– Грузины... знаю, знаю. Один грузин жил у меня лет 25 тому назад. По фомилии Чикоидзе. Георгий Зданович и Антимоз Гамкрелидзе в то время тоже были здесь. Может знакомы с ним или знаете что-либо о нем?

– С Чикоидзе я не был знаком, но слышал о нем много хорошего. Его уже нет в живых...

Услышанное потрясло его.

– Царство ему небесное... Уж больно хорошим человеком был. Какой образованный, какой благородный!... Когда он был с нами,

время проходило незаметно... Такой больше не родится. Хотя поселенные здесь грузины были один другого лучше. Наверное на их родине люди вообще хорошие... Так вы земляки Чикоидзе? Очень рад, что судьба снова послала мне людей из отечества Чикоидзе, чтобы напомнить счастливое время, проведенное с ним.

– Пан Жося, сами-то вы откуда и как попали сюда? Вы, должно быть, поляк?

– Да, поляк... Мне было 20 лет, когда меня арестовали за участие в восстании 1863 года против русского самодержавия. Тогда сюда были сосланы тысячи моих соотечественников... Двуглавый орел намеревался растоптать, стереть с лица земли Польшу. Тяжелые испытания ждали нас в пути... Многие из нас не выдержали, погибли и как собаки были похоронены в чужом краю либо так и остались на съедение диким зверям. Многие потеряли рассудок от нечеловеческого обращения и мук... Тем, кто добрался сюда, сначала было очень тяжело, Нам сказали поселиться, но никто не спрашивал, была ли у нас возможность для поселения, было ли для этого мало-мальски необходимое... Ведь у нас ничего не было за душой. Здешние места и теперь удручают, представьте что тут было 40 лет назад!... Приходилось бороться с дикими зверьми, да и сами люди не вызывали доверия, страшнее зверей были. Здесь был лес, непроходимая тайга, бездорожье... Мы были оторваны от мира. Забытые всеми и мы забыли обо всех. Многих унесли голод и болезни... Для нас не было ни врачей, ни лекарства. Я срубил избу, женился на здешней женщине, а что было делать, где бы я нашел польку? Слава богу, живем в согласии. В память о моей родине у меня есть этот молитвенник, икона и фигурка Распятия. Много раз думал о возвращении на родину, но это требовало недосягаемой для меня суммы. И кроме того – к кому постучаться в дверь? Моих родных, и близких, и далеких, уже нет в живых... И если мне живому не довелось пожить на родине, хотел бы хоть прах упокоить в родной земле... Но видимо, нет на то божьей воли... Правда, земли здесь достотачно и непогребенным я не останусь, но моим костям было бы уютнее лежать в польской земле" [28, 102-105].

Грузины постарались успокоить хозяина.

Тедо Сахокия вспоминает: „Сердце сжалось от жалоб 65-летнего старика. Неизмерим был трагизм его духовного бытия. Чтобы утешить его, мы сказали, что если родина Коперника и Сенкевича все еще не вырвалась из когтей российского двуглавого орла, она стремится к этому и юобьется этого. А залогом победы является одно из передовых мест, которое поляки занимают в мире по своей образованости, учености и свободолюбию.

Слушая это, старик не сдержал слез, стал всхлипывать. Тяжело было смотреть на это... До глубины души тронула нас трагедия старика, стоящего уже на пороге могилы, насильственно вырванного некогда из родной земли и заброшенного за тридевять земель, где ему пришлось бороться со страшными, почти дикими условиями жизни и быта" [28, 105-106].

Пан Жося, который материально сам был в стесненном положении, с большим почетом принял гостей. Кроме того, и сельский староста особо уважил гостей, отравив их на санях до места назначения.

На пращание он сказал: „Когда вернетесь, обязательно зайдите ко мне. Я пошлю с вами надежного человека, который довезет вас до места в сохранности... Я говорю на тот случай, когда вы сбежите, ведь вы не останетесь там... Ежели вы пойдете другой дорогой и я вас больше не увижу, то когда встретите Георгия Феликсовича передайте ему от его ученика Михаила Шеметова большой привет, любовь и мечту о встрече" [28, 107].

Увиденное и пережитое глубоко затронуло Т. Сахокия. Он с восторгом вспоминает: „Это было как во сне... Огорченные расстались мы с нашими новыми друзьями, которых здесь взрастили светлой памяти наши предки-революционеры, чтобы впредь они не оставыли в беде и пришли на помощь идущим по их следу" [28, 107].

Таким образом, известный грузинский деятель Тедо Сахокия увековечил в своих мемуарах образ польского борца за свободу своего отечества, с которым он познакомился будучи в сибирской ссылке.

9. Польша глазами Ноэ Жордания

Один из лидеров грузинских социал-демократов Ноэ Жордания (1868-1953) в возрасте 23 лет прибыл в Варшаву для получения высшего образования. 1891 году он был зачислен в Варшавский ветеринарный институт.

В его воспоминаниях читаем: „В Варшаве я узнал, что такое рабочий класс, его социальное учение, его призвание... Варшава произвела на меня большое впечатление и в национальной сфере. Как только мы приблизились к Варшаве, в вагон вошел польский кондуктор и начал собирать с пассажиров билеты. Рядом с нами сидел поляк, к которому кондуктор обратился на польском языке. Услышав польскую речь, сидящий за нами русский жандарм вскочил с места, ринулся к кондуктору и составил протокол, вменив ему в вину разговор на польском языке. Я был удивлён, у нас ни с чем подобным я не

сталкивался, хотя грузинские кондукторы всегда говорили с пассажирами на родном языке.

Прибыли в Варшаву. Поселили меня в одной польской семье. На второй день я вышел на улицу, вошел в магазин купить бумагу и писчее перо. Говорил по-русски, но никто мне не отвечал, только говорили „нокописко" („не понимаю"). Я не знал польского, обошел несколько ларьков – везде тот же ответ.

Вернувшись домой, я пожаловался одному польскому студенту. Он разразился хохотом: „Пойдем, увидишь, что они лучше тебя говорят по-русски".

Вошли в первый магазин, откуда мы вышли ни с чем. Мой попутник сказал ему: „Это грузин".

Продавец усмехнулся и побеседовал со мной на русском языке, причем, без акцента. И я понял, что русскому языку был объявлен бойкот. Затем я узнал, что продавец, нарушивший этот уговор, терял польских покупателей, так как поляки уже не заходили в его магазин. Узнал я также, что существовала обширная тайная организация, которая вела пассивную борьбу с русскими и с Россией. Потому-то Варшава осталась сугубо польским городом и духовно, и внешне. Подобная национальная сплоченность была для меня совершенно неожиданной новостью. Разумеется, что я принялся изучать этот вопрос" [15, 22].

В ноябре 1917 года в Тбилиси сформировалась местная власть – Комиссариат. В его состав вошли известные грузинские социал-демократы, и в их числе Акакий Чхенкели и Евгений Гегечкори, который был представителем Комиссариата. В тот период в Грузии проживало много польских офицеров и солдат, до революции служивших в русской армии. Они-то и решили тогда создать независимое польское военное соединение.

Н. Жордания вспоминал: „Когда русская армия распадалась и возникали местные полки, представитель поляков подал прошение в Комиссариат о создании польского полка. Прошение это было встречено членами Комиссариата и нескрываемым неудовольствием, и особенно сопротивлялись этому армяне и русские. На одно заседание был приглашен и я.

Я и грузинские члены Комиссариата – Евгений и Акакий – поддержали поляков... Казармы и все военные склады были в распоряжении Бюро Исполнительного комитета. Мы сразу же освободили казармы сапёров и передали их полякам, выделили им специального комиссара, который должен был организовать передачу военных складов в их пользование, и т. д. Словом создали целую бригаду

польских солдат и офицеров, выделили им обмундирование, пропитание, оружие и в конце концов отправили их, ничего не требуя взамен, а тем более оплаты счетов.

Польша находила такое большое сочувствие в Грузии, особенно в революционных кругах, что мы считали своим долгом помогать полякам везде, где могли. В Государственной Думе наши депутаты требовали независимости Польши, в то время как фракция Дмовского просила лишь автономии, а в Тбилиси была сформирована польская бригада. Когда мы испытывали затруднения, хотели было использовать эту бригаду для соблюдения порядка, но передумали. Предпочли довольствоваться собственными силами, чтобы местные хулиганствующие бригады не упрекнули нас в том, что мы расправляемся с ними с помощью чужих сил" [15, 95-96].

В приведенном отрезке Н. Жордания вспоминает активную поддержку поляков грузинскими депутатами в Государственной Думе Российской империи.

10. Польша и поляки глазами Николая Чхеидзе

В Государственной Думе Российской империи депутаты из Грузии придерживались весьма прогрессивной позиции в вопросах, касающихся Польши или Финляндии, открыто поддерживая национальные интересы этих стран [46].

Одной частью грузинской депутации, которая представляла социал-демократическую партию, руководил известный грузинский политический деятель Николай (Карло) Семенович Чхеидзе (1864-1926), считающийся одним из лидеров меньшевистского направления русской и грузинской социал-демократии [27].

Заметим здесь же, что среди деятелей Всероссийской социал-демократической (рабочей) партии было немало грузин – они представляли как меньшевистское, так и большевистское крыло партии.

В Государственной Думе Российской империи в разное время подвизались восемьнадцать грузин, среди которых были: представители социал-демократической партии – вышеупомянутый Николай Чхеидзе, Ноэ Жордания, Евгений Гегечкори, Акакий Чхенкели, Ираклий (Каки) Церетели, Исидор Рамишвили, Константин Канделаки, Иван Гомартели, Свимон Церетели, Чола Ломтатидзе, Арчил и Серго Джапаридзе, Герасим Махарадзе, Севериан Джугели, Николай Кациашвили; представители социалист-федералистской партии – Варлам Геловани, Иосиф (Осико) Бараташвили и представитель фракции прогрессистов партии кадетов – Прокопий Шервашидзе [40, 157].

Поскольку председатель социал-демократической фракции Государственной Думы Н. Чхеидзе занимал достойную позицию по вопросам Польши и Финляндии, думаем, польской общественности будет небезынтересно узнать несколько примечательных деталей его политической биографии.

В 1907 году Н.Чхеидзе избрали гласным в Тбилисский городской совет. Он внес огромный вклад в победу грузинских социал-демократов в выборах I и II Государственной Думы России.

С 1907 года Н.Чхеидзе был депутатом III и IV Государственной Думы России от Тбилисской губернии, в IV Госдуме являлся лидером меньшевистской фракции („семерки") [29, 174].

Светлый ум, оригинальный талант и ораторские способности способствовали широкой популярности Н.Чхеидзе. Его голос подобно колоколу звучал с трибун Государственной Думы. Он бескомпромиссно и решительно защищал интересы угнетенных народов и трудящихся, завоевав тем самым симпатии в общественных кругах и, особенно, большей части революционных масс [35, 52].

В конце 1912 года председатель Совета министров Российской империи Владимир Николаевич Коковцов (1853-1943) подписал декларацию, в которой было заявлено, что власть проявляет благожелательное отношение к „инородцам".

В ответ на это Н. Чхеидзе в своем выступлении открыто заявил: „Как вам нравится гг., например, благожелательность г. Коковцова к инородцам?

Позвольте мне минуту стать здесь в роли инородца, и в таковой роли я заявляю о своей глубочайшей благородности его высокопревосходительству. Но, тем не мение, я позволю себе спросить вот о чем. Он обещаеть благожелательность всем инородцам, которые считають Россию за свое отечество. И вот, поблагодарив его, я считаю себя все-таки обязанным спросить г. Коковцева, о какой России, собственно, идеть реч? Ведь, гг., постоянно твердят о единой, нераздельной России. Я должен вам сказать гг., и категорически заявляю, что никакой единой и нераздельной России в свете нет (Смех справа).

Да, есть гг., на свете две России, есть две России, числом две, а каковы эти две России и какая между ними разница я вам сеичас укажу (Смех справа).

Да, вот есть, гг., Россия официальная, есть Россия полицейская, есть Россия, девиз которой: „тащить и не пущать"; есть Россия, призванная свистать нагайками по спинам обывателей, вешать, ссылать и давить все живое; есть Россия, которая призвана громить культуру, безпощадно эксплоатировать массы, расхищать народное достояние;

есть Россия эксплоататоров, хищников, паразитов, Россия палачей, Россия внешних авантюр; есть Россия, стремящаяся назад, к средневековью; есть Россия, превратившаяся в живой труп и отравляющая всю окрестную атмосферу. Это одна Россия.

Есть другая Россия: Россия трудового народа, Россия молодая, Россия всех живых элементов страны, Россия, рвущаяся на путь широкого возрождения, Россия, жаждущая широких политических и гражданских прав, Россия со светлым будущем и с великими идеалами впереди.

Вот, гг., какие две России имеются у нас, и соединить эти два русла нельзя.

И вот, я спрашиваю г. Коковцева, какую из этих двух Россий он рекомендует мне, например, как инородцу и другим инородцам в качестве отечества?

Если, гг., он рекомендует нам первую Россию, то я думаю, гг., что всякий порядочный инородец с негодованием отвергнет такое отечество и всякое благожелательство со стороны такого отечества сочтет за кровную обиду для всех. Это ваша Россия.

Что касается другой России, то помимо благожелательство Коковцова, помимо всего кабинета и помимо вас, гг., мы давно нашли общий путь солидарности, любви и уважения к этой Россий!" [37, 810-811].

Н. Чхеидзе по достоинству ценили как его единомышленики, так и оппоненты.

Один из лидеров грузинских социал-демократов (меньшевиков), а впоследствии Председатель правительства Грузинской Демократической Республики Ноэ Жордания (1868-1953) писал: „Когда Карло поднимался на думскую трибуну, депутаты покидали свои места и спускались к трибуне, чтобы не пропустить ни одного слова оратора...

Карло – необычайно нравственное существо. Он всегда был чужд честолюбия, зависти и гордыни. Он возглавлял огромное дело, но старался вывести вперед другого, сам же оставался в тени. Он принадлежал к поколению, характерными чертами которого были самоотверженность и застенчивость. Святая цель, святое средство – вот евангелие этого поколения. Поругания над этим евангелием, торжества нечистой цели и еще более нечистоплотных средств это чистое поколение не в состоянии вынести" [4].

Бывший министр иностранных дел Демократической Республики Грузия Евгений Гегечкори вспоминал о Н. Чхеидзе: „Наш лидер только во время генеральных сражений устанавливал на трибуне крупнокалиберную пушку и направлял на вражеские позиции разру-

шительные бомбы. Кто не помнит его саркастические, выкованные словно сталь, сокрушительные выступления в третей Государственной Думе России? Его слова по поводу Амурской железной дороги, кавказских дел, Польши (Холмщина), Финляндии, внутренней политики, деятельности Святого Синода и многие другие выступления были настоящим шедевром ораторского таланта и истребляющей критики" [4].

В 1913 г. В. Ленин писал: „Возьмите социал-демократическую думскую фракцию: одна из самых видных фигур – Чхеидзе" [43, 41].

С февраля по октябрь 1917 г. Н.Чхеидзе был Председателем Петроградского Совета рабочих и солдатских депутатов и Председателем ВЦИК рабочих и солдатских депутатов первого созыва. В октябре 1917 г. Н. Чхеидзе вернулся в Грузию.

В феврале 1918 г. он был избран Председателем Закавказского Сейма (парламента). По объявлении Грузией независимости Н. Чхеидзе был избран Председателем Парламента Грузинской Демократической Республики, а затем – и Председателем Учредительного собрания.

В 1919-1920 гг. Н.Чхеидзе руководил грузинской делегацией, приехавшей в Париж на переговоры. Здесь он принимал участие в переговорах с Советом Антанты, добиваясь для Грузинской Республики поддержки со стороны европейских государств.

Н.Чхеидзе внес весомый вклад в дело разработки и принятия первой конституции Грузии.

Таковы вкратце основные аспекты политической деятельности Н. Чхеидзе.

Вернемся теперь к позиции грузинских депутатов Государственной Думы по вопросам Польши. Как было сказано выше, депутаты Государственной Думы, видные грузинские политики Н. Чхеидзе и Е. Гегечкори открыто высказывали свои симпатии к польскому народу.

В мае 1910 года в нескольких номерах „Чвени газеты" („Наша газета") была опубликована пространная статья Н. Чхеидзе „III Государственная Дума и местное самоуправление" [32], в которой резкой критике подвергалась реакционная часть депутации Государственной Думы, принявшая антидемократический закон о самоуправлении.

„Настал великий праздник для Государственной Думы, – писал Н. Чхеидзе. – Сегодня она по-настоящему пирует, пьянствует, кричит, грозится, размахивает кулаками, несёт околесицу, бахвалится. Пустите, – орет она, – убью, раздавлю, разнесу в дребезги! В чем дело? Чему радуется „уродец" третьего июня? Что его так взбодрило, кому он грозит, почему орет до обморока, что его взбаломутило? ...Оказывается, причина в том, что, с одной стороны, он поверг

Финляндию и топчет ногами, с другой стороны – жаждет превратить Запад в новое поприще мести...

На сей раз гнев и угроза направлены против Польши:

– Поляки – вот кровные враги! Поляки – вот страшное зло! Польша – вот преисподня! Вот им, изменникам, беспощадным, носителям всяческого зла" [33].

По мнению Н. Чхеидзе, причина столь нещадного гнева имперской власти была обусловлена тем, что польская культура стояла выше русской, в поляках сильнее было развито чувство национального самосознания, они были более дисциплинированы и организованы, экономика Польши опережала российскую.

Н. Чхеидзе полагал, что реакционные силы России хотели искусственно затормозить культурное и экономическое развитие Польши, и поэтому поляки не должны были иметь самоуправление, автономию, подобным добром могли пользоватся только русские.

На страницах прессы Н. Чхеидзе заявлял: „Для утверждения истинного самоуправления и национального возрождения необходима демократизация самой России. Только на этой почве возможно удовлетворение национальных интересов" [34].

Вместе со своим соратником по партии Е. Гегечкори Н. Чхеидзе так же принципиально высказывал свою позицию и при рассмотрении вопроса о Финляндии. Примечательно, что грузинская пресса того времени проявляла исключительный интерес к финскому вопросу [27, 28-30].

Н. Чхеидзе призывал всех инородных подданных империи, в одиночку борющихся за обретение автономии, к консолидации сил. Исходя из своих партийных позиций, он обращался к ним со следующими словами:

„Теперь несколько слов к вам, господа инородцы!

Вот уже почти три года, как я наблюдаю и спрашиваю себя, какую пользу вы приносите своей нации пожеланиями, спокойствием, кротостью, которые вы проявляете?

Ведь чем вы скромнее, тем нещаднее вас сгибают, оскорбляют и не гнушаются оплевывать. Чем больше вы стараетесь укрыться в тесной скорлупе национализма, тем больше тумаков и подзатыльников получаете. Мы же вам говорим: свобода народа России – это ваша свобода, его рабство – ваше рабство. И если вы желаете освободить ваши народы, присоединяйтесь к трудящимся России для решающей борьбы" [34].

Таким образом, грузинские депутаты Государственной Думы России по вопросам Польши имели весьма прогрессивную позицию и

открыто защищали национальные интересы польского народа. С позицией социал-демократического крыла грузинской депутации традиционно знакомил парламентариев видный политический деятель Николай Чхеидзе.

11. Ладо Дарчиашвили о польском национально-освободительном движении в начале XX века

В публицистическом наследии одного из ярких представителей грузинских социал-демократов Ладо (Владимир) Дарчиашвили (1872-1916) представлена одна статья под заглавием „О Польше", которую автор опубликовал в грузинской прессе в начале XX века.

В статье читаем: „Окраинные страны империи стоят во главе освободительного движения. Согбенные под двойным ярмом гнёта, они находятся в первых рядах бойцов и со стократной революционной энергией продвигаются к свободе. Эти страны первыми разожгли революционный огонь... Победа одного товарища вселяет в другого надежду, пьянит желанием победы и всей энергией, всем существом и энтузиазмом призывает людей на борьбу за благополучие и справедливость. И разве удивительно, что яростная реакция со всей силой надвигается на эти страны, дабы совершить неслыханное варварство?

В многострадальной Польше объявлено военное положение. Шлют армию за армией, чтобы снова покорить страну. И все же, что случилось, в чем провинилась Польша? Во имя чего борются поляки?

Газета „Возрождение" (№ 17) уверяет, что поляки имеют целью „осуществить освобождение вообще всей России... Ни одна партия в Польше не стремится к сепаратизму. Напротив, все борются с остатками старых сепаратистских групп – выходцами из аристократических и интеллигентских кругов".

Эти строки дают совершенно ложное представление о польских партиях. Нам хорошо известно, что, не называя других, существует одна довольно сильная политическая партия, так называемая „С. П. П." (Социалистическая партия Польши), целью которой является именно отделение Польши от Российского государства.

К бюрократии следует обратиться не её же словами, а словами самой Польши: „Мы не успокоимся до тех пор, пока законы империи не признают поляков поляками! Революционное движение не утихнет, нет и нет!"... Вместе с тем, следует предупредить бюрократию и реакцию о том, что сегодня невозможно с такой же легкостью известить Европу о том, что „в Варшаве царит порядок", как это бывало прежде...

Неужели черная реакция посмеет еще раз повторить этот ад? Неужели Польша, по сути Европа, силой втиснутая в Российскую империю, вновь омоется потоками крови, покроется склепами костей, а остальная страна спокойно продолжит жить? В таком случае оказалось бы, что вся страна населена рабами, человек и человечность канули бы в Лету, человек стал бы омерзительнее скотины.

Но нет! Еще остались люди, еще существуют преданные народу бойцы! Всё просвещенное человечество стоит рядом с Польшей. Борьба должна окончиться победой. Поляки должны быть признаны поляками, им должны предоставить автономию. Это не сепаратизм, не местное самоуправление, это справедливое политическое самосуществование" [5, 198-200].

12. Геронтий Кикодзе о Польше начала XX века

Известный грузинский политический деятель, писатель, переводчик и критик Геронтий Кикодзе (1885-1960) учился в Лейпциге, затем – в Бернском университете. Добираться до этих городов ему зачастую приходилось через Польшу.

В его мемуарах читаем: „Если из России на Украину можно было перейти не почувствовав сколько-нибудь заметной культурной разницы, Польша была резко отмежевана от тогдашней Российской империи.

До первой империалистической войны мне пришлось несколько раз исколесить российскую Польшу, был в Познани, которая входила в Германскую империю, Галиции, входящей в ту пору в Австро-Венгерскую империю, и каждый раз я чувствовал сколь сильны были в этой разделенной на три части нации, особенно в её интеллигенции, антирусские и антигерманские настроения. Если иностранец не владел польским либо французским языком, он не смог бы без жестикуляции обойтись на улицах Варшавы или выпить чашку кофе в кондитерской.

Симпатия ко всему французскому чувствовалась не только в политической, но и в бытовой жизни. Например, культ женщины был так же силен на Маршалковской, как и на Елисейских полях. Какая-то особенная учтивость, доходящая до лести, проявлялась в отношении польского мужчины к польской пани. В свою очередь и пани старалась безукоризненно осуществить идеал, по которому женщина должна была быть одинаково очаровательна как в зале, танцуя польку или мазурку, так и в церкви, читая молитвы и кланяясь кресту. В то же время было очевидно, что эта женщина – одна из самых патриотически мыслящих женщин на земле, и она могла вывести из летаргического

сна обескровленную нацию, которая в течение шестидесяти лет трижды восставала и трижды была жестоко подавлена.

Но рядом с женщиной подобного, старого типа, благодаря быстрому развитию горной и текстильной промышленности, уже появлялась женщина нового типа, которая была более пригодна для фабрик, мастерских или баррикад, нежели для часовен или салонов" [16, 50-51].

13. Сочувствие польского интеллигента борющейся за независимость Грузии

В феврале 1921 года вторгнувшиеся в Грузию вооруженные силы Советской России оккупировали независимую Демократическую республику Грузия и насильственно установили советскую власть.

Среди очевидцев этого трагического события был и известный грузинский педагог, переводчик, художник и общественный деятель Владимир (Ладо) Джапаридзе (1887-1981). Он вспоминал: „После взятия Баку настал черед Грузии... По воле Кремля XI армия двинулась к Грузии. Тотчас же поднялись все от мала до велика – рабочий, промышленник, партийный, беспартийный, все просили оружия, чтобы отправиться на фронт. Борьба продолжалась две недели. Особенно ожесточенно боролись грузинские рабочие. Боролась молодежь, даже учащиеся, мальчики и девочки. Никто не щадил себя. Это было истинно всенародное сопротивление. Были моменты, когда казалось, что враг побеждён... Но, к сожалению, ввиду нашей малочисленности мы не смогли справиться с многочисленным коварным врагом, который с разных сторон подступал к границам республики...

В тот день я был в Тбилиси и стал очевидцем того ада, в который ввергли нас оккупанты... Я стоял на улице..., стоял и ждал вступления в город русских войск. Изредка то тут, то там появлялись люди; я заметил небольшую группу русских женщин, по-видимому, домработниц либо уборщиц. Они весёло щелкали семечки, было видно, что с нетерпением ждали своих братьев, смеялись. И это казалось несовместимым с охваченным тоской и горечью окружением...

Мы – я и двое онемевших подобно мне стариков – стояли перед зданием нынешнего исполкома. В это время к нам подошел интеллигентного вида мужчина и остановился рядом с нами. Заметив мою грусть, незнакомец разговорился со мной; сказал, что он – поляк и обеспокоен не менее моего. Успокаивал меня, уверяя, что правительство независимой Грузии, руководимое Н. Жордания через три месяца

будет снова в Тбилиси, что русские здесь долго не продержатся. Говоря это, он, охваченный злобой, пристально смотрел на бездумно хохочущих русских женщин" [14, 360-363].

Итак, поляки, проживающие в Грузии, были солидарны с грузинами в их борьбе против русских захватчиков, будучи достойными гражданами нашего государства.

14. Польша и поляки глазами Акакия Мгеладзе

Известный политический деятель Грузинской Советской Социалистической Республики – Акакий Мгеладзе (1910-1980) был секретарем ЦК Компартии Грузии с марта 1952 года до апреля 1953 года. Он был в близких отношениях с верховным властителем СССР – Иосифом Сталиным (1878-1953), что впоследствии весьма отрицательно отразилось на его служебной карьере.

В мемуарах А. Мгеладзе сохранены примечательные сведения о его встречах со Сталиным, другими государственными и партийными лидерами, в том числе с Болеславом Берутом (1892-1956), который в 1947-1952 годах был президентом Польской Народной Республики и председателем Государственного Совета.

В осенью 1951 года Сталин отдыхал в Новом Афоне. Во время отдыха Сталин пригласил к себе А. Мгеладзе, который в ту пору был первым секретарем Абхазского областного комитета КП Грузии и Сухумского городского комитета. На обед, который состоялся на правительственной даче, был приглашен и Никита Хрущев, отдыхавший неподалеку – в Сочи.

Как вспоминает А. Мгеладзе: „Хрущев... всегда брал отпуск тогда, когда отдыхал Сталин, и выбирал место отдыха где-нибудь поблизости. По всему видно, что это было не случайно. Часто звонил Сталину, приезжал к нему то на обед, то на завтрак или ужин, старался как можно больше бывать у него. Сейчас ясно, что Хрущев старался втереться в доверие к Сталину" [44, 147].

Однажды, Иосиф Сталин пригласил к себе на обед Никиту Хрущева и Акакия Мгеладзе.

А. Мгеладзе вспоминал: „Местом для обеда выбрали балкон, откуда открывался великолепный вид на море. Накрывали стол все вместе, Сталин, Хрущев, Поскребышев и я. Обед был обычный: первое, второе и дессерт. Тамадой был Сталин. Свои тосты он обычно начинал за сидящих с правой или с левой стороны и произносил их поочередно за каждого в этом направлении. Когда очередь дошла до Сталина, Хрущев обратился ко мне:

– „Товарищ Мгеладзе, мы за здоровье товарища Сталина квасом не пьем".

– „То есть как это квасом?" – удивился я.

Разумеется Сталин лучше знал Хрущева. Он позванил и сказал, чтобы принесли водку и коньяк. Хрущев налил себе в бокал коньяк и заявил:

– „Вот чем мы пьем за здоровье Сталина. Мы его любим также крепко, как крепок этот напиток"...

Сталин, Поскребышев и я продолжали пить вино маленькими рюмками, Хрущев же перешел на коньяк и водку и пил только эти напитки.

Кто кого как крепко любил, подтвердили события последующих лет.

Вскоре водка и коньяк сделали свое дело и Хрущев почувствовал себя навеселе. Он произнес внеочередной тост за здоровье товарища Сталина.

В этот момент Поскребышева вызвали. Когда он вернулся, доложил Сталину, что Болеслав Берут просит его принять. Сталин ответил, что всегда рад видет товарища Берута у себя в гостях в любое для него удобное время. Поскребышев вышел, чтобы передать ответ Сталина.

Когда он вернулся и сел за стол, Хрущев продолжил начатый тост. Он сказал:

– „Товарищ Сталин сделал то, что не смогли многие русские цари. Они стремились завоевать Польшу, но у них это не получилось, а товарищ Сталин сегодня считается вождем и польского народа. И вот, я пью за здоровье этого великого человека, за товарища Сталина!" [44, 149].

Надо сказать, что И. Сталин был недоволен содержанием этого тоста.

В воспоминаниях А. Мгеладзе читаем: „Сталину тост, видимо, не понравился, он молчал. Не понравился этот тост и нам. Сталин молча взглянул на меня и по его взгляду я понял, что именно я должен что-то сказать Хрущеву, ибо он сам, как видно, считал неудобным отвечать Никите Сергеевичу. Тогда, подняв тост за здоровье Сталина, я отметил, что, по моему, „было бы неправильным отождествлять политику русских царей с политикой товарища Сталина. Русские цари были завоевателями, а товарищ Сталин и руководимая им Коммунистическая партия Советского Союза поддерживают освободительные движения. Преследуя разгромленную гитлеровскую армию Сталин, Компартия Советского Союза, вооруженные силы СССР при-

несли свободу польскому народу и польский народ имеет своего вождя в лице Болеслава Берута".

Сталин, видимо, остался доволен моим ответом. Он улыбнулся в усы и своим обычным движением разгладил их трубкой. Но зато побледнел Хрущев и чтобы вывести его из создавшегося неловкого положения, я произнес внеочередной тост за его здоровье. Атмосфера была разряжена, по крайней мере за столом" [44, 149].

Спустя несколько дней после этого Сталин вновь пригласил к себе на дачу А. Мгеладзе, где последний встретился с президентом Польской Народной Республики Болеславом Берутом.

А. Мгеладзе вспоминал: „Берута я видел впервые. Он оставил на меня очень приятное впечатление. Это был человек среднего роста, вдумчивый, серьезный и трезво рассуждающий. Говорил он по-русски с польским акцентом. Чувствовалось, что он от всего сердца любит Сталина и тот отвечает ему тем же. Это была встреча настоящих, идейных друзей... Их разговор носил деловой характер; он касался внутренней и внешней политики, вопросов социалистического лагеря, истории войн и народов...

– Мы, поляки, надеемся, – сказал Берут, – что в этой сложной международной обстановке Вы, товарищ Сталин, нас не подведете.

Сталин молчал. Может не хотел отвечать, а, возможно, занятый своими мыслями, не услышал реплики Берута.

– Ничего не поделаешь, – сказал Иосиф Виссарионович, – пока капиталистический мир силен, остается в силе лозунг мирного сосуществования. В результате разгрома фашизма коммунистическое движение во всех странах активизировалось, получило большой размах. Мы должны всемерно расширять его, укреплять содружество социалистических государств. Вспомните прошлое. Россия и Польша дрались между собой, наносили друг другу вред и это было на руку немцам. Поляки не раз страдали и от немцев, и от русских. К счастью, нынче иные времена. И у вас, и у нас теперь другой строй и в дружбе с СССР заложен залог того, что Польша будет процветать год от года.

– В это мы, польские коммунисты, верим, товарищ Сталин, – сказал Болеслав Берут, – и нас, конечно же, воодушевляет, что мировое коммунистическое движение сильно продвинулось вперед. Но нам, полякам, несколько лет будет трудно: Польша, особенно Варшава, сильно разрушена.

И. В. Сталин ответил: – Думаю, что советские люди помогут восстановить экономику и поднять из пепла Варшаву. Польская столица станет еще прекраснее, чем была до войны.

Болеслав Берут просиял. Переполненный чувствами, ответил: – Спасибо. От польского народа – спасибо" [44, 150-153].

Думаем, не лишено интереса мнение И. Сталина о Б. Беруте, с которым он поделился с А. Мгеладзе после ухода Берута: „Умный человек Берут, настоящий вождь полского народа. Через какие трудности он прошел, какие бури испытал, но не растерял бодрости, твердости духа. Пожалуй, даже наоборот – трудности закалили его. За таким народ пойдет в огонь и воду" [44, 154].

Очередная встреча А. Мгеладзе с Б. Берутом состоялась год спустя, в Москве. Беседуя, они заострили свое внимание на тосте Н. Хрущева, произнесенном им в Новом Афоне.

В воспоминаниях А. Мгеладзе читаем: „В октябре 1952 года состоялся XIX Съезд Коммунистической Партии Советского Союза, на который, как известно, я был избран делегатом от Компартии Грузии. На съезде я встретился с Болеславом Берутом, возглавлявшим польскую партийную делегацию. Мы оба обрадовались этой встрече.

Во время одного из перерывов я зашел в буфет, где встретил старых знакомых, со многими из них мы бывали в гостях у Сталина. Там же находился и Болеслав Берут. Он нас пригласил сесть с ним за один столик, чтобы закусить.

Совершенно неожиданно для меня Берут вдруг заговорил о тосте Хрущева, произнесенном им у Сталина в Новом Афоне. Я был очень удивлен, не зная от кого он мог об этом узнать. Ясно, что не от Хрущева. Следовательно, или от самого Сталина, или же от Поскребышева с санкции Иосифа Виссарионовича.

Берут сказал: „Можно себе представить, что будет, если в руководстве партии и страны окажется такой человек как Хрущев. Ведь он, оказывается, махровый, великодержавный русский шовинист. Жаль, что такие люди ютятся где то около руководства партии и страны. Мы воспитываем польский народ в духе дружбы, любвы и доверия к великому русскому народу, как этому учит товарищ Сталин, а вот такие типы могут очень сильно навредить и коммунистическому движению, и дружбе народов". Я потвердил, что: „Действительно такие люди могут развалить мировое коммунистическое движение, не говоря уже о том, что они могут ослабить и нанести большой вред Советскому государству. Что касается того, могут ли такие люди попасть в руководство, я думаю, что – нет, по крайней мере, мне так хочется, да и Вам наверное тоже?

– Да, да! – воскликнул Берут, – Будем же надеяться, что все будет хорошо.

– Да, да! – потвердил он опять.

К этому времени перерыв окончился и мы разошлись по своим местам. После этого разговора мы не раз встречались с Берутом, разговаривали, но ни он, ни я к этому вопросу не возвращались.

Мне неизвестно имел ли Сталин разговор с Хрущевым по этому поводу, или же с Хрущевым говорил сам Берут, но ясно одно – Хрущев не забыл о своем тосте в Новом Афоне, а также о моем ответе" [44, 155-156].

Таким образом, между А. Мгеладзе и Б. Берутом были довольно близкие коллегиальные взаимоотношения. Лидер Компартии Грузии поддерживал президента Польши.

Указанные источники и литература:

(На грузинском языке)

1. Багратиони Иоанн (Царевич), Поучение в шутках („Калмасоба"), т. II, под редакцией С. Цаишвили, Тбилиси, 1991.
2. Багратиони Теймураз (Царевич), Мое путешествие по разным местам Европы, под редакцией С. Иорданишвили, Тбилиси, 1945.
3. Барамидзе А., Маруашвили Л., Царевич Вахушти, Грузинская Советская Энциклопедия, т. 4, Тбилиси, 1979.
4. Журн. Брдзола (Борьба), Париж, 1926, № 12-13.
5. Дарчиашвили Л., Избранное (публицистика, теоретическое исследование, эссе, личные письма), под редакцией М. Авалиани, Тбилиси, 2001.
6. Джавахишвили Н., Грузинские воины под флагом Польши (из истории грузино-польских военно-политических взаимоотношений), Тбилиси, 1998.
7. Джавахишвили Н., Незабываемая страница в истории грузино-польских взаимоотношений (1918-1921 гг.), Ежегодник: Грузинская дипломатия, т. IX, Тбилиси, 2002.
8. Джавахишвили Н., Григорий I – последний грузинский царь, Тбилиси, 2008.
9. Н. Джавахишвили, Грузино-польские взаимоотношения (прошлое и современность), Сборник материалов научной конференции: Грузия и мир. Прошлое и современность (Батуми, 14-15. XI. 2008 г.), Батуми, 2009.
10. Джавахишвили Н., Польша и поляки глазами выдающихся грузинских деятелей (с начала 20-ых годов XIX века – 20-ых годов XX века). Ежегодник: Грузинская дипломатия, т. XV, Тбилиси, 2011.
11. Джавахишвили Н., Очерки из истории грузино-балтийских взаимоотношений, Тбилиси, 2011.

12. Джавахишвили Н., Сведения о Польше и Прибалтике, сохраненные в грузинских источниках (XVIII в.), Сборник: Грузинское источниковедение, т. XIII-XIV, Тбилиси, 2011-2012.
13. Джавахишвили Н., Из истории отношений к полякам грузинских государственных, политических и общественных деятелей (XIX-XX вв.), Сборник: Вопросы новой и новейшей истории, т. XI, Тбилиси, 2012.
14. Джапаридзе Л., Воспоминания, записки, Тбилиси, 2004.
15. Жордания Н., Мое прошлое (Воспоминания), Тбилиси, 1990.
16. Кикодзе Г., От зари до полдня, в книге: Грузинская проза, т. XLI, Тбилиси, 2006.
17. Ласхишвили Г., Мемуары, под редакцией У. Сидамонидзе, Тбилиси, 1992.
18. Маруашвили Л., Грузинские географы и путешественники XVIII века, Тбилиси, 1954.
19. Мегрелидзе И., Воспоминания об Эквтиме Такаишвили, юбилейный сборник: Святой Эквтиме Такаишвили, составитель И. Тавберидзе, Тбилиси, 2004.
20. Национальный центр рукописей Грузии, фонд S, рукопись № 161.
21. Национальный центр рукописей Грузии, фонд A, рукопись № 717.
22. Национальный центр рукописей Грузии, фонд S, рукопись № 1131.
23. Национальный центр рукописей Грузии, фонд H, рукопись № 2178.
24. Орбелиани Г., Письма (1832-1850 гг.), т. I, Под редакцией и замечаниями А. Гацерелия, с предисловием К. Горделадзе, Тбилиси, 1936.
25. Орбелиани Г., Полный сборник произвидений, введение, редакция и указатели А. Гацерелия и Д. Чумбуридзе, Тбилиси, 1959.
26. Пирцхалава С., Страницы воспоминании, введение, редакция и указатели Л. Наниташвили, Тбилиси, 1988.
27. Саитидзе Г., Десять лет во главе фракции Государственной Думы России, Тбилиси, 2001.
28. Сахокия Т., В Сибири (Воспоминания о периоде революции 1905 года), Тбилиси, 2012.
29. Сидамонидзе У., Чхеидзе Николай (Карло) Семенович, ГСЭ, т. XI, Тбилиси, 1987.
30. Сихарулидзе П., Из истории грузинского поселения в Москве, Тбилиси, 1991.
31. Чагунава Р., Естественнонаучная деятельность Вахтанга Багратиони (Математика), Тбилиси, 1986.
32. Газ. Чвени газети (Наша газета), Тбилиси, 1910, №№ 44-48.

33. Газ. Чвени газети (Наша газета), Тбилиси, 25. V. 1910.
34. Газ. Чвени гза (Наш путь), Тбилиси, 1. VI. 1910.
35. Шарадзе Г., Под чужим небом, книга I, Тбилиси, 1991.

(На русском языке)

36. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), т. V, Тифлис, 1873.
37. Государственная дума. Четвертый созыв, сессия I, часть I, заседание тринадцатое, 14 декабря 1912 г. [Стенографический Отчет].
38. Дворянские роды Российской империи, т. I (Князья), Руководитель авторского коллектива П. Гребельский, под редакцией С. Думина, Санкт-Петербуог, 1993.
39. Дворянские роды Российской империи. т. III, Князьяб, Руководители авторского коллектива П. Гребельский и С. Думин, под редакцией С. Думина, Москва, 1996.
40. Джавахишвили Н., Санкт-Петербург – центр русско-грузинских взаимоотношений (1703-2003), Тбилиси, 2003.
41. Джавахишвили Н., Польша и поляки глазами выдающихся грузинских деятелей (с начала XIX века – до 20-ых годов XX века), Annales Universitatis Mariae Curie-Sklodowska, Vol. LVIII, 1, Sectio G, Wydawnictwo Uniwersytetu Marii Curie-Sklodowskiej, Lublin, 2011.
42. Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю.Чиковани, Москва, 1998.
43. Ленин В., Полное собрание сочинений, т. 24, Москва, 1961.
44. Мгеладзе А., Сталин. Каким я его знал. Страницы недавнего прошлого, Тбилиси, 2001.
45. Мурашев Г., Титулы, чины, награды, Санкт-Петербург, 2002.

(На польском языке)

46. Dżawachiszwili N., Stanowisko gruzińskich deputowanych Dumy Państwowej wobec kwestii polskiej i fińskiej, [w:] „Kompromis czy Konfrontacia?“, Studia z dziejów parlamentaryzmu rosyjskiego początku XX wieku, pod redakcją naukowa D. Tarasiuka, K. Latawca, M. Korzeniowskiego, Wydawnictwo Uniwersytetu Marii Curie-Skłodowskiej w Lublinie, Lublin, 2009.
47. Dżawachiszwili N., Polka – żona ostatniego gruzińskiego władcy, [w:] Materiały z VII Ogólnopolskiego Zjazdu Katedr Doktryn

Politycznych i Prawnych „Kultura i myśl polityczno-prawna" (Jurata, 28-31. V. 2008 r.), pod redakcją naukowa A. Sylwestrzaka, D. Szpopera, A. Machnikowskiej i P. Dąbrowskiego, Uniwersytet Gdański, Sopot, 2010.

(На английском языке)

48. Javakhishvili N., Little-known pages of the history of Georgian-Baltic relations in the 10th-18th centuries, „The Caucasus and globalization", Journal of Social, Political and Economic Studies, Institute of strategic studies of the Caucasus, CA&CC Press, Sweden, volume 4, issue 3-4, 2010.

Nikolai Javakhishvili

Doctor of historical sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Chief scientist-researcher of the Modern and Contemporary History Department of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, doctor honoris causa of Latvian Academy of Sciences

REFLECTIONS OF POLAND AND POLES IN GEORGIAN PUBLIC THOUGHT (SINCE THE BEGINNING OF THE 18TH C. – THE 60S OF THE 20TH C.)

Summary

Georgia and Poland constitute the geographically distant states. From anthropological and ethnolinguistic points of view the Georgians and Poles differ significantly, but spiritually there is a lot to draw these two nations together, above all – unquenchable strive for liberty and devotion to the beloved motherland.

The history of Georgian-Polish relations counts more than five centuries. Ambassadors of Konstantine II Bagrationi, King of Kartli, heading to Spain, arrive to Lithuania and Poland. They proposed to Alexander, Grand Duke of Lithuania and Jan I Olbracht, king of Poland to join the anti-Ottoman coalition.

Georgian-Polish relations deepened in the 19th c., when both Georgia and Poland having lost their independence found themselves within the boundaries of the Russian Empire.

The foremost political leaders of both nations, fighting to restore the national statehood considered each other allies and cooperated closely.

Involuntarily the Russian imperial authorities facilitated this cooperation by deporting the freedom-fighter Poles to Georgia and Georgians to Poland.

Georgian have always had a sympathy for one of the most beautiful countries of the world with the richest history, populated by the freedom-loving, gifted and beatuful people – the Poland. The activities and creations of the prominents children of Poland have always been highly appreciated by Georgian intellectuals.

Following the collapse of the Russian Empire, both Georgia and Poland regained state independence. Close and friently relations were established, but their further development was brought to a naught by the Red Army of the RSFSR occupying Georgia (in 1921).

Up to 100 Georgian officers served in the Polish army in 1921-1939. During the Second World War they fought devotedly for the freedom of Poland, and this legacy has been properly appreciated by the grateful Polish nation.

The tradional Georgian-Polish cooperation has been restored after the collapse of the Soviet Union and goes on nowaydays.

By means of our work we made an attempt to review shortly (in chronological order) how Poland and Poles were reflected in the works of some prominent Georgian state, political and public bodies since the beginning of the 18th c. – till the 60s of the 20th c., including the following personalities: **Vakhtang VI,** king of Kartli (1675-1737); prince **Gabriel Gelovani,** his courtier; royal princes **Vakhushti** (1696-1756) and **Leon** (1728-1763) **Bagrationis; Grigol/Gregory I** (1789-1830), the last king of Eastern Georgia (Kartli-Kakheti); royal princies **Yoane** (1768-1830) and **Teimuraz** (1782-1846) **Bagrationis;** prince **Grigol Orbeliani** (1804-1883); prince **Ilia Chavchavadze** (1837-1907); political bodies like: **Samson Pirtskhalava** (1872-1952); **Tedo Sakhokia** (1868-1956); **Noe Zhordania** (1868-1953); **Nikolai (Karlo) Chkheidze** (1864-1926); **Lado Darchiashvili** (1872-1916); **Geronti Kikodze** (1885-1960); **Lado Japaridze** (1887-1981); **Akaki Mgeladze** (1910-1980).

Our essay comprises 14 sections.

მიხეილ ბარნოვი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

Dedicated to: Marciann Ortiz, Joey Padilla, Kaiden Rice, Winter Garcia, Connie Rice , Corey Pinto, Calista Chico and William Rice

ᲣᲘᲙᲘᲐᲞᲨᲘ[1] ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ

2014 წლის ზაფხულში მესკალერო აპაჩების[2] მიწაზე[3] გარტარებულმა დღეებმა ბევრ რამეზე დამაფიქრა. ბევრი კითხვით ჩავედი აპაჩებთან და შემიძლია ვთქვა, რომ კიდევ უფრო მეტი შეკითხვებით წამოვედი მათი რეზერვაციიდან. უხუცესებისა თუ ახლგაზრდების მონათხრობმა და ინტერვიუებმა კიდევ უფრო მეტი კითხვა გამიჩინა ჯერონიმოს[4] პიროვნების შესახებ. წმინდა მეცნიერული კუთხით თუ ვიტყვი: მე ვიკვლევ ჯერონიმოს, თუმცა სხვა სახითაც შემიძლია ავხსნა ეს პროცესი: ვცდილობ შევიმეცნო ჯერონიმო, ჩავწდე ამ პირვონების არსს. ვფიქრობ, ეს უკანასკნელი ფორმულირება უფრო ზუსტად გამოხატავს ჩემს მიზნებსა და ამოცანებს.

რეზრევაციაში მიშვილა[5] ქალბატონ მარსიან ორტიზის ოჯახმა და ჯოუი პადიამ, მესკალერო აპაჩების ტომის შამანმა, მიწოდა[6]

---

[1] აპაჩების ტრადიციული საცხოვრებელი სახლი (Wickiup).

[2] აპაჩები – ჩრდ. ამერიკის ინდიელთა ტომი. შედის ათაპასკურ ხალხთა ოჯახში. მესკალერო კი აპაჩების ტომის ერთი-ერთი ლოკალური ჯგუფია.

[3] იგულისხმება მესკალერო აპაჩების რეზერვაცია. მდებარეობს აშშ-ში, ნიუ მექსიკოს შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

[4] ჯერონიმო – აპაჩი შამანი, ჩირიკაუა აპაჩების ერთ-ერთი სამხედრო ლიდერი აშშ-აპაჩების ომის პერიოდში.

[5] ეს სიმბოლური აქტი, გულისხმობს ოჯახის წევრად გახდომას.

[6] ტომობრივი სახელი აკავშირებს ადამიანს ინდიელებთან და ამ სახელის მატარებელს ტომის ნაწილად ხდის.

– `Nde Hastine (`ნდე ჰასტინი), რაც ნიშნავს აპაჩი ძმა და დამარქვა სახელი – Suus Spine (suus spini) ანუ დილის ვარსკვლავი. ამის შედეგად მე გავხდი აპაჩი ოჯახის წევრი და შესაბამისად ამ ტომის, მაქვს უფლება ვთქვა – ჩემი ტომის, კულტურის, ისტორიის ნაწილი. აქედან გამომდინარე, ჯერონიმო, ნაიჩი, მანგას კოლორადასი, ნანა, ლოკო, ვიქტორიო და ჩვენი ხალხის გარდასულ დროთა ყველა სახელოვანი წინამძღოლი[7] ჩემი ახლადშეძენილი ფესვებია.

ჩემი მიზანია სწორედაც, რომ შევიმეცნო ჯერონიმოს პიროვნება აპაჩების პერსპექტივიდან და ეს არის ერთადერთი სწორი გზა ამ პიროვნების გამოსაკვლევად. რეზერვაციაში ყოფნისას ტომის ყველა წევრმა ვისაც კი მე შევხვდი აღნიშნა, რომ არავის ძალუძს გაიგოს, აღიქვას, იგრძნოს და შეიმეცნოს აპაჩების ისტორია აპაჩებზე უკეთ. თავისთავად წარსული და ასევე ძველ დროზე თხრობა საკრალურია ტომის წევრებისთვის. აპაჩებს არ ქონდათ დამწერლობა და თითოეულ ოჯახში ცოდნა და გამოცდილება თაობიდან თაობას ე. წ. ბაგეების ენით გადაეცემოდა. მშობლები შვილებს, ბებია-ბაბუები კი შვილიშვილებს ასწავლიდნენ, უზიარებდნენ და გადასცემდნენ გამოცდილებასა და ცოდნასა. ეს პროცესი არასდროს შეწყვეტილა. მესკალეროში მცხოვრებ ყველა ოჯახში დაცულია წინაპართაგან ბაგეების ენით მომავალი ცოდნა. ეს ის ისტორიებია, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და თამნამედროვე აპაჩები კი მას მომავალ თაობებს გადასცემენ. ყველაფერი წრიულად ბრუნავს[8].

ჯერონიმოს შემეცნება ეს ხანგრძლივი პროცესია და იგი უნდა დაეფუძნოს პირველ რიგში აპაჩების პერსპექტივას. ე. წ. თეთრი

---

[7] აპაჩებს ტრადიციული გაგებით – „ბელადები" არ ყოლიათ. ერთიანი ტომი შედგებოდა ლოკალური ჯგუფებისგან, ხოლო ლოკალურ ჯგუფებს ქმნიდნენ ქველოკალური ჯგუფების გაერთიანებები. საკუთრივ ქველოკალური ჯგუფი შედგებოდა სისხლითნათესაობის პრინციპით დაკავშირებული სხვადასხვა გაფართოებული ოჯახებისგან. თითოეულ ოჯახს კი ყავდა საკუთარი ლიდერი, წინამძღოლი [3].

[8] აპაჩები არასდროს ემშვიდობებიან ერთმანეთს სიტყვებით – „Good Buy". ნაცვლად ამისა – „See you later", „Talk to you later" ან შემოკლებით: „Later".

თვალის[9] პოზიციიდან ეს ძალიან რთულია და შეუძლებელია [6]. თეთრ თვალს საკუთარი პოზიციიდან უჭირს აღიქვას და შეიმეცნოს აპაჩებისა და ჯერონიმოს ისტორია. მაგრამ მთავარი ის არის, რომ რეზერვაციაში ყოფნისას ამ პიროვნების შესამეცნებლად და გამოსაკვლევად სწორე გზაზე დამაყენეს. უნდა გავუყვე`ნდეს[10] ბილიკებს, ჯერონიმოს კვლადკვალ – ეს არის გზა ჯერონიმოსკენ.

ზოგადად ეს საკითხი უფრო ფართე ჭრილში საკმაოდ საინტერესოდ აქვს განხილული არიზონას უნივერსიტეტის პროფესორს დონალდ ლიი ფიქსიკოს, რომელიც ინდიელთა ეთნოისტორიის შესახებ გამოცემული არა ერთი ორიგინალური და ბრწყინვალე კვლევის ავტორია. მსურს განვიხლიო ფრაგმენტები მისი ესეიდან – „American Indian History and Writing from Home, Constructing an Indian Perspective" („ამერიკის ინდიელთა ისტორია და წერა სახლიდან, ინდიელთა პერსპექტივის ჩამოყალიბება").

ავტორის თქმით, იგი 30 წელზე მეტია რაც კითხულობს წიგნებს ამერიკის ინდიელთა ისტორიის შესახებ და მივიდა დასკვნამდე, რომ ამ მიმართულებით კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. აქ იგი გულისხმობს არა იმდენად ფაქტობრივი მასალის მოძიებას და სისტემატიზაციას, არამედ იმას, თუ როგორაა განხილული და დანახული ინდიელთა ისტორიის ესა თუ ის ფაქტი. ფიქსიკოს აზრით, უმეტეს შემთხვევაში ამერიკის ინდიელთა ისტორია წარმოდგენილია, როგორც თეთრი ადმაინებისა და ინდიელთა ურთიერთობების ისტორია, თუმცა ყურადღება უნდა მიექცეს მონეტის მეორე მხარეს. მეცნიერებმა უნდა გაიაზრონ ინდიელთა თვალთახედვა და მათი პოზიცია, ინდიელთა პერსპექტივაა მნიშვნელოვანი. სწორედ ამას უწოდებს ფიქსიკო „წერა სახლიდან". ავტორის მიხედვით, წერა სახლიდან გულისხმობს ისტორიული პიროვნებების, ფაქტების, მოვლენების, მთლიანდ პროცესის ინდიელთა კულტურაზე დაფუძნებულ აღქმას [4].

ფიქსიკო ასევე სვამს კითხვას – როგორია ინდიელთა თვალით დანახული საკუთარი ისტორია? და თავადვე პასუხობს ამ შეკითხვას. მისი აზრით, ინდიელთა თვალით დანახული საკუთარი

---

[9] აპაჩების მიწაზე მოსული ამერიკელი ახალმოსახლეები.ინტერვიუებისას ამ სახელით მოიხსენიებს თეთრკანიან მოსახლეობას ივ ბოლის ერთ-ერთი აპაჩი რესპოდენტი-ეის დაკლუგი.

[10] `Nde – „ხალხი", აპაჩების ეთნონიმი, ანუ თვითსახელწოდება.

ისტორია ეს არის პირველ რიგში განსხვავებული აღქმა. ინდიელები, რომლებიც ახლოს არიან თავიანთ კულტურასა და ტრადიციებთან, განსხვავებით აკადემიური სივრცის ისტორიკოსებისგან, სრულიად სხვანაირად აღიქვამენ საკუთარ ისტორიას. ეს კი გულისმხობს იმას, რომ ინდიელთა წარსული გამოიხატება და გადეცემა თაობიდან თაობას ზეპირი ტრადიციის მეშვეობით, სადაც მონათხრობ ისტორიებში უპირატესია გამოცდილება და არა თავისთავად ფაქტი, მოვლენა [4].

ამგვარად, ინდიელთა თვალით დანახული საკუთარი ისტორია გულისხმობს წარსულის განსხვავებულ აღქმას და ისტორიის გადმოცემას გამოცდილების ფორმით. ინდიელთა მატიანე ეს არის გამოცდილების გადაცემის პროცესი [4].

სწორედ ეს განსხვავებული აღქმაა ჩემს მიერ ზემოთხსენებული `ნდეს ბილიკი, ჯერონიმოსკენ მიმავალი, მისი განვლილი ცხოვრების კვალდაკვალ. ამ განსხვავებული აღქმის მოსმენა, შემეცნება და გაგება კი მხოლოდ აპაჩების რეზერვაციაშია შესაძლებელი ტომის წევრებთან საუბრის შედეგად. „ისტორიები მინშვნეოლვანია – ეს არის ღია კარები, რომელიც გახსნილია მთხრობელის მიერ, რომ გაუზიაროს მსმენელს გამოცდილება და ცოდნა, განსაკუთრებით კი მათ ვისაც აქვს სურვილი პატივისცემით მოისმინოს. ეს შესაძლებელია მხოლოდ ინდიელების თემის შიგნით“ [4, 555].

ამგვარად, ფიქსიკოს ესეიზე დაყრდნობით, შემიძლია ვთქვა, რომ საკუთარი ისტორიის ცოდნა ინდიელთა პესპერქიტვაში გულისხმობს გამოცდილებაზე დაფუძნებულ აღქმას, ფაქტისა თუ მოვლენის გამოცდილებაზე დაფუძნებულ ანალიზს. ეს არის ინდიელთა პერსპექტივის საფუძველი და ამოსავალი. ანუ გამოცდილება აყალიბებს ცოდნას და არა მოვლენის აკადემიური მეცნიერული ანალიზი. ზეპირსიტყვიერებაში დაცული ისტორიები ეს არის გამოცდილება და მასზე დაფუძნებული ცოდნა, და არა მოვლენების ჯაჭვი, ფაქტობრივი მასალის ქრონოლოგიური თხრობა.

მესკალეროებთან გატარებულმა დღეებმა დამარწმუნა, რომ აპაჩების, ჩემი ტომის, ისტორია მათი პერსპექტივიდან უნდა მოგითხროთ. ეს აუცილებლობაცაა და პასუხისმგებლობაც, იმავდროულად ჩემი, როგორც ამ სფეროს დამწყები მკვლევარის, მოთხოვნილებაც. სრულიად ვეთანხმები დონალდ ფიქსიკოს და ესეიში მის მიერ შემოთავაზებული გზა ინდიელთა ისტორიის შესასწავლად ზედმიწევნით ზუსტია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელია პასუხი ამ შეკითხვაზე: რატომ უნდა ვწერო აპაჩებზე მათი პერსპექტივიდან? რადაგან ეს ხალხი ახლოსაა იმ ტრადიციებეთან და ტრადიციული კულტურის წიაღთან. მათ ოჯახებში, მათ ისტორიებში დაცულია გამოცდილება, რომელიც ქმნის ცოდნას. ეს ცოდნა კი ქმნის ობიექტურ სურათს საკუთარი წარსულის შესახებ, რასაც ჰქვია კიდეც ინდიელთა პერსპექტივა. მეტი თვალსაჩინოებისთვის მსურს შემოგთავაზოთ სქემა:

გამოცდილება ⟶ ცოდნა ⟶ ობიექტური პოზიცია = ინდიელთა პერსპექტივა

თუმცა აქვე აუცილებლად მინდა შევეხო ერთ საკითხს. ჩვენ ვცხოვრობთ ოცდამეერთე საუკუნეში, ვფიქრობ, ამით ბევრი რამეა უკვე ნათქვამი. ოცდამეერთე საუკუნეა რეზერვაციაშიც. აპაჩების თაობები შორდბა ძველ დროს, ძველ ისტორიებს. ეს რასაკვირველია ზეგავლენას ახდენს მათ მიერ საკუთარი ისტორიის აღქმაზე. მაგალითისთვის მინდა მოვიხმო ამონარიდი ჩირიკაუა აპაჩის[11], ბატონ ოლივერ ინჯოდის ინტერვიუდან. როდესაც მე დავუსვი კითხვა არის თუ არა ჯერონიმო გმირი თანამედროვე აპაჩების თაობებისთვის? მან მიპასუხა: „...ჩვენს ბაბუებსა და ბებიებს ჰქონდათ თავიანთი შეხედულება, რადგან ისინი ახლოს იყვნენ ჯერონიმოს რეალურ პიროვნებასთან და იმ მოვლენებთან. თაობას, რომელსაც მე შევხდვი და რომელიც თავისმხრივ ორი თაობითაა დაშორებული მისგან, აქვს გარკვეული ცოდნა, თუ ვინ იყო იგი. უშუალოდ ჩემს თაობას ჰქონდა კონტაქტი იმ ადამიანებთან ვინც შედარებით ახლოს იყო ჯერონიმოს ისტორიებთან. შემდეგ თაობას შესაძლოა წარმოდეგნაც კი არ ჰქონდეს თუ ვინ იყო იგი. ასე რომ, როდესაც შენ საუბრობ გმირებზე, შეიძლება სპაიდერმენიც კი, ან თუნდაც სუპერმენი, ან თორი[12] ან ვინმე მსგავსი, ან კაპიტანი ამერიკა შესაძლოა უფრო მეტად იყოს ამ თაობისთვის გმირები, ვიდრე ჯერონიმო. ასე რომ, როგორც ხედავ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვკარგავთ ამ ცოდნას“ [1].

---

[11] აპაჩების ტომის ერთ-ერთი ლოკალური ჯგუფი [5].

[12] ამერიკული კომიქსების კომპანია არველ-ის ერთ-ერთი სუპერგმირი.

ბატონი ინჯოდის სიტყვებიდან ვხედავთ, რომ იცვლება დრო, იცვლება თაობები და ტომში შესაძლოა დაკარგულ იქნას ეს ცოდნა. თუმცა ეს უკვე სხვა მტკივნეული და პრობლემური თემაა და მის ანალიზს ამჯერად აქ არ შევუდგები. ამ საკითხის განხილვას საგანგებო ცალკე კომპლექსური ანალიზი და კვლევა ჭირდება. ვიტყვი, მხოლოდ იმას, რომ არსებობს გამოცდილება და თუკი სუპერმენსა, თუ კაპიტან ამეირკაზე გაზრდილი ახალგარზდა თაობები დაუბრუნდებიან, დაეფუძნებიან ბაგეების ენაში დაცულ გამოცდილებას, მაშინ ისინი შეძლებენ შეიძინონ ცოდნა და შესაბამისად საკუთარი პერსპექტივა, მაგალითად, იგივე ჯეორინმოსა თუ სხვა ისტორიული პიროვნებების შესახებ.

„უიკიაპში მომსენილი ისტორიები" მოკრძალებული მცდელობაა დავწერო აპაჩებზე ისე, როგორც ამას თავად აპაჩები გააკეთებდნენ. შევეცდები გადმოგცეთ ისტორიები ჯეორნიომზე, ნაიჩიზე და სხვებზე ისე, როგორც მათზე ფიქრობს და განიცდის ის ხალხი ვინც მე მესაუბრებოდა რეზერვაციაში, ასევე როგორც ამას განიცდიდნენ მათი წინაპრები.

„უიკიაპს" კი ამ შეთვევაში აქვს სიმბოლური დატვირთვა. იგი ნიშნავს რომ, მე მიმიღეს აპაჩებმა, გარკვეული დროით დავმკვიდრდი მათს რეზერვაციაში, ვიცხოვრე მათი კულტურის გარემოში, შეხება მქონდა მათს მსოფლმხედველობრივ სამყაროსთან. უიკიაპი გულისხმობს იმას, რომ მე მათს ტრადიცლულ ატმოსფეროში მოვისმინე სხვადასხვა ისტორიები, ტომის წევრებმა გამიზიარეს თავიანთი გამოცდილება და ცოდნა რითაც ჩემდამი გამოხატეს უდიდესი კეთილგანწყობა და პატივისცემა. არ აქვს არსებითი მნიშვნელობა იმას ამ ისტორიებს რეალურად ხის ორსართულიან სახლში ვისმენდი, საცხოვრებელ ტრაილერში თუ მანქნაში. მთავარია ამ ისტორიების არსი, რომელიც ეფუძნება წინაპართაგან მომდიანრე გამოცდილებას. მთავარია მესკალეროში არსებული ტრადიციული მუხტის მქონე გარემომცველი ატმოსფერო. არსებითია, რომ მთხრობელის აღქმა ეფუძნება მის კულტურას, რომელსაც იგი გენეტიკურად ეკუთვნის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ინტერვიუ ოლივერ ინჯოდისთან, 2014 წლის ივლისი, აშშ, ნიუ მექსიკო, მესკალერო აპაჩების რეზერვაცია.

2. Encyclopedia of American Indian History, Bruce E. Johansen, Barry M. Pritzker (editors), Santa Barbara, 2008.
3. Eve Ball, Indeh, An Apache Odyssey, Norman, 1988.
4. Donald L. Fixico, American Indian History and Writing from Home, Constructing an Indian Perspective, American Indian Quarterly; Vol. 33 Issue 4, Lincoln, Sep. 2009.
5. Michael E. Mellody, The Apache, Philadelphia, 2006.
6. William M. Clements, Imagining Geronimo, An Apache Icon in Popular Culture, Albuquerque, 2013.

Mikheil Barnovi
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Assistant Professor

Stories Heard in Wickiup

Summary

`Stories Heard in Wickiup~ is a modest attempt to write about Apaches from a Native perspective. I will try to write about Geronimo, Naiche, history, unique and wonderful culture of the great tribe from the Apache perspective. For this purpose I'll based on the interviews that I have made with apaches in Mescalero reservation during the Summer of 2014. I'll use the experience and knowledge of the Mescalero people which shared with me stories from the past.

In this article, based on the brilliant essay of Donald L. Fixico- "American Indian History and Writing from Home, Constructing an Indian Perspective~ I put forward the importance of understanding an apache point of view when we are talking and thinking about Geronimo and history of Apache people. History of Apaches conveyed in the oral tradition by the language of mouth through stories were the experience is rather more important than dry events. Experience is spine of understanding Apache history.

`Wickiup~ has a symbolic meaning. It means that I have heard the stories from the tribal people which are based and linked to their traditional apache background and cultural perceptions.

არჩილ ჩაჩხიანი

ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ომის თეორიისა და ბუნების კურსის უფროსი ინსტრუქტორი

„აღმოსავლეთის ხალხთა“ საკითხი „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონტექსტში

მხოლოდ ყოფილი ცარისტული იმპერიის ევროპული ნაწილი და არც მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპა წარმოადგენდა ბოლშევიკი იდეოლოგებისათვის „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ განვრცობის არეალსა და ასპარეზს. არც მხოლოდ დასავლეთ ევროპაში უნდა შექმნილიყო ლენინისეულ-ტროცკისტული „ევროპის შეერთებული შტატები“ თუ „ევროპული კომუნისტური ფედერაცია“. ბოლშევიკური რუსეთი ცარისტული იმპერიის ყოფილ ტერიტორიებს ისევ თავის საკუთრებად მოიაზრებდა და ჰუმანური იდეებით შენიღბულმა, ამიერკავკასიაშიც და აზიის დიდ ნაწილზეც „ხალხთა ძმობის, ერთობისა და თანასწორობის“, და „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით შენიღბულმა პოლიტიკური აქტივობა გაზარდა. „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ სცენარში აზიის დიდი ნაწილის ჩართვაც დაიგეგმა.

ფაქტია, რომ ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობა კავკასიას და მთელ მსოფლიოსაც კი, სოციალისტური რევოლუციის პრიზმით უყურებდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში რევოლუციურმა ტალღამ იკლო, აშკარა გახდა, რომ მსოფლიო რევოლუციის ქრონოლოგია აღარ ემთხვეოდა ამ იდეის ავტორთა წარმოდგენებს [1, 12]. იმით შეფიქრიანებულმა, რომ ევროპაში „პროლეტარული რევოლუციის“ საქმეები მაინცდამაინც ვერ მიდიოდა ისე კარგად, როგორც ამას კრემლის იდეოლოგები გეგმავდნენ, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარმა, „მსოფლიო რევოლუციის“ ერთ-ერთმა მგზნებარე მეხოტბემ, ლევ ტროცკიმაც „აღმოსავლეთზე“ დაიწყო

ფიქრი და „რევოლუციის მახვილიც“ იქითკენ მიმართა. აანალიზებდა რა პოლიტიკურ მდგომარეობასა და ძალთა ბალანსს ევროპასა და აღმოსავლეთში, ტროცკი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „წითელი არმია მსოფლიო პოლიტიკური არენის ევროპულ გზებზე, საკმაოდ მოკრძალებულ სიდიდედ ჩანს არა მხოლოდ შეტევისათვის, არამედ თავდაცვისათვისაც. სულ სხვანაირად წარმოგვიდგება ის მდგომარეობა, თუ ჩვენ აღმოსავლეთისაკენ გავემართებით. ინდოეთისაკენ მიმავალი გზა მოცემულ მომენტში ჩვენთვის შეიძლება უფრო მოკლე და ადვილად გასავლელი აღმოჩნდეს, ვიდრე გზა საბჭოთა უნგრეთისაკენ“ [2].

კავკასია, ანატოლია, ირანი, ავღანეთი, თურქესტანი (ცენტრალური აზია), ინდოეთი, ეგვიპტე, ვოლგისპირეთი და ურალის მხარე, ალტაი, ჩინეთი და იაპონიაც კი – აი ის გეოგრაფიული არეალები, რომელთაც ლენინი და მისი თანაიდეოლოგები კრებითი სახელით – „აღმოსავლეთად“ მოიხსენიებდნენ, ხოლო იქ მცხოვრებ ეთნოსებს – „აღმოსავლეთის ხალხებად.“ ამ ტერმინს სხვა, მთავარი დატვირთვაც ჰქონდა – ბოლშევიკებისათვის „აღმოსავლეთად“, პირველ რიგში, ისლამური ქვეყნები მოიაზრებოდნენ.

აღნიშნული იდეის განხორციელებისათვის ევროპულისაგან განსხვავებული შესაბამისი პოლიტიკური კონცეფციისა და დოქტრინის შემუშავება, დახვეწილი იდეოლოგიური და დიპლომატიური მოქმედებები იყო საჭირო და ბოლშევიკებმაც ადვილად გადაჭრეს მათ წინაშე მდგარი ეს რთული ამოცანა. „პროლეტარული რევოლუციის“ აზიისაკენ განვრცობისას ისინი „დიდი თურანის“ იდეიდან გამომავალ „კოლონიალური რევოლუციის“ იდეას დაეყრდნენ. ნაციონალურ საკითხებთან მიმართებაში ბოლშევიკებმა კიდევ ერთხელ გამოააშკარავეს თავისი თავი, როგორც ცარისტული იმპერიის „ღირსეულმა“ მემკვიდრეებმა.

რატომღაც მიღებულია აზრი, რომ „დიდი თურანის“ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ პროექტს, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდა, თურქული წარმომავლობა, თურქული ფესვები აქვს. მაგრამ ეს მოსაზრება მცდარია, იგი სიმართლეს არ შეესაბამება. „დიდი თურანის“ კონცეფცია და პანთურანიზმი, როგორც იდეოლოგია, რუსეთის ცარისტულ იმპერიაში ჩაისახა. ამ იდეოლოგიას თეორიული საფუძვლები ვოლგისპირეთისა და ყირიმის მუსლიმმა (თათარმა) ინტელექტუალებმა ჩაუყარეს ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს. მათ შორის გამოვყოფდით ყირიმელ თათარ განმანათლებელს, პოლიტიკოსსა და პუბლიცისტს, ისმაილ გასპრელს. ეს იდე-

ოლოგია დიდი ენთუზიაზმით იქნა ატაცებული ოსმალთა იმპერიაში პროგერმანულად განწყობილი ოფიცრებისა და ინტელიგენციის წრეში. ეს იყო თურქული ზესახელმწიფოს შექმნის იდეოლოგია. სახელმწიფოსი, რომელიც ბალკანეთიდან ჩინეთამდე უნდა გადაჭიმულიყო და მოეცვა თურქული წარმომავლობისა და თურქულენოვანი ხალხების განსახლების ყველა არეალი, მიუხედავად მათი სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა და მდებარეობისა. ამ თვალსაზრისით, თურანიზმი თავიდანვე დაუპირისპირდა რუსული თვითმპყრობელობის პანსლავისტურ და იმპერიულ იდეოლოგიას. ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც „დიდი თურანის“ იდეებმა ოსმალთა იმპერიაში შეაღწია. აქ მას მეტად ნოყიერი ნიადაგი დახვდა შემდგომი განვითარებისათვის. იდეოლოგიური დაპირისპირების თვალსაზრისით, თურანიზმი მხარდაჭერილ იქნა გერმანელი იდეოლოგების მიერ, როგორც პანსლავიზმის საპირწონე და ცარისტული რუსეთის აგრესიული ექსპანსიონისტური პოლიტიკის კარგი გამანეიტრალებელი საშუალება სამხრეთის მიმართულებაზე. განსაკუთრებით დიდი ენთუზიაზმით, და ეს გასაგებიცაა, თურანული იდეოლოგია სწორედ ოსმალთა იმპერიის პროგერმანულად განწყობილმა სამხედრო ელიტამ აიტაცა.

პირველი ქვეყანაც, რომელმაც დოქტრინალურად დაიწყო პანთურქიზმის პრობლემების დამუშავება, ისევ რუსეთის ცარისტული იმპერია იყო. ეს მოვლენები რუსეთ-იაპონიის ომისა და 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდს განეკუთვნება. ვიატსკის საგუბერნიო ჟანდარმერიის უფროსის მოადგილის პეტერბურგში გაგზავნილ იმდროინდელ მოხსენებაში ნათქვამი იყო: „ტოკიოში გამართულ სრულიად აზიის კონგრესზე გამოცხადდა ლოზუნგი – „აზია აზიელებს“. „ახალგაზრდა თურქებმა“ იმ წამსვე მოიწვიეს თავისი კონგრესი და განაცხადეს, რომ ოსმალეთმა ენერგიული პანისლამისტური აგიტაცია უნდა დაიწყოს იმ ქვეყნებში, რომლებშიც მუსლიმები ცხოვრობენ. სახელდობრ – რუსეთში, სპარსეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში. და არა კულტურულ-საგანმანათლებლო, არამედ წმინდათ საბრძოლო, რისთვისაც უნდა დაიწყოს ისლამური ქვეყნების გაერთიანება თურქეთის ეგიდით, რომლის მიზანიც იქნება მათთვის საძულველი ქრისტიანი ევროპელების ჩაგვრის უღლის გადაგდება. ამავე კონგრესზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ კონსტანტინოპოლში მუსლიმური ქვეყნების ყოველწლიური კონგრესები გამართულიყო, სადაც განიხილებოდა ეს საკითხები. ყველგან უნდა მომხდარიყო კომიტეტის შესა-

ბამისი განყოფილებების შექმნა, განსაკუთრებით რუსეთში, სპარსეთსა და ინდოეთში. თუ მივიღებთ მხადველობაში იმას, რომ მუსლიმურ ჯგუფს რუსეთში რიცხობრივად მესამე ადგილი უკავია ველიკოროსებისა და მალოროსების შემდეგ, მაშინ ნათლად იკვეთება პანისლამიზმის პროპაგანდის საშიშროება, რომელსაც შეუძლია დაანგრიოს რუსეთი" [3, 435].

პეტერბურგის საპასუხო ნაბიჯებს პანისლამიზმის იდეების ეთნიკური ნიშნით გახლეჩა წარმოადგენდა. ასე უფრო ადვილად მოხდებოდა საფრთხეებზე მანიპულირება და პროცესების მართვა. აქვე შევნიშნავთ, რომ მეფის „ოხრანკის" დოკუმენტები გვიჩვენებენ – პეტერბურგის გარკვეული მონაწილეობით მიმდინარეობდა თურქიზმის დოქტრინების შემუშავება, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უკვე შემდგომ, ოსმალთა იმპერიაში „ახალგაზრდა თურქთა" 1908 წლის რევოლუციაზე. I მსოფლიო ომის დასაწყისისათვის „ოხრანკის" ანალიტიკურ დასკვნებსა და სადაზვერვო პატაკებში აღინიშნებოდა პანისლამიზმზე პანთურქიზმის გამარჯვების შესახებ, სადაც აგრეთვე გამოითქმებოდა ის მოსაზრებებიც, რომ ძალიან მალე მოსალოდნელი იქნებოდა ოსმალთა იმპერიის დაშლა, რაც რეალობაშიც სწორედ ასე მოხდა.

გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ კრეზენშტაინი, (Friedrich Kreß von Kressenstein) 1915-1917 წლებში პალესტინის ფრონტის გერმანელი ოფიცერი, 1918 წლიდან გერმანიის საოკუპაციო ჯარების სარდალი და გერმანული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი საქართველოში: „1917 წლის ბოლოს ოსმალეთში ე. წ. თურანიზმი – რელიგიურ-დინასტიური პანისლამიზმის საპირისპირო, სისხლისა და რასობრივი პრობლემა, რომელიც აქამდე მხოლოდ აკადემიურად მიმდინარეობდა, რეალური პოლიტიკის სტადიაში შევიდა. ეს იყო განსაკუთრებით ენვერ ფაშა, რომელიც დესპოტური იდეების განხორციელების დასაცავად გამოდიოდა. მას სურდა რომ თურქული მოდგმა, რომელიც რასით და სისხლით ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ასევე პოლიტიკურადაც დაეკავშირებინა ერთმანეთთან და ადრეული ოსმალეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს საპირისპიროდ შეექმნა დიდი თურქული ეროვნული სახელმწიფო. მას თვალწინ ედგა ყირიმში, ვოლგისპირეთში, კავკასიაში და რუსულ და სპარსულ აზერბაიჯანში მცხოვრები თათრების, და უპირველეს ყოვლისა, კასპიის და არალის ზღვებს შორის მცხოვრები თურქულ-თათრული ერის გაერთიანება. გარდა იდეალური მოტივებისა, ენვერი თავისი თურანული იდეების პროპაგანდის დროს

ეჭვგარეშეა, რეალისტური, პრაქტიკული თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა“ [4, 7].

ცარიზმის დამხობის შემდეგ რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოდიან და პანთურქიზმის იდეების წინა პლანზე წამოწევა ისევ აქტუალური ხდება. მოსკოვში იქმნება მუსლიმთა ცენტრალური კომისარიატი. ეროვნებათა საბჭოს სახალხო კომისარი ი. სტალინი, რომელიც კომუნისტური პარტიის პრინციპებისა და თურქიზმის რევოლუციური ელემენტების ალიანსის მომხრე იყო, იმედოვნებდა, რომ მსგავსი გაერთიანება საშუალებას მისცემდა ბოლშევიკებს „განევრცოთ სოციალიზმი თურქული ნაციონალიზმის საშუალებით და განეხორციელებინათ კოლონიალური რევოლუციის კონცეფცია“.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემულ პირველ საკანონმდებლო აქტს „მშვიდობის შესახებ“ დეკრეტი წარმოადგენდა, რომელიც 1917 წლის 8 ნოემბერს გამართულ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე იქნა მიღებული. იგი ემყარებოდა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს და საბჭოთა დიპლომატიის ფუნდამენტალურ პროგრამულ დოკუმენტს წარმოადგენდა, რომელიც ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას ეყრდნობოდა. იგი ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებას ითვალისწინებდა – ხალხების თავისუფლებას, მონობისა და ჩაგვრის მოსპობას, ტერიტორიული დაპყრობებისა და საიდულმლო დიპლომატიის უარყოფას, რაც ხალხთა უფლებების პატივისცემასა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპებზე იყო დაფუძნებული.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური ნაბიჯი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ასპარეზზე იქნა გადადგმული, 1917 წელს იმპერიალისტური ქვეყნების საიდუმლო დოპლომატიური მასალების გამოქვეყნება იყო. სულ შვიდი კრებული იქნა გამოქვეყნებული, რომელშიც ასზე მეტი ხელშეკრულება და სხვა მასალები იდო, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის ქვეყნებთან მიმართებაში არებული მასალებიც იქნა გამომზეურებული. ამ საიდუმლო მასალების გამოქვეყნებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიოზე [5, 57-58]. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ე. წ. „საიქს-პიკოს“ შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ოსმალთა იმპერია უნდა დაშლილიყო, იმპერიას არსებობა უნდა შეეწყვიტა. ხელშეკრულების საიდუმლო მუხლები ბრიტანეთს, საფრანგეთსა და იტალიას შორის ოსმალთა ტერიტორიე-

ბის გადანაწილებას, ხოლო კონსტანტინოპოლისა და სრუტეების რაიონის რუსეთისათვის გადაცემას გულისხმობდა.

თურქი მეცნიერის, ნერსინ ერსოი მაკმიკენის (Nersin Ersoy McMeekin) მიხედვით, ბოლშევიკთა მიერ „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელი მუსლიმისადმი“ გაკეთებული პირველი მიმართვა 1917 წლის 3 დეკემბერს გამოქვეყნდა გაზეთებში „Правда“ და „Известия“: „რუსეთის მუსლიმებო, ვოლგისა და ყირიმის თათრებო, თურქესტანისა და ციმბირის ყირგიზებო და სარტებო, ამიერკავკასიის თურქებო და თათრებო, ჩეჩნებო და მთიელო კაზაკებო!... ამიერიდან სარწმუნოება და წესები, თქვენი ნაციონალური და კულტურული ინსტიტუციები თავისუფლად და ხელშეუხლებლად ცხადდება!... ვაცხადებთ, რომ დამხობილი მეფის ეს საიდუმლო ხელშეკრულება კონსტანტინოპოლის ანექსიის შესახებ, რომელსაც გაძევებული კერენსკიც ეთანხმებოდა, ამიერიდან გაუქმებულია. კონსტანტინოპოლი უნდა დარჩეს მუსლიმთა საკუთრებაში. ვაცხადებთ, რომ თურქეთის დანაწილების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თურქეთის ტერიტორიების ნაწილი სომხეთს უნდა გადასცემოდა, გაუქმებულია“ [6, 13]. აქ აშკარა უზუსტობასთანა გვაქვს საქმე, ავტორი ცდება – „საიქს პიკოს“ ხელშეკრულებაში ოსმალთა ტერიტორიების სომხეთისათვის გადაცემის საკითხი არ განიხილებოდა. უფრო მეტიც, პოლიტიკური თვალსაზრისით, იმ დროისათვის სომხური სახელმწიფოს ცნება, როგორც ასეთი, უბრალოდ არც არსებობდა.

ბოლშევიკური რუსეთის მთავრობის მიერ ამ საიდუმლო საერთაშორისო დოკუმენტების გამოქვეყნებას იმდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვა ოსმალთა იმპერიაში, რომ თურქულმა გაზეთმა „İkdam“, ამ მოვლენას დიდი მოწინავე სტატია მიუძღვნა სათაურით – „Bravo Bolsheviks!“ ე. წ. „აღმოსავლეთის ხალხების“ დიდ ნაწილშიც ამ აქტმა საბჭოთა ხელისუფლებისადმი დიდი პატივისცემა და ნდობა გამოიწვია. ყოველივე ეს აღმოსავლეთის ქვეყნებში საბჭოური პოლიტიკისადმი სიმპათიის გამოხატულების მძლავრ წინაპირობად და მხარდამჭერ ფაქტორად იქცა.

რუსეთის ხალხთა უფლებების 1917 წლის 15 ნოემბრის დეკლარაციაში [7, 19-20] და „სოვნარკომის“ 1917 წლის 3 დეკემბრის მიმართვაში „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელი მუსლიმისადმი“ [8, 14]. საბჭოთა რუსეთმა იმ იმპერიალისტური პოლიტიკის უარყოფა გამოაცხადა, რასაც ცარისტული რუსეთი და დროებითი მთავრობა ატარებდნენ. კოლონიალურ და დამოკიდე-

ბულ ხალხებთან ურთიერთობების აგება თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაყრდნობით იქნა დეკლარირებული. ამ დოკუმენტებმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს მუსლიმურ სამყაროზე, როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე, ასევე სხვა ისლამურ ქვეყნებში მაცხოვრებელ მუსლიმ ხალხებზე. „მუსლიმებს აოცებდათ დროებითი მთავრობის მერყეობა, რომელმაც სრულიად რუსეთის მუსლიმთა ყრილობის, მათთვის განათლების, რელიგიური და სამხედრო ინსტიტუტების შექმნის შესახებ მოთხოვნები უარყო. დროებითი მთავრობის ასეთი პოლიტიკის საპირისპიროდ, ბლშევიკებმა თავიანთი აღმოსავლური პოლიტიკის განხორციელება შემდეგი დეკლარაციით დაიწყეს – „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელ მუსლიმს...“ [9, 112-113].

მუსლიმებთან დაკავშირებით ბოლშევიკთა მიერ განხორციელებულ ზემოთქმულ „სიკეთეებს“ კიდევ ერთი „დიდი სიკეთეც“ დაემატა. 1917 წლის დეკემბერში პეტროგრადის მუსლიმთა ყრილობაზე მუსლიმებისათვის ხალიფა ოსმანის ყურანის, დღემდე შემონახული უძველესი ყურანის დაბრუნებამ, რომელიც თავის დროზე მეფის ხელისუფალთაგან იყო ჩამორთმეული, აგრეთვე მუსლიმი საზოგადოებისათვის ორენბურგში ქარავან-სარაის მეჩეთისა და ყაზანში სუიუმბიკეს კოშკის გადაცემამ და მსგავსი აქტების განხორციელებამ კავკასიასა და შუა აზიაში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუსლიმთა მერყევ ნაწილზე. იმართებოდა მუსლიმთა ყრილობები, სადაც რევოლუციონერები – ბოლშევიკები, მემარცხენე ესერები, მემარცხენე ჯადიდები[1] გვერდი-გვერდ ესხდნენ მოლებს. ჯადიდთა პროგრესულ-რეფორმისტული იდეების მსგავსად, იმდროინდელ ბოლშევიკურ პროპაგანდაშიც ხშირად გაისმოდა კომუნიზმისა და შარიათის თანაარსებობისა და ურთიერთშევსების თეზისები. ამის გამო, ზოგიერთი მუსლიმი სასულიერო პირის მიერ ასეთი ხასიათის მოწოდებებიც კი იქნა გაჟღერებული – „საბჭოთა ხელისუფლებისათვის, შარიათისათვის!“ [5, 37].

აქ ერთი საინტერესო ისტორიული პარალელის გავლება შეიძლება იგივე რუსეთს, ოღონდ უკვე სახეშეცვლილ საბჭოთა იმპერიასა და ირანის სახით – „აღმოსავლეთს“ შორის არსებულ ურთიერთობებში. იგივე მდგომარეობა ათწლეულების შემდეგ, საბჭოთა იმპერიის ზეობის ხანაში განმეორდა. 70-იანი წლების ბოლოს, კრემლის იდეოლოგები დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ ირანში შაჰის წინააღმდეგ დაწყებულ გამოსვლებს, ე. წ. „ისლამურ რევოლუცი-

ას“ და ირანიდან აშშ-ს გამოძევების ფაქტს. საბჭოელებმა ეს ისტორიული კატაკლიზმა „აღმოსავლეთში“ თავისი დაკარგული პოზიციების დაბრუნების შანსად აღიქვეს და საბჭოთა ოფიციოზის, ისევ გაზეთების – „Правда“ და „Известия“ პირველ გვერდებზე უმალ გაჩნდა ძველი, თითქოს დავიწყებული, მაგრამ კარგად ნაცნობი ლოზუნგი – „ისლამი რევოლუციური რელიგიაა!“ საბჭოთა იდეოლოგები კიდევ ერთხელ შეეცადნენ აღმოსავლურ პოლიტიკაში აქტიურად ჩარეულიყვნენ და ამჯერადაც მოესინჯათ ძალა დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად. ნახევარი საუკუნის შემდეგ რუსული იმპერია ისევ შეეცადა ირანზე განევრცო თავისი ზეგავლენა. კრემლის იდეოლოგთა გათვლებით, ჩნდებოდა შანსი, რომ საბჭოთა კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩაენაცვლებოდა და ირანი ისევ საბჭოურ ორბიტაზე დაბრუნდებოდა, როგორც ეს XX საუკუნის დასაწყისში იყო. მაგრამ საბჭოელების ეს ნოსტალგიური სწრაფვა ამჯერადაც ფუჭი გამოდგა, ისტორიული მოვლენების განვითარების დიალექტიკური ჯაჭვი არც ამჯერად დარღვეულა.

დავუბრუნდეთ ისევ ლენინსა და „აღმოსავლეთს“... „კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მშრომელი მასები, რომლებიც დედამიწის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ, პოლიტიკური ცხოვრებისათვის უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან არიან გამოღვიძებულები, განსაკუთრებით რუსეთის, სპარსეთისა და ჩინეთის რევოლუციების ზეგავლენით. 1914-1918 წლების იმპერიალისტური ომი და რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება საბოლოოდ აქცევენ ამ მასებს მსოფლიო პოლიტიკის აქტიურ ფაქტორად და იმპერიალიზმის დამამსხვრეველ რევოლუციურ ძალად“ [10, 428]. ფართოდ გავრცელდა ლენინისა და სტალინის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლის ტექსტიც ასე იწყებოდა: „რუსეთის მუსლიმებო! აღმოსავლეთის მუსლიმებო! მსოფლიოს განახლების გზაზე ჩვენ სიმპათიასა და მხარდაჭერას გიცხადებთ!“ [11, 131].

საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულ ამ პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ ინსინუაციებს ისლამურ ქვეყნებში მცხოვრებ ხალხებზე იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებაც დაერთო თან. პანთურქიზმის იდეების წინა პლანზე წამოწევა ისევ აქტუალური ხდება. ეროვნებათა საბჭოს სახალხო კომისარი ი. სტალინი, რომელიც კომუნისტური პარტიის პრინციპებისა და თურქიზმის რევოლუციური ელემენტების ალიანსის მომხრე იყო, იმედოვნებდა, რომ ეს საშუალებას მისცემდა ბოლშევიკებს „განევ-

რცოთ სოციალიზმი თურქული ნაციონალიზმის საშუალებით და ასე განეხორციელებინა კოლონიალური რევოლუციის კონცეფცია". ყალიბდება ცენტრალური მუსულმანური კომისარიატი, რომელმაც კომუნიზმის იდეების გავრცელება მეზობელ მუსულმანურ ქვეყნებში თავის პირველხარისხოვან ამოცანად დაისახა. 1918 წლის გაზაფხულზე „ნარკომნაცის" კოლეგიის წევრის, ცნობილი თათარი რევოლუციონერისა და პოლიტიკური მოღვაწის, მულანურ ვახიტოვის ინიციატივით კომისარიატში ორგანიზებულ იქნა საგარეო პროპაგანდის განყოფილება. ამ განყოფილებას სათავეში თურქი კომუნისტი, მუსტაფა სუფი ჩაუდგა. განყოფილების მიზნებს შეადგენდა:

ბროშურების, სააგიტაციო ფურცლებისა და მოწოდებების გამოქვეყნება არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებზე. ასევე, გაზეთ ენი-უნყა-ს („ახალი გზა") ბეჭდვა თურქულ ენაზე, რომლის პირველი ნომერიც 1918 წლის 27 აპრილს გამოვიდა.

მუსულმან აგიტატორების მომზადება და მათი გაგზავნა „აღმოსავლეთში", იქ რევოლუციური ჯგუფების ორგანიზების მიზნით.

ძირითადი ძალისხმევა თურქეთისაკენ იქნა მიმართული. თვითონ მირსაიდ სულთან-გალიევი ოსმალეთში რევოლუციური აქტიურობის ზრდას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რასაც მან „ნარკომნაცის" ბეჭდვით ორგანოში – „Жизнь национальностей", ორი ვრცელი სერიოზული სტატიაც მიუძღვნა: „მუსტაფა სუფი და მისი ნაშრომი" (№14 (112) 1921 წ.) და „უკანასკნელ დროს ოსმალეთში არსებული მდგომარეობა" (№14 (71) 16. 05. 1920 წ. და №15 (72) 23. 05. 1920 წ.).

1918 წლის 2 მაისს ეროვნებათა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავდა მუსლიმთა მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის ინიციატივა, რომლის ორგანიზაციაც თათარ-ბაშკირულ ცენტრალურ კომიტეტს დაევალა. ეროვნებათა კომისარიატის ეს თაოსნობა სამხედროებმა მოიწონეს [12, 1].

1918 წლის ივლისში სულთან-გალიევის ინიციატივით მოსკოვში მოწვეულ იქნა თურქი სოციალისტების კონფერენცია, შემდეგ კი, თურქი ტყვეებისაგან დაიწყო ორი თურქული ბატალიონის ჩამოყალიბებაზე მუშაობა. იგეგმებოდა ამ ბატალიონების ჩართვა ბოლშევიკთა სამხრეთის და აღმოსავლეთის ფრონტების შემადგენლობაში. მათივე შემადგენლობიდან უნდა შერჩეულიყო აგრეთვე კადრები მომავალი თურქეთის კომუნისტური პარტიის ჩამოსა-

ყალიბებლად. ფაქტია რომ, საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით თურქი ტყვეების არსებობა, აღმოსავლეთში რევოლუციის იდეების გავრცელების ხელსაყრელ შესაძლებლობებს იძლეოდა.

I მსოფლიო ომის მიწურულს, 1918 წლის 4-12 ნოემბერს, მოსკოვში ტარდება აღმოსავლეთის ხალხების კომუნისტურ ორგანიზაციათა სრულიად რუსეთის I ყრილობა, რომელზეც შეიქმნა ამ ორგანიზაციების ცენტრალური ბიურო. თავის გამოსვლაში სტალინმა განაცხადა: „ჩვენი ამოცანა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდების გადება და ერთიანი რევოლუციური ფრონტის ორგანიზებაა... თქვენთვის გახსნილია ინდოეთისა და სპარსეთის, ავღანეთისა და ჩინეთის კარები...“ ამავე დროს, მოსკოვი, ისევე როგორც თავის დროზე პეტერბურგი, კატეგორიულად გამოდიოდა პანისლამიზმის იდეების წინააღმდეგ და მის შეცვლას „რევოლუციური ნაციონალიზმით“ ცდილობდა [3, 436].

უკვე 1918 წლის 15 დეკემბერს, გაზეთ „Жизнь Национальностей“-ს მოწინავე სტატიაში „С Востока свет“ – საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა საბჭოს სახალხო კომისარი „მსოფლიო სოციალიზმისათვის“ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა „აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს“ – „ამ უდიდესი მოვლენების ცენტრში დგას მსოფლიო რევოლუციის მედროშე – საბჭოთა რუსეთი, რომელიც ჩაგრული ხალხების მუშებსა და გლეხებს გამარჯვების რწმენით აღავსებს და მხარს უჭერს მათ განმანთავისუფლებელ ბრძოლას მსოფლიო სოციალიზმის სასარგებლოდ. დასავლეთი, თავისი იმპერიალისტური კაციჭამიებით, სიბნელისა და მონობის კერად გადაიქცა. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქვეყნის მშრომელთა სასიხარულოდ და სანუგეშოთ დავამსხვრიოთ ეს კერა“ [13]. ხოლო თავის ნაშრომში „Марксизм и национально-колониальный вопрос“, სტალინი მიუთითებდა, რომ ოქტომბრის გადატრიალებამ „სოციალისტურ დასავლეთსა და დამონებულ აღმოსავლეთს შორის შემაერთებელი ხიდი გადაისროლა, რითაც რუსული რევოლუციის გავლით, მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციის ახალი ფრონტი ააშენა დასავლეთის პროლეტარიატიდან აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებამდე“ [14, 57].

და აქაც, ისევე როგორც ევროპის შემთხვევაში, რევოლუციური იდეების აღმოსავლეთში გავრცელებისათვის ეფექტური ინსტრუმენტის – შეიარაღებული ძალების შექმნის ამოცანა დგება. სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თვმჯდომარის, ლევ ტროცკის

1918 წლის 20 ნოემბრის №276 ბრძანებით იქმნება მუსულმანთა ცენტრალური სამხედრო კოლეგია მირსაიდ სულთან-გალიევის თავმჯდომარეობით. კოლეგიამ დაუყოვნებლივ დაიწყო მოქმედება. 1918 წლის ბოლოსა და 1919 წლის დასაწყისში აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური ბიუროს მიერ თურქი სამხედრო ტყვეების თავმოყრის ადგილებში მივლინებულ იქნენ წარმომადგენლები ბოლშევიკური აგიტაციების ჩატარების მიზნით. ეს სამუშაოები მიმდინარეობდა ლოზუნგით – „ჩამოაყალიბეთ ორგანიზაციები და ააგიზგიზეთ სოციალური რევოლუცია თურქეთში!“ [3, 49] უკვე 1919 წლის 20 თებერვალს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ. ჩიჩერინი მოხსენებით ბარათს უგზავნის სოვნარკომის თავმჯდომარეს, ვ. ლენინს, რომ „საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ იქნა მოწოდებები არაბულ, ფარსის და აზერბაიჯანულ ენებზე“ [15, 132].

1919 წლის 27 იანვარს მოსკოვში მუსულმანთა დიდი კონფერენცია შეიკრიბა, რომლის 3000 დელეგატიდან 2000-ს თურქი ეროვნების ყოფილი ტყვე შეადგენდა. ამ უკანასკნელთა სახელით სულთან-გალიევმა კენჭისყრაზე შემდეგი რეზოლუცია დააყენა: „ჩვენ, მუსულმანი ტყვეები, ვაღიარებთ, რომ რუსული რევოლუციის განვითარება სწორი გზით მიმდინარეობს და მხარს ვუჭერთ საბჭოთა მთავრობას, მის საგარეო და საშინაო კურსს. ვდებთ პირობას, რომ მთელი ძალებითა და საშუალებებით მხარს დავუჭერთ საბჭოთა ხელისუფლებას და მოვუწოდებთ სხვა ტყვეებს, შემოგვიერთდნენ ამ ბრძოლაში!“ [16]. პროლეტარიატის დიდი ბელადი, ვლადიმერ ლენინი კი აბსოლუტურად დარწმუნებული იყო იმაში, რომ „ინდოეთისაკენ მიმავალი გზაზე“ „აღმოსავლეთის ხალხების განთავისუფლება“ სრულიად გარდაუვალი იყო. ეს ბრძოლა, აღნიშნავდა იგი, – „როგორი სუსტებიც უნდა იყვნენ აღმოსავლეთის ხალხები, როგორი დაუმარცხებელიც უნდა ჩანდეს ევროპელი მჩაგვრელების სამხედრო ძალა, რომლებიც ბრძოლაში ტექნიკისა და სამხედრო ხელოვნების ყველა მიღწევას იყენებენ, – თავის თავში ისეთ შესაძლებლობებსა და ისეთ სასწაულებს მოიცავს, რომ ამ ხალხების განთავისუფლება „სრულიად და პრაქტიკულად განხორციელებად ამოცანას წარმოადგენს“, თუ ეს ომი მილიონობით მშრომელსა და ექსპლოატირებულს გამოაღვიძებს“ [17, 544].

სწორედ აქ, „აღმოსავლეთში“, ისლამურ სამყაროში უნდა გახსნილიყო „საერთაშორისო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის მეორე და მთავარი ფრონტი, რასაც რუსეთიდან გატანილი

„სოციალისტური რევოლუციის“ გზით „კოლონიალური რევოლუცია“ და ბურჟუაზიისაგან „აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების“ განთავისუფლება უნდა მოჰყოლოდა შედეგად. აკი ნათლად ჰქონდა ჩამოყალიბებული ვლადიმერ ლენინს ბოლშევიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი დასკვნა: „სოციალისტური რევოლუცია არ იქნება მხოლოდ რომელიმე ქვეყნის რევოლუციური პროლეტარიატის ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. არა! ეს იქნება იმპერიალიზმისაგან ჩაგრული კოლონიებისა და ქვეყნების, ყველა დამოკიდებული ქვეყნის ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ [18, 327]. ხოლო 1919 წლის 7 დეკემბერს, აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობის გახსნაზე, ი. სტალინმა მოხსენება გააკეთა, სადაც უკვე ღიად გაისმა მოწოდებები „კომუნისტური მუსლიმური ორგანიზაციების მიერ იმპერიალიზმის განადგურებისაკენ“:

„ამხანაგებო! I ყრილობის დასრულებიდან ერთი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში სოციალიზმის ისტორიაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. პირველი – ესაა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის რევოლუციონიზაცია და კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება იქ, და მეორე – აღმოსავლეთის ხალხების გამოღვიძება, რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებში. აქ, დასავლეთში, პროლეტარიატი იმუქრება გაანადგუროს იმპერიალისტური ქვეყნების ავანგარდი და ხელისუფლება თავის ხელში აიღოს. იქ, აღმოსავლეთში – პროლეტარიატი იმუქრება გაანადუროს იმპერიალიზმის ზურგი – აღმოსავლეთი, რომელიც დასავლეთისათვის სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს, რადგან აღმოსავლეთი ესაა საფუძველი რაზედაც თავის სიმდიდრეს აშენებს დასავლეთი.ეს ის წყაროა, საიდანაც დასავლეთი იღებს ძალებს, და ეს ის ადგილია, საითაც ის უკან დაიხევს განადგურების შემთხვევაში...

ერთი წლის წინ დასავლეთში მსოფლიო იმპერიალიზმი ემუქრებოდა საბჭოთა რუსეთს მჭიდრო რკალის შემორტყმით. ახლა კი აღმოჩნდა, რომ თვითონაა გარშემორტყმული, იმიტომ, რომ მას ურტყამენ ფლანგებზეც და ურტყამენ ზურგშიც...

და ამხანაგებო, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ყრილობა, II ყრილობა, რომელიც უფრო მდიდარია როგორც რიცხობრივად, ასევე თვისობრივად, ვიდრე I ყრილობა, შეძლებს გააგრძელოს ჩვენ მიერ დაწყებული აღმოსავლეთის ხალხების გამოღვიძების საქმე, გააძ-

ლიეროს ის ხიდი, რომელიც გაჭიმულია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ეს ყრილობა გააგრძელებს მშრომელთა მასების განთავისუფლებისათვის მუშაობას იმპერიალიზმის საუკუნოვანი ჩაგვრისაგან...

იმედი ვიქონიოთ, რომ ის დროშა, რომელიც ავწიეთ I ყრილობაზე, აღმოსავლეთის მშრომელთა მასების განთავისუფლების დროშა, იმპერიალიზმის განადგურების დროშა, ღირსეულად იქნება ბოლომდე მიტანილი კომუნისტური მუსლიმური ორგანიზაციების მიერ (აპლოდისმენტები)“ [19].

აღმოსავლეთის ქვეყნების ზემოთ წარმოდგენილი ფართო გეოგრაფიული ჩამონათვალის ფარგლებში, ჩვენი კვლევის სფეროს, გასაგები მიზეზების გამო, ამიერკავკასია და ოსმალეთი, უფრო ზუსტად კი, ამიერკავკასია და ანატოლია წარმოადგენს, სწორედ ის რეგიონი, სადაც 1919 წლიდან რუსმა ბოლშევიკებმა ფართო იდეოლოგიური, პოლიტიკური, დიპლომატიური, აგენტურული და სამხედრო საქმიანობის გაშლა დაიწყეს. ამიერკავკასიაში მათ ადგილობრივი ბოლშევიკებისა და სუსტი ეროვნული ხელისუფლებების გამოუცდელობის, ხოლო ოსმალეთში ახლადჩასახული, ანტანტას დაპირისპირებული „რევოლუციური“ მოძრაობის იმედი ჰქონდათ... და არცთუ უსაფუძვლოდ. ბოლშევიკთა ინტერესები ამიერკავკასიის მიმართ სრულადაა ჩამოყალიბებული ი. სტალინის იმ ინტერვიუში, რომელიც მან გაზეთ „Правда“-ს კორესპონდენტს მისცა 1920 წელს. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, აქ ახალი არაფერია – ამიერკავკასია და მისი მეტად მოხერხებული გეოსტრატეგიული მდებარეობა, ევროპა-აზიის შემაერთებელი მთავარი მაგისტრალი, მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები, ამ რესურსების ტრანსპორტირების მოსახერხებელი დერეფანი და ა. შ. ეს ის მახასიათებლები და ის კომპონენტებია, რომლის ფლობასა და კონტროლს ესწრაფვოდნენ მაშინაც და ესწრაფვიან დღესაც სხვადასხვა წარმომავლობისა თუ სიდიდის სახელმწიფო და პოლიტიკური ჯგუფები თუ საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტები:

„კავკასიის მნიშვნელობა რევოლუციისათვის განისაზღვრება არა მხოლოდ იმით, რომ იგი წარმოადგენს ნედლეულის, საწვავისა და სურსათის წყაროს, არამედ იმიტომაც, რომ იგი მდებარეობს ევროპასა და აზიას შორის, კერძოდ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის. იგი მნიშვნელოვანია აგრეთვე იმითაც, რომ აქ გადის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული გზები (ბათუმი-ბაქო, ბა-

თუმი-თავრიზი, ბათუმი-თავრიზი-არზრუმი). ყველაფერ ამას ითვალისწინებს ანტანტა, რომელიც ახლა ფლობს კონსტანტინოპოლს – შავი ზღვის ამ გასაღებს, და სურს შეინარჩუნოს პირდაპირი გზა აღმოსავლეთისაკენ ამიერკავკასიის გავლით. ბოლოს და ბოლოს ვინ დამკვიდრდება კავკასიაში, ვინ ისარგებლებს აზიის სიღრმეში მიმავალი ნავთობითა და უმნიშვნელოვანესი გზებით – რევოლუცია თუ ანტანტა? – ამაში მდგომარეობს საკითხის მთელი არსი“ [20].

თავად კავკასიის ხალხებს კი ასე უხსნიდა საბჭოთა ხელისუფლების არსს ლენინის „ნამესტნიკი კავკასიაში“ სერგო ორჯონიკიძე თავის სიტყვაში, რომელიც „თერგის რესპუბლიკის მშრომელი ხალხების V ყრილობაზე“ წარმოთქვა: „ჩვენ არ წარმოვადგენთ არც ჩეჩნების, არც ინგუშების, არც რუსებისა და არც ქართველების ხელისუფლებას: ჩვენ შრომისა და სიღარიბის ხელისუფლებას წარმოვადგენთ სარწმუნოებისა და ეროვნების გარეშე. სიამაყით შეგვიძლია იმის კონსტატირება, რომ მთელი მუსულმანური სამყარო, მთელი აღმოსავლეთი არა ინგლისს, არა საფრანგეთს, არამედ საბჭოთა რუსეთსა და მოსკოვს მიმართავს (მხურვალე აპლოდისმენტები)...“ [21, 71-72].

უნდა აღინიშნოს, რომ მოპოვებული ხელისუფლებისა და საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმის გაძლიერება-განმტკიცებისათვის, აგრეთვე ამ ხელისუფლების ექსპორტირებისათვის ბრძოლაში, რუსული ბოლშევიზმის იდეოლოგიური მამები აქამდე გაუგონარი ლავირების, გარიგებებისა და თვალთმაქცობის გზას დაადგნენ. აღნიშნული ტაქტიკა ყველაზე უფრო კარგად სწორედ ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან და თურქეთთან მიმართებაში გამჟღავნდა, სადაც შემდგომში დატრიალებულმა მოვლენებმა სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით ლოგიკური განვითარება ჰპოვეს ამიერკავკასიის ახლადგაჩენილი რესპუბლიკების მომავალზე.

და რა ტიპის ურთიერთობებს შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან რუსულ და თურქულ სახელმწიფოებს შორის, რომელთა საუკუნოვანი ურთიერთობები მხოლოდ და მხოლოდ მტრობისა და ომების ისტორიას წარმოადგენდა? მართლაც, ისტორიას თუ გადავხედავთ – მხოლოდ XVIII საუკუნის განმავლობაში ოსმალთა იმპერიას 8 ომი ჰქონდა წარმოებული რუსეთთან, XIX საუკუნეში – 4, და XX საუკუნეშიც ერთმანეთის წინააღმდეგ გლობალურ კონფლიქტში – I მსოფლიო ომში ჩაებნენ. მაგრამ როგორც იტყვიან, ეპოქა, დრო და დიდი პოლიტიკა

განსაზღვრავს სახელმწიფოთა თანაარსებობის ხასიათს და აქედან გამომდინარე, ამჯერად, XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან, რუსულ-თურქული ურთიერთობები თვისობრივად განსხვავებულ ეპოქასა და რეალობაში შედის. რეალობაში, რომელსაც თავს უკვე „დიადი აჩრდილი" დასტრიალებდა. ალბათ გასაგებია რა აჩრდილზეცაა აქ საუბარი, რომლის „გავლენის ზონად" მისი ავტორების, მარქსისა და ენგელსის მიერ, XIX საუკუნის შუა ხანებისათვის მხოლოდ ევროპა იყო განსაზღვრული. „აჩრდილი დადის ევროპაში – აჩრდილი კომუნიზმისა", აკი ასე იწყება მარქსიზმის ფუძემდებლური ნაშრომი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", შემდეგ კი – „...დიდი ხანია დრო არის, რომ კომუნისტებმა მთელი მსოფლიოს წინაშე აშკარად გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, თავიანთი მიზნები, თავიანთი მისწრაფებანი და კომუნიზმის აჩრდილის შესახებ არსებულ ზღაპრებს დაუპირისპირონ თვით პარტიის მანიფესტი" [22, 35] და რადგან „დიდი ხანია დრო არის რომ კომუნისტებმა მთელ მსოფლიოს გააგებინონ კომუნისტური პარტიის მანიფესტის არსი", მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც, ამ მისიის აღსრულება მარქსის დიდმა მოწაფემ, ვლადიმერ ულიანოვ-ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა ითავეს. ხსენებული ნაშრომის შეფასებისას ლენინი წერდა: „ამ ნაწარმოებში გენიალური სიცხადითა და სიმკვეთრითაა გადმოცემული ახალი მსოფლმხედველობა, თანმიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების სფეროსაც მოიცავს, დიალექტიკა, როგორც უაღრესად ყოველმხრივი და ღრმა მოძღვრება განვითარების შესახებ, თეორია კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის, როგორც ახალი კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლისა..." [22, 35]. მართალია, ქართულ გამოცემაში ცოტა გაუმართავადაა ნათარგმნი ლენინის ნააზრევი, მაგრამ იდეა და ამოცანა გასაგებია – ისევე როგორც მარქსთან, აქაც, ლენინთან, საჭიროა „პროლეტარიატის, როგორც ახალი კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის როლში" გავარკვიოთ მსოფლიო, პირველ რიგში კი, რუსეთის უახლოესი მეზობლები, სადაც უკვე „მომწიფებულია რევოლუციური სიტუაცია". და რადგან დასავლეთით, ევროპელ მეზობლებთან ეს პროცესები ისეთი სიჩქარით ვერ ხორციელდება, როგორც სასურველია, ამიტომ შემდეგი მიმართულება სამხრეთი და ანატოლია უნდა იყოს. მაგრამ ანატოლია და ოსმალთა იმპერია? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტორიული რეალობაა, რომ არც ერთ სხვა სახელმწიფოსთან არ უნარმოებია რუ-

სეთს იმდენი ომი, რამდენიც ოსმალთა იმპერიასთან. ეს ომები ფაქტიურად უწყვეტად მიმდინარეობდა მთელი 240 წლის განმავლობაში – 1676-1681, 1695-1700, 1710-1713, 1735-1739, 1768-1774, 1787-1791, 1806-1812, 1828-1829, 1853-1856, 1877-1878, 1914-1918 წლებში. ამ ომებს შორის არსებული „მშვიდობიანობის" პერიოდები კი, დროებითი დაზავება, „ცივი ომი", ან მომავალი ომისათვის სამზადისი იყო. გამოდის რომ რუსეთი, თუნდაც წითელი, თუნდაც ბოლშევიკური, თავის საუკუნეობრივ და დაუძინებელ მტერთან კრავდა მეტად გაუგებარ და ბუნდოვან ალიანსს. დასმული ამოცანის გასაღები კი მეტად მარტივია – აქ საუბარია არა ოსმალეთის იმპერიას, სულთანსა და კონსტანტინოპოლზე, არამედ „ახალ თურქეთზე", ე. წ. „თურქულ რევოლუციაზე", მის ლიდერ, გენერალ მუსტაფა ქემალსა და ანგორაზე (ანკარა). „თურქულმა რევოლუციამ მნიშვნელოვანი მოკავშირე შეგვძინა" – გვამცნობდა გაზეთ „Известия"-ს 1919 წლის 23 აპრილის მოწინავე სტატია.

ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, პირველი კონტაქტების დამყარება ბოლშევიკებსა და თურქეთის ახალ ხელისუფლებას – ანგორაში დაფუძნებულ ე. წ. „თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას" შორის, ძირითადში გენერალ ქიაზიმ ყარაბექირ ფაშას სახელთანაა დაკავშირებული, რომელსაც იმ დროისათვის აღმოსავლეთ ანატოლიაში დისლოცირებული მე-15 საარმიო კორპუსის სარდლის თანამდებობა ეკავა, შტაბით არზრუმში. ბოლშევიკური დელეგაციებისა და ემისრების მთავარი ამოსავალი პრინციპი მასთან და ახალ თურქულ მოძრაობასთან მიმართებაში ის იყო, რომ ბოლშევიკები პატივს სცემდნენ და აღიარებდნენ ახალი თურქეთის შიდა პოლიტიკურ მისწრაფებებს, მის ტერიტორიულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, იზიარებდნენ მათ მოთხოვნებს ეროვნულ საკითხებში, და რაც მთავარია, მხარს უჭერდნენ თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათ ბრძოლას „მსოფლიო იმპერიალიზმის" წინააღმდეგ.

ოსმალეთთან მიმართებაში საბჭოთა რუსეთის იდეოლოგიურმა ხელმძღვანელებმა თანამშრომლობის ორი ვექტორი აირჩიეს. პირველი ახალ თურქულ მოძრაობასა და დიდ ეროვნულ კრებას შეეხებოდა, ხოლო მეორე – მასთან დაპირისპირებულ ძალას – ოსმალთა იმპერიის მმართველი „ერთიანობისა და პროგრესის" (იტიჰადისტ-იუნიუნისტები) „ახალგაზრდა თურქთა" პარტიასა და მის ლიდერებს. დიდი სტრატეგიის თვალსაზრისით, ბოლშევიკებისათვის ეს იყო ძირითადი და სათადარიგო მოთამაშის თანაარსებობისა

და მიზანშეწონილი მხარდაჭერის ტაქტიკა. ბოლშევიკთა მხრიდან პირველი მიმართულების კოორდინატორებს იოსებ სტალინი და სერგო ორჯონიკიძე წარმოადგენდნენ, ხოლო მეორისა – საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ლიდერები, კარლ რადეკი და გრიგორი ზინოვიევი. ახალი თურქული მოძრაობის მხრიდან იგივე როლი ქემალისტურ ტანდემს, გენერალ ქიაზიმ ყარაბექირ ფაშასა და გენერალ ჰალილ ფაშა ქუთს ჰქონდათ დაკისრებული. იტიჰადისტთა მხრიდან კი, ოსმალთა იმპერიის მმართველი ტრიუმვირატის ლიდერებს, იმპერიის ყოფილ სამხედრო მინისტრს, გენერალ ისმაილ ენვერ ფაშასა და ყოფილ სამხედრო-საზღვაო მინისტრს, გენერალ აჰმედ ჯემალ ფაშას. აღსანიშნავია, რომ ეს კონტაქტები სულაც არ იყო შემთხვევითი, ეპიზოდური და ტრივიალური. მათ გადამწყვეტი როლი ითამაშეს რეგიონის ქვეყნების, თურქეთისა და მთლიანად ამიერკავკასიის ტერიტორიების ახალი გადანაწილების პროცესსა და მათი სახელმწიფოებრივი მოწყობის შემდგომ ბედზე.

გენერალი ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა აღმოსავლეთ ანატოლიაში დისლოცირებული შენაერთის არა მარტო სამხედრო მეთაური და აქედან გამომდინარე, პასუხისმგებელი პირი იყო ფრონტზე არსებული მდგომარეობისა, არამედ იგი რეგიონისა და ახალი თურქული მოძრაობის ნამდვილი ლიდერი იყო. იგი მთლიანად აკონტროლებდა რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური თუ რელიგიური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა ასპექტს. ობიექტურად უნდა აღინიშნოს, რომ ყარაბექირ ფაშა განათლებული პიროვნება იყო, თავისუფლად ფლობდა ფრანგულ და გერმანულ ენებს. კითხულობდა და საუბრობდა რუსულადაც. მისი დამოკიდებულება რუსეთის ბოლშევიკურ ხელმძღვანელობასთან კი, ერთობ ინტენსიური და არაერთგვაროვანი იყო [23].

ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, რომ მისი კონტაქტები კრემლთან და ბოლშევიკებთან, მისი დიპლომატიური აქტივობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თურქეთის ახალგაზრდა სახელმწიფოსა და საერთოდ მთელი ამიერკავკასიის შემდგომი ბედისათვის, ვიდრე მისი, როგორც სამხედრო მეთაურის როლი. თუმცა, ამით სულაც არ ვაკნინებთ მისი, როგორც ოფიცრისა და სარდლის დამსახურებებს. ამ ურთიერთობებმა, მისმა კარგად გააზრებულმა, ხშირად წინააღმდეგობებით აღსავსე მოქმედებებმა, თურქეთსა და ამიერკავკასიაში სწორად ორგანიზებულმა საინფორმაციო-აგენ-

ტურულმა ქსელმა და მისმა გამართულმა მუშაობამ, მოსკოვის აურაცხელმა ფინანსურმა და სამხედრო-ტექნიკურმა დახმარებებმა (და ეს მაშინ, როცა თვითონ რუსეთი იმყოფებოდა სოციალური, ეკონომიკური და სამხედრო კატასტროფის წინაშე), შესაძლებლობა მისცა ქემალისტებს წარმატებით ეწარმოებინათ საომარი მოქმედებები დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად.

ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა, როგორც I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე და ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ ნაომარი გენერალი სულაც არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო რუსოფილი, ალბათ, უფრო პირიქით. კარგად გაეცნო და განსაზღვრა რა ბოლშევიზმის საფრთხე, იგი მყარად დარჩა თურქული ნაციონალიზმის ფესვებზე. თურქული სახელმწიფოს გადარჩენისათვის ბრძოლაში იგი თურქთა ახალი მოძრაობის ლიდერის, გენერალ მუსტაფა ქემალ ფაშას უახლოეს თანამოაზრედ და თანამებრძოლად შეიქმნა და მტკიცედ აღუდგა ბოლშევიზმის, როგორც მავნე იდეოლოგიის გავრცელებას თავის სამშობლოში, გამოსტაცა რა ბოლშევიკურ რუსეთს მაქსიმალური სარგებელი.

როგორც რეგიონის ბრიტანული საოკუპაციო ჯარების ინსპექტორი და ბრიტანული დაზვერვის ხელმძღვანელი აღმოსავლეთ ანატოლიაში, პოლკოვნიკი ალფრედ როვლინსონი (ლფრედ ღოწლინსონ) აღნიშნავდა, ყარაბექირი „პირველი კლასის ოფიცერი“ და „უაღრესად კომპეტენტური მეთაური“ იყო. ბევრისაგან განსხვავებით, ყარაბექირი ყველაფერში არ ეთანხმებოდა მუსტაფა ქემალს და მის კრიტიკასაც არ უფრთხოდა, მაგრამ ბოლოს მაინც თანხმდებოდა ამ უკანასკნელის ნებას. იგივე როვლინსონისა და ყარაბექირის ურთიერთობებთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდიც შეიძლება მოვიყვანოთ ყარაბექირის მემუარიდან, სადაც კარგად ჩანს მისი, როგორც შორსმჭვრეტელი სამხედროსა და პოლიტიკოსის სახე. ერთ-ერთი მორიგი აუდიენციის დასრულებისას ყარაბექირმა როვლინსონს მიმართა: „ბ-ნო პოლკოვნიკო, თუ გსურთ, შემიძლია ოფიცერი გამოგიყოთ თანმხლებად. მაგრამ რა ვქნა, ინგლისურად მოლაპარაკე არავინ მყავს. შემიძლია მოვძებნო ფრანგულის მცოდნე“. როვლინსონი კმაყოფილი დარჩა (ყარაბექირ ფაშა აღნიშნავდა: მე გავუგზავნე მას ოფიცერი, რომელმაც ფრანგულიც იცოდა და ინგლისურიც და მივეცი ინსტრუქცია, არ გაემჟღავნებინა ინგლისურის ცოდნა. ამ ნაბიჯით ბევრი მოვიგე. მე შევძელი ბევრად ადრე ვყოფილიყავი ინფორმირებული საუბრე-

ბისა და კორესპონდენციების შესახებ როვლინსონის ოფისში)“ [24].

რაც შეეხება მუსტაფა ქემალსა და ქიაზიმ ყარაბექირს – ორივე გენერალი იყო, მაგრამ ყარაბექირთან შედარებით მუსტაფა ქემალს უფრო გამორჩეული და თვალსაჩინო საბრძოლო გზა ჰქონდა განვლილი და იგი უფრო წარმატებულ ოფიცრადაც ითვლებოდა. იგი ასაკით ერთი წლით უფროსი იყო ყარაბექირზე, გენერლის წოდება კი მასზე ორი წლით ადრე ჰქონდა მიღებული. ყარაბექირი, გენერლის – ფაშას შვილი იყო, ომის დროს გმირობები არ ჩაუდენია, მაგრამ კეთილსინდისიერ ოფიცრად ითვლებოდა და ყოველთვის გულდაგულ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მას სამხედრო კარიერის უდიდესი ნაწილი ანატოლიისა და კავკასიის საომარ მოქმედებათა თეატრზე ჰქონდა გავლილი, ხალხს იგი უყვარდა და პატივს სცემდა. საკმაოდ ძლიერი ჯარი ჰყავდა, რომელსაც ხალხიც უჭერდა მხარს [25, 111]. ქიაზიმ ყარაბექირ ფაშას ეს დახასიათება ცნობილ შოტლანდიელ ისტორიკოსს, მუსტაფა ქემალის ბიოგრაფსა და ისლამის მკვლევარს, ჯონ პატრიკ დუგლას ბალფორს, (John Patrick Douglas Balfour) იგივე ლორდი კინროსს (Lord Kinross) ეკუთვნის. არ გვინდა ეჭვი შევიტანოთ მის პროფესიონალიზმში, იმის გათვალისწინებით, რომ იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ქაიროში დიდი ბრიტანეთის საელჩოში და სამეცნიერო წრეებშიც აღმოსავლეთის ისტორიის ერთ-ერთ თვალსაჩინო სპეციალისტად ითვლება. ალბათ ასეცაა. მაგრამ რაც შეეხება კავკასიის ისტორიას, აქ ლორდი კინროსის ცოდნა ზერელე და ზედაპირულია. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას ის არგუმენტი გვაძლევს, რომ თავის სქელტანიან მონოგრაფიაში „ათათურქი“ – იგი საქართველოსა და უკრაინას „პატარა თურქულ-სლავურ ქვეყნებს“ უწოდებს, არტაანსა და ბათუმს კი – „სომხურ ვილაიეთებს“.

დავუბრუნდეთ ისევ მუსტაფა ქემალსა და ქიაზიმ ყარაბექირ ფაშას. რა თქმა უნდა, სხვა განსხვავებებიც არსებობდა მათ პერსონებს შორის. მთავარი განსხვავება მათ ხასიათებში, მათი თავდაჯერებულობის ხარისხში მდგომარეობდა. ბრიტანელი მკვლევარის, ჰაროლდ არმსტრონგის (H. C. Armstrong) დახასიათებით – მუსტაფა ქემალი ბუნებით მარტოსული კაცი იყო – ერთადერთი მოთამაშე ბანქოს მაგიდასთან. იგი არავის ენდობოდა და არასდროს უსმენდა სხვებს თუ გამოთქმული აზრი მისას ეწინააღმდეგებოდა. იგი შეურაცხყოფას აყენებდა ყველას, ვინც გაბედავდა და არ დაეთანხმებოდა რამეში. იგი მხოლოდ საკუთარი შეხედულებე-

ბით მოქმედებდა და ავადმყოფურად ეჭვიანი იყო. ჭკვიან და უნარიან ხალხს სწრაფად იშორებდა თავიდან და ძალიან კრიტიკული იყო სხვების შეფასებაში. მხოლოდ ის ხალხი ჰყავდა გარშემო შემოკრებილი, ვინც მის მოსაზრებებს იზიარებდა. ბოლომდე არავის ენდობოდა და ახლობლებიც არ ჰყავდა“ [26, 213-214]. ყარაბექირს კი, სურდა, რომ ნაციონალური წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობა უფრო კოლეგიალური ორგანო ყოფილიყო. მუსტაფა ქემალი კი თავისი ხასიათიდან გამომდინარე, მხოლოდ თავის თავს ხედავდა ამ მოძრაობის ლიდერად. ამ საკითხთან დაკავშირებით, უკვე მოგვიანებით, 1927 წელს, მუსტაფა ქემალი აცხადებდა: „ისტორიამ ცალსახად დაამტკიცა, რომ დიდ გამოწვევებში წარმატების მისაღწევად ურყევი ნებისა და ძალაუფლების მქონე ლიდერის არსებობაა საჭირო“ [27, 237].

უდიდესი იყო ყარაბექირის როლი ახალი თურქული მოძრაობის ორგანიზებაში, ამიერკავკასიაში სადაზვერვო ქსელის შექმნასა და ბოლშევიკებთან კომუნიკაციების დამყარებაში, ერთობლივი სამხედრო ოპერაციების დაგეგმვასა და აღსრულებაში. სწორედ იგი, ყარაბექირი იყო ინიციატორი ამ მოძრაობის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიაში დაწყებისა და სწორედ მან დაარწმუნა ამაში მუსტაფა ქემალი [28, 43].

სწორედ იგი, ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა სარდლობდა ოსმალთა მე-3 არმიის მე-2 კორპუსს 1918 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიის ტერიტორიების ოკუპაციისას და ისვე სარდლობდა 1919 წლის გაზაფხულიდან 1920 წლის ბოლომდე აღმოსავლეთ ანატოლიაში დისლოცირებულ მე-15 საარმიო კორპუსს, რომელმაც ოსმალეთ-სომხეთის ომის მსვლელობაში, 1920 წლის შემოდგომაზე დასავლეთ სომხეთის მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავა ყარსისა და ალექსანდროპოლისის ჩათვლით. იგივე ყარაბექირ ფაშა სარდლობდა ქემალისტთა აღმოსავლეთის არმიას, რომლის შენაერთებმა და ქვედანაყოფებმა ბოლშევიკური მე-11 წითელი არმიის შენაერთებთან შეთანხმებული სამხედრო მოქმედებებით, 1921 წლის მარტში მოახდინეს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ოკუპაცია ბათუმის ჩათვლით. უფრო ადრე კი, 1920 წლის აპრილში, ქიაზიმ ყარაბაქირ ფაშასა და ქემალისტების უშუალო დახმარებით განხორციელდა აზერბაიჯანის გასაბჭოებაც.

და ბოლოს – სწორედ გენერალი ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა იყო სულისჩამდგმელი და ოსმალეთის მხრიდან მთავარი მოქმედი პირი და ხელის მომწერი ყარსის ისტორიული ხელშეკრულებისა, რომ-

ლის ძალითაც საქართველოს სახელმწიფომ თავისი ტერიტორიების დიდი ნაწილი დაკარგა. ყარსის ხელშეკრულებამ დააკანონა ისტორიული ქართული მიწების ოსმალეთისათვის გადაცემა და განსაზღვრა თურქეთსა და ამიერკავკასიის უკვე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არსებული დღევანდელი სახელმწიფო საზღვრები.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები:

1. გიორგი კუჭავა, 1920-1921 წლები: საქართველო ლენინმა გაჰყიდა, ჟურნალი პოლიტიკა, №1-2, 1994.
2. Арутюнов Аким Александрович, Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства, Москва, Вече, 1999, ISBN 5-7838-0530-0. ЦГАСА. Ф. 33987. Оп. 2. Д. 32. 279-279 об.
3. Станислав Тарасов, Мифы о Карабахском конфликте, Сборник статей, Международный институт новейших государств, Москва, 2012.
4. General der Artillerie Friedrich Freherr Kress von Kressenstei, Meine Mission im Kaukasus, München, 1943.
5. Густерин П. В., Политика Советского государства на мусульманском Востоке в 1917-1921 гг., Вопросы истории, № 1, Январь 2010; [37] История дипломатии, n. III, http://islam-info.ru/obchestvo/page,7,1584-politika-sovetskogo-gosudarstva-na-musulmanskom.html.
6. Nersin Ersoy McMeekin, Turkey's relations with the bolsheviks (1919-1922), the department of internastionasl relations, Bilkent University, Ankara, 2007; Jane Degras, Soviet documents on foreign policy 1917-1924, London, Geoffrey Cumberlege Oxford Univesity Press, 1955; Документы внешней политики СССР, т. III, Москва, Госполитиздат, 1959.
7. История Советской Конституции, Сборник Документов, 1917–1957, Москва, 1957.
8. Документы внешней политики СССР, т. I. Москва, 1957.
9. Хоскинг Дж., История Советского Союза. 1917–1991. Москва, 1994; См. Также: Очерки истории министерства иностранных дел России. т. II. Москва, 2002, гл. I–II.
10. Ленин, Сочинения, т. XXVI.
11. Richard G. Hovannisian, Armenia and the Caucasus in the Genesis of the Soviet-Turkish Entente, International Journal of the Middle East Studies, Cambridge University Press, N2. (Apr.,1973); МИД СССР.

Документы внешней политики СССР, том I, Москва, 1957, http://intersci.ss.uci.edu/wiki/eBooks/Articles/Armenia%20and%20Caucasus%20 Hovannisian. pdf.
12. РЦХИДНИ, ф.558. оп.1. д.164, Просмотр темы - Отец народов национальная политика • За Правду!
13. ჟურნალი Жизнь Национальностей, № 6, 15 декабря 1918 г., Передовая.
14. И. Сталин, Марксизм и национально-колониальный вопрос. Партиздат ЦК ВКП(б), 1935.
15. Коминтерн и идея мировой революции, Сборник Документов, Москва, 1998.
16. ჟურნალი Жизнь национальностей, №2 (10), 19.1.1919.
17. Ленин, Сочинения, т. XXIV.
18. Ленин, Полн. Собр. Соч., т. 39.
19. ჟურნალი Жизнь Национальностей, № 46, 7 декабря 1919 г. http:// grache v62.narod.ru/stalin/ index. htm.
20. И. Сталин, Положение на Кавказе. Беседа с сотрудником газеты ჟურნალი Правда, №269, 30 ноября 1920 г.
21. Г. К. Орджоникидзе, Статьи и речи, в двух томах, Государственное издательство политической литературы, Москва, 1956, том I. 1910-1926 гг.
22. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, სახელგამი, თბილისი, 1954.
23. H. B. Paksoy, US and Bolshevik relations with the TBMM government. The first contacts, 1919-1921, The Journal of Sophia Asian studies, N12, 1994.
24. Kamuran Gurun, The War of Independence, Ankara, 1982.
25. ლორდი კინროსი, ათათურქი, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2011.
26. H. C. Armstrong, The grey wolf, Capricorn Books, New York, 1961.
27. Andrew Mango, Atatürk, John Murray (Publishers), London, 2004.
28. Kazim Karabekir, *Istiklâl Harbinin Esasları,* Istanbul, 1960.

[1] **ჯადიდიზმი** – წარმოდგება არაბული სიტყვისგან جديد, რაც „განახლებას" ნიშნავს. მუსლიმთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ინტელექტუალური მოძრაობა, რომელიც რუსეთის იმპერიის ვოლგისპირეთისა და ყირიმელ თათართა შორის გაჩნდა XIX საუ-

კუნის ბოლოდან. ჯადიდიზმი მუსლიმ რეფორმატორთა იდეოლოგიას წარმოადგენდა, რომლის ამოცანასაც თანამედროვე ევროპული ცივილიზაციისა და პროგრესის სიკეთეების პოპულარიზაცია წარმოადგენდა მუსლიმურ სამყაროში. ჯადიდები ევროპული პოლიტიკური აზრის, განსაკუთრებით კონსტიტუციური იდეის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათი აზრით ისლამი არ ეწინააღმდეგებოდა პარლამენტარიზმის იდეას. ჯადიდები თვლიდნენ, რომ ისლამი არ კრძალავდა მუსლიმთა ისტორიის კრიტიკულ შესწავლას. ამავე დროს, იმდენად რამდენადაც ისლამმა ვერ შეძლო იდეალური კულტურის შექმნა, ამიტომ მუსლიმები სულაც არ არიან მოვალენი, რომ თავიანთი სულიერი წინამძღოლები აბსოლუტური ჭეშმარიტების მატარებლებად ჩათვლილიყვნენ. ისინი სოციალური მოწყობის იმ პრინციპების ძიებაში იყვნენ, რომელიც უფრო მისაღები იქნებოდა ამა თუ იმ ისტორიული პერიოდისათვის. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, ჯადიდები შეადგენდნენ პარტია „მუსლიმთა კავშირის" ბირთვს, რომლებიც იბრძოდნენ კონსტიტუციური მონარქიის, ადგილობრივი თვითმმართველობის, საყოველთაო არჩევნებისა და სხვა დემოკრატიული იდეების გასატარებლად.

Archil Chachkhiani
Ph. D., Colonel, Senior Instructor on the Course of the War History and Military Art, Defense and Security, the Theory and Nature of War, at the CGSC of the David Agmashenebeli Georgian National Defense Academy

The Question of the „Peoples of East" in the Context of the World's Proletarian Revolution

Summary

The bolshevik ideologists were strongly interested not only in the European part of the former Tsarist Empire, neither only in East Europe, as the area where to expend the „World's proletarian revolution". They did not think either only about West Europe where to found the „European Communist Federation" as Lenin and Trotsky aimed. But the bolshevik Russia regarded the parts of the former Tsarist Empire as their own. Masked with the humanitarian ideals, they introduced these ideals of Fraternity, Unity and Equality through the Transcaucasus and Asian parts of the former Empire, alongside with the appeals for the „Sruggle against imperialism";

this resulted in increasing political activity of people. The bolsheviks also planned to engage most part of Asia in their scenario.

To implement this idea into reality, the relevant political concept and doctrine, different from those of the European countries, needed to develop. Careful and delicate ideological-political activities were to set on. The bolsheviks successfully solved this complex task. In the process of extending the proletarian revolution to the Asia, relying on the idea of the „Colonial revolution", on its turn originated from the idea of the „Great Turan", they targeted the Ottoman Empire, actually destroyed as a result of the World War I and the new Turkish movement of resistance. In relation to the national issues, the bolsheviks showed their face once again as the real inheritors of the Russian Tsarist Empire.

Increased ideological-political activities of the Russian bolsheviks, their attempts to have ties with the newly formed Kemalist movement in Turkey and with its military and political leaders are also discussed in this article.

არჩილ ჩაჩხიანი

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ომის თეორიისა და ბუნების კურსის უფროსი ინსტრუქტორი, ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი

1918 წლის „ბოლშევიკური რევოლუციები“ აფხაზეთში და ამიერკავკასიის წითელი გვარდიის საბრძოლო მოქმედებები სოხუმის ზონაში

ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ მძლავრი ბიძგი მისცა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე უმართავი პროცესების დაწყებას. ყოფილი ცარისტული იმპერიის ტერიტორიებზე ხელისუფლების მიტაცებისათვის შეიარაღებული ბრძოლა ბოლშევიკთა პოლიტიკური აქტივობის ქვაკუთხედად იქცა. 1918 წლის დასაწყისიდან იდეოლოგიური და სამხედრო თვალსაზრისით სოჭისგან მხარდაჭერილმა სოხუმელმა ბოლშევიკებმა აშკარა შეიარაღებული გამოსვლებისათვის დაიწყეს მზადება. ცალსახად და გადაჭრით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ მოვლენების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად კავკასიის ფრონტის მოშლა და ფრონტიდან დაბრუნებული „რევოლუციურად“ განწყობილი, რეალურად კი, გადეზერტირებული, უმართავი და ზნეობადაკარგული რუს ჯარისკაცთა ნაკადები იქცნენ. არავითარი მითიური „მუშათა კლასი“ და არავითარი „რევოლუციური მასები“ ამ მომენტისათვის არც სოხუმში და მით უმეტეს, არც მთლიანად აფხაზეთში, უბრალოდ, არ არსებობდა.

საკითხის არსში უფრო საფუძვლიანად გარკვევისათვის კი, მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე 1917 წლის მიწურულს არსებული ოპერატიული ვითარება და აქ განვითარებული მოვლენები. წარმატებული სამხედრო ოპერაციების შედეგად, 1917 წლის მდგომარეობით, რუსეთის კავკასიის არმიას ოსმალთა იმპერიის მნიშვნელოვანი ტერიტორიები ჰქონდა

ოკუპირებული და თითქმის 700 კმ-იანი ფრონტი შავი ზღვის სანაპიროდან, ქალაქ გირესუნიდან, ვანის ტბამდე იყო გადჭიმული. იგი გირესუნი-ერზინჯანი-მუში-ბითლისის ხაზზე გადიოდა. ფრონტიდან მოხსნილი და რუსეთისაკენ მიმავალი ჯარისკაცთა და მატროსთა მასების გადაადგილებისათვის კი, ამ დროისათვის მხოლოდ ორი მარშრუტი არსებობდა. ერთი სახმელეთო – რკინიგზით, სარიყამიში-ყარსი-ალექსანდროპოლისი-ელიზავეტპოლი-ბაქო-პორტ-პეტროვსკი (დღევანდელი მახაჩყალა), მეორე კი საზღვაო – ტრაპიზონი ან ბათუმი, ხოლო შემდეგ – სოხუმი, ადლერი, სოჭი, ნოვოროსიისკი. შეიძლება ითქვას, რომ ერთის მხრივ სარიყამიში, ხოლო მეორეს მხრივ ტრაპიზონი და ბათუმი იქცნენ „რევოლუციონერი“, რეალურად კი, გაყაჩაღებული რუსი ჯარისკაცების თავმოყრის ერთგვარ პუნქტებად. სარიყამიში ბოლო სარკინიგზო სადგურსა და რუსეთ-ოსმალეთის I მსოფლიო ომამდელ სასაზღვრო ქალაქს წარმოადგნდა, ხოლო ტრაპიზონი და ბათუმი, კავკასიის ფრონტის ხაზთან მდებარე უახლოეს საზღვაო პორტებს. გადეზერტირებულ ჯარისკაცთა და მატროსთა ამ დამანგრეველ ნაკადებს, მათი გადაადგილების მთელ მარშრუტზე „მოროდიორული შლეიფი“ მიუყვებოდა უკან. კავკასიის ფრონტის სწორედ ეს „რევოლუციონერი“ ჯარისკაცები და შავი ზღვის ფლოტის მატროსები იქცნენ სოჭის ოლქის წითელი გვარდიის ძირითად ბირთვად, ხოლო სოხუმის ოლქში – „ბოლშევიკური რევოლუციის“ მაპროვოცირებელ მთავარ ფაქტორად. ამ „რევოლუციის“ მთავარ არსს კი, არსებული ადგილობრივი ხელისუფლებების დამხობა, „პროლეტარიატის დიქტატურის“ დამყარება და ექსპროპრიაცია-კონფისკაციების ჩატარება წარმოადგენდა. ცხადი იყო, რომ ლენინურ-ბოლშევიკური ლოზუნგები – „Бей буржуев!“, და „Грабь награбленное!“, აგრესიული მოწოდებების ფორმიდან რეალური ხორცშესხმის ფაზაში შედიოდა.

უკვე 1918 წლის 16 თებერვლისათვის, ისარგებლა რა ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ოსმალური შენაერთების მიერ კავკასიის ფრონტის გარღვევით, საერთო ქაოსითა და ამიერკავკასიის მთავრობის შეიარაღებული ძალების სისუსტით, რუსი ბოლშევიკების სამხედრო დახმარების იმედით აფხაზეთის ბოლშევიკთა ე. წ. „სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა“ ეფრემ ეშბას ხელმძღვანელობით სოხუმში ხელისუფლების სადავეები იგდო ხელთ. ე. წ. „საბჭოთა ხელისუფლების“ დამყარება კი, სოხუმის პორტში შავი ზღვის ესკადრის დამხმარე კრეისერ „Дакия“-ს შე-

მოსვლას უკავშირდება, რომელიც კავკასიის ფრონტიდან წამოსული დეზერტირი და გარევოლუციონირებული მატროსებით იყო დატვირთული. როგორი იყო კრეისერის მარშრუტი? რას წარმოადგენდა მისი ეკიპაჟი და რითი იყო იგი დაკავებული? ამ კითხვებზე პასუხს საარქივო დოკუმენტები იძლევიან: „Дакия“, რომელიც თვეზე მეტ ხანს დაცურავდა შავ ზღვაში და ტრაპიზონში ნაძარცვი საბრძოლო აღჭურვილობითა და საინტენდანტო ქონებით ვაჭრობდა, შიშსა და ძრწოლას თესავდა შავი ზღვის ყველა იმ ქალაქში, სადაც კი შედიოდა. მისი ეკიპაჟის მიერ დანგრეულ იქნა იალტა, დაბომბილ იქნა ტრაპიზონი და ა.შ. იგივე ეკიპაჟი წინა რეიდების დროს ორჯერ დაეცა რუკოვიშნიკოვის აგარაკს სოხუმში და გაძარცვა იგი“... [1, 2-11]

აი, ასეთი „იდეური რევოლუციონერებით“ დატვირთულმა კრეისერმა ჩაუშვა ღუზა სოხუმის რეიდზე, მორიგი ვოიაჟის შემდეგ, 1918 წლის 15 თებერვალს. და გასაგებია თუ რა ჩანაფიქრები და მიზნები ექნებოდათ ხომალდის კაპიტანსა და მის „რევოლუციურ“ ეკიპაჟს. მეტად ნიშანდობლივია საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ სოხუმში არსებული იმდროინდელი ვითარების აღწერა, სადაც ნათლად ჩანს საბჭოთა პროპაგანდისტული იდეოლოგიის მთელი სიყალბეც და ისტორიის ფალსიფიკაციის აშკარა მცდელობაც: „მეტად დაძაბული მდგომარეობა იყო სოხუმში. აქ თავმოყრილი იყვნენ ყოფილი მეფის ოფიცრები, ყოყოჩა თავადები, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენტები, რომლებიც მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ თავაშვებულ აგიტაციას ეწეოდნენ, მაგრამ მათ საპირისპიროდ სოხუმში მძლავრი ბოლშევიკური პარტიული ბირთვი მოქმედებდა და მემამულურ-ბურჟუაზიულ ბანაკზე იერიშის მისატანად ძალებს იკრეფდა“ [2, 443]. ნაცნობი, მაგრამ უკვე საფუძვლიანად გაცვეთილი ფრაზეოლოგიაა ამ ერთ წინადადებაში – „ყოყოჩა თავადები“, „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენტები“, „მუშურ-გლეხური რევოლუცია“, „მძლავრი ბოლშევიკური პარტიული ბირთვი“, „მემამულურ-ბურჟუაზიული ბანაკი“... მაგრამ მხოლოდ პროპაგანდისტული და ბელეტრისტიკული ფრაზეოლოგიის უხვად ხმარებაში არაა აქ საქმე. ამ ამონარიდთან დაკავშირებით ყველაზე მთავარი და არსებითი ისაა, რომ რამდენი სიტყვაცაა მასში, იმდენი სიცრუეა დანთხეული საბჭოური იდეოლოგიის მიერ, იდეოლოგიურად შეფუთული ლამაზი ტყუილი.

სოხუმის ე. წ. „გასაბჭოების“ უშუალო საბაბად კი, ერთობ პროზაული მომენტი იქცა – სოხუმის პორტში გადმოსულ მატრო-

სებსა და აფხაზ თავადს, „კავკასიის ველური დივიზიის“ ყოფილ ოფიცერს, პორუჩიკ ნიკოლოზ ემუხვარს შორის მომხდარი ინცინდენტი, როდესაც „რევოლუციონერმა“ გალეშილმა ჯარისკაცებმა სამხრეების ჩამოგლეჯა დაუპირეს თავადს. ცხადია, თავმოყვარე და ღირსების მქონე ოფიცერმა ჯარისკაცთა თავხედური მოქმედებების შესაბამისად იმოქმედა. მან ერთი ჯარისკაცი იქვე მოკლა, მეორე დაჭრა, თვითონ კი – მიიმალა. „Дакия“-ს კაპიტანმა სოხუმის ხელისუფალთ ემუხვარის გადაცემა მოსთხოვა, რაც ამ უკანასკნელთა მხრიდან დროზე ვერ იქნა დაკმაყოფილებული. ამას კი, „Дакия“-ს საგემბანო ატილერიიდან სოხუმის დაბომბვა, ბორტზე მყოფი გავეშებული პირადი შემადგენლობის ქალაქში გადასვლა და მოსახლეობის მასობრივი დატერორება მოჰყვა შედეგად.

სოხუმში განვითარებული მოვლენების შესახებ სოხუმის ოლქის კომისარი, ზახაროვი, ამიერკავკასიის კომისარიატის შინაგან საქმეთა კომისარს, აკაკი ჩხენკელს ატყობინებდა: „თებერვლის 15-ს ერთმა მეზღვაურმა შეურაცხყო აფხაზთა ასეულის აფიცერი ემუხვარი. მან მეზღვაური მოჰკლა. იშბაიამ (ეფრემ ეშბამ – ა. ჩ.), სვანიძემ და სხვებმა ისარგებლეს ამ ინცინდენტით და მეზღვაურებში აღელვება გამოიწვიეს. მათ ჩააგონეს მეზღვაურებს რომ თავადები მეზღვაურების წინააღმდეგ ილაშქრებენო. შეადგინეს სამხედრო სარევოლუციო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ თვითონ და რამოდენიმე მეზღვაური. მათვე მიეკედლა მოხალისე მოყარაულეთა როტა. ემუხვარი გაიქცა, მაგრამ დრანდის მცხოვრებლებმა იგი შეიპყრეს, ჩამოიყვანეს სოხუმში და ნაღმოსანზე მყოფ მეზღვაურებს გადასცეს. მეზღვაურებმა ოფიცერი ემუხვარი ორთქლში ჩაახრჩვეს, მასთან დაჭერილი ცხენოსანი კი, გაგლიჯეს“... [3].

დიახ, ასე დაიწყო რუსეთის „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ გამოძახილი სოხუმში, და ბრძოლისა და დასჯის ასეთი მეთოდები იქნა გამოყენებული „კონტრრევოლუციონერებისა“ და „რევოლუციის მტრების“ წინააღმდეგ. შემდეგ კი, ფერები უფრო გამუქდა და სოხუმი და სოხუმის ოლქი საომარი მოქმედებების ზონად გადაიქცა: „მოდარაჯეთა პოლკმა ამ დროს გაანთავისუფლა ტუსაღები. განთავისუფლებულები მოდარაჯეთა პოლკს მიემხრნენ. ქალაქში და მის მიდამოებზე ჰიდროპლანები ირეოდნენ და ყუმბარებს ისროდნენ ეშხერში (ეშერა – ა. ჩ.), სადაც აფხაზთა სახალხო საბჭო გაემგზავრა. მოჰკლეს 2 ბავშვი. წითელი გვარდია მარტო დარჩა და იძულებული იყო ეშხერისაკენ წასული-

ყო და აფხაზებს შეერთებოდა. თებერვლის 19-ში მოვიდა ჯავშნოსანი „პრინც კარლი“ და ხანგრძლივი სროლა აუტეხა ქალაქს. შემდეგ სროლა ეშხერებზეც გადმოიტანა. თავზარდაცემული მაცხოვრებლები გაიქცნენ. გამეფდა ცარცვა გლეჯა... ქალაქს გადაახდევინეს კონტრიბუცია 15000 მანეთი“ [4].

გაზეთ „სახალხო საქმის“ 20 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში კი, სათაურით, „საშინელი ამბები სოხუმიდან“, სოხუმში განვითარებული მოვლენები ასეა აღწერილი: „...დაიწყო ქლაქში სრული ანარქია. აფხაზთა რაზმი იძულებული შეიქმნა გასულიყო ქალაქს გარეთ. აქ მოელის აფხაზთა პროვინციებიდან დამხმარე რაზმებს. მართვა-გამგეობა ბოლშევიკების ხელშია. ქალაქში განუწყვეტელი სროლაა. ორთავე სამხედრო გემები განუწყვეტლივ უშენენ ქალაქს ზარბაზნებს. ქალაქის თავი ჩხიკვიშვილი და ოლქის კომისარი ქალაქში ორი დღეა არ არიან. ფიქრობენ ქალაქ გარეთ აფხაზებთან პროვინციებში თათბირობენ, რათა თავიდან აცილებული იქნეს ნაციონალური განხეთქილება, რომელსაც პროვოკატორები ეცდებიან გააჩაღონ და საერთო ძალით შეეცადონ წესიერების აღდგენას“ [4]. „ბოლშევიკი ჯარისკაცების“ მიერ ქალაქის მოსახლეობის დარბევები, ძარცვა-გლეჯა და სისხლიანი ანგარიშსწორებები დაიწყო. ამ მდგომარეობით კარგად ისარგებლეს ბოლშევიკებმა ეშბამ, სვანიძემ, ლაკობამ, და სასწრაფოდ შეუდგნენ „რევოლუციური ნაპერწკლის აალებას“. სოხუმის „რევკომი“ აფხაზთა სახალხო საბჭოსა და მთლიანად აფხაზ ხალხს დაუპირისპირდა. მერე რა, რომ სოხუმი და მისი გარშემოგარენი საგემბანო მძიმე არტილერიით იბომბებოდა, მერე რა, რომ ქალაქს ავიაცია ურტყამდა, მერე რა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპებოდა, მერე რა, რომ ბავშვები იხოცებოდნენ, მერე რა, რომ ქალაქში ე. წ. „ბოლშევიკები“ და კრიმინალები დათარეშობდნენ, მერე რა, რომ მოროდიორობამ და ძარცვა-გლეჯამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, მერე რა, რომ სოხუმი ბოლშევიკური ტირანიის პოლიგონად იქცა საქართველოში, მერე რა, რომ... და კიდევ ბევრი „მერე რა“. როგორც ვხედავთ, უსასრულოდ შეიძლება კაცთა მოდგმის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედებების ამ ჩამონათვლის გაგრძელება. მთავარს ხომ ლენინურ-ტროცკისტული მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეები, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება და მუშათა და გლეხთა უნიფიცირებული საბჭოთა იმპერიის შექმნა წარმოადგენდა.

ზემოთ მოყვანილი პროცესების პარალელურად, ამუშავებას იწყებს ბოლშევიკური ოკუპაციის ჩვეული სქემა, რაც სხვა ქვეყანაში

ჯარების შეყვანამდე ითვალისწინებდა ადგილზე უკმაყოფილებისა და ვითომ სახალხო აჯანყების ინსპირირებას, „მშრომელთა ინტერესების დამცველი“ ე. წ. „რევკომების“ შექმნას და მის დროებით მთავრობად გამოცხადებას. ბოლო ფაზას კი წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთისათვის დახმარების თხოვნით მიმართვა და ქვეყანაში რუსული სამხედრო შენაერთების შემოყვანა. ოკუპაციის ამ სქემას საბჭოელები წარმატებით ანხორციელებდნენ უკვე შემდეგშიც, ათწლეულების განმავლობაში...

აქ მოყვანილი სქემის შესაბამისად, სოხუმშიც შეიქმნა ე.წ. „რევოლუციური კომიტეტი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მას სათავეში ეფრემ ეშბა ჩაუდგა, რომელიც მანამდე არალეგალურად ცხოვრობდა ტრაპიზონსა და ბათუმში და რევოლუციურ ტალღას შემოჰყვა აფხაზეთში. ნიკოლოზ სვანიძეს, ეფრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას მალე გევორქ ათარბეგოვიც უერთდება, ეფრემ ეშბას სტუდენტობისდროინდელი მეგობარი და თანამოაზრე, ე.წ. „პრავდისტთა“ არალეგალური ჯგუფის წევრი [5, 12]. ამ ე. წ. „რევკომის“ მიერ სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. „რევკომის“ მიერ სასწრაფოდ გამოცემულ ბიულეტენში კი ნათქვამი იყო: „Знайте, товарищи и граждане, что власть в твердых руках и всякий, посягнувший на нарушение революционного порядка, будет предан военно-революционному суду“.

მოკლედ რომ ვთქვათ, სოხუმს „ოქტომბრის რევოლუციის“ პირველმა ზვირთმა გადაუარა და აქ „რევოლუციური წესრიგი“ დამყარდა. „წესრიგის“ უზრუნველსაყოფად კი, სასწრაფოდ შეიქმნა ბოლშევიკთა ე. წ. „სამხედრო-საველე სასამართლოც“, რომლის მეშვეობითაც დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა „კონტრრევოლუციასთან“. საბჭოთა და რუსული ისტორიოგრაფიის მიერ სოხუმში განვითარებული ეს ბანდიტური მოვლენები უმალ სოციალისტურ რევოლუციად და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებად იქნა მონათლული. რეალურად კი, როგორც ვნახეთ, ეს იყო შავი ზღვის ფლოტის გარევოლუციონერებული მატროსების, კავკასიის ფრონტის დეზერტირი ჯარისკაცებისა და სოხუმის საპყრობილედან გამოშვებული „კერენსკის ბარტყების“ – ადგილობრივი კრიმინალების სისხლიანი თარეში, რომლებმაც მოკლე ხანში გააპარტახეს შავი ზღვის ეს ულამაზესი ქალაქი.

ქალაქის მოთარეშებისა და მნიშვნელოვანი „კონტრიბუციის“ ართმევის შემდეგ, მალე კრეისერი „Дакия“ ტოვებს სოხუმის პორტს, მას კი მორიგი „რევოლუციური ხომალდები“, საესკადრო

ნაღმოსანი „Дерзкий“ და ჯავშნოსანი „პრინც კარლი“ („Король Карлос“) და მათი ეკიპაჟები – გაბოლშევიკებულ ყაჩაღთა ახალი ბრბოები ესხმიან თავს. ქალაქ სოხუმს „ოქტომბრის რევოლუციის მეორე ზვირთმა“ გადაუარა. როგორც პროფესორი სვეტლანა ჩერვონნაია აღნიშნავს: „რევკომის“ სამხედრო ძალა – შავი ზღვის ფლოტის რევოლუციურად განწყობილი მეზღვაურები კრეისერ „Дакия“-დან და სატორპედო კატარღა „Дерзкий“, თავისი მხეცობებით შიშსა და ტერორს თესავდნენ აფხაზეთის მოსახლეობაში“ [6].

სისხლის სამართლის დამნაშავეების, გაყაჩაღებული მატროსებისა და ბოლშევიკი უზურპატორების წინააღმდეგ აგორებულ მასობრივ სახალხო წინააღმდეგობას აფხაზთა სახალხო საბჭო ჩაუდგა სათავეში. ისევ ოლქის კომისრის, ზახაროვის ჩხენკელისადმი მიმართვის ტექსტიდან: „ჯავშნოსნის წასვლის შემდეგ წითელი გვარდიელები შეუერთდნენ აფხაზებს, ბერძნებს, სომხებს, შევიდნენ ქალაქში, იარაღი აჰყარეს მოდარაჯეთა როტას და ქალაქში წესიერება ჩამოაგდეს. შედგა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომიტეტი. მეგრელები ბოლშევიკებს უთანაგრძნობენ. გთხოვთ მათ ავტორიტეტული სიტყვით მიმართოთ. საჭიროა სოხუმში სამხედრო ნაწილის შექმნა. ასეთი იქნება აფხაზთა ბატალიონი, რომელიც მოითხოვს ყოველმხრივ დახმარებას“ [7]. რაც შეეხება აკაკი ჩხენკელს და მის პოზიციას სოხუმში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ჩხენკელმა ბოლომდე ადეკვატურად ვერ აღიქვა სოხუმში განვითარებული მოვლენების მთელი სერიოზულობა. მან „ავტორიტეტული სიტყვით მიმართვისათვის“ საკუთარი უფლებამოსილებების დელეგირება ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გადასცა.

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, 1918 წლის თებერვალში სოხუმში დატრიალებული სისხლიანი ვანდეა[13] არა ქართულ-აფხაზური ეთნიკური დაპირისპირება იყო, რის კულტივირებას ადრეც ცდილობდნენ, და ახლაც ცდილობენ იმპერიული და სეპარატისტული ძალები, არამედ – ქართულ-რუსული იდე-

[13] ვანდეა (ფრანგულად Vendée) – ისტორიული დეპარტამენტი საფრანგეთის ჩრდილო-დასავლთ ნაწილში, ლუარის რეგიონში. შეიქმნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში – 1790 წელს. ოპოზიციისა და როიალისტური კონტრრევოლუციის მთავარი კერა, 1793 წელს დაწყებული კონტრრევოლუციური ამბოხება, სადაც XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ხდებოდა გლეხთა გამოსვლები სამღვდელოებისა და მემამულეთა მეთაურობით.

ოლოგიური ომის შემადგენელი ნაწილი, ბოლშევიკურ-კრიმინალური აგრესია საქართველოსა და იქ მაცხოვრები ხალხის წინააღმდეგ, და ამ ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. ბოლშევიკური შეიარაღებული აგრესიის მიზანს კი, საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამყარება და განმტკიცება, შემდეგ კი, ახალი ტიპის ბოლშევიკური იმპერიის შეკოწიწება წარმოადგენდა, რასაც ხალხი აღუდგა წინ. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, რომ ამ ე. წ. „რევოლუციის“ ჩახშობის საქმეში, სოხუმის მოსახლეობის დიდი ნაწილი – ქართველები და აფხაზები, ისევე როგორც ბერძნები და სომხები, ერთად იდგნენ.

ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ამ მომენტისათვის მსგავსი პროცესები საქართველოს სხვა კუთხეებშიც დაიწყო. კერძოდ, სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში, ძველი რევოლუციონერებისა და ბოლშევიკების, ალექსი (საშა) გეგეჭკორისა[14] და შალვა ასკურავას ხელმძღვანელობით. ცხადი იყო, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში დაწყებული შეიარაღებული გამოსვლები ბოლშევიკთაგან იყო ინსპირირებული და იგი ერთიანი სტრატეგიული გეგმით, ჩრდილოეთიდან იმართებოდა. სამეგრელოში, ბანძის მოსახლეობის წინაშე გამოსვლისას, შალვა ასკურავა აცხადებდა: „თქვენ მე აქ მარტო არ გეგონოთ. ჩემი ამხანაგები „ბალშევიკები“ სხვაგანაც ბლომად მუშაობენ. დღეს თუ არა, ხვალ, ისინიც შემოგვიერთდებიან. მთელი რაჭა-ლეჩხუმი, სოხუმი და ბაქო დღეს ჩვენს ხელშია და

---

[14] ალექსი (საშა) გეგეჭკორი (1887-1928) – ძველი პროფესიონალი რევოლუციონერი და ცნობილი ბოლშევიკი, ტერორისტი, საბჭოთა და პარტიული მოღვაწე. 1902 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე. ბოლშევიკური ტერორისტული ჯგუფის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. რსდმპ(ბ) წევრი 1908 წლიდან. 1917 წელს ქუთაისის ბოლშევიკთა ბიუროს შემქმნელი. 1918 წლის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოში მოქმედი ბოლშევიკთა საბრძოლო შტაბის ხელმძღვანელი და ბოლშევიკური აჯანყების ლიდერი. იმავე წელს დუშეთის მაზრის ბოლშევიკური აჯანყების ხელმძღვანელი. 1919 წლიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ბოლშევიკური შეიარაღებული რაზმების მეთაური. 1920 წელს მეტეხის ციხის პატიმარი. 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე გათავისუფლებული. საქართველოს გასაბჭოების აქტიური მონაწილე. 1921 წელს ქალაქ თბილისის რევოლუცური კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს რევკომის წევრი. 1922-1924 წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

შორს არაა ის დროც, როდესაც შეერთებული ძალით ძირს დავსცემთ ამიერკავკასიის სეიმს და მთავრობას, და მტკიცე ზავს ჩამოვაგდებთ“ [8].

შალვა ასკურავასთან დაკავშირებით ერთობ საინტერესო და ნიშანდობლივია სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსის, ვალიკო ჯუღელის[15] ის მოგონებები, სადაც კარგად ჩანს „მშრომელთა მასების ბედნიერებისათვის დამაშვრალი“ ამ ბოლშევიკი ლიდერების ზნეობრივი და მორალური სახე. ვალიკო ჯუღელი: „...აუცილებელია სწრაფად გავანადგუროთ ავაზაკთა ბანდები. ამ ბანდების სათავეში სდგანან ყოფილი ჩაფრები, ყოფილი მელა ოჩიგავა, უნიჭო შალიკო ასკურავა და შანტაჟისტი მიშა გეგეჭკორი. თმახუჭუჭა შალიკოსთან ერთად მე ვიჯექი მეტეხის ციხეში ერთი პროცესის – ბოლშევიკების პროცესის გამო. ეს იყო რევოლუციამდე და მე ვიყავი მაშინ მტკიცე ბოლშევიკი,[16] თუმცა ფრაქციონერად მე თავს არასდროს არ ვთვლიდი. დამფუძნებელი კრების გარეკვამ საბოლოოდ დამაშორა აფეთქებულ ბოლშევიზმს და მე გავხდი უბრალოდ სოციალ-დემოკრატი... დიახ, ასკურავა ბოლშევიზმისათვის იჯდა, მარა ამას გარდა ის იყო პასუხისგებაში მიცემული იმის გამო, რომ ინახავდა ყალბ ბლანკებს და ბეჭედს სამოქალაქო სასწავლებლის კურსის დამთავრების შესახებ, ყალბი მოწმობების დასამზადებლად.

სულელი, უკულტურო ბავშვი, რომელმაც გოგოლის ქალის მსგავსად არ იცის „სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“. და ახლა ის ჩემი მოწინააღმდეგეა და მას უჯერიან უბედური სოფლელები... ეს ძალიან სასაცილოა, ძალიან სამწუხარო რომ არ იყოს“ [9].

---

[15] ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წითელი, მოგვიანებით სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი და ფაქტიური სარდალი, ვალიკო (ვლადიმერ) ჯუღელი სოხუმელი იყო, აფხაზეთის მკვიდრი. მისი მოხუცი მშობლები სოხუმში ცხოვრობდნენ. აფხაზეთის ბოლშევიკური ოკუპაციისა და 1918-1919 წლებში ბოლშევიკთა და თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ისინი ფარულ მისამართზე ცხოვრობდნენ სოხუმში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მათ ქალაქი არ დაუტოვებიათ.

[16] გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, ვალიკო ჯუღელი, თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ბოლშევიკი იყო და შემდეგ გახდა მენშევიკი, განსხვავებით საბჭოთა რუსეთის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის, ლევ ბრონშტეინ-ტროცკისაგან, რომელიც პირიქით – ორთოდოქსი მარქსისტი მენშევიკიდან ბოლშევიკად იქცა.

მალე ბოლშევიკთა მიერ ინსპირირებულმა აჯანყებებმა და ანარქისტულმა პროცესებმა შიდა ქართლის ჯავისა და ცხინვალის რაიონები და დუშეთის მაზრაც მოიცვა.

ბოლშევიკური ე. წ. „რევოლუცია" კი, აფხაზეთში ისევე მოულოდნელად დასრულდა, როგორც დაიწყო. „Дерзкий"-ისა და მისი გარევოლუციონირებული მატროსების მიერ სოხუმის მორიგი მოთარეშების შემდეგ, საესკადრო ნაღმოსანმა 21 თებერვალს პორტი დატოვა. როგორც კი „Дерзкий" თვალს მიეფარა, სოციალ-დემოკრატებმა მთელი თავისი ძალების მობილიზაცია მოახდინეს. ანარქიას, უკანონობასა და განუკითხაობასთან საბრძოლველად ჩამოყალიბდა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომიტეტი", ქალაქის თავის, ბენია ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით. კანონიერებისა და მართლწესრიგის აღსადგენად სოხუმის ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა რიგი ზომებისა. აფხაზთა სახალხო საბჭომ, ცხადია, ისევ ქართველი სოციალ-დემოკრატების მხარე დაიკავა. სოხუმის მოსახლეობამ თავის თავზე იწვნია ერთი მუჭა ავანტიურისტი ბოლშევიკების, კრიმინალებისა და გარევოლუციონირებული ყაჩაღური ბრბოების თავნებობა და სისხლიანი თარეში. „სასოწარკვეთილებამდე მისული აფხაზები, – წერდა ქალაქ სოხუმის თავი, ბ. ჩხიკვიშვილი, – რომლებიც ლოიალურად იყვნენ განწყობილნი ქართველებისა და სხვა ხალხებისადმი, შეიძლება იქამდეც კი მივიდნენ, რომ თურქებს სთხოვონ დესანტი, თუ ჩვენი მხრიდან არ იქნება მიღებული ზომები წესრიგის აღსადგენად" [10, 404].

ნაღმოსანმა და მისმა ეკიპაჟმა სოხუმი დატოვა, ხოლო ადგილობრივმა შეიარაღებულმა ბანდიტებმა და ციხიდან გამოშვებულმა კრიმინალებმა სასწრაფოდ დატოვეს სოხუმი და დრანდის რაიონს შეეფარნენ. საკუთარი თავი მათ ბოლშევიკებად გამოაცხადეს. აქვე დაიწყეს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის შემოკრება „აფხაზებისა და მენშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად" [11, 454].

საბჭოთა და სეპარატისტი იდეოლოგები 1918 წლის თებერვალში სოხუმის ოლქში განვითარებულ ამ მოვლენებს, რა თქმა უნდა „სოციალისტურ რევოლუციად" ნათლავენ და საგულდაგულოდ ნიღბავენ მის არსს, თუმცა მაინც ვერ ახერხებენ ბოლომდე დამალონ რეალური სურათი. ასე მაგალითად, ცნობილი აფხაზი საბჭო-

თა, პარტიული და სახელმწიფო ფუნქციონერი, მიხეილ ბღაჟბა,[17] თავის პუბლიცისტურ ნაშრომში „ნესტორ ლაკობა“, ამ ამბების შესახებ წერს: „ბოლშევიკი აგიტატორები უწყვეტად აწარმოებდნენ რევოლუციურ მოღვაწეობას აფხაზეთის სოფლებსა და ქალაქებში. სულ უფრო მეტი და მეტი მშრომელი ერთიანდებოდა ამბოხებულთა რაზმებში. აფხაზურ სოფლებში ინტენსიურად მიმდინარეობდა ღატაკთა მასების თავმოყრა ბოლშევიკთა გარშემო. სოფლის მშრომელი მასები, და პირველ რიგში ღარიბები, სულ უფრო მძლავრად გამოდიოდნენ მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივი კონფისკაციისა და განაწილების მოთხოვნით. ზოგიერთ სოფელში გლეხები სიტყვიდან საქმეზე გადადიოდნენ და ძალით იტაცებდნენ მიწებს“ [12, 21]. ისევ ტიპიური ტერმინოლოგია – „მშრომელთა მასები“, „ბოლშევიკი აგიტატორები“, „ღარიბი მასები“, „მემამულეები“... მაგრამ აქ ეს არ არის არსებითი. მთავარი და საინტერესო ის რეალობაა, რომ ბოლშევიკ პროვოკატორთა მიერ შეგულიანებულმა და თავგზააბნეულმა გლეხობამ მართლაც დაიწყო მიწებისა და სხვათა ქონების ძალისმიერი დატაცებები, ანუ, შეუდგა „რევოლუციური ალის“ აგიზგიზებას...

ამავე საკითხთან მიმართებაში კი, საარქივო დოკუმენტები გვაუწყებენ: „...მიწების დატაცებამ მასობრივი ხასიათი მიიღო... აფხაზეთში, ქუთაისის გუბერნიაში. აფხაზეთის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დიდი მთავრის, რომანოვის მამულებს „სინოპსა“ და „გიაურს“ სეკვესტრი დაადო“ [13, 376]. დიახ, სწორედ მარქსისტული „რევოლუციური ექსპროპრიაცია-კონფისკაციები“ და ლენინური ლოზუნგის – „Грабь награбленное!“-ს რეალიზაცია წარმოადგენდა აფხაზეთის „პირველი ბოლშევიკური რევოლუციის“ ძირითად არსსა და მიზანს. ფაქტები უამრავია, რაც საარქივო დოკუმენტებითაც დასტურდება. მაგალითად, ათონის მონასტრის არქიმანდრიტი ილარიონი თბილისის სამხარეო კომისარიატს შეშფოთებით წერდა, რომ აფხაზები, ლიხნის კომიტეტის რწმუნებულის,

[17] მიხაილ ბღაჟბა (1915-1993) – საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, პუბლიცისტი. 1945 წლიდან სხვადასხვა საბჭოთა და პარტიულ თანამდებობებზეა. 1957 წლამდე საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი. 1957-1958 წლებში აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. 1958-1965 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

მიხაილ მიქანბას ხელმძღვანელობით იკავებდნენ ახალი ათონის სამონასტრო მიწებს, ახდენდნენ მონასტრის კუთვნილი საქონლისა და სამეურნეო იარაღის რეკვიზიციას, ჩეხავდნენ კულტურულ ნათესებს, აჩანაგებდნენ სამონასტრო მეურნეობას [14, 15-16]. გაზეთ „Возрождение“-ს რედაქტორი, ნიკოლაი მაზურკევიჩი კი, გაზეთის 12 მარტის ნომერში წერდა: „Вчера в 7 часов в Новом Афоне дерзко ограблен Земсоюз, взята касса, 20000 отчетные приходо-расходной бумаги. Абхазцы без ведома абхазского Совета категорически решили реквизировать частично монастырскую землю, продать монастырский скот“ [15, 71].

აღნიშნულ მოვლენათა შედეგების ლიკვიდაციისა და სოხუმის ოლქში საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის მიზნით, 1918 წლის 4 მარტს, სოხუმში გაიხსნა გლეხთა დეპუტატების II ყრილობა, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების 300-მდე დელეგატი მონაწილეობდა: აფხაზები, ქართველები, სომხები, რუსები, ბერძნები, ესტონელები და სხვა. პირველი სხდომა არზაყან ემუხვარმა[18] გახსნა, სხდომის თავმჯდომარედ კი ერთხმად იქნა არჩეული ბ. ჩხიკვიშვილი [16].

საბოლოოდ, 4-9 მარტს სოხუმში გამართულ გლეხთა II ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გატარების საფუძველზე, მოსახლეობის მიერ სოხუმის ოლქსა და მთლიანად აფხაზეთში მოხერხდა ერთი მუჭა ავანტიურისტებისა და კრიმინალების სისხლიანი თარეშის აღკვეთა და მდგომარეობის დასტაბილურება. ამავე დროს, ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის შესვლის შესახებ ამიერკავკასიის ხალხთა ერთიან ოჯახში, რათა

---

[18] არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი (1880-1939) – ცნობილი აფხაზი და ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ძველი აფხაზური არისტოკრატული გვარის წარმომადგენელი. ძველი რევოლუციონერი, „მესამე დასის“ წევრი. სოციალ-დემოკრატი მენშევიკი, რსდმპ წევრი 1902 წლიდან. 1905-1907 წლებში ე. წ. „სოხუმის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელი. 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ОЗАКОМ) რწმუნებული სოხუმის ოლქში. 1919 წლიდან აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი და აფხაზეთის პირველი მთავრობის – აფხაზეთის კომისარიატის პირველი თავმჯდომარე. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლის მარტიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციაშია. გარდაიცვალა 1939 წელს პარიზში. დაკრძალულია ლევილის ქართული სათვისტომოს სასაფლაოზე.

„დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად გამოჭედილიყო უკეთესი მომავალი“.

სოხუმის თვითმმართველობის ორგანოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევის ფასად მოხერხდა ერთი მუჭა ბოლშევიკი ავანტიურისტებისა და კრიმინალური ბანდების თარეშის აღკვეთა სოხუმის ოლქში. „მგზნებარე რევოლუციონერებისათვის“ ბოლშევიკური გადატრიალების პირველი მცდელობა კი, როგორც აფხაზეთში, ასევე საქართველოს სხვა კუთხეებში, წარუმატებული და ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა.

ბოლშევიკთა მიერ აფხაზეთის „სოვეტიზაციის“ უფრო მძიმე და ხანგრძლივ ექსპერიმენტს, რომელიც ВЧК-ს წამება-დახვრეტის პოლიგონად იქცა, 1918 წლის გაზაფხულზე ჰქონდა ადგილი, ვიდრე ეს 1918 წლის თებერვალში იყო. თავისთავად ცხადია, რომ პოლიტიკური სტაბილიზაციის შენარჩუნება ამიერკავკასიასა და საქართველოშიარ შედიოდა კრემლის გეგმებში და გაზაფხულზე ბოლშევიკებმა კვლავ შეძლეს აქ მორიგი ამბოხის პროვოცირება. ამ დროისათვის ამიერკავკასიაში ბოლშევიკთათვის რამდენადმე ხელსაყრელი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. აფხაზი ბოლშევიკების გათვლა მარტივი იყო. საქმე იმაშია, რომ ამ დროისათვის ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალები, ქართული და სომხური ნაწილები უმძიმეს თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდნენ გენერალ მეჰმედ ვეჰიბ ფაშას ოსმალთა მე-3 არმიის დივიზიების წინააღმდეგ ტრაპიზონი-ბათუმისა და ყარსი-ალექსანდროპოლისის შესანარჩუნებლად, რითაც ბოლშევიკებმა კარგად ისარგებლეს. გარდა ამისა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ბოლშევიკურ-დაშნაკურმა სამხედრო-პოლიტიკურმა ალიანსმა, რომელსაც ამიერკავკასიაში ლენინის საგანგებო კომისარი და რწმუნებული, სტეფანე შაუმიანი ხელმძღვანელობდა, ისარგებლა ამიერკავკასიაში არსებული საერთო ქაოსით და 1918 წლის მარტში, ზემოთ აღწერილი სქემით, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

ასეთ ვითარებაში, ბათუმში, მამია ორახელაშვილის,[19] ეფრემ ეშბას, ნესტორ ლაკობასა და გევორქ ათარბეგოვის, აგრეთვე შავი

---

[19] ივანე (მამია) ორახელაშვილი (1881-1937) – ცნობილი ქართველი ბოლშევიკი, საბჭოთა და პარტიული მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი, რსდმპ წევრი 1903 წლიდან, რსდმპ(ბ) ცეკას წევრობის კანდიდატი 1923-1926 წლებში, ცეკას წევრი 1926-1934 წლებში, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი 1934-1937 წლებში, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლი – მე-5 მოწვევების წევრი.

ზღვის ფლოტის წარმომადგენლის, ვინმე ივანოვის მონაწილეობით საგანგებო თათბირი გაიმართა, სადაც აფხაზეთში მორიგი შეიარაღებული აჯანყების მოწყობის გეგმა შემუშავდა. როგორც ვხედავთ, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებების დამყარების საქმეში გადამწყვეტ როლს შავი ზღვის რუსული ფლოტი და მისი ხომალდების გაბოლშევიკებული ეკიპაჟები თამაშობდნენ, მთავარ რევოლუციურ ძალად კი გარედან შემოსული, „რევოლუციურ მასებად" წოდებული დეზერტირ ჯარისკაცთა ბანდები უნდა ქცეულიყვნენ.

ეშბა იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ბათუმიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე იარაღის არალეგალურ გადაზიდვაზე შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურების მონაწილეობით. ნესტორ ლაკობა კი პირადად იღებდა აქტიურ მონაწილეობას იარაღის გადმოტანაში. აჯანყების საორგანიზაციო კომიტეტს ეფრემ ეშბა ჩაუდგა სათავეში, რომლის შტაბიც გუდაუთაში განთავსდა, სადაც შეიარაღებული რაზმების დამატებით აღსაჭურვად 2000 შაშხანა იქნა გადმოტვირთული [2, 443]. საბჭოთა ხელისუფლების დროებით ცენტრალურ ორგანოდ კი, ამჯერად აფხაზეთის საოლქო რევოლუციური კომიტეტი იქცა. მის თავმჯდომარედ სოხუმის ყოფილი რევკომის ყოფილი თავმჯდომარე, ეშბა იქნა არჩეული, მოადგილეებად კი – ლაკობა და ათარბეგოვი [5, 31].

დიახ, ე.წ. „აფხაზეთის რევკომის" წევრი, და უფრო მეტიც, მისი თავმჯდომარის მოადგილე გევორქ ათარბეგოვი იყო, ბოლშევიკური ტრადიციით „რკინის გევორქიად" წოდებული, ცნობილი პათოლოგი სადისტი და ჯალათი, შემდგომში ჩრდილოეთ კავკასიაში ВЧК-ს ორგანოების „ხელმძღვანელი მუშაკი". ზუსტად აქ, აფხაზეთში დაიწყო მისმა ჯალათურმა და „რევოლუციურმა ტალანტმა" გაფურჩქვნა, რომელმაც შემდგომ სრულყოფას უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში სამსახურისას მიაღწია. მასობრივი ტერორის ბოლშევიკური მანქანა ამუშავდა, ათარბეგოვის ხელმძღვანელობით კი, ჩეკისტები ხშირად მიმართავდნენ მძევლების აყვანისა და დახვრეტების პრაქტიკას [17, 82]. ათარბეგოვი თავისი სადისტური სისასტიკით ყველაზე დაუნდობელი ჩეკისტებისგანაც კი გამოირჩეოდა. „არმავირში წითელი არმიის უკან დახევის დროს ათარბეგოვმა ჩეკას სარდაფებში მყოფი რამდენიმე ათასი მძევალი დახვრიტა. და იმავე არმავირში დააკავა ქართველებით დატვირთული ეშელონი – ოფიცრები, ექიმები, მოწყალების დები, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაცემული საშვები, ათარბეგოვის

ბრძანებით ისინი მაინც ჩამოსვეს მატარებლიდან, სადგურის მოედანზე გაიყვანეს და ტყვიამფრქვევების ცეცხლით ყველა დახოცეს“ [18, 380] – აღნიშნავს თავის ნაშრომში რუსი ავტორი, ა. ივანოვი. მეორე რუსი ავტორი, ნ. ეფიმოვი კი, წერს: „ათარბეგოვი ერთ-ერთი მათგანი იყო, რომელიც საბჭოური მასობრივი ტერორის სისტემას უყრიდა საფუძვლებს“ [19].

და ეს კიდევ არაა ყველაფერი... ეს ჯერ კიდევ დასაწყისი იყო მისი და მისი თანამებრძოლების „რევოლუციური საქმიანობისა“. ნესტორ ლაკობა, „რკინის გევორქის“ მსგავსად, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდა ჩამოყალიბებულ პათოლოგ სადისტს, მაგრამ ძალადობისა და ტერორიზმის ასპექტში, იგი ტიპიური „პროფესიონალი რევოლუციონერი“ – ბოლშევიკი იყო. მათგან განსხვავებით, თავის პოლიტიკურ შეხედულებებსა და მოქმედებების ტაქტიკაში უფრო ზომიერი და თავშეკავებული ეფრემ ეშბა იყო, სამურზაყანოელი ქრისტიანი აფხაზი, საუნივერსიტეტო განათლების მქონე კაცი, ქართველ სოციალ-დემოკრატებთან დაახლოებული პიროვნება. მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეფრემ ეშბამ აფხაზური, უფრო ზუსტად, აფსუური ენა საერთოდ არ იცოდა, იგი მხოლოდ ქართულ და რუსულ ენებზე მეტყველებდა. დროისა და ეპოქის მოთხოვნები ცხადია, ეშბას მსგავს პერსონებს ბოლომდე ვერ აიტანდა. საჭირო იყო ლაკობას, ამ ეროვნებადაკარგული ექსტრემისტული იდეოლოგიის მატარებელი ე. წ. „აფხაზისა“ და I მსოფლიო ომის დეზერტირის, სადისტი ათარბეგოვის მსგავსი პიროვნებების არსებობა. რევოლუციასა და ბოლშევიკურ იდეოლოგიურ მანქანას გუდაუთელი ლაკობა – რადიკალური შეხედულებების, პლებეური ზნეობის მქონე „რევოლუციონერი“ და სადისტური გადახრების მატარებელი კოლექტიური ჯალათი-ათარბეგოვი სჭირდებოდა, რომლებსაც რევოლუციური და კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიის იქით, სხვა ინტელექტუალური და პიროვნულ-ზნეობრივი ღირებულებები არ გააჩნდათ.

აი, ასეთი პერსონები წარმოადგენდნენ ამ ახალი ე. წ. „აფხაზეთის რევკომის“ ხელმძღვანელებს და გასაგები ხდება თუ რა გზებითა და მეთოდებით იბრძოლებდნენ ისინი აფხაზეთში საბჭოთა რეჟიმის დამყარება-განმტკიცებისათვის. და აქვე იკვეთება ის დაპირისპირებაც, რაც თავისთავად წარმოიქმნებოდა ეფრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას, ამ განსხვავებული ზნეობისა და ღირებულებების მქონე აფხაზ ლიდერებს შორის.

ზემოთ ხსენებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ისარგებლეს რა ოსმალური სამხედრო აგრესიითა და ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალების სისუსტით, 1918 წლის 8 აპრილს ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სოჭი-ტუაფსეს ოლქში მოქმედი რუსი ბოლშევიკებისაგან მხარდაჭერილმა აფხაზმა ბოლშევიკებმა ადგილობრივი გლეხების ნაწილი ამიერკავკასიის სეიმის წინააღმდეგ კვლავ ააჯანყეს – ამიერკავკასიის, და არა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ – ამ მომენტისათვის „საქართველო“, როგორც სახელმწიფოებრივი ინსტიტუცია, უბრალოდ არ არსებობდა! მოქმედი პირები იგივენი – ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა, გევორქ ათარბეგოვი და ე. წ. „აფხაზეთის რევკომი“. „რევკომის“ ამ ჯგუფს ძველი რევოლუციონერი და ბოლშევიკი, სევერიან (სიოვა) კუხალეიშვილიც შეუერთდა. „რევოლუციური წესრიგის“ უზრუნველსაყოფად, რევკომის მიერ შეიქმნა აფხაზეთის წითელი გვარდია, სპეციალური კომისარიატის ხელმძღვანელობით. ამ კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში შევიდნენ კ. ინალ-იფა, ს. ქარდავა და ხ. კერსელიანი [12, 25]. დამატებით, საქმეში იქნა ჩართული „აფხაზეთის რევკომის“ გასამხედროებული ლაშქარი, ე. წ. „კიარაზის“ ბანდიტური რაზმები. რევოლუციის ამ ეტაპზე „აფხაზეთის რევკომის“ მიერ რევოლუციაში ჩასართველად გაბოლშევიკებულ რუს ჯარისკაცთა და მატროსთა მოძიება ვეღარ მოხერხდა. რუს ბოლშევიკებს საკუთარი პრობლემები გაუჩნდათ ჩრდილოეთ კავკასიასა და შავიზღვისპირეთში და მათ „აფხაზეთის მეორე პროლეტარული რევოლუციისათვის“ დროებით აღარ ეცალათ. ამიტომ აფხაზეთის „რევკომის“ ხელმძღვანელობით დამატებითი შეიარაღებული რაზმების ორგანიზება დაიწყო. ამბოხებულთა რაზმები იქმნებოდნენ სხვადასხვა – სამურზაყანოს (პ. ძიგუა, ი. ხაბურზანია), კოდორის (ს. კაპბა, ე. კობახია), გუმისთისა (ს. კუხალეიშვილი, ტ. მიასოედოვი) და გაგრის (ი. ანტონოვი, ჩ. აშხარუა) უბნებზე [20]. ამ რაზმების სამეთაურო შემადგენლობის დიდ ნაწილს ნაფრონტალი დეზერტირი ჯარისკაცები და შავიზღვისპირეთიდან შემოსული ბოლშევიკი აგიტატორები წარმოადგენდნენ.

იარალის შეტანისა და გლეხთა ადგილობრივი „კიარაზის“ ბანდფორმირებების გადაიარაღების შემდეგ, 1918 წლის 11 აპრილისათვის „რევკომის“ ძალები გუდაუთიდან სოხუმისაკენ დაიძრნენ. ქალაქის თავი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი ბენია ჩხიკვიშვილი: „ჩვენს მოვალეობას წარმოადგენდა ის, რომ არ შემოგ-

ვეშვა ქალაქში მოტყუებული შეიარაღებული ხალხი, მაგრამ ამისათვის საკმარისი ძალები არ გვყავდა. 70-80 კაცი გვყავდა 1500-ის წინააღმდეგ. ვერაფერი ვერ გავაწყვეთ და ამიტომაც 26 მარტის (ძველი სტილით – ა. ჩ.) ღამეს შეიარაღებულმა გლეხებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს და ცეცხლი გაგვიხსნეს. ყოველგვარ ზომებს ვიღებდით, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. სრული მორალური უფლება გვქონდა, რომ თავდამსხმელები ქალაქში არ შემოგვეშვა, რადგან არც ქალაქის თვითმმართველობა, არც მუშათა დეპუტატების საბჭოები, არც სოხუმის მოსახლეობა მათ არ უთანაგრძნობდა. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ძალები არ გაგვაჩნდა, სხვა გზა და სხვა გამოსავალი არ იყო. პირადად მე, დიდ გამარჯვებად ვთვლი იმას, რომ ვიმუშავეთ ღამით და არ დავუშვით სრულიად უდანაშაულო მოქალაქეების გაწყვეტა...

ასე შემოვიდნენ ისინი ქალაქში. ქალაქის მილიცია დაშალეს, პირველ დღეებში მოშალეს გადასახადების აკრეფა (ახლა დაშვებულია და ქალაქის მმართველობაში ორი კომისარიც დანიშნეს), აკრძალეს სიტყვისა და შეკრებების თავისუფლება და სხვა მსგავსი „ბურჟუაზიული გადმონაშთები“. თავდაპირველად დააპატიმრეს ორი უპატიოსნესი საზოგადო მოღვაწე, ამხ. შერვაშიძე და ზუხბაია, შემდეგ კი, მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ის. რამიშვილი, და კიდევ საბჭოს თავმჯდომარე...“ [21].

სოხუმის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ქალაქსა და აფხაზეთის ნაწილზე ისევ საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და ბაქოს მსგავსად აქაც შეიქმნა ე.წ. „სოხუმის კომუნა“. ეფრემ ეშბამ განაცხადა: „სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი თავის თავს იმ საბრძოლო, სამხედრო ორგანოდ თვლის, რომელმაც უნდა დაიცვას სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრები და ჩამოაყალიბოს მყარი, განსაზღვრული ხელისუფლება“ [5, 31]. რევოლუციის რა მონაპოვრების დაცვასა და როგორი ხელისუფლების ჩამოყალიბებაზე ოცნებობდნენ მაშინ ბოლშევიკები, ძალიან კარგად ცნობილი თემაა. მაგრამ ხელისუფლების ძალით მიტაცებისთანავე, აფხაზმა ბოლშევიკებმა უმალ დაივიწყეს ავტონომიისა და „ერთა თვითგამორკვევის“ საკუთარი დემოკრატიული ლოზუნგები და ე. წ. „რევკომის“ დოკუმენტებში უკვე ახალი ტერმინი ჩნდება, არა „აფხაზეთი“, არამედ – ისევ „სოხუმის ოლქი“. კარგად დავიწყებული ძველი იმპერიული ტერმინი.

ნესტორ ლაკობა: „ჩვენს პირველად ამოცანას ხელისუფლების აპარატის შექმნა წარმოადგენდა, აქტიური მენშევიკების გა-

ნადგურება (მეტად საინტერესო სიტყვაა აქ ნახმარი – Изъять... – ა. ჩაჩხიანი) და კონტრიბუციების დადება ადგილობრივ ბურჟუაზიაზე. და ამ საქმეში ჩვენ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტებით ვხელმძღვანელობდით" [12, 24]. აქ საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსა და მის მიერ გამოცემულ დეკრეტებზეა საუბარი – შესაბამისად, ბოლშევიკური მეხუთე კოლონის ჩამოყალიბებაც სახეზე გვაქვს. „ძარცვა-გლეჯა, როგორც ხელობა, რომელიც პატივისცემით სარგებლობდა კავკასიაში, ამჯერად ყოველდღიურ საქმიანობად იქცა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი „წარმოების იარაღები" – ტყვიამფრქვევების ჩათვლით. ძარცვებს ჩადიოდნენ ყველა „ხალხები", ყველა გზებსა და ყველა პუნქტებში – მიუხედავად მათი წარმომავლობისა, აღმსარებლობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა..." [22, 223]. სოხუმის ოლქი სრულმა ქაოსმა მოიცვა. საერთო ჯამში, ბოლშევიკებმა თავისი სისხლიანი რეჟიმი კოდორის ზონამდე განავრცეს.

ბუნებრივია, საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას აფხაზთა სახალხო საბჭომ და აფხაზეთის მაცხოვრებლების დიდმა ნაწილმა ისევ არ დაუჭირა მხარი. ეს განსაკუთრებით კოდორის ხეობისა და მთლიანად სამურზაყანოს მოსახლეობას ეხება. კოდორი-სამურზაყანოს მოსახლეობა ბოლშევიკთაგან მოწყობილ ამ მორიგ სისხლიან ავანტიურას არ აჰყვა. ისევ, და ამჯერად გაათკეცებული ძალებით დაიწყო ბოლშევიკთა მიერ აფხაზეთის მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევები, ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა და სისხლიანი ანგარიშსწორებები. „პროლეტარიატის დიქტატურისაკენ" მიმავალ გზაზე, ბოლშევიკებმა პირველი სადამსჯელო-პოლიტიკური ნაბიჯებიც გადადგეს. „რევკომის" მიერ აფხაზთა სახალხო საბჭო დაშლილ იქნა, მისი წევრების დიდი ნაწილი კი – დაპატიმრებული. იგივე ბედი ეწია მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრებს. ძველი ხელისუფლების ორგანოები გარეკეს... გარეკეს საოლქო და საქალაქო მენშევიკური კომისარიატი, ქალაქის მილიცია... დაიწყო წითელი გვარდიის ფორმირება, გამოსცეს ბოლშევიკური გაზეთი „Сухумская Правда" – ვკითხულობთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში". შემდეგ კი, საბჭოური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ სტილშია თხრობა გაგრძელებული: „კომუნისტურმა გაზეთმა „Сухумская Правда"-მ დაუნდობელი მამხილებელი ბრძოლა გააჩაღა მესაბოტაჟეების, სპეკულანტების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტების წინააღმდეგ. გაზეთი ამავე დროს მასებს მოუწოდებდა ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ საბ-

ჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში, სისტემატურად აშუქებდა რსფსრ მთავრობის ღონისძიებებს სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისა და მსოფლიოში ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში, ამხელდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ ხელისუფალთ და აშუქებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმ მძლავრ რევოლუციურ ბრძოლას, რომელსაც ამიერკავკასიის მშრომელი მასები ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით ეწეოდნენ" [2, 444]. და ისევ ტიპიური პროპაგანდისტული ფრაზეოლოგია – „სპეკულანტები", „ბურჟუაზიული ნაციონალისტები", „ინტერნაციონალური სოლიდარობა", „მშრომელთა მასები", და ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი ერთი მეტად ცინიკური ფრაზა – „მსოფლიოში ხალხთა შორის მშვიდობის დამყარება". როგორც იტყვიან, აქ კომენტარების გაკეთებაც კი ზედმეტია.

„კოდორის საკითხთან" დაკავშირებით ის მდგომარეობაც იკვეთება, რომ თავად „აფხაზეთის რევკომშიც" ერთიანი დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებაში არ არსებობდა. ერთნი, ლაკობას ხელმძღვანელობით, კოდორისა და სამურზაყანოს მოსახლეობასთან მიმართებაში უფრო რადიკალური მოქმედებების მომხრენი იყვნენ და თავიდანვე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ძალისმიერი მეთოდებით მოითხოვდნენ, მათ წინააღმდეგ „რევკომის" ძალების ჩართვით. მეორე ფრთა კი, უფრო ზომიერი მოქმედებების მომხრენი იყვნენ და ისინი კოდორის მოსახლეობასთან მიმართებაში პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას – მოლაპარაკებებსა და აგიტაციების ჩატარებას ემხრობოდნენ. ამ ფრთას ეშბა წარმოადგენდა. გუმისთის გლეხთა შეკრებაზე გამოსვლისას, 1918 წლის 22 აპრილს, ეფრემ ეშბამ განაცხადა, რომ „გზა, რომელიც აირჩია სამხედრო-რევოლუციუმა კომიტეტმა, სამშვიდობოა – დელეგაციები, დარწმუნება, მოლაპარაკებები. და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იქნება გამოყენებული რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერისათვის საბრძოლო ძალა" [23]. აშკარაა, რომ აქ ლაკობასა და ეშბას პოზიციები ერთმანეთს ცილდებოდა.

„რევოლუციის მონაპოვრების" დაცვისა და ხელისუფლების სრული უზურპაციის გზაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზეთში მოქმედი ბოლშევიკები „მეხუთე კოლონად" ჩამოყალიბდნენ. „აფხაზეთის რევკომმა" დახმარებისათვის პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საბჭოთა რუსეთს და „პროლეტარიატის დიდ ბელადს" – ლენინს მიმართა. იმდროინდელი დოკუმენტებიდან შემონახუ-

ლია ეშბას რამდენიმე ტელეგრამა ლენინის სახელზე, რომელშიც კარგადაა წარმოდგენილი მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესების თანმიმდევრობა. ასე მაგალითად, 1918 წლის 26 აპრილის ტელეგრამაში ნათქვამი იყო: „სოხუმის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რევკომი გთხოვთ გასცეთ სასწრაფო განკარგულება სევასტოპოლში, ნოვოროსიისკში, ტუაფსეში, სოჭში, რომ სოხუმში გამოგზავნილ იქნას საკმარისი რაოდენობის საზღვაო და სახმელეთო ძალები, რათა სოხუმის ოლქი დაცულ იქნას კონტრრევოლუციისაგან. სოხუმი უნდა გამოცხადდეს საბჭოთა ფრონტად. ამას მოითხოვს შექმნილი ვითარება. გთხოვთ თქვენს სასწრაფო პასუხს...“ [3, 32]. შექმნილ ვითარებაში ეფრემ ეშბამ დახმარებისათვის აგრეთვე უახლოეს ბოლშევიკურ ძალასაც, სოჭის რევკომს და მის თავმჯდომარეს, ნ. პოიარკოს მიმართა თხოვნით „სასწრაფოდ დაკავშირებოდა ტუაფსეს, ნოვოროსიისკს, ცენტროფლოტს და აეხსნა მათთვის, რომ გეოგრაფიულად და პოლიტიკურად სოხუმის ფრონტი უნდა ჩაითვალოს შავიზღვისპირეთის ფრონტად. ამიტომ საჭიროა აქეთ გადმოსროლილ იქნას როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო ძალები, შემდეგ კი საჭიროა სურსათითა და სხვა საშუალებებით მათი უზრუნველყოფა... ამიერკავკასიის ხალხები იმედით უყურებენ რუსეთს... ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ სისწრაფეს და გადამწყვეტ მოქმედებებს შეუძლიათ გადაარჩინოს საბჭოთა საზღვრები და მხარი დაუჭიროს რევოლუციას...“ [24].

1918 წლის მაისის პირველ რიცხვებში ჩატარდა აფხაზეთის „რევკომის“, ასევე სოჭის ოლქის საბჭოების ყრილობის დეპუტატთა დელეგატებისა და ტუაფსეს საბჭოების სხდომა. ბოლშევიკთა ამ საერთო თავყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სოხუმი ჩათვლილიყო რევოლუციური ფრონტის მარჯვენა ფლანგად და საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მომხდარიყო ამ ფლანგზე ძალების კონცენტრაცია. ამავე დროს, ეფრემ ეშბა დაუკავშირდა კიდევ ერთ ბოლშევიკურ სუბიექტს – ყუბანი-შავიზღვისპირეთის თავდაცვის საბჭოს და სთხოვა მას ცოცხალი ძალით, ფულით, იარაღითა და სურსათით დახმარება, ასევე ზოგადი სტრატეგიული მითითებების მიცემა. „ჩვენ ორგანიზებას გავუკეთებთ ძალებს, რომელიც გათვლილი იქნება ცენტრიდან გაწეული დახმარებისა და მითითებების შესაბამისად“ – ამბობდა ეშბა [25]. სოხუმის ოლქის ბოლშევიკთა მხარდასაჭერად, ე. წ. „ყუბანი-შავიზღვისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ ცენტრალური აღმასრულებელი კო-

მიტეტის გადაწყვეტილებით, სოხუმისაკენ ბელორეჩენსკის კარგად შეიარაღებული და აღჭურვილი ბოლშევიკური პოლკი იქნა გაგზავნილი.

როგორც ვხედავთ, ამჯერად ბოლშევიკთა მოქმედებები გაცილებით მომზადებული და კარგად გათვლილი იყო, ვიდრე ამას „აფხაზეთის პირველი ბოლშევიკური რევოლუციის“ დროს ჰქონდა ადგილი. საქმეში ჩართულ იქნა ადგილობრივი ძალები – „კიარაზის“ უკვე კარგად მომზადებული და შეიარაღებული რაზმები, და რაც მთავარია, არტილერიითა და ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი ბელორეჩენსკის წითელი პოლკი. მიხეილ ბღაჟბა: „მერხეულის პარტიზანულ რაზმს ს. ქარდავა მეთაურობდა, წებელდისას – ხ. კერსელიანი. ენერგიულად მოქმედ სამურზაყანოს უბნის რევკომს კი, მგზნებარე რევოლუციონერი პ. ძიგუა ედგა სათავეში“ [7, 22]. პ. ძიგუას „მგზნებარე რევოლუციონერობისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ ცნობილია, რომ იგი ფრონტიდან გამოქცეულ დეზერტირ ჯარისკაცსა და მედროვე ავანტიურისტს წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, „აფხაზეთის რევკომმა“ „რევოლუციის მონაპოვრების“ დაცვის საქმეში, დახმარებისათვის სოჭელ ბოლშევიკებსა და მათ საბრძოლო ძალას, ასევე მოსკოვის ცენტრალურ ხელისუფლებას მიმართა, საბრძოლო პოზიციები კი, მდინარე კოდორთან მოაწყვეს, აქვე განლაგდა სეპარატისტთა საარტილერიო ბატარეები.

ცხადი გახდა, რომ შექმნილ ვითარებაში მხოლოდ აფხაზთა სახალხო საბჭოსა და ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით ბოლშევიკთა ახალი აგრესიის აღკვეთა შეუძლებელი იქნებოდა. საჭირო იყო უფრო ქმედითი და ეფექტური ღონისძიებების გატარება. საჭირო იყო ცენტრალური ხელისუფლებისათვის დახმარების თხოვნა სოხუმსა და სოხუმის ოლქში განხორციელებული ახალი ბოლშევიკური აგრესიის აღკვეთისათვის. ასეთ ვითარებაში აფხაზთა სახალხო საბჭოსა და ქალაქ სოხუმის მმართველობის წარმომადგენლობითმა დელეგაციამ თხოვნით მიმართა ჩოლოქი-ნატანების პოზიციებზე ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართული შენაერთის მეთაურს, გენერალ გიორგი მაზნიაშვილს. გენერალი მაზნიაშვილი: „აპრილის შუა რიცხვებში, როდესაც რაზმის შტაბი ჯერ კიდევ ნატანებში იყო, ჩემთან მოვიდა დეპუტაცია სოხუმიდან: დეპუტაციაში შედიოდა ქალაქის მოურავი და აფხაზეთის ეროვნული საბჭოს სამი წევრი. დეპუტაციამ მომმართა თხოვნით გამეწმინდა ბოლშევიკებისაგან როგორც სოხუმი, ისე მთელი აფხაზეთი.

დელეგაციას განვუცხადე, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ჩემი კომპეტენციის გარეშეა, რომ დანიშნული ვარ იმ რაზმის უფროსად, რომელიც ეომება მხოლოდ ოსმალებს და რომ აფხაზეთის დახმარების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია საქართველოს მთავრობისაგან. დელეგაცია გაემგზავრა ტფილისში მთავრობასთან. ერთი დღის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარისაგან მივიღე ბრძანება, გამომეყო ჩემი ჯარებიდან ცალკე რაზმი და გამეგზავნა იგი აფხაზეთში ბოლშევიკებთან საბრძოლველად...“ [26, 57].

აფხაზთა სახალხო საბჭოს თხოვნის საფუძველზე, ამიერკავკასიის სეიმის საგანგებო სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის მიმართულებაზე „სოხუმის ოლქში წესრიგის აღდგენის“ მიზნით გაგზავნილიყო სეიმის სამხედრო ძალა – ამიერკავკასიის წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდია. ანარქიის მოსპობის, წესრიგის დამყარებისა და სტაბილიზაციის ოპერაციაზე პასუხისმგებლობა წითელი გვარდიის მთავარი შტაბის უფროსს, ვლადიმერ (ვალიკო) ჯუღელს დაევალა.

გვარდიული ქვედანაყოფების აფხაზეთში შეყვანას წინ უძღოდა ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის, აკაკი ჩხენკელის მიმართვა აფხაზებისა და სამურზაყანოელებისადმი (ანუ ქართველების – ა. ჩ.) მოწოდებით, რომ დაუყოვნებლივ მიღებულიყო ყველა ზომა ანარქიის შესაჩერებლად, მოწვეულიყო სახალხო ყრილობა, თბილისში გამოგზავნილიყვნენ წარმომადგენლები, მთიელებთან ერთად შემუშავებულიყო კონსტიტუცია და დადგენილიყო ზუსტი საზღვრები, რაც მისაღები იქნებოდა როგორც აფხაზების, ასევე სამურზაყანოელებისათვის [27, 455]. ჩხენკელის ამ მოწოდებას აფხაზური მხარე არ გამოხმაურებია. კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარების ყოველგვარი მცდელობის ამოწურვის შემდეგ, გვარდიის რაზმები სოხუმისაკენ დაიძრნენ. ოპერაციის საერთო ხელმძღვანელობისათვის, ვალიკო ჯუღელთან ერთად სოხუმისაკენ გაემგზავრნენ პოლკოვნიკი ალექსანდრე ქონიაშვილი[20] და

---

20 ალექსანდრე ქონიაშვილი (1873-1951) – რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერი, პოლკოვნიკი, საქართველოს არმიის გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1913 წელს ყუბის 155-ე ქვეითი პოლკის ოფიცერი, შტაბს-კაპიტანი. I მსოფლიო ომში იბრძვის კავკასიის ფრონტზე. სარიყამიშისა და არზრუმის ოპერაციების მონაწილე. 1917 წლიდან მეფის არმიის პოლკოვნიკი. 1918 წლიდან ქართულ არმიაშია. 1918 წლის ოქტომბრიდან ინიშნება სოჭის ოლქისა და შავიზღვისპირეთის ქართული გარნიზონის სარდლად. დენიკინელთა მიერ სოჭისა და

გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდიუმის წევრი, ჯუღელის პირადი მეგობარი, ალექსანდრე დგებუაძე.

საბრძოლო ოპერაციის რაიონი მოიცავდა აფხაზეთის რეგიონის შავიზღვისპირა ზოლს მდინარე კოდორიდან ათონამდე. რელიეფი ზღვის სანაპირო ზოლში მდინარე ენგურიდან ქ. სოხუმამდე ვაკე, და შემდეგ – ვაკე-ბორცვიანია. ჩრდილოეთით მრავლადაა კავკასიონის ქედის მთა-გორიანი და მაღალმთიანი რელიეფი უღელტეხილებითა და გადასასვლელებით. ჰავა რბილი, ნოტიო სუბტროპიკულია, ნალექების რაოდენობა დიდია. რეგიონი მდიდარია მდინარეებით, რომლებიც კავკასიონის მთავარი ქედიდან იწყება, მთლიანად კვეთს აფხაზეთს და შავ ზღვაში ჩაედინება. მნიშვნელოვანი მდინარეებია ღალიძგა, კოდორი, კელასური, გუმისთა, ბზიფი, რომლებიც გაზაფხულის წყალუხვობით გამოირჩევიან. დინების სიჩქარე მდინარეების ზემოწელში დიდია. განსაკუთრებით წყალუხვ მდინარეებს წარმოადგენენ კოდორი და ბზიფი. ეს კი ართულებს მათი ფორსირების პროცესს და ზღუდავს ჯარების (განსაკუთრებით არტილერიისა და კავალერიის) მანევრირების შესაძლებლობას. მცენარეული საფარით ფაქტობრივად შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე ვრცელდება. მაღალმთიანეთში ალპურ ზონას ვხვდებით. საერთო ჯამში, ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის რელიეფი და ლანდშაფტი ზღუდავს ჯარების დიდი მასების, აგრეთვე არტილერიისა და კავალერიის გადაადგილებას, აგრეთვე ქვედანაყოფების მოქმედების სამანევრო სივრცეს და მათი ფართო მასშტაბით გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ ხელს უწყობს მცირე რაზმებითა და ჯგუფებით ფარულ გადაადგილებას. ზრდის მოულოდნელობის ეფექტს სარეიდო და ჩასაფრების ოპერაციების ჩატარებისას, აგრეთვე პარტიზანული ტიპის ბრძოლების საწარმოებლად. რეგიონი ცუდადაა უზრუნველყოფილი მაგისტრალური ხაზებითა და გზებით. ერთადერთი გამტარი მაგისტრალი მიუყვება შავი ზღვის სანაპიროს, რომლის ბლოკირებითაც ადვილად ხდება შეტყობინების შეწყვეტა. საკომუნიკაციო ხაზები შეზღუდულია, რაც ნაწილობრივ ართულებს ლოჯისტიკურ მომარაგებას მთიან რეგიონში. ზღვის სანაპი-

---

გაგრის დაკავების შემდეგ, 1919 წლიდან მეთაურობს სახალხო გვარდიის რაზმებს. 1920 წელს მონაწილეობს ცხინვალის რეგიონში ბოლშევიკური შეიარაღებული აჯანყების ჩახშობაში, ერთ-ერთი მიმართულების მეთაური. 1921 წლის მარტიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკურ ოკუპაციასთან დაკავშირებით, ემიგრაციაშია.

როს თითქმის მთელ ზოლში შესაძლებელია საზღვაო დესანტის გადასხმა.

ზემოთ აღწერილი მოვლენების პარალელურად ოსმალური შენაერთების წინსვლა ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გრძელდებოდა. ფრონტზე განვითარებული მძიმე სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების გამო, ოსმალურ მხარესთან სამხედრო დაპირისპირების პოლიტიკური დარეგულირების მიზნით, 1918 წლის 9 აპრილს გამართული სეიმის სხდომაზე კომისარიატის დაშლა და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა. ეს პოლიტიკური აქტი იძულებითი ნაბიჯი იყო სამშვიდობო მოლაპარაკებების დასაწყებად, რასაც ოსმალური მხარე ითხოვდა. საქმე იმაშია, რომ ამიერკავკასიის კომისარიატმა არ სცნო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგებს ეხებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, საომარი მოქმედებების ფონზე, 1918 წლის 8 მარტს, ქ. ტრაპიზონში დაიწყო თურქეთისა და ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციათა მოლაპარაკება. ტრაპიზონის კონფერენციაზე ოსმალური მხარე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის უპირობო შესრულებას ითხოვდა და ამიერკავკასიის ფედერაციის დელეგაციის (მეთაური აკაკი ჩხენკელი) მოთხოვნებს ორ ძლიერ არგუმენტს უპირისპირებდა:

1) ამიერკავკასია არ იყო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი მხარე;

2) ამიერკავკასია არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, იგი რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა;

ტრაპიზონის კონფერენცია შეწყდა... [28] კონფერენციის მიმდინარეობისას თურქული შენაერთების წინსვლა არ შეჩერებულა, ისინი აგრძელებდნენ შეტევით მოქმედებებს და 12 მარტს დაიკავეს არზრუმი, 5 აპრილს – სარიყამიში, 7 აპრილს – ვანი.

მოლაპარაკებების გაგრძელების წინაპირობად თურქებმა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის სახელმწიფოს გამოცხადება მოითხოვეს. თურქთა ეს მოთხოვნა კარგად გათვლილი პოლიტიკური ფანდი იყო, რადგან დღესავით ნათელია, რომ ასეთ შემთხვევაში, რუსეთის შემადგენლობიდან გამოსული ამიერკავკასიის შემდგომი ოკუპაცია თურქთათვის გაადვილდებოდა. მიუხედავად ამისა, შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, 1918 წლის 9 აპრილს გამართულ სეიმის სხდომაზე კომისარიატის დაშლა და ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გა-

მოცხადდა... მიუხედავად ამისა, ოსმალური შენაერთების წინსვლა არც ამჯერად არ შეჩერებულა. 1918 წლის 14 აპრილს მათ ბრძოლებით დაიკავეს ბათუმი და ბათუმის ოლქი... მალე კი, ოზურგეთსა და ახალციხეშიც შევიდნენ.

ასეთი მძიმე სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ამიერკავკასიის ფედერაციის სამხედრო ძალა – ინტერნაციონალური წითელი გვარდია, რომელიც ამიერკავკასიის მთავრობის მანდატით იყო აღჭურვილი, აფხაზეთში იგზავნება. აღსანიშნავია, რომ გვარდიის რაზმის ნაწილს ის გვარდიული ქვედანყოფები შეადგენდნენ, რომლებიც ოსმალური აგრესიის აღსაკვეთად ჩოლოქი-ნატანების პოზიციებზე იყვნენ ჯერ კიდევ დისლოცირებულნი. პირველ რიგში ეს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გვარდიის ე. წ. „საგანგებო ბატალიონსა“ და ვალიკო შარაშიძის გვარდიის საარტილერიო დივიზიონს შეეხება. ამონარიდი საგანგებო ბატალიონის ერთ-ერთი წევრის მოგონებიდან:

„4 მაისი. სანგრებიდან გვიწვევენ ნატანებში. ხდება რაზმის კრება, სადაც გვარდიელებს უცხადებენ, რომ ახალი საშიში ფრონტი იხსნება სოხუმის მხარეზე და იქით უნდა გაიგზავნოთო. ფიზიკურად დატანჯული, დაღლილი, უძინარი ხალხი იმავე წამს სურვილს აცხადებს სოხუმის ფრონტზე წასვლისა.

5 მაისი. აღდგომას მატარებელი დაიძრა და რაზმი ფოთისაკენ გაემგზავრა. მიუხედავად დიდი ფიზიკური ტანჯვისა, რომელიც განვიცადეთ, რაზმელები მაინც მღეროდნენ, იცინოდნენ, მხიარულობდნენ...“ [29, 13].

გვარდიის რაზმები ფოთიდან გემით გაემგზავრნენ ოჩამჩირისაკენ, რომელსაც მცირე ზომის მცურავი საშუალებები, ე.წ. „გამანადგურებელი-კატარღებიც“ უჭერდნენ მხარს. რაზმი ოჩამჩირეში 9 მაისს ჩავიდა. ვალიკო ჯუღელი: „ჩვენმა ძალებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დაამშვიდა აფორიაქებული ქალაქი. უმალ დავამყარეთ კავშირი დემოკრატიულ თვითმმართველობასა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსთან. თავადებს კი თავიდანვე გავემიჯნეთ. მათ სათავეში დგანან: მოხუცი ალექსანდრე შერვაშიძე, ყაჩაღთა მფარველი ტატაშ მარშანია და ცნობილი რეაქციონერი დიმიტრი მარშანია. ლიბერალ თავადს, ნიკოს, თავი განზე ეჭირა. კოდორის უბნის წარმომადგენლებს თავი კარგად და მტკიცედ ეკავათ, გუდაუთელებსა და გუმისთელებს სთავაზობდნენ მალე დაესრულებინათ ეს სამწუხარო ისტორია“ [30, 12].

გვარდიელთა აფხაზეთში შესვლისთანავე, ერთ სამწუხარო ინციდენტსაც ჰქონდა ადგილი. ბოლშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლაში გვარდიასთან ერთად ტატაშ მარშანიამაც გამოთქვა მზადყოფნა აფხაზი ცხენოსნების 300 კაციან რაზმთან ერთად და თავისი სამსახური შესთავაზა ვალიკო ჯუღელს [31, 108], მაგრამ იუკადრისა „დემოკრატმა პროლეტარმა" „კლასობრივი მტრის" ეს შეთავაზება და ქედმაღლურად უპასუხა თავადს, რომ რესპუბლიკას მისი და მისი მსგავსი ფეოდალების დახმარება არ სჭირდებოდა, თავადაც მოუვლიდნენ საქმეს. ამ ინციდენტის ოდნავ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს გენერალი მაზნიაშვილი, რომლის მიხედვითაც, ვალიკო ჯუღელს არა ტატაშ მარშანიამ, არამედ ალექსანდრე შარვაშიძემ შესთავაზა სამსახური – „სანამ გვარდია სოხუმში ჩავიდოდა, შერვაშიძემ აფხაზეთში მოჰკრიბა 150 ცხენოსანი, დახვდა სახალხო გვარდიას, სალამი მიუძღვნა და შესთავაზა ვ. ჯუღელს ეს 150 ცხენოსანი სახალხო გვარდიის გასაძლიერებლად და დაჰპირდა, რომ კიდევ მოჰკრებს შემდეგში მეომარ-აფხაზებს" [26, 70]. ვალიკო ჯუღელის მკვახე პასუხმა და უტაქტო საქციელმა მძიმე შედეგები გამოიღო:

„...ამგვარი მოპყრობის შემდეგ მეტად ნაწყენმა შერვაშიძემ ხმა არ გაიღო, გააბრუნა ცხენი და თავისი რაზმით წავიდა. ჯუღელის უკმეხობა შემდეგ ძალიან ძვირი დაუჯდა საქართველოს. ამის შემდეგ შერვაშიძე მტერი შეიქმნა საქართველოსი, აღარ დარჩა აფხაზეთში და საცხოვრებლად გადავიდა ბათუმში, რომელიც მაშინ ოსმალეთის ხელში იყო.

ხოლო აფხაზეთში შედგა ჯგუფი შერვაშიძის მომხრეებისა, რომელნიც არ იყვნენ კმაყოფილნი არა მარტო სახალხო გვარდიის მოქმედებისა, არამედ საქართველოს მთავრობისაც. ამ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ტატაშ მარშანია, რომელმაც განიზრახა საქართველოსგან აფხაზეთის სრული ჩამოშორება. ამ მიზნით მას ჰქონდა დაჭერილი კავშირი ბათუმთან" [26, 70]. არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა იმას, თუ ვინ ეახლა ვალიკო ჯუღელს, ტატაშ მარშანია თუ ალექსანდრე შარვაშიძე. არა აქვს მნიშვნელობა იმასაც, რომელ ვერსიას ვიზიარებთ ჩვენ, არც ისაა არსებითი – 150 აფხაზი ცხენოსანი უერთდებოდა გვარდიის რაზმს თუ 300. ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ გვარდიელებს ოჩამჩირეში მართლაც შეეგებნენ ალექსანდრე შარვაშიძე და ტატაშ მარშანია აფხაზი ცხენოსნებითურთ და ბოლშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი სამსახური შესთავაზეს. ისიც ფაქტია, რომ ჯუღელმა თავისი პარტიული და

იდეოლოგიური კრედოს გამო არ მიიღო ადგილობრივ „ფეოდალთა“ ეს შემოთავაზება. კარგადაა ცნობილი ვალიკო ჯუღელის ზღვარგადასული „დემოკრატობაც“ და მისი ორთოდოქსი მარქსისტობაც. ამ მხრივ იგი მართლაც გამორჩეული იყო თვით ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს შორისაც კი. დიახ, ასეა, ამიერკავკასიის ფედერაციისა და პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში, პაპზე უფრო დიდი კათოლიკებიც არსებობდნენ. ყველაზე მთავარი ამ ინციდენტიდან და მასთან დაკავშირებული ყველაზე სამწუხარო ფაქტი კი ისაა, რომ გენერალ მაზნიაშვილისა არ იყოს – „ჯუღელის უკმეხობა შემდეგ ძალიან ძვირი დაუჯდა საქართველოს“.

ტატაშ მარშანიას პერსონასთან დაკავშირებით, ჩვენის აზრით, ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებასაც უნდა გავუსვათ ხაზი. ეს გარემოება მარშანიას მსოფლმხედველობას, უფრო ზუსტად, ამ მსოფლმხედველობის ცვლილების გამომწვევ მიზეზებს ეხება. აფხაზურ საარქივო მასალებში დაცულია ინკოგნიტო ქართველი ეროვნულ-დემოკრატის მემუარი, რომელიც მან „მეგობრის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა. მარშანიასთან დაკავშირებული მისი მემუარი განსჯისათვის მეტად საინტერესო მასალას იძლევა:

„ტატაშ მარშანიას ძალიან კარგად ვიცნობდი. იგი ჩემი პირადი მეგობარი იყო და მთელი დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მას მთელი სულითა და გულით უნდოდა სიკეთე საქართველოსა და აფხაზეთისათვის (ეს უნდა გვახსოვდეს), მთელი არსით საქართველოსა და მასთან ერთიანობის მომხრე იყო. ამავე დროს სასტიკად სძულდა რუსები. ეს თავად რუსულმა ხელისუფლებამაც კარგად იცოდა და მას ალმაცერად უყურებდა. მას დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზეთზე და ამიტომ უფრთხოდნენ რუსები მას. ტატაშს სჯეროდა საქართველოსი და უყვარდა აფხაზეთი. მისი სურვილი იყო აფხაზეთის რუსებისაგან განთავისუფლება საქართველოს დახმარებით. იგი ტკბებოდა დამოუკიდებელი საქართველოთი და მასთან ერთად თავისუფალი აფხაზეთით. მაგრამ როცა საქართველოდან დახმარების მაგივრად მოვიდნენ ძალები, რომლებიც უფრო გამაღიზიანებლები იყვნენ, ვიდრე რუსების დროს იყო, მან სულიერი წონასწორობა დაკარგა, გონებრივად კი მარქსიზმი მისთვის ძნელად აღსაქმელი აღმოჩნდა. ამ უცნაურ სწავლებას მან მსხვერპლად შესწირა მისი საყვარელი აფხაზეთი.

იგი მაინც საქართველოს მომხრედ რჩებოდა და ბევრი მიმდევარიც ჰყავდა. მისი გავლენა აფხაზეთზე გაცილებით დიდი იყო,

ვიდრე ალექსანდრე შარვაშიძისა და ამიტომ ეს კაცი მეტად საჭირო და სასარგებლო იყო ჩვენთვის, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ხელი ვკარით და უფსკრულისათვის გავიმეტეთ იგი... ტატაში ღრმად განსწავლული კაცი იყო, კარგად იცოდა ევროპული ენები. მისი პოემები და მშვენიერი ლექსები ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ საზოგადოებაში... მაგრამ ყველა მისი ჩანაწერი, სხვა ქონებასთან ერთად ბოლშევიკების შემოჭრის შედეგად დაიკარგა...“ [32, 80].

ისმის კითხვა – რამდენად რეალურია თავად ამ პერსონის – „მეგობრის“ არსებობა, და რამდენად შეესაბამება სიმართლეს მისი მემუარები? რამდენად მიზანშეწონილია მისი გამოყენება აკადემიურ კვლევებსა და ნაშრომებში? დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით უნდა ვივარაუდოთ, რომ როგორც „მეგობრის“ არსებობა, ასევე მისი მემუარი ტატაშ მარშანიასთან დაკავშირებით, სიმართლეს შეესაბამება და მას უნდა ვენდოთ. საყოველთაოდაა ცნობილი ვალიკო ჯუღელის იდეოლოგიური კრედო და მარქსიზმის იდეალებისადმი მისი ერთგულება. ხოლო ამ მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი თეზა – „მუშებს სამშობლო არ გააჩნიათ“, ჯუღელის რევოლუციური ფილოსოფიის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. ისიც კარგადაა ცნობილი, თუ რა დამოკიდებულება არსებობდა ქართველი სოციალ-დემოკრატების მხრიდან თავადური და არისტოკრატული წარმომავლობის ქართველ ოფიცერთა კორპუსთან და განსაკუთრებით გენერალიტეტთან მიმართებაში. ამიტომაც სულაც არაა გასაკვირი, რომ მსგავსი დამოკიდებულება არსებობდა ზოგადად ნებისმიერი ეროვნების „კლასობრივი მტრის“, და ამ შემთხვევაში, აფხაზ თავად, ტატაშ მარშანიასთან მიმართებაშიც. პირდაპირ და მარტივად რომ ვთქვათ – აფხაზი თავადი და პოლკოვნიკი, ტატაშ მარშანია ქართველი მარქსისტებისათვის „კლასობრივ მტრად“ მოიაზრებოდა. თუმცა, მეორეს მხრივ, თუ თავად ჯუღელის მემუარს დავეყრდნობით, მის ამგვარ საქციელზე არა მხოლოდ მისმა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა მრწამსმა, არამედ სხვა გარემოებებმაც ითამაშეს გარკვეული როლი. ვალიკო ჯუღელი: „ჩვენს გარშემო ბნელი ხელი საზიზღარი პროვოკაციების ქსელს ხლართავს. თავიდან თავადურ გვარდიად მოგვნათლეს, მაგრამ მას შემდეგ რაც თვითონ გლეხებმა ნახეს თუ როგორ მკვეთრად მოვექეცით ადგილობრივ თავადებს – ეს პროვოკაცია ჩაიშალა. უფრო საზიზღარი და ამაზრზენი ჭორებიც გაგვივრცელეს. თურქების აგენტებად და თურქული ბანდების მოკავშირეე-

ბად გვნათლავდნენ! ამ ჭორების გამო სომხური დელეგაციაც კი მოვიდა ჩვენთან, რომ თავისი თვალით დარწმუნებულიყვნენ ჩვენი რაზმის ჭეშმარიტ ხასიათში. მათ ჩვენი წითელგვარდიელი მუშები ვანახეთ, და მათ შორის ბევრი სომეხიც“ [30, 15].

გვარდიელები სოხუმისაკენ დაიძრნენ და 11 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციის საბრძოლო ძალა – წითელი გვარდია მდინარე კოდორს მიადგა. გვარდიელთა შერეული რაზმი შედგებოდა თბილისის გვარდიის რაზმების, აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო რაზმის, ფოთის წითელი გვარდიისა და შარაშიძის საარტილერიო დივიზიონის პირადი შემადგენლობისაგან. დაიწყო პოზიციების მოწყობა, საველე შტაბი კი, სოფელ აძიუბჯაში, გენერალ შაშკოვსკის სახლში მოეწყო. ვალიკო ჯუღელი: „ბოლშევიკებს ჩვენს ფრონტზე დიდი ძალები ჰყავთ თავმოყრილი. მათ დაახლოებით 10 ქვემეხი, უამრავი ტყვიამფრქვევი და 2000 კაცამდე ჰყავთ. მაგრამ მათი არ გვეშინია: ჩვენი მცირე რაზმი გააცამტვერებს ამ მეომრულ ბანდას (Воинствующая банда – ა. ჩ.)...“ [30, 9].

ვალიკო ჯუღელმა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი რუსი ბოლშევიკებისაგან მხარდაჭერილ აფხაზ ბოლშევიკებთან მოლაპარაკებების დაწყება გადაწყვიტა და წინადადებით მიმართა მათ იარაღის დაყრისა და დანებების შესახებ, რის შესახებაც 24 საათიანი ულტიმატუმიც იქნა წაყენებული [33]. ბოლშევიკებმა გვარდიელთა პირობები თითქოს მიიღეს, მაგრამ ულტიმატუმის ვადის ამოწურვამდე, გაუფრთხილებლად, ტყვიამფრქვევებისა და არტილერიის ცეცხლი გაუხსნეს გვარდიელებს. გვარდიელთა შტაბისათვის ნათელი გახდა, რომ კოდორზე გამაგრებული ბოლშევიკები მშვიდობიან მოლაპარაკებებზე უარს აცხადებდნენ და პოზიციებსაც უბრძოლველად არ დატოვებდნენ. საჭირო გახდა ძალთა გადაჯგუფება, შეტევითი ოპერაციის კარგად მომზადება და მოწინააღმდეგის პოზიციების შტურმით აღება. მანამდე კი, მთელი ერთი კვირის განმავლობაში კოდორთან პოზიციური ბრძოლები გაიმართა. ვალიკო ჯუღელი: „12 მაისს კვლავ სროლები დაიწყო, მაგრამ ამჯერად ინიციატივა ჩვენ გვეკუთვნოდა. მოწინააღმდეგის ჯერ-ჯერობით ექვსი ქვემეხი აღმოვაჩინეთ: ოთხი დრანდის მონასტერთან და ორი კოდორის ხიდთან. ჩვენმა შეუდარებელმა ვალიკო შარაშიძემ საქმეში მხოლოდ საველე ბატარეის ერთი ქვედანაყოფი ჩართო და მსწრაფლ ჩააჩუმა მოწინააღმდეგის ქვემეხები“ [18, 13].

ბრძოლის პირველივე დღეს, ეშბამ ლენინს, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკთა განსაკუთრებულ კომისარს, ორჯონიკი-

ძეს, შემდეგი ტელეგრამით მიმართა: „ამიერკავკასიის გამოცხადება დამოუკიდებელ რესპუბლიკად სოხუმის ოლქის მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა. სოხუმის ოლქმა სცნო საბჭოთა ხელისუფლება. ამიერკავკასიის მთავრობამ გამოაგზავნა სადამსჯელო რაზმები სოხუმის დეპუტატთა საბჭოების წინააღმდეგ, განიხილა რა საბჭოთა ხელისუფლების აღიარება როგორც კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ამბოხი. მუშათა და გლეხთა (გაუგებარია აფხაზეთის რომელ მუშათა კლასზეა აქ საუბარი – ა. ჩ.) წითელი გვარდია კონტრრევოლუციური რაზმების წინააღმდეგ ბრძოლებში ჩაება. სოხუმის ფრონტის გარღვევის შემთხვევაში საშიშროება მთელ შავიზღვისპირეთს ემუქრება. ერთიანობამ შეიძლება მდგომარეობა გადაარჩინოს“. შემდეგ ეშბა ბოლშევიკი ხელმძღვანელებისაგან ითხოვდა, რომ შავი ზღვის ფლოტისათვის გაეცათ განკარგულება სოხუმის ფრონტზე საბრძოლო ხომალდების გაგზავნის შესახებ [34, 25].

1918 წლის 15 მაისს ეშბამ უკვე ტელეფონით შეძლო მოსკოვთან დაკავშირება. მაგრამ ამ დროს ლენინი კრემლში არ იმყოფებოდა. ეშბამ ისევ ითხოვა დახმარება. მეორე დღეს კი, მოსკოვიდან მიღებულ იქნა ეროვნებათა საბჭოს სახალხო კომისრის, ი. სტალინის ტელეგრამა. მასში ნათქვამი იყო, რომ მიმდინარეობს ყოველგვარი ზომების მიღება აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, და ეს საკითხი განხილულ იქნებოდა სახალხო კომისართა საბჭოში [34, 25]. საბჭოთა მთავრობის მიერ შავი ზღვის სამხედრო ფლოტის სარდლობისადმი 16 მაისს გაგზავნილ განკარგულებაში ნათქვამი იყო: „გევალებათ თქვენს განკარგულებაში მყოფი სავაჭრო გემების ნაწილი აღჭურვოთ შეიარაღებით და ჩვენი სავაჭრო ტვირთების დაცვის საბაბით დაძრათ სამხრეთით, სოხუმის დასაცავად“ [5, 42]. ამ ტელეგრამის შინაარსის შესახებ ლენინმა ჩიჩერინს, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, მისწერა: „ჩემის აზრით, ბრესტის ზავის პირობებმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს, რომ ყაჩაღ მეკობრეებს ვებრძოლოთ. უნდა მოვნახოთ ფორმები, თუ როგორ შევძლოთ საზღვაო ძალებით მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლების წარმოება“. დიახ, ლენინს კარგად ესმოდა, რომ ამიერკავკასიის შიდა პოლიტიკურ თუ სახელმწიფოებრივ საქმეებში შეიარაღებული ჩარევა და ზოგადად, სამხედრო-საზღვაო ფლოტის გამოყენება, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მე-5 სტატიის პირდაპირი და უხეში დარღვევა იქნებოდა, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა გერმანუ-

ლი მხარისა და ოთხთა კავშირის სხვა ქვეყნების შესაბამისი რეაგირება.

ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულების V სტატიას შემდეგი სახე ჰქონდა:

Статья V

„Россия незамедлительно произведет полную демобилизацию своей армии, включая и войсковые части, вновь образованные ее теперешним правительством.

Кроме того свои военные суда Россия либо переведет в русские порты и оставит там до заключения всеобщего мира, либо немедленно разоружит. Военные суда государств, пребывающих и далее в состоянии войны с державами четверного союза, поскольку эти суда находятся в сфере власти России, приравниваются к русским военным судам.

Подвластных России частях Черного моря немедленно должно начаться удаление минных заграждений. Торговое судоходство в этих морских областях свободно и немедленно возобновляется. Для выработки более точных постановлений, в особенности для опубликования во всеобщее сведение безопасных путей для торговых судов, будут созданы смешанные комиссии. Пути для судоходства должны быть постоянно свободны от плавучих мин“ [36].

დიახ, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების V სტატიის თანახმად, რუსეთს უნდა მოეხდინა მთელი თავისი არმიის დემობილიზაცია, ხოლო საზღვაო ფლოტი ან დაუყოვნებლივ უნდა განიარაღებულიყო, ან შეყვანილი უნდა ყოფილიყო პორტებში და ომის დასრულებამდე დამდგარიყო იქ ახლო რეიდზე. მაგრამ ეს სტატია არ კრძალავდა სავაჭრო ნაოსნობას. ბოლშევიკებს მოხერხებულად შეეძლოთ ესარგებლათ ამ დიპლომატიური თუ იურიდიული ლაფსუსით და სამხედრო მიზნებისათვის გამოეყენებინათ „გადაიარაღებული“ და შენიღბული სავაჭრო ფლოტი. სწორედ ამიტომ უთითებდა ლენინი ჩიჩერინს, რომ რუსული სამხედრო ფლოტის საზღვაო აკვატორიაში გასვლისა და ბოლშევიკური აგრესიის შენიღბვისათვის მას შესაბამისი ფორმები მოეძებნა და არაკები შეეთხზა მითიური ყაჩაღებისა თუ მეკობრეების შესახებ. თუმცა, მიუხედავად ამ მცდელობებისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე ბოლშევიკებმა შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ხომალდების სოხუმის საზღვაო აკვატორიაში შეყვანა ვერ მოახერხეს. ნოვოროსიისკის საზღვაო აკვატორიაში მცურავი გერმანული სადარაჯო და სა-

ხაზო ხომალდები საიმედოდ აკონტროლებდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის აკვატორიას.

16 მაისს სამურზაყანოს მოსახლეობაში გავრცელდა ბოლშევიკთა ცხრაპუნქტიანი სააგიტაციო მოწოდება-პროკლამაცია, აფხაზეთის რევკომის წევრის, ვინმე ვ. ადლეიბას ხელმოწერით. ამავე დროს, ეს მოწოდება მეწინავე სტატიად გამოქვეყნდა სოხუმში გამომავალ ბოლშევიკურ გაზეთში „Сухумская правда“. შინაარსობრივად დოკუმენტი მეტად საინტერესოა და იგი სრულად ადასტურებს ჯუღელის მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას მისი რაზმის მისამართით პროვოკაციული ინფორმაციის გავრცელების შესახებ. ამ დოკუმენტს სრულად და სტილისტური ფორმის დაცვით წარმოვადგენთ:

„ჩემს ძმებს – კოდორის უბნის გლეხებს.

1. მე არ მჯერა იმისა, რასაც ლაპარაკობენ, რომ თქვენ ქართულ რაზმთან ერთად ომობთ მშრომელი ხალხის წინააღმდეგ – გაგრის, გუდაუთისა და გუმისთის უბნების აფხაზი გლეხების წინააღმდეგ. თქვენ ეს არ უნდა გააკეთოთ,[21] იმიტომ რომ თქვენი ძმების წინააღმდეგ მიდიხართ, და შესაბამისად, საკუთარი თავის წინააღმდეგაც. ნუთუ თავადებმა და დიდებულებმა მოგატყუეს?

2. ქართულ რაზმს, რომელიც აფხაზეთის წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგ დაიძრა, ეხმარებიან თავადები, დიდებულები, ვაჭრები და ყველა ბურჟუა-სისხლისმსმელი. მშრომელთა მასები მათ არ უნდა დაეხმარონ, იმიტომ რომ ისინი მტრები არიან.

3. თუ თქვენ ჯუღელის რაზმს ეხმარებით, გაიგეთ, რომ ამით ეხმარებით ქართველებსა და კაპიტალისტებს, რომლებიც ცდილობენ შეიარაღებული ძალებით დაიპყრონ ჩვენი პატარა და წყნარი სამშობლო – აფხაზეთი. ნუთუ ეს არ გესმით?

4. შეიგნეთ ერთი: თავადების, დიდებულების, ვაჭრებისა და მშრომელი ხალხის სხვა მტრებისათვის ძალიან სასარგებლო იქნება, თუ ჩვენ – მშრომელთა მასები-გლეხები ომში ვიქნებით ჩათრეულნი, რადგან ჩვენი რაოდენობა შემცირდება და ჩვენი ძალებიც უფრო სუსტი აღმოჩნდება. ეს უნდოდათ და უნდათ მათ, რადგან ასე უფრო ადვილად დაგვიმონებენ. ნუთუ არ იცით ეს?

---

[21] აქ და მთლიანად ტექსტში ქვემოთ მოყვანილ ხაზგასმულ ფრაზებში, დოკუმენტის ორთოგრაფიული და სტილისტური ფორმა დაცულია.

5. თუ თქვენ ჯუღელის რაზმს ეხმარებით, რომელიც აქ ამიერკავკასიის სეიმის – ამ ნაციონალურ-ბურჟუაზიული მთავრობის სანქციითაა გამოგზავნილი, ამის გამო ყველა დაგვცინის: თავადები, დიდებულები, ასევე ქართველები – ნაციონალისტები. რადგან საკუთარი ბედნიერების ასაშენებლად მათ შეძლეს თქვენი მოტყუება. ნუთუ ბოლოს და ბოლოს არ გესმით ეს?

6. თუ თქვენ ჯუღელის რაზმს ეხმარებით, ამით თქვენს ძმებს – აფხაზებს ეომებით, იმიტომ რომ ამ ბზიფელებს არ სურთ ბურჟუათა და ქართველ ნაციონალილსტთა ბატონობა აფხაზეთში, მათ თავადებისა და დიდებულების განადგურება უნდათ. ნუთუ თქვენ არ გსურთ ამ ორივე მტრის განადგურება? დაფიქრდით, ამ შიდა და გარე მტრების ბატონობისაგან რა სარგებელი გაქვთ. ნუთუ ჯერ კიდევ ვერ მოეგეთ გონს?

7. ამბობენ, რომ თქვენ აღშფოთებულები ხართ ბზიფელი აფხაზების საქციელით, რადგან მათ ძმური მეგობრული კავშირი დაამყარეს სომხებთან, მეგრელებთან, და საერთოდ, აფხაზეთში მაცხოვრებელ ყველა სხვა ხალხთან. თქვენ ეს არ უნდა გაშფოთებდეთ, რადგან: ჩვენ, აფხაზებმა, ჩვენი არსით ვიწრო ნაციონალისტებმა, ვერ შევძელით ჩვენი ფიზიონომიის შენარჩუნება იმ ხალხებთან მტრობით, რომლებიც ცხოვრობენ და შრომობენ მშვიდობიანი თანაცხოვრებით. ნუთუ ეს არ უნდა გაითვალისწინოთ?

8. გაიგეთ ძმებო, რომ ჩხენკელის რაზმი აქ იმისთვისაა გამოგზავნილი, რომ აქ სამუდამოდ აფხაზეთის დასაკრძალი მარში დაუკრას. თქვენ კი ტყუილუბრალოდ ფიქრობთ იმას, რომ ჩხენკელი რაიმე უკეთესს გააკეთებს, ვიდრე თქვენი ბზიფელი ძმები, რომლებმაც სხვა ეროვნებებთან ძმურ კავშირში ხელში საერთო იარაღი აიღეს საერთო მტრის წინააღმდეგ. აუცილებელია რომ ეს შეიგნოთ.

9. ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, ზნეობრივად ვალდებულები ხართ, რომ ახლავე გააკეთოთ არჩევანი: ან ბზიფელებთან უნდა შეერთდეთ და ან უბრალოდ, უნდა დატოვოთ ჯუღელის რაზმი. ვ. ადლეიბა“ [37].

როგორც ვხედავთ, ისევ ტიპიურ ბოლშევიკურ დემაგოგიას, ისტორიის ფალსიფიკაციასა და დეზინფორმაციის გავრცელებასთან გვაქვს საქმე. და ძალიან კარგად ნაცნობი, მაგრამ უკვე საგრძნობლად გაცვეთილი ფრაზეოლოგია – „ქართველი ნაციონალისტები“, „თავადები“, „ვაჭრები“, „სისხლისმსმელი ბურჟუები“, „კაპიტალისტები“, და მათთან დაპირისპირებული – „მშრომელთა

მასები“, „ძმური კავშირები“ და ა.შ. და ა.შ. ფაქტია, რომ აფხაზეთის უდიდესმა ნაწილმა და მისი მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ამ ბოლშევიკურ ავანტიურას მხარი არ დაუჭირა. ისინი საქართველოს, აფხაზეთის მოსახლეობის არჩევანის ერთგულნი დარჩნენ და ბოლშევიკებს დაუპირისპირდნენ. თვით მოწოდების ბოლო პუნქტში მოყვანილი ფრაზიდან – „უნდა დატოვოთ ჯუღელის რაზმი“, ისიც ნათლად ჩანს, რომ სამურზაყანოს ქართველი და აფხაზი მოსახლეობა, არათუ არ აღუდგა წინ სამთავრობო ჯარებს, არამედ დიდი ხალისითაც დაიწყო მასში გაერთიანება. ამ ფაქტს აფხაზური და რუსული სეპარატისტული ისტორიოგრაფია, ცხადია, საგულდაგულოდ მალავს. ისტორიული სიმართლე კი, თვით სეპარატისტთა მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებშიც არ მალავს თავს.

16 მაისის საღამოს, საბრძოლო გეგმის საბოლოო კორექტირების მიზნით, გვარდიელთა გამანადგურებელ-კატარღებმა ზღვიდან მოწინააღმდეგის პოზიციების დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარეს და ცეცხლი გაუხსნეს სანაპირო ზოლს კოდორის შესართავიდან სოხუმამდე. ამ ქმედებებით საგრძნობი შფოთი იქნა შეტანილი მოწინააღმდეგის ბანაკში. მთავარი კი, ისაა, რომ ამ ტაქტიკური მანევრით მოწინააღმდეგის პოზიციების ძლიერი და სუსტი მხარეები იქნა მოსინჯული. იმავე დღეს, ჯუღელის რაზმს ყვირილისა (დღევანდელი ზესტაფონი – ა. ჩ.) და სამტრედიის გვარდიელთა რაზმები შეუერთდნენ.

საერთო შეტევის დაწყების თარიღად 17 მაისი დასახელდა. შემტევი ავანგარდის მეთაურობა კი, გიორგი ლომთათიძესა და ლეონიდ (ლევ) ნოვიკოვს დაევალათ [38]. სამთავრობო ჯარებმა შეტევითი ოპერაცია 17 მაისის დილის 4 საათზე დაიწყეს. ვალიკო შარაშიძის გვარდიელთა არტილერიამ მოძრავი გადამღობი ცეცხლი გახსნა, გვარდიელები კი საერთო შეტევისათვის მოემზადნენ და საარტილერიო ცეცხლის საფარის ქვეშ წინსვლა დაიწყეს მოწინააღმდეგის პოზიციებისაკენ. როგორც კი არტილერიამ ცეცხლი მოწინააღმდეგის სანგრებზე გადაიტანა და მათი დაბომბვა დაიწყო, გვარდიელები საერთო იერიშზე გადავიდნენ. მათ მძაფრი და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ დაიკავეს კოდორის ხიდი და უკუაქციეს მოწინააღმდეგე.

ვალიკო ჯუღელი: „17 მაისი... ჩვენ უკვე ადგილზე ვართ, გადავირბინეთ ხიდი და შევუტიეთ მოწინააღმდეგის სანგრებს. ისინი თითქმის მთლიანად დაცლილია. დარჩენილ მებრძოლებს საცოდა-

ვი, შეშინებული სახეები აქვთ. ჩვენები მათ ანიარაღებენ და თავზე აბიჯებენ, მაგრამ მათზე არ ძალადობენ. ენერგიულად ვდევთ მოწინააღმდეგეს. ვიყვანთ ტყვეებს. ხელში ჩავიგდეთ ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და სასურსათო საწყობები. დიდი წარმატებაა. ჩვენ მხოლოდ 7 მსუბუქად დაჭრილი გვყავს...“ [30, 9] გვარდიის საგანგებო ბატალიონის წევრის მემუარში კი, კოდორთან წარმოებული ბატალური ამბები ასეა აღწერილი: „ოჩამჩირედან ფეხით წავედით კოდორისაკენ. 11 მაისს, როცა ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის შერიგებაზე მოლაპარაკება იყო გამართული, როცა ბრძოლას ჯერ არ ველოდით და სიმღერა, ცეკვა-თამაში გვქონდა გამართული, ბოლშევიკებმა უცბათ ყუმბარები დაგვიშინეს და მხიარულება შეგვაწყვეტინეს, აჩხარუნდნენ ყუმბარები. რაზმი რაზმს გაჰყვა და იმავე წამში პოზიციები დავიკავეთ. 6 დღის ბრძოლის შემდეგ მტერი სასტიკად დავამარცხეთ და სოხუმში ტრიუმფით შევედით“ [30, 13].

ვალიკო ჯუღელისა და ალექსანდრე დგებუაძის, აგრეთვე პოლკოვნიკ ალექსანდრე ქონიაშვილის საერთო ხელმძღვანელობით, გვარდიელებმა მათ წინაშე დასმულ საბრძოლო ამოცანას დიდი წარმატებით გაართვეს თავი. რიცხობრივად მნიშვნელოვნად აღმატებულ მოწინააღდმეგესთან დაპირისპირებაში უმცირესი საბრძოლო დანაკარგების ფასად ფორსირებულ იქნა მდ. კოდორი, აყვანილ იქნა ტყვეები და დიდი საბრძოლო ალაფიც იქნა მოპოვებული. შეტევითი მოქმედებების ტემპი და სიღრმე ძალიან მაღალი იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია გვარდიელთა საარტილერიო ბატარეის კარგი მოქმედებები და მისი მეთაურის, ვალიკო შარაშიძის კომპეტენცია და მაღალი პროფესიონალიზმი.

რუსული წყაროები ბოლშევიკთა მარცხის მთავარ მიზეზად პირადი შემადგენლობის დაბალ საბრძოლო სულისკვეთებას ასახელებენ. კერძოდ: „პოლკს კარგი შეიარაღება და აღჭურვილობა ჰქონდა, მაგრამ პირადი შემადგენლობის დისციპლინა და მორალური მდგომარეობა არ იდგა სათანადო დონეზე. საბრძოლო მოქმედებების დროს პოლკი მოიხსნა პოზიციებიდან და პანიკით დაიხია უკან, ყუბანისაკენ“ [39]. ამ დასკვნას ნაწილობრივ ჩვენც ვიზიარებთ, ვითვალისწინებთ რა, ბოლშევიკთა წითელგვარდიული რაზმების პირადი შემადგენლობის დაბალ საბრძოლო სულისკვეთებასა და მათ ზოგად მორალურ-ზნეობრივ სახეს. თუმცა იმასაც აღვნიშნავთ, რომ ქართული მხარის მაღალი საბრძოლო სულისკვეთების პირობებშიც კი, სრულმასშტაბიან შეტევით ბრძოლაში 7

კაციანი დანაკარგი და ისიც მხოლოდ დაჭრილების სახით, ბრძოლის კარგ დაგეგმვაზე, ორგანიზაციასა და აღსრულებაზე მეტყველებს.

1918 წლის 17 მაისს, დღის 3 საათზე გვარდიის მეწინავე ქვედანაყოფები სოხუმში შედიან – „შეუძლებელია სოხუმელთა სიხარულის გადმოცემა. მოზეიმე ხალხი აღტაცების შეძახილებითა და ყვავილებით გვხვდებოდა“ – წერდა შემდეგ ჯუღელი [30, 17]. მისი მშობლიური ქალაქი გათავისუფლებული იყო. სოხუმის ე. წ. „ბოლშევიკური კომუნა“, ბაქოს კომუნის ეს მახინჯი გადმოძახილი საქართველოში, ლიკვიდირებულ იქნა.

17 მაისი, ვალიკო ჯუღელი: „ბოლშევიკები არ მოელოდნენ ასეთ სწრაფ და სამარცხვინო დასასრულს. მათი გაზეთი „Сухумская Правда“ დღევანდელ ნომერშიც აქვეყნებს ცრუ ინფორმაციებს მათი გამარჯვებების შესახებ და გაბედულად აცხადებენ, რომ ფრონტებზე მათი მდგომარეობა მტკიცეა. ვკითხულობთ „Правда“-ს და მხიარულად გვეცინება მათ სიცრუეზე! ბოლშევიკთა შტაბი გაიქცა და ბედის ანაბარად დატოვა თავისი მებრძოლები. როგორც ჩანს, ეს მათთან კარგ ტონად ითვლება!

ბოლშევიკები გაბედული და წესიერი ბელადები რომ ყოფილიყვნენ, ნამდვილად დაგვამარცხებდნენ! ისინი ხომ ჩვენზე გაცილებით ძლიერები უნდა ყოფილიყვნენ, არადა ჩვენი რაზმის შემადგენლობაზე ერთნახევარჯერ მეტი მხოლოდ ტყვე ავიყვანეთ, ალაფად კი, 18 ქვემეხი და 30 ტყვიამფრქვევი მოვიპოვეთ! მაგრამ მათ ნამდვილი კი არა, მხოლოდ თავკერძა ბელადები (Шкурники – ა. ჩ.) ჰყავდათ და ამ ბელადებს ეტყობა ძალიან უყვარდათ კარგი ცხოვრება. ისინი დიდებულ სასტუმროში იყვნენ განთავსებულნი და რჩეული კერძებითაც იკვებებოდნენ. შტაბისთვის განსაზღვრული მათი სადილი ჩვენ დაგვრჩა და დიდხანს ვიცინოდით, როცა ეშბას, სიოვას, ლაკობას, ამბერკისა და სხვა რჩეულების მსუყე სადილს მივირთმევდით! მათი სია კედელზე ეკიდა და მკაცრად იყო მითითებული, რომ ამ მაგიდასთან დაჯდომა და უფასო სადილების ჭამა შტაბის წევრების გარდა, ყველას ეკრძალებოდა. ჩვენ ამ მაგიდას შემოვუჯექით და ჩვენს ხუმრობებს დასასრული არ ჰქონდა... მადლობა თქვენ, გაქცეულო „ამხანაგებო“ ასეთი გემრიელი სადილისათვის!.. ჩვენ ხომ თქვენთან შედარებით გაცილებით უარესად ვცხოვრობთ და ჯარისკაცული ქვაბიც მხოლოდ საერთო ვიცით...“ [30, 18].

სოხუმის გათავისუფლების შემდეგ გვარდიის მიერ ბოლშევიკური ბანდების დევნა გაგრძელდა. ბოლშევიკები გაგრაში გამაგრდნენ. სამხედრო მეთაურად სიოვა კუხალეიშვილი დარჩა, ეფრემ ეშბა კი, სოჭში გაემგზავრა და „რევოლუციის გადსარჩენად" ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარი საბრძოლო რაზმების შედგენა მოითხოვა. სოჭის მოსახლეობამ ეს მოთხოვნები უარყო. ეშბამ ეკატერინოდარსაც მიმართა, სადაც ფინანსური დახმარებაც მიიღო რაზმების ორგანიზებისათვის, მაიკოპში კი ახალი საბრძოლო რაზმების შედგენა დაიწყო. სამთავრობო ჯარების წინსვლა გრძელდებოდა. სწრაფად განვითარებული შეტევის წყალობით გვარდიის ნაწილებმა გაგრაც გაათავისუფლეს, გააგრძელეს სვლა და ახალ ათონსა და გუდაუთაშიც შევიდნენ. მაგრამ მათი შემდგომი წინსვლა აქ დასრულდა. მოეწყო თავდაცვითი პოზიციები. წითლებმა ადგილზე დატოვეს 11 ზარბაზანი, 21 ტყვიამფრქვევი, დიდძალი ტყვია-წამალი. გუდაუთასთან დააკავეს წითლების 1 ხომალდიც [40].

„აფხაზეთის ბოლშევიკური რევოლუციის" მეორე ტალღაც ჩაცხრა, „სოხუმის კომუნა" დამხობილ იქნა. ამ უდღეურმა ფსევდოპოლიტიკურმა თუ ფსევდოსახელმწიფოებრივმა წარმონაქმნმა მხოლოდ 40 დღე იარსება, თუმცა თავისი არსებობის ამ მოკლე პერიოდის განმავლობაშიც კი მოასწრო აფხაზეთში სისხლიანი კვალის დატოვება. თუ ბოლშევიკთა მარცხის მიზეზების კვლევას დავიწყებთ, ნათელი ხდება, რომ „აფხაზეთის რევკომმა" თავის მოქმედებებში რამდენიმე შეცდომა დაუშვა. ყველაზე დიდი შეცდომა გვარდიის ძალების არასათანადოდ შეფასება იყო. რა თქმა უნდა, მრავალრიცხოვანი, მაგრამ ცუდად ორგანიზებული, ნაკლებად მოტივირებული და საბრძოლო გამოცდილების არმქონე, ე. წ. „აფხაზეთის რევკომის" ბოლშევიკური ბანდების მოქმედებები ამიერკავკასიის მცირერიცხოვანი წითელი გვარდიის რაზმის წინააღმდეგ ნაკლებად ეფექტური და შედეგის მომტანი იყო. ამავე დროს, გვარდიის მოქმედებებისათვის მძლავრ მხარდამჭერ ფაქტორს, რა თქმა უნდა, აფხაზთა სახალხო საბჭოს, კოდორი-სამურზაყანოსა და საერთოდ, აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი პოზიციები და მათი ანტიბოლშევიკური განწყობები წარმოადგენდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია კი ბოლშევიკური პუტჩის მარცხის მიზეზებს ასე აყალიბებს: „რევოლუციურმა ორგანოებმა და ბოლშევიკურმა ცენტრმა აფხაზეთში მთელი რიგი შეცდომები და-

უშვეს, რამაც კონტრრევოლუციას საბჭოთა ხელისუფლებაზე შეტევა და წარმატება გაუადვილა. სოხუმში მათ ხელუხლებელი დატოვეს ბურჟუაზიული სათათბირო, სადაც მოკალათებულნი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები. ასევე ხელუხლებლად დარჩნენ ნაციონალური კომიტეტები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების შტაბებს წარმოადგენდნენ. ვერ მოხერხდა დაუყოვნებლივი იერიშების მიტანა კოდორის უბანზე, სადაც აფხაზეთის კონტრრევოლუციის ძირითადი ძალები იყო თავმოყრილი. საბჭოების შემადგენლობაში აქა-იქ ისევ აღმოჩნდნენ შემთანხმებლები. აზნაურობა და კულაკობა აშკარად ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციასა და სამზადისს.

აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლების ვითარება გართულდა იმითაც, რომ მენშევიკურმა ჯარებმა სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ლიკვიდაცია შეძლეს და უშუალოდ აფხაზეთს მიადგნენ“ [2, 444-445].

1918 წლის მაისის ბოლოს, აფხაზეთის ფრონტიდან დაბრუნებულმა ვალიკო ჯუღელმა, ამიერკავკასიის სეიმს, რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს მოახსენა, რომ ბოლშევიკები ყველანაირი გზებით ცდილობდნენ ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებას, განსაკუთრებით ქართველებსა და სომხებს შორის, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. გვარდიელებს განსაკუთრებით გულითადი დახვედრები კი სამურზაყანოში გაუმართეს: „ისე აღტაცებულად მოსახლეობა არსად არ გვხვდებოდა, როგორც ოჩამჩირეში. რამდენი აპლოდისმენტები, რამდენი ყვავილები, რამდენი დღესასწაული... კოდორის აფხაზები ჩვენთან იყვნენ, გუდაუთისა კი – ბოლშევიკთა მხარეზე“ [41].

როგორ ჰგავს ეს სურათი უკვე XX საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს – გუდაუთელ აფხაზებს მაშინაც ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი პოზიციები ეკავათ, სამურზაყანოელებს კი, ცხადია – პროქართული... მაშინ, 1918 წლის გაზაფხულზე, ქართული მხარის პოლიტიკურმა და სამხედრო ჩარევამ შეძლო რუსული ბოლშევიკური აგრესიის უსწრაფესად აღკვეთა, 90-იან წლებში კი იმპერიის სეპარატისტულმა იდეოლოგიურმა მანქანამ უფრო გამართულად იმუშავა. ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივება მოხერხდა და ისევ რუსების მიერ, ისევ აფხაზეთის ტერიტორიაზე ინსპირირებული ახალი აფხაზურ-ქართული დაპირისპირება ხანგრძლივ და მძიმე ომში გადაიზარდა.

რუსული იმპერიული იდეოლოგიით შთაგონებული და მხარდაჭერილი აფხაზური სეპარატიზმის დღევანდელი იდეოლოგები ამიერკავკასიის წითელი გვარდიის მოქმედებების შესახებ მითებს თხზავენ და აფხაზეთის ბოლშევიკთაგან გათავისუფლების ოპერაციას „კონტრრევოლუციად" და „ოკუპაციად" ნათლავენ. რეალურად კი მდგომარეობა ზუსტადაც რომ საპირისპირო იყო. ამის შესახებ თვით აფხაზთა სახალხო საბჭოს იმდროინდელი ყველაზე რადიკალურად განწყობილი წევრების დ. ალანიას, მ. ტარნავას, მ. ცაგურიას განცხადებები მოწმობენ, რომლებიც საქართველოს მთავრობას წერდნენ: „აფხაზეთში ქართული ჯარები პირველად ბოლშევიკებთან ბრძოლის დროს გამოჩნდნენ. ეს სახალხო გვარდია იყო, რომელსაც ვ. ჯუღელი და ალ. დგებუაძე მეთაურობდნენ. სიამოვნებით აღვნიშნავთ გვარდიის იმ წრფელი და კორექტული დამოკიდებულების შესახებ, რომელსაც იგი ატარებდა აფხაზეთის მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში" [42, 65].

ამიერკავკასიის მთავრობის განცხადებაში კი ნათქვამი იყო: „ბოლშევიკებმა, რომლებმაც რამდენიმე კვირის წინ ხელში ჩაიგდეს ხელისუფლება სოხუმსა და სოხუმის ოლქში, მათი მმართველობის საყვარელ ფორმას მიმართეს: სრულად დაანგრიეს და გააჩანაგეს იქაურობა, შეიტანეს დეზორგანიზაცია, ახდენდნენ მოსახლეობის ტერორიზირებას და აქამდე გაუგონარი კონტრიბუცია დააწერეს მათ – 2,5 მილიონი მანეთი. რევოლუციურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ბოლო მოეღო აუტანელი ანარქიისათვის. პოლკოვნიკ კონიევისა და სეიმის წევრის, ჯუღელის მეთაურობით გაგზავნილ იქნა გამოცდილი წითელგვარდიელების რაზმი და მცირე საჯარისო ნაწილები. რაზმმა ბრწყინვალედ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და სრულად გაანადგურა კარგად შეიარაღებული ბოლშევიკური საჯარისო ნაწილები. იგი ტრიუმფით შევიდა სოხუმში, რითაც აღდგენილ იქნა ჭეშმარიტად რევოლუციური წესრიგი.

ადგილებიდან ოფიციალური შეტყობინებები სავსეა იმ მხურვალე აღტაცებისა და მიღებების აღწერით, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა ხვდებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის ჯარებს – თავის განმანთავისუფლებლებს. მთელს გზაზე ჩვენს რაზმს უწყვეტ ოვაციებს უმართავდნენ. ჩვენი ალაფია: 400 ტყვე ბოლშევიკი, 11 ქვემეხი, მათ შორის ორი საალყო, 21 ტყვიამფრქვევი, შაშხანებისა და სამხედრო სამოსელის დიდი რაოდენობა. ჩვენმა გამანადგურებელმა №525 გუდაუთასთან დააკავა დიდი სატრანსპორტო

ხომალდი, რომელიც სურსათის დიდი რაოდენობითა და ამბოხებულებით იყო სავსე. ისინი ტყვედ იქნენ წამოყვანილნი.

სოხუმის ბოლშევიკებისაგან განთავისუფლების შემდეგ ქალაქის საბჭოს, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსა და სოციალისტური პარტიის კომიტეტების საზეიმო სხდომა გაიმართა, რომელსაც მრავალრიცხოვანი პუბლიკა დაესწრო. სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული ჩვენი რაზმის მილოცვისა და ამიერკავკასიის მთავრობის მტკიცე ნაბიჯების მხარდამჭერი რეზოლუცია" [43, 12].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Письмо Сухумского городского главы В.Чхиквишвили о политической ситуации в Абхазии. 21 февраля 1918 г. ЦГАА, ф. И-4, оп.1, ч.II, д. 256. http://abkhazeti.info/history/20050617431371358753.php.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VI, თბილისი, 1970; საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 118.
3. სოხუმის ამბები, ოლქის კომისრის ცნობა, გაზეთი საქართველო, 1918 წლის თებერვლის 24, №42.
4. საშინელი ამბები სოხუმიდან, გაზეთი სახალხო საქმე, თებერვლის 20(5) 1918, №176.
5. Г. А. Дзидзария, Ефрем Эшба, Издательство политической литературы, Москва, 1967.
6. Svetlana Chervonnaya, History and Controversy: Short History of Abkhazia and Abkhazian-Georgian Relations, Chapter 2 from the book „Conflict in the Caucasus: Georgia, Abkhazia and the Russian Shadow", Glastonbury, 1994.
7. სოხუმის ამბები, ოლქის კომისრის ცნობა, კავკასია და ზავი, გაზეთი საქართველო, 1918 წლის თებერვლის 24, №42.
8. „ბალშევიკები" ბანძაში, გაზეთი ერთობა, 1918 წლის 7 აპრილი, №193.
9. ჟურნალი სახალხო გვარდიელი, 1921 წლის 1 თებერვალი, №4.
10. Дж. Гамахария, Б. Гогия, Абхазия – историческая область Грузии (Историография, документы и материалы, коментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века, Тбилиси, 1997. Стр. 387-388. Док. №209. Из статьи Г. Шервашидзе „Социализм в Грузии". 25-29 июня 1917 г. Сакартвело, 1917, 25-29 июня.

http://abkhazeti.info/history/ 20050617221157965354. php.
11. Дж. Гамахария, Абхазия – в составе Грузинской Демократической Республики, Абхазия с древнейших времен до наших дней. Очерки из истории Грузии, Тбилиси, 2009.
12. Михаил Бгажба, Нестор Лакоба, Институт истории партии при ЦК КП Грузии, Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС, Тбилиси, 1965; К истории революционного движения в Абхазии. (Сборник воспоминаний), Сухуми, 1922 г. http://apsnyteka.org/1178bgazhba–m–nestor –lakoba. html.
13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი VI, თბილისი, 1970; საქართველოს ცენტრალური, სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 118.
14. Архимандрит Илларион, Из Афона Краевому Комиссариату, Абгосмузей. Ф. 1472, д. 56, л. 32. Абхазия – документы и материалы (1917-1921г.г.), Сухуми, 2009, http://apsnyteka.org/file/Abkhazja–dokumenty–i–materialy–1917–1921.pdf.
15. Из Афона, Тифлис, Газета Возрождение; Закавказский Сейм, 12 марта 1918 г. Абгосмузей, Ф. 4, оп, 1, д. 66, Абхазия – документы и материалы (1917-1921г.г.), Сухуми, 2009. http://apsnyteka.org/file/ Abkhazja– dokumenty–i– materialy –1917–1921.pdf.
16. Из отчета о работе второго крестьянского съезда Сухумского округа, 4-9 марта 1918. Эртоба, 1918, 22 и 24 марта, на груз. яз. http://abkhazeti.info/history/ 20050617424748874028. php.
17. Ефимов Николай, Алексеевич – кандидат исторических наук. Атарбеков – один из зачинщиков красного террора, Орджоникидзе Г. К. Статьи и речи, Москва, 1956.
18. Иванов А, Неизвестный Дзержинский, Факты и вымыслы, Минск, 1994.
19. Ефимов Николай, Алексеевич – кандидат исторических наук Атарбеков – один из зачинщиков красного террора, ВИ, 2000. № 6. С. 130-136. http://105384.dyn.ufanet.ru/knigi/%D0%9D%D0%B0%20%D0%BE%D0%B1%D1%80%.doc.
20. О. Х. Бгажба, С. З. Лакоба, История Абхазии с древнейших времен до наших дней, Раздел III, Абхазия в новое время, §9. Советская власть в Абхазии 1918 г.

21. В. Чхиквишвили о большевистской авантюре Абхазии, 17 апреля 1918г. Эртоба, 1918, 17 апреля, на груз.яз. http://abkhazeti.info/history/20050617431371358753.php.
22. Антон Иванович Деникин, Очерки русской смуты, Вооружённые силы юга России, , Мемуары, Минск, 2002.
23. Газета Сухумская правда, г. Сухуми, 24 апреля 1918 г.
24. Газета Крестьянин и рабочий, г. Сочи, 27 апреля 1918 г.
25. Газета Известия Кубаньского областного ЦИКа, г. Екатеринодар, 9 мая, 1918 г.
26. გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1917-1925, ბათუმი, 1990.
27. Дж. Гамахария, Абхазия – в составе Грузинской Демократической Республики, Абхазия с древнейших времен до наших дней. Очерки из истории Грузии, Тбилиси, 2009; გაზეთი ერთობა, 1918 წლის 10 მაისი.
28. ვახტანგ გურული, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1918-1921), ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება (1918 წლის 3 მარტი), http://sangu.ge/images/vguruli/19geo.pdf.
29. გვარდიელი დ. ო-ძე, სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონი (მოგონებები), ჟურნალი სახალხო გვარდიელი, 1920 წლის 12 დეკემბერი, №1.
30. Валико Джугели. Тяжёлый крестъ (Записки народногвардейца), Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори, Тифлисъ, 1920 г.
31. Д. Читая, Абхазский вопрос в первой Грузинской Республике, Народный Совет Абхазии, Тбилиси, 2006.
32. Друг. Начало отчуждения: Абхазия. 1917-1920 г.г. Абхазия – документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми, 2009. http://apsnyteka.org/file/Abkhazja–dokumenty–i–materially–1917–1921.pdf .
33. სოხუმის ამბები, გაზეთი სახალხო საქმე, 1918, №237.
34. ЦГАОР СССР, ф. 130, оп. 2, д. 580.
35. ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, ф. 558, оп. 1, д. 6381.
36. Hier nach: Politisches Archiv des Auswärtigen Amtes, Multilaterale Verträge des Deutschen Reiches, 309. Original. http://www.1000dokumente.de/?c=dokument–de&dokument=0011–bre&object=translation &l=ru.
37. გაზეთი Сухумская правда, 1918, №23, Абхазия – документы и материалы (1917-1921 г.г.), Сухуми, 2009. http://apsnyteka.org/file/Abkhazja–dokumenty–i– materialy –1917-1921.pdf.

38. გაზეთი სახალხო საქმე, 1918, №238.
39. Н. Е. Герасимова, Гражданская война, 1918-1920 гг. Сочи: Страницы прошлого и настоящего, Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn.ru/blog/sochi-stranicy-proshlogo-i-nastojashhego-illjustrirovannyj-sbornik-statej-2003-god/2011-08-31-66.
40. გაზეთი ერთობა, 1918, 21 მაისი.
41. გაზეთი საქართველო, 1918, 1 ივნისი.
42. Ст. Лакоба, Очерки политической истории Абхазии, Сухуми, 1990.
43. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე 11.

Archil Chachkhiani
Senior Instructor on the Course of the War History and Military Art, Defense and Security, the Theory and Nature of War, at the CGSC of the David Agmashenebeli Georgian National Defense Academy, Ph. D., Colonel

1918 year „Bolshevist Revolutions" in Abkhazia and Combat Activities of the Transcaucasian Red Guard in Sokhumi Zone

Summary

The represented article concerns the military-political events taking place in months of April-May, 1918. In particular, bolsheviks preparation for and then realizing of the armed aggression in the Sokhumi district. It is emphasized that on the 8 April, 1918, the peasants dwelling in this district started the rebellion against the Transcaucasian Seim; this rebellion was inspired by the Abkhazian bolsheviks, who were supported by the Russian bolsheviks, acting in the Northern Caucasus and the North-East coastal region of the Black Sea, Sochi-Tuapse region. These events took place against the background of the ongoing World War I and beginning of the Ottoman military occupation of the South-West part of Georgia. Please note, that this rebellion was against the Transcaucasian Seim, not against Georgia! Additionally, the paramilitary forces of the Abkhazian revolutionary committee ("Revcom"), gangs, and criminals, released from Sokhumi prison, also acted in the named region. They claimed themselves

bolsheviks and even announced the Soviet power in Sokhumi and Kodori zone.

The most part of the population and the Abkhaz People's Council (APC) did not support this announcement. The bolsheviks responded with severe violations and atrocities against the Abkhazian population.

Relying on the existing documentary material, the article shows that on the basis of the request from the Abkhazian people's council, the special session of the Transcaucasian Seim made the decision to send a military force – the Transacaucasian Red (later – People's) Guard with the mission „To restore order in Sokhumi district". This article concerns the successful actions of the Guard, releasing Sokhumi from the bolshevist regime and other activities which are discussed falsely and in a biased way, in the Soviet as well as in the Abkhaz separatist historiography.

შოთა ვადაჭკორია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჯარის შეიარაღების საკითხისათვის (1918-1921 წწ.)

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, ქართული ჯარის შეიარაღებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების დაზუსტება და ამ საკითხთან მიმართებაში თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თვალსაზრისის გადახედვა იმითაც არის განპირობებული, რომ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი, მემუარულ ლიტერატურაზე დაყრდნობით მკითხველ საზოგადოებას არასწორ დებულებებს სთავაზობს და ცდილობს დაარწმუნოს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს (1921 წლის თებერვალ-მარტი), თბილისის არსენალი თითქოს იარაღით და ამუნიციით იყო სავსე.

ამ საკითხთან მიმართებაში, ჭეშმარიტების დასადგენად, აუცილებლად მიმაჩნია განხილული იქნას შემდეგი საკითხები: 1) რა ფინანსური ბაზა გააჩნდა საქართველოს, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების პირველ საფეხურზე; 2) ქართული ჯარის შესაქმნელად არსებობდა თუ არა საჭირო რაოდენობის იარაღი და სამხედრო ამუნიცია; 3) რით იყო განპირობებული ქართული ჯარის გადაიარაღების აუცილებლობა; 4) რა დამოკიდებულება გამოავლინა ევროპულმა სახელმწიფოებმა საქართველოს პირველი რესპუბლიკისადმი იარაღის მიყიდვასთან მიმართებაში.

რაც შეეხება საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსურ შესაძლებლობებს, ამ მხრივ იგი ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩემი კოლეგა არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მეფის ხელისუფლებამ 1914-1916 წლებში, საქართველოს ხაზინა ოქროს მარაგისგან საფუძვლიანად გაწმინდა და რუსეთში გაიტანა. ამას ისიც დაერთო, რომ საქართვე-

ლოში ჩამოსახლებული რუსი მოხელეების უზარმაზარი „არმია“, ადგილობრივ მოსახლეობას დააწვა სარჩენად. ეს ორი ფაქტორი, რეგიონში უმძიმეს ფინანსურ გარემოს ქმნიდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შესაქმნელად, მოსამზადებელი საფეხურისათვის შემაფერხებელ ბარიერს წარმოადგენდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ იმ ეტაპზე მოქმედმა პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო სექტრის ლიდერების უმეტესობამ, შექმნილი მდგომარეობა სწორად შეაფასა და შესაბამისი პრაგმატული ნაბიჯიც გადადგა. მხედველობაში მაქვს კ. აფხაზისა და დ. ნიჟარაძის მიერ ახლად არჩეული საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა ქონების გადაცემის ფაქტი. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ეს ქონება, საქართველოს ეროვნული ფონდის შექმნას დაედო საფუძვლად. ისიც ცნობილია, რომ აღნიშნული ფონდის მიზანს, საქართველოს დამოუკიდებლობისა და რეგიონში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური სიტუაციიდან გამოსავალი საფეხურის მომზადება წარმოადგენდა.

ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული, რომ ეროვნული სახელმწიფოს ფორმირება და მისი დამცავი მექანიზნის – შეიარაღებული ძალების შექმნა თითქმის პარალელურ რეჟიმში უნდა მომხდარიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახლადშექმნილი სახელმწიფოს არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდებოდა. ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები ქართული ჯარის შექმნა-შეიარაღებისათვის შესაბამისი საშუალებების გამოძებნას მაქსიმალურად ცდილობდნენ. ამის დადასტურებას, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წლის 8 დეკემბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში წარმოადგენს. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ამ სხდომას აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის სახელმწიფოების ელჩები ესწრებოდნენ. მათი მხრიდან ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად, ქართული ჯარის შექმნა და არსებული ფრონტის ხაზის დაცვის აუცილებლობა იქნა დასმული. რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა პოზიციას, სტენოგრაფიული ანგარიშის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ნ. ჟორდანიამ იგი შემდეგი ფორმით ჩამოაყალიბა: „ჩვენ ჯარი მალე გვეყოლება... მაგრამ იარაღი არ გვაქვს საკმაო. იარაღი თქვენ მოგვეცით, ჩვენ დავიცავთ

ჩვენს ტერიტორიას. ჩვენ რომ ოსმალეთს წინ დავუდგეთ, განმარტოებით ხომ არ დავრჩებით, ან მოკავშირეები რა გვარის დახმარებას გაგვიწევენ... ჩვენ იარაღი გვჭირია". ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ლიდერთა პირდაპირი და გახსნილი პოზიცია. ამ ფაქტმა ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლები იძულებული გახადა ქართული მხარის მხრიდან წამოჭრილ საკითხებზე კონკრეტული პასუხი გაეცა. იმავე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, რომ ევროპელები საქართველოს მხოლოდ ფულით და ევროპელი სამხედრო ოფიცრების მიშველებით დაეხმარებოდა. რაც შეეხება იარაღს, მის მიწოდებაზე უარს აცხადებდნენ [1, 14]. არც იმას აკონკრეტებდნენ, თუ როგორ და რა გზით უნდა მომხდარიყო ახლად შექმნილი ქართული ჯარის შეიარაღება. **აღნიშნული ფაქტი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ქართველებისადმი იარაღის მიწოდებაზე, ქართული საჯარისო შენაერთების შექმნის პირველი საფეხურიდანვე იკავებდნენ თავს. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რუსული იარაღის შეძენაზე უნდა ეზრუნა და იმავე (უკვე გასაბჭოებული) ქვეყნის მიერ წარმოებული იარაღის მომხმარებლად დარჩენილიყო.** თუკი ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გაბატონებული თვალსაზრისით – სამხედრო საწყობები თითქოს იარაღით იყო სავეს – ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ევროპის ქვეყნებისგან საქართველოსადმი იარაღის არმიყიდვა დიდ ტრაგედიად არ უნდა ჩაითვალოს. აღნიშნული ნატყუარი ინფორმაცია გენ. გ. მაზნიაშვილის მემუარებიდან იღებს სათავეს და მისი გაზიარება დღემდე უკრიტიკოდ ხდებოდა. ამ შემთხვევაში, ყურადღების მიღმა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო დატოვებული. მხედველობაში მაქვს გ. მაზნიაშვილის მემუარების საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დაწერისა და ცენზურის გავლის შემდეგ 1927 წელს სტამბურად დაბეჭდვის ფაქტი. ბუნებრივია, ამ გარემოებებმა თავისი უარყოფითი დაღი დაასვა აღნიშნულ მემუარებს. მხედველობაში მაქვს სამხედრო საწყობებში იარაღისა და ტანსაცმელის არსებობის შესახებ მოტანილი ფანტასტიკური ციფრები. სამწუხაროდ, მისი სანდოობის საკითხი დღემდე ეჭვის ქვეშ არავის დაუყენებია. ჩემთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით იმავე მემუარებში ვკითხულობთ: **„იარაღი, მოკაზმულობა და მთავარ სურსათის მარაგი საწყობებში იმდენი იყო, რომ შესაძლებელი იყო ქართული ლაშქრის თუნდ 50 ათასი კაცის შეიარაღება, მოკაზმვა და გამოკვება ათი**

წლის განმავლობაში“ [2, 6]. **ან კიდევ: „1921 წლის მაისში, ჩვენს საწყობებში დარჩენილი ტანსაცმლით მე შევძელი შემოსვა თავიდან ფეხებამდე 17 ათასი კაცისგან შემდგარი წითელი არმიისა. ეს არ კმარა: საქართველოს საბჭოთა მთავრობა, დღიდან თბილისში შემოსვლისა, ორი კვირის განმავლობაში ჰკვებავდა უფასოდ მთელი ქალაქის მცხოვრებლებს სამინისტროს საწყობებიდან“** [2, 170.

ამ ამონაწერებში მოტანილი ფაქტები, საბჭოთა ხელისუფლების მაღალჩინოსნების მითითებით რომ არის ჩადებული იქედანაც ჩანს, რომ წინა გვერდზე იგივე გ. მაზნიაშვილი შეფარვითი ფორმით წერს: „მალე გამოირკვა, რომ საინდენდატო საწყობებშიაც არ იყო ტანსაცმელი და მოკაზმულობა, რაც მთავარია, თოფებიც“ [2, 169]. ამ შემთხვევაში პრინციპულად ისმება კითხვა: 1) თუკი საინდენდანტო საწყობებში ტანსაცმელი, მოკაზმულობა და თოფები არ იყო, რა გზით უნდა მომხდარიყო 50 ათასი კაცის შეიარაღება, ან ცარიელი საწყობების შემყურე გ.მაზნიაშვილმა როგორ შეძლო 17 ათას კაციანი ქართული წითელი ლაშქრის შექმნა? სად ამბობს სიმართლეს და სად ტყუის იგი? 2) რაც შეეხება იმავე საწყობებში გ.მაზნიაშვილის მიერ მითითებულ სურსათის მარაგს, კონკრეტულად არ ასახელებს სკვები პროდუქტების იმ სახეობას, რომლითაც იგი 50 ათსი ჯარისკაცის 10 წლით გამოკვებას ვარაუდობდა. ხაზგასმით მიმდა აღვნიშნო, რომ ამიერკავკასიაში და მითუმეტეს თბილისის სამხედრო საწყობებში, სურსათის (ხორცი, კარტოფილი, ლობიო, კონსერვის ქილები, ძეხვი...) არა თუ 10 წლით, არამედ 2 წლით შენახვისათვის შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებები არ არსებობდა; 3) დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა და მისი მიმდინარეობის პარალელურად, რუსეთიდან ეტაპობრივად ამიერკავკასიაში ფრონტისთვის შემოტანილი პროდუქტის დანიშნულების მიმართულებით გაგზავნას, ამიერკავკასიის ფრონტის მთავარსარდლობა კურირებდა. ეს პროცესი რუსეთის დროებითი მთავრობის პერიოდშიაც გაგრძელდა. მისი შეწყვეტა, 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებას და ფრონტის ხაზიდან ჯარის დემობილიზაციას უკავშირდება. სმეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია, რომ 1918 წლის იანვარ-თებერვლის ჩათვლით, ოსმალეთის ფრონტიდან წამოსული გაბოლშევიკებული რუსული ეშელონების, განსაკუთრებით ბოლო ეშელონის სურსათით უზრუნველყოფა, სამხედრო საწყობების სიცარიელის გამო, ამიერ-

კავკასიის კომისარიატმა უდიდესი ძალისხმევის შედეგად მოახერხა.

როცა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სურსათის სარეზერვო ფონდის შესახებ ვსაუბრობთ, პირველ რიგშია გასათვალისწინებელი: ა) 1918-1920 წლების მონაკვეთში ბოლშევიკური აჯანყებების სალიკვიდაციო და მეზობელი სახელმწიფოებიდან თავდასხმების მოგერიებითი საომარი ოპერაციები, რომლებმაც დიდი რაოდენობით ფინანსები და ქვეყნის სასურსათო მარაგი შეინოვა; ბ) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების მხრიდან საქართველოსადმი შეპირებული სურსათის მიწოდების არშესრულება; გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მხრივ ქვეყანაში იმ ეტაპზე არსებული სინამდვილე. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, 1921 წლის 20 იანვრამდე საქართველოში სურსათის თუნდაც 2 წლიან სარეზერვო მარაგზე საუბარიც კი შეუძლებელია. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: 1) სამხედრო ტანსაცმელის, მოკაზმულობის, თოფების, სურსათის (ხორცი, კარტოფილი, ლობიო, კონსერვის ქილები, ძეხვი...) სახეობებისგან საწყობები დაცარიელებული იყო. რაც შეეხება ხორბალს, იგი უმნიშვნელო რაოდენობას წარმოადგენდა. 2) არქივსაცავებში ჩემს მიერ მიკვლეული დოკუმენტური მასალებით დასტურდება, რომ საწყობების ხორბლით შევსება, 1921 წლის 20 იანვრის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი საქართველოს ხელისუფლების მიერ ნიუ-იორკის სავაჭრო სახლთან – „შაბიერ მორელ იკო“-სთან 1920 წლის დასაწყისში გააფორმებულმა ხელშეკრულებამ შეასრულა. ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს მთავრობას, აღნიშნული ფირმისადმი 100 ათასი კილო აბრეშუმის პარკი ან მატყლი (1 კგ. აბრეშუმის პარკის სანაცვლოდ 5 კგ. მატყლი) უნდა მიეცა. საქართველოს მომარაგების სამინისტროს ძალისხმევით, 1920 წლის დეკემბრის დასაწყისში, ნიუ-იორკის ფირმა „შაბიერ მორელ იკო“-ს, პირველ საფეხურზე 62400 კილო აბრეშუმის პარკი გაეგზავნა (გემ „ფრიგზე“ 40 ათასი კგ. დაიტვირთა, ხოლო გემ „ტოდლაზე“ 22 ათას 400 კგ.). ზემოაღნიშნული ფირმა დანარჩენ 37600 კილო პარკს, ფოთის პორტში 1350 ტონა ხორბალის შემოიტანის შემდეგ მიიღებდა. იმავე დოკუმენტური მასალების მიხედვით, შეპირებული ხორბალი, ფოთის პორტში 1921 წლის იანვარის პირველ ნახევარში შემოვიდა. მისი გემებიდან მატარებლის ვაგონებში გადმოტვირთვა (76 ვაგონი შეადგინა) და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა 1921 წლის 20

იანვარს დასრულდა. ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის მიხედვით, აბრეშუმის პარკისა და მატყლის საფასურად, საქართველომ 80,184 ფუთი (1313456 კგ.) ხორბალი შეისყიდა. ეს ფაქტი, შესაბამისი უწყებების წარმომადგენლების ხელმოწერებით და ბეჭდებითაა (საქართველოს მთავრობა, საქ. რესპ. მომარაგების სამინისტრო, ფირმა „შაბიენ მორელ იკო“ და ფოთის პორტი) დადასტურებული. ხორბლის დანიშნულებისამებრ გაგზავნა, მხოლოდ ამ ოპერაციის შემდეგ (1921 წლის 20 იანვარი) გახდა შესაძლებელი. საქართველოში იმ ეტაპზე არსებული სარკინიგზო მიმოსვლის შესაძლებლობებს და შესაბამის ტექნოლოგიურ პირობებს თუ გავითვალისწინებთ, ფოთის პორტიდან ხორბლის ტრანსპორტირება და საწყობებში სრულფასოვნად დაბინავება, იანვრის ბოლომდე ვერ მოხერხდებოდა. ხორბლის შემოტანის ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი (შემოტანის დრო), გ. მაზნიაშვილისათვის უცნობი რომ ყოფილიყო, წარმოუდგენელია. მიუხედავად ამისა, იგი ზემოაღნიშნული ფაქტს გვერდს უვლის და მკითხველ საზოგადოებას არსებულ სინამდვილეს ისეთი ფორმით სთავაზობს, თითქოს საწყობები ხორბლის მარაგით 1921 წლამდე იყო სავსე და ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლებას ელემენტარული ინფორმაცია არ გააჩნდა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა რუსეთმა საომარი მოქმედებები სომხეთიდან 1921 წლის 12 თებერვალს, ხოლო აზერბაიჯანიდან 16 თებერვალს დაიწყო. გამორიცხული არაა, დროის ამ მცირე მონაკვეთში (31 იანვარი-12 თებერვალი), ხორბლის პირველი პარტიის დაფქვაც რომ ვერ განხორციელებულიყო. ფირმა „შაბიერ მორელ იკო“-ს მიერ საქართველოში 1921 წლის იანვარში შემოტანილ ზემოაღნიშნულ ხორბალს უნდა გულისხმობდეს გ. მაზნიაშვილი, როცა სურსათის „10 წლიანი მარაგის“ შესახებ საუბრობს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ გიორგი მაზნიაშვილის მემუარებში მოტანილი ზემოთ მითითებული პირველი საფეხურის ტყუილის საზოგადოებისადმი მიწოდებამ, იდეოლოგიური თვალსაზრისით, საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა ჩანაფიქრი მაღალ დონეზე შეასრულა.

მხედველობაში მაქვს, ქართველი გენერლის მხრიდან საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების დისკრედიტაციის მცდელობა. საბჭოთა პერიოდიდან მოკიდებული დღეის ჩათვლით, ისტორიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები და პუბლიცისტები, არსენალში იარაღის თითქოსდა არსებობის შესახებ გ. მაზნიაშვილის მემუარებში მოტანილ ციფრობრივ მონაცემებს ეყ-

რდნობოდნენ და დაცარიელებულ სამხედრო საწყობებს, N რაოდენობის იარაღით აღვსილად აცხადებდნენ. ამ ცრუ ინფორმაციამ, კიდევ უფრო „დამაჯერებელი“ სახე მას შემდეგ მიიღო, როცა გ. მაზნიაშვილის მემუარებში მოტანილი ტყუილი, რეზო გაბაშვილმა „მხატვრულ ფერებში ჩამოსხმული“ მიანოდა მკითხველ საზოგადოებას, ხოლო საქართველოს ხელისუფლება უპასუხისმგებლობაში დაადანაშაულა და ანათემას გადასცა [3, 114-115]. ჩემს მიერ მოპოვებული საარქივო მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო საწყობებში თავმოყრილი რუსული წარმოების საბრძოლო იარაღი და ამუნიცია, 1914 წლის საბრძოლო მოქმედებებიდან გამომდინარე, 1915-1916 წლებში საქართველოდან მაქსიმალურად იქნა გატანილი სარიყამიშსა და ალექსანდროპოლში. რუსული სამხედრო შენაერთების მიერ რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის დატოვების შემდეგ, აღნიშნულ სამხედრო საწყობებზე კონტროლს 1918 წლის იანვრიდან სომხეთის ეროვნული საბჭო ახორციელებდა. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის ძალისხმევით, 1918 წლის მარტის შუა რიცხვებში ალექსანდროპოლიდან და სარიყამისიდან საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მხოლოდ 6 ვაგონი ტყვიამფრქვევის ვაზნების და 24 ვაგონი ზარბაზნის ყუმბარების წამოღება, და თბილისის არსენალში განთავსება შესძლო. ამის შემდეგ, სომხებს ქართველებისათვის არცერთი სახეობის ვაზნა არ მიუცია. 1918 წლის იანვრის მონაცემებით, თბილისის არსენალში არსებული შაშხანების რაოდენობა 18 ათას ცალს შეადგენდა. ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილებით, იგი სამად (ქართველებისთვის, სომხებისთვის და აზერბაიჯანელებისთვის) განაწილდა და საქართველოს სამხედრო შენაერთებს 6000 ერთეული შაშხანა გადაეცა.

რაც შეეხება ქუთაისის სამხედრო საწყობებში დარჩენილ იარაღს, მის საკუთრებაზე პრეტენზიას ქუთაისში დისლოცირებული რუსული სამხედრო შენაერთი აცხადებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1917 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე იოსებ გადევანიშვილი ხაზგასმით ამბობდა: „ქუთაისის რუსის ჯარის ქონება ჩვენს ჯარს უნდა გადმოეცეს, მაგრამ სალდათები ქონებას არ იძლევიან, ჩვენია და თან უნდა წავიღოთო“. ამ ფაქტს უკეთებდა რა ანალიზს, იგივე ი. გედევანიშვილი დასძენდა: „შეგვიძლიან მივიღოთ ძალით, მაგრამ არასასურველ შედეგს მოიტანს“ [1, 16]. აქ გარკვევითაა

ნათქვამი, რომ რუსის ჯარისადმი იარაღის ძალისმიერი გზით წართმევის მცდელობა, ქვეყანაში სამოქალაქო ომის დაწყების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. ასეთ სიტუაციაში გადამწყვეტი როლი მშვიდობიანი გზით მოლაპარაკებას უნდა შეესრულებინა. მხედველობაში მაქვს ორი ფაქტორი: 1) რუსული ჯარის სარდლობის მხრიდან „კეთილი ნების“ გამოჩენის შემთხვევაში ქართველებისათვის იარაღის დატოვება და 2) ევროპელებისგან შეპირებული ფულით, ამ იარაღის შესყიდვის შესაძლებლობა. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში გადამწყვეტ როლს დროის ფაქტორი განსაზღვრავდა. ევროპელთა მხრიდან 1917 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმისადმი შეპირებული ფულით დახმარება, არა თუ 1918 წელს, არამედ 1921 წლის თებერვალშიაც არ განხორციელებულა.

ამიერკავკასიის რეგიონში მიმდინარე უმძიმესი პოლიტიკური პროცესების ფონზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ოსმალეთის დამპყრობლური ქმედებების შეჩერება, ჯერ კიდევ არშემდგარი ქვეყნისთვის ფინანსური დახმარების აუცილებლობას საჭიროებდა. ჩემს ხელთ არსებული საარქივო მასალების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ამ საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმისას, ქართველი პოლიტიკოსები ფინანსურად დასაყრდენ საფეხურს „საქართველოს ეროვნულ ფონდში“ ჩადებულ ქონებაში და იმავე ფონდისადმი შემოწირულობის საფუძველზე დაგროვილ თანხაში ხედავდნენ. მართალია, საწყისი საფეხურისათვის ფონდს გარკვეული ფორმით სახელმწიფოს ხაზინის ფუნქციის შესრულება შეეძლო, მაგრამ იგი ვერ გაწვდებოდა: ა) დამოუკიდებელი ქვეყნისთვის აუცილებელი ურთულესი რეფორმებისა და ბ) ოსმალეთის მიერ თავსმოხვეული საბრძოლო მოქმედებების დაფინანსებას. აუცილებლობა, გარედან დახმარებას საჭიროებდა. მითუმეტეს, მეფის რუსეთის მოხელეთა შემწეობით, საქართველოს ეკონომიკა „მომაკვდავი ადამიანის“ დონეს უტოლდებოდა. სამწუხაროდ, ჩემი კოლეგების უმეტესობის მხრიდან ზემოაღნიშნული ფაქტები მიზანმიმართულადაა იგნორირებული. არადა, ოქროს მარაგის ან საზღვარგარეთის სახელმწიფოებიდან ფინანსური დაუხმარებლობის გარეშე (განსაკუთრებით პირველ ეტაპზე) სახელმწიფოებრიობის ფაქტიური ფორმირება წარმოუდგენელია. ქართული პოლიტიკური ელიტა თუკი ამ სიძნელეების მეტ ნაკლებად დაძლევას ახერხებდა, იგი მის ღირსებად უნდა იქნას აღიარებული. რაც შეეხება სამხედრო და სხვა რეფორმების სრულყოფილად ვერგა-

ტარებას, ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალის შეცდომებით კი არა, ძირითადად უფულობით და იარაღის უქონლობით იყო განპირობებული. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ **საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის მარტში დამტკიცებული პროექტის – „ქართული ჯარის რეორგანიზაციის შესახებ“ სრულყოფილად ვერ განხორციელება, ფულის, იარაღისა და ამუნიციის უქონლობამ განაპირობა.** ანალოგიური ბედი ხვდა წილად საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს მთავრობის 1918 წლის 20 აგვისტოს მიღებულ კანონებს [4, 49-54].

საქართველოს თავდაცვის სისტემაში შექმნილი ურთულესი მდგომარეობის აღმოფხვრის ერთადერთ საშუალებას, იმ ეტაპზე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დახმარება და მათზე დაყრდნობით ქართული ჯარის გადაიარაღება **(რუსული წარმოების იარაღის ევროპულით ჩანაცვლება)** წარმოადგენდა. დასახული მიზნის შესასრულებლად დასავლეთ ევროპაში საგანგებო დელეგაცია იქნა გაგზავნილი. მათი წარმატებული საქმიანობის ხელის შემშლელად ორი ფაქტორი მოქმედებდა: 1) ევროპის ქვეყნებიდან იმ ეტაპზე საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის არ აღიარება. ისინი საქართველოს, „დემოკრატიული რუსეთის“ შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდნენ; 2) დაშნაკცუთიუნის პარტიის ლიდერთა მხრიდან, 1919 წლიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიზანმიმართული ფართომასშტაბიანი კამპანიის გაჩაღება. ამ საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, აკაკი კვიტაიშვილი წერდა: „1919 წელს გაიმართა კამპანია საქართველოს წინააღმდეგ დასავლეთში, განსაკუთრებით კი ინგლისურსა და ნაწილობრივ ფრანგულ პრესაში. პრესის კამპანიაში დიდ როლს თამაშობდა ყოფილი რუსეთის მეფის დიპლომატია გენერალ დენიკინის კარნახით. ამავე დროს ფრანგულად დაიბეჭდა დაშნაკელთა წარმომადგენელის ვარდანიანის წიგნი სათაურით „სომეხ-ქართველთა კონფლიქტი და კავკასიის ომი“. წიგნი აღსაშფოთებელი, გაბოროტებული, თავიდან ბოლომდე აღსავსე ცილისწამებებით საქართველოს წინააღმდეგ... წიგნი დაურიგდა ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრებსა და ერთა ლიგის მეთაურებს. ასეთ მოწამლულ გარემოში მოუხდა მუშაობა ქართულ დელეგაციას. განსაკუთრებით ინგლისელები იყვნენ ჩვენს წინააღმდეგ, რომლებიც იმ დროს იყვნენ საქმის ფაქტიური გადამწყვეტნი“ [5, 115].

საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ევროპის მასშტაბით ამუშავებული სომხური „იდეოლოგიური მანქანის“ და მისი მხარდამჭერი (სომხური დიასპორისგან მოსყიდული) ინგლისურენოვანი ჟურნალისტებისგან პრესის ფურცლებზე გავრცელებული ცილისმწამებლური ინფორმაციის დაძლევა, გაღატაკებული ქართველებისათვის უდიდეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლობას ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებული ძალისხმევა დასჭირდა, რომ სომხურ-ინგლისური ანტიქართული „პროპაგანდისტული მანქანა“ ნაწილობრივ შეეჩერებინა. ამის მიღწევა მხოლოდ მეორე ინტერნაციონალის საპროპაგანდო საშუალებების გამოყენებით გახდა შესაძლებელი. მხედველობაში მაქვს, დაშნაკცუთიუნის პარტიის საზღვარგარეთული წარმომადგენლების ტყუილებში მხილება და ევროპელი სოციალ-დემოკრატთა ლიდერების მხრიდან, ევროპული პრესის საშუალებით ზემოაღნიშნული საკითხის გაპიარება. ამ ურთულესი სამუშაოს ჩატარების შემდეგ შეძლო ქართულმა დელეგაციამ, ანტანტის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრა. ამ მხრივ, განსაკუთრებით საფრანგეთის პრემერ მინისტრ კლემანსოსთან საქართველოს დიპლომატიური კორპუსის შეხვედრის ფაქტი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. როგორც ცნობილია, საქართველოს დელეგაციის მესვეურებმა მას საგანგებო მემორანდუმი გადასცა. ამ დოკუმენტში ქართველთა მოთხოვნა შემდეგი ფორმით იყო ჩამოყალიბებული: „ჩვენ ვითხოვთ დაუყოვნებლივ დახმარებას იმიტომ, რომ ვიცით, რაც უფრო ძლიერი ვიქნებით და მომზადებული, მით უფრო გაადვილდება ბოლშევიკების შემოსევის თავიდან აცილება“ [5, 116].

ზემოაღნიშნული „შეგონების“ მიუხედავად, საფრანგეთის და ევროპის სხვა ქვეყნების ხელისუფალთ, საქართველოსადმი შეპირებული დახმარების (იარაღი, ფული, ამუნიცია, სურსათი) შესასრულებლად იოტისოდენა ნაბიჯი არ გადაუდგამს. არადა, საქართველოს გარშემო მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესები, ქართული ჯარის დაუყოვნებლივ გადაიარაღებას, რუსული წარმოების აღჭურვილობისგან განთავისუფლებას და საქართველოს შეიარაღებული ძალების რაოდენობრივად ზრდის აუცილებლობას მოითხოვდა. სავსებით სწორად აღნიშნავდა ა. კვიტაიშვილი, რომ **ქართული ჯარის რიცხობრივ რაოდენობას „საზღვრავდა იარაღის რაოდენობა და არა სურვილები!.. ევროპისგან მიტოვებული საქართველო თავის შინაურ მტერზე დამოკიდებული, მაინც**

ახერხებს მცირე შეიარაღებული ლაშქარი იყოლიოს“ [5, 116]. **მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ბოლშევიკებისგან ყუბანის ოლქის დაჭერისა და მისი გასაბჭოების გამო, პურის შესყიდვის შესაძლებლობები საქართველოს გადაეკეტა. ჯარის რაოდენობრივი ზრდისთვის იარაღთან და ტანსაცმელთან ერთად, პურის მარაგიც აუცილებლობას წარმოადგენდა. მართალია, საქართველოს მიერ ხორბლის დიდი რაოდენობის პარტია არგენტინაში იყო შესყიდული, მაგრამ მისი დანიშნულებისამებრ ტრანსპორტირება იგვიანებდა.** მდგომარეობის განსაკუთრებულმა გართულებამ განაპირობა ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის, იტალიის დიპლომატიური წარმომადგენლებისადმი ნ. ჟორდანიას მიერ **1920 წლის 20 მარტს** გადაცემული წერილობითი განცხადება. დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით, მასში საფუძვლიანადაა მხილებული დასავლეთის სახელმწიფოთა მხრიდან საქართველოსადმი მიცემული დაპირებების შეუსრულებლობა. **„ჩვენ განსაკუთრებით ჩაგვცა ლახვარი თანხმობის ქვეყნების დამოკიდებულებამ – ვკითხულობთ დოკუმენთში – ჩვენი ჩრდილო საზღვრების დაცვის საქმეში, საიდანაც ჩვენი სახელმწიფოს დანგრევის მიზნით ბოლშევიკები მოემართებიან. ჩვენ არაერთხელ აღვძარით შუამდგომლობა ამ ბრძოლაში ამუნიციით და სურსათით მხარდაჭერისათვის. მხარდაჭერას დაგვპირდნენ, ჩვენ ველოდით მოთმინებით მაგრამ ვერ მივიღეთ თქვენგან ვერცერთი ვაზნა, ვერცერთი ფუნტი პური. ახლა დადგა მომენტი, როდესაც მეტი ლოდინი შეუძლებელია და დაპირებებით ვერ დავკმაყოფილდებით... მე მწარედ უნდა აღვნიშნო, რომ ისე, როგორც გასულის წინა წელს, ჩვენ ისევ მარტონი დავრჩით, ან იმის გამო, რომ თქვენი მთავრობები არასაკმარისად არიან ჩახედულნი, ან კიდევ ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩვენი რესპუბლიკის დანგრევა აღმოსავლეთში თქვენი ინტერესების ხელყოფად არ ითვლება“** [6, 303]. **ეს ვრცელი ამონაწერი ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების ტყუილზე დაფუძნებული შეპირებების მხილების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.** ასეთი მკაცრი განაჩენის მიუხედავად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, ზემოაღნიშნული დანაპირების შესასრულებლად თავი არ შეუწუხებიათ. იარაღის, ამუნიციის და სურსათის დეფიციტის მიუხედავად, მოახლოებული საფრთხის ნეიტრალიზების მიზნით, საქართველოს ხელისუფლება თადარიგს იჭერდა. მხედველობაში მაქვს საქართველოს სასაზღვრო ზოლის გამაგრებასთან დაკავშირებით გენერალ ილა ოდი-

შელიძის მიერ ქვეყნის თავდაცვის საბჭოსადმი 1920 წლის 4 თებერვალს მოხსენების სახით წარდგენილი პროექტი. ეს უაღრესად საყურადღებო დოკუმენტი მაქსიმალურად ითვალისწინებდა ყველა იმ საფრთხეს, რომელიც ჩრდილოეთიდან (რუსეთი) და სამხრეთ-დასავლეთიდან (ოსმალეთი) ემუქრებოდა საქართველოს. მასში სამხედრო სპეციფიკისათვის დამახასიათებელი მოთხოვნების გათვალისწინებით იყო გაწერილი: 1) იმ სტრატეგიული პუნქტების დაკავების აუცილებლობა, რომელიც საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში ქართული ჯარის ნაწილებს უპირატესობას შეუნარჩუნებდა; 2) ქართული ჯარის რაოდენობრივად გაზრდის, მისი შეიარაღებისა და უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ სასაზღვრო პოზიციებზე ბატალიონების რაოდენობის განლაგება; 3) პროექტი თავდაცვითთან ერთად, შეტევითი ხასიათის ოპერაციების ჩასატარებელ უმნიშვნელოვანეს ნიუანსებსაც ითვალისწინებდა [6, 316-320].

ამ პროექტის ყველაზე დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მასში დასმული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, შესაბამისი სამუშაოს ჩასატარებლად მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვაც არ იყო გათვალისწინებული. იმ ეტაპზე არსებული დოკუმენტური მასალების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ნებისმიერი პროექტი სრულფასოვნად მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლებოდა, თუკი მისი განხორციელებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვის 80%-იანი ჯამური მონაცემები ექნებოდა დართული. ქვეყნის ფინანსებთან დაკავშირებულ ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, ქართველი გენერლების უმეტესობა ხშირად ყურადღების მიღმა ტოვებდა. ანგარიშს არ უწევდა საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტის შესაძლებლობებს. არც იმას ითვალისწინებდა, რომ **1918-დან 1921 წლის თებერვლამდე, დახმარების სახით დასავლეთ ევროპიდან საქართველოს არცერთი ცენტი, არცერთი ცალი ვაზნა და გრამი პური არ მიუღია. ყოველი უმნიშვნელოვანესი წამოწყება მხოლოდ შიდა ემისიაზე იყო დაფუძნებული.**

აღნიშნული ნაკლის მიუხედავად, ეს პროექტი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ საქართველოს ხელისუფლებას, ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა და მისი დროულად მოწესრიგება ნომერ პირველ ამოცანად მიაჩნდა. **ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს მიერ მიკვლეული დოკუმენტური მასალით ირკვევა, რომ იმ ეტაპზე თავდაცვის უწყებისადმი დაქვემდებარებულ საწყობებში არსებული შეიარაღებისა და ამუნიციის (თოფები, ვაზნე-**

ბი, ყუმბარები, ტანსაცმელი, სურსათი...) მარაგი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ იგი ი. ოდიშელიძის მიერ შემუშავებული პროექტის ნაწილობრივად განხორციელებასაც ვერ უზრუნველყოფდა. ევროპული სახელმწიფოების ლიდერთა დაპირებების შემყურე საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა აზერბაიჯანისა (1920 წლის 28 აპრილი) და სომხეთის (1920 წლის 29 ნოემბერი) გასაბჭოების შემდეგ. მომხდარი ფაქტით, ი. ოდიშელიძის პროექტში დამატებითი ცვლილებების შეტანა აუცილებელი შეიქმნა. ამ პროცედურის განხორციელება, დაფინანსების თვალსაზრისით გარკვეული ფორმით კორექტივს საჭიროებდა. მართალია, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 15 ივნისის №24-ე სხდომის მიერ მიღებული დეკრეტით თავდაცვის ფონდს 400 მილიონი მანეთი გამოეყო, მაგრამ იგი მინიმალურადაც ვერ წვდებოდა იმ ურთულესი პრობლემის მოგვარებას, რომელიც ქართული ჯარის შეიარაღებასთან იყო დაკავშირებული. კიდევ უფრო შეუსრულებადი აღმოჩნდა საქართველოს მთავრობის 1920 წლის ნოემბრის დადგენილება – ქართული ჯარის დამატებით 40 ათასი კაცით გაზრდის შესახებ. მისი განმაპირობებელი მიზეზები პირველადი ტექნიკური და ფინანსური საშუალებების (იარაღი, ტანსაცმელი, სურსათი, ფული...) უქონლობით იყო გამოწვეული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსული წარმოების ვაზნებითა და ყუმბარებით, სამხედრო საწყობების იმ ეტაპზე შევსება შეუძლებელი ხდებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე მოგვიანებით გულისტკივილით წერდა: „ჩვენი ოცნება იყო რამენაირად სამოცი ათასი ჯარი შეგვექმნა, მაგრამ უიარაღობის გამო ეს ოცნება ოცნებად დარჩა (მიუხედავად იმისა, რომ მომზადებულ ჯარისკაცთა რიცხვი საქართველოში აღემატებოდა ორასი ათასს. სათანადო სარდლობაც მზად იყო)“ [7, 55].

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ვაზნებისა და ყუმბარების ის მარაგი, რომელიც სარიყამიშიდან და ალექსანდროპოლიდან იქნა ჩამოტანილი (1918 წლის მარტი), 1918-1920 წლებში მიმდინარე საომარმა ოპერაციებმა შთანთქა. მხედველობაში მაქვს: 1) ოსმალეთთან ომი (1918 წლის მარტი-აპრილი); 2) ბოლშევიკების მიერ 1918 წელს მოწყობილი 20-მდე გლეხთა შეიარაღებული აჯანყება; 3) სომხეთთან 1918 წლის ოქტომბერ-დეკემბერის საომარი ოპერაციები; 4) ბოლშევიკების 1919 წელს აჯანყებები; 5) დენიკინის წინააღმდეგ 1919 წელს ჩატარებული საბრძოლო მოქმედებები; 6) საბჭოთა რუსეთისა და გასაბჭოებული აზერბაიჯანის მიერ 1920 წელს

განხორციელებილი თავდასხმა საქართველოზე და მისი მოგერიება; 7) ოსების 1920 წლის აჯანყება და ა.შ. ყოველივე ეს, ახლადშექმნილი საქართველოს სახელმწიფოს ხაზინას ათეულობით მილიარდი დაუჯდა. ხოლო თავდაცვის უწყებისადმი დაქვემდებარებული საწყობები რუსული წარმოების ვაზნებისა და ყუმბარების მარაგისგან თითქმის დაცარიელდა.

ზემოაღნიშნული ფაქტები ჰქონდა მხედველობაში მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთ ლიდერს თედორე ღლონტს, როცა იმავე პარტიის პირველ ყრილობაზე (1921 წლის 30 ოქტომბერი) ამბობდა: „3 წლის განმავლობაში, რაც საქართველო დამოუკიდებელი იყო, ჩვენ არ ვიცით არცერთი სამი თვე, რომ გაგვეტარებინოს უომრად, აჯანყების გარეშე. ომი კი, მით უფრო სისტემატური ომი, თვით აღა-მახმად ხანის რეჟიმზე უარესია." ნებისმიერმა მკვლევარმა, რომელიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის თავდაცვის უნარიანობის შესაძლებლობებს შეეხება, პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს: 1) ზემოაღნიშნული პროცესებიდან გამომდინარე, ქვეყნის ფინანსურად და ეკონომიკურად დამანგრეველი შედეგები; 2) პასუხი უნდა გაეცეს კითხვას; 1918-1920 წლებში რაც საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ გადაიტანა, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ნებისმიერი სხვა ქვეყანა (გნებავთ იგივე ევროპული) თუკი იმავე ევროპული სახელმწიფოებისგან ფინანსურ დახმარებას ვერ მიიღებდა. ამ ფონზე, ალოგიკურად მოჩანს გენ. გიორგი კვინიტაძის მემუარებში გაკეთებული განცხადება – საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, 1920 წლის მაის-ივნისში თითქოს ამიერკავკასიის განმათავისუფლებელი მისიის შესრულება შეეძლო „ეს იყო ერთად-ერთი უაღრესად ხელსაყრელი შემთხვევა – წერს გ. კვინიტაძე – აზერბაიჯანისა და სომხეთის გასანთავისუფლებლად ბოლშევიკი დამპყრობლებისაგან. ჩვენ შეგვეძლო ბოლშევიკებისაგან მთელი კავკასიის გაწმენდა და იქნებ დაღესტნისაც. ეს იყო 1920 წელი, როდესაც პოლონეთი ომს აწარმოებდა რუსეთთან და გენერალი ვრანგელი დაძრული იყო ყირიმიდან". ერთი შეხედვით ეს გეგმა მიმზიდველი ჩანს, მაგრამ თუკი ყველა ასპექტის გათვალისწინებით განვიხილავთ, მისი განხორციელება საქართველოს კატასტროფას დააჩქარებდა. როცა გ. კვინიტაძე სომხეთის განთავისუფლებაზე ლაპარაკობს, იგი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მისი გასაბჭოება მხოლოდ 1920 წლის 29 ნოემბერში განხორციელდა. 1) იმ შემთხვევაში თუ გენერალ გ. კვინიტაძის მიერ შეთავაზებული

გეგმით იმოქმედებდნენ, საქრთველოს ხელისუფლებას აზერბაიჯანელთა და სომეხთა მხრიდან ქართული ჯარის უსაფრთხოების გარანტია უნდა ჰქონოდა. აზერბაიჯანელებისგან ამის მიღწევა შეუძლებელი იყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბოლშევიკებს ქვეყანა თითქმისუბრძოლველად ჩააბარა. რაც შეეხება სომხეთს, იგი ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისთანავე მის მიერ „სადაოდ“ ქცეული ქართული მიწების მიტაცებას შეეცდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული მხედრობისადმი აზერბაიჯანელთა ძირითადი ძალების და პრორუსული ორიენტაციის მქონე სომეხთა თანადგომა სათავეშივე იყო გამორიცხული. ეს იმას ნიშნავდა, რომ თუკი საქართველო, ამიერკავკასიის „განმათავისუფლებელის“ ფუნქციას იკისრებდა, იგი რისკის პოლიტიკის გზას უნდა დადგომოდა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 25 ივნისის სხდომაზე ოპონენტთა მისამართით ვ. თევზაია ამბობდა: „აზერბაიჯანის ხალხი გაგვეთავისუფლებია უცხო ძალისაგან... ასეთ მიზნებს საქართველოს რესპუბლიკა ვერ გაიზიარებს... ის ვინც ფიქრობს, რომ უნდა ჩაერიოს სხვის საქმეებში... შესულიყო მათ დედაქალაქში, გაეყარა ყველა მისი მოკავშირე ელემენტები... ასეთი პოლიტიკა რესპუბლიკას არ ქონია და არც ექნებოდა“. იმავე საკითხთან დაკავშირებით აკაკი ჩხენკელმა განაცხადა: „ჩვენი მდგომარეობა რთულია, ჩვენ ირგვლივ რკალშემორტყმული ვართ... ჩვენი მთავრობაც არ აწარმოებდა რისკის პოლიტიკას და ყველა ის რასაც აქ ბ-ნი ვეშაპელი ბრძანებდა, არის რისკის პოლიტიკა. ჩვენ რისკს ვერ ვაწარმოებთ სანამ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ჩვენი ერის, ჩვენი დემოკრატიის წინაშე“. 2) „ომის გაგრძელების მომხრენი“ ყურადღების მიღმა ტოვებდნენ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას; შეძლებდა თუ არა საქართველოს ეკონომიკა ხანგრძლივი ომის ხარჯების გადაფარვას და რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ქვეყნის ფინანსები. მითუმეტეს, 14 დღიანი ომი საქართველოს ბიუჯეტს მილიარდ ნახევარი ქართული ბონი დაუჯდა. 3) ისინი არც იმას კითხულობდნენ, თუ რა მდგომარეობა იყო სამხედრო საწყობებში იარაღის, ვაზნების, ყუმბარების, ტანსაცმლისა და სურსათის თვალსაზრისით. **თავდაცვის საბჭოს გასაიდუმლოებული მონაცემების მიხედვით, 1920 წლის ივნისის ბოლოსთვის, სამხედრო საწყობებში მხოლოდ 1 მილიონ 800 ათასი რუსული წარმოების ვაზნის მარაგი იყო. აზერბაიჯანის „განმათავისუფლებელ“ მისიასთან დაკავშირებული საომარი მოქმედებების განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს სამხედრო შეიარაღებულ ძალებს მი-**

ნიმუმ 2 მილიონ 500 ათასი ვაზნა დასჭირდებოდა. გაურკვეველია, თუ რა რაოდენობის ზარბაზნის ჭურვები და სურსათი იქნებოდა საჭირო ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობის შესანარჩუნებლად და მის გამოსაკვებად. ამ მხრივ, სამხედრო საწყობების სარეზერვო მარაგი თითქმის ამოწურული იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ კრიტიკულ მომენტში, ქართული ჯარი რუსული წარმოების ვაზნების, ყუმბარებისა და საკვების გარეშე დარჩებოდა. თუკი ეს მოხდებოდა, საქართველოს სახელმწიფოს კატასტროფა გარდუვალი იყო და რაც მთავარია, ვაზნების გარეშე დარჩენილი ქართული ჯარი, ოსების 1920 წლის ივნისის აჯანყებასაც ვერ გაუმკლავდებოდა და ოს ბოლშევიკებს, თბილისში თოფის გასროლის გარეშე შემოსვლის შესაძლებლობა მიეცემოდა. ეს არის მწარე სინამდვილე, რომლისადმი ანგარიშის გაწევა ნებისმიერი მკვლევრისათვის აუცილებლობას წარმოადგენს. 4) მხედველობაშია მისაღები 1918 წლის დასაწყისში,სომხეთისა და აზერბაიჯაის ინტერესების დასაცავად, საქართველოს თავგამოდებიდან გამომდინარე მიღებული მწარე გამოცდილება. აღნიშნული პოლიტიკური კურსი, ეროვნული საბჭოს 1918 წლის 16 სექტემბრის სხდომაზე, ეროვნულ-დემოკრატმა ი. მაჭავარიანმა „ოცობოცო“ პოლიტიკად შეაფასა და მმართველ პოლიტიკურ პარტიას მკაცრი ტონით მიუთითა: „დაანებეთ თავი ოცობოცოდიას, დაადექით რეალური პოლიტიკის გზას, დაანებეთ თავი მსოფლიოზე ზრუნვას... აი ჩვენი პასუხი საგარეო პოლიტიკაზე“. აზერბაიჯანის „განმათავისუფლებელი“ მისიის წარუმატებლობის შემთხვევაში, ქვეყნის მმართველი პოლიტიკური პარტია, იმავე ეროვნულ-დემოკრატებიდან ანალოგიური ჩაწიხვლის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ერთი რამ უდაოდ შეიძლება ითქვას, ოპოზიციური პარტიებისა და სამხედრო უწყების არცერთ მაღალჩინოსანს, გ. კვინიტაძის ზემოაღნიშნული გეგმის შესაძლო წარმატების დასაბუთება ან მოსალოდნელი შედეგების პასუხისმგებლობის აღების შესახებ, რაიმე სახის დოკუმენტი მთავრობისათვის იმ ეტაპზე არ წარუდგენია. ამ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებამ იმოქმედა თავდაცვის სისტემას დაქვემდებარებულ სამხედრო საწყობებში არსებული შესაძლებლობიდან და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. სამხედრო საწყობებში რუსული ვაზნების მარაგის ამოწურვის გამო, როცა მის შევსებას კუსტარულად დამზადებული ვაზნებით ცდილობენ, ამ ფონზე, ბოლშევიკებისგან აზერბაიჯანის განთავისუფლების რაიმე გეგმებზე საუბარი

ყოვლად დაუშვებელია. ჩემს მიერ არქივის საცავებში მიკვლეული დოკუმენტით დასტურდება, რომ საქართველოს მთავრობის 1920 წლის 24 თებერვლის დადგენილებით, რუსული წარმოების ვაზნების გასატენად (კუსტარული წესით დასამზადებლად) და მწყობრიდან გამოსული თოფების შესაკეთებლად, შესაბამისი სახელოსნოების მოწყობისათვის 9.440.000 მანეთი იქნა გამოყოფილი. იმის გასარკვევად თუ ვისგან მომდინარეობდა ვაზნების კუსტარულად დამზადების იდეა, ამის შესახებ საყურადღებო ინფორმაციას ა. კვიტაიშვილის ნაშრომი იძლევა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მასში ვკითხულობთ: „საქართველოს გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ზაქარიაძე თავის „ჩვენება“-ში ამბობს: „ვაზნების მარაგი ფრიად ცოტაა. რა ვქნათ? გამოსავალს თითქმის ვერ ვხედავთ! ერთ დღეს შემოვიდა ჩემთან გენერალი ქუთათელაძე და მეუბნება: მე მაქვს ერთი იდეა, დამიჭირე მხარი და ვაზნებს გავაჩენო. მე მას მივუგე: წინ და წინ გიჭერ მხარს! რაშია საქმე? აი რა მიპასუხა მან: არსენალში მილიონობით ჰყრია ცარიელი ვაზნები და გავტენოთ წამლით! – ნიკელის ტყვიებს სად შოულობ? – ვკითხე მე. – ნიკელის ტყვიები არის არსენალში. ეს თათრული ვაზნებია, რაც აუარებელია არსენალში. მათ ჩვენ ამოვაძრობთ და გავუკეთებთ რუსულ ვაზნებს! რასაკვირველია, მათ შორის განსხვავებაა და ძლიერ გავლენას იქონიებს სროლის სიზუსტეზე, მაგრამ მასირებული ცეცხლის დროს შედეგი მაინც დაახლოებით ერთი და იგივე იქნებაო. გენ. ქუთათელაძის წინადადება სისრულეში მოვიყვანეთ“ [5, 15]. ამ ფაქტს, გენ ალ. ზაქარიაძეც ადასტურებს და იგი შემდეგნაირად გადმოსცემს: „არსენალში დავიწყეთ ვაზნების ხელით აწყობა. ჩვენმა გამოჩენილმა არტილერისტებმა ღენ. ქუთათელაძემ და ყაზბეგმა ეს მოახერხეს, მაგრამ რამდენი გვექნებოდა და როდის გვექნებოდა სათანადო თადარიგი? მხოლოდ 1920 წლის შემდეგ ავიყვანეთ დღიური რიცხვი ასე აწყობილი ვაზნების ოცდაათი ათასამდე, არც ამისთვის საჭირო მასალის თადარიგი იყო უსაზღვრო“ [7, 52].

ჩემს მიერ მოტანილი ზემოაღნიშნული ფაქტები ორ ძირითად გარემოებაზე მიგვანიშნებს: 1) რუსული წარმოების შაშხანებისათვის სამხედრო საწყობებში ვაზნების მარაგის უკმარისობაზე და მისი კუსტარულად გასაიდუმლოებულ ფორმებში დამზადების გზით შევსების მცდელობაზე; 2) თავდაცვის საბჭოს მაღალჩინოსნების მხოლოდ რამდენიმე პიროვნებას გააჩნდა სრულფასოვანი ინფორმაცია, რა რაოდენობას შეიცავდა

თავდაცვის სისტემისადმი დაქვემდებარებულ სამხედრო საწყობებში იმ ეტაპზე არსებული იარაღი. აქედან გამომდინარე, ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრება, თითქოს საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი უწყების მაღალჩინოსნებმა არ იცოდნენ თუ რა „ქონება“ იყო შენახული არსენალში, მცდარ ინფორმაციაზეა დამყარებული და სინამდვილეს არ შეესაბამება.

არსებული უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე, იარაღის შეძენის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 1920 წლის 18 მარტის დადგენილებით, საფრანგეთში მომუშავე ქართული დელეგაციის დასახმარებლად, გენ. ილია ოდიშელიძის ხელმძღვანელობით სპეციალური კომისია გაიგზავნა. **ისიც ცნობილია, რომ საქართველოს წარმომადგენლობამ საგანგებო მემორანდუმით მიმართა საფრანგეთის ხელისუფლებას. „ჩვენ ვითხოვთ – ვკითხულობთ დოკუმენტში – დაუყოვნებლივ დახმარებას... რაც უფრო ძლიერი ვიქნებით და მომზადებული, მით უფრო გაადვილდება ბოლშევიკების შემოსევის თავიდან აცილება“.** რაც შეეხება საფრანგეთის პრეიერ-მინისტრს კლემანსოს, იგი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით გარკვეული მიზეზების გამო ყოყმანობდა. დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, ამ საკითხთან მიმართებაში ა. კვიტაიშვილი წერს: „პრემიერ მინისტრი კლემანსო შეეკითხა დელეგაციას – იარაღი და ამუნიცია რომ გამოგიგზავნოთ... მათაც იგივე ბედი ხომ არ ეწევა, როგორც დენიკინისათვის გაგზავნილს; მას ბევრი გავუგზავნეთ და ბოლოს ყველა ეს იარაღი ბოლშევიკების ხელში გადავიდა-ო“. დელეგაციამ მას სათანადო შესაფერისი პასუხი მისცა. ამ თათბირის შედეგი იყო დაპირება იარაღის მიცემისა“ [5, 116].

სამწუხაროდ, ეს დაპირებაც შეუსრულებელი დარჩა. თუკი გენ. ა. ზაქარიაძის მოგონებებს დავეყრდნობით, მოკავშირე სახელმწიფოების უმაღლეს საბჭოს გენერალ ვრანგელისათვის დავალება მიუცია, რომ კონსტანტინოპოლის საწყობებში არსებული მისი ყოფილი ჯარის ნაქონი იარაღი ქართველებისათვის გადაეცა. იმავე ა. ზაქარიაძის ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით **კონსტანტინოპოლში „გაიგზავნა კომისია ღენ. ქუთათელაძის და შაქრო მდივნის შემადგენლობით. რამდენიმე დღე გაატარა ამ დელეგაციამ იქ, მაგრამ არც ერთი თოფი ჩვენ მათგან არ მიგვიღია... რუსულ საბჭოს ღენ. ვრანგელის მეთაურობით გამოუ-**

ტანია დადგენილება, რომ ყოველნაირი ზომები ყოფილიყო მიღებული, რათა ქართველებს იარაღი არ მისცემოდა" [7, 57.

ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას; რამდენადაც ვრანგელი და დენიკინი ანტანტის სახელმწიფოებისგან ფინანსდებოდა და მათი მითითებების შემსრულებლები იყვნენ, განსაკუთრებით ინგლისისა და საფრანგეთის ხელისუფალთა გარეშე, საქართველოს საწინააღმდეგოდ ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ. მითუმეტეს, სტამბოლის სამხედრო საწყობში თავმოყრილი ვრანგელის ნაქონი იარაღი, საფრანგეთის სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი სიტყვა, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ კლემანსოს უნდა ეთქვა. როგორც ზემოთაც მქონდა აღნიშნული, რამდენადაც მას ორჭოფული – წაჯექ-უკუჯექის პოზიცია ეჭირა, ამით გენ. ვრანგელი სარგებლობდა და მისი ნაქონი იარაღის ვარგისიანობის შემოწმების უფლებასაც არ აძლევდა ქართულ მხარეს. არც ისაა გამორიცხული, რომ იგივე კლემანსო, ევროპელი მაღალჩინოსნებისადმი დამახასიათებელი ორპიროვანი იანუსის როლს, რომ თამაშობდა. თორემ, მის მიერ გაცემული ბრძანების შესრულება-არშესრულებაში ჩარევას, რუსული საბჭო და გენ. ვრანგელი ნამდვილად ვერ გაბედავდა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ სიტყვას ევროპელთა ინტერესები განსაზღვრავდა. მხედველობაში მაქვს მათი მხრიდან საქართველოს საზიანოდ ჩაფიქრებული სამომავლო ღონისძიება. კერძოდ, საქართველოსგან ტერიტორიების ჩამოჭრის საფუძველზე ახალი ფსევდო „სახელმწიფოს" შექმნის მცდელობის ფაქტი. ამ მიმართულებით პირველი ქმედითი ნაბიჯი ინგლისისა და საფრანგეთის ხელისუფალთა ძალისხმევით 1920 წლის 25 თებერვალს გადაიდგა და ერთა ლიგის მანდატით, ბათუმი პორტო- ფრანკოდ გამოაცხადა. ბათუმსა და მის გარშემო არსებული ტერიტორიების ბაზაზე საქართველოსგან განცალკევებით, „პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოს" შექმნის საკითხი, მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს 27 თებერვლის ლონდონის სხდომაზე საგანგებოდ იქნა განხილული. ევროპელთა ეს ვერაგული გეგმა, ქართველ პოლიტიკოსებს მხედველობიდან არ გამორჩენია და ადექვატური ნაბიჯის გადასადგმელად შესაბამისი საფეხურის მომზადებას შეეცადნენ. ამის დადასტურებას ნოე რამიშვილის მიერ პარიზში მყოფი კ. ჩხეიძისა და ირ. წერეთელისადმი გაგზავნილი წერილი წარმოადგენს, რომელიც 1920 წლის 22 მარტითაა დათარიღებული. ამ დოკუმენტის განსაკუთრებული ღირებულება იმაში მდგომარეობს,

რომ მასში გამოაშკარავებულია ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ დაგეგმილი ინგლისის ხელისუფალთა მიზნები და ამოცანები. მეორე მხრივ, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ისტორიული ტერიტორიის ჩამოსაჭრელად, ინგლისურ-სომხური ალიანსის შესახებ – ხაზგასმითაა მითითებული. აღნიშნულთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: „ინგლისელები ცდილობს... დაიკავონ ბათუმის ოლქი და შემდეგ გაიყვანონ რკინიგზა ბათუმიდან არტაანით ყარსამდე... ასეთი გეგმა წარმოადგენს განმეორებას იმ გეგმისას, რაც ერთხელ მოხდა ძველ საქართველოში. სამცხე-საათაბაგოს მოწყვეტით დავკარგეთ ეკონომიური ძალა- გავლენა და შემდეგ პოლიტიკური სუვერენიტეტი. **ამიტომ ვიბრძვით ასე ენერგიულად ამ გეგმის წინააღმდეგ. არტაანი-ბათუმის ხაზი სავსებით ჩვენი უნდა შეიქნეს. როგორც არ შეგვიძლია ბათუმის ოლქის დათმობა, ასევე არ შეგვიძლია არც არტაანის ოლქის სომხებისათვის გადაცემა... სომხები იბრძვიან არტაანის ოლქიდან გაიკაფონ ვიწრო გზა ბათუმისკენ. გაულიტონ იქ მცხოვრებნი, როგორც ეხლა ულეტენ არტაანის ოლქის აღმოსავლეთ ნაწილის მუსლიმანებს არტილერიით და ქმნიან სუფთა დერეფანს“** [8, 1]. ამ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ გასაგები უნდა იყოს: 1) სახელმწიფოებრივად რა მაღალ დონეზე აზროვნებდა ჩვენი წინაპრები და სომეხთა მოთხოვნებში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად რა დიდ საფრთხეებს ხედავდა; 2) იმავე დოკუმენტით აშკარად იკვეთება, თუ რატომ უჭერდა მხარს ინგლისის წარმომადგენლობა სან-რემოს კონფერენციაზე სომხების უსაფუძვლო და მტაცებლურ მოთხოვნებს. ისიც საყურადღებოა, რომ **ანტანტის სახელმწიფოების მხრიდან ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას, ნ. რამიშვილმა კარიკატურული სახელმწიფოს შექმნის მცდელობა უწოდა და პრინციპულად დააყენა საკითხი მის წინააღმდეგ ენერგიული ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ.** იმავდროულად ინგლისის ხელისუფლების საქართველოსკენ შესაძლო შემობრუნების ფაქტორების წინ წამოწევაზედაც მიუთითა. ამასთან დაკავშირებით იმავე წერილში ვკითხულობთ: „ჩვენ ვფიქრობთ, შეიძლება ინგლისის ხელმძღვანელ წრეებს ადვილად დავუმტკიცოთ, რომ ძლიერი საქართველო სწორეთ მათ ინტერესებშია და მათ პოლიტიკას მთელ კავკასიაში და შუა აზიაში ამტკიცებს. ამიტომ, საჭიროა საქართველოს ინტერესთა უზრუნველყოფა“.

ნ. რამიშვილის ეს წერილი იმითაცაა საყურადღებო, რომ მასში ზაქათალის ოლქის აზერბაიჯანის საზღვრებში დატოვების შეუძლებლობაზე და ამ საკითხთან დაკავშირებით ანტანტის სახელმწიფოთა მხარდაჭერის მიღებაზეა ყურადღება გამახვილებული. როგორც ჩანს, ამ საკითხზე აზერბაიჯანელებს ევროპული სახელმწიფოების მხრიდან გარკვეული ფორმით ჰქონდა ლობირება. „მესამე საკითხი ეს არის ზაქათალას ოლქი. ყოვლად შეუძლებელია – ვკითხულობთ დოკუმენტში – ამ ოლქის აზერბაიჯანის ფარგლებში დატოვება. ეკონომიურად ის გადაჯაჭვულია თბილისთან. საჭიროა ამ საკითხში მიიმხროთ მოკავშირენი. ეს მით უფრო შეიძლება, რომ აზერბაიჯანის გაძლიერებას საქართველოს ხარჯზე არ მოისურვებენ. საერთოდ, **დროა საზღვრების საკითხი პირველ რიგში დააყენოთ.** მოდის გენ. ოდიშელიძე. მან ჩვენი აზრი იცის და საჭიროა მისი ერუდიციის სავსებით გამოყენება. იმედი მაქვს, თქვენ შეძლებთ ამ უკანასკნელ დაბრკოლებათა დაძლევას“. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ლონდონის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებმა, საქართველოსთან მიმართებაში სრული სიყრუე გამოიჩინა. ქართველთა გასაჭირი, მისი ყოველი წინადადება იგნორირებული იქნა. ასეთივე დამოკიდებულება გამოავლინა საქართველოსადმი იარაღის მიყიდვასთან მიმართებაშიაც. მართალია, საქართველოს წარმომადგენლობას ოფიციალურად უარს არ ეუბნებოდნენ, მაგრამ არც დანაპირებს ასრულებდნენ. არსებული ურთულესი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად, ფინანსების მაქსიმალური მობილიზაცია იქნა მიჩნეული. **ქართული ჯარისთვის თუნდაც გარკვეული რაოდენობის იარაღის შესყიდვის მიზნით, საქართველოს მთავრობის 1921 წლის 6 იანვრის დადგენილებით, თავდაცვის საბჭოს სამი მილიარდი მანეთი გამოიყო.** ოფიციალურად შექმნილი სარეზერვო ფინანსური ბაზის არსებობამ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს შესაძლებლობა მისცა, იარაღის შეძენის თაობაზე, ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისადმი კონკრეტული მოთხოვნები დაეყენებინა. **ამის დადასტურებას, იმავე ე. გეგეჭკორის მიერ სტამბოლში საქართველოს გენერალური კონსულის ი. გოგოლაშვილისადმი 1921 წლის 29 იანვარს გაგზავნილი დეპეშა წარმოადგენს. „ყველა საჭირო ცნობები თუ რა გვჭირდება ეხლავე პირველი რიგის ჯარის მოსაწყობად – ვკითხულობთ დოკუმენტში – უკვე გადავეცი ადგილობრივ ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენელთ. ამათ ეს ცნობები დაუგზავნეს თავი-**

ანთ მთავრობებს. ჩვენ ეს მოვითხოვეთ და ამის დაპირებაც მივიღეთ. საჭიროა ყველა ზომების მიღება, რომ პირველ რიგში მოთხოვნილი საგნები რაც შეიძლება საჩქაროთ მოგვაწვდინოთ". რამდენადაც აღნიშნულ დეპეშასთან მიმართებაში პასუხი იგვიანებდა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კ. საბახტარაშვილმა მორიგი დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა (1921 წლის 14 თებერვალი) კონსტანტინოპოლში მყოფ საქართველოს გენერალურ კონსულს ი. გოგოლაშვილს. ამ დოკუმენტის მიხედვით ვგებულობთ, რომ იარაღის შეძენის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის დავალებით კონსტანტინოპოლში გაგზავნილი იქნა გენერალი ქუთათელაძე და ნაპოლეონ კახიანი. რაც შეეხება გენერალ ქუთათელაძეს, მას საქარველოში მყოფი საფრანგეთის წარმომადგენელ შევალიეს საგანგებო შუამდგომლობის ბარათი მიქონდა ფრანგ გენერალ პელესთან. იგივე დოკუმენტი ი. გოგოლაშვილს საქმის კურსში აყენებდა იმ მხრივაც, რომ იარაღის მიყიდვის შესახებ „საფრანგეთის მთავრობამ პრინციპიალური თანხმობა განაცხადა მოგვყიდოს ეგრეთწოდებული ვრანგელის თადარიგიდან, ხოლო საჭიროა გენერალმა პელემ მიიღოს სათანადო განკარგულება საფრანგეთის მთავრობისგან. ბ-ნმა შევალიემ გაუგზავნა დეპეშა თავის მთავრობას, რათა უკანასკნელმა დეპეშითვე მისცეს ასეთი განკარგულება გენერალ პელეს. იარაღის გადმოცემა უნდა მოხდეს რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში და... წინდაწინვე შეთანხმებულ პირობებში" [8, 9]. იმ საარქივო მასალების მიხედვით, რომელიც ჩემს მიერ იქნა მიკვლეული, ირკვევა, რომ იარაღის საქართველოსადმი მიყიდვის პროცესის საბოლოოდ დასრულება კუს ნაბიჯებით მიმდინარეობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საფრანგეთის ხელისუფლება იჩენდა ინერტულობას. ამის შესახებ, კონსტანტინოპოლში მყოფი ე. გეგეჭკორის მიერ პარიზში აკ. ჩხენკელისადმი 1921 წლის 20 თებერვალს გაგზავნილ დეპეშაში ხაზგასმითაა მითითებული. „ბოლშევიკების რეგულარულმა ჯარმა – ვკითხულობთ დოკუმენტში – დაიწყო შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, მდგომარეობა სერიოზულია... მოსთხოვეთ (საფრანგეთის – შ. ვ.) სამინისტროს მისცეს ბრძანება კონსტანტინოპოლში კომისარს, მოგვცეს რაც გვჭირია". დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ საქართველოს წარმომადგენლობის მხრიდან იარაღის საკითხთან დაკავშირებით პასუხის მიღებაზე გაუთავებელმა მოთხოვნებმა, საფრანგეთის ხელისუფლებას მარგანეცზე იარაღის საქართველოსათვის მიყიდვის გადაწყვეტი-

ლება მიაღებინა. ამ საკითხთან დაკავშირებით, პარიზიდან აკ. ჩხენკელის მიერ ე. გეგეჭკორისადმი გამოგზავნილ წერილში (1921 წლის 21 თებერვალი) ვკითხულობთ: „გუშინ წინ კიდევ, სანამ შენ სტამბოლიდან გახვიდოდი, მე გამომიგზავნეს საჩქარო დეპეშა იარაღის შესახებ აქვე... საიდანაც გავიგე,... ჩვენი მოლაპარაკებისა მარგანეცზე იარაღის შეძენის შესახებ. აქაურმა მთავრობამ გაუშვა იარაღი სტამბოლიდან მთავრობის სახელზე ჯერხანად, სამი თვით... საქონლის შემოწმება უკვე დაწყებულია“. მიუხედავად ამისა, გარკვეული დაბრკოლებების გამო, საქმის დაჩქარება შეუძლებელი ხდებოდა. ქართული მხარის დაჟინებითი მოთხოვნიდან გამომდინარე, საფრანგეთის მთავრობამ 1921 წლის 25 თებერვალს დამატებითი ბრძანება გამოსცა. ამის შესახებ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სახელზე აკაკი ჩხენკელის მიერ პარიზიდან 1921 წლის 27 თებერვალს გამოგზავნილ დაშიფრულ დეპეშაში ვკითხულობთ: „ბრძანება გაცემულია 25 თებერვალს ფიცხლავ იარაღის გამოსაგზავნად“.

ამ თანხმობას ქართულმა მხარემ მას შემდეგ მიაღწია, როცა საფრანგეთის მთავრობამ საკონტრაქტო მოთხოვნების ნუსხის შემუშავება დაამთავრა და ქართულ მხარეს მასზე ხელმოწერა შესთავაზა. ამასთან დაკავშირებით, აკ. ჩხენკელის მიერ პარიზიდან 1921 წლის 22 თებერვალს გამოგზავნილ დაშიფრულ დეპეშაში ვკითხულობთ: „კონტრაქტი სამხედრო პასტავკების საფრანგეთიდან მანდატორების საშუალებით 10 მილიონი ფრანკისა ელის მხოლოდ ხელის მოწერას. ამის გარდა საფრანგეთის მთავრობა იძლევა სტამბოლიდან დაუყოვნებლივ თოფებს, პატრონებს, მიტრაიოზებს სამასი ათასი ფრანკისას, როგორც კი ხელს მოაწერთ სამი თვის ვადიან ვექსილს. მასალა შეფასებულია ორჯერ უფრო იაფად, ვიდრე ნამდვილი მისი ღირებულება. ეხლავე აუცილებლად საჭიროა ვიყოლიოთ მასალის მისაღებად ერთი აფიცერი სტამბოლში და ერთი პარიზში. იქნებ დავტოვოთ დროებით აფხაზი“.

ამ დოკუმენტის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, საქართველოსათვის იარაღის მიყიდვის შესახებ საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილება ძალაში მხოლოდ 1921 წლის 25 თებერვალს შევიდა. რაც შეეხება იარაღზე ორჯრ მეტად ფასდაკლებას, აკ. ჩხენკელის მხრიდან ნაჩქარებ შეფასებას წარმოადგენდა. ჩემს მიერ მოტანილი დოკუმენტური მასალებიდან გამომდინარე, ორ ძირითად კითხვას უნდა გაეცეს პასუხი: 1) 1919 წლის გაზაფხულზე შეპირებული იარაღის საქართველოსთვის მიყიდვისა და მისი ტრანსპორტირე-

ბის გადაწყვეტილების მიღება, ევროპის სახელმწიფოებმა, კონკრეტულად საფრანგეთმა, რა პოლიტიკურ სიტუაციას დაამთხვია; 2) რამდენად ხარისხიანი იყო ეს იარაღი და აკმაყოფილებდა თუ არა იმ ეტაპზე საბრძოლო მოქმედებებისათვის ელემენტარულ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული საარქივო მასალების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, საფრანგეთის მთავრობამ საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის გადაწყვეტილება 1921 წლის 14 თებერვალს მიიღო, ხოლო სტამბოლში არსებული ვრანგელის ნაქონი იარაღის მითვლის, მისი ვარგისიანობის შემოწმების ნებართვა, იმავე წლის 21 თებერვალს დაუშვა. რაც შეეხება ტრანსპორტირებას, როგორც ზემოთაც მქონდა მითითებული, შესაბამისი ბრძანება 25 თებერვალს იქნა გამოცემული. ჩემს მიერ მოტანილ რიცხვებს (14-25 თებერვალი) თუკი იმ ეტაპზე საბჭოთა რუსეთის მხრიდან დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო მოქმედებებს შევუფარდებთ, აღმოჩნდება, რომ დროის იმ მონაკვეთში: ა) დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო შენაერთები, საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს თბილისის მისადგომებთან ერკინებოდა; ბ) საბჭოთა რუსეთის XI არმია თბილისში შემოვიდა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების „გამარჯვება“ გამოაცხადა; გ) თითქმის უიარაღოდ დარჩენილი ქართული ჯარის ნაწილები, სურამის უღელტეხილზე მტრის შეჩერებას ცდილობდა. იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სტამბოლში არსებულ საფრანგეთის კუთვნილ სამხედრო საწყობებში შენახული იარაღის მითვლას, მის დახარისხებას (ვარგისიანობის თვალსაზრისით), შეფუთვას და ტრანსპორტირებას დრო სჭირდებოდა, საფრანგეთის ხელისუფლების მიერ საქართველოსათვის მისაყიდად გამეტებული იარაღი, საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად ქართულ ჯარს ვერ მიუსწრებდა.

იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ვარგისიანი იყო საფრანგეთის მიერ საქართველოსთვის მიყიდული ვრანგელის ნაქონი იარაღი, პირდაპირ უნდა ითქვას; იგი ბრძოლისათვის იმ ეტაპზე გამოუსადეგარი იყო და საფუძვლიან შეკეთებას საჭიროებდა. ამის დამადასტურებლად ჩემს მიერ არქივსაცავებში მიკვლეული დოკუმენტები გამოდგება. სტამბოლში საქართველოს გენერალური კონსულის ი. გოგოლაშვილის მიერ 1921 წლის 28 თებერვალს აკ. ჩხენკელისადმი პარიზში გაგზავნილ დაშიფრულ დეპეშაში ვკითხულობთ: „სტამბოლში ფრანგების აქ მხოლოდ თხუთმეტი ათასი

თოფი და ორიათას სამოცი პულემიოტი დაჟანგულია. ეხლავე ბრძოლისათვის გამოუსადეგარია. არც პატრონები და არც ყუმბარებია. მდგომარეობა კრიტიკულია. ჯარს მასალა შემოაკლდა. საჭიროა საჩქაროდ დახმარება მანდედან". აღნიშნული დეპეშის საპასუხოდ, აკ. ჩხენკრლი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას 1921 წლის 5 მარტს ორ დეპეშას (№486, №490) უგზავნის. პირველ მათგანში (№486) გარკვევითაა მითითებული, რომ „იარაღს და სხვა საჭირო მასალას აგზავნის საფრანგეთი". რაც შეეხება მეორე დეპეშას (№490), რომელიც პირველისგან რამდენიმე საათის შემდეგაა გამოგზავნილი, ვკითხულობთ: „მიღებულია ყველა ზომა, იარაღს უსათუოდ მოგვაშველებენ ფრანგები". იმ შეჭირვების ჟამს თუ რა დონის იარაღი მოგვაშველა საფრანგეთის ხელისუფლებამ, ეს კარგად ჩანს 1921 წლის 6 მარტს ი. გოგოლაშვილის მიერ აკ. ჩხენკელისადმი გაგზავნილ დეპეშაში. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით მასში ვკითხულობთ: „გავაგზავნე თექვსმეტი ათასი თოფი და ასორმოცდარვა პულემიოტი, მილიონი პატრონა. იარაღი დაჟანგულია, შეკეთება სჭირია. გამოდგება სამი მეოთხედი. საჩქაროდ საჭიროა სათანადო ნაწილები ანლუიების პულემიოტებისათვის. პარიზიდან უნებართვოდ არ გვაძლევენ. **აქ მეტი არაფერია. ძლიერ საჭიროა საჩქაროდ რუსული თოფების პატრონები და სამ დიუმიანი ყუმბარები. მიიღეთ ზომები".** ალბად აღნიშნული ფაქტი ქონდა მხედველობაში გ. მაზნიაშვილს, როცა მოგვიანებით დაწერილ მემუარებში მიუთითებდა: „არ ვიცი, იყიდეს ეს იარაღი, თუ რომელიმე სახელმწიფომ აჩუქა იგი, საიდანაც ჩანს, რომ საზღვარგარეთიდან მოსული 9 ათასი თოფიდან, სახმარად გამოსადეგი აღმოჩნდა მხოლოდ 183 თოფი" [2, 155]. დოკუმენტური მასალით ირკვევა, რომ ბათუმის პორტში შემოსული ეს უვარგისი იარაღი, საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებმა თბილისში გადმოიტანა და არსენალში განათავსა. XX საუკუნის 90-ანი წლებიდან, თბილისის ყოფილი არსენალის საწყობების გახსნის და მასში ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ვრანგელის ნაქონი ზემოაღნიშნული ჯართად ქცეული იარაღის „აღმოჩენილი" ნარჩენები და გ. მაზნიაშვილის მემუარებში მოტანილი ცნობები გახდა იმის საფუძველი, რომ ზოგიერთ ისტორიკოსს მცდარი განცხადება გაეკეთებინა: თითქოს არსენალი იარაღით იყო სავსე და მაშინდელმა ხელისუფლებამ ეს „სიმდიდრე" დანიშმულებისამებრ ვერ გამოიყენაო. რაც შეეხება მისი ჩუქებისა თუ შესყიდვის საკითხს, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ ეს იარა-

ღი, მარგანეცის მოპოვების უფლების სანაცვლოდ მისცა საქართველოს. იმავდროულად მის შესაკეთებლად შესაბამის ნაწილებსაც შეჰპირდა. სმწუხაროდ, ეს დანაპირები შეუსრულებელი დარჩა. აღნიშნული ფაქტით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ჩრდილოეთიდან კარსმომდგარი საფრთხისადმი ქართველი ხალხის ღირსეულად დახვედრისა და მისი თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისათვის ევროპის სახელმწიფოები, მათ შორის საფრანგეთის ხელისუფლება დაინტერესებული არ იყო. 1919 წლის გაზაფხულზე მათი მხრიდან გაცემული დანაპირების შესრულებისადმი სასხვათაშორისო დამოკიდებულებით იყო განპირობებული, ე. გეგეჭკორის მიერ პარიზში მყოფი აკ. ჩხენკელისადმი 1921 წლის 7 მარტს გამწყრალი ფორმის შინაარსით გაგზავნილი დაშიფრული დეპეშა: **„საჩქაროთ გამოგზავნეთ იარაღი. სტამბოლში იარაღი საკმარისი არ აღმოჩნდა“** [9, 16].

ჩემს მიერ მოტანილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ **საფრანგეთის ხელისუფლების მიერ საქართველოსთვის მისაყიდად გამეტებული იარაღი უვარგისი, შეკეთების გარეშე ბრძოლისთვის გამოუსადეგარი და ჯართად ქცეული იყო.** ძნელი დასაჯერებელია, საფრანგეთის სამხედრო უწყების მაღალჩინოსნებს არ სცოდნოდა, თუ რა დონის იარაღი ინახებოდა სტამბოლში – საფრანგეთის კუთვნილ სამხედრო საწყობში. ზემოაღნიშნული ფაქტებიდნ გამომდინარე, არსებული სინამდვილე (მხედველობაში მაქვს საქართველოსათვის უვარგისი იარაღის მიყიდვის გაჭიანურებული პროცესი), რამდენიმე სახის ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა: 1) საფრანგეთის ხელისუიფლების მაღალჩინოსნების მიერ საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის დროში გაჭიანურება და შემდეგ უვარგისი იარაღის მიყიდვის პირველი საფეხურის ფაქტი, დროის გაყვანის ტაქტიკის შთაბეჭდილებას ტოვებს; 2) არც ისაა გამორიცხული, რომ საქართველოსადმი მტრულად განწყობილმა ოსმალეთის, რუსული ეროვნული საბჭოსა და ვრანგელის წარმომადგენლებმა, რომლებიც საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის წინააღმდეგნი იყვნენ, აღნიშნული იარაღი შეგნებულად დააზიანეს. ჩემი ეს მოსაზრება ვარაუდის დონეზე დარჩება მანამ, სანამ ამის დამადასტურებელი საარქივო დოკუმენტი არ აღმოჩნდება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნების ყოველგვარი მცდელობა, სამხედრო მასალისა და სურსათის 1919 წლის მეორე ნახევრიდან 1921 წლის თე-

ბერვლამდე ევროპის ქვეყნებიდან დროულად მიღების შესახებ – უშედეგოდ დამთავრდა. არადა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კ. საბახტარაშვილი, კონსტანტინოპოლში მყოფი საქართველოს გენერალური კონსულის ი. გოგოლაშვილისადმი 1921 წლის 28 თებერვალს გაგზავნილ დაშიფრულ დეპეშაში წერდა: „მდგომარეობა კრიტიკულია, გაგრას დიდი ძალა მოაწვა. ჩვენი რაზმი აქ სულ გაწყდა. უახლოვდებიან სოხუმს. **სამხედრო მასალები შემოგველია. ფრანგები აქ არაფერს გვაძლევენ. ჯარი უიარაღოდ იბრძვის**“ [9, 12]. იმავე კ. საბახტარაშვილის მიერ გაგზავნილ მეორე დეპეშაში, რომელიც იარაღის დაუყოვნებლივ შესყიდვის მოგვარებას ეხება, თითქმის ბრძანების ფორმა იყო გამოყენებული. **„საჭიროა ამ საქმის დაჩქარებით დამთავრება, დრო არ ითმენს. თქვენ გევალებათ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღოთ და სასწრაფოდ შეასრულოთ ეს საქმე“.** სამწუხაროდ, საქმის დროული შესრულება არა ი. გოგოლაშვილზე, არამედ საფრანგეთის ხელისუფლების მხრიდან მიღებულ გადაწყვეტილებებზე იყო დამოკიდებული. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ქართული მხარე პროტესტს გამოთქვამდა, აღნიშნული იარაღის გამოგზავნის საქმეში ოსმალების ჩარევის გამო. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას ალ. ასათიანის ხელმოწერით არსებული წერილი იქცევს. მასში გარკვევითაა მითითებული, რომ „სამხედრო დახმარება ჩვენ უნდა მოგვეცეს პირდაპირ და არა სათათრეთის საშუალებით. ჩვენთვის ყოვლად მოუხერხებელია, რომ ჩვენ სათათრეთის სააპეკუნოდ გავხდეთ“.

რამდენადაც საფრანგეთის ხელისუფლება იმ ეტაპზე წაჯექუკუჯექის კურსს ადგა, იარაღის შესყიდვის საკითხის დასმას, საქართველოს დიპლომატიური კორპუსის მესვეურები საერთაშორისო კონფერენციაზე შეეცადა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას აკ. ჩხენკელის მიერ ლონდონის კონფერენციის (1921 წლის 21 თებერვლიდან 14 მარტამდე) მონაწილე ქვეყნებისადმი (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, საბერძნეთი) წარდგენილი საგანგებო მიმართვა იქცევს. შესაბამისი საარქივო მასალის მიუკვლევლობის გამო, ამ ეტაპზე შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა – განიხილა თუ არა ეს დოკუმენტი ლონდონის კონფერენციამ. ჩემს ხელთ არსებული მასალების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, 1) ინგლისსა და საბჭოთა რუსეთს შორის ჯერ კიდევ 1920 წლის ოქტომბერში მომზადებული სავაჭრო ეკონომიკური ხელშეკრულების საბოლოო ტექსტში – ამიერკავკასიის რეს-

პუბლიკებით არდაინტერესების შესახებ ჩადებული მუხლიდან გამომდინარე, ინგლისის მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში დახმარებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება გამორიცხული იყო. მითუმეტეს, ლოიდ ჯორიჯის მთავარი მრჩეველი **ფრ-ფ. უაზი,** საბჭოთა რუსეთის აგენტი გამოდგა და მან 1923 წლიდან საბჭოთა სახელმწიფოს შესაბამის უწყებაში გააგრძელა საქმიანობა. ეს ფაქტი, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისადმი ნ. ჟორდანიას მიერ 1923 წლის 9 აპრილს გამოგზავნილ წერილშია დადასტურებული; 2) რაც შეეხება გერმანიას, საქართველო-გერმანიას შორის ურთიერთობის საკითხებთან მიმართებაში მომზადებული ხელშეკრულების ტექსტი (1918 წლის 3 ოქტომბერი), ჯარის მოსაწყობად და ფინანსურად საქართველოსთვის დახმარებას ითვალისწინებდა. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ცვალებადობამ (გერმანიის ომში დამარცხება, მთავრობაში მომხდარი ცვლილებები და ნოემბრის მოვლენები), ამ დოკუმენტზე ხელმოწერა და გერმანიის პარლამენტში გატანა შეაფერხა. მეორე მხრივ, ვერსალის საზავო ხელშეკრულებამ (1919 წლის 28 ივნისი) გერმანია მაქსიმალურად შებოჭა იმ თვალსაზრისით, რომ იარაღის დამზადების უფლებას, მოკავშირე სახელმწიფოები მხოლოდ ლიმიტირებული რაოდენობით აძლევდა. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, იარაღის შესყიდვასთან დაკავშირებით, ერთადერთ იმედად ისევ საფრანგეთი რჩებოდა.

ქართული მხარის საფუძვლიანი მოთხოვნები და პრეტენზიები, როგორც დოკუმენტური მასალებიდან ირკვევა, საფრანგეთის მთავრობამ შეისმინა და მის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო საწყობიდან ბრძოლისთვის ვარგისი იარაღის საქართველოსთვის მიყიდვაზე თანხმობა მხოლოდ 1921 წლის 17 მარტს განაცხადა. ეს ფაქტი, საქართველოს დამოუკიდებლობის დასრულებას უკავშირდება. მხედველობაში მაქვს: 1) დამოუკიდებელი საქართველოს წარმომადგენელ გრიგოლ ლორთქიფანიძესა და გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების მესვეურებს შორის ქუთაისში 17 მარტს მიღწეული შეთანხმება – საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ (შესაბამის დოკუმენტს ხელი ოფიციალურად 18 მარტს მოეწერა) და 2) საქართველოს კანონიერი მთავრობის მიერ 17 მარტს ქვეყნის ტერიტორიის დატოვება. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქარველოსთვის 1919 წლის გაზაფხულზე შეპირებული იარაღი, ამუნიცია, სურსათი და ფულადი დახმარება, დასავლეთ ევ-**

როპამ დროულად ვერ გაიმეტა. თითქმის უიარაღოდ დარჩენილი საქართველო, ჩრდილოეთის ვეშაპს ჩასაყლაპავად მიუგდო.

ჩემს მიერ ზემოთ მოტანილი საარქივო მასალები და მისი ანალიზი სრულყოფილ სურათს იძლევა იმ ძალისხმევის შესახებ, რომელსაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების მესვეურები ეწეოდნენ ევროპის სახელმწიფოებიდან იარაღის შესასყიდად და ქართული ჯარის საბრძოლო მასალით უზრუნველსაყოფად. ამ ფონზე, ზოგიერთი ჩემი კოლეგის მხრიდან საქართველოს მთავრობის დადანაშაულება, – ჩრდილოეთიდან მოახლოებულ საფრთხესთან მიმართებაში და თავდაცვის საბჭოზე (1921 წლის 3 იანვარი) გაკეთებულ მოხსენებაში ი. ოდიშელიძის მიერ ქართული ჯარის (რეზერვის ჩათვლით) 75 ათას კაცამდე გაზრდის აუცილებლობის მოთხოვნაზე, თითქოს მმართველმა პოლიტიკურმა ელიტამ დროული რეაგირება არ გააკეთა – უსაფუძვლო ბრალდებას წარმოადგენს. არადა, იმავე ი. ოდიშელიძის მოხსენებაში გარკვევითაა მითითებული, რომ საქართველოს სინამდვილიდან გამომდინარე, **იარაღის, ტანსაცმელის, სურსათისა** და სხვა საჭირო აღჭურვილობის შეძენა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან უნდა მომხდარიყო. იმის შესახებაც გარკვევითაა მითითებული, რომ ამ მიმართულებით პრაგმატული ნაბიჯის გადადგმა და დასახული ამოცანის შესრულება, უდიდეს ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. **ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ევროპიდან ფინანსური დახმარების მიუღებლობის შემთხვევაში, იმ პერიოდის საქართველოს ბიუჯეტი, ი. ოდიშელიძის მოხსენებაში არსებული მოთხოვნების პირველი საფეხურისთვის საჭირო ხარჯებსაც კი – სრულყოფილად ვერ გაწვდებოდა. მეორე მხრივ, იგივე ი. ოდიშელიძე, იარაღის შეძენას კონსტანტინოპოლში ვარაუდობდა. მისივე მტკიცებით, დასახული მიზნის მიღწევა, კონსტანტინოპოლში განთავსებული ანტანტის საოკუპაციო ჯარებისა და ვრანგელის არმიის ნაქონი იარაღის მარაგის ბაზაზე ადვილად იყო შესაძლებელი** [10, 240].

თუ რა სახის იარაღი იყო კონსტანტინოპოლში არსებულ საფრანგეთის კუთვნილ სამხედრო საწყობებში, ამის შესახებ ზემოთ დაწვრილებით მქონდა საუბარი და სიტყვას არ გავაგრძელებ. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ჩემ მიერ მოტანილი უმძიმესი საარქივო დოკუმენტური მასალის ანალიზის ფონზე, შეუსაბამოდ მოჩანს საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის შეფასებასთან მიმართებაში ბ-ნ. ა. ჩაჩხიანის მიერ გაკეთებული დასკვნა: „მაშინ,

1920 წლის ბოლოს და 1921 წლის დასაწყისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო-პოლიტიკურმა ელიტამ ადექვატურად ვერ იმოქმედა. მან კიდევ ერთხელ არ დაუგდო ყური სიმართლის ხმას. მისმა უდიდებულესობა ისტორიამ კი, სულ სხვანაირად განსაჯა... გენერალ ოდიშელიძის მიერ თავდაცვის საბჭოსა და საქართველოს მთავრობისადმი წაყენებული ეს კატეგორიული მოთხოვნები კი, სამწუხაროდ დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“... თუმცა ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...“ [10, 243]. დიახ, მისმა უდიდებულესობა ისტორიამ, ამ ისტორიის საზოგადოებისადმი მიმწოდებელმა ჭეშმარიტმა ისტორიკოსმა და ობიექტურმა მკვლევარმა პირდაპირ უნდა თქვას მაშინდელი ევროპის პოლიტიკურად გამეძავებული ლიდერების ტყუილზე დაფუძნებული დაპირებების შესახებ. 1) არ უნდა დაივიწყოს, რომ რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეზე დახარბებულმა ევროპის სახელმწიფოთა პირველმა პირებმა, საქართველო გასაწირად გაიმეტა და 1919 წლიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე, საქართველოსათვის იარაღის მიყიდვის პრაგმატული გადაწყვეტილების მიღება შეგნებულად გააჭიანურა; 2) მათი მხრიდან საქართველოსთვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში მარგანეცის სანაცვლოდ მიყიდული იარაღი, იმ ეტაპზე ბრძოლისთვის უვარგისი და ჯართად ქცეული იყო; 3) 1920 წლის მარტში გამგზავრებული საქართველოს ეკონომიკური მისიისადმი (კ. კანდელაკი (ხელმძღვანელი), ფ. გოგიჩაიშვილი (სახელმწიფო კონტროლიორი), ნ. ნიკოლაძე, ზ. ავალიშვილი, მ. სუმბათაშვილი), დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ლიდერების (იტალია, საფრანგეთი, ინგლისი) მხრიდან დაპირებული დახმარების შესასრულებლად კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად, მათი პასუხი მხოლოდ – „მოიცადეთ“, „დაგვაცადეთ“ ფორმატით შემოიფარგლა. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ევროპის სახელმწიფოთა ლიდერებისგან საქართველოსადმი ფინანსური და ეკონომიკური დახმარების რეკომენდაციების გაცემა და გადაწყვეტილების მიღება, ზემოაღნიშნული მისიის 7 თვიანი თავდადებული მუშაობის შემდეგ (1920 წლის ოქტომბერ-ნოემბერი), გახდა შესაძლებელი. მხედველობაში მაქვს იტალიურ ფირმა „ილვასთან“ (ოქტომბერი), საფრანგეთის ფირმა „ფერრან გენტრანთან“ (ნოემბრის დასაწყისი) და რაც მთავარია, მარგანეცის ხარჯზე, ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკთან (ნოემბრის ბოლოს) 1,5 მილიონი გირვანქა სტერლინგის სესხად აღების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმება. ამ დოკუმენტებში

ჩადებული პირობების ამოქმედება 1921 წლის ზაფხულიდან იყო გათვალისწინებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როცა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის შეფასებას ვცდილობთ, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციისა და ახლადშექმნილი საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობების – ევროპის ქვეყნებიდან არდახმარების ფონზე, ყველა სახეობის დოკუმენტი ერთიანობაში უნდა იქნას განხილული, მოხდეს მათი ურთიერთ შეპირისპირება და სინთეზური ანალიზი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაკეთდეს შეფასებითი დასკვნა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქარველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა დამფუძნებელი კრების მიერ იყო არჩეული და დამტკიცებული, ხოლო ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო, სრულიად საქართველოს მოსახლეობამ აირჩია და მის სახეს წარმოადგენდა. ამიტომ, ზემოაღნიშნული ფაქტორების გაუთვალისწინებლობით, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის სურვილისამებრ „აბურთავება", ნაჩქარევად გაკეთებული დაუმსახურებელი ბრალდებებით „შემოსვა" – განქიქება და მეზობელი ქვეყნების ფალსიფიკატორი ისტორიკოსებისადმი „ფოტნასით" მსუყე ლუკმის შეთავაზება – ყოვლად დაუშვებელია.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ, რამდენადაც 1919-1920 წლების მონაკვეთში ევროპის სახელმწიფოებმა საქართველოს იარაღი არ მიყიდა, ეს ფაქტი საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების სტიმულს აძლევდა. მათ კარგად იცოდნენ, რომ საქართველო გაჭიანურებული ომების წარმოებას ვერ შეძლებდა. ამის ძირითად საფუძველს, სათადარიგო იარაღის (რუსული ვაზნებისა და ყუმბარების) უქონლობა ქმნიდა. ამ დასკვნამდე მისასვლელად საბჭოთა რუსეთს დიდი სადაზვერვო სამუშაოების შესრულება არ სჭირდებოდა. მითუმეტეს, რუსული წარმოების იარაღის მომხმარებელი ქართული ჯარისთვის, იმავე იარაღისთვის შესატყვისი ვაზნებისა და ყუმბარების შესყიდვა მხოლოდ ორი გზით: ა) საბჭოთა რუსეთში და ბ) ევროპაში (საფრანგეთში) იყო შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, მათემატიკის საშუალო დონის მცოდნე სამხედრო დარგის მაღალჩინოსანიც ადვილად მიხვდებოდა, რომ საქართველო იარაღის სარეზერვო ფონდის გარეშე იყო დარჩენილი.

ამრიგად, 1) ქართული პოლიტიკური ელიტის მცდელობა, ეროვნული სახელმწიფოს ფორმირების პარალელურად ქართული ჯარის შესატყვისი რაოდენობით და სრულყოფილი შეიარაღებით შექმნა მოეხდინა, ფინანსებისა და იარაღის უქონლობამ შეაფერხა. ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გავრცელებული მოსაზრება – საქართველოში არსებულ სამხედრო საწყობებში თითქოს N რაოდენობის იარაღი იყო, ნატყუარ ინფორმაციას ემყარება და სინამდვილეს არ შეესაბამება; 2) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისგან 1919 წლის გაზაფხულზე შეპირებული დახმარების (იარაღი, ამუნიცია, სურსათი, ფული) დროულად მიღების მცდელობა 1921 წლის 25 თებერვლამდე უშედეგო აღმოჩნდა. ნაშრომში მოტანილი დოკუმენტური მასალები ადასტურებს, რომ ზემოაღნიშნული დანაპირების შესასრულებლად, საფრანგეთის ხელისუფლებამ პირველი ქმედითი ნაბიჯი მხოლოდ 1921 წლის 25 თებერვალს გადადგა. სტამბოლში არსებული საფრანგეთის კუთვნილი სამხედრო საწყობებიდან საქართველოსადმი მიყიდული ვრანგელის ნაქონი იარაღი, უვარგისი და იმ ეტაპზე საბრძოლო მოქმედებებისათვის გამოუსადეგარი იყო; 3) ვარგისიანი იარაღის საქართველოსთვის მიყიდვის გადაწყვეტილება საფრანგეთის ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ 1921 წლის 17 მარტს იქნა მიღებული. ეს ფაქტი, საქართველოს კანონიერი მთავრობისა და გასაბჭოებული საქართველოს წარმომადგენლებს შორის (გრ. ლორთქიფანიძე, მ. ორახელაშვილი აბ. ენუქიძე, შ. ელიავა) ბრძოლის შეწყვეტის შესახებ ქუთაისში მიღწეულ შეთანხმებას, და საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ ქვეყნის ტერიტორიის დატოვებას დაემთხვა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა წაჯექ-უკუჯექის პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები გასაბჭოებული რუსეთის 1921 წლის თებერვალ-მარტის აგრესიას კუსტარულად დამზადებული რუსული ვაზნებითა და საგანგებოდ შექმნილ სახელოსნოებში შეკეთებული შაშხანებით შეხვდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწ. 1, საქ. 2.

2. გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990.
3. რევაზ გაბაშვილი, მოგონებები, წიგნში დაბრუნება, ტ. 3. თბილისი, 1992.
4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, 1990.
5. ა. კვიტაიშვილი, რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს, ჟურნალში: განთიადი, 1990. № 2.
6. ოსთა საკითხი, თბილისი, 1996.
7. ალექსანდრე ზაქარიაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1917-1921, ჟურნალში: მხედარი, 1994, №1-4.
8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 2115, საქ. 119.
9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, საქ. 483.
10. არჩილ ჩაჩხიანი, ისტორიის საბედისწერო გაკვეთილები – „ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგევართ...“ კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(14), თბილისი, 2014.

Shota Vadachkoria
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Main-scientist researcher of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Doctor of historical sciences

For Clarifying the Issue of Providing the Army of the First Republic of Georgia With Weapons (1918-1921)

Summary

On the basis of the documentary materials in the work it is stated that: 1) the attempt of the Georgian political elite to form Georgian army with adequate amount of warriors and complete armament in parallel with the formation of the national state, was prevented with financial problems and lack of weapons. The still existed in the Georgian historiography viewpoint that there were enormous amount of weapons in the military depot, is based on false information and is not true. 2) Till February, 1921 all attempts to

receive in time the aid (weapons, ammunition, food and money) from the Western European states promised in spring, 1919 was impossible. The documents that are given in the work prove that the first effective step to fulfill the promise was made by the French government only in February, 25, 1921. From the military depot in Istanbul that was belonging to France the weapons that were used by Wrangell and sold to Georgia was worthless and out of service at that time. 3) The French government received decision to sell to Georgia weapons fit for military affairs only in March, 17, 1921. This decision was received when the legitimate government of Georgia and the representatives of Soviet Georgia (G. Lordkipanidze, M. Orakhelashvili, A. Enukidze, Sh. Eliava) reached the agreement in Kutaisi and when the government of the first republic of Georgia left the country. Because of this policy of the Western European countries the military forces of the first republic of Georgia met the aggression of Soviet Russia in February – March with Russian, handicraft maid cartridges and Russian rifles mended at specially created workshops.

ლელა მიქიაშვილი
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

რამდენიმე დოკუმენტი ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრთა მიერ სასამართლო დავების გადაწყვეტის თაობაზე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა კონკრეტულად 1786 წლით დათარიღებული, სამეფო ოჯახის წევრთა მიერ გადაწყვეტილი დავების ამსახველი რამდენიმე დოკუმენტი. ამ თარიღზე შემთხვევით არ გაგვიმახვილებია ყურადღება: XVIII ს-ის 80-იანი წლები ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ურთულესი პერიოდია საგარეო თუ საშინაო ვითარების თვალსაზრისით. შესაბამისად, საინტერესო იყო, რამდენად გამართულად მუშაობდნენ სამართლებრივი ინსტიტუტები შექმნილ სიტუაციაში. იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას იმის თაობაზე, თუ რა პირობებში უწევდა ერეკლე II-ს მოღვაწეობა ამ მიმართულებით, შევეცდებით ძალიან მოკლედ მიმოვიხილოთ იმ დროისათვის არსებული ვითარება;

ქართლ-კახეთის მიერ 1783 წ. რუსეთთან გაფორმებული მფარველობითი „ტრაქტატის“ მეშვეობით ქართული მხარე ცდილობდა რუსეთისაგან მიეღო სახელმწიფოებრიობის დაცვის იურიდიული გარანტია, რაც თავისთავად გულისხმობდა გარეშე მტრებისაგან ქვეყნის დაცვას; მეორე მხრივ, იგივე აქტით რუსეთის იმპერიამ დიდი გამარჯვება მოიპოვა ამიერკავკასიაში საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. გარდა იმისა, რომ ამ ფაქტს მტრულად შეხვდნენ ირან-ოსმალეთი და ამიერკავკასიის ისლამური სახანოები, არანაკლები შეშფოთებით აღიქვეს რუსეთის წარმატება ევროპის სახელმწიფოებმაც: კერძოდ, ინგლისსა და საფრანგეთში

ტრაქტატი ცალსახად იქნა აღქმული რუსეთის დიპლომატიის ტრიუმფად აღმოსავლეთში.

ქართლ-კახეთში რუსთა ჯარის გამოჩენის გამო ოსმალეთის შეშფოთება სავსებით გასაგები იყო: იმპერიული რუსეთი უშუალოდ დაუმეზობლდა სულთნის სამფლობელოებს და ბალკანეთის ტრადიციული ფრონტის პარალელურად ამჯერად უკვე „მეორე ფრონტი" გაუხსნა, რითაც უშუალოდ დაემუქრა ანატოლიის ჩრდილოეთ პროვინციებს [1, 694-696]. თავის აგრესიულ პოლიტიკას ამიერკავკასიაში ოსმალეთი უმთავრესად ახალციხელი სულეიმან-ფაშის მეშვეობით ახოსციელებდა: ამ უკანასკნელს კარგად ესმოდა, რომ ერეკლე რუსეთის დახმარებით ცდილობდა ოსმალთაგან მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას. თავის მხრივ, სულეიმან-ფაშა საკუთარ თავს საათაბაგოს „მემკვიდრე-მფლობელად" მიიჩნევდა; ამიტომაც იყო, რომ სამფლობელოების დაკარგვის შიშით და ამავე დროს – სულთნის მითითებით „განძვინდა ფაშა ახალციხისა,... აღუწოდა ლეკთა და იყო ოხრება ქართლისა" [2, 58]. ამიერიდან ახალციხის საფაშო ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ოსმალეთის აგრესიის დასაყრდენ ბაზად იქცა: აქედან მოემართებოდნენ მძარცველთა რაზმები და დიდი სისასტიკით არბევდნენ ქართლის სოფლებს. ბრძოლის მეორე ფრონტი კი ჭარ-ბელაქანზე გადიოდა. ახალციხის საფაშო, ჭარ-ბელაქანი და დაღესტანი ერთი მთლიანი ღერძი იყო, რომელსაც სათავე კონსტანტინოპოლში ჰქონდა. ამიერიდან საქართველოზე თავდასხმებმა ორგანიზებული და სისტემატური ხასიათი მიიღო.

რაც შეეხება ირანს, ქერიმ-ხან ზენდის გარდაცვალების შემდეგ (1779 წ.) ქვეყნის ჩრდილოეთში, მაზანდარანსა და ასტრაბადში გაძლიერდა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი, რომელიც ზენდების წინააღმდეგ დაუნდობელ ომში ჩაება და 1785 წლისათვის, ქერიმ-ხანის მემკვიდრის – ალი მურად-ხანის გარდაცვალების შემდეგ, აშკარა გამარჯვება მოიპოვა [1, 699; 3, 110]. ამ ფონზე ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა: ორი რუსული ბატალიონი შექმნილ სიტუაციაში არაფერს წყვეტდა, ამიტომაც ერეკლე გამუდმებით ითხოვდა რუსეთისაგან დამატებითი ძალების გამოგზავნას, თუმცა – უშედეგოდ. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთი მოთმინებით ელოდა ხელსაყრელ სიტუაციას საკუთარი გეგმის ხორცშესხმისათვის. აქ არ შეიძლება არ დავაზუსტოთ ერთი გარემოება: დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში სადავო აღარ არის, რომ ერეკლე თავიდანვე დიდად არ ენდობოდა

რუსეთს და არ ჩქარობდა მასთან კავშირის იურიდიულად გაფორმებას; ტრაქტატის დადებამდე რამდენიმე წლით ადრე (1781 წ. ზაფხულში) მან კიდევ ერთხელ სცადა ევროპისათვის ხმა მიეწვდინა და დახმარებისათვის რამდენიმე ევროპულ სახელმწიფოს ერთდროულად მიმართა (ამ მიზნით მან კათოლიკე მისიონერ დომინიკეს შესაბამისი წერილები გაატანა ავსტრიის იმპერატორთან, საფრანგეთის, სარდინიისა და ნეაპოლის მეფეებთან, ვენეციის სენატთან, რომის პაპთან). ცალკე კვლევის საგანია ამ მისიის შემდგომი ბედი: პატრი დომენიკე „შავ ზღვაში დაიხრჩო“ (პატრი ანდრეასის ცნობით კი იგი კონსტანტინოპოლში მოულოდნელად გარდაიცვალა); ასეთივე უიღბლო აღმოჩნდა ერეკლე მეფის მეორე წარგზავნილიც: პატრი მავრო ვერონელი, რომელიც ამჯერად სხვა გზით – რუსეთზე გავლით მიემართებოდა ევროპისაკენ, მართალია რუსეთს გასცდა, მაგრამ პოლონეთში ქ. ბერდიჩევში გარდაიცვალა. ძნელია უსაბუთოდ რაიმეს მტკიცება, მაგრამ ორივე ეს შემთხვევა ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე გარკვეულ ეჭვს იწვევს: იქნებ ერეკლეს წარგზავნილთა სიკვდილი სულაც არ იყო გამოწვეული ბუნებრივი მიზეზებით [4; 5]. ვისთვისაც კარგად არის ცნობილი რუსეთის იმპერიის მიერ პოლიტიკაში არაერთგზის გამოყენებული „მეთოდები“, ეს ვერსია სრულიად მისაღებია.

თუმცა, ერეკლეს გზავნილებმა საბოლოოდ მაინც ჩააღწიეს ევროპამდე: ისინი ავსტრიის მთავრობას გადასცეს პოლონელმა კაპუცინებმა – ვოლფგანგმა და ჰილარიუმმა. სანიმუშოდ მოვიყვანთ ამონარიდებს ერეკლეს წერილებიდან: „ჩვენი თხოვნა მოწყალე კეისრისა და ამასთან უქრისტიანესი მეფისა და სხვა მეფეებისადმი არის ორი პოლკი. ამით გვექნებოდა ბრწყინვალე თავმოყრა და შესაძლებლობა არჩევანისა”; „მუდმივი ორი პოლკის ქირა გვიწყალობეთ და გვიბოძეთ. ამ ნაბოძები თანხით ჩვენ ხალხსა და ჯარს ვიშოვით; თანხმობის შემთხვევაში ევროპული წესით მოვემზადებით. არარაობანი – მტრები ამ წესისა და ამის შესახებ რომ გაიგებენ და მისი თვითმხილველნი გახდებიან, ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებას ვერ შეძლებენ და ვერ გაბედავენ“.

ამრიგად, რუსეთთან „სამეგობრო ხელშეკრულების“ ანუ ტრაქტატის გაფორმების გადაწყვეტილება ერეკლე II-ს მხრიდან იძულებითი ნაბიჯი იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის მფარველობის მოლოდინში ქართლ-კახეთის სამეფოს გარშემო პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა (სამეცნიერო ლიტერატურაში ამომწურავად არის შესწავლილი ყველა ის საფრთხე,

რომელიც ქვეყანას ემუქრებოდა როგორც ჩრდილო კავკასიელთა მხრიდან წამოწყებული „საღვთო ომისა“ და შეიხ-მანსურის იდეოლოგიის, ისე ირან-ოსმალეთის მხრიდან, ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ); განსაკუთრებით სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა 1785 წლისათვის, როცა ოსმალთაგან წაქეზებულმა დაღესტნელმა ბელადმა ომარ-ხანმა სექტემბრის თვეში უზარმაზარი ლაშქრით ყარაღაჯთან მდ. ალაზანი გადმოლახა და ქართლისკენ გაემართა. 18 სექტემბერს დაღესტნელები უკვე ბორჩალო-ბაიდარში იყვნენ, 19-ში კი ახტალა მოაქციეს ალყაში. მართალია, ერეკლე თავისი ჯარით მათ ფეხდაფეხ მისდევდა, მაგრამ ვერ მიუსწრო: როგორც ცნობილია, ლეკებმა ხელჩართულ ბრძოლაში ახტალა აიღეს და დაანგრიეს; უამრავ ტყვესთან ერთად ახტალიდან გაზიდეს დიდი რაოდენობით ფული, ვერცხლისა და სპილენძის მარაგი და სხვ. [1, 702-704]. ახტალის წარმოება ერთი წლის შემდეგ აღუდგენიათ: 1786 წ. აგვისტოდან იქ განახლებულა მადნეულის მოპოვება, მაგრამ წარმოების ძველი სიმძლავრით აღდგენა ვეღარ მოხერხდა [7; 8, 14]. ზარალი განუზომლად დიდი იყო, რასაც ასევე ადასტურებს ერეკლე II თავის წერილში პავლე პოტიომკინისადმი, სადაც იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი ქვეყანა „ასეთ განსაცდელში ადრე არ ჩავარდნილა“ [6; 1, 704].

ჩვენ საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება ომარ-ხანის ლაშქრობაზე, რადგან ჩვენს მიერ მოყვანილი დოკუმენტები სამეფო სახლის წევრთა მიერ სასამართლო დავების გადაწყვეტის თაობაზე 1786 წლით არის დათარიღებული, ანუ ომარ-ხანის დამანგრეველი ლაშქრობიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. კიდევ ერთი და, ჩვენი აზრით, ძალზე ნიშანდობლივი გარემოება: უკიდურესი დაძაბულობის ჟამს ერთი შეხედვით უბრალო, საყოფაცხოვრებო ხასიათის საჩივრებით მიმართავენ პირადად ერეკლეს, ან დედოფალს, ან ბატონიშვილებს და მიუხედავად ამისა, სამეფო ოჯახი დაუყოვნებლივ განიხილავს თითოეულ მათგანს და სათანადო ოქმით იღებს სამართლებრივ გადაწყვეტილებას; რაც მთავარია, ხშირ შემთხვევაში ეს ხდება არზის წარდგენიდან მეორე დღესვე, იშვიათად კი ეს დრო მოიცავს 2-დან 7 დღემდე შუალედს. მართლაც რომ შესაშური ორგანიზებულობის ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ ასეთი საქმიანობა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ წარმოვადგინეთ უკიდურესად შეზღუდული რაოდენობის საბუთები იმ მრავალრიცხოვანი მასალიდან, რომელზეც 90-იან წლებში მოგვიწია მუშაობა ხელნაწერთა ინსტიტუტთან კოორდინირებული

5-წლიანი გეგმის მიხედვით (წელიწადში დაგეგმილი იყო 200 საბუთის გამოსაცემად მომზადება), შესაბამისად, მთლიანობაში ჩვენს მიერ შესწავლილი და გამოსაცემად მომზადებულ იქნა ათასამდე დოკუმენტი, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, მათი პუბლიკაცია ვერ განხორციელდა. ამ შემთხვევაში ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტები წარმოადგენენ მხოლოდ ნიმუშებს იმის ნათელსაყოფად, თუ რა მდგომარეობა იყო XVIII ს-ის ქართლ-კახეთის სამეფოში სამართლებრივი თვალსაზრისით. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: როგორც ჩანს, უზარმაზარი დოკუმენტური მასალა სამეფო კარის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა: მოგვიანებით ეს ყველაფერი გათვალისწინებულ და ასახულ იქნა საგანგებოდ მომზადებულ რეფორმატორულ პროექტებში, ზოგი მათგანი კი უშუალოდ ბატონიშვილების ავტორობით არის ცნობილი.

XVIII ს. დამლევისა და XIX ს. დასაწყისში სწორედ ამ საფუძველზეა შექმნილი შემდეგი სამართლებრივი ნაშრომები:

1. იოანე ბატონიშვილის „სჯულდება“ [9];

2. უცნობი ავტორის კანონპროექტთა კრებული „სამოქალაქო ჰსჯულვილება“ [10];

3. დავით ბატონიშვილის „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ [11];

თვისობრივად იგივე ხასიათის ნაშრომად მიიჩნევა დავით ბატონიშვილის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი „Обозрение Грузии по части прав и законоведения“ [12].

ყველა ამ ძეგლის შექმნას ერთი მიზეზი ჰქონდა: ფეოდალურმა წყობილებამ თავისი თავი ამოწურა და ქვეყნის შემდგომი განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობა სახელმწიფოს არსებობის შესანარჩუნებლად გადაუდებელ ღონისძიებებს მოითხოვდა. არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ ერთგვარად განსაზღვრა დავით ბატონიშვილის სამართლებრივი შემოქმედებისა და დანარჩენი ორი ძეგლის ძირითადად ერთნაირი მიმართულება, თუმცა ამავე დროს ყოველი მათგანი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

იოანე ბატონიშვილის „სჯულდება“ წარმოადგენს პროექტს ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობის რეფორმირების შესახებ. პირველ ყოვლისა, ეს არის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და სა-

მართლის ისტორიისათვის მეტად საყურადღებო მასალას შეიცავს: ძეგლში გვხვდება საინტერესო ცნობები სახელმწიფო და სამოქალაქო, აგრეთვე – სისხლის სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტის შესახებ [9, 02-04]. ასევე, მასში მოიპოვება საყურადღებო მასალა გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ვითარების, საფინანსო და სამხედრო სფეროების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის შესახებ. ამ ძეგლს იმთავითვე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ივ. ჯავახიშვილი და ნ. ბერძენიშვილი [13, 125-127], თუმცა ძეგლის გამოცემა საკმაოდ გვიან, 1957 წ. მოხერხდა ივ. სურგულაძის მიერ. იოანე ბატონიშვილმა თავისი ნაშრომი 1799 წლის მაისში დაასრულა. ეს იყო კანონპროექტი ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობის რეფორმების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი კანონად არ ქცეულა, მისი მნიშვნელობა განუზომელია ქართული სახელმწიფოებრივი წყობისა და სამართლის ინსტიტუტების ისტორიის შესწავლისათვის [9,081].

"სამართალი" და „სჯულდება" შეადგინეს სამეფო ოჯახის წევრებმა – ძმებმა: დავითიცა და იოანეც იმდენად ახლო იდგნენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობასთან ჯერ პაპის – ერეკლე II-ის, შემდეგ კი მამის – გიორგი XII-ს მეფობისას, რომ ყოვლად შეუძლებელია, ერთმანეთის ნაშრომებს არ გასცნობოდნენ, მით უფრო, რომ თავიანთი საქმიანობის ამოსავალ წერტილად ერთსა და იგივე გარემოებას ასახელებენ; კერძოდ, იოანე ბატონიშვილი „სჯულდების" წინასიტყვაობაში გვაუწყებს: „სხვდასხვაგვარმან ცვალებამან კანონთამან, უთანხმოებამან და უწესობამან მართებლობისამან, მოიყვანეს თითქმის სრულიად საქართველოისა ერნი განწირულებასა შინა... და უკეთუ ღონესა არა რაისამე მოიპოებთ, ესე უბედურებაი იქმნების განგრძელებულ..." [9, 3]. არსებითად იგივე დასაბუთებაა ქვეყნის გადასარჩენად „ღონის მოპოვების" აუცილებლობისა დავით ბატონიშვილის „სამართლის" წინასიტყვაობაში: „...ვინათგან სოფლისა ცვლილებისა გამო მწერალთა მიერ და თვით მსაჯულთაგანცა იხილვებოდა მეტ და ნაკლულევანებაი და ამით ოდესმე იხილვებოდა უთანხმობაიცა სჯულსა შინა და კარგსა, – ამად მებრძანა უმაღლესისა მამისა ჩემისაგან და შევსთხზე, რომელსაცა აქვს უმეტეს მიდრეკილებაი ბუნებითისა მიმართ სჯულისა" [11, 3]. დავით ბატონიშვილს „სამართალი" 1800 წ. ოქტომბერში დაუსრულებია (მოგვიანებით, 1811-1813 წწ-ში დაიწერა ე. წ. დამატება, უკვე პეტერბურგში ყოფნისას). ამ ორ ძეგლს შორის არსებითი განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: „სჯულდება"

არ არის კანონის ფორმით ჩამოყალიბებული, იგი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სხვადასხვა დარგში განსახორციელებელ ღონისძიებათა პროექტია; იოანემ შეადგინა „სჯულდება“ და საკუთარი თაოსნობით წარუდგინა იგი გიორგი XII-ს 1799 წ. 10 მაისს [9, 59], დავით ბატონიშვილის „სამართალი“ კი გამზადებული კოდექსია და იმ სახით, რაც 1800 წ. ჰქონდა, იგი მხოლოდ სამოქმედოდ შემოღებას საჭიროებდა [11, 0126].

რაც შეეხება „სამოქალაქო სჯულვილებას“, ძეგლის გამომცემლის – ივ. სურგულაძის ვარაუდით, იგი სულ სხვა წრის წარმომადგენლის, ვინმე მოქალაქეთაგანის შედგენილი უნდა იყოს. ამ კრებულში შესული კანონპროექტებიდან ჩვენამდე მხოლოდ 11-მა მოაღწია, თავდაპირველად კი სავარაუდოდ, 20-მდე უნდა ყოფილიყო [11, 0124]. ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით „ჰსჯულვილება“ დავითის „სამართალთან“ შედარებით უფრო გაბედულ, ზოგ შემთხვევაში კი – რადიკალურ რეკომენდაციებსაც იძლევა.

რაც შეეხება ამ ძეგლების შიანაარსობრივ და სტრუქტურულ მხარეს: იოანე ბატონიშვილის „სჯულდების“ ტექსტში ცალკეული პუნქტები ჩვეულებრივ არის დანომრილი, მაგალითად; „მხედრობისათვის; შემოსავალთათვის; ფულისათვის; მოხელეთათვის, წერილების საცავის სახლისათვის ანუ არხივისათვის; ბიბლიატეკისათვის“ და ა. შ. ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა პუნქტი „სამეფო აფთიაქისათვის და სასნეულოსა“, რომელშიც ვკითხულობთ: „აგრეთვე შეიძლება სამეფო აფთიაქიც ამ სახედ გაკეთდეს და ყოველი წამალი იშოებოდეს გასასყიდლად. აგრეთვე იყოს სასნეულო სახლი გაკეთებული და შეუძლებელი ვინც იყოს, იქ მიიყვანდნენ და მოუვლიდენ. აგრეთვე უცხო კაცი ვინც იყოს შეუძლებელი. ეს სახედვე, სამშობიაროები იყოს, რომ თუ ვისმე უქმროს შეემთხვას ორსულობა, იქ მოიმშობიერებდეს სირცხვილისა გამო, რადგან თავის სახლში ხალხს მოერიდება და იმა ყმაწვილთ მიუჩენდენ ძიძათ. ამაზედ თავსდეგი ისევ უნდა იყოს კარგი კაცი და დედაკაცი და ჰყვანდეს ყოველი შემწე“ [9, 57-58].

ამ პუნქტს ზუსტად მიესადაგება ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი (სავარაუდოდ, ამგვარი შემთხვევები არცთუ იშვიათი იყო, თუკი ბატონიშვილმა საჭიროდ ჩათვალა ცალკე პუნქტი მიეძღვნა ამ პრობლემისათვის).

ხ.ი. Ad-230; თარიღი: 21.XII. 1786

სასამართლო გადაწყვეტილება თამაზა ხოლოშვილსა და მარინეს შორის დავაზე

ქ. ერთს დედაკაცს მარინეს ერთი ცოდვის შვილი ჰყოლოდა ვაჟი და ეთქვა: ვინც ამას შეინახავს და მეც შემინახავს, ამას ძუძუს მე ვაწოებ და მის დროს ეს ცოდვის შვილი იმისი იყოსო. ნაფარეულელთ ხოლოშვილი თამაზა ერჩიათ, უშვილოც ყოფილა და იმ თამაზასთვის ეთქვათ: შენ ხომ უშვილო ხარ, ეს დედაკაციც შეინახე და ეს ცოდვის შვილიც შენთვის გაზარდე, შენად შვილათაო. წიგნი დაეწერინებინათ თუშთ მოურავის ბეჭდით და იმ ხანში ბეჟან მდივანბეგიც იქი ბრძანებულა და ერთის კვირისა ყოფილა ის ნაბიჭვარი, რომ იმ თამაზას შაუყვანია ის დედაკაცი და ნაბიჭვარის გარდა ერთი სხვა შვილიცა [სხვა] ჰყოლია თავის სახლში. შაუყვანია, შაუნახავს ათი თვე სამი სული: უსმევია, უჭმევია, ჩაუცმევია და ის დედაკაცი გამოსულა, აღარ დამდგარა და ის ნაბიჭვარი თამაზას აღარ დაუნებებია და ის დედაკაცი მოვიდა და სამართალში იჩივლა: კაცმა შვილი წამართოო. ის თამაზა სამართალში გამოვაყვანინეთ და ეს თამაზა მისს უმაღლესობას დედოფლისათვის არზა მიერთმივნა და მისს უმაღლესობას ჩვენს ხელმწიფეს ჩვენ კახეთის მდივანბეგებისათვის ამათი სამართალი ებრძანებინა და აქ სამართალში ვალაპარაკეთ და ამათი საქმე ასე გავშინჯეთ: რადგან ცოდვის შვილი ყოფილა და სასოფლოთაც წიგნი მიეცათ, და ათი თვეც დედა-შვილი შაუნახავს, იმ დედაკაცს სიტყვა აღარა ჰქონდა, ის ნაბიჭვარი ამ ხოლოშვილს თამაზას დარჩა სამართლით შვილათ, როგორც თავისი ღვიძლის შვილი ჰყვანდეს ვისმე, ისრე ამ თამაზამ უნდა შვილივით გაზარდოს: თავისი მამული, საქონელი, ქონება ამ ნაბიჭვრისა არის და თუ ღმრთითა ამ თამაზას სხვა შვილი ეყოლოს, ეს უფროსი ძმა იქნება და ის – უნცროსი. იმ დედაკაცს არსად ბინა არა ჰქონდა და ერთი მოწყალე არავინა ჰყვანდა. უბრალო უბინაო სიარულს ვეღარ ვენდევით, ამ ყმარწვილს მოჰკლევდა და ამ თამაზას მივეცით.

ქრისტიშობისთვის კა, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

verso-ზე: 1. საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი შუაში მთავრული და გარშემო მხედრული წარწერით: „მეფემან ბრძენმან ესრეთ განაგო მე ერისთვისა მსაჯულად მაგო – ბეჟან“.

2. პატარა რვაკუთხოვანი ბეჭედი წარწერით: „მონა ღთისა მდივანი ოტია“.

3. პატარა რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მონა ღთისა მდივანი სიმონ“.

4. პატარა რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „მდივანი იოანე“.

recto-ს ზემო კიდეზე:

ქ. ჩვენ, ორისავე საქართველოს დედოფალი დარეჯან ვამტკიცებ ამ განაჩენს.

აღიწერა ქრისტიშობისთვის კბ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

პატარა ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „დედოფალი დარეჯან“.

დავით ბატონიშვილმა თავისი „სამართალი“ 1798-1800 წლებში შეადგინა მამის დავალებით და დასრულების შემდეგ წინასიტყვაობასთან ერთად ჩადო იმ დროისათვის მოქმედ სამართლის კრებულში, რადგანაც მიიჩნევდა, რომ მისი ნაშრომი სავსებით შეესაბამებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს XVIII ს.მიწურულისა და XIX ს-ის დამდეგის ვითარებას. როგორც ამ ძეგლის გამომცემელი დ. ფურცელაძე წერდა: „რა ვუყოთ, რომ დავითს მეფობა არ დასცალდა: თავისი სამართლის წიგნი მან იმისთვის შეადგინა, რომ ... რაშიც იგი სიახლეს შეიცავდა – მოქმედ სამართლად უნდა გამხდარიყო, და არა ოდესმე, არამედ – სწორედ მაშინ, იმ ახლო ხანებშივე“ [11, 063]. ამის დასტურია მისივე წინასიტყვაობა.

დავითის „სამართლის“ შედგენილობა და სისტემა, რაღა თქმა უნდა, განპირობებული იყო იმდროინდელი საზოგადოების ისტორიული განვითარების დონით; შესაბამისად, რადგანაც ამ ძეგლის შექმნისას ქართლ-კახეთი ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ხოლო ეკონომიკას კვლავაც საფუძვლად ედო ბატონყმური მეურნეობა, რაც არ უნდა დიდი რეფორმისტული სულისკვეთებით ყოფილიყო ნაკარნახევი ახალი სამართალი, იგი არსებულ ვითარებას რადიკალურად ვერ გაემიჯნებოდა. თუმცა პროგრესული კომპონენტები მასში ნამდვილად არის ასახული. ძეგლი უდავოდ ფართო შინაარსისაა: მასში ყურადღება გამახვილებულია ქართული სამართლის თითქმის ყველა საკითხზე და მართებულია, რომ იგი ერთგვარ სამართლის ენციკლოპედიად მივიჩნიოთ [11, 089]. დავითის „სამართალში“ დიდი ადგილი უჭირავს სახელმწიფოებრივ საკითხებს: იგი წარმოგვიდგენს მოსახლეობას, განსაზღვრავს საზოგადოების წოდებრივ შემადგენლობას და სახელმწიფო წეს-წყობი-

ლებას, დამოკიდებულებას ეკლესიასთან, ქვეყნის მონარქისა და მისი ოჯახის მდგომარეობას, აგრეთვე – ტახტის მემკვიდრეობის წესს; დადგენილია მმართველობის სისტემა და ხელისუფლების ორგანოები, მათ შორის – საგარეო ურთიერთობის სფეროშიც; გათვალისწინებულია სახელმწიფო არქივის შექმნა. ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით განსაზღვრულია მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ფუნქციები და პასუხისმგებლობა; სამოქალაქო სამართლის დარგში კი არის ნორმები, რომლებშიც გარკვევით არის ჩამოყალიბებული მემკვიდრეობის სამართალი, საქორწინო და საოჯახო სამართალი, ნასყიდობის, ჩუქების, სესხის, ქონებრივი ქირავნობის წესები. დაბოლოს, ძეგლი შეიცავს დებულებებს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილიდანაც [11, 090-091].

რაც შეეხება „სამოქალაქო სჯულვილებას“, ეს ძეგლი შეიცავს ძვირფას ცნობებს XVIII ს-ის დამლევის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაზე, მეტადრე – ქალაქად. მასში უმთავრესად წარმოდგენილია საკითხები, რომელთაც წინა აქტები შედარებით მოკლედ ასახავენ, ან მხოლოდ გაკვრით ეხებიან. მაგ. ასეთია დებულებები ხაზინადარების შესახებ, სათამასუქო, აგრეთვე – „ლოთიფოთობა-უქნარობა-ბედოვლათობასთან“ ბრძოლა და ა. შ. [10, 3-4]. საყურადღებოა საფინანსო-საგადასახადო რეფორმა, სამდივნოსა და საიასაულოს აღკვეთა და სასამართლო ბაჟის დაწესება, საპასპორტო სისტემის შემოღება, მოსამართლის – კერძოდ, შუაკაცის აცილების ინსტიტუტის ჩამოყალიბება და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ძეგლი წარმოადგენს ერთ მთლიან გეგმას, რომლის მიზანი იყო ქვეყნის მოწინავე მართლწესრიგის მქონე სახელმწიფოდ გარდაქმნა [10, 4].

ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე დოკუმენტს, რომელთა ხასიათიც, ჩვენი აზრით, განსაზღვრავს მოგვიანებით შექმნილი სამართლებრივი ნაშრომების სტილსა და შემადგენლობას:

სცსა, 1448 №1353 თარიღი: 1786. 14 აგვისტო (ოქმი: 14 აგვისტო)

არზა მათე მღვდლისა ერეკლე II-ის ბრძანებით

„ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს მათე ღუდელს; მერმე ამას მოვახსენებთ: თქვენც მოგეხსენებათ, მე ლეკისაგან კაცი დავიხსენ, რომ მინდოდა ჩემს შვილს გამოსდგომოდა.

რადგან აღარ ინება ჩემთან ყოფნა, მეც ნება დავრთე, თამასუქი მომცა, რაც ჩემი ვალი დაედო.

ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი მებოძოს, ჩემი მომცეს რაც თამასუქში ეწეროს, თუ არა, მოხსენებისათვის ნუ გაგვიწყრებით.

მარიამობისთვის იდ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

recto-ს მარცხენა კიდეზე:

ქ.ჩვენი ბძანება არის: იასაულო ხიმშიაშვილო დავით! მერმე ვისაც ამისი ვალი ემართოს თამასუქით, თუ სიტყვა ქონდეს, სამართალში მოიყვანე, თუ სიტყვა არა ქონდეს რა, თავისი თეთრი გამოურთვი და მოეც.

მარიამობისთვის იდ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: **„ქნარს მიცემს დავით, მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს – ერეკლე“.**

ხ. ი. Hd-2738; გამოცემა: სოციალური დოკუმენტები, II, №217.
თარიღი:1786. XI. 24 (ოქმი: 24. XI)

განაჩენი ერეკლე II-ისა ქაიხოსრო ტუსიშვილისა და ლუარსაბ ლოლაძეს შორის ყმაზე დავის გამო

ქ. ტუსიშვილი ქაიხოსრო და ლოლაძე ლუარსაბ ერთს კომლს მეჯვრისხეველს ციხელაშვილს ნინიასა და თომაზედ სამართალში ლაპარაკობდნენ. ტუსიშვილი ქაიხოსრო ამას ამბობდა: შანშე ერისთვისშვილს იოანეს მამის ჩემისათვის ციხელაშვილის ნინიასი და თომას პაპა სისხლში მოუციაო; იოანე ერისთვისშვილისაგან მოცემული წიგნიცა მქონდა და დამეკარგაო; რომ ის წიგნი იოანე მდივანსაც უნახავსო. იოანე მდივანს მოწმობა ვკითხეთ და ასე იმოწმა: წიგნი ჩვენ გვებარა, იოანე ერისთვისშვილის სახელობით იყო დაწერილი და ასომთავრული ბეჭედი იჯდა იოანეს სახელობით, მარა ეს კი სწორეთ არ მახსომს, გლეხის კაცის სახელი რა იყოო.

ლოლაძე ლუარსაბ ამას უპასუხებდა: ციხელაშვილი ნინია და თომა ჩემი მკვიდრი ყმანი არიანო და შანშე ერისთავს რომ ბატონმა ოქმი უბოძა და რომელიც გლეხი კაცი კახეთის მამულში ქსნის-

ხეველი ესახლა, აჰყარა. ეს ციხელაშვილიც მაშინ აჰყარა და წამოიყვანა. თუ ნასისხლად მოცემული გვყვანდა იოანე ერისთვისშვილისაგან, რათ დაანებეთო: ოცდაათს წელიწადზე მეტი არის, მეჯვრისხევს მისახლობს და ამის მეტად არ გიდავნიაო.

ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა მეფემან ირაკლიმ ეს სამართალი მივეცით: რადგანაც ერისთვის შვილს იოანეს მიცემული წიგნი არა ჩნდა და არც ასეთი მოწამე ვინმე იყო, რომ დამტკიცებით სწორედ ემოწმებინა, ამისთვის ფიცი განვაჩინეთ. სამართლით ფიცი ქაიხოსრო ტუსისშვილს ერგო, რადგანც თავადისშვილი არის. სამართალი ფიცს თავდათავ ქაიხოსროს ამისთანა ცოტას საქმეზედ არ შეახვედრებდა, თავისი კაცნი უნდა დაეფიცებინა; თითონ ქაიხოსრომ იყაბულა, მე დავიფიცამო და ჩვენც ამისთვის ფიცი თავდათავ ქაიხოსროს დავადევით. წადგეს და იფიცოს, რომ ციხელაშვილის ნინიასი და თომას პაპა ერისთვისშვილს იოანეს მამის იმისისათვის სისხლში მიეცეს, იოანესაგან მიცემული წიგნიც ჰქონოდეს და დაჰკარგოსეს. თუ ასე იფიცა, ციხელაშვილი ნინია და თომა ქაიხოსროს დარჩება და თუ ვერ იფიცა, – ლუარსაბ ლოლაძეს დარჩება ყმად. იასაულო ნასახჩიბაშის ნაიბო ვეზირისშვილო გოგიავ, ეს ასე გაარიგე.

ნოემბერს კდ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

ქ. ქაიხოსრომ, თუ უნდოდეს, თითონ თავდათავ შეჰფიცოს და თუ უნდოდეს, – ორი თავისი კაცი შეაფიცოს.

* პატარა ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი, შუაში მთავრული და გარშემო მხედრული ლეგენდით: „მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე – ერეკლე“.

ხ.ი. Hd-2722 თარიღი: 1786.03.18 (ოქმი: 18. მარტი)

არზა ბებურ ბებურიშვილისა ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

„ქ. ღმერთმან მეფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს მათს ყმას ბებურიშვილს ბებურს!

ქ. ამას მოვახსენებ მათ სიმაღლეს: ერთი პატარა ბიჭი გავზარდე, ორმოცი წელიწადი არის, ჩემთან არის, თუ გახსოვსთ. ანაგას თქვენთან ავთანდილ მელიქიშვილი მედგა. თქვენ გვიბძანეთ,

ნუ სდაობთ, კაცი ჩემიაო. მე მოგახსენე, რადგან თქვენ გეპრიანებათ და თქვენი ყმა ყოფილა, თუნდა ასი წელი ჩემთან ყოფილიყოს, მეც თქვენი ყმა ვარ-მეთქი. თქვენ დამითმევით, მერმე ოქმი მიბოძეთ, ეს კაცი შენ გებარებოდეს, ამ კაცს ნურავის დაანებებთო. ახლა იასაული დაგიყენებიათ, აჰყარეთ ახლავ, ავთანდილს მიაბარეთო. ავთანდილს საქმე არა აქვს-რა; ოქმის წყალობას ვითხოვ: იასაული დაგვეხსნას და მე და ავთანდილი გვადავეთ.

მარტის ით, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ

ბებურ ბებურიშვილი

recto-ს ზემო კიდეზე:

„ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებ ამ არზის პატრონო! მერე ამ ავთანდილ მიმბაშს ამ კაცზე ჩვენ აღარას ვედავებით და თუ შენ სიტყვა გაქვს რამე, მის უმაღლესიბას ბატონს მამაჩვენს მოახსენე.

მარტის ით, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

*პატარა ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი სამსტრიქონიანი მხედრული ლეგენდით: „ლომად იუდას ბაკეთად (ნათლის სარტყელი მზისა ან მთოვარის გარშემო – ლ. მ.), ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად“.

ხ.ი. Hd-2093 თარიღი: 1786.03.04 (ოქმი: 17 მარტი)

არზა შანშე მილახორისა ერეკლე II-ის ოქმით

„ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მილახორს შანშეს!

ქ. მოგეხსენებათ, როცა თქვენი მოწყალება არ დამემართება, ის დღე ჩემთვის დღე არ არის. ცოლ-შვილი შესანახავი მყავს, შიშველ-ტიტველი გახლავარ. გევედრები, როცა ჩემს ამხანაგებს თქვენი მოწყალება დაემართოს, მეც მოწყალება დამემართოს; თუ რომ ჩემს ამხანაგებს არ მიეცემა ჯამაგირი, არც მე გაწყენ თავს.

მარტის დ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.
როცა იქნება, მეც მებოძოს და ან ჩემს ამხანაგს მიეცეს.“

recto-ს ზემო კიდეზე:

„ქ. ჩვენის კარის მოხელენო! ამ შანშე მილახვარს წელიწადში ჯამაგირათ თხუთმეტი თუმნისა გაუჩინეთ. ამას ყოველწლივ გაურიგებდეთ და მისცემდეთ.

აღიწერა მარტის იზ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

ამის ნახევარი იქნება ზ (7) თუმანი, ამას ყოველთვის თქვენ მოსცემდეთ ჯინსი (ნაღდით – ლ. მ.) და ნაღდი მიგვიცია ნახევარის და ნახევარი ისი".

*საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ქნარს მიცემს, დავით მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს. ერეკლე".

ხ.ი. Hd-2972 თარიღი: 1786. XI. 23 (ოქმი: 24 ნოემბერი)
გამოცემა: სოც. დოკუმენტები, II, №16

არზა თევდორე ხახანაშვილისა ერეკლე II-ის ოქმით

„ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ერთაწმინდელს წმიდის ევსტათის ყმას ხახანაშვილს თევდორეს.

ათი წელიწადია, თავს გაწყენთ და ვჩივით, თარხნისშვილებს უჩივით. ჩვენი სამართალი თქვენგან, თქვენის შვილის გიორგისაგან და მსაჯულთაგან გასამართლებულია, განაჩენი ხელთ გვიჭირავს, მაგრამ ერთხელ ასეთი იასაული არ გვებოძა, რომ იმათი კერძი კაცი არ ყოფილიყო და ეს საქმე გაერიგებინა.

ახლა ეს არის ჩვენი ვედრება: ერთი ასეთი იასაული გვიბოძოთ, რომ იმ მხრის კაცი არ იყოს, იმ ეკკლესიისათვისაც იზრუნოს და ჭეშმარიტების მიმხედველიც იყოს და ამ განაჩენში ბრძანებული აღასრულოს. ღმერთი გაგიმარჯვებს.

ნოენბერს კგ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

recto-ს ზემო კიდეზე: „ქ. ჩვენი ბძანება არის, ეშიკაღასბაშო ორბელიანო თამაზ! მერმე ამ არზის პატრონი ასრე რომ ჩივის, შენ უნდა მიხვდე და როგორც ამათ გარდაწყვეტილობისა და გასამართლებულს განაჩენებში ეწეროს, ისრე უნდა აღასრულო; ამისი

დაგდება აღარ იქნება და ნურც დააგდებ, თორემ იცოდე, დიდათ ვიწყენთ. ის სამართალი ხომ ჩვენის შვილის გიორგისა და მსაჯულთაგან გარდაწყვეტილი არის და ჩვენგანაც დამტკიცებული და როგორც ის განაჩენი უცხადებდეს, სწორედ ისრე უნდა აღასრულო.

ნოენბერს კდ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

verso-ზე:

„ქ. ეს ჩვენს შვილს გიორგისთან უნდა მიიყვანო და როგორც იმას გაერიგებინოს და გითხრას, ისრე უნდა აღასრულო".

* საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ქნარს მიცემს, დავით მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს. ერეკლე".

ხ.ი. Hd-14242 თარიღი: 1786. II. 21 (ოქმი: 1 მარტი)

(პირი: სცსა 1461, რვ. 6 №52; გადაწერილია პ. კარბელაშვილის მიერ)

არზა გიორგი წნორიაშვილისა ერეკლე II-ის ოქმით

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი რევაზ მოურავის ყმას წნორიაშვილს გიორგის მისცეს.

მერმე ამას მოვახსენებ: პირველათ რომ სოღალურს აშენებდით, მაშინ სასახლე სხვა კაცზედ მქონდა გაცვლილი. ქაიხოსრო მდივანბეგის ყმა მოვიდა, იმ კაცმა შამძალა, რაც იმას მიწა მოეცა, იმდონი მიწა მომცა, და ქვევრი კიდე სართათ. ქვევრს დავხარბდი, სასახლე გამოვართვი და მივეც. ეს ექვსი წელიწადი არის, ვენახათ ვაშენებ; ოთხი ძმა ცოლ-შვილით შიგ ჩავიხოცენით, ოროლი მოჯამაგირე არ გამომილევია, რაც რამ მებადა, მოჯამაგირეს ვაძლივე. ახლა მოსულა და თქვენთვის მოუხსენებია, ობლობით მბრიყობსო და მამულს მართმევსო, ოქმი აუღია და მამულზედ ხელი ამიმართეს. სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს.

თებერვლის კა, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

recto-ს ზემო კიდეზე: ქ. უფალნო მსაჯულნო! ამ არზის პატრონი ამ არზით ასე რომ ჩივის, ღ(ვ)თის წინაშე სწორე სამართალი მიეცით, რომ უსამართლობა არა მოხდეს-რა.

მარტის ა, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ქნარს მიცემს, დავით მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს. ერეკლე“.

ხ.ი. Qd-8693, თარიღი: 25.05.1786 (ოქმი: 27 მაისი)

არზა მოსე და ხოსროსი ერეკლე II-ის ოქმით

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ლილოზე მსახლობელს თქვენს ნათლულებს მოსეს და ხოსროს; მერმე ამ ამბავს მოვახსენებთ: ოსეთში ჩვენ ბიძაშვილები გვყავს და ჭაჭიაშვილმა ელიზბარმა ამოგვიწყვიტა: შვიდი მოკლა და ოთხი დაატყვევა და ჩვენი ციხეც ხელთ უჭირავს.

ქ. ამ დავაზე ჩვენ და ჩემი სახლიკაცნი მიიუხედით იმათ, ერთი კაცი მოუკალით და ერთი სხვა ციხე წავართვით და ის იმათი ციხე ჩვენ გვიჭირავს და ჩვენი ოთხმოცი კაცი დღეს შიგ არიან, მარტო ჩვენ კი არ გახლავართ, ჩვენი გვარის კაცნი ოთხმოცი კომლნი არიან.

ქ. ამაზე ჭაჭიაშვილი ელიზბარ ამილახვარს შეხვეწნოდა და ამილახვარს თქვენთვის წიგნი ეახლებინა და თქვენ გვიბძანეთ, ჭაჭიაშვილი ასე გიჩივისთო. ჩვენც არზა მოგართვით და ამილახვარზე ოქმი გვიბოძეთ: ამილახვარო, სამართალი შენ უყავო და თუ მანდ ვერ გაარიგო, ჩვენს სამართალში გამოგზავნეო; ან არა, - იმ ხეობის კაცნი დაისხან და იმათს სამართალს დასჯერდენო. ის არც ერთს სამართალში არ მოგვყვა და ჩვენ კი ყველას სამართლის ყაბული გვაქვს.

ქ. ახლა ჭაჭიაშვილს კიდევ თქვენთვის არზა უახლებია; ჩვენი მოხსენება ეს არის: ბორტიშვილი იმისი ბატონია, იმან სამართალი გვიყოს და გადაგვიწყვიტოს, ჩვენ ყაბული გვაქვს, თუნდა იმ ხეობაში ვისს სამართალშიაც გაგვწევს, მივყვებით და იმათს სამართალს დავჯერდებით, თუნდა თქვენსა და ამილახვრის სამართალში მოგვყვეს.

ქ. მოუხსენებია, ქცხილვანში გვმტრობსო, ჩვენ კეხვს ქვეით არცარა გვიმტერებია და არცარას უმტრებთ. ახლა თუ სამართალი არა მოგვცა-რა, კეხვს ზეით კიდეც უმტერებთ და არც მოვეშვებით: ან იმათ ამოვწყვეტთ და ან ჩვენ ამოვწყდებით; ოთხმოცი კომ-

ლი ჩვენი სახლიკაცნი იქ ახლოს დგანან, ამ სისხლს როდი შეარჩენენ.

მაისის კე, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

ზემო კიდეზე: ქ. ჩვენი ბძანება არის, მაჩაბელო ბარძიმ და ხუთასისთაო ზაზავ! მერე ამ არზით ხოსროს ასე რომ მოუხსენებია, ეს რიგიანი მოხსენება არის, რომელსაც სამართალში ელიზბარას უნდოდეს, იმ სამართალში მიჰყვეს და ელაპარაკოს და თუ სამართალში არ გაუსწორდება მოსესა და ხოსროს, ჩვენ ამათთვის ყადაღა გვიქნია. კეხვის ქვეით ესენი ელიზბარას ვერას უმტერებენ და კეხვის ზეით თუ მტერობა უნდათ, უმტერონ.

მაისის კზ (27), ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ქნარს მიცემს, დავით მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს. ერეკლე“.

ხ.ი. Qd-1464; თარიღი: 28.XII. 1786 (ოქმი: 28 XII)

არზა თამაზა თურქისტანიშვილის ქვრივისა ერეკლე II-ის ოქმით

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს თამაზა თურქისტანიშვილის ქვრივსა და ობლებს. ოთხი-ხუთი თაობა, მეტი არის, ჩვენი პაპები გაყრილან, არცარა მამისჩვენისათვის [მიუციათ] ამ ჩემს სახლიკაცებსა. ახლა მე მძლავრებით მერევიან, ნახევარი ახალდაბა ჩემია და იმას მეცილებიან. რადგან არ მეშვებიან, მოგეხსენებათ ობლის პატრონიც თქვენა ხართ; ჩემი სამართალი თქვენგან გაისინჯოს. სანამ ღვთით თქვენ გასინჯევდეთ ჩვენს სამართალს, ოქმი გვებოძოს, შფოთს დამეხსნენ და ნახევარი ჩვენვე ავიღოთ. ოთხნი ძმანი არიან, ზოგი სიკვდილს მექადის, ზოგი ხეზე მიკვრასა და გალახვასა, და ასე მძლავრობენ, ჩემო ხელმწიფევ.

დეკემბერს კთ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

ზემო კიდეზე: ქ. ჩვენი ბძანება არის: რომელნიც ამ არზის პატრონის მოდავენი ხართ, მერმე როგორც ამ არზის პატრონს ნახევარი უღია ჩვენს სამართლამდინ, ნახევარი ისევ ამან აიღოს და

ღ(მრ)თით ჩვენ რომ ჩამოვალთ, ჩვენთან იჩივლეთ და სამართალი მოგეცემათ.

ქრისტიშობის კთ, ქ(ორონი)კ(ონ(ს) უოდ.

ქ. თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენოს.

საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ქნარს მიცემს, დავით მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს. ერეკლე“.

სცსა ფ. 1448, №440; თარიღი: 21. XII.1786 (ოქმი: 21 XII)

არზა ნიკოლოზ მოძღვართ-მოძღვრისა დარეჯან დედოფლის ოქმით

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ორისავ საქართველოს დედოფლის ჭირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს, მოძღვართ-მოძღვარს ნიკოლაოზს. მერმე ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს ხელმწიფე დედოფალს: ეკლესიის ვალშიაც ვაბივარ და თქვენის უმსახურობის ვალშიაც ბევრი შფოთი მაქვს და სარგებელი კი არა მაქვს-რა; თელავის ვაჭართ ხან მე უშვრები უსამართლოს და ხან ისინი მიშვრებიან უსამართლოს. ან ასეთი მოწყალება მიყავით, თუ ინებებთ ეს წიგნები დადგეს, რომ შფოთისაგან შევისვენო. მისის უმაღლესობის ოქმიცა აქვთ ბაზრელებს, რომ იმ ბაჟის მოშლა არ იქნებაო; ებრძანოს, რაც ამათის განწესებით ბაჟი [ეკისრე]ბოდეს, საქმე სამართლიანათ ... გაგვირჩიონ და [....]

ზემო კიდეზე:

ქ. ბატონო კახეთის მოსამართლეებო და სალთხუცესო და მდივნებო! მოძღვართ-მოძღვარი ნიკოლოზ ასე რომ ჩივის, ეს ზედმიწევნით თქვენ გამოიძიეთ და მოიკითხეთ და რასაც მიხვდეთ და ღმერთმან გაგონოსთ ჭეშმარიტებით სამართალი მოეცით და გაარჩიეთ.

დეკემბერს კა, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

(საბუთი დაზიანებული, ბოლონაკლულია)

პატარა ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „დედოფალი დარეჯან“.

სცსა, ფ. 1448, №1385; პირი: სცსა, 1461,რვ. 11, საბ. №1, გადაწერილია პ. კარბელაშვილის მიერ. თარიღი; 19.XI.1786 (ოქმი: 20 XI)

არზა შიხინაანთ გიორგის შვილ გაბრიელასი ერეკლე II-ის ოქმით

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი შიხინაანთ გიორგის შვილებს გაბრიელას და გრიგორას მისცეს.

ახლა ამას ვეხვეწებით ჩვენს მოწყალესა, რომ ქარუმიძის შვილებსა შვიდი თუმანი მართებს თამასუქითა და ვენახი გირავოთა გვიჭირავს და არც ვენახის მოსავალი გვეძლევა; თითონა სჭამს და არც ფულს გვაძლევს.

ღმერთიმც გადღეგრძელოსთ, ერთი ოქმის წყალობა გვიყავი ოთარ მიმბაშზედა, რომ ჩვენი ფული გამოგვირთოს, რათგან ჩვენც სხვის მოვალედ გახლავართ და დიდათ გვაწუხებენ. შენი შვილების სადღეგრძელოთა, ოქმის წყალობა გვიყოთ, რომ მიმბაშმა ეს თეთრი გამოგვირთოს და ჩვენც მოვალეებს მოვრჩეთ.

აღიწერა გიორგობის ით, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

ზემო კიდეზე:

ქ. ამილახვარისშვილო ოთარ! ამ არზის პატრონის მოვალეს თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა არა ჰქონდეს-რა, ამას თავისი ჰაყი გამოურთვი და მოაბარე და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, სამართალში ალაპარაკე.

ნოენბერს კ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოდ.

ქ. თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, ნიკოლაოზ მდივანბეგი არის მანდა, შენა ხარ და რამდენიმე კიდევ გორელი მოქალაქე დაისწარით და სამართალი მოეცით. თუ თქვენ ვერ შეიყარნეთ, როდესაც ამილახორი მანდ მოვიდეს, მაშინ ამან და ნიკოლოზ მდივანბეგმა უყონ სამართალი.

საშუალო ზომის რვაკუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „ქნარს მიცემს, დავით მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს. ერეკლე“.

ჩვენი მიზანი იყო, კონკრეტულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში შედგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დაგვედგინა, რომ XVIII ს-ის ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოში არსებულ სამართლებრივი ინსტიტუტებს სკმაოდ მაღალი ქმედუნარიანობისა და ეფექტურობის ხარისხი გააჩნდათ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973.
2. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსცა ლ. მიქიაშვილმა, თბილისი, 1983.
3. Иванов М. С., Очерк истории Ирана, М. 1952.
4. გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბილისი, 1983.
5. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, 1986.
6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1449, №153.
7. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. III, №67.
8. С. Эсадзе, Очерк истории горного дела на Кавказе, 1903.
9. იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, ტექსტი გამოსცა ივ. სურგულაძემ, თბილისი, 1957.
10. სამოქალაქო სჯულვილება, ტექსტი გამოსცა დ. ფურცელაძემ, თბილისი, 1966.
11. სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა დ. ფურცელაძემ, თბილისი, 1964.
12. Давид Георгиевич Багратиони, Обозрение Грузии по части прав и законоведения, под редакцией А. А. Рогава, Тбилиси, 1959.
13. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, 1928.

Lela Mikiashvili
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior Researcher of the Department of Modern and Contemporary History.

Some Documents on Resolving Legal Disputes by Kartli-Kakheti Royal Family Members

Summary

The paper discusses some documents dated back to 1786 regarding the resolution of legal disputes by Kartli-Kakheti royal family members. In terms of foreign or internal situation the 1780-s was the most difficult period for the Kingdom of Kartli-Kakheti. Consequently, it is interesting to see how legal institutions were working in those times.

The presented document proves that despite the difficult situation in the Kingdom, the royal family members immediately considered each lawsuit and took relevant legal decisions documenting them in the appropriate protocol; most importantly, in many cases it was done next day after filing a petition, and rarely it embraced the period from 2 to 7 days.

გია გელაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ინგლისელი მოგზაური რობერტ ლაიელი თბილისის შესახებ

მოკლე შესავალი

შოტლანდიელი ბოტანიკოსი და მოგზაური რობერტ ლაიელი (1789-1831) იყო ვაჟი უილიამ და ჯენეტ ლაიელების. პეისლის სკოლის დამთავრების შემდეგ ეუფლებოდა მედიცინას ედინბურგის უნივერსიტეტში 1807-1810 წლებში. 1808 წელს მანჩესტერშია, სადაც ერთი წელი იმუშავა ოჯახის ექიმად მანჩესტერის სამეფო საავადმყოფოში. 1811 წელს ლინეის საზოგადოებაში წაიკითხა მოხსენება და ნიკოლსონის ჟურნალში გამოაქვეყნა 6 სტატია მცენარეთა აღგზნებადობის შესახებ, რითიც გამოამჟღავნა ბოტანიკოსის ტალანტი.

1811-12 წლებში დაინიშნა პეისლის საქალაქო ჰოსპიტალში პრაქტიკოს ექიმად. 1815 წელს წავიდა რუსეთში ექიმად პეტერბურგელ დიდებულთან; ახლდა მოწინავე აგრონომ დიმიტრი პოლტორაცკის კალუგისა და ორიოლის მამულებში; დაბოლოს გახდა გრაფინია ორლოვა-ჩესმენსკაიას ოჯახის ექიმი. აქ ის დარჩა ოთხი წელი. 1816 წელს საიმპერატორო სამედიცინო-ქირურგიულმა აკადემიამ მიანიჭა ექიმისა და ქირურგის წოდება. 1817 წელს ლაიელი გახდა საიმპერატორო აგრარული, ბუნენის ისტორიისა და ფიზიკო-სამედიცინო საზოგადოებების წევრი. 1819 წელს ლაიელი დაქორწინდა. ნაკლებადაა ცნობილი მისი ცოლი მარია, რომელიც ალბათ იყო რუსი. ამავე წელს წყვილი ჩავიდა ინგლისში, სადაც ლაიელმა ჩაუტანა უამრავი მცენარის თესლი სამეფო ბოტანიკურ ბაღს კიუში და ეთათბირა გამომცემლობებს მოსკოვის შესახებ წიგნის გამოცემის თაობაზე.

1820 წლის მარტიდან ის გენერალ ნაშჩოკინის ექიმია სემიონოვსკში, მოსკოვთან. 1822 წლის აპრილ-აგვისტოში, როგორც

ექიმი და მდივანი, ახლდა მარკიზ პუჩის, გრაფ სალაზარს და ედუარდ პენრინს რუსეთის სამხრეთ პროვინციებში. 1823 წლის აგვისტოში ოჯახთან ერთად დაბრუნდა ლონდონში. 1823 წელს ლაიელმა გამოაქვეყნა ნაშრომი – „რუსების ბუნება და მოსკოვის დეტალური ისტორია“ („Character of the Russians and a Detailed History of Moscow“ – შუა საუკუნეებიდან 1820 წლამდე და მისი აღდგენა 1812 წლის ხანძრის შემდეგ). მასში მოცემულია საყურადღებო აღწერა სამეცნიერო საზოგადოებების, მცენარეულის, საჭმელი სოკოების, რუსული აბანოების და არქიტექტურის. გულახდილმა კრიტიკამ მაღალი საზოგადოების მისამართით, დააჩქარა მისი წასვლა რუსეთიდან. წიგნის მირთმევას მეფე ალექსანდრე I-სადმი წინ აღუდგა რუსი ვიცე-კონსული. ლაიელმა მისი ნაშრომის მეტისმეტად არაობიექტურ კრიტიკას უპასუხა ანონიმი ავტორის (ჯონ ბაროუ – სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი) დუელში გამოწვევით 1826 წლის თებერვალში.

იმპერატორ ალექსანდრე I-ის გარდაცვალებას მიუძღვნა სამი ძალზე გულახდილი სტატია 1826 წელს მეფეზე, დიდ მთავარ კონსტანტინეზე და მეფე ნიკოლოზზე, სადაც ხაზს უსვამდა მათ დესპოტიზმს და ინკვიზიტორულ პოლიტიკურ ვითარებას.

1825 წელს ლონდონში გამოვიდა ლაიელის ორტომიანი წიგნი – „მოგზაურობა რუსეთში, ყირიმში, კავკასიასა და საქართველოში“ („Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia“).

ლაიელის სტატია – „რუსეთში არსებული სამხედრო კოლონიების ორგანიზაციის, ადმინისტრაციის და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ“ („Account of the Organization, Administration, and Present State of the Military Colonies in Russia“ (1824)), რაც შედეგი იყო ამ მოგზაურობების, ითარგმნა გერმანულად და ფრანგულად.

როგორც სამეფო აზიური საზოგადოების წევრი (1823-1827), აირჩიეს ზოოლოგიური საზოგადოების წევრადაც 1827 წელს და ბრიტანეთის აგენტად გაემგზავრა მადაგასკარზე. იქ ის დასაქმდა ბოტანიკით და საბუნებისმეტყველო ნიმუშების შეგროვებით. ადგილობრივებმა მას დააბრალეს „ჯადოქრობა“ და 1829 წლის 29 მარტს დააპატიმრეს და გამოაძევეს კუნძულიდან. იგი ოჯახთან ერთად დაბრუნდა წმ. მავრიკის კუნძულზე პორტ ლუისში. მადაგასკარიდან ლაიელმა წამოიღო უამრავი მცენარის ნიმუში, რომლებიც გადასცა ლინეის, ვერნერის, მედიკო-ბოტანიკურ საზოგადოებებს. მისი მადაგასკარული კოლექციები დაცულია ედინბურ-

გში, ნიუ-იორკში, მავრიკიზე, ასევე კიუში. 14 ნიმუშს მიენიჭა ლაიელის სახელი.

ლაიელმა მოამზადა მოხსენება პრესისთვის თავის მადაგასკარულ გამოკვლევებთან დაკავშირებით, მაგრამ გარდაიცვალა 1831 წლის 23 მაისს პორტ ლუისში, მავრიკიზე. სიკვდილის მიზეზად მიიჩნევენ მალარიულ ციებას, რომელიც მას მადაგასკარზე შეეყარა 1828 წელს.

ცნობები თბილისის შესახებ მოცემულია მისი წიგნის –„მოგზაურობა რუსეთში, ყირიმში, კავკასიასა და საქართველოში“ – პირველი ნაწილის 510-527 და მეორე ნაწილის 158-159 გვერდებზე, რომელთა ჩვენეულ თარგმანსაც ქვემოთ წარმოვადგენთ. ლაიელი თბილისში იმყოფებოდა 1822 წლის ზაფხულში. მისი ცნობები, ესაა თვითმხილველის მონათხრობი საკმაოდ კრიტიკული თვალით დანახული, თუმცა ნათქვამის გასამყარებლად იყენებს ზოგი მისი თანამედროვის და წინამორბედის მონაცემებსაც. ასეთებია იმ დროს ცნობილი მოღვაწეები თუ მოგზაურები – კლაპროტი, ფრეიგანგი, კერ პორტერი, კოცებუ და სხვ. ჩვენ ტექსტის თარგმანს მივყვებით იმ მიმდევრობით, როგორც ეს ავტორს აქვს მოცემული.

ტექსტი

ტფილისი ამჟამად არის რუსული გუბერნიისა თუ პროვინციის – **გეორგიის** დედაქალაქი; ადრე კი იყო იმავე სახელწოდების სამეფოს დედაქალაქი და ქართლის მეფის რეზიდენცია. ის მდებარეობს ვიწრო ხეობაში მდინარე მტკვარზე, მის მარჯვენა ნაპირსა და მასზე გადმომდგარ მთას შორის, რომელზეც აღმართულია ციხესიმაგრე. მისი სახელწოდებაა ტფილისი, ან ტფილის-ქალაქი (ე.ი. თბილი ქალაქი), რაც მიიღო თბილი წყაროებისგან... ის დაშორებულია პეტერბურგიდან 2627 ვერსით, ანუ 1751 მილით, მოსკოვიდან – 1900 ვერსით, ანუ 1267 მილით.

როგორც ამბობენ, 1812 წელს ტფილისი აჩრდილიღა იყო შარდენისეული ქალაქისა, რომლის მხოლოდ ერთი მესამედი აღადგინეს 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის მიერ ჩადენილი განადგურების შემდეგ...

ტფილისს გარს არტყია სამკუთხა ფორმის კედელი და აქვს 6 კარი, რომლებიც დღესაც მოქმედებენ. ქალაქი გაყოფილია სამ ნაწილად: 1) ტფილისი, ანუ ძველი ქალაქი, სადაც არის თბილი აბანო-

ები; ის ძალზე პატარაა და მდებარეობს მტკვრის აღმოსავლეთით; 2) კალა, ანუ სიმაგრე, წინას ჩრდილოეთით, მდინარის დასავლეთით და უფრო დასახლებულია; 3) გარეთ-უბანი ისანი, ანუ ავლაბარი, რომელსაც დანარჩენებისგან ჰყოფს მტკვარი, მაგრამ მათთან დაკავშირებულია ერთადერთი ხიდით ქალაქში.

არცთუ დიდი ხნის წინათ ტფილისში იყო ბერძნული რელიგიის (მართლმადიდებლური – გ. გ.) 20-მდე ეკლესია, 15 სომხური, ერთი კათოლიკური, რომელსაც იტალიელი კაპუჩინები მართავდნენ და აგრეთვე ერთი სპარსული მეჩეთი [1].

საკათედრო ტაძარი სიონი – დახვეწილი არქიტექტურის და მნიშვნელოვანი სიდიდის, შეაკეთეს თავად ციციანოვის ბრძანებით, რომელიც რამდენიმე წელი სარდლობდა რუსულ არმიას საქართველოში...

ტფილისში ჩვენ შევედით წლის ყველაზე უარეს დროს და დაგვეუფლა ძალზე უსიამოვნო გრძნობა და საკმაო იმედის გაცრუება. საცოდავი, ბნელი ქალაქი მღვრიე მდინარის პირას, გარშემორტყმული შიშველი მთებითა და გადამხმარი ყანებით, დახუთული ამინდით, რასაც აცოცხლებდა ცოტა ეგზოტიკური მწვანე ხეები – ყოველივე მხოლოდ მელანქოლიურ შთაბეჭდილებას ქმნიდა და გვიჩენდა მოკლე დროით აქ დარჩენის მწვავე სურვილს. ტფილისში ჩვენი ყოფნისას თერმომეტრი არასდროს აღემატებოდა 91 გრადუსს ფარენჰაიტით (≈32^{0}C), მაგრამ ჰაერი იყო აუტანლად დახუთული ცხელი; თუმცა თერმომეტრი ჩრდილში ხანდახან უჩვენებდა 38 გრადუსს რეომიურით (= 118-ს ფარენჰაიტით (≈47^{0}C – გ. გ.)).

ქუჩები, ან, მე ვიტყოდი, სავალი გზები ტფილისში უმეტესწილად ძალზე ვიწროა და უსწორო და ძნელი აღსანერია. გარდა ევროპულ ყაიდაზე აღდგენილი ადგილებისა, სხვა არცერთი არაა სწორი [2]. სახლები და მათი კედლები ნაშენია განიერი, ბრტყელი აგურით, ხშირად ჩვეულრბრივი ქვების შერევით, ან ფენა-ფენად; დამაკავშირებლად გამოყენებულია ტალახი (თიხა) და ცოტა კირი. გარდა საუკეთესო სახლებისა, არ აქვთ შემინული ფანჯრები. მინის მაგიერ ხმარობენ ჩვეულებრივს, ან გაქონილ ქაღალდს, რადგან მინა ძალზე ძვირია და საქართველოში არ არსებობენ მინის ქარხნები. ეზოში გამავალი კარები ხშირად ასრულებენ ფანჯრების როლს.

ქალაქის უდიდესი ნაწილი ზედმეტად უსუფთაოა [3]. მტკვარი ჭუჭყიანია; საზოგადო ბაზრები და ბევრი აბანოც ბინძურია. მიუხედავად რუსების მხრივ ყოველგვარი სრულყოფისა, ტფილისი მეჩვენა ერთერთ შეუხედავ და უსიამოვნო ქალაქად, როგორებიც

მე მინახავს; მაგრამ ეს არის უაღრესად ცხოველი, საქმიანი პუნქტი.

ტფილისის ქუჩებში სიარულისას გაგვაოცა კამეჩების, ტახების და თხის წამომჯდარმა, ნამდვილად სავსე ტყავებმა და ვიხალისეთ, როცა ვნახეთ, თუ როგორ ჩამოასხამდნენ ამ სათავსიდან მშვენიერ კახურ ღვინოს. ადგილობრივები ამ მხარეში ღვინოს ინახავენ მიწაში ჩაფლულ უზარმაზარ თიხის ჭურჭელში, ხოლო გადატანისას (ტრანსპორტირებისას) იყენებენ ამ ტყავებს. მათი ბეწვიანი მხარე გაპოხილია ნავთით და შიგნითაა შებრუნებული. ეს ღვინოს აძლევს უსიამოვნო არომატს და გემოს, რასაც ქართველები შეჩვეულნი არიან, მაგრამ საკმაოდ არასასიამოვნოა უცხოელთათვის. ასე დამზადებულ ტყავებს უწოდებენ „ბურდუკს“ [4]. კასრებს სრულებით არ იყენებენ, მცირედ ბოთლებს; ეს უკანასკნელი ექვს ან რვამაგად მეტი ღირს ღვინოზე. გენერალმა **ჰოფენმა** გვითხრა, რომ ხშირად უფიქრია ტფილისის ახლოს ბოთლების მანუფაქტურის დაარსებაზე, მაგრამ ვერ მოძებნეს ამ საქმისთვის საჭირო კარგი სილა. ღვინოს აქ ჰყიდიან **თუნგობით;** ესაა დაახლოებით შვიდი კარგი ზომის ბოთლი. ერთი თუნგი ჩვეულებრივი კახური ღვინო ღირს 60-80 კაპიკი, ხოლო საუკეთესო – 100-120 კაპიკი; ე.ი. შვიდი ბოთლი იყიდება 6 პენსიდან 1 სტერლინგამდე, ანუ ბოთლი ერთ ან ორ პენსად. ამდენად არაა გასაკვირი, რომ ხალხი რეგულარულად სვამს ღვინოს, როგორც ინგლისელები პორტვეინს. ჩვენი ვიზიტისას ოქრო და ვერცხლი, განსაკუთრებით დუკატები წარმოადგენდა მთავარ სამოძრაო საშუალებას. ადგილობრივ მონეტებს აქვთ სპარსული სახელები – „ორი აბაზი“, „აბაზი“ და „ნახევარ აბაზი“. ტფილისში ასევე მოჭარბებულად იყო რუსული სპილენძის, ვერცხლის და ქაღალდის ფული. ამ უკანასკნელს ახურდავებდნენ საფასეზე 8, ხან 9 მანეთით მეტად ყოველ ასზე. ეს უფრო მაღალი ტარიფია, ვიდრე მოსკოვში, სადაც არასდროს გამიგია, რომ აჭარბებდეს 8 მანეთს.

ბაზრები ბოლო დროს თუმცა ბევრად გამოკეთებულია, ჯერაც არაა ძალიან შთამბეჭდავი. დუქნები განლაგებულია გადახურული ალეის გასწვრივ, რომელიც ბოლომდე (გამჭოლად) გაისვლება. ზოგი მათგანი ძალზე ბნელია, ყველა უღიმღამო, მაგრამ ცოცხლდებიან ხალხთა ჯგუფების ფუსფუსითა და ხმაურით. ერთი და იგივე ხასიათის დუქნები მეტწილად ერთადაა, როგორიცაა მებაყლეების, მექუდეების, მკერავების, რკინეულობით მოვაჭრეების, იარაღის ოსტატების, ვერცხლის იუველირების და ა.შ. ხილის

დუქნებში ვნახეთ უხვად დაბალი ხარისხის გარგარი, ალუბალი და თუთა, ასევე სხვადასხვა სახის სალათები. საუკეთესო ხილისთვის დრო ცოტა ნაადრევი იყო; ტფილისში ყოფნისას არ გვინახავს ისინი დიდებულთა სუფრაზეც. ყოველი სახის საქონელსა და სურსათსანოვაგეს შეხვდები აქ, როგორც ადგილობრივს, ისე სპარსულსა და რუსულს. დუქნებში ჩვენ ვნახეთ ნოხები, აბრეშუმის, შალის და სხვა საგნები, რომლებიც, რუსეთის ფასებთან შედარებით, არ იყიდება იაფად. გასაყიდად ყველგან წარმოდგენილი იყო უამრავი რაოდენობა რუსული და გერმანული საქონლის; ჩითის თავშლები, ბამბის ქსოვილები და ა.შ. რუსული წარმოების.

ჩვენ ველოდით, რომ ვიხილავდით ქარვასლის უფრო მეტად შთამბეჭდავ შენობებს და უკეთ მომარაგებულს აღმოსავლური ქვეყნების ნაწარმით, ვიდრე აქ იყო. ტფილისში ესენი ორია: ერთი თურქებისთვის, მეორე სპარსელების. ესენია კვადრატული შენობები, რომლებიც თითქოს ჰგავდა ზოგიერთ საპატიმროს. მათ ორსართულად ერტყმიან აივნების რიგები და დაყოფილია მრავალ პატარა მოუწყობელ ოთახებად, რომლებშიც ეს უცხოელები აწყობენ თავის საქონელს და ცხოვრობენ. დღისით ისინი ფეხმორთხმით სხედან იატაკზე, ეწევიან ჩიბუხს, ან იკრიბებიან მცირე ჯგუფებად იმავე მიზნით (მოსაწევად – გ. გ.), სანამ მნახველი ესტუმრება. ღამით ისინი წვებიან ბამბის გადასაფარებელზე და ასე გადის დრო, სანამ მოათავებენ თავის საქმეებს, და იწყებენ ახალ მოგზაურობას.

ახლახან **ერმოლოვის** [5] სასახლის სიახლოვეს ააგეს ახალი დუქნების ორი დიდი რიგი, ანუ ქარვასლები. მათი მხოლოდ მცირე ნაწილია დაკავებული და, რა თქმა უნდა, ყველა არ იყო დასრულებული 1822 წელს. ჩვენ საკმაოდ გაგვიკვირდა, როცა აღმოვაჩინეთ ინგლისელი, რომელმაც ახლა დაიწყო საქმიანობა ერთ-ერთში. მაგრამ სად წავალთ, რომ ჩვენი თანამემამულე არ შეგვხვდეს?

ქალაქის ამ ნაწილს აქვს ევროპულობის პრეტენზია, მაგრამ ჯერაც მოიცავს ასობით აზიურ ქოხს. ესენი ტერასებადაა განლაგებული მთების ფერდობზე, ძალზე დაბალია, ბრტყელი სახურავებით (ბანური გადახურვა – გ. გ.) და ღარიბული; ბევრგან ძლივს ჩანდნენ, სანამ არ მივუახლოვდით.

ტფილისის შუაში მეორე არასწორ ოთხკუთხედს ქმნის სამოქალაქო გუბერნატორის სახლი, 1820 წელს აგებული პოლიციის სამმართველო, „პრავლენიე“, ანუ ადმინისტრაცია და სხვა შენობები, რომლებიც ხაზინის კუთვნილებაა.

ქალაქის საუკეთესო ნაწილი გენერალ ერმოლოვის სახლის სიახლოვესაა, რომლის სტრუქტურა თუმცა ჩამორჩება პეტერბურგისა და მოსკოვის ბევრი კერძო შენობისას, როგორც სიდიდით, ისე სტილით, მაინც ტფილისში ითვლება არაჩვეულებრივად. მათ ესაზღვრება (უერთდება) არსენალი და მის გადაღმა გვარდიის კორპუსი. ერთ მხარეს არის მნიშვნელოვანი ფართობის და ლამაზად დაგეგმარებული სახალხო ბაღი. აქ არის გამოქვაბული, ჩაის ოთახები (კაფე-საკონდიტრო) და გრილი განიერი ალეები უმთავრესად ვაზით გაფორმებული. ვრცელი სანახაობა იშლება აქედან; ამბობენ, რომ გაზაფხულზე სასიამოვნოა. მის უკან მთები ციცაბად აღიმართება; ასევე გაფანტულად ჩანს ბევრი ეკლესია.

მის ახლოს არის „რუკების საცავი“, რომელიც ექვემდებარება პოლკოვნიკ **კოცებუს** [6], ცნობილი დრამატურგი მწერლის კოცებუს ვაჟს, ავტორს წიგნისა „მოგზაურობა სპარსეთში“. ის ჩვენ გამოგვყვა მის დასათვალიერებლად. იქ დაცულია ცოტა რუკები და არც ერთია რუსეთის მთლიანი იმპერიისა. ამჟამად ისინი ამზადებენ საქართველოს საუცხოო რუკას, რომელიც შედგება 40 თუ 48 ნაწილისგან (ფურცლისგან), რომელთაგან ზოგი ჩვენ ვნახეთ. ეს იქნება რამდენიმე წლის ნამუშევარი.

გენერალ ერმოლოვის სასახლის მოპირდაპირედ, მაგრამ მდინარესთან უფრო ახლოს, არის ახალი შენობების მოედანი, რომელთაგან ერთერთში ჩვენ დავბინავდით. აქ სახლები აიშენეს რუსეთის სამსახურში მყოფმა ქართველმა თავადმა **მადატოვმა** და ბევრმა ოფიცერმა. კოცებუს თქმით, ეს მოედანი ადრე იყო სასაფლაო. დიდი ცერემონიები არ უნდა დასჭირვებოდა მიცვალებულთა საფლავების გაუქმებას, ასე ძვირფასი უმრავლესი ველური ხალხისთვისაც. მაგრამ დესპოტური ძალა ნაკლებად აქცევს ყურადღებას ძველ ტრადიციებს. აი კოცებუს სიტყვები: „ქალაქის ცენტრში არსებობდა ძველი სასაფლაო; უფრო მეტად დაფასებული გარდაცვლილთა საფლავის ქვების გამო. მაგრამ მას ეკავა საკმაოდ დიდი ფართობი, ირგვლივ კი გადიოდა ძალზე ჭუჭყიანი და შეუხედავი ქუჩები. გენერალმა ერმოლოვმა ბრძანა დაენგრიათ ღობე-კედელი და გაესწორებინათ მიწა მას შემდეგ, რაც საფლავის ქვებს დაუბრუნებდნენ პატრონებს. ირგვლივ მდგომ სახლებს ჰქონდათ ლამაზად ორნამენტირებული ფასადები“ („მოგზაურობა სპარსეთში“, გვ. 48).

ტფილისი დიდადაა დავალებული გენერალ ერმოლოვისგან განახლების გამო. მას სურს ის აქციოს მნიშვნელოვან საწყობად

მსოფლიოს სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რუსეთს შორის და განსაკუთრებით მოწადინებულია გახადოს ის დიდ კომერციულ ქალაქად. ამ მიზნით იქ ააგეს უკვე აღნიშნული მაღაზიების რიგები და აღადგინეს ბაზრები. ჯარისკაცები, იცოდნენ რა გენერალ ერმოლოვის სურვილი, ქუჩებსა და შესახვევებში გავლისას, ძველი სახლების კედლებიდან აძრობდნენ 1-2 აგურს, რათა დაეჩქარებინათ მათი დანგრევა. ეს ქმედება გვიჩვენებს: 1) ქართველთა საცხოვრებლები არაა ძალზე მტკიცედ ნაშენი და 2) უფრო ძლიერია სურვილი, რომ არსებული შეიცვალოს თანამედროვე შენობებით.

დაახლოებით 2 მილზე ტფილისს ქვემოთ, მტკვარს ზემოთ არის ჰოსპიტალი და ბოტანიკური ბაღი. რადგან ჩვენ ისინი ვერ მოვინახულეთ, ვერაფერს გეტყვით მათი მდგომარეობის შესახებ.

სიმაგრე ან ციტადელი ააშენეს თურქებმა 1576 წელს, როცა სულეიმანის ჯარების გენერალისიმუსი, განთქმული **მუსტაფა ფაშა** დაეპატრონა ტფილისსა და მის ირგვლივ ქვეყანას. ის აღმართულია მაღალ და განცალკევებულ გორაკზე; მისი მტკიცე კედლები და კოშკები ხდიდა მას მძლავრ პუნქტად. ამჟამად მისი ნანგრევებია, საითაც ასვლა ძალზე ძნელია. ნახევარ გზაზე ჩვენ შეგვაჩერა დარაჯმა, რომლის მოწოდება ჩვენი შემდგომი მსვლელობის საწინააღმდეგოდ დაძლეულ იქნა ცოტა ფულის მიცემით არაყისთვის. ციხიდან იშლება საუცხოო ხედი ტფილისისა და მისი მიდამოების. ზოგ ადგილებში კლდეების ფერდის გასწვრივ მდებარე ბრტყელსახურავიანი სახლები ჰგვანან უზარმაზარი კიბის საფეხურებს, რომლებიც ალბათ ეხმარებოდნენ ზღაპრულ დევებს. მათ სახურავებზე ჩანდნენ ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ, უსაქმურობდნენ ან ერთობოდნენ.

ავლაბრის გარეუბნის მოსანახულებლად გადავედით მტკვარზე ხის ხიდით, რომლის გვერდითაც დგას ქალაქში ერთადერთი მეჩეთი. გადაწყვეტილია მალე ამ ხიდის შეცვლა ქვის ხიდით. მასზე გადასვლის შემდეგ ყურადღება მიიქცია „ზიარების“ პრიმიტიულმა გამოსახულებამ, ამოკვეთილმა მკვრივ კლდეში და ნიშაში ორნამენტირებული სვეტებით. დიდ პატივს მიაგებენ ამ ნახელავს, რომლის წარმომავლობა ვერ შევიტყე. ავიარეთ რა აღმართი, მივადექით ძველ სიმაგრეს, რომელიც აღმართულია ციცაბო კლდეზე. აქ მიმდინარეობდა წინასწარი სრული გადაკეთება, რათა ის გადაექციათ საქართველოს მთავარ საპატიმროდ. ჩვენ გვითხრეს, რომ ეს იყო გენერალ ერმოლოვის ჩანაფიქრი, გადაექცია

ტფილისი სრულიად ევროპულ ქალაქად და მხოლოდ ამ გარეუბანს უნარჩუნდებოდა აზიური თვისებები. ამჟამად, გარდა უბადრუკობისა, ის არაფერს განასახიერებს.

შემდგომ ჩვენ ვეწვიეთ სახაზინო აბანოებს. შევედით რა ჰოლში, მარცხნივ შევამჩნიეთ ვრცელი ოთახი, რომელშიც ქართველები თამაშობდნენ **ბილიარდს** [7]. ჩვენ შეგვიყვანეს მსგავს ოთახში მარჯვნივ, სადაც ერთ მხარეს იყო ნიშა და მის წინ ორ სვეტს შორის ეკიდა ფარდა. ნიშაში აღმოვაჩინეთ რამდენიმე სკამი და დაბალი მაგიდა, ან უკეთ მერხი, რომელზეც ეფარა ტილოს ზეწარი; აქ ადგილობრივები იხდიან და ინახავენ თავის ტანისამოსს. ჩვენ მოვთხოვეთ მეაბანოვეს, მოგვქცეოდნენ ისე, როგორც ქართველებს. მათ გაგვხადეს ტანსაცმელი, შემოგვახვიეს ტილოს სარტყელი და შეგვიყვანეს სააბაზანო ოთახში, რომელიც არის ვრცელი და თაღოვანი. მათი თაღოვანი სახურავის შუაგულში არის ხვრელები ჰაერის მოსაწოდებლად. აბაზანები წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმისაა და 5-5,5 ფუტი სიღრმის. ისინი ქვაშია გამოკვეთილი და ივსება მილების მეშვეობით, რომლებიც გაყვანილია მათ ზემოთ და მათში უწყვეტად მოედინება თბილი გოგირდოვანი ნაკადი. ყოველ აბაზანას აქვს ორი დიდი ტახტი (ფიცარფენილი) იატაკიდან 4 დიუიმის სიმაღლეზე, რათა ერთდროულად ორ პერსონას მოემსახუროს... მე მთხოვეს ჩავსულიყავი აბაზანაში მასში გაკეთებული საფეხურით. შემდეგ ამომიყვანეს და დამაწვინეს ერთ-ერთ ზემოდასახელებულ ტახტზე, ისე რომ თავი დავდე ხის პატარა ბალიშზე. მომსახურე პირმა აავსო ვედრო აბაზანიდან ამოღებული წყლით, მარჯვენა ხელზე წამოიცვა თხის ბეწვისგან დამზადებული უთითებო ხელთათმანი (ქისა – გ. გ.) და მბანდა და მიხეხავდა მთელ ტანს. ეს პროცედურა გაგრძელდა დაახლოებით 15 წუთი. შემდეგ სავსე ბადია ბევრჯერ გადამავლო. მერე აიღო საპნის ქაფით სავსე პარკი (ტომსიკა) და დამაწურა სხეულის სხვადასხვა ადგილებზე; თან აგრძელებდა მშვიდ ხეხვას ერთი ხელით. ეს მეორე ოპერაცია დასრულდა არა უადრეს 20 წუთისა. განმეორდა განბანვა თბილი წყლით; შემდეგ მიმითითა ჩავსულიყავი აბაზანაში და გავჩერებულიყავი იქ იმდენ ხანს, რამდენიც მსურდა. როგორც სპარსეთში, თურქეთში, ეგვიპტესა და ინდოეთში, ეს მსახურები ასრულებენ დაზელვას, პრესს და მასაჟს ზედაპირულად. ოპერაციის შემდეგი საფეხურია სახსრების მტვრევა, ტანზე შედგომა და ზედ სიარული; მაგრამ ამას არ დავემორჩილე. ჩვენი ჯგუფის ერთმა წევრმა მხოლოდ სახსრები დაამტვრევინა და ტანზე არ შეიყენა. ასეთი საუც-

ხოო ბანაობა მე არასდროს განმიცდია. ახლა იოლად წარმოვიდგენ, თუ ადგილობრივები საათობით, ხან მთელი დღითაც რატომ რჩებიან იქ.

როგორც ქალბატონი **ფრეიგანგი** [8] ამბობს, „ქართველი ჩინოსნები და განსაკუთრებით ქალბატონები კვირაში ერთ მთელ დღეს ატარებენ აბანოში და, არც თუ იშვიათად, მთელ ღამესაც. სასიამოვნო სიმშვიდეში ტახტზე მჯდომი იღებავს თმას და ფრჩხილებს. ხნოვან ქალბატონებს კუპრივით შავი თმა აქვთ მუდმივი შეღებვით. აქ ასევე იფერადებენ სახეებს წითლად და თეთრად, წვალობენ წარბების შესაერთებლად, რომელიც არის სრულებით გაუგონარი ქართველი ლამაზმანის („წერილები კავკასიიდან", გვ. 119).

გარდა სახაზინო აბანოსი, მის მეზობლად არის კიდევ 6 აბანო: ოთხი მამაკაცების, ორი ქალების. ქალთა ერთერთი აბანო ძალზე ბინძურ მდგომარეობაში იყო. უამრავი შიშველი ქალი დაკავებული იყო კაბების (თეთრეულის) რეცხვით, სხვები ისვენებდნენ ცარიელ აბაზანებში და მიშვებული ჰქონდათ ნაკადი ტანზე. (ამ სცენის უფრო დეტალურად გასაცნობად ვურჩევ მკითხველს იხილონ სერ **რ. კ. პორტერის** [9] აღწერა „ქართველი ვენერები" ტფილისის აბანოში).

აბანოების თბილი წყაროების ტემპერატურა მერყეობს 100-დან 112 გრადუსამდე ფარენჰაიტით (≈38-44^{0}C – გ. გ.); მხოლოდ ერთი, სადაც ტემპერატურა 112 გრადუსია, იყო სახაზინო აბანოში... ცხადია, რომ ტემპერატურა შეიძლება იცვლებოდეს სხვადასხვა დროს მთის შიგნეთში მიმდინარე ცვლილებების გამო, რის შესახებ არაფერი ვიცით, გარდა მკითხაობისა. ავტორი წიგნისა „წერილები კავკასიიდან" ასახელებს 50 გრადუსს რეომიურით (≈60^{0}C? – გ. გ.), ანუ 144 გრადუსს ფარენჰაიტით, მაგრამ მე ეს შეცდომად მიმაჩნია – იქნებ მათ ხელოვნურადაც ათბობდნენ. ტფილისის ყველა აბანოს წყაროს დამახასიათებელი ნიშანია ძლიერი გაჯერება გოგირდ-წყალბადოვანი გაზით და ტემპერატურა 100-111 გრადუსი ფარენჰაიტით.

სახაზინო აბანო მოთავსებულია ნათელ შენობაში და კარგადაა მოვლილი. მათი წლიური შემოსავალია 5.000 ვერცხლის მანეთი, რაც დაახლოებით 20.000 ქაღალდის მანეთია დღეს, ანუ 883 ფუნტი სტერლინგი. ეს არაა მცირე თანხა საქართველოში. მაცხოვრებლები 6 პენსად და მეტად სარგებლობენ სახაზინო აბანოთი; საზოგადო აბანოებში იხდიან 3-4 პენსს.

აბანოების გარდა, დიდ სიამოვნებას, რის მიღების ნებასაც ქართველები თავიანთ ცოლებს აძლევენ, არის გასეირნება (ჰაერზე ყოფნა) კვირა დღეს და დღესასწაულებზე ასვლა თავისი სახლების სახურავებზე, სადაც ხანდახან ცეკვავენ ტამბურინის ხმაზე. კოცებუ გვამცნობს, რომ ქალებს ჰქონდათ უფლება ყოფილიყვნენ ტფილისში ძალზე უცნაური გასართობი სანახაობის მაყურებლები. გარკვეულ მნიშვნელოვან დღესასწაულზე მთელი მოსახლეობა ტოვებს ქალაქს და იყოფიან მებრძოლთა ორ ბანაკად, რომლებიც აწყობენ რაღაც ბრძოლის მსგავსს. ორივე მხარე ავლენს გაუგონარ შეუპოვრობას, სანამ ერთერთი არ დათმობს პოზიციებს. ისინი ერთმანეთს სეტყვასავით უშენენ ქვებს, შემდეგ ურტყამენ ჯოხებს ან ხის ხმლებს. პატარა ბავშვებიც კი ესროდნენ ქვებს მოწინააღმდეგეს. ბევრი შავდებოდა და კოჭლდებოდა, ხოლო ზოგი სულაც იღუპებოდა. ღირსების საქმედ ითვლებოდა, არ გამოეთქვათ უკმაყოფილება (არ ეწუწუნათ) უბედური შემთხვევის გამო. დედებიც კი ხედავდნენ თავისი ვაჟების უბედურებას და ხვდებოდნენ ამას სპარტანელი ქალების მორჩილებით. ბრძოლის ამ სახეობას ერქვა **„თამაშა“** და თავადებიც მონაწილეობდნენ მასში. მაგრამ ის აკრძალა გენერალმა **ერმოლოვმ**ა.

რუს სალდათებს საკმაოდ ადანაშაულებენ ქართველი ქალების ზნეობრივ გარყვნაში, განსაკუთრებით დაბალი ფენებისა. ისინი ხანდახან ხდებიან მათი გართობის საგანი. როგორც კოცებუ ამბობს, „როცა ქალი ქუჩაში ხვდება ერთ ან მეტ რუსს და გასასვლელი ისეთი ვიწროა, რომ იძულებულია მიმართულება შეიცვალოს, იგი სახით შეტრიალდება კედლისკენ, სანამ ეს საზიზღარი კაცები არ ჩაივლიან. ახალგაზრდა ოფიცრები ზოგჯერ ერთობიან ამ ჩვეულების დაცინვით, რაც ქალში სირცხვილის გრძნობითაა გამოწვეული: ისინი (ოფიცრები – გ. გ.) დგებიან კედელთან და სახეს იფარავენ თეთრი ცხვირსახოცით“....

1 და 2 ივლისი ძალზე უსიამოვნოდ გავატარეთ ტფილისში; მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილში ტემპერატურა არ აღემატებოდა 86-90 გრადუსს ფარენჰაიტით, ატმოსფერო იყო დახუთული, რაც აძნელებდა ცხოვრებას. ჩვენ საკმაოდ გაგვიღიმა ბედმა, რომ ვიშოვნეთ საკმაოდ ვრცელი ოთახი სომეხთან, სადაც გავაღეთ ყველა ფანჯარა და ჰაერის ისეთი ცირკულაცია შევქმენით, როგორიც შესაძლებელია უქარო ამინდში. ჩვენ ასევე მოვასხურეთ წყალი იატაკზე და ტანზე ვივლებდით ძმრიან წყალს. მაინც ვიყავით მოუსვენრად, გახურებული და არაკომფორტულად. თუმცა სიცხე არ

იყო ძალიან ძლიერი, მე ამას მივაწერ სპეციფიურ ადგილობრივ ჰაერს, რაც შეიძლება წარმოიშვას ტფილისის შემოგარენის ბუნებით – მისი მდებარეობით ვიწრო ხეობაში; ასევე მოახლოებული ჭექა-ქუხილით.

საღამოს ჭექა-ქუხილს მოჰყვა დიდი წვიმა, მაგრამ ამან მცირე ხნით იმოქმედა ჰაერზე, რადგან ღამე გავატარეთ მოუსვენრად; მეორე დღე – 2 ივლისი ასევე უსიამოვნო იყო. ამიტომ გვიხაროდა, რომ საღამოს ვტოვებდით ტფილისს. წინასწარ მოვიპოვეთ ნებართვები და წერილები იმათთვის, ვინც დაგვეხმარებოდა კავკასიის გადალახვაში.

მცირე კომენტარები

[1] გიულდენშტედტი ასახელებს 3 თათრულ მეჩეთს, 15 ქართულსა და 20 სომხურ ეკლესიას იხ. „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში", თბილისი, 1962, ტ. I, გვ. 89-93.

[2] შდრ. ვახუშტი – „ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნი" (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941, გვ 54). შდრ. გიულდენშტედტი – „ქუჩები დაახლოებით 1 საჟენი სიგანისა, შესახვევები კიდევ უფრო ვიწრო" (გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ. გვ. 87).

[3] შდრ. გიულდენშტედტი – „სახლები ნაგებია აგურისა და ფილაქნებისგან, თიხანარევი კირით, სახურავები სწორი, თიხით დაფენილი. შუშების მაგიერ გაქონილი ქაღალდი. ყველაფერი არის მსუბუქი, ცუდი, ტლანქი და შეუხედავი" (გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ. გვ. 87).

[4] საუბარია ქვევრზე, რუმბებსა და ტიკებზე.

[5] ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი კავკასიის მთავარმართებელი და მთავარსარდალი 1816-1827 წლებში. მის დროს ჩამოვიდა ლაიელი საქართველოში.

[6] კოცებუ მორიც (1789-1861), რუსული არმიის ოფიცერი, ვაჟი ავგუსტ კოცებუსი. 1817 წელს ახლდა ერმოლოვის ელჩობას სპარსეთში. იქიდან დაბრუნებული დარჩა საქართველოში 1836 წლამდე. მას ეკუთვნის გერმანულად შესრულებული წიგნი „მოგზაურობა სპარსეთში რუსულ საიმპერატორო ელჩობასთან ერთად 1817 წელს". ნაშრომი გადაუგზავნა მამას, რომელმაც გამოსცა ვაიმარში 1819 წელს. არსებობს წიგნის ინგლისური, ფრანგული, ჰოლანდიური, დანიური, პოლონური, შვედური თარგმანები. მასში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი თბილისს.

[7] საინტერესოა, რომ, თუ არ ვცდებით, ლაიელთან პირველად უნდა გვხვდებოდეს ქართველების მიერ ბილიარდის თამაში და ისიც აბანოში.

[8] ფრეიგანგი ფონ, ფრედერიკა (1790-1863) ახლდა ქმარს, რუს დიპლომატს, ვილჰელმ ფონ ფრეიგანგს თბილისში 1811-1812 წლებში, სანამ ეს უკანასკნელი გაგზავნეს თავრიზში. ფრედერიკა ფონ ფრეიგანგს ეკუთვნის ფრანგულად შედგენილი „წერილები კავკასიასა და საქართველოზე". ის ითარგმნა გერმანულად 1817 წელს, ჰოლანდიურად, დანიურად, შვედურად 1818 წელს, ინგლისურად 1823 წელს. თბილისში ფრეიგანგები არიან მარკიზ პაულუჩის (1811-12) და გენერალ რტიშჩევის (1812-16) მმართველობისას.

[9] რობერტ კერ პორტერი (1775-1842) ინგლისელი მხატვარი და მოგზაური. 1804 წელს მიიწვიეს რუსეთში და გახდა ალექსანდრე I-ის კარის მხატვარი. 1811 წელს შეირთო თავადის ქალი მარია შჩერბატოვა. 1817 წელს იმოგზაურა კავკასიაში, ირანსა და მცირე აზიაში. თბილისში იყო ოქტომბერ-ნოემბერში. ეკუთვნის წიგნი – „მოგზაურობა საქართველოში, სპარსეთში, სომხეთში, ძველ ბაბილონში 1817, 1818, 1819 და 1820 წლებში" (I-II, 1821-1822, ლონდონი). არის მისი გერმანული თარგმანი.

Gia Gelashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Senior-scientist researcher of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,

English Traveller Robert Lyall about Tbilisi.

Summary

Every traveller who comes to Georgia, describes Tbilisi. It's of great importance while we can see the changes that took place in the life of the town by that time. It gives us an opportunity to watch the evolution of Tbilisi.

One of these persons is Robert Lyall (1789-1831), botanist, physician and traveller. In 1822 he travelled to the southern Russian provinces. The outcome of his journey was 2 volumed work "Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia"(London, 1825).

We translated suitable material from Lyall's work. In this article one can find valuable information about the conditions of Tbilisi, its economic state. Lyall describes everything he saw himself: parts of Tbilisi, its streets, crown- and native houses, Bazaars, merchandise, Caravanserais, old fortress, baths etc.

Lyall speaks also about General Yermolof's design to make Tbilisi a completely European town.

ვაჟა კიკნაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

საქართველო-რუსეთის XV-XVII სს. ურთიერთობები XIX ს. რუსულ ისტორიოგრაფიაში

მოსკოვის რუსეთსა და საქართველოს შორის კავშირურთიერთობები შეიძლება ითქვას XV ს-დან იღებს სათავეს. მანამდე საქართველოსა და რუსეთის ცალკეულ სამთავროთა ურთიერთობები სპორადულ და ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა.

პირველი რუსი ისტორიკოსი, ვინც რუსეთის არქივებში დაცული მასალების საფუძველზე დაიწყო ამ საკითხის კვლევა, განთქმული ისტორიკოსი **ნიკოლოზ კარამზინი** (1766-1826) იყო. მისი მრავალტომეული ნაშრომის – „ისტორია რუსეთის სახელმწიფოსი" («История государства Российского») ბეჭდვა 1803 წელს დაიწყო და 1826 წლამდე გაგრძელდა (შემდეგში ეს ნაშრომი მრავალჯერ გამოიცა). ავტორი უამრავ წყაროს გაეცნო ორიგინალში და პირველად გამოამზეურა რუსეთისა და კახეთის სამეფოს (ნაწილობრივ, ქართლის სამეფოს) ურთიერთობათა შემცველი დოკუმენტები. ეს დოკუმენტები, ძირითადად, ყოფილ „საელჩო პრიკაზის" (საგარეო საქმეთა სამინისტროს) ფონდებშია დაცული. კახეთ-რუსეთის ურთიერთობის ერთ-ერთ პირველ ხსენებას, კარამზინის აღნიშნული შრომის მე-6 ტომში ვხვდებით. ამ ტომის მე-5 თავში, რუსი ისტორიკოსი წერდა: „ივერიის თავადის (მთავრის) ალექსანდრეს ელჩები ჩავიდნენ იოანესთან (იგულისხმება ივანე III (1462-1505) – ვ. კ.) და ითხოვდნენ მის მფარველობას. სახელოვან ჩემს დიდ წინაპარს (ეს კარამზინის გამოთქმაა, გულისხმობს ივანე III-ს – ვ. კ.) ნამდვილად სურდა სპარსეთსა და მეზობელ ქვეყნებში დამცრობილ ერთმორწმუნეთა დამცველი ყოფილიყო. ისინი (დამცრობილი ქრისტიანები – ვ. კ.), საბერძნეთის (ბიზანტიის – ვ. კ.) დაცემის გამო, ბარბაროსთა უღლის ქვეშ აღმოჩენილნი [უიმედოდ] მოსთქვამდნენ. უბირობაში დახავსებულნი («закоснев в невежестве») [ისინი] ქრისტიანობის აღორძინებისათვის, ჩვენი სასულიერო წოდების

რჩევებს საჭიროებდნენ. ალექსანდრე (კახეთის მეფე ალექსანდრე I – ვ. კ.) მორჩილად უწოდებს თავის თავს იოანეს „ხოლოპს“ (ყმას), თვით იოანეს კი უწოდებს დიდ მეფეს, ლაჟვარდოვანი ცის ნათელს, ქრისტიანთა იმედს, უპოვართა შემწეს, რჯულის მაგალითს, ყოველი მბრძანებლის უცილობელ გამგებელს, დედამიწის სიმშვიდეს და წმ. ნიკოლოზის თავდადებულ მიმდევარს“ (1492). ამ ტექსტს ნ. კარამზინმა სპეციალური დამატებები და განმარტებები დაურთო, სადაც მოიტანა ალექსანდრე I კახეთის მეფის წერილის ტექსტი [1]. ნ. კარამზინის შრომის ამ მცირე ფრაგმენტიდანაც კარგად ჩანს, რომ რუსეთის კარის ისტორიკოსი ყველაფერს რუსული იმპერიის ამბიციური პოზიციებიდან მოიაზრებს. მისი თხრობის მანერა საქართველოს მიმართ უაღრესად დამამცირებელია. რად ღირს თუნდაც მისი ის გამოთქმა, რომ ქართველები რუსების გამოჩენამდე „უბირობაში დახავსებულნი“ იყვნენ! მართალია, ალექსანდრე I კახთა მეფის სიგელის მოხმობილი ნაწყვეტი გარკვეულწილად, მართლაც იძლევა ასეთი მიდგომის საფუძველს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული წერილი მხოლოდ XVI ს. პირის სახით და ისიც მხოლოდ რუსულადაა მოღწეული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ, ჩვენი აზრით, ქართულ დედანს გარკვეული ცვლილებები უნდა განეცადა [2]. წარმოუდგენლად მიგვაჩნია თავის პირველივე მიმართვაში კახთა მეფეს ასე დაემცირებინა თავი და საკუთარი პერსონისათვის უცნობი ჩრდილოელი მეფის „უმცირესი ყმა“ («нижайший холоп») ეწოდებინა. ამის გარდა, ამ სიგელში არსადაა საუბარი ან რუსთა მეფის მფარველობის შესახებ, ან კიდევ რწმენის გასაძლიერებლად სამღვდელოების გამოგზავნის შესახებ. ეს მომენტები, ალექსანდრე II (1574-1605) კახთა მეფის სიგელებში გვხვდება, მაგრამ არა ასეთ დამამცირებელ კონტექსტში. ასე რომ, აშკარაა ორი ალექსანდრეს შეგნებული თუ უნებლიე აღრევა.

მოვიტანთ ნ. კარამზინის შრომის სხვა ადგილებსაც. ალექსანდრე II კახთა მეფის ელჩობის შესახებ, თევდორე ივანეს ძის კარზე (1586 წ.), რუსი ისტორიკოსი წერდა, რომ ალექსანდრემ „მთავარმა თუ მეფემ“, ასეთი წერილით მიმართა რუსეთის ხელმწიფეს: „ქრისტიანობისათვის საშინელი დრო დადგა... ჩვენ, რუსთა ერთმორწმუნე ძმანი, ვიტანჯებით ბოროტ რჯულთაგან. მხოლოდ შენ, მართლმადიდებელ გვირგვინოსანს შეგიძლია დაიხსნა ჩვენი სიცოცხლე და სული. თავს გიხრი მიწამდე მთელს ჩემს ხალხთან ერთად: დაე, შენი ვიყოთ უკუნითი-უკუნისამდე! ასე მტკი-

ცედ და საწყლად სთავაზობდნენ რუსეთს ახალ სამეფოს, რომელიც აუღებელი იყო ძველ სპარსელთა (თუ) მაკედონელთა მიერ, პომპეუსისთვის კი ბრწყინვალე ნადავლს წარმოადგენდა! მან (რუსეთმა – ვ. კ.) მიიღო ეს ძღვენი, ძღვენი ფრიად საშიში". შემდეგ ბნი კარამზინი განმარტავს რატომ იყო რუსეთისათვის ეს ძღვენი ასე საშიში. თურმე, ამ ნაბიჯით (კახეთის მფარველობაში მიღებით), რუსეთის სახელმწიფო ორ ძლიერ მტერს შორის აღმოჩნდა (იგულისხმება სპარსეთი და ოსმალეთი). მაგრამ, რუსი ისტორიკოსი, განაგრძობს, რომ საქმე ეხებოდა რუსეთის სახელს და დიდებას და ამ საქმეში უკან დახევა არ შეიძლებოდა. ნ. კარამზინი მოკლედ აჯამებს ალექსანდრე II-სა და თევდორე ივანეს ძის ურთიერთობებს. მისი აზრით, არასწორი იყო ალექსანდრეს მიერ შეთავაზებული გეგმა: რუსეთის მეფეს დაეარსებინა სიმაგრე თერგზე, 20.000 მეომარი გაეგზავნა მეამბოხე „შავკალის" (შამხალის) წინააღმდეგ, აეღო მისი დედაქალაქი ტარკი (თარღუ) და გაეხსნა გზა კახეთისაკენ. თევდორე მეფე, თურმე უფრო ბრძნულად მოიქცა. მან ივერიასთან დასაკავშირებლად აირჩია მშვიდობიანი ავარიის მთავრის სამფლობელო. ამ გზით გაიგზავნენ მოსკოვის დესპანები და თავადი ს. ზვენიგორსკი რუსეთის მეფის წყალობის სიგელით. „ალექსანდრემ, სამ შვილთან: ერეკლესთან, დავითთან და გიორგისთან და მთელ თავის სამფლობელოსთან ერთად, ჯვარზე დაიფიცა თევდორეს და მისი შთამომავლების მუდმივი ქვეშევრდომი ყოფილიყო; რუსეთთან ერთად ერთი მტერი და ერთი მოყვარე ჰყოლოდა და რუსეთის მეფისთვის ემსახურა თავდადებით, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე". ამასთანავე, ალექსანდრე ვალდებულებას კისრულობდა რუსეთში ყოველწლიურად გაეგზავნა 50 სპარსული ოქროქსოვილი (აბრეშუმის ქსოვილი) და 10 ოქრო-ვერცხლის ძაფით ნაქსოვი სპარსულივე ხალიჩა, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებდა, მაშინ უნდა გაეგზავნა იგივე ფასის ადგილობრივი, ქართული ნაწარმი. ყოველივე ამის სანაცვლოდ, თევდორე ივანეს ძე კახეთის მცხოვრებლებს ჰპირდებოდა „მისი თვითმპყრობელური დაცვის ქვეშ უშიშრად ყოფნას" [3]. სინამდვილეში, ეს იყო ლიტონი, ცარიელი სიტყვები. იმ დროს, როდესაც კახეთსა და მოსკოვის რუსეთს შორის არ არსებობდა პირდაპირი და დაცული დამაკავშირებელი გზები, ასეთი განცხადება მხოლოდ კახეთის მტრებს გააღიზიანებდა, სხვა, რეალური შედეგი მას არ შეიძლებოდა ჰქონოდა. შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ეს მართლაც ასე იყო.

მივყვეთ ნ. კარამზინის თხრობას. რუსი ისტორიკოსი გადმოგვცემს ალექსანდრე II-ის უკმაყოფილებას რუსეთის მბრძანებლის მიმართ (ამ დროს რუსეთს უკვე ბორის გოდუნოვი განაგებდა (1598-1605). ალექსანდრე ჩიოდა, რომ მის ქვეყანას ძველებურად „ურჯულოები" ავიწროებდნენ და „თეთრი მეფის" (რუსეთის) დახმარება კი არსად ჩანდა. თავის მხრივ, ბორის გოდუნოვი, ელჩების პირით, ალექსანდრეს საყვედურობდა, რომ ჩრდილო კავკასიაში რუსი სარდლის, ხვოროსტინინის ლაშქრობის დროს, ალექსანდრე მას სამხედრო შენაერთებით არ დაეხმარა. გოდუნოვი აგრეთვე წერდა, რომ თავისი ელჩები ნაშჩოკინი და ლეონტიევი გააგზავნა (1601) კახეთში, ადგილზე ვითარების გასაცნობად და რომ მათი ინფორმაციით, ამ დროს კახეთში დრამატული ამბები მოხდა. კერძოდ, ალექსანდრეს ავადმყოფობის გამო, ტახტი მისმა ვაჟმა დავითმა მიიტაცა, მას შემდეგ კი, რაც მამა გამოჯანმრთელდა, დავითმა ტახტის დათმობა არ ისურვა. ამის შემდეგ, ნ. კარამზინი, სიტყვასიტყვით შემდეგს წერს: „[ამ ამბის შემდეგ] უბედური მამა (ე. ი. ალექსანდრე II – ვ. კ.) ჩაუცმელი და ფეხშიშველი შევარდა ეკლესიაში. იგი ტირილისგან სულს ძლივს ითქვამდა. მან საჯაროდ ანათემას გადასცა თავისი შვილი და დასწყევლა ის". როგორც ვხედავთ, რუსი სამეფო კარის ისტორიკოსი რეალურად არსებულ მოვლენებს, კიდევ უფრო ამძაფრებს. იგი ცდილობს, რაც შეიძლება დაამციროს ქართული მხარე და რუსეთის პოლიტიკის ყველა წარუმატებლობა მასვე გადააბრალოს. საყურადღებოა, რომ ასეთ პოზიციას აფიქსირებდნენ არა მხოლოდ XV-XVI სს. რუსეთის მეფე-მთავრები, არამედ XVIII-XIX სს. რუსი ისტორიკოსები (და არა მარტო ისინი). შემდეგ ნ. კარამზინი სიამაყით გადმოგვცემს ბორის გოდუნოვის რეაქციას ალექსანდრეს საყვედურზე, იმ ხარკთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთის მეფეებმა კახეთს შეაწერეს. ბორის გოდუნოვს ამაზე უთქვამს: „როგორ დავხარბდები მე **ლატაკთა** (ხაზი ჩვენია – ვ. კ.). საჩუქრებს, როდესაც იმდენი განძი მაქვს, რომ შემიძლია ივერია მთლიანად ავავსო ოქრო-ვერცხლით"-ო. რუსი ელჩების რელაციაში, მართლაც ვხვდებით ასეთ პასაჟს, მაგრამ XIX ს. ისტორიკოსი კიდევ უფრო ამძაფრებს სიტუაციას და უკიდურესად ამცირებს კახთა მეფესაც და მთლიანად საქართველოსაც. შემდეგ, კარამზინი აღწერს მ. ტატიშჩევის ელჩობას კახეთში და აღნიშნავს იმ საიდუმლო მისიასაც რაც მას ჰქონდა დაკისრებული: ელჩს გოდუნოვის ქალ-ვაჟისთვის ნეფე-პატარძალი უნდა შეერჩია ქართლ-კახეთის სამეფო კარზე. ისმის კითხვა, თუ

ასეთი ღატაკი და უმნიშვნელო იყო იმდროინდელი ქართლ-კახეთი, რატომ დაიმდაბლა ასე თავი გოდუნოვმა, რომ კახეთის სამეფო კარზე ნეფე-პატარძლის ძებნა დაიწყო? კარამზინი დამამცირებელი შტრიხებით გადმოგვცემს ალექსანდრე II-ის ვაჟის გიორგის („იურის“) შეხვედრას ელჩ მ. ტატიშჩევთან. იგი წერს, რომ რუსი ელჩი გიორგიმ „მიიღო არა მარტო სიტკბოებით“ არამედ მონური მორჩილებით («раболепно»)... ის (უფლისწული) ტიროდა საკუთარი მამულის ბედზე და [ელჩს ეუბნებოდა] ჩვენ თავი ჩვენი რუსეთს გადავეცით. დაე, რუსეთმა მიგვიღოს არა სიტყვით, არამედ საქმით... ჩვენ გეძახით: „მოდით და გვიხსენით!“ ამას შემდეგ კარამზინი გადმოგვცემს გიორგის რეალური თხოვნის შინაარსს. მას ტატიშჩევისთვის უთქვამს, რომ მოსალოდნელი იყო თურქების თავდასხმა ზეგამზე (ძეგამზე) და გიორგის ელჩისთვის უთხოვია მის განკარგულებაში მყოფი სტრელცები მიეშველებინა. ამით, მოსკოვი სიტყვით კი არა, საქმით აჩვენებდა კახეთისათვის დახმარების აღმოჩენის სურვილს. ცნობილი არ არის, რამდენი „სტრელეცი“ ახლდა ტატიშჩევს, მაგრამ რადგან მათ ასმეთაური ედგათ სათავეში და როგორც შემდეგი თხრობიდან ჩანს, ელჩმა გიორგის უმცირესი რაოდენობა 40 კაცი გაატანა, სავარაუდოდ მათი რიცხვი 80-100 უნდა ყოფილიყო. ამ თხოვნის შესრულება ტატიშჩევს არ სურდა, რადგან რუსეთის მეფისგან უზენაესი ბრძანება არ ჰქონდა. საბოლოოდ, როგორც ითქვა, კახელი უფლისწულისათვის მას ორმოცი (!) მეთოფე გაუტანებია, ასმეთაურ სემკოვსკისთან ერთად. თვით გიორგის კი 5-6 ათასი კაცი ჰყოლია. კარამზინი, მართლაც, რუსული წყაროს ცნობას მისდევს [4, 416-417], მაგრამ არავითარ ეჭვს არ გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე ბრძოლის ბედი ამ 40 კაცმა გადაწვიტა! კარაზმინის პანეგირიკული თხრობის შესაბამისად, რუსი მეთოფეების დამნახავმა თურქებმა, თავქუდმოგლეჯილებმა მოკურცხლეს. „ამ, პირველმა ზათქმა ივერიის უდაბნოებში (? – ვ. კ.), განაცვიფრა მოწინააღმდეგე“ – წერს იგი. ალბათ, სრულიად უადგილოა აქ „ივერიის უდაბნოების“ ხსენება, ხოლო რაც შეეხება „ზათქს“ თურქებს ამ დროს ჯარიც უკეთესი ჰყავდათ („იანიჩარები“) და არც საუკეთესო ცეცხლსასროლი იარაღი იყო მათთვის უცხო. მართალია, ნ. კარამზინი და რუსული წყარო, არ უარყოფენ უფლისწულ გიორგის უაღრეს შემართებას, მაგრამ გადამწყვეტ როლს მაინც რუს მეთოფეებს ანიჭებენ! ნ. კარამზინი აღნიშნავს, რომ მეორე დღეს, ძეგამს კუმიყები დაესხნენ თავს, მაგრამ გიორგიმ ისინიც წარმატებით განდევნა. ამას მოსდევს ის-

ტორიკოსის ასეთი რეპლიკა: „გიორგიმ... ხალხს ნადავლი აჩვენა, რაც მათთვის უკვე დიდი ხანია უცხო იყო (? – ვ. კ.). [გამარჯვების] მთავარი პატივი კი, მან თავის თანმხლებ პირებს – ერთ მუჭა რუსებს მიაწერა და ადიდებდა მათ, ვითარცა გმირებს“.

გასაგებია გიორგი უფლისწულის ჩანაფიქრი – მას სურს ერთიორად მეტად წინ წამოსწიოს რუსთა დამსახურება, რათა შემდგომში მათგან უფრო რეალური დახმარება მიიღოს, მაგრამ თუ XVII ს. რუსულ წყაროზე არაფერს ვიტყვით, რამ „დააჩლუნგა“ ნ. კარამზინი?

შემდეგ მოთხრობილია (ტ. 11, თ. 11) ალექსანდრეს დაბრუნება შაჰ აბასისგან, გამაჰმადიანებულ უფლისწულ კონსტანტინესთან ერთად. კარამზინი ნიშნისმოგებით აღნიშნავს, რომ ჭკვიანი რუსი ელჩი ტატიშჩევი მიხვდა შაჰის განზრახვას და კახეთის მეფეს დაბეჯითებით ურჩევდა არ ნდობოდა თავის გამაჰმადიანებულ ვაჟს, მაგრამ, სამწუხაროდ, კახთა მეფემ რუს ელჩს არ დაუჯერა. საბოლოოდ მოხდა ის, რაც შაჰს ჩაფიქრებული ჰქონდა. გამაჰმადიანებულმა და გადაგვარებულმა უფლისწულმა კონსტანტინემ ძეგამში, მოულოდნელად მოჰკლა საკუთარი მამა და ძმა – უფლისწული გიორგი. ის, რასაც ნიკოლოზ კარამზინი შემდეგ წერს, სრულიად განსხვავდება და ამოვარდნილია მისი სხვა მსჯელობისაგან: „ის (შაჰ აბასი – ვ. კ.) გაერკვა ბორისის (გოდუნოვის – ვ. კ.) პოლიტიკის სისტემაში, მან დაინახა, რომ ჩვენ (ე. ი. რუსებს – ვ. კ.) გვიხარია, ის სისხლისღვრა, რაც მას (სპარსელებს) და სულთანს შორის ხდება, თვითონ ჩვენ კი, თავს ვარიდებთ ამას (ე. ი. სისხლისღვრას). (შაჰმა – ვ. კ.) უბრძანა უფლისწულს მოეკლა მამა თითქოსდა თურქების მომხრეობის, **სინამდვილეში კი რუსეთის ქვეშევრდომობის გამო; უტიფარი და უგუნური [საქციელი] უბედური ალექსანდრესათვის! იგი შორეული და არასანდო მფარველის ძიებაში, აღიზიანებდა ორ მახლობელ მჩაგვრელს“** (ხაზგასმა ჩვენია – ვ. კ.).

საოცარია რუსი ისტორიკოსისგან ასეთი აღიარება! კარამზინი, პირდაპირ, მოურიდებლად ამბობს იმას, რისი თქმაც დღემდე ვერ გაუბედავს ქართულ ისტორიოგრაფიას! მაგალითად, ავიღოთ მასობრივი ტირაჟით დასტამბული ნ. ასათიანის სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია“. შესაბამის ადგილას იქ ვკითხულობთ: „კახეთში ამ დროს (1605 წ. – ვ. კ.), ახალი ელჩობა იყო ჩამოსული მიხ. ტატიშჩევის მეთაურობით. ამ ელჩობამ, განაახლა რუსეთსა და კახეთს შორის დადებული ხელშეკრულება. ამავე დროს, რუსეთის

ჯარმა დაიწყო ბრძოლები შამხალის წინააღმდეგ და, პირობისამებრ, კახეთს ევალებოდა სამხედრო ძალა მიეშველებინა მისთვის. ამას კატეგორიულად წინ აღუდგა კონსტანტინე მირზა... ამ საკითხზე თათბირის დროს, 1605 წ. 12 მარტს ქ. ძეგამში, მეფის სასახლეში, კონსტანტინეს ბრძანებით, ყიზილბაშებმა ამოხოცეს მეფე ალექსანდრე, გიორგი ბატონიშვილი და მათთან თათბირზე მყოფი დარბაისლები“ [5, 281]. ეს არის და ეს! აქ მინიშნებაც კი არ არის იმაზე, რომ, სწორედ რუსეთის ვერაგულმა (ამას თითქმის პირდაპირ აღიარებს ნ. კარამზინი) პოლიტიკამ იმსხვერპლა ალექსანდრეც და გიორგი უფლისწულიც! ასეთივე სურათია თითქმის ყველა ქართველ ავტორთან. აქცენტი ყველგან გადატანილია იმაზე, რომ ალექსანდრესა და გიორგის მკვლელობის შედეგად რუსეთის პოლიტიკამ კავკასიაში მარცხი განიცადა [6, 250-251]. ქართველ და რუს ისტორიკოსთაგან მხოლოდ ივ. ჯავახიშვილი ამბობს გარკვევით თავის აზრს ამ ურთიერთობათა ნამდვილი არსის შესახებ. დაუმთავრებელ ნარკვევში რუსეთ-საქართველოს ამ პერიოდის კავშირ-ურთიერთობათა შესახებ, იგი წერდა: „[რუსეთის გეგმის მიხედვით] თვით კახთა მეფეს უნდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ისეთ სამხედრო საქმეში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის პოლიტიკურს, დამპყრობელობითს ზრახვებს და მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა; მთელს ამიერკავკასიას რუსეთს ჩაუგდებდა ხელში, თვით საქართველოს კი, ისედაც მუდმივ ბრძოლით მოქანცულს და დასუსტებულს ზედმეტ სისხლს დააღვრევინებდა. რას ემუდარებოდა ალექსანდრე მეფე და რა შესთავაზა მას რუსეთის მთავრობამ“ [7, 309-310].

სამწუხაროდ ამ საკითხთან მიმართებაში არც სხვა ცნობილი რუსი ისტორიკოსები გამოირჩეოდნენ ობიექტურობით. მაგალითად, ვლ. სოლოვიოვი (1820-1879) თითქმის არაფერს არსებითს არ ამბობს XV-XVII სს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. კარამზინის მსგავსად, ისიც უპატივცემულოდ და დამამცირებლად მოიხსენიებს კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს. ვლ. სოლოვიოვი წერს: „ალექსანდრე კახელმა («кахетинский») თავი აღიარა ბორისის მსახურად («слугою»), ამავდროულად კი, ძლიერ აბასთან სპარსეთის შაჰთან, ინარჩუნებდა კავშირებს და თავის ვაჟს, კონსტანტინეს ნება დართო მიეღო მაჰმადიანობა (?! – ვ. კ.), თუმცა ამანაც ვერ უშველა. აბასს სურდა კახეთი სრულ მორჩილებაში ჰყოლოდა და რჯულგამყიდველ კონსტანტინეს უბრძანა მოეკლა

მამა და ძმა, **მათი მოსკოვისადმი ერთგულების გამო** (ხაზი ჩვენია – ვ. კ.). დანაშაული აღსრულებულ იქნა“ [8, თ. XXIX, §2].

როგორც ვხედავთ, სოლოვიოვი სრულიად გაუმართლებლად კონსტანტინეს გამაჰმადიანებას ალექსანდრე II-ის თანხმობას უკავშირებს, რაც აბსურდია. ერთი რამ კი, ზევით ციტირებულ ტექსტშიც აშკარაა: ვ. სოლოვიოვიც აღიარებს იმას, რომ ალექსანდრეც და უფლისწული გიორგიც, მოსკოვისადმი ერთგულებას შეეწირნენ!

რაც შეეხება, განთქმულ რუს ისტორიკოსსა და წყაროთმცოდნეს ვასილი კლიუჩევსკის (1876-1911) მოსალოდნელი იყო, რომ ის მაინც ასცილდებოდა საქართველოს ისტორიის მიმართ არაობიექტურ მიდგომას. ვასილ კლიუჩევსკი ცნობილი იყო თავისი კრიტიკული დამოკიდებულებით წყაროებისადმი. მისთვის უცხო იყო აგრეთვე პანეგირიკული ტონი რუსული სახელმწიფოს მეთაურების მიმართ; მაგალითად, აი, რას წერდა იგი XIX-XX სს. რუსული ხელისუფლების შესახებ: „ის (რუსული ხელისუფლება – ვ. კ.) მიეჩვია, თავის ქვეშევრდომებში დაინახოს მხოლოდ თავისი ყმები («холопов») მონები («невольников») და ისინი გაწვრთნა ისე, რომ მას (ხელნაწერ ტექსტში, ხაზსზევიდან, ავტორის მიერ ჩაწერილია – „ხელისუფლებას“) უყურებენ მხოლოდ როგორც პლანტატორს; მაგრამ როდესაც მოხელეთაგან (ხელისუფლებამ) გაიგო, რომ მისი „თეთრი ზანგები“ აჯანყდნენ და მას (ხელისუფლებას) არ ძალუძს ჩამოახრჩოს ისინი, ის (ხელისუფლება – ვ. კ.) თავგანწირულად გამოიკეტა თავის მამულში. მან ასეთი რამ უთხრა თავის თავს: აბა, ვნახოთ, მთელი ამ დავიდარაბიდან რა გამოვაო“ [9, 339]. აი, ასე მკაცრად ახასიათებდა რუსულ მმართველობით სისტემას ვასილ კლიუჩევსკი, მაგრამ, როდესაც საქმე საქართველოს შეეხო, სამწუხაროდ, ის ჩვეულებრივ რუს ობივატელად იქცა. რუსეთის ისტორიის ვრცელ კურსში იგი მოკლედ ეხება გეორგიევსკის ტრაქტატის დადების წინაპირობებს და საოცრად აუბრალოებს ამ საკითხს. მისი სიტყვით, ჩრდილო კავკასიაში რუსეთის გამოჩენამდე და იქ დამკვიდრებამდე, ქართველები (რამდენიმე ქრისტიანული სამთავროს სახით): „უიმედოდ (უმიზნოდ) ცხოვრობდნენ. («прозабяли»), მაგრამ როგორც კი მათ რუსეთის სიახლოვე იგრძნეს, იმედი მიეცათ. სწორედ ამის გამო დაიდო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი“. ამის შემდეგ, ავტორის სიტყვით, ეკატერინე II „იძულებული გახდა“ («принуждена была») კავკასიის ქედს გაღმა გაეგზავნა რუსული პოლკი. ეკატერინეს მემკვიდრე პავლე ასევე,

იძულებული გახდა (?! – ვ. კ.), მხარი დაეჭირა ქართველებისთვის და საქართველოს მეფედ (ასეა ტექსტში, არა ქართლ-კახეთი, არამედ „საქართველო“) 1799 წელს ეცნო ერეკლეს მემკვიდრე – გიორგი XII. ამ გიორგიმ კი, სიკვდილის წინ, საქართველო, რუსეთის იმპერატორს უანდერძა. ამიტომაც, 1801 წ. ძალაუნებურად («волей-неволей») **რუსეთი იძულებული გახდა მიეღო ეს ანდერძი“** (ხაზი ჩვენია – ვ. კ.). ამის შემდეგ, რუსული სამხედრო ძალები, თბილისში ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მიტომ, საჭირო გახდა მუსულმანური ბლოკადის გარღვევა (ქართლ-კახეთის) დასავლეთით მდებარე იმერეთმა, სამეგრელომ და გურიამ, „რომლებიც რიონის დინების გასწვრივ მდებარეობდნენ“, მიბაძეს „საქართველოს“ და ერთმანეთის მიყოლებით სცნეს რუსეთის უზენაესობა... ამან კი რუსეთი მიიყვანა სპარსეთთან კონფლიქტამდე. ამის შემდეგ, ავტორის სიტყვით, რუსეთს დასჭირდა («пришлось») სპარსეთის უზენასეობისგან გამოეხსნა მასზე დამოკიდებული მრავალრიცხოვანი სახანოები: შემახის, ნუხის, შაქის, ერევნის, ნახჭევანის და ა. შ. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. საჭირო გახდა, რუსეთის ზურგის უზრუნველყოფა და მთიელი ტომების დამორჩილება. ეს კი, მძიმე პროცესი გამოდგა, რომელიც საბოლოოდ, 1864 წელს დამთავრდა. ამ საოცრად პრიმიტიულ და არაობიექტურ პასაჟს, მოსდევს ასეთი დასკვნა: „აი, ასეთ რთულ მოვლენათა მსვლელობა მოჰყვა გიორგი XII-ს ანდერძს. აწარმოებდა რა ამ ბრძოლას, რუსეთის მთავრობა სრულიად გულწრფელად და ხშირად აღნიშნავდა, რომ არ გრძნობდა არავითარ საჭიროებას და არავითარ სარგებელს («никакой пользы») [არ მოელოდა], თავისი სამხრეთ აღმოსავლეთი საზღვრების შემდეგი გაფართოებისგან“ [10, 178-179].

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს პრიმიტიულ-შოვინისტური ნაწერი, კრიტიკული აზროვნებით განთქმულ ისტორიკოსს ეკუთვნის. ისტორიკოსს, რომელმაც, სხვათა შორის, ბრწყინვალე დიაგნოზი დაუსვა რუსული სახელმწიფოსა და საზოგადოების მუდმივ, უნივერსალურ ავადმყოფობას. 1892 წელს, თავის უბის წიგნაკში ვ. კლიუჩევსკიმ ჩაწერა: **„ყმობის** («холопство») (სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ) ისტორიის სქემა რუსეთში: სამხედრო ან ეკონომიკური ძალადობა (აქ) იურიდიულ ინსტიტუტად იქცა, რომელიც, ხანგრძლივი პრაქტიკის გამო, ჩვევად ჩამოყალიბდა. ამიტომ, ამ ინსტიტუტის (ანუ სამხედრო-ეკონომიკური ძალადობის – ვ. კ.) გაუქმების შემდეგაც, (იგი) ზნეობაში დარჩა, როგორც ზნეობრივი ავადმყოფობა“ [11, 375].

ძნელია ახსნა ამ ისტორიკოსის მეტამორფოზა, როდესაც საქმე კავკასიას და საქართველოს ეხება.

ვ. კლიუჩევსკის მიხედვით, კავკასიის ომები, რუსეთს არაფერში სჭირდებოდა და ყველაფერი მას თავზე ძალით (შეიძლება ითქვას ძალადობითაც – ვ. კ.) მიტმასნილმა საქართველომ მოახვია. ეს უკანასკნელი კი, ნაწილ-ნაწილ „ეტმასნებოდა“ რუსეთს, 1801-დან 1810-მდე, ამ თარიღს განთქმული რუსი ისტორიკოსი ასახელებს, თორემ სინამდვილეში, ეს პროცესი კიდევ უფრო დიდხანს გრძელდებოდა.

ისტორიის ვრცელ კურსში ვ. კლიუჩევსკი საქართველოს სულ ორჯერ ახსენებს: ერთგან იმ პასაჟში, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ, მეორედ კი, ქუჩუქ-კაინარჯის ზავზე (1774) მსჯელობის დროს იგი ერთ მოკლე მაგრამ ტევად ფრაზას გვთავაზობს: „ააღორძინეს (იგულისხმება რუსებმა) მართლმადიდებელი საქართველო!“ [12, 47].

ასეთი დასკვნების შემდეგ, თავისთავად იგულისხმება, რომ თუ როდესმე, საქართველო რუსეთისგან „წასვლას“ მოინდომებდა, ეს უდიდესი დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა!

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (XV-XVII სს.) განხილული აქვს მარი ბროსესაც [13]. მისი შრომის რუსული თარგმანი, ავტორის მიუთითებლად, მთლიანად მოიტანა მ. სელეზნიოვმა [14, 132-192]. მ. ბროსე აღნიშნავს, რომ პირველი მეგობრული ურთიერთობა, რუსებსა და საქართველოს შორის 1174 წელს დამყარდა, როდესაც კიევის მთავარმა იზიასლავმა „ობეზებში“, ანუ საქართველოში შვილი გააგზავნა, რათა მისთვის ქართველთა მეფის ქალიშვილი ცოლად მოეყვანა [14, 132].

შემდეგ, მ. ბროსესთან საუბარია 1492 წლის კახეთის მეფის ელჩობაზე მოსკოვში (კარამზინის შრომაზე დაყრდნობით). ბროსემ აქ გაიმეორა კარამზინის ცნობები, ხოლო თავისი ასეთი ინტერპრეტაცია დაურთო: „კახეთის მეფის ელჩების თანმხლები „ხოზემარუმ შაქელი“ (шекенец) მან არასწორად გაშიფრა როგორც ჩეჩენი («чеченец») [14, 135]. ამის შემდეგ, მ. ბროსე მეტ-ნაკლები სიღრმით განიხილავს და აანალიზებს მოსკოვის რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ დიპლომატიურ ურთიერთობებს 1558 წლიდან 1680 წლამდე; 1558 წლის შესახებ ბროსეს აღნიშნული აქვს: „ასტრახანის მბრძანებელ ივანე IV ახალი ელჩობა ესტუმრა: იბერიის მთავრისაგან. ნიკონის (ხელნაწერის) მატიანე მას უნდოდა ჩვენი (ე. ი. რუსეთის – ვ. კ.) ქვეშევრდომი გამხდარიყო. თუმცა ეს

მთავარი, სახელობით მოხსენებული არ არის, მაგრამ მ. ბროსეს აზრით, იგი ლევანი, ალექსანდრე I-ის შვილიშვილი უნდა ყოფილიყო.

ალექსანდრე II კახთა მეფის შესახებ, მ. ბროსე აღნიშნავს, რომ ის „გადაჭრით დაემორჩილა რუსეთს“ და საბუთად მოაქვს ალექსანდრეს 1587 წ. 28 სექტემბრის წერილი თევდორე ივანეს ძესთან. ამ წერილის თანახმად, განაგრძობს მ. ბროსე, ალექსანდრე II-მ (1574-1605) დაიფიცა თევდორე ივანეს ძის ერთგულებაზე და ეს გააკეთა თავისი ვაჟების: ირაკლის, დავითის და გიორგის სახელითაც [14, 136]. სქოლიოში იგი უთითებს თავის შრომას ფრანგულ ენაზე, რომელიც ამ შეთანხმების დეტალებს შეიცავს [15, 291]. შემდეგ განხილულია რუსეთის პატრიარქ იობის 1589 წ. წერილი კახეთის მეფესთან. მ. ბროსე აღნიშნავს, რომ ეს წერილი ინახება ნოვგოროდის წმ. სოფიოს (ტაძრის) არქივში 742 ნომრით.

მ. ბროსე წერს, რომ 1594 წელს ალექსანდრე კახთა მეფემ მეორე ელჩობა გაუგზავნა თევდორე ივანეს ძეს და: „ევედრებოდა (მას) მიეღო საქართველო თავის ქვეშევრდომობაში (...). ამ დროიდან ივერიის მიწა რუსეთის კუთვნილება გახდა“ (? – ვ. კ.) (მ. სელეზნიოვი, დასახ. წიგნი, გვ. 137). სამწუხაროა, რომ ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი ასეთ კატეგორიულ დასკვნას უაპელაციოდ გვთავაზობს. მოსკოვის მიმართ კახეთის მეფეთა მიმართვები, ჩვენი ღრმა რწმენით, უკეთეს ანალიზს საჭიროებენ. ამ მიმართვებში კარგად ჩანს, რომ საქართველოს მეფეები მზად არიან თავისი მხრიდან მაქსიმუმი გააკეთონ (ზოგჯერ ზედმეტადაც დაიმცირონ თავი), რათა ძლიერი ქრისტიანული ქვეყნისგან რეალური დახმარება მიიღონ, მაგრამ სამწუხაროდ, მოსკოვიდან, მედიდური და ზოგადი დაპირებების მეტს, არაფერს იღებენ.

შემდეგ, მ. ბროსე ზოგადად განიხილავს თითქმის ყველა ელჩობას და მიწერ-მოწერას, რომელსაც XVII ს-ში ადგილი ჰქონდა მოსკოვსა და საქართველოს სხვადასხვა მეფე-მთავრებს შორის. კერძოდ:

1605 წლის – გიორგი ქართლის მეფის ელჩობას;

1619 წ. – ხარიტონის ელჩობას, რომელმაც თეიმურაზ I წერილის გარდა, მოსკოვში ჩაიტანა იმერეთის მეფის და გურიისა და სამეგრელოს მთავრების წერილები;

1637-38 წწ. – ნიკიფორე მიტროპოლიტის ელჩობას, რომელიც თეიმურაზ I გააგზავნა. ამავე წელს, გაიგზავნა ლევან II დადიანის

ელჩობა, რომელიც მოსკოვში 1638 წ. ჩავიდა. მასთან განხილულია აგრეთვე:

1639 წ. – თეიმურაზ I ახალი ელჩობა მოსკოვში;

1640 წ. – ნიკიფორე მიტროპოლიტის წერილი „მოსკოვის მბრძანებლისადმი“;

1641 წ. – მიშეცკისა და კლიუჩაროვის ელჩობა კახეთში;

1648 წ. – ალექსანდრე III (ბროსესთან ალექსანდრე II), იმერეთის მეფის ელჩობა მოსკოვში;

1648 წ. – პახომის ელჩობა, რომელიც თეიმურაზმა გააგზავნა რუსეთში;

1650 წ. – ტოლოჩანოვისა და იევლევის ელჩობა იმერეთში;

1652 წ. – რუსეთის მეფის წერილი თეიმურაზ I;

1655 წ. – ალექსანდრე იმერთა მეფის მიღება რუსეთის ქვეშევრდომობაში;

1656 წ. – თეიმურაზ I მორიგი ელჩობა მოსკოვში;

1657 წ. – ფშავ-ხევსურთა და თუშების წერილი და ფიცი რუსეთის მეფისადმი;

1658 წ. – იმერეთის მეფის ალექსანდრეს ელჩობა;

1658 წ. – აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მეორე წერილი ალექსი მიხეილის ძისადმი;

1658 წ. – თეიმურაზ I-ს გამოუგზავნეს რუსთა მეფის „რესკრიპტი“;

1669 წ. – იმერეთის მეფის – ბაგრატ IV ელჩობა რუსეთში;

1670 წ. – ბაგრატ IV ახალი ელჩობა მოსკოვში;

1674 წ. – მოსკოვში ჩადის უფლისწული „ნიკოლოზ დავითის ძე“ (ერეკლე) და მას აუდიენციას უმართავს ალექსი მიხეილის ძე;

1676 წ. – ნიკოლოზ უფლისწული (ერეკლე) რუსეთის მეფეს წერილს უგზავნის ყაზვინიდან;

1677 წ. – იმერეთის მეფის ბაგრატ IV წერილი რუსეთის მეფეს;

1678 წ. – უფლისწული ნიკოლოზი (ერეკლე) ისპაჰანიდან იწერება და გამოთქვამს მწუხარებას ალექსი მიხეილის ძის გარდაცვალების გამო;

1680 წ. – ელენე, ნიკოლოზის (ერეკლეს) დედა, წერილს აგზავნის მოსკოვში.

მ. ბროსეს სიტყვით, 188 წლის მანძილზე რუსეთ-საქართველოს (უფრო სწორად, სხვადასხვა ქართულ სამეფო-სამთავროს შორის), 43 ელჩობა შედგა [13; 14, 191-192].

მ. ბროსემ გამოსცა აგრეთვე მნიშვნელოვანი დოკუმენტების კრებული. ეს არის ქართველ მეფეთა წერილები, უცხოურ ენებზე, მიმართული რუსეთის მეფეებისადმი [16]. აქ დაბეჭდილია მრავალი უაღრესად საინტერესო წერილი; ზოგჯერ, ბერძნულ და რუსულ ენებზე პარალელურად. ერთ-ერთ ასეთ წერილს წარმოადგენს თეიმურაზ I 1639 წ. ძალიან ვრცელი წერილი, ბერძნულ ენაზე, რომელიც, როგორც ჩანს, რუსეთში უთარგმნიათ და ბროსე აქვეყნებს მის ბილინგვურ, პარალელურ ტექსტს [16, 15-31]. წერილში, ბევრ საყურადღებო საკითხზეა საუბარი, მაგრამ მთავარი მაინც სამხედრო დახმარების თხოვნაა. მოვიტანთ წერილის ამ ნაწილს: „ჩვენი პირველი დიდი თხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ შენ დიდო ხელმწიფევ, თუ გსურს აღმომიჩინო მე, მეფე თეიმურაზს, ასევე მთელს ივერიის მიწას და ქრისტიანულ სარწმუნოებას, საჭირო დახმარება [კარგი იქნება თუ], გამოგზავნიდი ერთ ვინმე დიდ თავადს, ჯართან ერთად, რათა ის, მოგვეხმაროს ურჯულო ლეკთა (ბერძნულ ტექსტში „**μιαρους λεκος**“) წინააღმდეგ. ისე რომ, ერთი მხრიდან შენი მეფური უდიდებულესობა, მეორე მხრიდან კი მე, გავანადგურებდით და დავიმორჩილებდით მათ..., რადგან, ამ ლეკებმა, გააჩანაგეს ჯერ ჩვენი ქვეყანა კახეთი და, ამას გარდა, აიკლეს ქრისტიანული წმინდა ეკლესიები და თვით შაჰზე და სხვა მტერთა უარესად გაძარცვეს ისინი. ამიტომ მე, გევედრები და გთხოვ შენ, დიდო ხელმწიფევ, მიიღო განსაკუთრებული ზომები რათა ლეკთა წინააღმდეგ დახმარება აღმოგვიჩინო ჩვენ და ააშენო სიმაგრე იქ, სადაც ის ადრე იყო აგებული, მეფე ალექსანდრეს დროს (იგულისხმება კახთა მეფე ალექსანდრე II – ვ. კ.). ხოლო თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ აიგოს აქ, ახლოს, ჩვენს მთებში, სადაც ჩვენ გვეგულება კარგი გამაგრებული ადგილი. დაე, ეს სიმაგრე, ჩვენგან ისეთივე მანძილით იყოს დაშორებული, როგორც თარღუ («Терки»), შორავს ჩერქეზეთს. და დასხი [მაგ] ქალაქში ხალხი [მისი] დაცვისათვის. მაშინ ლეკებიც დამშვიდდებიან და ჩვენც, თურქთა ან სპარსთა, ან სხვა მტერთა მხრიდან. ძლიერი საშიშროების შემთხვევაში, თავშესაფარს (მაგ თქვენი) უდიდებულესობის სიმაგრეში ვპოვებთ“ [16, 20-21] 1. წერილის ეს ფრაგმენტი ბოლო დროს გამოაქვეყნა ე. მამისთვალიშვილმაც. იხ. მისი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XI-XVI სს.), ტ. II, თბილისი, 2011, გვ. 373-374. (თარგმანი ჩვენ გვეკუთვნის – ვ. კ.). როგორც ვხედავთ, თეიმურაზი სრულიად კონკრეტულ შეთავაზებს აკეთებს; იგი სთხოვს მოსკოვის მბრძანებელს (მიხეილ თევდორეს ძეს

– 16013-1645 წწ.) თუ ჯარს ვერ გამოაგზავნის ლეკების წინააღმდეგ, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სამხედრო ბაზა, დააარსოს კახეთ-დაღესტნის საზღვარზე და იქ მუდმივად ჰყავდეს სამხედრო კონტინგენტი. სამწუხაროდ, ქართველი მეფის არც ამ და არც სხვა თხოვნებს არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

რაც შეეხება მ. ბროსეს, იგი ზემოთ მოტანილ და სხვა ათეულ დოკუმენტს, ყოველგვარი კომენტარის და შენიშვნის გარეშე აქვეყნებს. სანაცვლოდ, პუბლიკაციას წინ უძღვის რუსეთში მოღვაწე ფრანგული წარმოშობის არქივარიუსის **ფრანცისკე პლოენის** ვრცელი ისტორიული მიმოხილვა [16, I–XCI; I-LXXIV]. მასში საკმაოდ ფართოდაა განხილული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები XVI-XVII სს-ში.

წერილის შესავალ ნაწილში, ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია კახთა მეფე ალექსანდრე II ურთიერთობაზე მოსკოვთან დაწყებული 1586 წლიდან – ვიდრე მის სიკვდილამდე. ფ. პლოენი აქაც და შემდეგშიც, დოკუმენტების ციტირებას კი არ ახდენს, არამედ ძირითადად გადმოსცემს მათ შინაარსს**ნ** საკუთარი სიტყვებით; ასეთი მიდგომა, ცხადია, აკნინებს მისი ვრცელი შრომის ღირებულებას. ამასთან, ის არ ახდენს დოკუმენტებში მოცემული არასწორი ტერმინების თუ რეალიების ახსნას. მაგალითად, იგი რუსული წყაროს შესაბამისად, ალექსანდრე II-ის „მეფეს“ კი არ უწოდებს არამედ „მთავარს“, თავადს («князь»). ამასთანავე დამახინჯებულად გადმოსცემს ქართველ მეფეთა სახელებსაც. მაგალითად, ალექსანდრე II-ს მამას „ლევანის“ ან „ლეონის“ ნაცვლად იგი „ლევს“ («Лев») უწოდებს. ასევე იგი არსად აზუსტებს, რომ «Шевкал» არის «Шамхал»-ის დამახინჯებული ფორმა [16, V-VI]; ასევე, პლოენი არ განმარტავს რას ნიშნავს: «Земля миритинская, грузинская» (ანუ ამ შემთხვევაში საქართველოს რომელი ნაწილი იგულისხმება) და რა არის «Мамурчанская земля» [16, VII]; არ არის განმარტებული, რომ რუსი ელჩები «крым»-ს – „გრემს“ უწოდებენ [16, IX]. ან რას გულისხმობენ რუსი ელჩები, როდესაც „სონის“ ერისთავზე საუბრობენ (საკუთრივ სვანეთის გარდა, ამ ეთნოტოპონიმში, ისინი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსაც მოიაზრებდნენ) და ა. შ.

არსად არ ჩანს ავტორის პოზიციაც, რამდენად თანასწორუფლებიანი იყო ეს ურთიერთობები და სამართლიანი იყო თუ არა

ქართველი მეფეების საყვედური იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ხელისუფალნი რეალურად არაფერს აკეთებდნენ მათ დასახმარებლად. ფრ. პლოენი მხოლოდ საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ალექსანდრე II-ის უკმაყოფილებას, ბორის გოდუნოვის მიმართ და ამ საყვედურის სიტყვებს მოიხსენიებს, როგორც «весьма непристойные» [16, XX]. ჩვენი აზრით, ამ კონტექსტში «непристойные» მისაღები არ არის, რადგან მას სულ სხვა დატვირთვა აქვს, ვიდრე უკმაყოფილების გამოხატვა (დღევანდელ რუსულში «непристойный» ნიშნავს „უხამსს“, „უწმაწურს“). იქვე პლოენს მოაქვს გოდუნოვის პასუხი. რუსეთის მეფე, იქით ადანაშაულებს ალექსანდრეს რუსეთის მიერ წამოყენებული პირობების შეუსრულებლობაში. ამავე დროს, პლოენს უკომენტაროდ მოაქვს ბორის გოდუნოვის ქედმაღლური გამონათქვამი ალექსანდრე კახთა მეფის საყვედურთან დაკავშირებით. კერძოდ ალექსანდრეს უთქვამს, რომ მისთვის მიუღებელი იყო რუსეთის მხრიდან კახეთისთვის ყოველწლიური „მოსაკითხის“ თუ ხარკის დაწესება (50 სპარსული ოქრო-ნემსური ქსოვილი და 50 სპარსული ხალიჩა). ამაზე, როგორც ადრე აღნიშნული გვქონდა, გოდუნოვს უბრძანებია, რომ: „მას (რუსეთის მბრძანებელს) იმდენი ოქრო აქვს, რომ შეუძლია, (ივერიის მიწა თავიდან ბოლომდე) ოქრო-ვერცხლით აავსოს“. აი, ამ სტილშია მოთხრობილი რუსულ-ქართული ურთიერთობების მთელი ისტორია.

ყურადღებას გავამახვილებთ ფ. პლოენის მიერ მოტანილ ერთ საკითხზეც, კერძოდ, არჩილის წერილზე რუსეთის იმპერატორისადმი (პეტრე I) არჩილი ითხოვდა მოსკოვიდან გამოეგზავნათ მისი ვაჟი ალექსანდრე (1696 წ.). მართლაც, თავდაპირველად, იმპერატორს ბრძანება გაუცია მოემზადებინათ ალექსანდრე თარღუში მამასთან გასამგზავრებლად, მაგრამ შემდეგ, გადაუფიქრებია მისი გაშვება და ალექსანდრე არჩილის ძე ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში გაუგზავნია „სწავლის გასაგრძელებლად“. არჩილთან შესახვედრად კი ბოიარინი, თავადი ბორის გოლიცინი და „სტოლნიკი“ ივანე ლეონტიევი გაუმწესებია [16, LXXV].

უნდა ითქვას, რომ თავის დროზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესანიშნავმა მკვლევარმა მიხეილ პოლიევექტოვმა, უარყოფითად შეაფასა ფრ. პლოენის ზემოთ მოტანილი შრომა. თავის მნიშვნელოვან გამოკვლევაში: „მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისათვის“, შენიშვნაში, იგი წერდა: „ფრ. პლოენის შრომა, ამ სახის ერთ-ერთი წარუმატებელი ცდაა. ცალ-

კეული დოკუმენტების შინაარსი აქ მოტანილია ერთმანეთთან ყოველგვარი შინაგანი კავშირის გათვალისწინების გარეშე, ზოგჯერ კი, არსებითი დამახინჯებებითაც კი, თავის კომენტარებში იგი იფარგლება ზოგადი, ბანალური მსჯელობებით, რომლებიც ძლიერაა შეზავებული დიდმპყრობელური სულით. ზოგიერთი, ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი კი, სრულიად არ არის მოხსენიებული" [17].

რევოლუციამდელი პერიოდის საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მკვლევართაგან, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **სერგეი ბელოკუროვის** (1862-1918 წწ.) მოღვაწეობა. იგი წლების მანძილზე იყო რუსეთის საგარეო ურთიერთობათა არქივის მცველი და კარგად შეისწავლა იქ დაცული მასალები. მის მთავარ შრომად უნდა ჩაითვალოს „რუსეთის ურთიერთობები საქართველოსთან", რომელიც მან 1889 წელს გამოაქვეყნა. ეს შრომა დღესაც მთავარი წყაროა XVI-XVII სს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესასწავლად. პუბლიკაციას წინ უძღვის თვით სერგეი ბელოკუროვის ვრცელი გამოკვლევა [18, I-CXXIX].

თავდაპირველად ბელოკუროვი მიმოიხილავს რუსული სამთავროების კავშირს კავკასიის სხვადასხვა რეგიონებთან (IX-XV სს.). მეტ-ნაკლები სიზუსტით იგი განიხილავს ყველა ცნობას, ფაქტს, რაც კავკასიას და საქართველოს უკავშირდება (მაგალითად, იგი ეხება იზიასლავ მსტისლავის ძის მიერ 1154 წელს ცოლის მოყვანას „ობეზთაგან" (ანუ საქართველოდან) [18, V]. ბელოკუროვი ასევე ადგენს იმ გზებს, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა შუა საუკუნეების მოცემულ პერიოდში (IX-XIV სს.) რუსების დაკავშირება კავკასიასთან. გარდა საკუთრივ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიასთან არსებული სპორადლური კავშირებისა, იგი მიუთითებს ყირიმის ნახევარკუნძულზე არსებულ ტმუტარაკანის სამთავროს როლზე ამ კავშირების განხორციელებაზე, და ასევე, ათონის მთის რუსულ და ქართულ სამონსტრო ცენტრებზე (კერძოდ „ივირონსა" და „პანტელეიმონის" მონასტრებზე) [18, VIII-IX].

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ავტორი კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის ელჩობას მოსკოვში. ამ ელჩობის ამსახველი დოკუმენტი, როგორც ბელოკუროვმა გამოიკვლია, დაცულია არა საგარეო ურთიერთობათა არქივში („პრიკაზში"), არამედ საპატრიარქო (სინოდალური) ბიბლიოთეკის ფონდებში, XVI ს-ში გადაწერილი პირის სახით. მას მოაქვს ეს უნიკალური დოკუმენტი და ყოველმხრივ აანალიზებს მას. პირველ რიგში კი, მის ინტერესის სფე-

როშია, ამ დოკუმენტის თარიღი – „91“. იგი ვრცლად მსჯელობს იმაზე, თუ რას ნიშნავს ეს ციფრები: ისინი ქრისტეს წელთაღრიცხვით 1491 წლის ბოლო ციფრებს წარმოადგენენ, თუ „დასაბამითგან ქვეყნისა“ რუსული წელთაღრიცხვის – 7091-ის (ან 6091-ის) ბოლო ციფრებს [18, XVIII-XIX].

საბოლოოდ, იმ საბაბით, რომ საბუთში წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალში მოტანილი წელთაღრიცხვის სისტემა, ის კი, მისი აზრით, არ იქნებოდა რუსული „დასაბამითგან“ (ანუ ქვეყნის გაჩენიდან 7091 ან 6091), ავტორი იქითკენ იხრება, რომ დოკუმენტი უნდა დათარიღდეს ქრისტეს წელთაღრიცხვით, რაც მიღებული იყო საქართველოში. მგვარად, ს. ბელოკუროვი საბუთს 1491 წლით ათარიღებს [18, XVIII-XXII]; იგი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ 1466 წ.; შირვან-შაჰმა ფარუხ-იასარმა თავისი ელჩი ასან-ბეგი გააგზავნა ივანე III-თან. ამით ბელოკუროვს იმის თქმა უნდა, რომ ალექსანდრე კახთა მეფე პირველი არ იყო, ვინც ამიერკავკასიიდან მოსკოვის დიდ მთავარს ელჩობა გაუგზავნა [18, XII]. ამავე დროს, ბელოკუროვი აღნიშნავს, რომ 1492 წელთან დაკავშირებით, რუსული ე. წ. ნიკონის მატიანეში აღნიშნულია, რომ „ივერიის ქვეყნიდან, თავადმა ალექსანდრემ ელჩი მურატი გამოაგზავნა“ [18, XIII]. იგი არ ფიქრობს, რომ ეს ცნობა იგივე ელჩს ეხება, თუმცა რაღაც კავშირს ამ ორ ელჩობას შორის აშკარად ხედავს. შემდეგ, იგი მოკლედ გადმოსცემს საქართველოს ისტორიას XII ს-დან XV ს-მდე. ამ თხრობაში, დაშვებულია გარკვეული უზუსტობანი, თუმცა საერთო სურათი სწორადაა გადმოცემული (უზუსტობაში ვგულისხმობთ მაგალითად იმას, რომ დავით სოსლანი, ბელოკუროვს, ლაშა გიორგის შვილად მიაჩნია, ანდა იმას, რომ მისი აზრით, კახეთის მეფე გიორგი, იგივე ლევან I-ია და ა. შ. [18, XIV, XVII]. ს. ბელოკუროვი ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ კახეთის მეფე უაღრესად იმცირებს თავს (უწოდებს რა საკუთარ თავს „უმცირეს ყმას“), მოსკოვის მთავარს კი საოცრად განადიდებს. მისი აზრით, კახეთის ხელისუფალი ასე იმიტომ იქცევა, რომ ძალიან სურს რაღაც დიდი მისია წარმატებით დაგვირგვინდეს [18, XXV]. ს. ბელოკუროვის აზრით, ეს მისია არ მდგომარეობს იმაში, რომ კახეთის მეფემ მფარველობა სთხოვოს მოსკოვის მთავარს. ეს მაშინ, მისივე სამართლიანი შენიშვნით, მოსკოვს არც შეეძლო განეხორციელებინა. ს. ბელოკუროვი უფრო იმ აზრისაა, რომ დანაწევრებული საქართველოს მეფეებს, და მათ შორის კახეთს, სურს გაიმაგროს თავისი მდგომარეობა და პირველობა მოიპოვოს ქართულ სა-

მეფოთა შორის. ს. ბელოკუროვი აღნიშნავს, რომ კახეთის სამეფოს განსაკუთრებით ქართლის სამეფოსთან ჰქონდა ქიშპობა, რადგან ეს უკანასკნელი, ტრადიციულად, პირველობას იჩემებდა [18, XXVI-XXVII]. აქვე ავტორი აზუსტებს, რომ თუ თურქეთის წინაშე, რუსეთის მთავარნი (ამ დროს რუსეთის მეთაურს „მეფე“ ოფიციალურად ჯერ კიდევ არ ეწოდება), კახეთს ვერანაირ შუამდგომლობას ვერ გაუწევდა, სპარსეთის შაჰთან, ეს შესაძლებელი იყო, რადგან მოსკოვი და ირანის კარი, ფორმალურად, ერთმანეთთან კარგ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ [18, XXVIII].

ს. ბელოკუროვი, სამართლიანად აღნიშნავს, რომ ყაზანის და ასტრახანის აღების შემდეგ (1552, 1556) ივანე IV-ს გზა გაეხსნა სამხრეთისკენ და კავკასიისკენ. სწორედ ამის შემდეგ განახლდა და გაცხოველდა ურთიერთობა კახეთის სამეფოსთანაც. ჩრდილო კავკასიაში მოსკოვის რუსეთის განმტკიცებას ხელი შეუწყო ივანე IV-ის მეორე ქორწინებამ. ყაბარდოს ჩერქეზი მთავრის თემურყვა („Темгрюк“) იდაროვის ქალიშვილ მარიან-ზე. იგი ძმასთან ერთად, მოსკოვში გაემგზავრა და იქ მოინათლა. მას „მარიამი“ ეწოდა, ძმას, სალთანს კი „მიხეილი“ [18, LIV-LVI). ბელოკუროვი დაწვრილებით აღწერს ივანე IV-ის ექსპანსიას ჩრდილო კავკასიაში და ჩერქეზ მთავარ თემურყვა-ს თავდადებას რუსებისადმი. ცნობილია, რომ 1572 წ., თემურყვა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება რუსეთის დაუძინებელ მტერს ყირიმის ხანს დეგლეთ-გირეის; ყირიმის ხანმა ყაბარდოს შემდეგ მოსკოვზე ილაშქრა და გადაწვა ის. ამ ბრძოლაში, თემურყვა მძიმედ დაიჭრა, მაგრამ გამოჯანმრთელებისთანავე რუსების სამსახურში ჩადგა [19, 144-145]. საინტერესოა, როგორ დაუფასა ივანე IV-მ თემურყვას და მის ოჯახს თავდადება რუსებისადმი. 1569 წ. მარიამი გარდაიცვალა და ივანე IV-მ მესამედ იქორწინა მართა სობაკინაზე. ეს უკანასკნელი, რამოდენიმე წელიწადში, კერძოდ, 1571 წ. მოულოდნელად გარდაიცვალა. ივანე IV-ს ეჭვი გაუჩნდა, რომ ის შესაძლოა, მარიამის ძმამ მიხეილმა (სალთანმა) მოწამლა („მიხეილს“ წყაროებაში „ურუსკანს“-აც უწოდებდნენ, რაც „რუსების აღზრდილს“ ნიშნავს). დიდი განსჯის გარეშე, მიხეილი იმავე წელს, ივანე IV-ის ბრძანებით, სარზე გასვეს [18, LXXIII].

საყურადღებოა, რომ ივანე მრისხანე თავის ამ სასტიკ ქმედებას გულდასმით მალავდა. თავისი დესპანისთვის ყირიმში ვინმე კავშოვისთვის, ივანე IV-ს მითითება მიუცია, რომ თუ მიხეილ ჩერ-

ქეზის ანუ მისი ცოლის-ძმის შესახებ რაიმეს ჰკითხავდნენ (მიუხედავად იმისა, რომ ყირიმის ხანი ჩერქეზებს მტრობდა), ელჩს უნდა ეპასუხა, რომ მიხეილი, „გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა“. ხოლო თუ მის სიკვდილში რუსთა მეფეს დასდებდნენ ბრალს, უნდა ემტკიცებინა: „ეს სიცრუეა და მეფეს (ივანე IV-ს – ვ. კ.) მისი მოკვლა არ უბრძანებიაო“ [18, LXXVIII]. აი, ასეთი იყო ივანე IV-ის პოლიტიკა. ტყუილად ხომ არ წერდა მის შესახებ რუსეთიდან გაქცეული ანდრეი კურბსკი: „შენ (ივანე მრისხანემ – ვ. კ.) ჩაკეტე სამეფო რუსეთისა, ანუ ადამიანური თავისუფალი არსი გამოკეტე ჯოჯოხეთის სიმაგრეში... და გაქვთ თქვენ, მანდ (ე. ი. რუსეთში – ვ. კ.) ასეთი წესი: ვინც არ უნდა შემოგფიცოს (ერთგულებაზე), მაინც უმწარესი სიკვდილით აღესრულება“ [20, 255]. მართლაც, ასეთი იყო ივანე IV (და არა მარტო ის) მტრისა და მოყვრის მიმართ, მაგრამ ამის შესახებ, სავარაუდოა, რომ კახეთის მეფეებმა არაფერი იცოდნენ. ს. ბელოკუროვი დაწვრილებით იხილავს მოსკოვის სამეფოს ურთიერთობებს ჩრდილო-კავკასიის სამთავროებთან XVI ს-ში, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას რუსეთ-კახეთის ურთიერთობებზე ამახვილებს.

1586 წელს ასტრახანის ვოევოდამ (სამხედრო მმართველმა) შამხალთან და კახეთის მეფესთან ელჩობა გააგზავნა თარჯიმან რ. დანილოვის მეთაურობით.

იმავე წელს, რუსული მისია უკან დაბრუნდა, კახეთის მეფის ელჩებთან ერთად (იოვანე მღვდელი, ბერი კირილე და ჩერქეზი ყურშიტა). ისინი მოსკოვში მეფეს წარუდგნენ და თევდორე ივანეს ძეს სთხოვდნენ „მიეღო მათი ქვეყანა (კახეთი – ვ. კ.) მეფურ მფარველობაში“. 1587 წ. ელჩებმა პასუხი მიიღეს – თევდორე ივანეს ძე კახეთის მეფეს პირდებოდა: „თავისი მეფური ხელი გადაეფარებინა მისთვის და (თავისი) დაცვის ქვეშ აეყვანა“. ასევე, იგი აცნობებდა ალექსანდრე კახთა მეფეს, რომ კვლავ აპირებდა თერგზე „ჩაედგა“ ქალაქი. ქართველ ელჩებს მან თავისი წარმომადგენლები გამოაყოლა: ბირკინი, პივოვი და პოლუხანოვი. შენიშვნაში, ს. ბელოკუროვი აღნიშნავს, რომ რატომღაც, რუსთა მეფეების მიმართებებში საქართველოს მეფეები „დავითად“ იწოდებოდნენ [18, XCV, შენ. 124]. ბელოკუროვი ვერ ხსნის ამ ფენომენს. ცხადია, აქ საქმე გვაქვს ბაგრატიონთა წარმოშობის ძველ ვერსიასთან, რომლის მიხედვით, ქართველი ბაგრატიონები ბიბლიური დავითისგან წარმოსდგებოდნენ.

1588 წელს, მოსკოვში გაბრუნებულმა ელჩებმა რუსთა მეფეს აუწყეს, რომ მათ ჯვარზე დააფიცეს ალექსანდრე, მისი ვაჟები და დიდებულები. ალექსანდრემ დაიფიცა, რომ ამიერიდან, მოსკოვის მეფის ერთგული და ხელქვეითი იქნებოდა. ელჩები რუსეთის მეფეს მოახსენებდნენ, რომ ამავე დროს ალექსანდრემ იკისრა ყოველწლიურად გაეგზავნა რუსეთში ე. წ. „მოსაკითხი“ («поминки»), ანუ ფაქტობრივად ხარკი: 50 სპარსული აბრეშუმის ქსოვილის და 10 სპარსული ხალიჩის რაოდენობით [18, XVC]. როგორც უნდა ვიფიქროთ, ეს „მოსაკითხი“ რუსეთის მხარის დაჟინებული თხოვნით იკისრა ალექსანდრემ, რადგან შემდეგში, ამ „ვალდებულებასთან“ დაკავშირებით, როგორც აღნიშნული გვქონდა, ალექსანდრე ბორის გოდუნოვს საყვედურით მიმართავდა. ახალი სიმაგრე რუსეთმა მართლაც ააგო, ამჯერად მდ. თერგის შესართავთან, იქ, სადაც თერგს ერთვის მცირე მდინარე ტიუმენკა, ამიტომ, „თერგის“ ქალაქთან ერთად, ამ ციხე-ქალაქს „ტიუმენის ახალი ქალაქი“-ც ეწოდა; რუსეთის მთავრობა ამ ფაქტს ისე წარმოადგენდა, თითქოს სიმაგრე ყიზილბაშთა დასახმარებლად აიგო, რათა თურქებს კასპიის ზღვამდე არ ჩაეღწიათ [18, CXVIII]. აღშფოთებულმა თურქეთის სულთანმა 1593 წელს რუსეთის მეფეს ელჩი გაუგზავნა, რომელსაც მკაცრად დაავალა, გადაეცა მეფისთვის, რომ თურქეთის მხარის აზრით, ამ და სხვა სიმაგრეთა მშენებლობა ჩრდილო კავკასიაში, მტრულ ნაბიჯს წარმოადგენდა და თურქეთი ამას ვერ მოითმენდა. საპასუხოდ თევდორე ივანეს ძე მას სწერდა, რომ ეს სიმაგრეები თურქების წინააღმდეგ კი არა, რუსების მოკავშირე ჩერქეზებისა და ყაბარდოელების დასახმარებლად აიგო [18, CV].

1589 წელს, მოსკოვში კვლავ ჩავიდა კახეთის მეფის ელჩობა იგივე შემადგენლობით. ელჩებმა რუსთა მეფეს პირველად ჩაუტანეს „მოსაკითხი“ მაგრამ სანაცვლოდ, დაბეჯითებით ითხოვდნენ რუსეთს ქმედითი ნაბიჯები გადაედგა „შამხალის“ (ე. ი. დაღესტნელი ლეკების) ასალაგმად. საპასუხოდ კახეთში გაგზავნილ რუსეთის ელჩებს – ზვენიგოროდსკის და ანტონოვს „სწავლული ხალხიც“ გააყოლეს ივერიაში, ვითომდა „შერყვნილი ქრისტიანობის გასასწორებლად“. შემდგომი მოლაპარაკების მთავარი საკითხი კვლავ შამხალის დამარცხება და ლეკთა მარბეველი ლაშქრობების აღკვეთა იყო. მართალია, 1589-1590 წწ. თერგის „ვოევოდებმა“ შამხალს შეუტიეს და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს, მაგრამ ალექსანდრეს მიაჩნდა, რომ ეს საკმარისი არ იყო. მისი სიტყვით, მთავარი იყო თარღუს (ტარკის) აღება და იქ რუსული სამხედრო სიმაგრის

დაარსება. 1593 წ. კახეთის მეფის ელჩებს „არამს“ (იორამს) და ყურშიტას, ასევე რუს ელჩ ვესელოვსკის რუსეთის მთავრობამ დაავალა ეცნობებინათ ალექსანდრესთვის, რომ ამჯერად დიდი ძალებით აპირებდნენ თარღუზე შეტევას და შამხალის დამარცხებას. რუსებს ორი ახალი სიმაგრე უნდა დაეარსებინათ: მდ. ყოისუზე და თარღუში. სიმაგრე ყოისუზე, მართლაც, დაარსეს, მაგრამ თარღუსთან ბრძოლაში, რუსები სასტიკად დამარცხდნენ. ზოგიერთი ცნობით, ამ ბრძოლაში მათ 3 000 მეომარი დაკარგეს. რუსეთის მეფემ გამოსავალი სწრაფად მოძებნა – ამ მარცხისათვის მთელი პასუხისმგებლობა ალექსანდრე კახთა მეფეს დააკისრა. ალექსანდრეს ადანაშაულებდნენ, რომ რუსების დასახმარებლად არ გაგზავნა თავისი ვაჟი გიორგი („იური“) საყვედური კახთა მეფეს 1596 წ. კახეთში ჩასულმა ელჩებმა სოვინმა და პოლუხანოვმა ამცნეს [18, CXIV-CXVI]. ძნელია ამ საკითხზე გადაჭრით რაიმეს თქმა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბრალი ალექსანდრეს არასწორად დასდეს. არსად არ ჩანს, რომ მას ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ დაღესტანში, ჯარით გალაშქრება ეკისროს. სერიოზული სამხედრო შენაერთის გაგზავნა კავკასიის ქედს გადაღმა, იმ ვითარებაში, კახეთისთვის სრულიად შეუძლებელი იყო. არ იყო დაცული კომუნიკაციები (ამას რუსეთი ვერ ახერხებდა და კახეთი როგორ შეძლებდა?), არ იყო სათანადო შეიარაღება. დიდი რაოდენობით ჯარის გამოკვება შორ მანძილზე კახეთის სამეფოს შესაძლებლობას აღემატებოდა, ხოლო მცირე რაზმისა და უფლისწული გიორგის გაგზავნა საშამხლოში მხოლოდ გაამწვავებდა ურთიერთობებს შამხალთან და თვით რაზმი კი ფაქტობრივად, სასიკვდილოდ იქნებოდა განწირული. ერთადერთი, რაც ალექსანდრემ იკისრა, ეს რუსი ჯარის საკვებით უზრუნველყოფა იყო; მაგრამ მისი ადგილზე მიტანა და დაცვა, აშკარაა, რომ თვით რუსულ მხარეს უნდა უზრუნველეყო.

ყველაფრის მიუხედავად, რუსეთის ახალი მეფის – ბორის გოდუნოვის ტახტზე ასვლის შემდეგ, კახეთ-რუსეთის ურთიერთობები კვლავ ინტენსიურად გაგრძელდა. 1601 წ. ბორის გოდუნოვმა ახალი ელჩები ნაშჩოკინი და ლეონტიევი გააგზავნა კახეთში, რომლებმაც ალექსანდრეს ამცნეს, რომ მეფე ბორისი მზადაა: „ძველებურად, თავის დაცვაში აიყვანოს ალექსანდრე მეფე და ივერიის მიწა“. მათ დაევალათ აგრეთვე, რუსეთის ერთგულებაზე ხელახლა ჯვარზე დაეფიცებინათ ალექსანდრე, მისი ოჯახობა და დიდებულები. ამასთან „ფიცის წიგნში“ ხაზგასმული იყო, რომ რუსეთის მეფის მტრები ალექსანდრეს მტრებად უნდა ჩათვლილიყვნენ. 1604

წელს ბორის გოდუნოვი ახალ ელჩებს აგზავნის ტატიშჩევს და „დიაკ“ (მდივან) ივანოვს. მათ ფარული დავალებაც ჰქონდათ მიცემული: ბორის გოდუნოვის ქალ-ვაჟისთვის, საქართველოდან, სამეფო გვარის სიძე და საპატარძლო ჩამოეყვანათ. ბელოკუროვი გადმოგვცემს, რომ 1605 წ. რუსეთის სამხედრო შენაერთებმა დიდი მარცხი განიცადეს ყოისუსა და თარღუში. მთიელმა ტომებმა და თურქებმა (ძირითადად ყუმიყებმა და დაღესტნელებმა), თარღუში 7000 მხოლოდ ბოიარული რუსული გვარის წარმომადგენელი ამოწყვიტეს [18, CVIII-CIX]. ბელოკუროვი არ მალავს, რომ ამის შემდეგ, რუსული პოლიტიკის მთავარი მიმართულება ჩრდილო კავკასიაში იმაში მდგომარეობდა, რომ: „მთავრები ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინათ და მათ შორის შუღლი ჩამოეგდოთ“. რუსეთში დაწყებულმა არეულობამ (ე. წ. „სმუტა“) (1608-1613 წ.). ბუნებრივია, კახეთ (საქართველო) – რუსეთის კავშირებზეც იმოქმედა. დროებით, ელჩობების მიმოსვლა შეწყდა, მაგრამ რომანოვების ტახტზე ასვლის შემდეგ ეს ურთიერთობები კვლავ განახლდა. საინტერესოა ს. ბელოკუროვის დასკვნა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა რუსეთისთვის კახეთი; ანუ რა იურიდიული, სამხედრო, თუ სამოკავშირეო ხელშეკრულება აკავშირებდა მათ. ავტორი სიტყვა სიტყვით წერს: „კახეთის დაქვემდებარება მოსკოვის სახელმწიფოსადმი, რაც გამოწვეული იყო მისი (კახეთის) სურვილით, თავი დაეცვა მტრებისგან, სრულიად ნომინალური იყო. თავდაპირველად იგი (კახეთი), ხარკს, მოსკოვს უგზავნიდა. ეს იყო ერთადერთი რამ, რითაც ეს დაქვემდებარება გამოიხატებოდა, თუმცა მალე, მან (კახეთმა – ვ. კ.) ამისი გაგზავნაც შეწყვიტა. ყველაფრის მიუხედავად მოსკოვის სახელმწიფო ყოველთვის დახმარებას უწევდა (კახეთს – ვ. კ.) „შევკალან“ (დაღესტნის შამხალთან – ვ. კ.) საბრძოლველად და მის წინააღმდეგ ჯარს აგზავნიდა“ [18, CXVII]. თუ ამ მსჯელობის პირველ ნაწილს სავსებით მისაღებად მივიჩნევთ, აშკარად არასწორია მისი დასკვნითი ნაწილი. კერძოდ ის, რომ რუსეთი მუდმივად ეხმარებოდა კახეთს შამხალის წინააღმდეგ. აქ თავს იჩენს რუსული ისტორიოგრაფიის ჩვეული მიკერძოება. მოსკოვის სახელმწიფო კახეთს კი არ ეხმარებოდა, საკუთარ პლაცდარმს იმყარებდა და ამაგრებდა ჩრდილო კავკასიაში. ამასთან, ეს მისი ქმედებები, კახეთისათვის ხშირად უფრო ნეგატიურ როლს ასრულებდა ვიდრე დადებითს. გაღიზიანებული შამხალი ჯავრს გაათმაგებულად იყრიდა კახეთზე და მშველელი კი არსად ჩანდა!

მნიშვნელოვანია ს. ბელოკუროვის არქეოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი და ტექსტოლოგიური შენიშვნებიც, რომლებიც მის მიერ გამოცემულ დოკუმენტებს უძღვის წინ. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობების ამსახველი პირველი დოკუმენტიდან (XV ს.) – 1639 წლამდე, ერთის გარდა, არც ერთი არ წარმოადგენდა დედანს. გამონაკლისია მხოლოდ 1594 წლის წერილი ალექსანდრე II კახთა მეფისა, ბორის გოდუნოვისადმი (ისიც დამახინჯებულ სლავურ ენაზე შედგენილი), დანარჩენი კი, რუსული თარგმანებია. დოკუმენტების დედნები, ქართულ და ბერძნულ ენაზე შემონახულია 1639 წლიდან – XVIII ს. ჩათვლით. ეს დოკუმენტები გამოსცა მ. ბროსემ, ჩვენს მიერ ზევით აღნიშნულ პუბლიკაციაში („Переписка Грузинских Царей с Российскими государями").

ს. ბელოკუროვი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ თავის პუბლიკაციაში, თავს უფლება მისცა, გამოეტოვებინა სამეურნეო ხასიათის საბუთები, რომლებიც შეეხებოდა ელჩობების მომზადებას, მათ აღჭურვას, თანხებს, რომლებსაც ელჩებს მგზავრობისას აძლევდნენ, საზიდრებს, გამცილებლებს და ა. შ. ბელოკუროვმა, ასევე, შეამოკლა მეფეთა ტიტულები (მოიტანა პირველად სრულად, შემდეგ საწყისი ასოები; ამოიღო აგრეთვე, საბუთების საღვთისმეტყველო შესავალი ნაწილი) [18, CXXVIII; 21]. განსაკუთრებით დასანანია, რომ ს. ბელოკუროვმა გამოტოვა და არ დაბეჭდა სამეურნეო ხასიათის საბუთები. ეპოქის შესასწავლად, ისინი ხომ ფასეულ მასალას წარმოადგენენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი პუბლიკაციის შემდეგ ეს მასალა, მცირე გამონაკლისის გარდა, აღარავის გამოუქვეყნებია. ყველა ამ ნაკლის მიუხედავად, ს. ბელოკუროვის აღნიშნული პუბლიკაცია, დღესაც ქრესტომათიული ღირებულებისაა. საბუთებისა და ეპოქის მიმოხილვის შემდეგ, ს. ბელოკუროვი აქვეყნებს დოკუმენტებს [18, 1-513].

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX ს. რუსული ისტორიოგრაფია საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, მაგრამ თავისებურად, უფრო ხშირად, ცალმხრივად აშუქებდა მათ.

რევოლუციის შემდეგ პერიოდში, რუსულ-ქართული ურთიერთობების ჩვენთვის საინტერესო პერიოდი (XVI-XVII სს.) საფუძვლიანად შეისწავლა მიხ. პოლიევქტოვმა (1872-1942 წწ.). შეიძლება ითქვას, მან გააგრძელა ს. ბელოკუროვის პუბლიკაცია. ამ თვალსაზრისით მისი მთავარი შრომაა: „მასალები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიისათვის" (რუსულ ენაზე) [17].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Н. Карамзин, История Государства Российского, т. VI. гл. 5, lib.ru/klassica, ასევე, იგივე შრომა, ტ. VI, შენიშვნა 370.
2. ამ საკითხზე იხ. ჩვენი სტატია: რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის პირველი დოკუმენტის შუქ-ჩრდილები (XV ს.), საიუბილეო კრებული მიძღვნილი პროფ. ელ. მამისთვალიშვილის 75 წლისთავისადმი, გორი (იბეჭდება).
3. Н. Карамзин, Указ. сочинение, т. 11, г. 1 (მითითებული საიტი).
4. С. Белокуров, Сношения России с Кавказом, т. I, Санкт-Петербург, 1888.
5. ნოდარ ასათიანი, საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX ს-მდე), დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1999.
6. გივი ჯამბურია, ირან-ოსმალეთის ახალი ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973.
7. ივანე ჯავახიშვილი, კახეთისა და რუსეთის ურთიერთობა, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV (XV-XVII სს.), თბილისი, 1967.
8. Соловьев Вл., История России с Древнейших Времен, кн. I, Санкт-Петербург, 1851.
9. В. Ключевский, Дневники и дневниковые записи (Запись 1905 г.), Сочинения в девяти томах, т. IX, Москва, 1990.
10. В. Ключевский, Курс Русской Истории; Лекция XXXII, Внешняя политика России в XIX в., Сочинения в 9 томах, т. 5, Москва, 1989.
11. В. Ключевский, Записная Книжка, запись №9; Сочинения, т. IX, Москва, 1990.
12. В. Ключевский, Курс Русской Истории, ч. 5, Лекция XXVI, Сочинения, т. 5, Москва, 1989.
13. M. Brosset, Correspondance en Grec des Rois Gèorgiens du Kakhet avec la Russie pendant le XVII siecle S/Pg 1845.
14. М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, кн. I, отд. 2-ое, Санкт-Петербург, 1847 (იხ. ამის შესახებ Белокуров, Сношения России с Кавказом, вып. I, Москва, 1889, შენ. 33).
15. Bulletin Scientifique, t. IV (წელი აღნიშნული არ არის).
16. მ. ბროსე, დასახ. შრომა, იხ. მ. სელეზნიოვი, ციტირებული ნაშრომი. შემდგომში ბროსეს შრომას ყველგან მივუთითებთ სელეზნიოვის თარგმანის მიხედვით.
17. М. Полиевктов, Материалы по Истории Грузино-Русских взаимоотношений (XVI- XVIII вв.), Тбилиси, 1937, издание Тбилисского Государственного Университета, р. II, сноска 1.

18. С. Белокуров, Сношения России с Кавказом, вып. I, Москва, 1889.
19. Ш. Ногмов, История Адигского Народа, Нальчик, 1958.
20. М. Дьяконов, Очерки Общественного и Государственного Строя Древней Руси, Москва, 1912.
21. ეს ცნობები მით უფრო საინტერესოა, რომ ზოგიერთი უცხოელი ავტორის თანახმად, რუსეთის ელჩებს გასამრჯელო წინასწარ არ ეძლეოდათ და მხოლოდ წარმატებულად დამთავრებული მისიის შემდეგ საზღაურს ისინი იღებდნენ არა ფულით, არამედ მამულების სახით. იხ. Михалон Литвин, О нравах Тамар, Литовцев и Московитян, перевод В. Мазутиной, изд. Москосвского Государственного Университета, Москва, 1994.

Vazha Kiknadze

Doctor of historical sciences, Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Director of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Georgian-Russian Relations of the XV-XVII Senturies in the Russian Historiography (XIX Century)

Summary

In the article it is critically analized the works of the famous Russian Historians: N. Karamzin, VI. Soloviov, Vas. Kluchevski, S. Belokurov and the scientists lived and conducted research in Russia: M. Brosset and Fr. Ploene, concerning the Russian-Georgian relation in the 15^{th}-17^{th} centuries.

According to the author the Russian historiography of this period is really interested by this theme, but they are surveing the topic mostly deeply unobjectivley.

არჩილ ჩაჩხიანი

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ომის თეორიისა და ბუნების კურსის უფროსი ინსტრუქტორი, ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი

ისევ ქართველი იუნკრების შესახებ – „მოვიდეს აქ ლენინი, ფილიპე მახარაძე და დაიჩოქონ ამ დროშის წინაშე!!!...“

მიუხადავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ქართველი იუნკრებისა და მათი გმირული საბრძოლო ისტორიის შესახებ არაერთი კვლევა ჩატარდა, სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო ნაშრომი თუ პუბლიცისტური სტატია დაიწერა, აღნიშნული თემატიკა ისევ რჩება საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად. განსაკუთრებით საინტერესო კი, ამ საკითხების შესწავლა სამხედრო ისტორიის თვალსაზრისითაა. საბჭოთა რუსეთ-საქართველოს მეორე ომში 1921 წლის 19-24 თებერვალს თბილისის მისადგომებთან ქართული შენაერთების მიერ ბოლშევიკთა მე-11 წითელი არმიის ნაწილებთან წარმოებული საბრძოლო მოქმედებები საქართველოს სამხედრო ისტორიის კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელია, სადაც განსაკუთრებით გმირულად სწორედ ქართველმა იუნკრებმა იბრძოლეს პოლკოვნიკ ალ. ჩხეიძის მეთაურობით. წარმოდგენილი სტატიის მიზანს ამჯერად არ წარმოადგენს ამ ბრძოლების სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით განხილვა, მათი ტაქტიკური მონახაზებისა თუ ოპერატიული ვითარების წარმოდგენა. ეს პრობლემატიკა ჩვენი მომავალი კვლევის საგანია.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში მუშაობისას, ე. წ. „ჰარვარდისა და ლევილის ფონდებში“ თბილისის დაცვისათვის გმირულად დაღუპულთა შესახებ აქამდე უცნობ რამდენიმე საინტერესო დოკუმენტს მივაკვლიეთ. გამომდინარე იქიდან, რომ ქართველი იუნკრების შესახებ არსებული მასალები ზოგადად ერთობ მწირი და ამავე დროს ძნელად მოსაპოვებელია, გადაუდებლად ჩავთვალეთ ამ დოკუმენტების გამოქვეყნება და მა-

თი სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა. წარმოდგენილი დოკუმენტების სტილისტური ფორმა ცხადია სრულადაა დაცული.

№1 დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის, ნიკოლოზ ჩხეიძის[22] მისასალმებელ ადრესს გაგზავნილს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძისადმი. დოკუმენტი დათარიღებული არ არის, თუმცა მისი ტექსტიდან ჩანს, რომ იგი 1921 წლის 22 ან 23 თებერვალს უნდა იყოს შედგენილი. მისასალმებელი ადრესი საკმაოდ ლაკონურია და მასში კარგად ჩანს ის დიდი აღფრთოვანება, რომელსაც იმ პერიოდისათვის მოეცვა საქართველოს სახელისუფლებო წრეები და სრულიად საქართველო. ქართული შენაერთების, და პირველ რიგში ქართული სამხედრო სკოლის იუნკერთა მიერ თბილისის მისადგომებთან წარმოებული თავგანწირული ბრძოლები იმდენად წარმატებული იყო, რომ საქართველოს მთავრობის მიერ იგი ომში საბოლოო გამარჯვებად იქნა აღქმული.

№2 დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის, ცნობილი ქარ-

---

22 ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926) – რუსეთისა და საქართველოს ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ძველი რევოლუციონერი. 1892 წლიდან ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასის“ წევრი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი 1898 წლიდან, 1903 წლიდან მენშევიკი და რუსეთის მენშევიკური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე, რუსეთის სახელმწიფო დუმის მე-3 და მე-4 მოწვევების დეპუტატი თბილისის გუბერნიიდან და ამავე დროს, 1912 წლიდან დუმის მენშევიკური ფრაქციის თავმჯდომარე. 1917 წლის თებერვლიდან პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. 1918 წელს ამიერკავკასიის სეიმის (ფაქტობრივი პარლამენტის) თავმჯდომარე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისიდან – საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილი ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი. 1919 წლის 12 მარტიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) თავმჯდომარე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაშია. სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით პარიზში 1926 წელს.

თველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ვლასა მგელაძის[23] მიერ გმირულად დაღუპულ მეომართა და იუნკერთა სულის მოსახსენიებლად მე-40 დღეს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ პანაშვიდზე წარმოთქმულ სიტყვას. იგი ორიგინალია, დაწერილია ავტორის ხელით და წარმოადგენს უბის წიგნაკის ფურცლებზე შავი ფერის ფანქრით ქართულ ენაზე შესრულებულ ტექსტს. წარმოთქმულ სიტყვაში საქართველოს ისტორიიდან მოყვანილ ფაქტოლოგიურ მონაცემებს ცხადია არ ვიზიარებთ, მაგრამ ეს არაა არსებითი. მთავარი ისაა, რომ ტექსტში კარგად ჩანს ის საერთო განწყობა, ოპტიმიზმი და მომავლის იმედი, რაც იმ დროისათვის სუფევდა ქართულ საზოგადოებაში. ქართული საზოგადოება ბოლშევიკურ ოკუპაციას დროებით მოვლენად თვლიდა და შორს არ იყო ის დროც, როცა საქართველო თავის დაკარგულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ისევ აღიდგენდა. სიტყვა თავისი ფორმითა და შინაარსით ერთობ პათეტიკურია, და ეს გასაგებიცაა.

---

[23] ვლასა მგელაძე (1868-1943) – ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ორატორი, სოციალ-დემოკრატი. ძველი რევოლუციონერი, ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. რევოლუციური იდეების აქტიური პროპაგანდისტი. ადრეული ხანიდან ეწეოდა რევოლუციურ მოღვაწეობას რუსეთში, ევროპაში, აზიაში. პირადად იცნობდა ლენინს, პლეხანოვს, გორკის, აქსელროდსა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის სხვა ლიდერებს. მეფის ოხრანკის დევნისაგან თავის დაღწევის მიზნით, 1908 წლიდან ემიგრაციაშია ჯერ ირანში, შემდეგ – ევროპაში. 1908 წლის ირანის რევოლუციის აქტიური მონაწილე და მებრძოლი. 1911 წელს კონსპირაციულად ჩამოდის საქართველოში, სადაც დაპატიმრებულ იქნა ჟანდარმერიის მიერ. გადასახლებულ იქნა ციმბირში. მოახერხა გაქცევა და ისევ მიდის ემიგრაციაში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გერმანიიდან ბრუნდება რუსეთში. ლენინთან ერთად წარმოადგენდა იმ „დალუქული რევოლუციური ეშელონის“ მგზავრს, რომლის საშუალებითაც გერმანიის ხელისუფლების მიერ ასეულობით ემიგრანტი რევოლუციუნერი იქნა შემოგზავნილი რუსეთში. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ემიჯნება ბოლშევიკებს და ბრუნდება საქართველოში, სადაც აგრძელებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1918 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს წევრია, ხოლო 1919 წლიდან – დამფუძნებელი კრების წევრი. ბოლშევიკთა მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია. გარდაიცვალა 1943 წელს, პარიზში. დაკრძალულია ლევილის ქართული სათვისტომოს სასაფლაოზე.

№3 დოკუმენტი ასევე ვლასა მგელაძის მიერაა შედგენილი და იგი ისევ თბილისის მისადგომებთან გმირულად დაღუპულ მებრძოლთა, მათ შორის იუნკერთა სულის მოსახსენიებლად დიდუბის ეკლესიაში გამართულ პანაშვიდს შეეხება, უფრო ზუსტად, პანაშვიდის მსვლელობისას იქ განვითარებულ მოვლენებს. კალიგრაფია იგივეა. ტექსტი ისევ შავი ფერის ფანქრით და ისევ უბის წიგნაკის ერთფურცელზე გაკრული ხელით შესრულებულ მოკლე ჩანაწერს წარმოადგენს. რჩება შთაბეჭდილება რომ ტექსტი დაუსრულებელია. წინა ორი დოკუმენტისაგან განსხვავებით, მასზე ავტორის ხელმოწერაც არასრულად, დაქარაგმებული ფორმითაა წარმოდგენილი – „ვლ. მ-ძე“.

მაშ ასე, ქართველი იუნკრები და ახალი საარქივო დოკუმენტები.

დოკუმენტი №1

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის, ნიკოლოზ ჩხეიძის მიერ მთავარსარდალ გიორგი კვინიტაძისდმი გაგზავნილი მისასალმებელი ადრესი

დამფუძნებელი კრება აღფრთოვანებით მოგესალმებათ თქვენ და თქვენ ხელმძღვანელობით მოქმედ ჯარსა და გვარდიას, რომელთაც თავდადებით და გმირობით გადაარჩინეს სამშობლო გამხეცებულ მტრის ურდოების შემოსევას.

თებერვლის ცხრამეტის, ოცისა და ოცდაერთის ბრწყინვალე ბრძოლანი ოქროს ასოებით აღიბეჭდება საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, ხოლო შთამომავლობას იგი გადაეცემა როგორც საარაკო თქმულება ქართველი მეომრის ძლევამოსილებისა.

გაუმარჯოს საქართველოს შეიარაღებულ ძალას!

სახელი და დიდება ვინც სამშობლოს თავი შესწირა და გმირულად აღსრულდა ბრძოლის ველზე.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე [1, 5].

დოკუმენტი №2

ვლასა მგელაძის სიტყვა გმირების საფლავზე, კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლებში დაღუპულთა მე-40 დღის აღსანიშნავ პანაშვიდზე, გმირების საფლავზე

მამულიშვილნო! აჰა საფლავი იმ გმირთა ახალგაზრდების, რომლებიც მტლედ დეედვნენ სამშობლოს! აბა შეხედეთ რა ძმურად არიან ერთი მეორეზე მიწყობილნი, თითქოს იცავენ თავიანთი განგმირული ნორჩი გულ-მკერდით სამშობლოს ნიშანს, მათი სისხლით შეღებილ სამფეროვან დროშას!..

აქ წვანან სამშობლოს საკურთხეველზე შეწირულნი ზვარაკნი, უთანასწორო ბრძოლაში დახოცილი მამაცნი, რომლებიც არ შეუშინდნენ მოზღვავებულ მტერს! ესენი არიან, რომლებიც იცავდნენ სამშობლო დედას – ჩვენ საყვარელ თფილისს და მის კარიბჭე სიმაგრეებს! ესენი არიან, რომლებიც დაეცნენ კოჯორის, ტაბახმელას, კრწანისის გარშემო მზგავსათ სახელოვანი წინაპრებისა!

ესენი არიან რომლებმაც ასახელეს მამული, შეგვინახეს ნამუსი, გულ-ხელ დაკრეფილებმა გვასწავლეს ბრძოლა, წელზე შეგვარტყეს ხმალი, შარავანდედით შემოსეს სამშობლო, თვით დაიხოცნენ და მით უკვდავების ძეგლი დაიდგეს, ჩვენ კი თავდაცვისათვის ბრძოლა გვასწავლეს!...

აბა შეხედეთ ამ სასწაულს! მტრის მიერ ვერაგულად მოხსნილი ჩვენი დროშა სად გაბრწყინებულა! მტრის მიერ განგმირული გულ-მკერდიდან სამფეროვანი დროშა მზის სხივზე როგორ ელვარებს, ნიავზე როგორ ფრიალებს. შვინდისფერად გმირთა სისხლით შეღებილი უფრო გაბრწყინებულა, მტრის შესარცხვენათ ჩვენს წინაშე დიდებით გამობრწყინებულა!..

ჩვენ ამ დროშის ქვეშ გვიბრძოლია საუკუნოების განმავლობაში, ამ დროშით არა ერთი და ორი მოგვიგერიებია, არა ერთი და ორი გამარჯვება გვინახავს! განა ამ დროშით არ შევედით ჩვენ იერუსალიმში და ამ დროშის ძლევამოსილების ძალით არ განიხვნენ კარნი იერუსალიმის ციხე-სიმაგრისანი და იქ შეკრებილ სხვა და სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა, დიდებულებმა არ დახარეს თავიანთი დროშები ნიშნათ ჩვენი პატივისცემისა?! განა ამ დროშის ქევშ არ იყო დაცული უდიდესი სიყვარული და კაცთა შორის სათნოება იესო ქრისტესი და წმიდა ნინოსი? განა ამ დროშის ქევშ არ აშენდა ჩვენი ტაძრები, არ ლაღობდა ქართველი ხალხი და იცემებოდა ბრძანება თამარ მეფის, არ იწერებოდა ქართველი ერის სიბ-

რძნე – რუსთაველის პოემა და ამავე დროშის ბრძოლის ველზე ერთი გამოჩენით არ იმუსრებოდა უამრავი მტრები?!

რატო არის, რომ მთელ მცირე აზიაში აფრიალებული დროშა დღეს აქ, პატარა ჯოხებზე გმირთა გულ-მკერდზე ვითარცა აღდგომის კელაპტრები ბრწყინავენ?!

ამ დროშის ალაგი, აი იქ, სასახლის აივანზე არის, ეს ბაირაღები იქ უნდა ფრიალობდნენ, იქიდან ის მთელ სამშობლო მხარეს უნდა აცისკროვნებდეს!..

თუ ვინმეს რაიმე საკამათო აქვს ჩვენთან, მოვიდეს და გვეკამათოს – დაგვიმტკიცოს მათი აზრის, იდეის უპირატესობა, მარა ეროვნულ სამშობლოსთან, მის წმინდა წმინდასთან მათ რა ხელი აქვთ?! მოვიდეს აქ ლენინი, ფილიპე მახარაძე და დაიჩოქონ ამ დროშის წინაშე!!!.. ამას ვბრძანებ მე ერისა და აქ განსვენებული გმირთა სახელით!..

ეს დროშა დღეს თუ არა ხვალ იქ, სასახლის მაღლა უნდა გამობრწყინდეს და იქ უნდა აფრიალდეს! ეს ასე იყო საქართველოს განვლილ ცხოვრებაში, ასე იქნება მომავალშიაც! ბოროტება ხშირათ დღესასწაულობს, მარა ვერასოდეს ვერ იმარჯვებს! ამას გვასწავლის ეს წმინდა საფლავები, რომლის გულ-მკერდზე გაბედულ ახალგაზრდობას სამფეროვანი დროშები უშიშრათ აუფრიალებიათ!..

ეს ზღვა ხალხი, რომელიც მუხლ-მოყრილი შემოსილ სამღვდელო პირთა და კათალიკოსის მეთაურობით ღვთაებას გოდებით შესთხოვს სამშობლოს, მის მთავრობის, მის საყვარელ ჭაღარა ნოე ჟორდანიას აქ დაბრუნებას და საქართველოს მკვდრეთით აღდგენას – ეს თავდებია ჩევნი გამარჯვების, მტრების დამხობის!..

გაუმარჯოს საქართველოს, ძირს ბოლშევიკები!

დიდება მტრებთან ბრძოლაში დახოცილ გმირებს!

ვლასა მგელაძე. 1921 წ. თფილისი. დიდუბის ტაძარი. გმირების ორმოცი დღის პანაშვიდი [2, 1-6].

დოკუმენტი №3
ვლასა მგელაძის მოკლე ჩანაწერი კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლებში გმირულად დაღუპულთა მე-40 დღის აღსანიშნავ პანაშვიდზე განვითარებული მოვლენების შესახებ

სამშობლის დაცვისათვის დაღუპულ გმირთა საფლავზე შეიკრიბა მთელი ქართველობა ძაძებში მოსილი და ასამდე სამღვდე-

ლოება. კათალიკოს ლეონიდეს მეთაურობით პანაშვიდი გადაუხადეს სამაგალითო გმირთა და ლეონიდემ შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა როცა ბრძანა: „მამულისთვის თავდადებულ გმირთა წინაშე მუხლი მოვიყაროთო“ – მთელი ხალხი პირქვე დაემხო. გოდებამ, ბოლშევიკებისადმი წყევლა-კრულვამ, ტირილმა და ქვითინმა არემარე მოიცო!

თითო ოროლა ჩეკისტები დაიბნენ, ზოგმა მათგანმაც ანაზდეულათ დაიჩოქა – ასეთი იყო რისხვა ხალხის!

ამის შემდეგ სიტყვა თქვა მჭედლიშვილმა ლექსათ... შემდეგ ამხანაგების რჩევით მე ვილაპარაკე... შემდეგ სამსონ დადიანმა... მჭედლიშვილი და დადიანი იქვე დაიჭირეს და ჩეკაში წაიყვანეს – აზღვავებული ხალხი წყევლა-კრულვით მისდევდა... მე კი ამხანაგებმა გამიტაცეს...

ვლ. მ-ძე [3, 7].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სცსსა), ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 1415.
2. სცსსა, ლევილისა და ჰარვარდის ფონდები. ფონდი 2123, აღწერა 1, საქმე 19.
3. სცსსა, ფონდი 2123, აღწერა 1, საქმე 19.

Archil Chachkhiani

Senior Instructor on the Course of the War History and Military Art, Defense and Security, the Theory and Nature of War, at the CGSC of the David Agmashenebeli Georgian National Defense Academy, Ph. D., Colonel

Once More about the Georgian Junkers – „...Lenin and Filippe Makharadze should be here and kneel before this banner!!!...”

Summary

This article shows three documents, unknown until now, which were found out while working in the Central State Historic Archive of Georgia. They concern the battles taking place near Tbilisi in February 1921, in order

to defend the city from Russian invasion and the young officers killed during those battles.

The document #1 is the address (the formal written tribute) by Nikoloz Chkheidze, the Head if the Georgian Constituent Assembly, sent to the Chief of the Georgian Armed Forces, General Giorgi Kvinitadze. The despirate fighting of the Georgian units, especially of the young junkers of the Georgian Military School was so successful, that the Georgian government perceived it as the final victory.

The document #2 represents the speech delivered by the member of the Ceorgian Constituent Assembly, well-known political and public figure, Vlasa Mgeladze, at Tbilisi Didube Cathedral, at the civic memorial service for the memory of the junkers perished in the battles.

The document #3 is also composed by Vlasa Mgeladze and also concerns the heroes of the battles, precisely the civic memorial service held at the church and the events occurred.

თამარ დარჩია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის II კურსის დოქტორანტი

ახალი პოლიტიკური აზროვნება აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში XX ს-ის 80-იანი წლების მეორე ნახევარში

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირეული ცვლილებები არც ისე ერთბაშად დაიწყო. კონსტანტინე ჩერნენკოს გარდაცვალებამდე გორბაჩოვი და პოლიტბიუროს სხვა წევრები ისევ იმ ძველი, მტკიცედ დამკვიდრებული პოლიტიკური მიდგომებით ხელმძღვანელობდნენ. თუმცა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, გორბაჩოვმა ნელ-ნელა დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, რომ დასავლეთისკენ მიმართული კონფრონტაცია თანამშრომლობისმაგვარი ურთიერთობებით უნდა ჩანაცვლებულიყო. თავდაპირველად, მას გაათმაგებული ძალისხმევით უხდებოდა თითოეული ნაბიჯის გაზომვა. საჭირო იყო ძალების კონსოლიდაცია, განსაკუთრებით პოლიტბიუროს წევრებსა და კონფრონტაციის პოლიტიკის გაგრძელების მომხრე უმაღლეს სამხედრო პირებს შორის. სიტუაციას ასევე ართულებდა ის ფაქტიც, რომ გორბაჩოვი დარწმუნებული არ იყო, თუ რას მოიმოქმედებდა რეიგანი მომავალში. სწორედ რეიგანის არაპროგნოზირებულობას მიაწერდნენ პოლიტბიუროს წევრები საკუთარ ხისტ პოზიციას ვაშინგტონთან მიმართებაში.

გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკამ უფრო დინამიური სახე მიიღო, რამაც თავის მხრივ საფუძველი ჩაუყარა ჟენევის სამიტის ჩატარებას.

ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა ორი ქვეყნის ადმინისტრაციებს შორის ინტენსიურ თანამშრომლობას ყველა დონეზე: იქნებოდა ეს პირადი მიმოწერა რეიგანსა და გორბაჩოვს შორის, პრეზიდენტის და სახელმწიფო მინისტრის შეხვედრები, მიმოწერა საბჭოთა კავშირის ახალ, პრაგმატულ საგარეო საქმეთა

მინისტრ ედუარდ შევარდნაძესთან და ასევე აქტიური სამუშაო კონტაქტები დიპლომატიური არხების მეშვეობით, რაც ადრე პრაქტიკულად დაბლოკილი იყო.

ჟენევის სამიტამდე, ჩერნენკოს ჩრდილქვეშ ყოფნის პერიოდში, გორბაჩოვმა მოახერხა მის ირგვლივ შემოეკრიბა სპეციალისტთა სერიოზული გუნდი. მათ შორის აკადემიკოსები ტატიანა ზასლავსკაია და აბელ აგანბეგიანი, რომლებიც მოღვაწეობდნენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის ფილიალის ეკონომიკის ინსტიტუტში და სამრეწველო წარმოების ორგანიზაციაში. მათ წარადგინეს საკმაოდ ობიექტური ანგარიში საბჭოთა კავშირის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ; ახალგაზრდა ნიჭიერი ფიზიკოსები ევგენი ველიხოვი და როალდ საგდეევი; საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესიონალი ექსპერტები – ალექსანდრე იაკოვლევი, ევგენი პრიმაკოვი, გიორგი არბატოვი და ასევე საბჭოთა კვლევითი ცენტრების ხელმძღვანელები. მისი ჯგუფის რამდენიმე წევრი – ველიხოვი, იაკოვლევი და გრომიკოს ერთ-ერთი მოადგილე – ანატოლი კოვალიოვი თან ახლდნენ გორბაჩოვს დიდ ბრიტანეთში ვიზიტისას 1984 წლის დეკემბერში (აღნიშნული ვიზიტით გორბაჩოვი პირველად გამოჩნდა მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე). სწორედ ეს ადამიანები ქმნიდნენ გორბაჩოვის საგარეო საქმეთა პოლიტიკური გუნდის ბირთვს.

1985 წლის ივლისში გორბაჩოვმა მოახერხა გადაეჭრა დელიკატური პრობლემა ანდრეი გრომიკოს შეცვლასთან დაკავშირებით, რომელიც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს იკავებდა 1957 წლიდან. გორბაჩოვმა მას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარის პოსტი შესთავაზა, რითაც დაარღვია 1977-1985 წლებში არსებული ტრადიცია, რის მიხედვითაც, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარის მოვალეობებს ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ითავსებდა.

გრომიკოს სოლიდური პოლიტიკური წონა და განსაკუთრებული წვლილი, რომელიც მას მიუძღვოდა გორბაჩოვის კარიერულ წისვლაში (ჩერნენკოს გარდაცვალების შემდეგ, სსრკ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 11 მარტის პლენუმზე მან წამოაყენა მ. გორბაჩოვის კანდიდატურა გენერალური მდივნის პოსტზე) სავარაუდოდ საბაბს აძლევდა მას საკუთარი თავი გენერალური მდივნის პოლიტიკურ პედაგოგად მიეჩნია. გრომიკოს სწამდა, რომ მისი უდავო ავტორიტეტი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, საშუალებას აძლევდა ყოფილიყო დეფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი და

კრემლის ახალი კაბინეტიდან მომავალშიც გაეწია აღნიშნული სფეროს ზედახედველობა. სწორედ ამ განზრახვიდან გამომდინარე შეარჩია მან საგარეო საქმეთა მინისტრის კანდიდატურა – თავისი ყოფილი პირველი მოადგილე გიორგი კორნიენკო და ისე შორსაც კი წავიდა, რომ წინასწარ მიულოცა ამ უკანასკნელს ამგვარ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა.

გრომიკოს თავდაჯერებულობის საპირისპიროდ, აბსოლუტურად მოულოდნელი არჩევანი გაკეთდა – ედუარდ შევარდნაძე, პარტიული მდივანი საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკიდან, რომელიც აგრეთვე მისი ახლო მეგობარიც გახლდათ. „როცა შევარდნაძის სახელი გრომიკოსთან ვახსენე, მისი პირველი რეაქცია შოკის მაგვარი იყო“ – იხსენებს გორბაჩოვი თავის მოგონებებში [2, 59]. გრომიკოს რჩევის ამგვარი იგნორირება, აშკარა პოლიტიკური სიგნალი იყო იმისა, რომ ახალი გენერალური მდივანი საგარეო პოლიტიკის წარმართვას დამოუკიდებლად აპირებდა, ყოველგვარი ჩარევების გარეშე.

შევარდნაძეს გააჩნდა ცოდნა და გამოცდილება პარტიულ და სახელმწიფო საქმეებში, თუმცა დიპლომატია მისთვის ახალი ხილი იყო. გორბაჩოვის მოულოდნელი გადაწყვეტილება კი იყო ნიშანი იმისა, რომ მას სჭირდებოდა ისეთი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც უშუალოდ გენერალური მდივნის პოლიტიკას გაატარებდა. მისი აზრით, საბჭოთა საგარეო პოლიტიკას სჭირდებოდა ახალი მიდგომა, სიმამაცე, დინამიზმი და ინოვაცია. ამერიკული ყოველკვირეული ჟურნალის „ნიუსვიქის“ მიხედვით, გორბაჩოვისთვის შევარდნაძის მთავარი ღირსება დიპლომატიური გამოცდილების არქონა გახლდათ. ამ აზრზე იყვნენ აგრეთვე საბჭოთა დიპლომატიის გამოცდილი მუშაკები – გრომიკოს მოადგილე ანატოლი კოვალიოვი და მაშინდელი საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში – იული ვორონცოვი. ვორონცოვი განმარტავდა, რომ გორბაჩოვს არ სურდა საგარეო სფერო ჩაებარებინა გრომიკოს კადრისთვის, ეს არამარტო კორნიენკოს ეხებოდა, არამედ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებისმიერ თანამშრომელს, ვინაიდან ძალზედ რთული იქნებოდა გრომიკოს ჩრდილიდან გამოსვლა და სრულიად ახალი მიმართულებით სვლა, რომ აღარაფერი ვთქვათ „ახალ პოლიტიკურ აზროვნებაზე“.

ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის დანიშვნის მიუხედავად, გარკვეული პერიოდის მანძილზე, გორბაჩოვი იძულებული იყო ანგარიში გაეწია გრომიკოსთვის, რომელიც ჯერ კიდევ დიდი ავტო-

რიტეტით სარგებლობდა როგორც პოლიტბიუროს გამორჩეული წევრი. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დასავლეთთან მიმართებაში პირველი სერიოზული ნაბიჯების მონახაზი საგარეო საქმეთა სამინისტროს გარეთ კეთდებოდა, საფრანგეთის ვიზიტისა და ჟენევის სამიტის ჩათვლითაც კი.

ანატოლი ჩერნიაევი, გორბაჩოვის ოფიციალური მრჩეველი საგარეო საქმეთა საკითხებში, მაშინ პონომარიოვის (ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელი) მოადგილე იგონებდა: ის (გორბაჩოვი) სულ უფრო ხშირად პონომარიოვს ავალებს სხვადასხვა საგარეო საკითხების გაძღოლას, არა იმიტომ, რომ ის აფასებს პონომარიოვს, არამედ იმისთვის, რათა გრომიკოს დაანახოს, რომ ცენტრალურ კომიტეტში იგი სხვასაც ეკითხება აზრს. ეს კიდევ ერთი მინიშნებაა, რომ გრომიკოს ეპოქა დასრულდა“ [2, 60].

გორბაჩოვის არჩევანი, გენერალური მდივნის რანგში პირველი ვიზიტით საფრანგენგეთს სწვეოდა, განპირობებული იყო პოზიციების ერთგვარად განმტკიცების სურვილით მის ამერიკელ კოლეგასთან ძალზედ მნიშვნელოვანი სამიტის წინ. მართალია, გრომიკო მიიჩნევდა, რომ აშშ საბჭოთა კავშირის მთავარი სტრატეგიული მოწინააღმდეგე გახლდათ და მთელი ყურადღება ამ მიმართულებით უნდა წასულიყო, ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილება მაინც დასავლეთ ევროპისკენ იხრებოდა. პონომარიოვისა და მისი გუნდის აზრით, საბჭოთა კავშირს უნდა გამოეძებნა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოკავშირეები, რომლებზეც შესაძლებელი იქნებოდა დაყრდნობა აშშ-სთან სტრატეგიული კონფრონტაციის დროს. ასეთ მოკავშირეებად არა მხოლოდ მოსკოვთან მიმართებაში შედარებით რბილი საფრანგეთი და გერმანია მოიაზრებოდნენ ტრადიციულ მემარცხენე ძალებთან ერთად (კომუნისტები და სოციალ-დემოკრატები), ასევე სავაჭრო კავშირები და სხვადასხვა „პროგრესული“, „ანტიიმპერიალისტური“ და „მშვიდობისმოყვარე“ მასობრივი მოძრაობები .

ჩერნენკოს მმართველობის პერიოდში გორბაჩოვმა აღმოაჩინა, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაზე მუშაობა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: პირველს სათავეში ედგა ანდრეი ალექსანდროვ-აგენტოვი (ბრეჟნევის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის სფეროში) და მეორე მიმართულებას აქტიურად კურირებდა საგარეო საქმეთა სამინისტრო. პირველი მიმართულება მომხრე იყო მოლაპარაკებების, შესაძლო შეთანხმებების გზების ძიების, ლიბე-

რალიზაციისა და ურთიერთობების გაუმჯობესების; მეორე – გრომიკოს გუნდი უფრო მკაცრი მიდგომის, შეიძლება ითქვას, ბეტონის ყალიბის გახლდათ.

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გორბაჩოვის პირველი ოფიციალური ვიზიტი დასავლეთში, კერძოდ საფრანგეთში 1985 წლის ოქტომბერში, ძირითადად მომზადებული იყო ცენტრალური კომიტეტის საგარეო განყოფილების მიერ.

საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი დადებითად იყო გამსჭვალული გორბაჩოვის აშკარა ცვლილების მიმართ. ასევე ოპტიმისტურ მუხტზე გახლდათ მარგარეტ ტეტჩერიც, რომელსაც ძალზედ მოსწონდა საბჭოთა ლიდერის პირდაპირობა და გულღიაობა. კლოდ ესტიე, ფრანგი სენატორი, რომელიც მიტერანს ახლდა მოსკოვში 1984 წლის ზაფხულში, იხსენებდა: „გორბაჩოვი რამდენიმე წუთის დაგვიანებით მოვიდა ოფიციალურ მიღებაზე კრემლში. როცა მან მაგიდასთან ადგილი დაიკავა, ყველას მოგვიბოდიშა და განგვიმარტა, რომ გადაუდებელი საკითხის გადაჭრა მოუხდა აგრარულ სექტორში. როცა მე ვკითხე, თუ როდის წამოიჭრა აღნიშნული პრობლემა, მან გაიღიმა და მიპასუხა: – 1917-ში“ [2, 62].

რაც შეეხება კრემლის ტაქტიკურ პრიორიტეტებს, გორბაჩოვის მრჩევლის ვადიმ ზაგლადინის განმარტებით, საბჭოთა კავშირი ვერ შეძლებდა დასახული მიზნისკენ სვლას აშშ-ს გარეშე და რადგანაც ამ ორ სახელმწიფოს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობები იყო, მოსკოვი მთავარ პოლიტიკურ პარტნიორად დასავლეთში ევროპას მოიაზრებდა. სწორედ ამიტომ გაკეთდა არჩევანი საფრანგეთზე, საიდანაც ახალი საბჭოთა მიდგომა უნდა გაცნობოდა მთელს მსოფლიოს. მართალია ჟენევის სამიტი უკვე დაანონსებული იყო, საბჭოელები მაინც არ იყვნენ დარწმუნებულნი, თუ როგორ განვითარდებოდა შემდგომში მოვლენები. რეიგანს ისინი ბოლომდე ვერ ენდობოდნენ. ევროპასთან ურთიერთობების გაღრმავებას კი ამერიკელებზე შესაძლო ზეგავლენის მოხდენის საშუალებად აღიქვამდნენ.

ედუარდ შევარდნაძეც ამართლებდა ამერიკისკენ „შემოვლითი გზით“ სვლას. ევროპასთან თბილი ურთიერთობების ჩამოყალიბება და ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან კონტაქტების დამყარება, მისი აზრით მხოლოდ წაადგებოდა მოსკოვს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა დიპლომატიის ამგვარმა მიდგომამ ბოლომდე მაინც ვერ გაამართლა. გორბაჩოვის მიერ ფართოდ გაშუქებულმა „ევროპის სამშვიდობო ინიციატივამ“

და პარიზში გაჟღერებულმა მოწოდებამ „საერთო ევროპული სახლის“ შესახებ მხოლოდ თავშეკავებული აპლოდისმენტები დაიმსახურა ეროვნული ასამბლეის სალონებში. (გორბაჩოვის სურვილის მიუხედავად, ის არ მიიწვიეს ოფიციალური მიმართვით წარმდგარიყო საფრანგეთის პარლამენტის წინაშე.) მან წინადადება წამოაყენა, საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს სტრატეგიული ბირთვული იარაღი ერთდროულად 50%-ით შემცირებულიყო აშშ-ს მხრიდან სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის პროგრამაზე უარის თქმის სანაცვლოდ და ასევე ევროპაში რაკეტების განლაგებაზე მორატორიუმის მზადყოფნა გამოხატა. მიუხედავად მისი კეთილი ნებისა, შემოთავაზება ფაქტიურად იგნორირებულ იქნა დასავლეთის და კერძოდ აშშ-ს მხრიდან. ამ ეტაპზე არც ამერიკა და არც მისი ევროპელი მოკავშირეები არ იყვნენ მზად, სერიოზულად განეხილათ აღნიშნული საეჭვო კონსენსუსი, მით უმეტეს, როცა საქმე ევროპაში ამერიკული რაკეტების განლაგებას ეხებოდა. მათთვის არ იყო საკმარისი მხოლოდ ბუნდოვანი დაპირება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის რადიკალური ცვლილების შესახებ, მით უმეტეს სულ ცოტა ხნის წინ დანიშნული და გარე სამყაროსთვის თითქმის სრულიად უცნობი გორბაჩოვისგან. აშშ-საბჭოთა კავშირის ჟენევის სამიტი ჯერ კიდევ წინ იყო, სადაც მოსკოვს სერიოზული გამოცდა უნდა ჩაებარებინა.

აშშ-ს პრეზიდენტთან მიტერანიც და ტეტჩერიც არ იშურებდნენ ოპტიმისტურ შეფასებებს საბჭოთა კავშირის ახალი გენერალური მდივნის შესახებ. თეთრი სახლიც დიდი ყურადღებით ადევნებდა მოვლენებს თვალყურს. ეს იყო პერიოდი, როცა რეიგანი უკვე მიიჩნევდა, რომ კონფრონტაცია უნდა დასრულებულიყო. მისი აზრით, ის ზარალი, რაც მოსკოვის მიმართ კარტერის „რბილმა“ პოლიტიკამ მოუტანა ქვეყანას, უკვე აღმოფხვრილი იყო.

ამ მხრივ, განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ მოექცა საბჭოთა კავშირის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. ერთი თვეც არ იყო გასული მისი დანიშვნიდან, როცა მას ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე მოუწია თავის წარმოჩენა. ჰელსინკის საბოლოო აქტის ხელმოწერის ათი წლის იუბილესთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრები დიდი ინტერესით ელოდნენ ახალი საგარეო საქმეთა მინისტრისთვის თვალის შევლებას. შევარდნაძე სიტყვით გამოსვლისას, როგორც მისი თარჯიმანი პაველ პალაჟჩენკო იხსენებს, საკმაოდ დაძაბულად და არა კომფორტულად გრძნობდა თავს. რამდენჯერმე არასწორი

მახვილი გააკეთა სიტყვებზე, ხელახლა დაიწყო რამდენიმე ფრაზა, ხმაც თითქოს დაძაბული და რიტმიდან ამოვარდნილი ჰქონდა, თუმცა სიტყვის შუა ნაწილში მან შეძლო სიმშვიდის დაბრუნება და გამოსვლა მაინც საკმაოდ კარგად დაასრულა გამამხნევებელი აპლოდისმენტების ფონზე [3, 34].

შევარდნაძის და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯორჯ შულცის შეხვედრა მეორე დღეს იყო ჩანიშნული. ახალბედა საგარეო საქმეთა მინისტრს, წინა დღისგან განსხვავებით, ნერვიულობისა და დაძაბულობის ნიშან-წყალიც აღარ ეტყობოდა. იგი უფრო თავდაჯერებულად და მშვიდად გამოიყურებოდა. შულცი დიდი ინტერესითა და შემფასებლური თვალით აკვირდებოდა კოლეგას. ძნელი სათქმელია, თუ როგორ წარმოედგინა ამ ორ ადამიანს მაშინ შემდგომი თანამშრომლობა, თუ პიროვნული ურთიერთობა. გამოკვეთილი ფორმალობის მიუხედავად, მათ შორის არ იგრძნობოდა მტრობისა თუ სიბრაზის ელემენტები. წინამორბედებისგან განსხვავებით ისინი საბრძოლო შემართების გამოვლენას არ ცდილობდნენ. შულცისა და შევარდნაძის მომდევნო შეხვედრებისას, აშკარა იყო, რომ მათ დაიწყეს ერთმანეთის პრობლემების გაცნობიერება, და შეიძალება ითქვას, მათ ურთიერთობებში ორმხრივი პატივისცემა და სითბო იგრძნობოდა.

ჟენევის სამიტამდე შევარდნაძე რონალდ რეიგანს ეწვია ვაშინგტონში. იგი საკმაოდ მომზადებული იყო ამ შეხვედრისთვის. სამიტზე განსახილველ თემებზე საუბრისას რონალდ რეიგანის ტონი უფრო შერბილებული ჩანდა. შევარდნაძემ თითქოს უხალისოდ დაიწყო საუბარი საბჭოთა კავშირის ხალხთა პოლიტიკური ერთიანობისა და მორალური სიძლიერის შესახებ. მას, ალბათ უფრო მეტად ის აფიქრებდა, შეძლებდა თუ არა საერთო ენის გამონახვას აშშ-ს პრეზიდენტთან. რონალდ რეიგანი ნამდვილი ამოცანა იყო მოსკოვისთვის. მისი ანტიკომუნისტური რიტორიკა საოცრად აღიზიანებდა არამარტო პარტიულ ელიტას, არამედ რიგით საბჭოელებსაც. მის განცხადებებს აფასებდნენ როგორც აბსოლუტურად უსარგებლოსა და კონტრპროდუქტიულს, განსაკუთრებით მაშინ, როცა დიდი საფრთხე არსებობდა ორი სუპერ სახელმწიფოს ბირთვულ ომში ჩაბმის თვალსაზრისით.

მაგრამ, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რეიგანი საოცრად ქარიზმატული პიროვნება გახლდათ. შეხვედრის პირველივე წუთებიდან, შევარდნაძე პოზიტიურად განეწყო მის მიმართ. საუბრისას ის

ავლენდა საოცარ თავაზიანობას, სიხალასეს და თითქოს ცდილობდა შევარდნაძის გულის მოგებას.

ზოგადად კი, ალბათ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მოსწონდათ თუ არა საბჭოელებს აშშ-ს პრეზიდენტი. მათ უნდა გაეთვალისწინებინათ ის ფაქტი, რომ რეიგანს ამერიკელი ხალხი უმაგრებდა ზურგს, რომელმაც იგი წინა წელს ხმების საკმაოდ დიდი რაოდენობით ხელახლა აირჩია. მათ უნდა დაევიწყებინათ ყველა ის უთანხმოება, რომელიც ხელს უშლიდა ორ ქვეყანას შორის არსებული სირთულეების გადალახვას და საღი გონებით ურთიერთობები სასიკეთოდ უნდა წარემართათ. პაველ პალაჟჩენკო მიიჩნევდა, რომ შევარდნაძე სწორედ ასე ფიქრობდა. სხვა შემთხვევაში, რეიგანთან შეხვედრა აზრს მოკლებული იქნებოდა. ის კი არ განეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც საქმეს მხოლოდ ფორმალურად, ვალის მოხდის მიზნით აკეთებდნენ.

მიუხედავად არსებული ეჭვებისა თუ მოლოდინებისა, ჟენევის სამიტის წინ მხარეები საბოლოოდ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ორი ქვეყნის ძირითადი მიზანი და საზრუნავი მათ შორის არსებული უნდობლობის აღმოფხვრა უნდა ყოფილიყო. ვინაიდან, განიარაღებაზე მსჯელობა, მაშინ როცა არსებობდა ორმხრივი უნდობლობის მომენტი, სულ ცოტა არაფრის მომტანი იქნებოდა. რეიგანის აზრით, ქვეყნებს შორის უნდობლობა არსებობდა არა იმიტომ, რომ ისინი ფლობდნენ შეიარაღებას, ქვეყნები სწორედ იმიტომ აწარმოებდნენ შეიარაღებას, რომ მათ შორის არსებობდა უნდობლობა. აშშ-ს პრეზიდენტი სწორედაც რომ ამ უნდობლობის გაქარწყლებას იმედოვნებდა. მართალია, საბჭოთა კავშირი არ აღიარებდა ამერიკის მმართველობის სისტემას და პირიქით, აშშ-იც არ სცნობდა საბჭოთა წყობილებას, მიუხედავად ამისა, მათ უნდა გაეგრძელებინათ წინსვლა მხოლოდ მშვიდობიანი კონკურენციის პირობებში.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Anatoly Dobrynin, In Confidence: Moscow's Ambassador to America's Six Cold War Presidents United States of America, 1995.
2. Anderei Grachev, Gorbachev's Gamble; Soviet Foreign Policy and the End of the Cold War United States of America, 2008.
3. Pavel Palazchenko, My years with Gorbachev and Shevardnadze; The Memoir of a Soviet Interpreter United States of America, 1997.

4. რონალდ რეიგანი, ამერიკულიცხოვრება, ავტობიოგრაფია, თბილისი, 2011.
5. Ronald Reagan, Presidential Library, WH Staff Member and Office Files Matlock Jeck F JR files, series III: US-USSR Summits Shultz-Shevarindnadze Mtg in NY 09/25/1985 – Geneva Files, A,6 Talking Points, Box 45.
6. Ronald Reagan, Presidential Library, WH Staff Member and Office Files Matlock Jeck F JR files, series III: US-USSR Summits, Geneva Meeting: Arrangements, logistics etc.Briefing Book.Pres. Reagan's Visit to Geneva, Box 49.
7. Ronald Reagan, Presidential Library, WH Staff Member and Office Files Matlock Jeck F JR files, series III: US-USSR Summits, Geneva Meeting: Mtg Memorandum / Presidential Mtg with Shevardnadze – Geneva, Meeting, Presidential Activities Proceeding, Box 52.

Tamar Darchia
Georgian technical university, Master of the Business-Engineering Faculty

New Political Thinking in the Relations between the USA and the Soviet Union in the 80-ies of the XX Century

The above-mentioned period is characterized as the era of fundamental changes. In this direction, the greatest attention is paid to the leaders of two opposing camps in the very hot period of the „cold War": Ronald Reagan together with Mikhail Gorbachev analyzing the serious threats facing humanity and move from aggressive rhetoric and dangerous confrontation to the constructive dialogue.

Under Gorbachev's leadership the Soviet Union proclaimed the need for new political thinking in international relations. This new thinking was based on number of propositions that there can be no victors in a nuclear war; security has to be based increasingly on political rather than military instruments; and security must be mutual, especially in the context of U.S.-Soviet relations, since if one side is insecure it will only make the other side insecure too.

It is right for Western governments to test Gorbachev, to probe the obscure areas in the new thinking, and to explore the practical implications of what he has said for arms control and for regional security. They should press for more openness in Soviet military affairs as one of the conditions for a stable and predictable strategic relationship. But the new thinking should also be tested in cooperative ways to see whether more can be done jointly with the Soviet Union in dealing with global problems connected to the „Cold War"

იაშა კუტუბიძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გლობალიზაცია მტერი თუ მოყვარე?

XXI საუკუნე გლობალიზაციის საუკუნეა. მისი დადებითი და უარყოფითი ტენდენციების კრიტიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ერთმანეთისგან იზოლირებულად არსებობა. გლობალიზაცია ქმნის ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების, ერების, ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობისათვის და ეს პროცესი შეუქცევადია. ამასთანავე, დასავლეთის გლობალისტთა მცდელობა – გაავრცელონ თავიანთი ფასეულობანი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, შეინარჩუნონ სამხედრო უპირატესობა და დაამკვიდრონ საკუთარი ეკონომიკური ინტერესები და ფასეულობანი, აწყდება სავსებით სამართლიან წინააღმდეგობებს სხვა ქვეყნებისა და ცივილიზაციების მხრიდან.

თანამედროვე ეპოქა, ერთის მხრივ, ესაა უდიდესი ცვლილებების, გრანდიოზული მეცნიერული აღმოჩენების, უახლესი ტექნოლოგიების ათვისების საუკუნე, მეორეს მხრივ კი იგი მთელი სიმწვავით სვამს კაცობრიობის წინაშე არაერთ აქტუალურ პოლიტიკურ, მორალურ, ფსიქოლოგიურ, მედიკობიოლოგიურ და სხვა პრობლემებს, რომელთა სისტემატური კვლევის გარეშე გაგვიჭირდებოდა სრულად გავერკვეთ თანამედროვე ეპოქის არსში.

მკვლევართა ერთსულოვანი აღიარებით, XXI საუკუნის ერთერთ ცენტრალურ პრობლემად იქცა თანამედროვე ურთულესი ეპოქის არსში გარკვევა. ამ პრობლემის ნათლად გააზრება შეუძლებელი იქნება მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის დროული და ყოველმხრივი ანალიზის გარეშე.

თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის პრობლემების კვლევით დაინტერესებული მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კომპანიების, ტრანსნაციონალური ბანკების, ასევე რეგიონების მზარდ როლზე, მასობრივი ცნობიერების ფორმირებისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, ასევე ეროვნული თვითმყოფადობისა და სახელმწიფოს როლის შესუსტებაზე. მაქსი-

მალური მოგების სურვილს უკავშირებს გლობალიზაციას ცნობილი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი და ლ. თუროუ.

აღსანიშნავია ქართველ მეცნიერთა ღვაწლი გლობალიზაციის როგორც პროცესის, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებების კვლევასთან დაკავშირებით [1].

მიუხედავად განსხვავებული შეხედულებისა, მათ მიაჩნიათ, რომ გლობალიზაცია მაღალგანვითარებული ტექნოლოგიური და რთული კომუნიკაციური და ინფორმაციული სისტემის შექმნის შედეგად იწვევს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების სულ უფრო გაღრმავებას, პირველ რიგში ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციას, საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრებასა და გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით.

მართლაც, გლობალიზაციის სახით ჩვენს წინაშეა მოვლენა, რომელიც, ერთი შეხედვით, რაღაც ნაცნობი და ამავე დროს, გაუგებარი, ძნელად მისახვედრი რამაა, რაც ცვლის ჩვენს ცხოვრებას და გვაიძულებს შევეგუოთ და მოვერგოთ ამ ცვლილებებს და გარკვეულად პასუხი ვაგოთ მათზე; ფული, ტექნოლოგიები, საქონელი, ინფორმაცია სხვადასხვა სახის შხამები და ა. შ. ისე გადმოლახავენ საზღვრებს, თითქოს ეს საზღვრები არც არსებობს. ისეთი რამეებიც კი, რაც ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფალთ არც აწყობთ, რომ თავიანთ ქვეყანაში შეუშვან (ნარკოტიკები, არალეგალური ემიგრანტები და სხვ.) პოულობენ ქვეყანაში შეღწევით გზებს.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის ენტონი გიდენსის სიტყვებით, რომ ვთქვათ, გლობალიზაცია ნიშნავს ჩართვას ისეთ არსებობასა და მოღვაწეობაში, რომელიც არ ცნობს ერთმანეთისაგან განცალკევებით არსებულ სამყაროებს, ეროვნულ სახელმწიფოებს, სხვადასხვა რელიგიებს, რაიონებსა და კონტინენტებს შორის მანძილებს.

გლობალიზაციის პროცესის გავლენით მსოფლიოში მკვიდრდება დედამიწის ყველა, მათ შორის ტერიტორიულად უკიდურესად დაშორებული ქვეყნების, ასევე ხალხებისა და საზოგადოებების, განსხვავებული ცივილიზაციების გაცხოველებული ურთიერთკავშირი და ურთიერთზეგავლენა, მათგან გამომდინარე როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგებით.

გლობალიზაციის არსს, როგორც ინტეგრაციის განუწყვეტელ პროცესს, ნაწილობრივ გამოხატავს, ერთი შეხედვით იუმორისტული, მაგრამ სინამდვილესთანაც ახლოს მდგომი შეხედულება: ინგლისის პრინცესა თავის არაბ საყვარელთან ერთად იმყოფე-

ბა გერმანულ მანქანაში, რომელსაც აქვს დანიური ძრავი, მართავს შოტლანდიური ვისკით მთვრალი ესპანელი მძღოლი და იღუპება პარიზში, სადაც ცდილობდა თავის დაღწევას იტალიელი პაპარაცებისაგან.

გლობალიზაცია ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, რომელიც გამოირჩევა სოციალური ურთიერთობების განუწყვეტელი ინტენსიფიკაციის პროცესით, მისთვის დამახასიათებელი განვითარების სპეციფიკური ეტაპებითა და ტენდენციებით, რომელმაც არსებითი ცვლილებები შეიტანა სახელმწიფოთა ურთიერთობის არა მხოლოდ ეკონომიკის სფეროში, არამედ გამოიწვია არსებითი ცვლილებები იდეების, ცნობიერების, აზრების, შეხედულებების სამყაროშიც. მანვე შეცვალა სახელმწიფოთა მმართველობის სტილი და მეთოდები.

როდესაც გლობალიზაციის პრობლემას ვეხებით, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ გლობალიზაცია არის არა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიები, მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვართა დანერგვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არამედ აგრეთვე ახალი მწვავე პრობლემები სულიერი კულტურის სფეროში, რაც პარალელურად აყენებს დღის წესრიგში კაცობრიობის მომავალი ბედის საკითხს – ადამიანის, ინდივიდის, პიროვნების და, საბოლოო ჯამში, ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითმყოფადობის პრობლემებს. გარდა სოციალურ-ეკონომიკურისა, გლობალიზაციას აქვს ეროვნულ-კულტურული ასპექტი, რომლის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, გლობალიზაციის თანმხლებმა უარყოფითმა ტენდენციებმა საფრთხე შეუქმნას ერებისა და მათი კულტურების თვითმყოფადობას, მათ შემდგომ არსებობასა და განვითარებას. ცხადია, ამ მხრივ, არც საქართველო იქნება გამონაკლისი, ვინაიდან, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები, გლობალიზაციის პროცესი ჩვენს ქვეყანასაც გარდაუვალად შეეხება. აქედან გამომდინარე, ყურადღების გარეშე არ უნდა დავტოვოთ მსოფლიოში მიმდინარე არსებითი ცვლილებები, რომლებიც პრაქტიკულად ყველა ქვეყანას შეეხება და გლობალიზაციის ფენომენს უკავშირდება. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების გააზრებისათვის სათანადო დრო და გამოცდილება არ არსებობს, მოვლენები კი ძალზე სწრაფად ვითარდება. არათუ გასული საუკუნის დასაწყისში, არამედ 20 წლის წინათაც კი ძნელი წარმო-

სადგენი იყო ინტეგრაციული პროცესების ისეთი სწრაფი განვითარება, როგორსაც დღეს აქვს ადგილი.

გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიფაქიზით უნდა გამოირჩეოდეს ადამიანთა სოციალური ცხოვრების პრობლემებისადმი დამოკიდებულება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მაღალგანვითარებული ტექნოლოგიები იძლევიან საშუალებას, რათა რომელიმე ქვეყნის, ერის, სულიერი მონაპოვარი, მათი კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა და ა. შ. ადვილად მისაწვდომი და გასაგები გახდეს სხვა ქვეყნებში მაცხოვრებელი ხალხისათვის.

მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა ხომ ადამიანთა გონით მოღვაწეობის ის სფეროებია, რომლებიც შესაძლებელია, განსაკუთრებით დაექვემდებაროს საყოველთაო გლობალიზაციას. ადამიანთა მოღვაწეობის ამ სფეროში გლობალიზაცია შესაძლებელია და აუცილებელიც, რადგან მსოფლიოს ხალხებმა გაიცნონ და გაითავისონ სხვადასხვა ერების მიერ შექმნილი კულტურისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები. აქვე შევნიშნავთ, რომ მისაღებად მიგვაჩნია კულტურის გლობალიზაციის შესაძლებლობები და არა გლობალური კულტურის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა კულტურაშია შესაძლებელი არსებობდეს სხვა ერებისათვის დამახასიათებელი კულტურული ნიშები, ზოგადად გლობალური კულტურა არ შეიძლება არსებობდეს.

ნამდვილი კულტურა შესაძლებელია იყოს მხოლოდ ეროვნული, ერის განვითარების გარკვეულ პერიოდში ამა თუ იმ ხალხის მიერ შექმნილი და გააზრებული. თუმცა, გლობალიზაციის უკან ყოველთვის მოიაზრებიან გარკვეული ძალები (ზოგჯერ ხილულად, ზოგჯერ უხილავად), რომლებიც ქმნიან და თვითონვე აკონტროლებენ გარკვეული ღირებულებების საფუძველზე აღმოცენებულ მთლიან გლობალურ სისტემებს, უშუალოდ მათზეა დამოკიდებული რა მიმართულებით წარიმართება გლობალიზაციის პროცესი – სტიქიურად თუ შედარებით კანონზომიერად.

თანამედროვე მსოფლიოში ასეთ გაბატონებულ, წამყვან ძალებად დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები მოიაზრებიან, რომლებიც დღენიადაგ ილტვიან დაიკავონ გაბატონებული მდგომარეობა მთელს პლანეტაზე, თავის შეხდულებებისამებრ დაალაგონ და მოაწყონ მთელი კაცობრიობა. ეს გარემოება არსებითად ცვლის ქვეყნების საფინანსო შესაძლებლობებს, მართვის ფორმებსა და სტილს ფინანსური უნარები გაცილებით უფრო

პრიორიტეტული ხდებიან, შესაბამისად სულ უფრო ხშირად იკავებენ მმართველ პოზიციებს ფინანსური მენეჯერები, ხელმძღვანელები. თანდათანობით მოდიდან გადადის ხელისუფლების გადანაწილებაც და ასპარეზზე გამოდის ბრძანებითი მენეჯმენტი.

ტრანსნაციონალი კომპანიების ყურადღების ცენტრში სულ უფრო ექცევიან პირამიდის თავში მდგომი ქვეყნები, მაშინ, როდესაც ყველა დანარჩენს როგორც გამოყენებად საგნებს ისე მოექცევიან.

კომპანიებიდან გაქრებიან განებივრებული კუდაბზიკები და ძალაუფლება წარმოსახვითი ბოსებიდან ფინანსური მენეჯერების ხელში გადაინაცვლებს [2, 7].

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებით, ძირითადად, ჩამოყალიბდა ორი განსხვავებული პოზიცია, თვალსაზრისი.

გლობალიზაციის მომხრეები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური ეპოქის პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთ ეფექტურ საშუალებას გლობალიზაციის პროცესების შემდგომი გაღრმავება წარმოადგენს. მათი აზრით, ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკების ერთიან ბაზარში მოქცევას თითოეული ქვეყნისათვის სარგებლობა მოაქვს.

მათი აზრით, გლობალური მოვლენების კიდევ უფრო გაღრმავების პროცესი ხელს შეუწყობს საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულების საერთო პლანეტური იდეის გაცნობიერებასა და პრაქტიკულ განხორციელებებს, რაც განვითარების ყოველი ეროვნული, სახელმწიფოებრივი და სოციალური პროგრამების უზრუნველყოფის ბაზა უნდა გახდეს. მომავალი აქვთ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა პოლიტიკაც (საშინაო თუ საგარეო) დაფუძნებული იქნება ინტეგრაციულ პრინციპებზე და ამოცანებზე. იმავდროულად ინტეგრაციული ქვეყნები გამოიმუშავებენ ერთიან პოლიტიკას სხვა სახელმწიფოებისა და რეგიონების მიმართ.

ანტიგლობალისტები (რომელთა რაოდენობა მსოფლიოში მნიშვნელოვნად მატულობს) ეწინააღმდეგებიან მოსაზრებას, რომ გლობალიზაცია მთელი მსოფლიოსათვისაა ხელსაყრელი. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ხალხი და ხელისუფლება მზადაა თავიანთ კეთილდღეობაზე უარი თქვან, როდესაც საქმე ეხება მათი ეროვნული მიზნების დაცვას. მათი აზრით, გლობალიზაციის პროცესი უნდა ჩადგეს სახელმწიფოთა მიერ წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ჩარჩოებში, რათა მან არ წაშალოს მსოფ-

ლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვილი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ღირებულებები, ეროვნული კულტურა და ა. შ., რომლითაც მრავალფეროვანი და მდიდარია სამყარო და რითაც უნდა იამაყოს მან. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი მიიღებს ერთგვაროვან სახეს, სადაც გაბატონდება ცალკეულ, ეკონომიკურად და სამხედრო პოტენციალით მდიდარ ქვეყანათა ჯგუფის ცხოვრების წესი და მიზანი და საზოგადოება დაკარგავს ყველაზე მთავარ და არსებით ნიშანს – მრავალფეროვნებასა და მიმზიდველობას.

გლობალიზაციის თანმხლები უარყოფითი ტენდენციების თაობაზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ამ პროცესს, ახასიათებს ეროვნული კულტურებისა და, შესაბამისად, პიროვნებათა ნიველირების, გათანაბრებისა და „სტანდარტიზაციის“ ტენდენციებიც. პიროვნება კი, როგორც ცნობილია, ხასიათდება იმით, რომ მისთვის არსებითია ინდივიდუალობა, თავისუფლება და შემოქმედებითობა. კულტურა, როგორც პიროვნების სოციალიზაციისა და ჰუმანიზაციის საშუალება და პირობა, აუცილებლობით გულისხმობს პიროვნების აქტიურ, თავისუფალ, შემოქმედებით მოღვაწეობას. შემოქმედება აუცილებელი და არსებითი მომენტია კულტურის ყველა ელემენტისათვის. შემოქმედებითი ხასიათისაა არა მხოლოდ კულტურის შექმნა, არამედ კულტურის ათვისების პროცესიც.

გლობალიზაციის პირობებში მთავარია, რომ არ მიიჩქმალოს კულტურისა და პიროვნების ურთიერთობის ეს არსებითი მომენტი და თავისებურება, ვინაიდან თუკი გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენით მისი ერთგვაროვანი, „სტანდარტული“ მოთხოვნების თანახმად, ყველაფერი ერთგვაროვან სახეს მიიღებს, მაშინ თანდათან წაიშლება და დაიკარგება ეროვნულ კულტურათა თავისებურებანი და სხვადასხვაობა. ეს კი, თავისთავად, აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება საკაცობრიო კულტურისათვის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გლობალისტთა აშკარა მიზანია, როგორც ჩანს, ერთიანი მსოფლიო ხელისუფლების მათვრობის შექმნა, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება, რომელსაც მოემსახურება ტოტალური კომპიუტერული კონტროლი, და რომლისთვისაც სრულიად ზედმეტი და უსარგებლო იქნება თანამედროვე მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაშინ სავსებით ლოგიკურია და გასაგები იმ მეცნიერთა განგაში, რომლებსაც გლობალიზაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი შრომების, ემპირიული და თეორიული ხასია-

თის გამოკვლევების სათაურებს – მსგავსად ო. შპენგლერის ცნობილი „ევროპის მზის ჩასვენებისა“, დაახლოებით ასე აყალიბებენ: „გლობალიზმის შეცდომები“, „პასუხები გლობალიზაციაზე“, „ახალი მსოფლიო წესრიგი და მასონიზმი“, „გლობალიზაციის პრაქტიკა“, „ახალი ეპოქის თამაშები და წესები“, „ცდუნება გლობალიზმით“ „გლობალიზაციის ხაფანგი“, „შეტევა აყვავებასა და გლობალიზაციაზე“ და ა. შ.

და მაინც, მსოფლიოში დღეს მიმდინარე გლობალური პროცესების მიმართ შეუძლებელია გვქონდეს მკვეთრად დადებითი ან მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება, რადგანაც მას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები და თუ ასევე სწორედ ამ პოზიციებიდან არ შევაფასებთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და დროულად არ გავაკეთებთ შესაბამის დასკვნებს, სრულიად შესაძლებელია, რომ გლობალური პროცესები სხვადასხვა სახის პრობლემების მიზეზი უფრო გახდეს, ვიდრე მათი გადაჭრის საშუალება. ამიტომ აუცილებელია, გლობალური პროცესების წამყვანმა ძალებმა დროულად მოახდინონ რეაგირება და მოსალოდნელი შედეგების (როგორიც დადებითი ასევე უარყოფითი) პროგნოზირება, რადგანაც, ცხადია, რომ ასე სწრაფად განვითარებადი ყოვლისმომცველი და შეუქცევადი პროცესის სრულად პროგნოზირება ძალიან ძნელია, თუმცა მისი მცდელობის არსი ისიცაა, რომ მოვიცვათ იმ საკითხთა და მოვლენათა ფართო სპექტრი, რომლებიც ზოგად წარმოდგენებს მაინც მოგვცემენ.

მართლაც და, გლობალიზაცია ყველგან ერთნაირი ინტენსივობით არ მიმდინარეობს. ყველასათვის ცხადია, რომ დღეს გლობალური კომპანიები ძირითადად თავმოყრილია განვითარებულ სამყაროში. გლობალიზაცია არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც შედეგი ერთი ან რამდენიმე წარმმართველი ძალისა, იგი არ უნდა იქნეს შეფასებული მხოლოდ ამერიკული ან დასავლური თვალთახედვით.

სხვადასხვა შეხედულება თანამედროვე საერთაშორისო სისტემებსა და მსოფლიო წესრიგზე იმის მაჩვენებელია, რომ არც ერთ მათგანს არ შეიძლება ჰქონდეს სრული ჭეშმარიტების პრეტენზია, ისე როგორც არც ერთი მათგანი არ არის ბოლომდე მცდარი და მიუღებელი.

დღეს გლობალური პროცესები ასე ღრმად ვერ განვითარდებოდა თუ მას საერთაშორისო მასშტაბით არ ექნებოდა საინფორმაციო საშუალებებით უზრუნველყოფა. ინფორმაციული ტექნოლო-

გიები გლობალიზმის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. გლობალიზაცია ხომ მართლაც, უპირატესად, კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაზაზე ერთიანი საყოველთაო საფინანსო ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების პროცესია. თანამედროვე კომპიუტერული, ელექტრონული, ფიჭური რადიოს, სატელეფონო სისტემების და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების მოხმარების საფუძველზე ადამიანები ურთიერთშორის ამყარებენ არა მხოლოდ აუცილებელ ეკონომიკურ კავშირებს, არამედ თითქმის ყოველდღიურ მეცნიერულ-ტექნიკურ, საგანმანათლებლო, ზოგადად, კულტურული ტიპის ურთიერთობებს. სულ უფრო ახალი საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების შექმნითა და განვითარებით ძირითადად ბიზნესის სფეროა დაკავებული. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ამ სფეროში გაბატონებულ მონოპოლიას მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები ფლობენ. ამ უპირატესობას ისინი ძალიან ხშირად პრაგმატული მოსაზრებითაც იყენებენ, კერძოდ, გლობალიზებული საინფორმაციო-ტექნოლოგიური ქსელების მეშვეობით ისინი ადამიანებს ხშირად მათი ნებისაგან დამოუკიდებლად თავს ახვევენ თავიანთ იდეოლოგიურ, კულტურულ ღირებულებებს, იდეებს შეხედულებებს და ა. შ. ანუ მათ გააჩნიათ შესაძლებლობები უშუალოდ იმოქმედონ სხვა ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერებაზე და ამით გაზარდონ ამ ქვეყნების მათზე დამოკიდებულების ხარისხი. ამიტომაც გლობალიზაცია შეიძლება მივიჩნიოთ კაცობრიობის განვითარების ახალ ეტაპად და არა ინტეგრაციის ახალ სახელწოდებად. სწორედ გლობალიზაციის ძირითადმა ტექნოლოგიურმა ატრიბუტებმა – კომპიუტერმა და მის მიერ წარმოქმნილმა ახალმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა გააერთიანეს სამყაროს განვითარებული ნაწილი ერთიან კომუნიკაციურ სისტემად, შექმნეს ერთიანი საფინანსო-ინფორმაციული სივრცე, როგორც გლობალიზაციის ფორმალური კრიტერიუმი.

მაინც, რა არის გლობალიზაცია, რა არის პრობლემის გლობალურ პრობლემად მიიჩნევს კრიტერიუმი. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, პრობლემა გლობალურია თუ მისი გადაწყვეტა მიიღწევა მხოლოდ მსოფლიო ქვეყნების გაერთიანებული ძალისხმევით და შესაძლებლობებით ანუ ეს პრობლემები საერთოა ნებისმიერი ქვეყნის, რეგიონის, ხალხის, ჩვენი პლანეტის თითოეული მაცხოვრებისათვის. სწორედ ამ ტიპის პრობლემების გადაწყვეტის გზითაა შესაძლებელი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და

სხვადასხვა საერთაშორისო ნორმების დამკვიდრება, რომელთა განხორციელება სავალდებულოა ამ პროცესში მონაწილე ყველა ქვეყნისთვის. სწორედ ეს საერთაშორისო ნორმები და სტანდარტებია ის მყარი საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს მეცნიერული, კულტურული, პოლიტიკური, ფინანსური, სავაჭრო, საინფორმაციო ურთიერთობები მსოფლიო ხალხებს შორის. ამასთანავე, აუცილებელია გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობას ღებულობდეს ყველა ქვეყანა მიუხედავად მათი მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალ-ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების დონის განსხვავებულობისა.

მთლიანობაში გლობალიზაციის პროცესი შეიძლება დახასიათდეს, როგორც პროგრესული მოვლენა ცივილიზაციის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ როგორც უნიფიცირებული, ერთიანი ცხოვრების წესის დანერგვის მცდელობა, მისი შეფასება არ შეიძლება იყოს ერთგვაროვანი. მხედველობაში გვაქვს მატერიალური მხარე გლობალიზაციისა, რომელიც გამოიხატება ხელსაყრელი პირობების შექმნით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის და, შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის და სულიერი მხარე, რომელიც ეხება ისეთ ცნებებს, როგორიცაა რელიგია, ეროვნული ტრადიციები და ღირებულებები, ისტორია, სამშობლოს სიყვარული და ა. შ. მათი უნიფიკაცია და არსებული თავისებურებების გაქრობა მოასწავებს მრავალფეროვნების შეცვლას ერთფეროვნებით, რაც, ჩვენი აზრით, მხოლოდ ნეგატიურად შეიძლება შეფასდეს. ტექნიკური პროგრესი და ზუსტი მეცნიერების განვითარება, თუკი იგი მიმართულია ადამიანის საკეთილდღეოდ, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მთელი კაცობრიობისათვის. ტექნიკური მიღწევა, რაოდენ დიდიც უნდა იყოს იგი, არ არის ეროვნული, რადგან რიცხვებსა და ფორმულებში გამოხატული ეს მიღწევა მოქმედების თანაბარი ძალით ვლინდება ყველა ქვეყანაში. ამ მოვლენისაგან განსხვავებით, ხელოვნება, კულტურა, განსაკუთრებით კი ლიტერატურა, მით უფრო მაღალი და ღირებულია, რაც უფრო ეროვნულია. მთავარია წინ აღვუდგეთ „ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების“ „ნიღბით შემოსილ“ ფსევდოღირებულებებს, რომლებიც ეროვნული ინდივიდუალობის გაქრობისაკენ არის მიმართული და დამღუპველია თვითონ კაცობრიობისათვის.

თუკი გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენით, მისი ერთგვაროვანი, „სტანდარტული“ მოთხოვნის თანახმად, ყველაფერი

ერთგვაროვან სახეს მიიღებს, მაშინ თანდათან წაიშლება და დაიკარგება, ეროვნულ კულტურათა თავისებურებანი და სახესხვაობა, „ხოლო ეროვნულ კულტურათა თავისებურებებისა და სახესხვაობის წაშლა და დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება საკაცობრიო კულტურისათვის. ეს კი კაცობრიობის ცხოვრების გაღარიბებასა და გაღატაკებას მოასწავებს. ისევე, როგორც სიღარიბისა და სიცარიელის მომასწავებელია ფერთა შეხამების შენაცვლება ერთი საერთო საშუალო ფერით“ [3, 218].

თუ კაცობრიობას მომავალი აქვს, ეს იმ პირობით, რომ იგი უარს იტყვის შერწყმისა და ნიველირების იდეაზე და ყოფას იმ ახალი გაგებით განსაზღვრავს, რომლის თანახმადაც მისი ჭეშმარიტი და სრულყოფილი სახით ყოფნა, მისი „ნადავლი სინამდვილე“ განურჩეველ ერთსახოვნებაში კი არ გამოისახება, არამედ განსხვავებულსა და თავისებურ ეროვნებათა ერთიანობაში [3, 218].

ამავე ავტორის სავსებით მართებული აზრით, კაცობრიობისათვის სრულიად არ კმარა ელემენტარულ დონეზე სიცოცხლე და, მაშასადამე, სიცოცხლის ელემენტარული პირობების შენარჩუნება. მას აგრეთვე ზოგადად კულტურის შენარჩუნება და განვითარება სჭირდება.

ხოლო კაცობრიობის კულტურის შენარჩუნება დ განვითარება კულტურათა თავისებურებებისა და სხვადასხვაობის შენარჩუნებასა და განვითარებას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს და გულისხმობს იმასაც, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პროცესი სხვადასხვა ცივილიზაციათა და, შესაბამისად, ღირებულებათა, კულტურათა, თანაარსებობის დიალოგის პირობებში უნდა წარიმართოს. სწორედ ეს უზრუნველყოფს ზოგადსაკაცობრიო კულტურის სიმდიდრეს და მრავალფეროვნებას.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, ნაწ. 3, თბილისი, 2001; რ. გოგოხია, შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მიდგომები, განვითარების ტენდენციები, თბილისი, 2004; თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე, პოსტსოციოლოგიური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი, 2001.
2. მსოფლიო 2009 წ. თბილისი.
3. კაკაბაძე ზ., ფილოსოფიური საუბრები, თბილისი, 1988.

4. Бек У., Что такое глобализация? Ошибки Глобализма – ответи на глобализацию, Москва, 2001.
5. Грании глобализации, М., 2003.
6. Карл Ясперс, Смысл и назначение истории, Москва, 1994.

Iasha Kutubidze
Professor of Technical
University of Georgia

Globalization – enemy or a friend?

Summary

The modern scientific and technological revolution is the progressive trend and no-one argues it. Improvement of society and formation of its material and technical basis are unimaginable without development of science and technology, but scientific and technological revolution accentuates the problem of spiritual values. World global problems have many negative consequences, including ecological crises, medical and biological problems, accumulation of weapons of mass destruction, consumering attitudes, etc. All these problems affirm that scientific and technological revolution brings many problems to humankind. These problems deepen and gain specific characteristics in the face of globalization.

Globalization implies not only new technologies and introduction of scientific and technological progress, but many acute problems in the field of social values and culture. Therefore, we must consider anew the problem of future of human, individual person, national cultures and generally identity of nations.

იგორ კვესელავა
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების საკონსტიტუციო ვარიაციები

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში დადგა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების პრაქტიკაში განხორციელების საკითხი, რომლის მიხედვით სახელმწიფოში დომინანტი პრემიერ-მინისტრი იქნებოდა. მაშინდელი ოპოზიციის შეფასებით ეს იყო ცვლილება, რომელიც სააკაშვილმა თავისთვის გაიმზადა, ვინაიდან 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ის პრემიერის პოსტის დაკავებას გეგმავდა.

ცხადია, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა ვითარება ძირეულად შეცვალა. ახალმა ხელისუფლებამ საკონსტიტუციო რეფორმები დაიწყო და ეს უპირველესად პრეზიდენტის უფლებების შემცირების ნორმების სწრაფად ამოქმედებას შეეხებოდა, თუმცა კონსტიტუციონალისტები სხვა ცვლილებების აუცილებლობაზეც საუბრობდნენ.

2012 წლის 22 ნოემბერს ქვეყნის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე ხაზი გაუსვა, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი არ დადგებოდა, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობა, საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივით გამოვიდოდა, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტის არჩევნებამდე კონსტიტუციურად მოხდებოდა მმართველობის საპარლამენტო მოდელის ამოქმედება.

2012 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა გახდა, შესაბამისად, ლოგიკური იყო პრეზიდენტი, რაც შეიძლება სწრაფად დაქვემდებარებოდა ახალ საკონსტიტუციო ცვლილებებს, ანუ შესაბამისობაში მოსულიყო უზენაეს კანონმდებლობასთან, თუმცა სააკაშვილი ასე არ ფიქრობდა, რომელმაც 2012 წლის 23 ნოემბერს, პირველად, ღიად გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ახალი კურსის მიმართ და განაცხადა, რომ „საქართველო განსაცდელშია და ამ განსაცდელში

მას არ მიატოვებს". მაშინ ყველა პოლიტოლოგ-ექსპერტი თანხმდებოდა იმაზე, რომ სააკაშვილი „ქართულ ოცნებას" და მის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს გულისხმობდა.

მოგვიანებით მ. სააკაშვილი აკონკრეტებდა, რომ რჩებოდა პოლიტიკაში: „მე ვიქნები პოლიტიკაში. ეს პერიოდი დადგება ბევრად უფრო ჩქარა, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია, არა ოთხ წელიწადში და არა რვა წელიწადში. როგორც დღეს ვუყურებ, თუ ჩემი პროგნოზი გაინტერესებთ, პირველივე არჩევნებს, რომელსაც დღევანდელი მთავრობა წააგებს, იქნება ეს საპრეზიდენტო თუ ადგილობრივი არჩევნები, პარლამენტში მოჰყვება სერიოზული გადაჯგუფებები, პარლამენტის გარშემო და არ გამოვრიცხავ, რომ სამთავრობო გუნდშიც. მოვა პერიოდი იმისა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა ჩამოაყალიბოს ასევე მთავრობა" [1].

პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები იყვნენ და თუ ეს დამახასიათებელია ევროპული დემოკრატიისათვის, ქართული პოლიტიკური სინამდვილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა და, ფაქტობრივად, საქმე გვქონდა კლასიკურ კონფლიქტთან. მართალია, ახალი საკონსტიტუციო ნორმები საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევიდოდა ძალაში, მაგრამ საზოგადოებამ ახალი მოდელის პარლამენტს მისცა ხმა, რომლითაც აღიარა კიდეც პარლამენტის დომინანტობა და ხელისუფლების სხვა შტოებიც ამ მოდელზე უნდა გადასულიყვნენ.

კონსტიტუციის არსს ხელისუფლების თვითშეზღუდვა წარმოადგენს. ზოგიერთ ქვეყანაში საერთოდ არ არსებობს დაწერილი კონსტიტუცია, მაგრამ არის ხელისუფლების თვითშეზღუდვის და დანაწილების მდიდარი ტრადიცია (ინგლისი, ისრაელი, ახალი ზელანდია და ა. შ.).

ბევრი ქვეყანა ასწლეულების მანძილზე ხვეწდა თავის კონსტიტუციას. საფრანგეთმა ხუთი რესპუბლიკა და 16 კონსტიტუცია იგემა. დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციები ამ ქვეყნების მენტალიტეტზე, ფსიქოლოგიაზე, კულტურაზე, ისტორიაზე და ხალხის თავისებურებებზეა დაფუძნებული, თუმცა, პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა მოდელების მიუხედავად, ყველგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძალთა დაბალანსებას და კონტროლს.

2013 წლის მარტში შეიქმნა სიტუაცია, როდესაც პრეზიდენტს ჰქონდა შესაძლებლობა ასანთისთვის გაეკრა ხელი და „პო-

ლიტიკური ცეცხლი" გაეჩაღებინა – დაეთხოვა მთავრობა და პარლამენტი.

21 მარტს უმრავლესობისა და უმცირესობის შეთანხმების მიხედვით, პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო საპარლამენტო ცვლილება, რომელიც ზღუდავდა პრეზიდენტის უფლებებს. „ნაციონალური მოძრაობა" თანხმობის სანაცვლოდ კონსტიტუციაში ქვეყნის საგარეო კურსის უცვლელობაზე ჩანაწერის დაფიქსირებას ითხოვდა, ამაზე უარის მიღების შემდეგ კი მ. სააკაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის" სრული ამნისტია მოითხოვა, უმცირესობის ბოლო მოთხოვნა კი ამ საკითხებზე სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარება იყო.

ცხადია, საპარლამენტო უმრავლესობამ ყველა პოლიტიკურ გარიგებაზე უარი თქვა, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო გუნდი იძულებული გახდა ყველა საკონსტიტუციო ცვლილებისათვის დაეჭირა მხარი.

საპარლამენტო კენჭისყრიდან რამდენიმე წუთში, გაგულისებულმა პრეზიდენტმა საგანგებო განცხადება გააკეთა და, ფაქტობრივად, გამორიცხა თანამშრომლობა „ქართული ოცნების" პოლიტიკურ გუნდთან.

„ყველანაირი მცდელობა, რომ მე გამომიყვანონ პოლიტიკური ბრძოლიდან, ახლა ან მომავალ წლებში, არ გამოგივათ იმიტომ, რომ მე ვიქნები ერთ-ერთი მებრძოლი იმ ბრძოლაში, რომელსაც დემოკრატიისა და განვითარების საბოლოოდ დამკვიდრება და გაგრძელება ჰქვია. მე მინდა ვუთხრა ხალხს, გულს ნუ გაიტეხთ, ჩვენი ბრძოლა გრძელდება და დღეს ვაჩვენეთ, რომ ძალიან ბრძოლისუნარიანები ვართ. ჩვენ ჩვენს ბრძოლას გავაგრძელებთ, მე თქვენთან ერთად ამ ბრძოლას გავაგრძელებ. პრეზიდენტის რანგში, თუ პრეზიდენტის რანგის გარეშე მანამ, სანამ საქართველოს ხელახლა გადარჩენის საკითხი დგას" – აცხადებდა მ. სააკაშვილი. მისი აზრით, „ნაციონალურმა მოძრაობამ" საქართველო გადაარჩინა 2003 წელს, 2008 წელსაც და საქართველო გადარჩებოდა ამ გამოწვევებშიც. ის ირწმუნებოდა, რომ 21 მარტს დაიბადა ახალი „ნაციონალური მოძრაობა", რომელიც ბოლომდე იბრძოლებდა და ყველას დაუმტკიცებდა, რომ ცოცხალი იყო, ვიდრე ოდესმე [2].

ამ კონტექსტში შეიძლება წარმოვიდგინოთ პოსტსაბჭოური საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორია, როდესაც სახელმწიფოს მეთაურები ქვეყნის მმართველობის სისტემას პირად პოლიტიკურ ინტერესებს უკავშირებდნენ. სწორედ ამ ტენდენცი-

ით ხასიათდებოდა 1995, 2004 და 2010 წლების საკონსტიტუციო რეფორმები.

პოსტსაბჭოური საქართველოს პირველი კონსტიტუციის პროექტი, 26-თვიანი მომზადების შემდეგ, მიუღებელი აღმოჩნდა პირადად შევარდნაძისათვის. მის მიღებას არავითარი სახალხო განსჯა არ უსწრებდა წინ და პარლამენტის 235 დეპუტატიდან მხოლოდ 157 პარლამენტარმა, პრაქტიკულად განხილვის გარეშე დაუჭირა მხარი და მხოლოდ ერთი ხმით გადალახა მისაღები ზღვარი.

„მოქალაქეთა კავშირიდან" გამოყოფილი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სახელით მოქმედი პოლიტიკური პარტია, როგორც ახლა ირკვევა, თავიდანვე სიყალბის გზას დაადგა, მიითვისა, 1999 წლიდან არსებული ანალოგიური დასახელების პარტიის სახელწოდება და ამ ფაქტის გამჟღავნების შემდეგ იუსტიციის მინისტრის იმჟამინდელმა მოადგილემ და შემდგომში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, კოტე კუბლაშვილმა მეორე მხარის თანხმობის გარეშე გამოსცა უკანონო „ბრძანება" მათი გაერთიანების შესახებ [3].

სიყალბის გზით შექმნილმა ერთიანმა „ნაციონალურმა მოძრაობამ" კარგად ისარგებლა, შევარდნაძის მიერ „გაყალბებული", 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადებით და ხალხის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერით, თუმცა სახელმწიფო გადატრიალების გზით, მოვიდა ხელისუფლების სათავეში. შესაბამისად, ამას მოჰყვა 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების საკუთარ ძალაუფლებაზე მორგება და სუპერსაპრეზიდენტო მმართველობის დამკვიდრება.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებიც მიზნად ისახავდა მ. სააკაშვილის ძალაუფლების შენარჩუნებას სხვადასხვა ფორმით და საშუალებებით. პრეზიდენტს არანაირი ბერკეტი არ ჰქონდა პოლიტიკურ სიტუაციაზე სერიოზული გავლენა მოეხდინა, თუმცა კონსტიტუციაში ჩადებული ერთი „პოლიტიკური ნაღმის" გამო შეეძლო ვადის დასრულებამდე დაენიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც მთელი რიგი ტექნიკური ხასიათის იურიდიული მიზეზით ცალკეული საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში ვერ შევიდოდა და ქვეყანას მომდევნო წლების განმავლობაში, ისევ სუპერსაპრეზიდენტო მოდელის პირობებში მოუწევდა ცხოვრება, თუმცა ცხადია, მ. სააკაშვილი ამას იმ შემთხვევაში დაუჭერდა მხარს, თუ ეს ვარიანტი მისი ჯგუფის პოზიციებს გააძლიერებდა.

საქმე ის იყო, რომ მთელ რიგ მუხლებში, რომლებიც ოქტომბერში ძალაში უნდა შესულიყო, ჰქონდა მინაწერი: „ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან“.

მ. სააკაშვილის ვადამდელი გადადგომის შემთხვევაში, კონსტიტუციის 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდებოდა 45 დღის ვადაში და მათ ჩატარებას უზრუნველყოფდა პარლამენტი, მაგრამ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები პარლამენტს მოგვიანებით უნდა მიეღო.

ცხადია, ისეთ ვითარებაში, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პარლამენტში მთლიანად აკონტროლებდა უმრავლესობას, სააკაშვილის გეგმებს შესრულება არ ეწერა. მით უმეტეს, „ნაციონალებს“ არავითარი შანსი არ ჰქონდათ დაემარცხებინათ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, თუმცა იმ პერიოდში „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობდა ერთ-ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში – უშიშროების საბჭოში, რომელიც ახალი ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარებოდა, შეემუშავებინა სხვადასხვა ანტისახელმწიფოებრივი სცენარი, რომელიც პრობლემებს შეუქმნიდა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდს.

უდავოა, „ნაციონალური მოძრაობის“ ამ შტაბში სამოქმედო გეგმებს ცივ ლოგიკასა და ზუსტ ციფრებზე დაყრდნობით არასოდეს ადგენდნენ და ადვილად შეეძლოთ მიეღოთ არაადეკვატური გადაწყვეტილებები, მათი პიროვნული, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, მათი „ფიურერის“ ხელმძღვანელობით, ყოველთვის მზად იყვნენ, თუნდაც თეორიულად, სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად და იმჟამად ამის პოლიტიკური, ფინანსური და მედიარესურსებიც ჰქონდათ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარედანაც.

პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოში არაერთხელ მოხდა საკონსტიტუციო დარღვევები და ხელისუფლებამ არაერთხელ მოახდინა ძირითადი კანონის „გაუპატიურება“ და სწორედ კანონისადმი ასეთმა არასახელმწიფოებრივმა დამოკიდებულებამ განსაზღვრა კიდევაც მათი სიმძიმე და საბოლოო მარცხი.

2013 წლის ივლისისათვის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ახალი საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ. კომისიაში მმართველი კოალიციის გარდა ფართო პოლიტიკური სპექტრი და არასამთავრობო ორგანიზაციები იქნებოდნენ წარმოდგე-

ნილი, რომლებსაც ერთი წლის განმავლობაში უნდა ემუშავათ და კონსენსუსის საფუძველზე შეექმნათ ახალი საკონსტიტუციო მოდელი.

ამავე პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გაახმოვანა, რომ ახალი კომისია უფლებამოსილი იქნებოდა ფუნდამენტურად გადაეხედა კონსტიტუციისათვის, მით უმეტეს 1995 წლის კონსტიტუციაში დღემდე 30-ზე მეტი ძირითადი ცვლილება იყო შესული, რომლებმაც ის სერიოზულად დააზიანა.

საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებებით კონსტიტუციის გაუმჯობესება სამ ეტაპად განხორციელდებოდა. პირველ ორ ეტაპზე მოხდებოდა გადაუდებელი ცვლილებების შეტანა, მესამე კი კონსტიტუციის ფუნდამენტურ გადასინჯვას ითვალისწინებდა.

დ. უსუფაშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებები რამდენიმე ათწლიან პერსპექტივაზე იყო გათვლილი, ხოლო კომისიის ფუნქცია იქნებოდა არა მხოლოდ სამართლებრივად უზრუნველყოფილი ტექსტის დაწერა, არამედ პარალელურად სტრატეგიული დოკუმენტის შექმნაც. ცხადია, ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების იდეას მხარი არ დაუჭირა „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო უმცირესობამ, რაც მათი პოლიტიკური რეჟიმის გაგრძელება იყო.

ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხი წინა პლანზე იწეოდა, მაშინ, როდესაც მთელ რიგ ქვეყნებში მცირდებოდა თვითონ კონსტიტუციის ტექსტის ღირებულება. მართალია, მოსახლეობის დიდი ნაწილი აღიარებდა კონსტიტუციის მნიშვნელობას, მაგრამ ძალიან ცოტამ იცოდა ტექსტის შინაარსი. ამ კონტექსტში საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამდა პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ კიკნაძე. მისი აზრით, კონსტიტუციის ტექსტი გაინხილებოდა მხოლოდ იურიდიული ასპექტით, მაშინ, როდესაც კონსტიტუციას უნარი შესწევდა ჩამოეყალიბებინა ქვეყნის სამოქალაქო სახე, ხელი შეეწყო ერის თვითიდენტიფიკაციისათვის, გამოევლინა ქვეყნის სულიერი სიძლიერე, მაშინ, როდესაც ცუდი კონსტიტუცია გამოხატავდა მოსახლეობის დაქსაქსულობას, პოლიტიკური სისტემის სისუსტეს [4].

უდავოა, კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა ხელისუფლების შეზღუდვის ფუნქცია, მაგრამ პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციებს ჰქონდათ რეჟიმის ნგრევის და ახლის ჩამოყალიბების, პოლიტიკური მომავლის

კონტურების შექმნის და პოლიტიკური დიალოგის წარმართვის ფუნქციაც.

ცხადია, ქართული პოლიტიკური სინამდვილისათვის ადვილი არ იყო მდგრადი კონსტიტუციის მიღება, პოლიტიკური ელიტის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებლობის პირობებში, მით უმეტეს შეუძლებელი იქნებოდა ამის გაკეთება ქართული მენტალიტეტის ფსიქოლოგიის, ისტორიული წარსულისა და გამოცდილების და კულტურის გათვალისწინების გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით მოსაზრებას გამოთქვამდა სამართლის დოქტორი დავით წერეთელიც, რომელიც ფიქრობდა, რომ მისაღები და საჭირო კონსტიტუციურ-სამართლებრივი სისტემა საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოძიებული და სწორედ ეს გარემოება წარმოშობდა კონსტიტიციურ პრობლემებს. მით უმეტეს, 2013 წლის აგვისტოსთვის გამოირკვა, რომ საკონსტიტუციო კომისიის ფორმირება გადაიდო. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმალაძის აღიარებით, იმის მიუხედავად, რომ საკონსტიტუციო კომისიის ახლო მომავალში ამოქმედების თაობაზე ბევრჯერ ითქვა ამ საქმისათვის „თავის მობმა“ ვერ მოხერხდა, თუმცა, მისივე განმარტებით, კომისია პარლამენტის დადგენილებით შეიქმნებოდა და მას ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი ექნებოდა.

ცხადია, არსებობდა გარკვეული, მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუშალეს ახალი საკონსტიტუციო კომისიის შექმნასა და ამოქმედებას. მით უმეტეს, საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მოვლენები ისე განვითარდა, რომ წინა ხელისუფლების გუნდი მაინც დარჩა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ასპარეზზე.

ვ. ძაბირაძის შენიშვნით, ხელისუფლება ორ ნაწილად იყო გაყოფილი: 1) პრეზიდენტი თავისი საპარლამენტო უმცირესობით, დედაქალაქის მერიით და რაიონების გამგებლებით და საქართველოს სხვადასხვა მხარეში დარჩენლი, ყოფილი ხელისუფლების მმართველობებით და მეტ-ნაკლებად სასამართლო ხელისუფლებით და პრემიერი 2) საპარლამენტო უმრავლესობით, მთავრობით და ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში დანიშნული რწმუნებულებით და გამგებლებით.

ეს იყო ურთულესი ვითარება, როდესაც „ქართული ოცნება“ ერთი წლის განმავლობაში შინ და გარეთ პოლიტიკური ავანტურების კერების ჩაქრობით იყო დაკავებული. ყველგან ვერ მოხერხდა

სახელისუფლებო სტრუქტურების რეფორმირება, რომლის თვალსაჩინო მაგალითი იყო იუსტიციის საბჭოს არჩევნები და სასამართლო ხელისუფლების რეფორმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ეპოქაში მოხდა ელიტური კორუფციის ჩამოყალიბება, რომელიც შეერწყა ელიტურ ბიუროკრატიას. „საქართველოს ეკონომიკა ნომენკლატურული კაპიტალიზმის მოდელს უფრო მიუახლოვდა, ვიდრე თავისუფალი კაპიტალიზმის მოდელს“ – შენიშნავდა ვ. ძაბირაძე [5].

2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ წყვეტდა სოციალურ პრობლემებს. უფრო მეტიც, აქ საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ზოგადად იყო მინიშნებები სოციალურ საკითხებზე, მაშინაც, როდესაც აღნიშნული ქვეყნების კონსტიტუციების ცალკეული თავები, პარაგრაფები თუ მუხლები უშუალოდ აფიქსირებდნენ თავიანთ დამოკიდებულებას სოციალური ფასეულობების მიმართ.

2013 წლის ოქტომბერში პარლამენტმა იმსჯელა საკონსტიტუციო კომისიის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება – კომისია წარმოდგენილი ყოფილიყო პარლამენტის 20 წევრით, პარლამენტში მყოფი კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების და არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიების თითო წარმომადგენელით, რომელთა საპრეზიდენტო კანდიდატი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებდა ხმების 3%-ზე მეტს. კომისიაში ასევე უნდა შესულიყვნენ საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეები, სახალხო დამცველი, იუსტიციის მინისტრი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, მთავრობის საპარლამენტო მდივანი და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე.

კომისიაში ასევე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყვნენ სამართლის, საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო მართვის არა უმეტესი 20 ექსპერტ-სპეციალისტისა და ამავე სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ ისიც გაცხადდა, რომ გამოვლინდა საპარლამენტო რესპუბლიკისათვის არადამახასიათებელი ნიშნები, რომელსაც ზოგიერთი კონსტიტუციონალისტი ამართლებდა იმით, რომ საქართველოში შერეული მმართველობის სისტემა არსებობდა, თუმცა გ. მეფარიშვილი არ გამო-

რიცხავდა უახლოეს პერიოდში კონსტიტუციის ახალი პროექტის მომზადებას.

2014 წლის იანვარში ა. დემეტრაშვილის და პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორის მ. მაცაბერიძის და სამართლის პროფესორის ბ. ქანთარიას ხელმოწერით გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა მოსაზრებები, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, რომელშიც ავტორები კვლავ წინ სწევდნენ 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის თემას. ცნობილია, რომ აღნიშნული დოკუმენტის ამოქმედება შეაჩერა რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად განხორციელებულმა სამხედრო გადატრიალებამ და, შესაბამისად, საბჭოური პოლიტიკური რეჟიმის დამკვიდრებამ.

ცხადია, 1990 წელს ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, დაიწყო ფიქრი 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ახალი საკონსტიტუციო დოკუმენტის შემუშავების შესახებ, თუმცა მას არ აღუდგენია 1921 წელს მიღებული კონსტიტუცია.

1992 წლის თებერვალში რუსეთ-საქართველოს მეოთხე ომის და სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსულმა სამხედრო საბჭომ (თ. სიგუა, თ. კიტოვანი, ჯ. იოსელიანი) უმართებულოდ აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია, რამაც კიდევ უფრო გაართულა ქვეყანაში მიმდინარე საკონსტიტუციო პროცესი.

წერილის ავტორების ცნობით, 1993-1995 წლებში მომუშავე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ ბევრი რამ გადმოიღო საქართველოს პირველი რესპუბლიკის საკონსტიტუციო დოკუმენტიდან [6], შესაბამისად, მისი კვალი ჩანს 2004 და 2010 წლებში მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებშიც.

ამ კონტექსტში საინტერესოდ გვეჩვენება ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ახალმა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ ამოსავალ წერტილად აიღოს არა 1995 წელს მიღებული საკონსტიტუციო დოკუმენტი, არამედ 1921 წლის კონსტიტუცია, მით უმეტეს, ახალმა ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა საპარლამენტო მოდელს, რომელზეც 1995 წლის კონსტიტუციაში თითქმის არაფერია ნათქვამი.

ახალი კომისია გვერდს ვერ აუვლის ქვეყნის ფედერალური მოწყობის პრობლემასაც, რომელსაც ასე უფრთხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრის გარკვეული ნაწილი და მასში ჰიპო-

თეტურ საფრთხეებს ხედავს. დღემდე კონსტიტუციაში საერთოდ არ არის განსაზღვრული საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრობლემატური საკითხი, თუმცა როგორც ჩანს, თვითმმართველობის კოდექსის მიღებით ერთი ნაბიჯი რეგიონალიზმისაკენ გადაიდგა.

უკვე 2014 წლის მარტის დასაწყისში, ქვეყანაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის ხელმძღვანელობით. კომისიის მდივნად რეკომენდაცია გაეწია კონსტიტუციონალისტ გიორგი კვერენჩხილაძეს. შეიქმნა ხუთი სხვადასხვა ჯგუფისაგან შემდგარი კომისია, რომლის შემადგენლობაში 58 წევრი გაერთიანდა.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრი, ქვეყნის მოსახლეობა იმედით ელოდება სამოქალაქო საზოგადოებისაკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს – საქართველოს 1921 წლის საკონსტიტუციო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ ახალ ქართულ კონსტიტუციას, რომელშიც ერთხელ და სამუდამოდ გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს ისტორიული და თანამედროვე რეალიები.

2010 წელს მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა დასაბამი მისცა საპარლამენტო მმართველობის ამოქმედებას, მაგრამ მან ვერ შექმნა საპარლამენტო რესპუბლიკის სრული სისტემა. ამ მოსაზრებას იზიარებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც, რომლის აზრით, კონსტიტუციის დღევანდელი მოდელი დასახვეწია მთავრობას, პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ბალანსის დამყარების თვალსაზრისით.

„ბოლო დროს ნათლად გამოჩნდა, რომ კონსტიტუციის დღევანდელი მოდელი გადახედვას საჭიროებს. სწორედ ამისთვის შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც დღეს არსებულ ხარვეზებს გამოასწორებს და კონკრეტული პოლიტიკური ძალისათვის მორგებულ დებულებებს გამორიცხავს. ქვეყანას, ბოლოსდაბოლოს, ექნება კონსტიტუცია, რომელიც ფართო კონსენსუსის გზით იქნება მიღებული“ – აცხადებდა ირაკლი ღარიბაშვილი [7].

უდავოა, 1995 წელს მიღებული კონსატიტუცია ხელისუფლებების მხრიდან მუდმივ ცვლილებებს განიცდიდა, შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის ინტერესებზე იყო მორგებული და ბევრ პოლიტიკურ და სამართლებრივ გაუგებრობებს იწვევდა. შესაბამი-

სად, დღის წესრიგში დადგა ახალი კონსტიტუციის შექმნის ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ძირეული ცვლილებების საკითხი, როგორც კონცეპტუალური, ისე ახალი რეალობის გათვალისწინებით. ასეთია, ძირითადად, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრის უდიდეს ნაწილში ჩამოყალიბებული განწყობა.

ამ მიმართულებით პროცესების დაჩქარების აუცილებლობა გამოიკვეთა 2014 წლის აგვისტოს ბოლოს, უფლებამოსილებების გადანაწილების საკითხში, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის წარმოშობილმა საკონსტიტუციო გაუგებრობებმა. მთავრობის საპარლამენტო მდივნის შალვა თადუმაძის აზრით, კონსტიტუციაში მოცემული მთავარსარდლის ფუნქციები პრეზიდენტისთვის მხოლოდ სიმბოლურ დატვირთვას იძენდა, მით უმეტეს, ცალკეულ საპარლამენტო მოწყობის ქვეყნებში პრეზიდენტი ან მონარქი კონსტიტუციით შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად მიიჩნეოდა, მაგრამ მათი ფუნქციები ომის შემთხვევაში შემოიფარგლებოდა მხოლოდ ბრძანების გაცემით მოქმედებით.

ამ მოსაზრებას არ იზიარებდა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე, რომელიც ფიქრობდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის უფლებები საომარი მოქმედებების დროს სიმბოლური ვერ იქნებოდა კონსტიტუციის სხვადასხვა ინტერპრეტაციის შემთხვევაშიც. მით უმეტეს, მისი აზრით, საქართველოს კონსტიტუციით მყარად იყო განსაზღვრული სახელმწიფო მეთაურის პოლიტიკურ-სამართლებრივი ფუნქცია და საქართველოს მმართველობითი მოდელი აბსოლუტურად განსხვავდებოდა გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ისრაელის თუ სხვა ქვეყნებისაგან, სადაც პრეზიდენტებს კონსტიტუციით ჰქონდათ შეზღუდული უფლებამოსილებები [8].

თითქმის ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამდა კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი, რომლის განმარტებით, სამხედრო ძალის გამოყენების დროს პრეზიდენტი იღებდა გადაწყვეტილებას და ეს იყო ძალაუფლება, უფლებამოსილება და არა სიმბოლო [9].

პრეზიდენტის უფლებამოსილების კონსტიტუციურ გარანტიებს ეხებოდა ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მუჩაიძის მსჯელობაც, რომელიც აფიქსირებდა, რომ პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის კომპეტენციებიდან ერთ-ერთის (პრეზიდენტის – ი. კ.) დაკნინება და მის-

თვის კონსტიტუციური უფლებების ჩამორთმევის პროცესი მიმდინარეობდა, რაც აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო [10].

საქართველოში მთავრობასა და პრეზიდენტს შორის წარმოშობილი გარკვეული უთანხმოებები, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიერ, 2010 წელს, მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან იყო დაკავშირებული. საზოგადოებრივი პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ქვეყანას საპარლამენტო რესპუბლიკის რეჟიმში უნდა ეცხოვრა, სადაც პრეზიდენტს მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ექნებოდა, თუმცა ამ იდეას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდა.

პრეზიდენტს ჰქონდა გარკვეული უფლებები, ის იყო უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში, მაგრამ მისი ნებისმიერი ხელმოწერა საჭიროებდა მთავრობის თანხმობას (კონტრასიგნაციას) და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა დოკუმენტის რატიფიცირება. საპარლამენტო რესპუბლიკის იდეოლოგია გვკარნახობდა, რომ სასწრაფოდ უნდა მომხდარიყო ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც საბოლოოდ განსაზღვრავდა პრეზიდენტის ფუნქციებს და ის არ აღმოჩნდებოდა როგორც „განხეთქილების ვაშლი“ სახელისუფლებო შტოების ურთიერთობებში.

ასეთ ვითარებაში გაუმართლებელი იყო პრეზიდენტისადმი ზოგიერთი პოლიტიკოსის თუ სამართალმცოდნის რჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს საშუალებით გაერკვია ურთიერთობები პარლამენტთან და მთავრობასთან.

ცხადია, 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები აღმოჩნდა ის ნაღმი, რომლის ამოქმედება შეიძლებოდა ამბიციური პრეზიდენტის ხელში.

მართალია, პრეზიდენტი უმაღლესი მთავარსარდალია, რომელსაც კონსტიტუციით ენიჭება კომპეტენცია და ვალდებულებაც უხელმძღვანელოს ქვეყანას საომარი მოქმედებების დროს, მაგრამ რეალურად ამის ბერკეტები არ გააჩნია. მით უმეტეს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი უშიშროების საბჭო მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღები და არა ქვეყნის მართვის ორგანო იყო. შესაბამისად, ქვეყნის მართვა პრემიერ-მინისტრს ევალებოდა.

სამხედრო საკითხების ექსპერტის და პოლიტოლოგის გიორგი თავდგირიძის სამართლიანი შენიშვნით: ქვეყნის ხელმძღვანელი იყო პრემიერ-მინისტრი და ამიტომ საკანონმდებლო დონეზე მკაფიოდ უნდა განსაზღვრულიყო ყველა ვალდებულება. მთავარსარდლობის რეგალიად მიჩნევა და მისი საკანონმდებლო და აღმასრუ-

ლებელ დონეზე რეალურად ცხოვრებაში გატარების უქონლობა იწვევდა მთავარ უხერხულობას და ეს წარმოადგენდა ძირითად პრობლემას და არა ის, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ვინ რა კომენტარს გააკეთებდა.

„საქართველოს პრობლემა არის არა მთავარსარდალი, არამედ კონსტიტუცია, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მიერ არის შექმნილი. არ არის ჩამოყალიბებული, რა მოდელი გვაქვს, ეს არის შერეული, საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო რესპუბლიკა. მთავარსარდალი შეიძლება იყოს სიმბოლური ან შეიძლება იყოს ომის ხელმძღვანელი“ [11].

საერთოდ, 2010 წლის კონსტიტუციურმა ცვლილებებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. კონსტიტუციის მიხედვით, საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდა და აწარმოებდა მთავრობა, მაგრამ პრეზიდენტიც წარმოადგენდა საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, ამდენად ერთსაც შეეძლო საგარეო კურსის წარმართვა და მეორესაც. კონსტიტუციაში არსებული ამ ხარვეზის გამო, მკაფიოდ ვერ ზუსტდებოდა, რა შემთხვევაში ენიჭებოდა პრიორიტეტი პრეზიდენტს და რა შემთხვევაში – პრემიერ-მინისტრს.

კონსტიტუციაში თავიდანვე განისაზღვრა გარკვეული განხეთქილების საფუძველი. „ნაციონალური მოძრაობის“ გათვლით მ. სააკაშვილი პრემიერ-მინისტრად მოიაზრებოდა, რომელსაც კონსტიტუციით ეძლეოდა შესაძლებლობა კვლავ განეგრძო „საკუთარი“ საგარეო-პოლიტიკური კურსი და დაპირისპირებოდა ახალ პრეზიდენტს, თუ ის ოპოზიციური სპექტრიდან იქნებოდა წარმოდგენილი. უდავოა, თუ პრეზიდენტი „ნაციონალური მოძრაობის“ ბანაკის წარმომადგენელი გახდებოდა, თანაგუნდელები ადვილად მონახავდნენ საერთო ენას, ისევ მ. სააკაშვილის სასარგებლოდ.

სამწუხაროდ, ასეთი საკონსტიტუციო ცვლილება მაშინ მ. სააკაშვილის დაკვეთით განხორციელდა. მისმა ერთგულმა კონსტიტუციონალისტმა „მექოთნეებმა“ მთავარ საკანონმდებლო დოკუმენტს ყური იქ მოაბეს, სადაც „ნაციონალურ მოძრაობას“ სჭირდებოდა.

სწორედ კონსტიტუციაში მოცემულმა აბსურდულმა „ორაზროვნებამ“, მოგვიანებით, შესაძლებლობა მისცა გ. მარგველაშვილს დამალული „ბრჭყალები“ გამოეჩინა და დაპირისპირებოდა იმ ძალას, რომლის ძალისხმევითაც საქართველოს პრეზიდენტი გახდა. როგორც ჩანს, გ. მარგველაშვილი პოლიტიკური თვითდამკვიდრებისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს იმ

გარემოებას, რომ ქვეყანა სრული საპარლამენტო მმართველობის მოდელზე უნდა გადავიდეს, სადაც კონსტიტუცია ვერ დააფიქსირებს, რომ ქვეყანას ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს.

არსებული კონსტიტუციის გაუმართაობამ საკამათო გახადა გაეროს ეგიდით დაგეგმილ ღონისძიებაზე საქართველოდან პრეზიდენტის თუ მთავრობის მეთაურის გამგზავრების საკითხი. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ქვეყნის საგარეო უწყების გვერდის ავლით ცდილობდა პრეზიდენტის ვიზიტის მომზადებას, თუმცა ეს გადაწყვეტილება გაუმართლებელი იყო პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით და ბევრ უხერხულობას უქმნიდა როგორც მიწვეულ, ისე მიმღებ მხარესაც.

საპარლამენტო უმრავლესობამ და მთავრობამ მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს ორი დელეგაციის გაგზავნა გაეროს ღონისძიებებზე. თუმცა ქვეყნის პრეზიდენტს კონსტიტუციის მოშველიებით ასეთი ვერდიქტი გამოჰქონდა: „ძალიან მნიშვნელოვანია ყველას შევახსენოთ, რომ საგარეო პოლიტიკურ კურსს, კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტი აყალიბებს, მეც, მათ შორის, პარლამენტის მიერ მიღებული კურსის ფარგლებში ვმოქმედებ. ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ. რაღაც სირთულეები კომუნიკაციაში არის, ეს ნორმალურია, ახალი კონსტიტუციაა, ხდება მათი მოთელვა, როლების მოთელვა – ეს ნორმალურია, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტი წავა და იქნება ამერიკაში“ [12].

ორი დელეგაციის ამერიკაში გამგზავრების საკითხს უარყოფითად აფასებდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები: გიორგი ვოლსკი, ირაკლი სესიაშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი, ანი მიროტაძე...

პრემიერ-მინისტრის მეთაურობით ერთი დელეგაციის გამგზავრებას უჭერდა მხარს, საკმაო დიპლომატიური გამოცდილების მქონე თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია. საკუთარ „ფეისბუქის“ გვერდზე პრეზიდენტის ამერიკაში წასვლის სურვილი მკაცრად დაგმო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმაც.

აღნიშნული სიტუაციის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება დააფიქსირა საზოგადოებრივმა აზრმაც. „პოლიტიკისა და სამართლის ცენტრის“ ხელმძღვანელის ამირან გიგუაშვილის აზრით, საგარეო კურსის განმსაზღვრელი აღმასრულებელი ხელისუფლება

იყო. პრეზიდენტის ძირითადი ფუნქცია კონსტიტუციით ისაზღვრებოდა. ეს იყო ძალთა შორის ბალანსი და სახელისუფლებო შტოებს შორის კრიზისის წარმოქმნის შემთხვევაში სიტუაციის განმუხტვა და არა კონკრეტული აღმასრულებელი ფუნქციების განხორციელება [13].

აღნიშნული ვითარება კონსტიტუციის ხარვეზად მიაჩნდა პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესაც. მაღალი დონის საერთაშორისო ფორუმზე ერთი სახელმწიფოდან ორი დელეგაციის ერთდროულად ჩასვლას ნონსენსად მიიჩნევდა საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი, სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის თანათავმჯდომარე ირაკლი მენაღარიშვილი. მისი განმარტებით, ამ ინციდენტს საგარეო პოლიტიკასთან და საერთაშორისო ურთიერთობებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ეს საერთოდ არ იყო დიპლომატიის თემა და ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობის ხარვეზების გამოვლენა სწრაფად უნდა აღმოფხვრილიყო [14].

პოლიტიკურ ინტრიგებში და ზომბირებულ პროცესებში გამობრძმედილი „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცადა აღნიშნული სიტუაცია სათავისოდ გამოეყენებინა და ერთმანეთისათვის მკვეთრად დაეპირისპირებინა პრეზიდენტი და მთავრობა, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოებას შესთავაზა გამჭვირვალე პოლიტიკის წარმართვა. ამდენად, ერთგვარი ე. წ. „პოლიტიკური ინციდენტი“ მკვეთრ პოლიტიკურ დაპირისპირებაში არ გადაიზარდა. საგარეო ურთიერთობებში პრეზიდენტს არ აქვს ერთპიროვნული გადაწყვეტის ვალდებულება, კონსტიტუცია მაინც, პირველ რიგში, ვალდებულებებს განსაზღვრავს, ვიდრე უფლებამოსილებას, მით უმეტეს, პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი.

გ. მარგველაშვილი შეაშფოთა პრეზიდენტის ინსტიტუტის სავარაუდო დასუსტებამ. მეორე მხრივ, მას უნდოდა გამოესწორებინა მის მიერ დაშვებული შეცდომა, როდესაც თავის თავს უადგილოდ „პლასტელინი“ უწოდა და სურდა საზოგადოებისათვის ეჩვენებინა, რომ ის საკმაოდ ძნელად გასატეხი კაკალია. ამის დამადასტურებლად შეიძლება მოგვეყვანა ვიზიტის ჩაშლის შემდეგ მის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ამ დილას მივიღე დადასტურებული ინფორმაცია, რომ გარკვეულმა ძალებმა ორგანიზებულად ჩაშალეს ჩემი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

ცხადია, პრეზიდენტს ქომაგები გამოუჩნდნენ. მათ შორის იყო „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ ხელმძღვანელი სოსო

ცისკარიშვილი, რომლის აზრით, „ქართული ოცნების“ დიდი მხარდაჭერისა და კოალიციის მიერ პრეზიდენტად დასახელების მიუხედავად, ის არ უნდა ყოფილიყო ამ პოლიტიკური გუნდის ვასალი. ს. ცისკარიშვილი ფიქრობდა, რომ ყოველივე ეს „რატომღაც გაუგებარი აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ ლიდერებისათვის და უპირველესად ამჟამად კულისებში მყოფისთვის (იგულისხმებოდა ბ. ივანიშვილი – ი. კ.) და, შესაბამისად, შემდგომ უკვე მთავრობისა და პარლამენტის თანამდებობის პირებისათვის“.

ს. ცისკარიშვილი აღიარებდა, რომ პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს შორის შუღლის გამოწვევა „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებში შედიოდა, თუმცა მიაჩნდა, რომ მთავრობასა და პრეზიდენტს შორის უთანხმოების ინიციატორი ივანიშვილს უნდა დაესახელებინა და ჩამონათვალში საკუთარი თავიც არ უნდა გამორჩენოდა [15].

მთავრობის პოლიტიკის ოპონენტი, სატელევიზიო სივრცეში, პრეზიდენტის ე. წ. „მიჯნირყვნის“ პირველი წარმატებული მცდელობის ავტორად ივანიშვილს და „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებს ასახელებდა, რომელთა თვალსაწიერიც, თურმე, საკუთარი პოლიტიკური ძალის შიგნით იხარშებოდა და მათთვის უცხო იყო რაიმე გლობალური ცვლილების აღქმა.

ს. ცისკარიშვილი დადებითად მიიჩნევდა სხვადასხვა თემატურ შეხვედრებზე, გ. მარგველაშვილის მიერ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისა და ამ პოლიტიკურ „ძალასთან“ ასოცირებული ზოგიერთი ექსპერტის მოწვევას და შენიშნავდა, რომ ჯერ კიდევ 2013 წელს, „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბში, სამჯერ ნამყოფი ბ. ივანიშვილი დაბეჯითებით ითხოვდა დიალოგზე მოეწვიათ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირებული ექსპერტები და მის მიმართ ნეგატიურად განწყობილი ანალიტიკოსები.

ექსპერტის აზრით, მაშინ არცერთი მინისტრი არ აფიქსირებდა ივანიშვილის კეკლუცობას „ნაციონალური მოძრაობის“ წინაშე და მისთვის გაუგებარი იყო, რატომ კიცხავდნენ დღეს მოქმედი მთავრობის წევრები ანუ „მლიქვნელ კაჭკაჭთა“ გუნდი (მ. ფანჯიკიძე, ა. პეტრიაშვილი, მ. ზალკალიანი და სხვ.) „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ანალოგიური პოზიციის დაკავების გამო პრეზიდენტს.

ბ. ივანიშვილის „პოლიტიკური ნავიდან“ მარგველაშვილის „პოლიტიკურ ბუდეში“ გადამჯდარ ს. ცისკარიშვილს აგულისებდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრის დიდი ნა-

წილის, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების დადებითი დამოკიდებულება ბ. ივანიშვილის პიროვნების და მთავრობის მეთაურის – ირაკლი ღარიბაშვილის კურსის მიმართ და აფიქსირებდა, რომ „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი“ წყვეტდა ერთწლიან დუმილს და ეცდებოდა საზოგადოების განსჯის საგნად ექცია „პოლიტიკოსები, ხელისუფლების წარმომადგენლები, კრიტიკულად განწყობილი რეალისტები და წყლის ამმღვრევები [16].

ს. ცისკარიშვილი საკმაოდ არაშეფარული ირონიით ურჩევდა ბ. ივანიშვილს, თავი დაენებებინა ქართული მედიის, ანუ სხვისი კერძო საკუთრების კონტროლსათვის და მოეძია საკმაო რესურსები, მათ შორის, ინტელექტუალური და თავად ჩამოეყალიბებინა მედია-ჰოლდინგი (ტელევიზია, რადიოსადგური, საინფორმაციო სააგენტო და ა. შ.) და ეჩვენებინა ის სტანდარტები, რომლებზეც „ის (ბ. ივანიშვილი – ი. კ.) თავად ოცნებობდა და, რომლითაც სურდა ქართული ჟურნალისტის პროფესიული დონე გაეზარდა“.

ს. ცისკარიშვილი საუბრობდა ბ. ივანიშვილის მხრიდან „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ მიმართ გამოჩენილ ერთწლიან „უყურადღებობის სასჯელზე“ თუმცა, არ აკონკრეტებდა რაში გამოიხატებოდა იგი, როგორც ჩანს, საქმე ეხებოდა „ფინანსურ უყურადღებობას“, რომელსაც ბოლო ხანებში „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი იჩენდა ს. ცისკარიშვილის გუნდის ანუ ე. წ. „კრიტიკულად განწყობილი რეალისტების“ მიმართ.

თითქმის წარმოუდგენლად გვეჩვენება, მარგველაშვილი ოდესმე „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილად იქცეს, თუმცა, როგორც ჩანს, ის მიდრეკილია, გახდეს დამოუკიდებელი მოთამაშე და არ აიღოს პასუხისმგებლობა კოალიცია „ქართული ოცნების“ შეცდომებზე.

გ. მარგველაშვილი აცნობიერებდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ლიდერები პოლიტიკურად გაკოტრდნენ და მათი „ფენიქსივით აღდგომა“ შეუძლებელია, თუმცა არ გამორიცხავდა ახალი პოლიტიკური, ოპოზიციური ძალის ჩამოყალიბებას, რომელშიც შეიძლება გაერთიანებულიყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ზომიერი მიმართულების წარმომადგენლები, „ქართულ ოცნებას“ გამიჯნული პოლიტიკური ჯგუფები და სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი თუ არასამთავრობო სპექტრის ნაწილი.

პრეზიდენტისა და მთავრობის უთანხმოების ცალკეულ საკითხებზე თავის მოსაზრებას გამოთქვამდა ბ. ივანიშვილიც, რომლის სიტყვას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე დიდი მნიშვნელო-

ბა ჰქონდა. ქვეყნის განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბ. ივანიშვილის ხელმძღვანელობით მომზადებულ რამდენიმე ფართომასშტაბიან პროექტს, მათ შორის იყო სკოლის მოსწავლეებისათვის განკუთნილი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა მოსწავლეების ჩართვას სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესში.

მეორე პროექტი მოიცავდა სტუდენტობის მონაწილეობას თვითმმართველობების განვითარებაში. ამ კონტექსტში საინტერესოდ ჩანდა ბ. ივანიშვილის შესაძლო გამოჩენა გადაცემის წამყვანისა და ჟურნალისტის ამპლუაშიც, სადაც დაფიქსირებული იქნებოდა მისი დამოკიდებულება საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ტიპის პრობლემაზე. მათ შორის წინა პლანზე წამოიწეოდა მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ანალიზი და ქართული საზოგადოების განვითარების სტრატეგია.

ბ. ივანიშვილის შენიშვნით, 2012 წლის ოქტომბრიდან განვლილ პერიოდში საზოგადოების რაღაც ნაწილში ჩამოყალიბდა უიმედობის განცდა. ვერ მოხერხდა ფართომასშტაბიანი კონსენსუსის მიღწევა, თუმცა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა არ იყო ადვილი საქმე და მას 10-20-წლიანი პერიოდი უნდა მოეცვა.

ბ. ივანიშვილის აზრით, საქართველოში არ ხდებოდა უახლესი წარსულის, ანუ 2012 წლიდან მომდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ობიექტური გაანალიზება და შეფასება. ბევრი არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსი და მათი მხარდამჭერი ექსპერტები და ჟურნალისტები მუქ ფერებში ხატავდნენ სინამდვილეს, ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდნენ ტელევიზიები: „რუსთავი 2“, სახელმწიფო ტელევიზია – „პირველი არხი“, „მაესტრო“, „იმედი“ და სხვები, რომლებიც განაგრძობდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ლოზუნგირებული ახალი ხელისუფლების მიერ „ქვეყნის ნგრევის“ პოლიტიკის პროპაგანდას. მახინჯდებოდა „ქართული ოცნების“ ლიდერ-მესიტყვეების ცალკეული გამონათქვამებიც. მაგალითად, ბ. ივანიშვილის ერთი გამონათქვამი სიტყვა „მიჭირხვნა“, ჟურნალისტებმა გაიგეს „მიჯირყვნად“, მოგვიანებით ეს სიტყვა პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმაც აიტაცეს და ბ. ივანიშვილს ანტიდემოკრატიულობაში დასდეს ბრალი. ცდუნებას ვერც ს. ცისკარიშვილმა გაუძლო და ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში ომახიანად შეუძახა საზოგადოებას, „ქართული ოცნება“ ცდილობს დაიქვემდებაროს საქართვე-

ლოს პრეზიდენტი, რომელიც კონსტიტუციური ვალდებულებების აღმასრულებელია და არავისზე ნაკლები სიჯიუტის ხარისხი არა აქვს, მაგრამ ხალხის მიერ პრეზიდენტად მისი არჩევის შემდეგ მისი „მიჯირყვნა“ უნდა დამთავრდეს“ [17].

სახელმწიფო მართვის სისტემა, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში დამკვიდრდა საქართველოში, ითვალისწინებდა ხელისუფლების მიერ ძალაუფლების განმტკიცებას ე.წ. პიარის საშუალებით, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო უცხოეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების, ჟურნალისტების, ექსპერტების, ბიზნესმენებისა და სხვა ადამიანების მოსყიდვა და მათი მოქმედებების ლობისტურ საქმიანობად მონათვლა. ერთ-ერთი მათგანი იყო ამერიკული ორგანიზაცია „ენდიაი“, რომელიც ქართული კომპანია „აიპიემის“ (დამფუძნებელი გოჩა ცქიტიშვილი) საშუალებით ახორციელებდა სოციოლოგიურ კვლევებს საქართველოში და სახელმწიფო მოღვაწეების, პოლიტიკოსების, პარტიების და ა.შ. რეიტინგებს ისე ალაგებდა, როგორც „ნაციონალური მოძრაობა“ მიიჩნევდა საჭიროდ. მაგალითად, აღნიშნული კვლევების შედეგად გ. მარგველაშვილს და ი. ალასანიას ბ. ივანიშვილზე და ი. ღარიბაშვილზე უფრო მაღალი რეიტინგი დაუფიქსირდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა მარგველაშვილის, ხოლო მოგვიანებით ი. ალასანიას „პიროვნული ცდუნებისათვის“, მთავრობისა და პარლამენტის კონკურენტის როლის თამაში დაეწყოთ.

ლობირების, მოსყიდვის და სხვა მეთოდების გამოყენებით, ნასიამოვნები ევროპისა და ამერიკის სახელმწიფო და პოლიტიკური წრეების ცალკეული წარმომადგებლები გამუდმებით ირწმუნებოდნენ, რომ საქართველოში ყვაოდა დემოკრატია, აღმოიფხვრა კორუფცია, დაცული იყო ადამიანთა უფლებები და ა.შ., ამიტომ უცხოელებისთვის ძნელი აღმოჩნდა ახალი ხელისუფლების მტკიცების აღქმა-გაცნობიერება, რომ საქართველოში ხშირად ირღვეოდა დემოკრატიული პრინციპები, დამკვიდრდა ელიტარული კორუფცია, ნულამდე იყო დაყვანილი ადამიანთა უფლებები. ცხრა წლის განმავლობაში ყოველივე ეს ამერიკისა და ევროპისთვის შეუცნობელი რჩებოდა. ევროპის, ამერიკის თუ სხვა ქვეყნებში ნაკლებად ანალიზდებოდა რა ხდებოდა რეალურად საქართველოში. იქ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მხოლოდ სამთავრობო ინფორმაციებს. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ იგნორირება გაუკეთა ქართულ საზოგადოებრივ აზრს. ისინი მოსყიდული ლობისტებისა და სხვა ორგანიზაციების მეშვეობით, ხშირად

კორუფციული გზითაც ახერხებდნენ მიეღოთ სასურველი შედეგი. „აქ გვძარცვავდნენ, ლამის მონებად გვაქციეს, ფეხქვეშ გათელეს ადამიანის უფლებები და ნაძარცვი ფულით, ბოკერიასა და სააკაშვილის იდეოლოგიით ქვეყანაში არსებულ ვითარებას ყიდდნენ როგორც დემოკრატიას“ – შენიშნავდა ბ. ივანიშვილი.

ქართულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცხოვრებამ დიდი დარტყმა გადაიტანა. „ნაციონალური მოძრაობა“ ნგრევის მარშით მიიწევდა წინ და ცეცხლის ალში გახვია ქვეყანა. საბედნიეროდ, ახალი ხელისუფლების პირობებში, საქართველოში დადგა საზოგადოებრივი მშვიდობის პერიოდი, საფუძველი ეყრება ეროვნული თანხმობის იდეოლოგიას, ასეთ ვითარებაში ევროკავშირთან ხელშეკრულების ხელმოწერა, ან ამერიკასთან „ქარტიით“ ხელშეკრულების დაკავშირება კი არ არის მთავარი, მთავარია ქართული საზოგადოების მზაობა დაიცვას ევროპული ღირებულებები, რომლებიც გამუდმებით ფეხქვეშ ითელებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ.

„ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც შეგვიძლია, რაც არ შეგვიძლია, იმას აკეთებდა ერთი კაცი. სწორედ ამიტომ დაგვემართა წარსულში ამდენი უბედურება. როდესაც გულწრფელად მოქმედებ, როდესაც სწორ გზას ადგახარ, ნებისმიერი პირის ქარი შეიძლება ზურგის ქარად გამოიყენო“. ასეთია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, „ნაციონალური მოძრაობის“ „ბოროტების ტრიუმფის“ შემაჩერებელი მოღვაწის ბ. ივანიშვილის დიალოგიდან გამომდინარე დასკვნა.

ბ. ივანიშვილის აღიარებით „ქართულ ოცნებას“, რომელიც ერთი იდეოლოგიით მოვიდა და ჰქონდა ერთნაირი განწყობა, ერთი მიმართულებით უნდა განეგრძო სვლა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, თუმცა საჭირო არ არის ზედმეტი დრამატიზებაც. „მიუხედავად იმისა, რომ მოვიდა ახალი გუნდი, „ნაციონალური მოძრაობა“ ბობოქრობს თავისი სიცრუის მანქანით და ახალ გუნდშიც ვერ არის სინქრონულად საქმე, მაგრამ მაინც ფუნქციონირებს სახელმწიფო და სწორი გზით ვითარდება, იმიტომ, რომ საზოგადოებას აქვს ლეგიტიმური უფლებები და პროცესები საშიში გზით აღარ განვითარდება“ – ასკვნიდა ბ. ივანიშვილი [18].

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ დღეს მოქმედი კონსტიტუცია საქართველოს ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამება. ის ჰიბრიდული დოკუმენტია, ხელს უწყობს კონფლიქტის გაღვივებას ხელისუფლების

სხვადასხვა შტოებს შორის და არ არის გამორიცხული, ბიძგი მისცეს ქვეყანაში მწვავე პოლიტიკური სიტუაციის მომწიფებას.

აღნიშნული ვითარება ნათლად დააფიქსირა 2014 წლის 24 ოქტომბერს, თბილისში გამართულმა საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც საქართველოს ახალი კონსტიტუციური სისტემის ცალკეულ პრობლემებს მიეძღვნა. კონფერენციის მონაწილე საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლების უმრავლესობის აღიარებით, საქართველოს კონსტიტუციაში არსებობს შეუსაბამობანი, რომელიც უნდა გასწორდეს და უნდა მივიღოთ გამართული კონსტიტუცია, რომელშიც დაბალანსებული იქნება ხელისუფლების სამივე შტოს საპარლამენტო რესპუბლიკის მმართველობის პერიოდში მკაფიოდ გამოკვეთილი უფლებამოსილება, რომლითაც ისინი არ გადაკვეთენ ერთმანეთს და განისაზღვრება პრეზიდენტის ინსტიტუტის როლი, ფუნქცია და ადგილი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა უცხოელი კონსტიტუციონალისტი პიტერ უმბახი და 1995 წლის კონსტიტუციის და 2009-2010 წლების საკონსტიტუციო ცვლილებების შემმუშავებელი კომისიის უცხოელი წევრი – ვოიცეკ ვაბეკი.

ახალი საკონსტიტუციო სისტემის შესახებ დისკუსიამ გამოავლინა აზრთა სხვადასხვაობა საკონსტიტუციო პრობლემისადმი და გამოკვეთა სამი მიდგომა: ერთი ჯგუფი მიიჩნევდა, რომ საქმე გვქონდა შერეული მმართველობის სისტემასთან, მეორე ჯგუფის აზრით, საქართველო იყო ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ხოლო მესამე, საკმაოდ დიდი ნაწილი თვლიდა, რომ საქართველო იყო საპარლამენტო რესპუბლიკა, შერეული მმართველობის სისტემებით.

კონსტიტუციონალისტების ერთი ნაწილი აქცენტს აკეთებდა ახალი კონსტიტუციის მიღებაზე ანუ კონსტიტუციური მართვის მოდელის შეცვლაზე, რომელშიც მკაფიოდ იქნებოდა გამოკვეთილი პარლამენტის საკონტროლო ფუნქცია და როლი, პრეზიდენტის ნაკლები აქტიურობა და ორპალატიანი პარლამენტის შექმნა.

არ უნდა იყოს სადავო, რომ არსებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ წინ წამოწია პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უშიშროების საბჭოს და მთავრობასთან შექმნილი კრიზისების მართვისა და უსაფრთხოების საბჭოს ფუნქციებისა და ურთიერთდამოკიდებულების პრობლემაც.

კონსტიტუციურად, უშიშროების საბჭოს პრეროგატივე იყო მხოლოდ თავდაცვისა და სამხედრო აღმშენებლობის საკითხებზე

მსჯელობა, რაც შეეხება კრიზისების მართვის საბჭოს, აქ უნდა გამოეტანათ საკითხები, რომლის განხილვა არ იყო მიზანშეწონილი ეროვნული უშიშროების საბჭოზე. ცხადია, ეს არ არის არალეგიტიმური მოთხოვნა, თუმცა კონსტიტუციით არ იყო დადგენილი ეროვნული უშიშროების საბჭოს და კრიზისების მართვისა და უსაფრთხოების საბჭოს კომპეტენციები და უფლებამოსილებები.

ფიქრობენ, რომ პრეზიდენტსა და მთავრობას შორის წარმოშობილი დავა, საგარეო-პოლიტიკურ და სამხედრო და თავდაცვის საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა განეხილა, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ამჟამინდელი საკონსტიტუციო სასამართლო ყოფილი ხელისუფლების „ფანდურზე ცეკვას“ იყო მიჩვეული და საეჭვო ჩანდა, მას მიუკერძოებლად გადაეწყვიტა მნიშვნელოვანი სადავო საკითხები.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის უფლებამოსილებებისა და ურთიერთობების საკითხი ადვილი გადასაწყვეტი არ იყო, მით უმეტეს, სახეზე გვქონდა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის გარკვეული უფლებები და ვალდებულებები და მისი ვადაზე ადრე შეწყვეტა გაუმართლებელი იქნებოდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პერიოდში კონსტიტუციაში ისე შედიოდა ცვლილებები, რომ საზოგადოება და თვით კონსტიტუციონალისტებიც არ იყვნენ საქმის კურსში. ამის შედეგად კონსტიტუციაში დღესაც ბევრი რამ გაურკვეველია, მით უმეტეს, 1992 წლიდან 2012 წლამდე ხელისუფლების სამივე შტოს „მოქალაქეთა კავშირი“ და „ნაციონალური მოძრაობა“ აყალიბებდა.

უცხოელი ექსპერტების დიდი ნაწილი აღფრთოვანებული იყო შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებების მიერ გატარებული საკონსტიტუციო ცვლილებებით, თუმცა მასობრივად ხდებოდა ადამიანის უფლებათა ტოტალური ხელყოფა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყნისთვის დემოკრატიული ბუტაფორიული ფასადის როლს ასრულებდა.

კონსტიტუციონალისტი ა. კახნიაშვილი გვარწმუნებს, რომ გაუმართავი სამართლებრივი ბაზის გამო საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებებზე მეტად მმართველი პარტიისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ინტერესების დაცვაზე ზრუნავდა. ამიტომ შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ის ვერ ხედავს საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებელ სტრუქტურად

არსებობის საჭიროებას და მხარს უჭერს მის მიერთებას უზენაეს სასამართლოსთან [19]. ა. კახნიაშვილი გვაწვდის ინფორმაციას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც დღეს სამაგალითო ქვეყნად არის მიჩნეული, საკონსტიტუციო სასამართლო არ არსებობს და მის ფუნქციას 9-კაციანი უზენაესი სასამართლო ასრულებს.

დღეს თითქმის არავინ დავობს, რომ 2003-2012 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები იყო ძალადობა კანონის სახელით. აღნიშნულის დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ 2014 წლის 31 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციის „გლობალური კვლევების ცენტრის“ მიერ ორგანიზებული კრებულის „ძალადობა კანონის სახელით“ პრეზენტაცია. დისკუსიაში მონახილეები (გ. მეფარიშვილი, ნ. დევდარიანი, კ. კახიშვილი, მ. უგრეხელიძე, მ. კობახიძე, ე. ბესელია, შ. შავგულიძე, ნ. ბურჯანაძე, მ. ცაცანაშვილი, გ. ნიკოლაიშვილი, თ, იმნაიშვილი, ვ. გელბახიანი, ზ. ხატიაშვილი, ლ. მუხაშავრია, კ. კუკავა, ლ. აფციაური, ი. პეტრიაშვილი, შ. ხაჭაპურიძე) თითქმის ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკანონმდებლო ინტერესები საკუთარ პარტიულ ინტერესებს მოარგო, რამაც საქართველო ცივილიზებული სამყაროს საკანონმდებლო გარემოს საკმაოდ დააშორა [20].

ხელისუფლების სამივე შტოს ურთიერთობების ყველა დეტალის ზედმიწევნით განსაზღვრა და მოწესრიგება კონსტიტუციასაც არ ძალუძს, მით უმეტეს, ქართულ სინამდვილეს პოლიტიკური მოუმწიფებლობა ახასიათებს. ქვეყანას მრავალპარტიული პოლიტიკური ცხოვრების მხოლოდ 25-წლიანი ისტორია აქვს, თუმცა აშკარად იგრძნობა პოლიტიკის მოყვარულთა სიჭარბე, რომლებიც ზოგჯერ ცალკეულ პარტიებს ავსებენ, ან თვითონ ქმნიან პარტიებს, რომ რომელიმე სახელისუფლებო შტოში დაიბუდონ და შემდეგ სახელმწიფო სამსახურში საკუთარი აქტივისტები დაასაქმონ. თუმცა ბევრი არაპროფესიონალია და ნგრევას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე შენებას.

უკანასკნელი წლების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ისე აეწყო, რომ არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური გუნდი საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად ძირეულ საკონსტიტუციო ცვლილებებს ახორციელებს ან მთავარ კანონს იღებს, რომელიც, თავისი შინაარსით, კონსტიტუციის ანალოგია. ასე შეიცვალა 1992 წელს, ეროვნული ხელისუფლების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო დოკუმენტები, როდესაც 1992 წელს საქართველოში

საპარლამენტო არჩევნებთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები ჩატარდა და შევარდნაძემ ჯერ კიდევ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას სიცოცხლეშივე მოახერხა ქვეყნის პირველი პირი და სახელმწიფოს მეთაური გამხდარიყო და ყოველგვარი საერთაშორისო ნორმებისა და საპარლამენტო ცხოვრების წესების უხეში დარღვევით, საკუთარი პიროვნული და პოლიტიკური ამბიციები დაეკმაყოფილებინა.

1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შევარდნაძის ხელში აღმოჩნდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი მართვის სადავეები. მოიძებნა პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა, ხოლო სპიკერად სხვა იქნა არჩეული. სამართლიანად შენიშნავს პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი: „საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, პარლამენტის თავმჯდომარე იგივე სპიკერია, მაგრამ ეს საყოველთაოდ აღიარებული საკონსტიტუციო ნორმა არ გაიზიარა ქართულმა უმწიფარმა პოლიტიკამ. შევარდნაძის ამბიციური სურვილების განსამტკიცებლად, არჩევნების შემდეგ შემუშავებული იქნა კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, სადაც ხაზგასმით ჩაიწერა სახელმწიფო მეთაურის ცნების შემოღების თაობაზე“ [21].

მოგვიანებით, პოლიტიკაში ანუ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში პირველ პირად კვლავ დარჩენის სურვილით გულანთებულმა მ. სააკაშვილმა, საპრეზიდენტო ვადის დამთავრებამდე განახორციელა საკონსტიტუციო ცვლილება, რომელსაც საპრეზიდენტო მმართველობა, საპარლამენტო მმართველობით უნდა შეეცვალა ანუ სააკაშვილს უნდა გაეგრძელებინა ქვეყნის პირველ პირად ყოფნა პრემიერ-მინისტრის ამპლუაში.

საბედნიეროდ, 2012 წლის ოქტომბერში ბ. ივანიშვილის უდიდესი ძალისხმევით მოხერხდა „ნაციონალური მოძრაობის“ ჩამოცილება ხელისუფლებიდან. დაიწყო სრულიად ახალი პოლიტიკური ხედვის განხორციელება, რომელმაც სამოქალაქო საზოგადოების შექმნამდე უნდა მიგვიყვანოს.

მართალია, არსებულ კონსტიტუციურ სისტემაში ბევრი წინააღმდეგობრიობა არსებობს და გამორიცხული არ არის პოლიტიკური სიტუაციის გართულებაც, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, პარლამენტმა, მთავრობამ და პრეზიდენტმა საერთო ენა ვერ გამონახონ მთავარ პრობლემურ საკითხებში და ერთგვარი სახელისუფლებო გართულებები სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კრიზისამდე მიიყვანონ.

„ქართული ოცნების“ წინაშე პირველი რიგის ამოცანად დგას სახელმწიფოს კონსტიტუციური მოდერნიზაციის სრული განხორციელება. ქართულმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა სინამდვილემ მთლიანად გამოააშკარავა „ნაციონალური მოძრაობის“ საკონსტიტუციო ცვლილებების ნამდვილი არსი, ამიტომ ახალი ხელისუფლების ინიციატივით შექმნილმა საკონსტიტუციო კომისიამ უნდა დაიწყოს არა საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადება, არამედ 1921 წელს მიღებული კონსტიტუციის საფუძველზე ქვეყნის მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით შექმნას და მიიღოს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც უნდა განსაზღვროს საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური განვითარების გზა.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. მ. სააკაშვილი, გაზეთი რეზონანსი, 2013 წლის 8 ივლისი.
2. მ. სააკაშვილი, გაზეთი რეზონანსი, 2013 წლის 22 მარტი.
3. ო. მელქაძე, ქართულ კონსტიტუციონალიზმში განხორციელებული ოპერატიული რეფორმების ნეგატიური რეზონანსი, გაზეთი რეზონანსი, 2013 წლის 25 მარტი, http://www.resonancedaily.com/index.php?id–rub=11&id–artc=14857
4. თ. კიკნაძე, გაზეთი რეზონანსი, 2013 წლის 20 ივლისი.
5. ვ. ძაბირაძე, კონსტიტუციაში რაღაც რიგზე ვერ არის, გაზეთი ახალი თაობა, 2013 წლის 24 ოქტომბერი.
6. ა. დემეტრაშვილი, მ. მაცაბერიძე, ბ. ქანთარია. მოსაზრებანი სახელმწიფო კონსტიტუციის კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულების შესახებ. გაზეთი რეზონანსი, 2014 წლის 20 იანვარი.
7. ი. ღარიბაშვილი, გაზეთი რეზონანსი, 2014 წლის 5 აგვისტო.
8. გ. კვერენჩხილაძე, გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 2014 წლის 27 აგვისტო.
9. ლ. ალაფიშვილი, გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 2014 წლის 27 აგვისტო.
10. გ. მუჩაიძე, გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 2014 წლის 27 აგვისტო.
11. გ. თავდგირიძე, გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 2014 წლის 27 აგვისტო.
12. გ. მარგველაშვილი, გაზეთი რეზონანსი, 2014 წლის 11 სექტემბერი.
13. ა. გიგუაშვილი, გაზეთი რეზონანსი, 2014 წლის 11 სექტემბერი.

14. ი. მენაღარიშვილი, გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 2014 წლის 12 სექტემბერი.
15. ს. ცისკარიშვილი, პრეზიდენტის პრივატიზაციის პრეტენზია ნურცერთ პოლიტიკურ ძალას ნუ ექნება, გაზეთი ახალი თაობა, 2014 წლის 17 სექტემბერი.
16. ს. ცისკარიშვილი, გაზეთი ახალი თაობა, 2014 წლის 17 სექტემბერი.
17. ს. ცისკარიშვილი, გაზეთი ახალი თაობა, 2014 წლის 17 სექტემბერი.
18. ბ. ივანიშვილი, გპირდებით უფრო აქტიური ვიქნები, გაზეთი კვირის პალიტრა, 2014 წლის 15-21 სექტემბერი.
19. ა. კახნიაშვილი, გაზეთი რეზონანსი, 2014 წლის 29 ოქტომბერი.
20. გაზეთი საქართველო და მსოფლიო, 2014 წლის 5-11 ნოემბერი.
21. ჰ. ჭიპაშვილი, გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 2014 წლის 1 ნოემბერი.

Igor Kveselava
Professor, PhD in History Head of Social Science Department, Technical University of Georgia

Constitutional Variations of Ruling Party „Georgian Dream"

Summary

The article discusses the problems of state constitutional modernization Shevardnadze's, go on with fake and tailored on Saakashvili's personal and political ambitions. Here, with this reason is underlined the activity of a new Georgia's Constitutional Commission which was created in July, 2013 and is said that this new commission's starting point should not be the constitution of 1995 but it should be based upon the constitution of 1921. Not less important thing is that it should be aimed to prepare and adopt such kind of state constitution that could balance all three governmental branches which provide the establishment of full parliamentary governance.

ბადრი ცხადაძე
ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პარლამენტის გააზრებისათვის ქართულ სოციოლინგვისტურ სივრცეში

პარლამენტი და **პარლამენტარიზმი**, წესით და რიგით, მოქალაქეთა გარანტიებზეა ორიენტირებული. ევროპაში კი, ამ სიტყვის დაბადებისთანავე იშვა მისი კნინობითი და აღმატებითი მნიშვნელობაც [1, 3].

საქართველოში პარლამენტის შექმნის ანუ პარლამენტარიზმის იდეა ჯერ კიდევ 8 საუკუნის წინ გაჩნდა, მაგრამ იგი იდეის ჩასახვისთანავე ჩაკვდა – მაშინდელი სახელმწიფო ძალების მძლავრობითა და ძლევით ქვეყანა მონარქიულ-ფეოდალური წყობილებისა და განვითარების ძველ, ტრადიციულ გზას დაადგა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართულ სინამდვილეში არ მოგვეპოვება ცნობები ძველი მოქმედი, არჩევითი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობის შესახებ, თუმცა ბიზანტიური საისტორიო წყაროები გვაწვდის ცნობას 554 წელს გამართული სახალხო კრებისას, რომელიც შეეცადა განესაზღვრა ქართველთა პოლიტიკური ორიენტაცია.

1183 წელს თამარ მეფის დროინდელ ეპოქაში ყუთლუ-არსლანის „კარვის დადგმა“ და მისი შემდგომი იდეურ-პრაქტიკული რეალიზაცია როგორი იქნებოდა, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ როგორც ფიქრობენ, ის არ გადაიქცეოდა სოციალურ ფენათა წარმომადგენლობით ოფიციალურ ორგანოდ და მოგვიანებით არ გარდაიქმნებოდა კანონმდებლობაზე დაფუძნებულ ორპალატიან პარლამენტად [2, 82].

შენიშვნა: ძველი ტრადიციით, საქართველოს სამეფო კარზე არსებული საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს უმაღლესი სათათბირო ორგანო, იგივე **სამეფო საბჭო** განაგებდა, რომელსაც **დარბაზი** ერქვა.

საყოველთაოდ ცნობილია, „პარლამენტის სამშობლოდ“ ინგლისი მიიჩნევა, მაგრამ როგორც ირკვევა, ეს მართებული სრულე-

ბითაც არ არის: „რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, პოლიტიკის ისტორიაში „პირველი პარლამენტი" ევროპაში და ისიც ისლანდიაში კი არ შემდგარა, როგორც ამას გვამცნობს მსოფლიოში გავრცელებული The Hutchinson dictionary of World History ან მისი ყოველწლიური ენციკლოპედიები, არამედ აზიაში, კერძოდ, აზიის იმ ნაწილში, რომელსაც ახლა ახლო აღმოსავლეთს ვუწოდებთ. – ყველანაირი ტირანებისა და დესპოტების უძველეს სამშობლოში, სადაც მსგავს პოლიტიკურ შეკრებათა არსებობაზე თითქოს ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. იგი მოუწვევიათ იმ ქვეყანაში, რომელსაც ძველად **შუმერი** ეწოდებოდა. ეს პარლამენტი ძვ. წ. აღ. III ათასწეულში შემდგარა. ცხადია, რომ მასთან შედარებით „დემოკრატიული" საბერძნეთისა და რესპუბლიკური რომის პოლიტიკური კრებები ბევრად უფრო გვიანდელია [3].

დაისმის კითხვა: როდის გაჩნდა ქართულ ენობრივ სივრცეში სიტყვა-ტერმინი **პარლამენტი?**

როგორც ვიცით, შუასაუკუნეებში ქართული სახელმწიფოს დაქუცმაცებისა და 1801 წლიდან მისი გაუქმებისა და რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ ქართულმა სახელმწიფომ არსებობა ერთ საუკუნეზე მეტ ხანს შეწყვიტა. სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ენობრივ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში ევროპიდან (შესაძლოა რუსული ენის გვერდის ავლით) შემოვიდა და დამკვიდრდა ტერმინი **პარლამენტი.** ეს უკანასკნელი ლათინურ-ფრანგული სიტყვაა (Parlement) და ნიშნავს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ არჩევითია [4, 371] ამრიგად, ფრანგ. „პარლე" (ლაპარაკი, მეტყველება) და „მენტ" (ადგილი) უპირველესად „სალაპარაკო ადგილს" ნიშნავს. აქედან გავრცელდა იგი ევროპის მეზობელ ქვეყნებში (ინგლისი, გერმანია....).

პარლამენტი, სათათბიროს მნიშვნელობით, რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის მიწურულს გაჩნდა, რომელსაც დღემდე რუსული სიტყვა-ტერმინი Дума ეწოდება. ქართულ ენაში კი იგი **სათათბირო** – შესატყვისი ტერმინით დამკვიდრდა.

როგორც ჩვენი ძიებით ირკვევა, ფეოდალურ ყოფაში საუკუნეობრივად გამოზრდილმა ქართველობამ ევროპული პარლამენტის არსი და მნიშვნელობა სარკაზმით მიიღო (მისი დანიშნულება და როლი ქვეყნის მოწყობა-წარმართვაში, სამწუხაროდ, დღემდე ასე რჩება). ამიტომაც პარლამენტს XIX საუკუნის ქართულმა ინტე-

ლიგენციამ ირონიულიად **სალაყბო** შეარქვა. **შენიშვნა: ლაყაფი** უცხოური სიტყვაა და „ქართულად ცუდ მოუბარს“ ნიშნავს, „სპარსულად მეორე სახელიაო“, განმარტავს სულხან-საბა [5, 412]. ამრიგად, **სალაყბო ლაყაფ** სიტყვისაგან მომდინარეობს: XX საუკუნის მეორე ნახევარში, სიტყვა „სალაყბომ“ ქართულ ენასა და დიალექტებში ბირჟის მნიშვნელობაც კი შეიძინა. ამის შესახებ ცნობილი ქართველი მეცნიერი და მოგზაური ლევან მარუაშვილი წერს: „მყინვარის დათვალიერების შემდეგ, ჯგუფი ბრუნდებოდა ბაზაში, გერგეტზე გამოვლისას „**სალაყბოზე**“ გამოფენილი მოხევეთა ჯგუფი გვხვდებოდა. მათი თავისებური ქართული, სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე გადატანილი მახვილი, მუსიკალურ ტონად ჩამესმოდა და სიამაყეს აღმიძრავდა“ [6]. ლ. მარუაშვილი წიგნს დართულ შენიშვნებში ამ სიტყვას ასე განმარტავს: „**სალაყბო**“ – დასახლებულ პუნქტში ადამიანთა (უფრო მამაკაცთა) თავშესაყრელი ადგილი სალაპარაკოდ, „ბირჟა“).

ამრიგად, ამ კონტექსტის მიხედვით, **სალაყბო** მამაკაცთა თავშეყრელი სალაპარაკო ადგილია. ქართულ ენაში, ახლაც, თავშესაქცევ და სალაპარაკო ადგილს ჟარგონულად, მართლაც, ***ბირჟას*** უწოდებენ, ხოლო აქ ხშირად მისულ უსაქმო ახალგაზრდას – „ბირჟავიკს“.

ქეგლ'ის განმარტებით კი **სალაყბო** არის ის, რაზედაც ლაყბობენ, – საყბედო. 2. ძვ. სავაჭრო მოედანი, სადაც ხალხი თავს იყრიდა. **სალაყბოდ** ზმნისართია და ნიშნავს: ლაყბობის მიზნით, ლაყბობისათვის [7]. ამ სიტყვას კარგად იცობენ ქართველი მწერლები: ე. ნინოშვილი, ვ. ბარნოვი. ნ. ლორთქიფანიძე და სხვ.

ამრიგად, ძველად ეს სიტყვა „სავაჭრო მოედანსაც“, სავაჭროდ მისულ ხალხთა თავშესაყრელ ადგილს აღნიშნავდა.

დღესაც ქართულ პარლამენტში არაიშვიათად გავიგონებთ: „ამა და ამ კანონის ირგვლივ ზოგიერთმა პარლამენტარმა ვაჭრობა გამართა“. ან კიდევ: „საარჩევნო კანონთან დაკავშირებით მთავრობა ოპოზიციურ პარტიებთან ვაჭრობს“; როგორც ჩანს, ასეთი სპეციფიკური წინადადებები და გამონათქვამები ძველი ვითარების ანარეკლი უნდა იყოს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში **სალაყბო** და **ლაყბობა** სიტყვაფორმებს პოლიტიკური გამოხატულებაც შეუძენია, რაც კარგად ჩანს მიხეილ ნასიძის ერთ-ერთი კორესპონდენციიდან. პუბლიცისტი გაზეთ „ივერიის“ დამატებაში (იხ. გაზ. „ზურნა“ მე-17 კორესპონდენცია), ლაპარაკობს ე. წ. ბულვარის პრეზიდენტის

ამორჩევაზე, ყურადღებას მიაპყრობს სალაყბოს, ანუ ბულვარის ზედა და ქვედა პარლამენტს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზედა და ქვედა პარლამენტების გაერთიანებულ საკრებულოში მიმდინარე ბულვარის პრეზიდენტის ამორჩევას.

მ. ნასიძე რეპორტაჟული სტილით წერს: „შაბათი დღეა. 20 მარტი 1893 წლისა. ასე დაწვრილებით იმიტომ ვნიშნავ თარიღს, რომ ეს დღე დასახსომი დღეა მთელის საქართველოსთვის. **დღეს ბულვარის ქვედა და ზედა პარლამენტი, ანუ, ჩვენებურად, სალაყბო** თავს იყრის ერთ შეერთებულ კრებულად, რომ ბულვარის პრეზიდენტი ამოირჩიონ“.

რეპორტაჟული სტილით მომთხრობი პუბლიცისტი მკითხველს უშუალო თანამონაწილედ და ამ ამბის შემსწრედ ხდის: „ბულვარი დიდ ყოფასა და ამბავშია. შიკრიკები გარბიან – გამორბიან დეპეშებით. ხელჯოხიანთა უსტაბაში **ნისკარტა სამთვიანიძე,** რომელსაც დაპირებული აქვს ფინანსთა მინისტრობა, გარბის და გამორბის წესისა და რიგის დასაწყობად“.... [8]. როგორც მკვლევარი ნ. პატარიძე შენიშნავს, მ. ნასიძე მიმართავს თავისებურ ჟურნალისტურ ხერხს, რათა კორესპონდენციაში ასახული მოვლენა განაზოგადოს. იგი ბულვარის პრეზიდენტის ასარჩევად ასახელებს სამ კანდიდატს: ერთი კანდიდატი ამათგან არის **ჩიტირეკია ქარაფშუტაძე,** თავისი ამალით, მეორე – **ჭორია ჭორიკანიძე**, რომელსაც ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრობას უქადიან, მესამე – ბულვართან შესისხლხორცებული მუშტარი – **ბობოლა ჭიმია ხელუხლებელი.** საგაზეთო სტატიის ავტორის თქმით, „დღეს, 20 მარტს, არჩევანმა თავის ბუნებას უმტყუნა და უნიჭობის მაგიერ დიდი ნიჭიერი კაცი – **ჩიტირეკია ქარაფშუტაძე** გამოიყვანა ბულვარის პრეზიდენტად...“ „...ხანგრძლივი ტაშის ცემისა და ბრავოს ძახილით ჩიტირეკია ხელში აიყვანეს და დიდხანს ბურთივით ისროლეს მაღლა, ბრავოსა და გაუმარჯოს ყვირილით“ [9].

მ. ნასიძისეული ირონია განპირობებულია იმდროინდელი ტფილისის საკრებულოში არსებული ვითარებით. კონკრეტულ ფაქტზე დაყრდნობით ჟურნალისტი სწვდება მოვლენათა არსს და მას შესანიშნავად აზოგადებს [10, 181].

ასე რომ, პარლამენტის, როგორც ცნება-ტერმინის, სავაჭრო არენად გაგებას, სამწუხაროდ, ზურგს უმაგრებს ქართული პარლამენტის უმცირესობისა და უმრავლესობის წაჯექ-უკუჯექობა ქვეყნის საზიანოდ, პოლიტიკური აღებ-მიცემობა, ურთიერთშორის გარიგება, კოჰაბიტაციური ერთობა და ა. შ.

ამრიგად, გაირკვა, რომ 1. ფრანგულ-ევროპული წარმომავლობის სიტყვა-ტერმინის **პარლამენტ**ის ქართული შესატყვისია „სალაყბო“ // „სალაყბო ადგილი“, ადგილი, სადაც ლაყბობენ, აქედან გამომდინარე, პარლამენტარი ანუ პარლამენტის წევრი „მოლაყბეა“, „ლაყაფის მოყვარულია“, „ლაყაფისტია“, „ბირჟავიკია“, 2. დღევანდელი ვითარებითაც ქართველი კაცის პარლამენტისადმი სარკაზმულ-ირონიზებული დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ ქართველი მოქალაქის და ამომრჩევლის ცნობიერებაში ტერმინი აშკარად გაუკუღმართებული და დეგრადირებულია თვით პარლამენტარად არჩევის წესის ჩათვლით.

ამის შესახებ „გარედან მოყურიადე“ მკითხველ-მოქალაქენი და საქმის არსში ღრმად მწვდომი უცხოელი და ქართველი სპეციალისტებიც სწუხან: მაგ., პროფ. ი. კვესელავას გააზრებით, „საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სინამდვილემ თითქმის ოცზე მეტი წლის მანძილზე მეტ-ნაკლებად იგემა საპარლამენტო, შერეული და საპრეზიდენტო მმართველობის ნაყოფი, მაგრამ ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრისათვის ერთიანად მისაღები ვერ აღმოჩნდა. ცხადია, ყოველივე ამას თავისი მიზეზი აქვს. ვერც ერთი კონსტიტუცია და მმართველობის ვერც ერთი მოდელი სრულყოფილად ვერ იმუშავებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე [2, 12]. მისივე შეფასებით, „ნეგატიური შედეგები ცალკეულ საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ შერეულ მმართველობაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მის გაუკუღმართებასა და დამახინჯებაში. 1992 წლიდან მოყოლებული საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება გაუთავებლად იდგა პრობლემების გადაწყვეტის წინაშე, რომლის ე. წ. მომგვარებლები კონკრეტული პარტიისა და მისი ლიდერის მიმართ უსაზღვრო და უპირობო ნდობას მოითხოვდნენ. ასეთ ვითარებაში არსებითად ერთპარტიული ვითარება მყარდება, რის გამოც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მმართველ გუნდს და არა ინსტრუქციებს, რაც ამ უკანასკნელის მნიშვნელობას აკნინებდა და ისინი ვერ ასრულებდნენ მაორგანიზებელი სისტემის ფუნქციას“.

ცნობილი ისტორიკოსი და პოლიტიკის ისტორიის მკვლევარი ამ საკითხებს კიდევ უფრო უღრმავდება ახლახანს გამოცემულ კიდევ ერთ მონოგრაფიაში, რომელსაც „საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პარადიგმები და დილემები“ჰქვია [11].

ჩვენი დასკვნით: ქართველები – როგორც ამომრჩევლები, ისე პარლამენტარები, პოლიტიკოსები თუ პოლიტიკანები, პარტიები

თუ კონსტიტუციონალისტები სრულყოფილად არ იაზრებენ და ითვალისწინებენ ქართველი მკვლევარ-მეცნიერების, პოლიტოლოგ-ისტორიკოსების ვარიაციულ და ალტერნატიულ წინადადებებს, ასევე ქართველი ერის გენეტიკურ-ფსიქიკურ პლასტებს, ეგზისტენციალურ დიაქრონიულ და სინქრონიულ ყოფას, მის ისტორიულ პოლიტიკურ წარსულს [12] და ქვეყანასა და საზოგადოებას „ბუკიკიოების" მიერ მოწოდებულ პოსტულატებს დამახინჯებით, კონიუნქტურით სთავაზობენ საზოგადოებას; იქმნება კანონთა ერთგვარი დომხალი (კოქტეილი) ჩვენთვის მიუღებელ ევროპული პარლამენტის სახესხვაობის მოდიფიკაციებს საპარლამენტო, შერეული თუ საპრეზიდენტო ვარიაციებით. ასე რომ, ზოგ შემთხვევაში, როგორც ჩანს, დილემები ჩვენს მიდგომებსა და აზროვნებაშიცაა: სანამ ეს პოლიტიკური აბრაკადაბრები არ დამთავრდება, საპარლამენტო, საპრეზიდენტო თუ თვითმმართველობის არჩევნებს, კერძოდ კი პარლამენტს, ქართველი ერის ცნობიერებაში, ყოველთვის „სალაყბოს" მნიშვნელობა ექნება.

ირონია და ირონიზება დროებითი წამალია, ერთგვარი გამაყუჩებელი აბი და მალამო, რომელიც ავადმყოფ სხეულს ვერ განკურნავს.

საქმის გადადება ებოლას ვირუსივით გადამდები არ უნდა იყოს.

ხსნა, ჩვენი აზრით, ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებულ ნამდვილ რეფორმატორულ ცვლილებებშია. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ამერიკელი მეცნიერი ს. კოენი: **სხვა ქვეყნიდან დემოკრატიის „სესხება" შეუძლებელია.... ვერავითარი პოლიტიკური სისტემა ვერც ერთ სახელმწიფოში სტაბილური ვერ იქნება, თუ ის ამ ქვეყანაში, მის ნიადაგზე არ იშვა, როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი**. ასე რომ, ქართველებმა ქართულ ეროვნულ პარლამენტზე უნდა ვიფიქროთ. მეცნიერთაგან ძიება უკვე დაწყებულია.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ფ. ლოვო, პარლამენტარიზმი, თბილისი, 2005.
2. ი. კვესელავა, საკონსტიტუციო ვარიაციები (მონოგრაფია) თბილისი, 2014.
3. გ. მჭედლიშვილი, სხვისი მისაბაძი რა მჭირს, თვარა – კი!.. (ნაწილი მესამე). 2013. 05.0421.12.01. www. for-ge/view php?for–id =

23367&bloger–id = 21& cat =12).
4. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა, შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, თბილისი, 1989.
5. ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. IV. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბილისი, 1965.
6. ლ. მარუაშვილი, მოგზაურობა ქვეყნიერების ბანზე პამირალაი – 1932, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1988.
7. ქეგლ-ი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი), რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. 7, თბილისი, 1962.
8. გაზეთი ივერია, 1893, №60.
9. გაზეთი ივერია, 1893, №73.
10. ნ. პატარიძე, მიხეილ ნასიძის ჟურნალისტური მოღვაწეობიდან. კრებულში: კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, №5-6, თბილისი, 2002-2003.
11. ი. კვესელავა, საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პარადიგმები და დილემები, თბილისი, 2014.
12. ბ. ცხადაძე, ე. ცხადაძე, პარლამენტის, როგორც ტერმინის, გააზრებისათვის ქართულ პუბლიცისტურ ტექსტებსა და მწერლობაში. საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის – „მსოფლიო და კავკასია" – მასალები, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013.

Badri Tskhadadze
Professor of Technical
University of Georgia

For understanding of the term – parliament in Georgian (sociological analysis)

Summary

In Georgia the idea to establish the parliament appeared eight centuries ago, but it died out as soon as it appeared – of those time powerful state started to create and develop the classical monarchist-feudal system. According to the old traditions, feudal state was ruled by the royal

supreme council state authority, which was called – presence-chamber and its members - people of presence-chamber.

According to the Georgian texts and publicity of the late 19th and the first quarter of 20th century is obvious that, population grown for centuries in feudal times took the essence and significance of European Parliament with sarcasm (unfortunately its purpose and role remains the same even for modern days). Based upon the above mentioned events the 19th century intellectuals ironically called it just „talking place".

დოდო ჭუმბურიძე
თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

საისტორიოგრაფიო სიახლენი

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, – გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, ელჩობათა მასალები ქართულად თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, თბილისი, 2014 წელი.

ვრცელი, 576 გვერდიანი ნაშრომი მოიცავს მასალებს მე-17 საუკუნეში (1636-1640 წ. წ.) სამეგრელოს სამთავროსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის დიპლომატიური კავშირების შესახებ. კრებულს წამძღვარებული აქვს სამ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ) ენაზე შესრულებული ეპოქისა და მასზე არსებული სამეცნიერო და წერილობითი წყაროების ვრცელი პოლიტიკური, ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, უცხოელი კარტოგრაფების მიერ შედგენილი შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიების რუკები.

შესავალი, რომელიც წიგნის მთავარ რედაქტორსა და გამომცემელს პროფესორ ჯემალ გამახარიას ეკუთვნის, ეპოქის ღრმა მეცნიერული ანალიზით გამოირჩევა. მკვლევარი ისტორიული პარალელების აღნიშვნითა და ფაქტების ურთიერთშედარებით, თანამედროვე რუსული და აფხაზური ისტორიოგრაფიის ბევრი მცდარი შეხედულების ნიველირებას ახდენს და მრავალმხრივ დასაბუთებულ ისტორიულ სინამდვილეს წარმოაჩენს.

მე-17 საუკუნე გამორჩეულად ტრაგიკულია გარეშე და შინაომებით დაუძლურებული, პოლიტიკურ ერთეულებად დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოსთვის. სათანადო ქართული წყაროების სიმწირის გამო, შეუძლებელია ამ ეპოქის სრულყოფილი შესწავლა იმ უცხოური წყაროების გარეშე, რომელიც აღნიშნულ ეპოქაშია შექმნილი უცხოელი მოგზაურების, მისიონერების, დიპ-

ლომატების მიერ. ამ მხრივ, აღნიშნულ კრებულში შეტანილი რუსული მასალები გამორჩეულად ფასეულია, მითუმეტეს, ეს დოკუმენტები სრულად, პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე. ისინი ეხება სამეგრელოს ცნობილი მთავრის, ოდიოზური და ეპატაჟური პიროვნების – ლევან II დადიანის მოღვაწეობის ხანას, მის მიერ სპეციალური ელჩის – გაბრიელ გეგენავას მივლინებას რუსეთის ხელმწიფის კარზე, ამ მოგზაურობისა და შეხვედრების დეტალებს, ასევე რუსეთიდან საპასუხო ვიზიტით გამოგზავნილი რუსული ელჩობის წევრების სამეგრელოში ყოფნის პერიოდის აღწერას, რაშიც საქართველოს ამდროინდელი ისტორიის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი ბევრი საინტერესო ნიუანსი იკითხება. ამ ელჩობათა შესახებ, შედარებით მოკლე ინფორმაციას გვაძლევს მარი ბროსეს მიერ 1861 წელს პეტერბურგში გამოცემულ კრებულში – „Переписка, на иностранных языках, грузинских царей с Российскими государями, от 1659 г. по 1770 г. М. Броссе. С.- Петербург, 1861, с. LIV-LX) შეტანილი მასალა. შემდეგში ელჩობის დოკუმენტების სრული სამეცნიერო პუბლიკაცია განახორციელა ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა სერგეი ბელოკუროვმა. გამახარია ბელოკუროვის გამოცემებს განიხილავს და მის დასკვნებსაც ეხება, მიუთითებს რუსი ავტორის ცალკეულ შეცდომებსა და უზუსტობებზე, აღნიშნავს რუსულ-ქართული ურთიერთობის ამსახველი სხვა მასალების, ქართული და რუსული ელჩობების მიერ შედგენილი დოკუმენტების ავ-კარგს და სრულად წარმოაჩენს იმ ისტორიოგრაფიულ და წყაროთმცოდნეობით მასალას, რაც ამ მეტად მნიშვნელოვან თემას მიეძღვნა XIX საუკუნიდან თითქმის დღემდე. ის ეხება არა მარტო ბელოკუროვის სხვადასხვა გამოცემას, არამედ მ. პოლიევექტოვის, დ. ლიხაჩევის, ლ. შეპელევას, ი. ლურიეს, რ. მიულერის და სხვების კომენტარებს, არქეოგრაფიულ და ისტორიულ მიმოხილვებს, ყველა ავტორის მიერ გამოცემულ ტექსტს მეცნიერი ადარებს ერთმანეთს და საკუთარ თვალსაზრისსაც გამოთქვამს.

2005 წელს ბელოკუროვის პუბლიკაციის მიხედვით, იგივე გამახარიას რედაქტორობით რუსულ ენაზე თბილისში გამოვიდა ელჩინისა და ზახარიევის სამეგრელოში ელჩობის ამსახველი დოკუმენტები. წიგნს თან ერთვოდა ვრცელი ისტორიული წინასიტყვაობა, გეოგრაფიული რუკები და ისტორიკოს თამაზ ბერაძის სტატია XVII საუკუნის სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ, აგრეთვე კომენტარები და ლექსიკონი. წიგნის მიზანდასახულებას

წარმოადგენდა პასუხი გაეცა სეპარატისტულად მოაზროვნე აფხაზი და მათი მხარდამჭერი რუსი ისტორიკოსებისათვის, გაეხსენებინა მათთვის, რომ XVII საუკუნეში საქართველოში ჩამოსულმა რუსმა ელჩებმა ივერიის სამეფოს განაპირა ოლქის – სამეგრელოს ნაწილად გაიცნეს აფხაზეთი, ანუ ის არ იყო სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული და საქართველოსგან გაუცხოებული მხარე, რომ აქ ცხოვრობდა ქართველი მოსახლეობა და მოღვაწეობდა ქართველი სამღვდელოება. წიგნი რუსულ ენაზე გამოვიდა ამგვარი სათაურით: „Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии. Посольство Федота Елчина и Павла Захарьева в Мегрелию.1639-1640. Для издания подготовил, предисловием, комментариями и словарем снадбил Джемал Гамахария. Тб. 2005. სრულად ქართულ ენაზე თარგმნილი აღნიშნული დოკუმენტები სწორედ ჯემალ გამახარიასვე რედაქტორობითა და სამეცნიერო მიმოხილვით ამჟამად გამოცემულ კრებულში შევიდა. გამახარიას დამსახურება არა მარტო ამ მასალების გამოცემა, არამედ ის მეცნიერული „დაზუსტებანია“, რაც ცალკეულ ქრონოლოგიურ თუ ფაქტოლოგიურ დეტალებს ეხება, რომელსაც მკვლევარი არგუმენტირებულად აანალიზებს და საბოლოო ობიექტურ ინფორმაციას აწვდის სამეცნიერო საზოგადოებას.

წინასიტყვაობაში გაანალიზებულია XVII საუკუნეში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, სპარსეთისა და ოსმალეთის დამპყრობლური ინტერესები, მათ მიერ ინიცირებული შიდაკონფლიქტები, დაპირისპირება სამეფო-სამთავროებს შორის, რაც კიდევ უფრო ასუსტებდა ისედაც დასუსტებულ ქართულ სახელმწიფო ერთეულებს. გარკვეულმა პოლიტიკურმა ალღომ და გამჭრიახობამ, ამასთანავე, ქართლის „ვალზე“ – როსტომზე დის – მარიამ დადიანის დაქორწინებამ სამეგრელოს მთავარი – ლევან II დადიანი „განადიდა“, განამტკიცა პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც (მას სპარსეთის შაჰმა ათასი თუმნის ყოველწლიური ჯამაგირი დაუნიშნა). მან გადაწყვიტა, არ ჩამორჩენოდა თეიმურაზ I-ს, რომელიც დამარცხდა როსტომთან ბრძოლაში და რუსეთთან დაკავშირება გადაწყვიტა. საპასუხოდ, ლევან დადიანმაც მოისურვა რუსეთთან მეგობრული ხელშეკრულების გაფორმება. მას, როგორც მკვლევართა ნაწილი აცხადებს, ჰქონდა შორსმიმავალი მიზნებიც საქართველოს გაერთიანებისა და ამ საკითხში გიორგი სააკაძის თანამოაზრედ გამოდიოდა. თუმცა, მისი ეს სურვილი რეალობას აცდენილი იყო. საქართველოს ირგვლივ განვითარებული

საერთაშორისო ვითარება, აგრეთვე სამეგრელოს მთავრის შიდა-პოლიტიკური საქმიანობა – კანონიერ მეფესთან, თეიმურაზ I-თან მტრობა, იმერეთთან აგრესია, ჩრდილოეთის საზღვრებიდან მომართული საფრთხეები, საქართველოს გაერთიანების იდეას სრულ ნიადაგს აცლიდა. მიუხედავად ამისა, მას ჰქონდა დიდი მიზნები და პოლიტიკური ამბიციები, რის განხორციელებასაც სჭირდებოდა საგარეო მხარდაჭერა, რისთვისაც გაგზავნა კარის მღვდელი გაბრიელ გეგენავა რუსეთის სამეფო კარზე. როგორც ქართველი ელჩის, ასევე რუსეთიდან წარმოგზავნილი ელჩების – ელჩინისა და ზახარიევის, ასევე მათი თანმხლები პირების მოგზაურობა და თავგადასავლები, ის ვითარება, რაშიც ისინი მოხვდნენ, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების, სამეგრელოსა და აფხაზეთის ვითარების დეტალების ასახვა – აღნიშნულ მასალებს აქცევს ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ.

წიგნი კარგი შენაძენია ჩვენი საისტორიო მეცნიერებისთვის. მისი დახმარებით კიდევ ერთხელ ნათლად იკვეთება სიმართლე, ჩანს, თუ როგორ არის ყოველგვარ საფუძვლებს მოკლებული აფხაზეთის ეთნოპოლიტიკურ და საეკლესიო ისტორიის საკითხებზე სეპარატისტული რეჟიმის ისტორიკოსთა ვერსიები, მათ მიერ წამოყენებული პრეტენზიები აფხაზეთის „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებრიობაზე. ჩანს, რომ მათი შეხედულებანი მხოლოდ და მხოლოდ ისტორიის ფალსიფიკაციაა, რასაც გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალებიც ადასტურებს.

არჩილ ჩაჩხიანი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები), თბილისი, 2014.

ნაშრომში მდიდარ წყაროთმცოდნეობით მასალებზე დაყრდნობით სამეცნიერო თვალსაზრისითაა განხილული 1918-1920 წლებში აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში ქართული საჯარისო შენაერთების საბრძოლო მოქმედებები, ნაჩვენებია საომარ ოპერაციებში მოპოვებული გამარჯვებების სამხედრო და ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა, ქართველ მეომართა დიდი პატრიოტიზმი და სიმამაცე.

წიგნი საინტერსოა იმდენად, რამდენადაც მისი ავტორი არის როგორც პროფესიონალი მეცნიერ-ისტორიკოსი, ასევე პროფესი-

ონალი სამხედრო პირი, პოლკოვნიკი, კარგად იცის და აინტერესებს ის საბრძოლო გამოცდილება და უნარი, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ჯარს, მის სახელოვან მეთაურებს ჰქონდათ და რითაც ისინი იგერიებდნენ მრავალრიცხოვან სამხედრო შემოტევებს აგრესიული მეზობლების მხრიდან.

წიგნი მიძღვნილია აფხაზეთისათვის დაღუპული მეომრების ხსოვნისადმი.

ამ ვრცელ მონოგრაფიაში (426 გვ.) განხილულია რუსი ბოლშევიკებისა და თეთრგვარდიელი მოხალისეების ექსპანსიონისტური მისწრაფებები, დამპყრობლური იდეოლოგიით განმსჭვალული მათი აგრესიული სამხედრო ქმედებები საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიმართ. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ამიერკავკასიაში ბრიტანული საოკუპაციო ჯარების მისიის, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი ამ ჯარების სარდლობის პოლიტიკური დამოკიდებულების ჩვენებას.

როგორც წიგნის ანოტაცია გვამცნობს, მონოგრაფიაში გამოყენებული ფოტომასალის, საარქივო წყაროების: პატაკების, მოხსენებითი ბარათების, ოპერატიული შიფროგრამების, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის ოქმების და სხვა მასალების დიდი ნაწილი პირველად არის შემოტანილი სამეცნიერო ბრუნვაში. ეს მართლაც ასეა, რასაც ემატება ავტორის მიერ სოხუმისა და სოჭის ოლქებში მიმდინარე ბრძოლების ტაქტიკური ანალიზი, ეს ბრძოლები პირველადაა შესწავლილი სამხედრო ხელოვნების კუთხით.

ნაშრომის I და II თავს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ლენინის სიტყვები. ამ სიტყვების კონტექსტში მკვლევარი განიხილავს საბჭოთა რუსეთის ბრძოლას „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის კონცეფციის“ გასამარჯვებლად, რისთვისაც „პროლეტარიატის დიდი ბელადი“ აქეზებდა ბოლშევიკურ ჯარს აგრესიული ქმედებებისათვის არა მარტო აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთის რეგიონში, არამედ მთლიანად საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დასაპყრობად და თავისუფლების იდეის დასასამარებლად. ამ „კონცეფციით“, რასაც რუსული მწერლობის პროლეტარული ფრთის სიამაყე გორკიც დაუფარავად ამხელდა ამ პერიოდის პუბლიცისტიკაში, რუსული პროლეტარიატი მსოფლიოს დაპყრობისკენ მიისწრაფვოდა, რაც მაქსიმ გორკის აზრითაც, განუხორციელებელი იყო და ისტორიის მსვლელობამაც ნათლად აჩვენა იდეის აბსურდულობა. რსდმპ-ს იმპერიალისტური მისწრაფე-

ბები კარგად გამოვლინდა I მსოფლიო ომის დასაწყისისთანავე და ამ ისტორიულ პროცესებს მკვლევარი თავის ვრცელ ნარკვევში გარკეულ ადგილს უთმობს, რათა უფრო გამოკვეთოს დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ბოლშევიკური რუსეთის საბრძოლო ოპერაციების მიზანი და არსი.

მკვლევარი ცალკე პარაგრაფად გამოყოფს და მკითხველს აცნობს იმ ძირითად სტრატეგიას, რაც ბოლშევიკურ ხელისუფლებას ჰქონდა, იმ ამოცანებს, რასაც ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ისახავდა მიზნად რუსეთის ხელისუფლება და რა მისიასაც აკისრებდა ბოლშევიკურ წითელ არმიას. გარდა კავკასიისა, მან ეს ძალა მიმართა ევროპისკენაც, დასავლეთის მიმართულებით, პოლონეთის დასამხობად და საბჭოთა რუსეთთან მის მისაერთებლად გაილაშქრა და ნამდვილი ომი გააჩაღა პოლონელებთან. და არა მარტო ყოფილ იმპერიაში შემავალ ხალხებს, ლენინური აგრესია არანაკლებ შეეხო რუსეთს, მის ყველაზე გონიერ და მშრომელ ნაწილს, რის დამადასტურებლად არჩილ ჩაჩხიანს მოაქვს ციტატები მრავალი უცხოელი და რუსი მკვლევარის ნაშრომებიდან.

საინტერესოა I თავის მესამე პარაგრაფი – „შოვინისტური ისტორიოგრაფიის ზოგიერთი ნიმუში“, სადაც მკვლევარი განიხილავს რუსი ისტორიკოსების არაობიექტურ და ფალსიფიცირებულ ნაშრომებს, მათ მიზანმიმართულად პოლიტიზირებულ კვლევებს. ოღონდ აქვე პატარა შენიშვნას მივცემთ მკვლევარს: კარგი იქნებოდა, თუ ამ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციებს ის ქართველ მკითხველს მთლიანად მიაწვდიდა ქართულ ენაზე, თარგმნიდა რუსი მეცნიერების წიგნებიდან იმ ადგილებს, რაც მონოგრაფიაში რუსულ ენაზეა მოტანილი. მაგალითად, სვეტლანა ჩერვონაიას წიგნიდან გამოცემის 33-34 გვერდებზე საკმაოდ ვრცელი ამონარიდია. ჩერვონაიას დასახელებული წიგნი ქართულ ენაზე კარგა ხნის წინათ გამოვიდა, მეორეც, ქართველი მკვითხელის დიდმა ნაწილმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, რუსული ენა არ იცის, ან ცუდად იცის, ამ მასალების გაცნობა კი მათ სეპარატისტული აფხაზეთის უახლესი ისტორიის მეტ ცოდნას მისცემს.

საინტერესოდ აქვს ავტორს წარმოდგენილი აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის ისტორიისადმი მიძღვნილი ნაწილი. ის იმოწმებს რუს ავტორს – გენერალ კუზმინ-კარავაევს, მის წიგნს – „Черноморский округ“, სადაც 1894 წლის მონაცემებია შეტანილი. ამ მონაცემების მიხედვით, სოჭის ოლქში 1894 წელს რუსი მოსახლეობის წილი არ აღემატებოდა მთელი მოსახლეობის ერთ მეშვი-

დედს, ანუ სადღაც 16 %-მდე რაოდენობას. ეს იყო ქართული დაბა, რომლის გარუსება და დემოგრაფიული ცვლილებების აგრესიულად გატარება მოახდინა რუსულმა იმპერიულმა ხელისუფლებამ. აფხაზეთში გატარებული რუსული კოლონიური პოლიტიკის დასადასტურებლად მკვლევარს მოაქვს გენერალ კუზმინ-კარავაევის სიტყვები: „ჩვენმა ბრძოლამ დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის წინააღმდეგ მიიღო განსაკუთრებული, ისტორიაში არნახული ხასიათი: მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არა მხოლოდ ქვეყნის დაპყრობისა და მისი მოსახლეობის დამორჩილებისა, არამედ მათგან ტერიტორიების გაწმენდისა“.

აფხაზეთში მომხდარ მიზანმიმართულ ასიმილაცია-კოლონიზაციას, მონოგრაფიის ავტორი ფაქტოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, მეცნიერული სიღრმით განიხილავს. წიგნში თანმიმდევრულადაა ნაჩვენები აფხაზეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის და მისი სხვადასხვა გუბერნიებში გადანაწილების ისტორია, რაც მიზნად ისახავდა ამ რეგიონის მოწყვეტას საქართველოსგან, მის გაუცხოებას, აფხაზებში სეპარატისტული მისწრაფების ჩასახვას. მკვლევარი მიდის ამ მოძრაობის სათავეებთან და სეპარატიზმის წარმოშობის მიზეზებსა და განვითარებაზე სრულყოფილ ინფორმაციას გვაძლევს. ამასთანავე, ის მოვლენებს პოსტსბჭოთა პერიოდამდე აღწერს და რუსეთის მიერ ინსპირირებულ 1992 წლის საომარ კონფლიქტს სამართლიანად რუსეთ-საქართველოს ომის დეფინიციას აძლევს.

აფხაზეთის დასაპყრობად ბოლშევიკური რუსეთი ახდენდა სამხედრო მოქმედებების ესკალაციას, პარალელურად აფხაზეთისთვის იბრძოდნენ მონარქისტული ძალები, ძველი იმპერიის აღდგენისათვის მებრძოლი დენიკინის „მოხალისეები“, მწვავედ იდგა ოსმალური დესანტის შესაძლო გადმოსხმის საშიშროებაც. ოსმალური დესანტის საკითხი მწვავედ დააყენა ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხდებამდე აკაკი ჩხენკელმა ჟორდანიასადმი ბათუმიდან გაგზავნილ წერილში. მან აფხაზეთის პრობლემაზე რამდენიმე აქცენტიც გამოკვეთა. ჩაჩხიანი წერს დესანტის რაოდენობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თვალსაზრისზე, საქართველოში გერმანული სამხედრო და დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის, გენერალ კრეს ფონ კრეზენშტაინის მემუარში დაცულ ცნობაზე, რომ ვეხიბ ფაშამ გადასხა დესანტი სოხუმში ისე, რომ არ შეთანხმებია კონსტანტინოპოლს, აფხაზების დახმარების სურვილით. სინამდვილეში ეს დესანტი ერთ ასეულამდე თურქ მეომარს

შეაგენდა და თურქოფილი ალექსანდრე შერვაშიძის მამულში იყო დაბანაკებული. წიგნში სავსებით სამართლიანად არის ნათქვამი, რომ ამ დროს ანტიქართული განწყობილება აფხაზეთში იმდენად მცირე იყო, რომ მას არ შეიძლებოდა საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების აქ გავრცელებაზე რაიმე უარყოფითი ზემოქმედება მოეხდინა. ის ხაზს უსვამს თურქი გენერლის ვეხიბ ფაშას აგრესიულ ინტერესებს. ბათუმის კონფერენციაზე ამ გენერლის ჩამოსვლა ენვერ-ფაშასა და სხვა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ პოლიტიკოსებთან, რომლებიც ტრაპიზონის კონფერნციაში მონაწილეობდნენ, საინტერესოდაა აღწერილი ამდროინდელ გაზეთ „საქართველოში“. თუ ამ პუბლიკაციას გავითვალისწინებთ და ავტორის თვალსაზრისს მოვიტანთ, რომ „ის (ვეხიბ ფაშა) ფორმალურად გამოსული იყო კონსტანტინოპოლის ცენტრალური სარდლობის დაქვემდებარებიდან“ , მივხვდებით, რომ ეს მართლა ფორმალურად იყო ასე, სინამდვილეში კი, ძნელი დასაჯერებელია მისი მოქმედებები ენვერ ფაშას მითითების გარეშე განვითარებულიყო. გაზეთ „საქართველოს“ სტატიიდან ჩანს, თუ რა ახლო იდგა იგი ენვერ ფაშასთან და სპეციალურად შედგენილი გემის ეკიპაჟთან ერთად როგორ გამოემგზავრა ბათუმის კონფერენციაზე. ამ ამალას თავი ენვერმა მოუყარა, რათა გემით მგზავრობისას მეტად შესძლებოდათ კავკასიის მომავალ ბედზე მსჯელობა. ის ხალხი, აფხაზ მოჰაჯირთა მემკვიდრეები ბათუმშიც იყვნენ, რასაც ჟორდანიასადმი გაგზავნილი ჩხენკელის 1918 წლის 15 მაისის წერილიც ადასტურებს. ამდენად, გასაკვირი აღარაა ე. წ. „ოსმალური დესანტის“ სოხუმში გადასხმის ფაქტი. წიგნის ავტორი დეტალურად განიხილავს სოხუმისა და სოჭის ბრძოლებს, ახდენს ამ მოვლენების პოლიტიკურ ანალიზს.

სოხუმის, სოჭისა და ტუაფსეს რაიონის დაკავებისათვის სასტიკი ბრძოლები გამართეს თეთრგვარდიელმა გენერლებმაც, რასაც ასევე დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ქართული ეროვნული გვარდია და საჯარისო ფორმირებები. პარალელურად, ქართული დიპლომატია მუშაობდა ინგლისის სარდლობასთან და რუსეთის მოქმედებების შეკავებას მათი დახმარებით ცდილობდა. ამას წიგნში მოტანილი სამხედრო დეპეშები, შიფროგრამები, დადგენილებები და რეზოლუციები ცხადყოფენ. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის კავკასიურ წარმომადგენლობას სათავეში საქართველოს დიდი მეგობარი ოლივერ უორდროპი ჩაუდგა, დიდი პოლიტიკა მაინც არ იცვლებოდა. ამ პოლიტიკაში რუსეთის ერთიანობასა და გა-

ნუყოფლობას, ბოლშევიზმის დასამარცხებლად ანტიბოლშევიკური რუსული ძალების გაერთიანება-გამოყენებას მოიაზრებდნენ მსოფლიო ომში გამარჯვებული ევროპული ქვეყნები და საქართველოსაც ამ ალიანსთან უთანასწორო დაპირისპირება უხდებოდა.

მკვლევარი დაწვრილებით განიხილავს დენიკინის შემოტევებს, აანალიზებს მის ინტერესებსა და სამხედრო მოქმედებებს, საარქივო დოკუმენტებში ასახულ სოჭი-ადლერის თავდაცვითი ბრძოლის პერიპეტიებს, პარიზის საზავო კონფერენციით იმედგაცრუებულ საქართველოს...

წიგნში ასახული საინტერესო ისტორიული მოვლენები ავტორს სამართლიანად აქვს დაკავშირებული თანამედროვეობასთან, კავკასიაში რუსეთის კოლონიურ-ექსპანსიურ პოლიტიკასთან და მის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20 %-ის ოკუპირებასთან. მისი დასკვნით, საქართველოსთან მიმართებაში არსებობს მხოლოდ ერთი –„სამოდერჟავული“, ოკუპანტი რუსეთი, რომლის სტრატეგიული მიზნები და დამპყრობლური ამოცანები საუკუნეების განმავლობაში არ იცვლება, ისტორია კი, ხშირად მეორდება...

Николай Джавахишвили

Доктор исторических наук, профессор Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, главный научный сотрудник Института истории и этнологии имени Иванэ Джавахишвили, почётный доктор Академии Наук Латвии

ЛАБДИЕН, ЛАТВИЯ!

Около века тому назад, 18 ноября 1918 года собравшийся в Риге Народный Совет официально объявил о создании нового государства – Латвийской республики.

С тех пор коренное население этой одной из прекрасных стран Европы – благородный, трудолюбивый и боеспособный латвийский народ неоднократно подвергался опасности, однако, несмотря на огромные препятствия, он сумел построить национальное государство, которое на сегодня во многом является примером для малочисленных наций мира, ставших на сложный путь построения собственного государства.

Последние пять лет я систематически посещаю Латвию, где у меня много друзей и знакомых, среди коих и грузины, живущие там и вносящие свой скромный вклад в дело укрепления Латвийского государства.

Настоящим очерком имею честь приветствовать эту прекрасную страну и поздравить моих друзей с 96-ой годовщиной со дня основания Латвийской республики.

* * *

Лабдиен (добрый день), Латвия!

В тот год, когда ты как республика присоединилась к содружеству независимых стран мира, моя родина – Грузия (по-грузински – «Сакартвело») восстановила свою государственность.

История грузинской государственности, которая берёт свое начало задолго до Рождества Христова, была грубо и вероломно попрана в начале XIX века той же империей, которая до того покорила страны прибалтийского региона.

После крушения Российской империи грузинский народ сумел восстановить свое государство – 26 мая 1918 года Национальный Со-

вет Грузии объявил о создании Грузинской демократической республики.

Именно в тот год в одном из древних городов Грузии – Телави, который до начала 60-ых годов XVIII века был столицей Кахетинского царства, поселился и почти полвека жил латышский врач Николай Эдуардович Вольдейт (1886-1964). Его отцом был фармацевт Эдуард Карлович Вольдейт из Риги, обосновавшийся в Грузии в период русско-турецкой войны 1877-1878 гг. Дед Эдуарда (т. е. отца Карла) – теолог Август Воллейдт (Wolleydt), 1810 года рождения, жил в городе Венден (ныне Цесис).

Эдуард Вольдейт повенчался с дворянкой Наталией Джишкариани. Эта православная латышско-грузинская семья жила сначала в Тбилиси, а затем – в селе Тетри Цкаро. У них было 12 детей: Николай, Виктор, Евгений, Александр, Валериан, Анастасия, Валентина, Людмила и еще 4 детей, умерших в младенчестве.

Старший сын, вышеупомянутый Николай Вольдейт, родился в Тбилиси. После окончания Фельдшерской школы при больнице Святого Михаила (1904 г.) со званием «медицинский фельдшер II разряда» он более полувека самоотверженно служил делу здравоохранения в Грузии. В разное время он работал в Душетском, Марнеульском, Сагареджойском, Гурджаанском и Телавском районах. Позже он окончил лечебный факультет Тбилисского государственного медицинского университета, где ему была присвоена квалификация врача.

С 1918 года Н. Вольдейт жил и работал в Телави, где снискал известность как профессиональный лекарь и благородная личность. Он пользовался таким высоким авторитетом среди жителей региона Кахетии, что его любя называли – «экими Коля» (т. е. «доктор Коля») или «дзиа Коля» (т. е. «дядя Коля»).

Супругой Н. Вольдейта была Екатерина Александровна Хатиашвили (1888-1959). В 1940 году их единственного сына – Аполлона Вольдейта (1919-1941), который учился в Тбилиси на химико-технологическом факультете Грузинского индустриального института, призвали на обязательную военную службу. Он служил в Западной Украине, принимал участие во II мировой войне, где пропал без вести.

Соседи Николая Вольдейта вспоминали, что он был духовно чистым, доброжелательным и бескорыстным человеком, который всегда гордился своим латышским происхождением.

Заслуженный врач скончался в июле 1964 года в возрасте 78 лет. Он похоронен в Телави, на грузинском кладбище.

В доме, построенном в 1918 году латышским врачом, в начале 70-ых годов XX века поселились и по сей день живут мои родители. В

этом же доме родились и выросли: я, моя сестра – доктор филилогических наук Лела Георгиевна Джавахишвили и мой младший брат – доктор исторических наук Давид Георгиевич Джавахишвили, который по сей день живёт там.

Так что, Латвия и латыши отпечатались в моей памяти еще с раннего детства. Это естественно, так как мои детские и юношеские воспоминания тесно связаны с родительским домом, построенным около ста лет назад латышским врачом, предки которого происходили из лифляндского города Вендена (ныне Цесис).

Таким образом, можно сказать, что членам нашей семьи по наследству передалось чувство уважения к латышам и Латвии.

Лабдиен, Рига!

Тот, кто хоть раз бродил по твоим прекрасным улицам, ухоженным садам и паркам никогда тебя не забудет. Ты обладаешь необычайной способностью притяжения и влюблять в себя чужестранцев. Вот уже пять лет я являюсь твоим традиционным августовским гостем и, спасаясь от тбилисской жары, прекрасно чувствую себя под твоим небом, где солнце не столь беспощадно.

Латвия – славная родина Лачплесиса, Яниса Райниса и ешё многих достойных людей!

Хоть ты и довольно далека от Большого Кавказского хребта, на южных склонах которого находится моя любимая родина – Грузия и твое северное лето не так безжалостно, как наше, меня всегда согревает необыкновенное гостеприимство твоих коренных жителей – латышей.

Теперь же имею честь приветствовать твоих достойных граждан, с которыми мне выпало счастье общаться. Это известные латвийские ученые, академики *Янис Страдынш, Оярс Спаритис, Райта Карните, Виктор Калиберз, Гунтис Земитис;* профессора и доктора – *Вента Коцере, Аинарс Лерхис, Гвидо Страубе, Андрис Шне, Эрикс Якобсонс, Юрис Циганов, Анита Меинарте, Татьяна Берга, Анда Озолина* и другие.

Глубокоуважаемый господин Янис!

Незабываемым для меня будет нынешнее 12 сентября, когда мне исполнилось 42 года в вашем родном и моем любимом городе – Риге. Приятной неожиданностью для меня было узнать, что и Ваша супруга, уважаемая госпожа Лайма родилась в этот же день. В тот день Вы оказали мне честь, пригласив в Юрмалу, где чествовали великого латышского поэта, драматурга, переводчика, политического и общественного деятеля Яниса Райниса в связи с 149-летием со дня его рождения. Общество, собравшееся у памятника, поставленного на берегу Балтий-

ского моря, горячими аплодисментами встретило Ваше выступление, посвященное славному сыну Латвии. А по окончании этого мероприятия мы были приглашены в ресторан «Интерейшенал», где Вы предстали в роли блестящего тамады.

Ваша природная благородство, истинно аристократическая простота, отзывчивость и сердечная поддержка глубоко трогают меня, одновременно налагая огромную ответственность.

Я искренне счастлив общением с Вами и тем, что Вы любезно согласились отредактировать мою книгу «Очерки из истории грузино-балтийских взаимоотношений», изданную в 2011 году Издательством Тбилисского университета.

Глубокоуважаемый господин Оиярс!

Позвольте выразить Вам искреннюю благодарность за Ваше доброжелательное отношение ко мне в период моей последней научной командировки в Латвии.

Меня глубоко тронули Ваши слова, которые Вы произнесли 16 сентября 2014 года при торжественном вручении мне диплома почётного доктора Академии наук Латвииской республики: *«Границы нашей Академии значительно расширяются. Теперь у нас имеется свой надёжный представитель в далёком от Прибалтики – Кавказском регионе в лице искреннего друга Латвии, профессора Николая (Нико) Георгиевича Джавахишвили, который в возрасте 41 года стал самым молодым почётным доктором Академии наук Латвии...»*

Большое впечатление произвела на меня подаренная Вами книга о жизни и творчестве известного латышского художника Эдгарса Винтерса. Вашу оценку его творчества, которую Вы дали в очерке, посвященном ему, можно считать девизом этого солидного издания: „Эдгарс Винтерс даже в условиях войны и плена в своей душе в качестве абсолютного императива сохранил способность видеть прекрасное, чувствовать музыку, искусство и продолжал мечтать о возможности, которую несет вновь обретенный мир, – возможности жить, любить, работать для своего народа и исполнять свою миссию художника... Девизом своей жизни – „Моя цель – стремление к свету" – Эдгарс Винтерс обращает внимание на особую миссию художника – всему миру доказывать право человека на жизнь" (См.: Эдгарс Винтерс/Edgars Vinters, Рисунки солдата, Рига, 2012, стр. 279).

Глубокоуважаемые члены Сената, госпожа Райта и члены департамента гуманитарных и социальных наук Академии наук Латвииской республики!

Огромное спасибо за поддержку, которую Вы мне оказали. Это глубоко трогает меня, одновременно налагая большую ответствен-

ность перед вашей прекрасной страной и Академией наук Латвии. Максимально постараюсь оправдать ваше доверие.

Глубокоуважаемый господин Виктор!

Глубоко благодарен за ваше тёплое письмо от 10 сентября, где читаем: *«Дорогой Николай Георгиевич, сердечно поздравляю Вас с присуждением Вам звания Почетного Доктора Латвийской Академии Наук. Вы являетесь яркой личностью, внесшей огромный вклад в развитие научных связей между грузинскими и латвийскими учеными, а также в укрепление добрых отношений между нашими народами. Желаю Вам крепкого здоровья, счастья и новых свершений!»*

Хочу отметить, что Ваше бережное отношение к памяти Вашего учителя, директора Института травматологии Латвии профессора Арчила Несторовича Мачабели (1905-1960) воистину достойно подражания, что само по себе является знаменательным фактом в истории грузинско-латышских связей. Ваша поддержка особенно ценна для меня, поскольку я намерен и в дальнейшем продолжить исследование истории наших взаимоотношений.

Глубокоуважаемые господа – Гунтис и Аинарс!

Огромное спасибо за поддержку, которую Вы мне оказывали в процессе моей работы над монографией. Я горжусь тем, что именно такой авторитетный научно-исследовательский центр, каким является руководимый вами Институт истории Латвии, представил меня на звание почётного доктора Академии Наук Латвии (в области истории). Я высоко ценю ваше доверие и, сознавая большую ответственность, очень постараюсь оправдать его.

Глубокоуважаемая госпожа Вента!

Я с большим удовольствием вспоминаю и очень благодарен Вам за содействие, оказанное мне в процессе рецензирования моей монографии. С вашей помощью мне стал доступен богатейший книжный фонд руководимой Вами Академической библиотеки Латвии, что во многим обогатило мою монографию. Ваша деятельность являет собой наглядный пример того, как должно трудиться на благо собственного государства, для сближения народов и укрепления дружбы и сотрудничества между ними.

Глубокоуважаемые господа – Гвидо и Андрис!

Вы оказали мне большую услугу, дав возможность на руководимом Вами факультете истории и философии Латвийского государственного университета в 2010 и 2013 годах прочесть курс лекций об истории грузино-балтийских взаимоотношений и ознакомить студентов с итогами моего научного исследования. Я и впредь поддержу Ваше благородное желание передать латышским студентам, которые

мне запомнились своим вниманием и стремлением к знаниям, как можно больше сведений о Грузии.

Глубокоуважаемые господа – Эрикс и Юрис!

Благодарю Вас за сотрудничество. Вы дали мне возможность ознакомиться с некоторыми значительными историческими источниками, содержащими сведения о грузинско-латышских взаимоотношениях.

Глубокоуважаемые дамы – Анита, Татьяна и Анда!

Благодаря вашему любезному содействию я получил возможность ознакомиться с богатыми нумизматическими фондами Государственного музея истории Латвии. В этой национальной сокровищнице сохранены серебряные монеты – дирхемы, найденные в могильнике при археологических раскопках в 1936-1937 годах, в Саласпилсе-Лаукскоде, одна из которых отчеканена в 974 году в Монетном дворе города Тифлиса (ныне – Тбилиси).

Упомянутая выше монета, а также ещё три другие серебряные монеты, отчеканённые в IX-X веках на территории Грузии, в том числе и уникальная «драма» грузинского монарха, представителя тысячелетней царской династии Багратионов (Багратиони), Давида III Куропалата (умер в 1001 году), в разное время были обнаружёны на территории Латвии и Эстонии. Этот факт документально доказывает, что история взаимоотношений Грузии с Балтийским регионом насчитывает более тысячи лет.

Я имею честь сердечно приветствовать бывшего чрезвычайного и полномочного посла Грузии в Латвии, *профессора Константина Коркелия* (в настоящее время он является послом Грузии в Европейском совете), стараниями которого я дважды (в 2009-2010 годах) побывал в Латвии с научной командировкой с целью сбора исторического материала для моей монографии.

Здесь же хочу выразить особую признательность чрезвычайному и полномочному послу Грузии в Латвии *Теймуразу Джанджалия* и сотрудникам руководимого им посольства: *Арчилу Сохадзе, Кетеване Рамишвили, Георгию (Гиги) Голетиани, Синтии Меиере, Марине Насаридзе-Зибергс* и *Тенгизу Стуруа,* оказавшим мне содействие в моей работе.

Имею честь выразить искреннюю благодарность за оказанную мне поддержку чрезвычайному и полномочному послу Латвии в Грузии, госпоже *Элите Гавеле,* бывшему председателю латвийского землячества в Грузии «Аве Сол» и почётному консулу Латвии в Грузии профессору *Регине Якобидзе,* бывшему чрезвычайному и полномочному послу Украины в Латвии профессору *Раулю Чилачава* и

известному латышскому журналисту, сотруднику редколлегии республиканской газеты «Латвиас Авизе» – *Виестурсу Спруде.*

Сердечно приветствую и благодарю грузин, проживающих в городе Риге, за проявленное внимание в период моего многократного пребывания в Латвии (перечисляю в алфавитном порядке): *Виссариона Берадзе, Эрика Григолия, Елену Жоржолиани и её латышского супруга Андреиса Крускопса, Нугзара Кахиани, Зураба Кецбаия, Имеди Кокая, Ирму и Анну Китиашвили, Нону Кочламазашвили-Таурину, Нугзара Мдзинаришвили, Марлена Микиани, Нугзара Паксадзе, Кмару и Манану Сванидзе, Шакро Толиашвили, Амирана Хабелашвили, Гоча Хускивадзе, Манану Ципурия-Джабуа и Тенгиза Шабуришвили.*

Палдиес!

18 ноября 2014 года,
Тбилиси, Грузия,

96-ая годовщина
со дня провозглашения
Латвийской республики.

პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი – ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი

2014 წლის 10 ივნისს, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატმა საპატიო დოქტორის წოდება (Doctor Honoris Causa) მიანიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს **ნიკოლოზ (ნიკო) ჯავახიშვილს.**

ეს საპატიო წოდება ახალგაზრდა ქართველ ისტორიკოსს მიენიჭა ხუთწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, კერძოდ, ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის შესახებ გამოცემული ვრცელი მონოგრაფიის – „ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან“, აღნიშნულ პერიოდში სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებული სტატიებისა და ლატვიის ავტორიტეტულ სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ცენტრებში წაკითხული სალექციო კურსებისათვის.

16 სექტემბერს, ქალაქ რიგაში, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიაში, შედგა პროფესორ ნ. ჯავახიშვილისათვის საპატიო დოქტორის დიპლომის (№ 128) გადაცემის საზეიმო ცერემონია. მასში მონაწილეობა მიიღეს: ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ოიარს სპარიტისმა, სენატის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა იანის სტრადინშმა და სენატის წევრებმა.

ცერემონიაზე საგანგებოდ მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს ელჩი ლატვიაში თეიმურაზ ჯანჯალია და ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენლები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ნიკო ჯავახიშვილი 41 ასაკში გახდა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე ახალგაზრდა საპატიო დოქტორი.

გულითადად ვულოცავთ ჩვენს თანამშრომელს ამ დიდ საერთაშორისო აღიარებას და ვუსურვებთ მას შემდგომ წინსვლას სამეცნიერო სარბიელზე.

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების თანამშრომლები

პროფესორი ნოდარ კახიძე — 85

დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო მეცნიერ-ეთნოლოგს, უმაღლესი სკოლის დამსახურებულ პედაგოგს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტერტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსს, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ კახიძეს.



ამ ღვაწლმოსილმა ადამიანმა ცხოვრების საინტერესო გზა განვლო.

ნოდარ კახიძე დაიბადა 1929 წლის 25 დეკემბერს ბათუმის (ამჟამად ხელვაჩაურის) რაიონის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში. მან წარჩინებით დაამთავრა 1941 წელს ჩხუტუნეთის არასრული საშუალო სკოლა, 1950 წელს — აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, 1954 წელს კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. იგი სტუდენტობის წლებში ჩაება სამეცნიერო მუშაობაში, მონაწილეობდა სტუდენტთა ადგილობრივ და რესპუბლიკურ კონფერენციებში, ხელმძღვანელობდა ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო წრეს, არჩეული იყო სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციაში.

ბატონი ნოდარ კახიძე 1962-1965 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ეთნოგრაფიის განხრით. ამ საინტერესო სპეციალობას იგი ეუფლებოდა თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას და მისი მოწაფის პროფესორ მიხეილ გეგეშიძის ხელმძღვანელობით, პროფესორების ვერა ბარდაველიძისა და ალექსი რობაქიძის კონსულტაციებით.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1965 წელს, ნოდარ კახიძე ხელშეკრულებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში. მას დავალებული ჰქონდა აჭარაზე არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის დამუშავება, რაც გათვალისწინებული იყო საქართველოს ეთნოგრაფიული ატლასისათვის.

1967 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ნოდარ კახიძემ წარმატებით დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი თემაზე „აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი ყოფა და კულტურა (მაჭახლის ხეობა)". სადისერტაციო თემაზე მუშაობისათვის მას რეკომენდაცია მისცა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, რომელსაც მაშინ ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა. ნ.კახიძის აღნიშნულ საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომს სამეცნიერო საბჭომ დისერტაციის რეცენზენტთა დასკვნის საფუძველზე მაღალი შეფასება მისცა. მთავარი რეცენზენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების მაშინდელი ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ჩიტაია წერდა: „ნოდარ კახიძის ნაშრომი „მაჭახლის ხეობა" სოლიდური წიგნია, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი შინაარსით, ახალი მასალებისა და საკითხების ახლებურად დასმით... დისერტანტი უნარიანი და გამჭრიახი დაკვირვებული სავლე მუშაკია, რომელმაც ბევრი ახალი და საინტერესო მასალა გამოავლინა და მეცნიერებას შესძინა" (გ. ჩიტაია, შრომები, V, თბილისი, 2001, გვ. 353, 356).


1966 წლის სექტემბრიდან დღემდე მუშაობს 1958 წელს დაარსებულ ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1979 წლიდან ეთნოლოგიის განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელია. 2011 წლიდან, როდესაც ინსტიტუტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადავიდა, განყოფილებას ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება ეწოდება.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის დღიდან იწყება ნოდარ კახიძის ინტენსიური და ნაყოფიერი მეცნიერული საქმიანობა. გამოქვეყნებული აქვს 130–ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი. მათ შორის ოთხი მონოგრაფია („მაჭახლის ხეობა" (ბათუმი, 1974); „ხელოსნობა აჭარაში" (თბილისი, 1990); „ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში" (ბათუმი, 2004); „ეტრატზე ამეტყველებული ისტორია" (ბათუმი, 2013), მეცნიერული და სხვა ხასიათის მრავალი საგაზეთო სტატია. მეცნიერმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია საინსტიტუტო ეთნოლოგიური კრებულების („აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები", „აჭარის სოფელი", „აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები", სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა") მომზადებისა და გამოცემის საქმეში. დღემდე გამოცემულია ამ სერიის 24 კრებული, რომელთაგან ნახევარი მომზადდა და გამოიცა პროფესორ ალ. რობაქიძესთან მისი თანამონაწილეობით. ხოლო უშუალოდ მისივე რედაქტორობით მომზადდა და გამოიცა სამი ეთნოლოგიური კრებული („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები"), ინსტიტუტის შრომების მეათე ტომი, ჟურნალ „მაჭახელის" 8 ნომერი, რომლებიც მიეძღვნა მაჭახლობის ყოველწლიურ სახალხო დღესასწაულს. არის 20-მდე გამოცემული ნაშრომის რედაქტორი და რეცენზენტი, აგრეთვე რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის რეცენზენტი.

პროფესორმა ნოდარ კახიძემ, როგორც რედაქტორმა, ნაყოფიერი მუშაობა გასწია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეულის მეორე ტომის (მოიცავს




პერიოდს მეხუთე საუკუნიდან რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე) მომზადება-გამოცემაში (გამოიცა 2010 წელს). პირადად მან ათი სტატია მოამზადა ამ ტომისათვის. იგი არის აღნიშნული ოთხტომეულის სარედაქციო და საგამომცემლო საბჭოების წევრი და პასუხისმგებელი მდივანი. მისი აქტიუ-



რი მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე ფერადი ფოტოალბომი „აჭარა“ (2009) და ბუკლეტი „აჭარის ალპური დასახლება“ (2010). დასაბეჭდად გადაცემულია ალბომი „ეთნოგრაფიული აჭარა“.


ნ. კახიძე სისტემატურად კითხულობდა მოხსენებებს საქართველოს ეთნოგრაფთა სამეცნიერო ფორუმებზე (სესიები, კონფერენციები), რომლებიც იმართებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ინსტიტუტის ეთნოგრაფთა ოცზე მეტი ექსპედიცია აჭარაში, საქართველოს სხვა რეგიონებში (გურია, სამეგრელო, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი). ასპირანტურის წლებში (1963-1964) მონაწილეობდა დიდ კომპლექსურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, რომლებიც გიორგი ჩიტაიას, ვერა ბარდაველიძის, მიხეილ გეგეშიძის ხელმძღვანელობით ტარდებოდა ფშავ-ხევსურეთსა და იმერეთში. 2010 წელს ხელმძღვანელობდა პირველ ეთნოგრაფიულ ექსპედიციას თურქეთის საზღვრებში მოქცეული მაჭახლის ხეობის (ზედა მაჭახელი) სოფლებში, რომელმაც დღემდე უცნობი საინტერესო მასალები გამოავლინა.



ნოდარ კახიძემ, როგორც მაჭახლის ხეობის მკვიდრმა, პირველმა შეისწავლა ისტორიულ-ეთნოგრაფიულად მაჭახლის ხეობა, რომელმაც წარსულში ფართოდ გაითქვა სახელი საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში ხელოსნობით, კერძოდ, ცეცხლსასროლი (კაჟ-ჩახმახიანი თოფები და დამბაჩები), აგრეთვე ცივი საბრძოლო იარაღების დამზადებით. პირველმა ფართოდ აჩვენა მაჭახლის ხეობის როლი და მნიშვნელობა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და სამეურნეო ცხოვრება-



ში. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასა და პროფესორ მიხეილ გეგეშიძის რჩევით ბატონმა ნოდარ კახიძემ ასევე პირველად შეისწავლა ხელოსნობის პრობლემური საკითხები ჯერ აჭარის, შემდეგ კი მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. 1990 წელს გამომცემლობა „მეცნიერებაში“ გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „ხელოსნობა აჭარაში“, ხოლო 2004 წელს გამომცემლობა „აჭარაში“ დაიბეჭდა შემცირებული ვარიანტი სადოქტორო დისერტაციისა („ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), რომელიც 2001 წლის 16 ნოემბერს დაიცვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. მასში შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული პრობლემები. ნაშრომი დარგის სპეციალისტთა მიერ აღიარებულ იქნა ქართული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენად, რომელშიც პირველად განხორციელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის ტრადიციების კომპლექსური შესწავლა.



XII-XVII საუკუნეების წერილობითი ძეგლის „ტბეთის სულთა მატიანეს“ საფუძველზე მკვლევარმა შექმნა საყურადღებო გამოკვლევა „ეტრატზე ამეტყველებული ისტორია“. ავტორმა ამ წიგნით მკითხველს გააცნო მატიანის მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეული რეგიონების, მათ შორის მაჭახლის ხეობის ,ისტორიული წარსულის, საეკლესიო ცხოვრების, საგვარეულოთა ისტორიის, ისტორიული

გეოგრაფიის, მიგრაციული პროცესების, ყოფისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტების შესწავლაში. წიგნი მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა აღნიშნული პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიურ ჭრილში შესწავლისათვის.

პროფესორ ნოდარ კახიძის სამეცნიერო კვლევა-ძიებაში ხელოსნობის საკითხები მთავარი საკვლევი პრობლემა იყო, რომელსაც სამ ათეულ წელზე მეტხანს სწავლობდა. მაგრამ იგი სხვა ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხების შესწავლითაცაა დაინტერესებული. გამოქვეყნებული აქვს საჟურნალო და საგაზეთო სტატიები აჭარაში გავრცელებულ ხალხურ დღესასწაულებზე, გვარსახელებზე, ტოპონიმიკაზე, ისტორიული ეთნოგრაფიის საკითხებზე, მუჰაჯირობაზე, აჭარაში მოგზაურ ქართველ და უცხოელ მკვლევარებზე და ა. შ. მან ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი და შეიმუშავა წინადადება-რეკომენდაციები აჭარაში გავრცელებული ტრადიციული ხალხური დღესასწაულის – შუამთობის აღდგენისა და მისი განახლებული სახით ჩატარებაზე, ტბელობის სახალხო დღესასწაულის დაწესებაზე (1978 წელი), ხალხური ხელოსნობისა და შინამრეწველობის საკითხებზე, რამაც თავის დროზე ასევე დადებითი გამოხმაურება და შეფასება ჰპოვა.

ნოდარ კახიძე მუდამ სიახლის ძიებაშია და ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო ღონისძიებებში. უშუალოდ მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის (1933 წელი) 70 და 80 წლებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფრენციები. ნოდარ კახიძის თაოსნობით მოეწყო 2009 წელს პირველი მოძრავი ეთნოგრაფიული გამოფენა, რომელშიც წარმოდგენილია ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების ფონდებში ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუნჯებული ფოტო და სხვა საილუსტრაციო მასალები. როგორც ამ ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსმა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, აქტიური მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სხდომის მომზადებასა და ჩატარებაში, რომელიც 2013 წლის 2-3 დეკემბერს გაიმართა. იგი იყო საიუბილეო კომისიის წევრი, მისი ხელმძღვანელობით საიუბილეო სხდომისათვის მოეწყო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ნაშრომებისა და საილუსტრაციო მასალების გამოფენა. მისივე ხელმძღვანელობით გამოსაცემად



მომზადდა საიუბილეო ილუსტრირებული კრებული ინსტიტუტის შრომების X ტომის სახით.

ნოდარ კახიძე არის აქტიური საზოგადო მოღვაწე, მრავალი უმაღლესი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი. ის ყოველთვის დაუღალავად მონაწილეობდა უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის, უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო ცენტრის საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ორი საკანდიდატო დისერტაცია, სტუდენტთა ორმოცამდე საკურსო და ათი საკონფერენციო, რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი. იგი სტუდენტებს არა მარტო ასწავლიდა, არამედ პირადი მაგალითით ზრდიდა და აყალიბებდა მოქალაქეებად.

პროფესორი ნოდარ კახიძე, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში დღესაც სავსე ენერგიით განაგრძობს მუშაობას. მის მიერ მრავალი ათეული წლის მანძილზე გაწეული სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა სამაგალითოა მისი უმცროსი კოლეგებისათვის. იგი არის არა მარტო კარგი მეცნიერი, არამედ ადამიანური ხიბლითა და პატიოსნებით გამორჩეული პიროვნება. ამიტომაც სიყვარულითა და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებში, მთელ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების წევრები სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავენ სახელოვან მეცნიერსა და შესანიშნავ პიროვნებას საიუბილეო თარიღს, უსურვებენ მას ჯანმრთელობას და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

გახსენება

თენგიზ გრიგოლიას ხსოვნას

წავიდა ჩვენგან სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორანტურის პროგრამის ხელმძღვანელი, სოციალურ მეცნიერებათა და ფაზისის აკადმიების აკადემიკოსი, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ერთგული და უღალატო მეგობარი, თავმდაბლობით, მოყვასის სიყვარულითა და სიდარბაისლით გამორჩეული პიროვნება თენგიზ ბონდოს ძე გრიგოლია.

განუმეორებელი ხიბლის მქონე, ჭეშმარიტი კოლხის გარეგნობით, დიდი შინაგანი კულტურითა და ინტელექტით, ბუნებით რაინდი, მშვიდი და გაწონასწორებული, -ასეთად დარჩა თენგიზი მისი მეგობრების ხსოვნაში.

თენგიზ გრიგოლია დაიბადა 1955 წლის 15 აგვისტოს სენაკში, მოსამსახურის ოჯახში. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, მოგვიანებით კი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. მან სამეცნიერო იერარქიის ყველა საფეხური გაიარა დაწყებული სოფელ ეწერის სკოლის მასწავლების სტატუსიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორის თანამდებობამდე. შესანიშნავი მკვლევარი და მეცნიერი, 45 სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი რამდენიმე უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სტუ-ში ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებას მოგვიანებით კი ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამას.

დოქტორანტებთან და, საერთოდ, სტუდენტებთან მისი ურთიერთობები ცალკე განსახილველი თემაა მისი იუმორით, ინტელექტითა და პროფესიონალიზმით გაჯერებული ლექციები დიდხანს მოენატრებათ სტუდენტებს. გულიანად ვხალისობდით კათედრაზე, როცა ჯგროდ მოსდევდნენ ბატონ თენგიზს მისი აზერ-

ბაიჯანელი სტუდენტები მიმართვით: „Господин учитель профессор“. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან სტუდენტები მასში ხედავდნენ პროფესიონალს, ლექტორს, პიროვნებასა და მოძღვარს და გამორჩეული სიყვარულით პასუხობდნენ. სტუდენტების დიდი სიყვარულის კიდევ ერთი დადასტურება იყო საერთაშორისო ურთიერთობების კურსდამთავრებულების წინაშე თენგოს ბოლო საჯარო გამოსვლაზე სტუდენტების რეაქცია, როცა ნიკო ნიკოლაძის სახელობის უზარმაზარი დარბაზი მარტო მის გამოჩენაზე ტაშით დაინგრა. ბატონმა თენგიზმა ჩვეული სიდარბაისლით დაულოცა კურსდამთავრებულებს სამომავლო გზა და ექსპრომტად, როგორც სჩვეოდა, კაფიაც მიაყოლა:

„ჩვენ ეს ხიდი სავლელად
დია სწორად გავდეთო
თქვენ თუ მრუდედ გაივლით
ჩვენ რა წყალში ვვარდეთო“

გამოსვლა დაამთავრა ფრაზით: „ჩვენი ურთიერთობა იყო გულწფრელი, ძმური და მისაბაძი და ეს იყო უმთავრესი“. ეს შეფასება იყო მისი ცხოვრების ერთგვარი შემაჯამებელი კონცეფტი, გულწრფელობასა და უბრალოებაში განფენილი.

ლათინური ანდაზა გვაუწყებს, რომ ყოფილან ადამიანები, რომლებსაც თურმე ღმერთმა აკოცა. ამაში იგულისხმება ბუნების ის დიდი ჯილდო, რომელსაც ნიჭი ეწოდება. თენგიზ გრიგოლიას ჰქონდა ღვთით მომადლებული ყველაზე დიდი და მთავარი ნიჭი - ნიჭი ადამანებთან უბადლო ურთიერთობისა. ძალიან ძნელია შაბლონური სიტყვებით წერო თენგიზ გრიგოლიაზე, როგორც მეგობარზე. ჭირსა თუ ლხინში მისნაირი გულიანი თანადგომა ცოტას თუ შეუძლია, ამიტომაცაა რომ ძნელად მოიძებნება თენგიზზე აუგის მთქმელი კაცი.

მისი ბათუმელი მეგობარი შალვა ბახტაძე იხსენებდა: როდესაც მას სახლი დაეწვა და ღამეს მანქანაში ათევდა, თენგომ, რომელიც დროებით იყო ჩასული ბათუმში და ნებისმიერი მისი ბათუმელი მეგობრისათვის სასურველი სტუმარი იყო, ყველას უარი უთხრა მასპინძლობაზე და თავის მეგობართან გარეთ გაათია ღამე. ასეთი ეპიზოდებით დახუნძლული იყო მისი ცხოვრება. რომელი ერთი უნდა მოვიგონოთ... ძალიან მოგვენატრება მისი დინჯი და აუჩქარებელი სიარული სტუ-ს მე-6 კორპუსის დერეფანში, მისი შეხუმრებები და მოულოდნელი სიურპრიზები, რომლებითაც ასე გვილამაზებდა ცხოვრებას. ერთხელ, როცა მისმა სიყრმის მეგო-

ბარმა და კოლეგამ პროფესორმა ვაჟა შუბითიძემ გამოსცა წიგნი „სომხური „იმპერია(ლიზმი)“ და კოლონიალიზმი“, ღამით ვაჟას სახლში გაისმა ტელეფონის ზარი: „შეურაცხყოფილი სომეხი“ დამახინჯებული რუსულით ითხოვდა ბოდიშის მოხდას სომეხი ერის წინაშე. როდესაც ვაჟა ძალიან გაცხარდა, მხოლოდ მაშინ გამოტყდა „უცნობი სომეხი“ – თენგიზ გრიგოლია და ვაჟას დაუწყო დამშვიდება.

თენგოს წასვლით ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებას მოაკლდა ღიმილი, სითბო, და სიხალისე. იგი ყოველთვის ღიმილით ამბობდა სათქმელს და ასე უსიტყვოდ ახერხებდა ყველას გულში ჩასახლებას. თვითონ მთელი ცხოვრება სულ გულის ხარჯვით იცხოვრა. მთელი თვისი და სხვისი ცხოვრებისეული ტკივილები სულ გულში გამოატარა. ცხოვრება მას დალხენილი არასოდეს ჰქონია – მშობლების გარდაცვალება, უბინაობა, რუსეთში გადახვეწილ ერთადერთ ძმაზე მუდმივი ღელვა და დარდი, მაგრამ არასოდეს არავისთან დაუჩივლია. პირიქით, ოპტიმიზმით აღვსილი მის გარშემო ყოველთვის სიხაურლისა და სიკეთის სივრცეს ქმნიდა. მან თავისი გულის კარი უშურველად გაუღო ყველას ისე, რომ სამაგიერო არასოდეს არავისთვის მოუთხოვია. იგი თვითონვე არ ზოგავდა საკუთარ გულს და, რა გასაკვირია, გულმაც რომ უმტყუნა, წავიდა ასე ნაადრევად თავისი შემოქმედების პიკში, როდესაც ბოლოსდაბოლოს მასაც გაუღიმა ფორტუნამ, როდესაც თვის საყვარელ ადამიანთან მაია ამირგულაშვილთან ერთად თავზე საკუთარი ჭერი უნდა ჰქონოდა, ბრიუსელში კონფერენციას დასწრებოდა და უამრავი სტატია და მონოგრაფია დაემთავრებინა... წავიდა და უზარმაზარი სიცარიელე დაგვიტოვა. დაცარიელდა თენგოს ადგილი მის კაბინეტში. როცა კაბინეტში ხალხმრავლობაა და დასაჯდომი ადგილი არ არის, თენგოს სკამი მაინც თავისუფალია, რადგან იქ დაჯდომა არავის უნდა. განუწყვეტლივ ანთია მის კაბინეტში სანთელი. საკმეველს არ აძლევს ჩაქრობის უფლებას მაია – მისი ერთგული ჭირისუფალი. თენგოს უფროსი მეგობრის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის პროფესორ იგორ კვესელავას ინიციატივით მალე თენგიზ გრიგოლიას სახელობის აუდიტორიაც გვექნება. ესღა დაგვრჩა თენგიზის მოსაგონებლად... და კიდევ, მისი ანდერძი, რომელიც დაგვიტოვა მეგობრებს, კოლეგებს და სტუდენტებს, მისი ავტორექვიემი, ადამიანთა ურთიერთობის ფილოსოფიის ალფა და ომეგა: „მთავარია ურთიერთობები იყოს გულწრფელი, ძმური და მისაბაძი“.

პროფესორები:
იგორ კვესელავა
ავთანდილ სონღულაშვილი
ქეთევან ჯიჯეიშვილი
მაია ამირგულაშვილი
ვაჟა შუბითიძე
მურმან პაპაშვილი
გელა საითიძე
ზურაბ კვეტენაძე
ედიშერ გვენეტაძე

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge